


780
1986

ISSN 0134 - 9848

1986/2

საქართველო

საქართველოს
საზოგადოებრივი





ბნარე რუსთ. მამი ანუ ღიბორღის თავდასხმა. დეტალი.

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური აღმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა
მთავარი სარედაქციო კოლეგია



მთავარი რედაქტორი:

მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია:

ელზა ახვლედიანი

ჯემალ აჯიაშვილი

გიორგი ბაქანიძე

მზინა ბაქრაძე

ბაჩანა ბრატვიანი

ბურბუ გომიანიძე

ნანა ღარჩია (პ. წგ. მდივანი).

მაგალი თოდუა

ნოდარ კაკაბაძე

ზურაბ კიკნაძე

ვასუშტი კობახიშვილი

რომან მიმინოშვილი

გიორგი ნიჟინიანიძე

ოთარ ნოდია

დალი ჭანუკიძე

რუსუდან ქავულაძე

იორაბ ქაჯურბულიძე

ნიკო ყიასაშვილი

გივი შაჟაზარი

გივი ძეგლაძე

დავით წერეთელი

ნუგზარ წერეთელი

თამაზ წიფჩივაძე

რაზო ჭიჭიშვილი (მთ. რედ. მოადგილე)

გარეკანზე: დავითი. „ლიტერატურის შემოქმედით ბრუტუსთან მის ვაჭოშვილთან
ცხადრები“.

მხატვარი ა. თოდრია, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, ტექნიკური რ. იმნაიშვილი
გამომშვები ნანა ბარათია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31, პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22,

განყოფილებათა გამგეები — 72-26-30

გად. წარმ. მ. 1. 86 წ., ხელმოწ., დასაბეჭდად: 9. 4. 86 წ., ქალაქის ზომა 70x108¹/₃₂.

სააღრ. თ. 21,93 სასტ. თ. 28. საღებავის ვატ. 28,7. ტირ. 10 000, შეკვ. № 62.

ფასი 1 მან. 80 კპ.

საქ. კა. ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის

ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14

ფ. სკობ უიოხარაღი

ნაზრია ლამე



რომანი

ანგლისურიდან თარგმნა მაღიკო ხალაშვილმა

18247

XX

მოდნის თავზე შედედებული გამონაბოლქვი ნელა იწვოდა ივ-
ლისის მზეზე. საშინლად ცხელოდა. კარგი, თაკარა სიცხე არ
იყო. სოფლისკენაც არ გაგიწევდათ გული, ესეც ვერ გიშველიდათ, რადგან
გზებიც მყრალი სიცხისაგან შეხუთული გეჩვენებოდათ. ლუქსემბურგის ბაღის
პირდაპირ კაფეში შესულები, ვერანდაზე რომ საუზმობდნენ, როზმერი მოი-
თენთა, აგზნებულიყო, ეტყობა, ადრევე, ვაგზალშიც ვერ იყო კარგად და შეიძ-
ლება იმიტომაც თქვა, ეგონისტი ვარო.

დიკს არ შეუმჩნევია მისი უეცარი უგუნებობა; საშინლად უბედური იყო
და ბრმავდებოდა იმის მიმართ, რაც გარშემო ხდებოდა. უწინდებურად ფიქ-
რიც უჭირდა და ლაპარაკიც ეძნელებოდა.

ყავას რომ სვამდნენ, იტალიელი სიმღერის მასწავლებელი შემრუერთდათ
— მერი ნორთს გააცილებდა ვაგზალზე. იმათი წასვლის მერე როზმერიც წა-
მოდგა, სტუდიაში უნდა მივიდე საქმეზეო.

„მართლა“, — სთხოვა მათ, — „ვიდრე აქა ხართ, თუ კოლის კლეი გა-
მოჩნდა, ხომ იცით, ის სამხრეთელი ყმაწვილი, გადაეცით, რომ მე არ შემეძლო
დაცდა; ხვალ დამირეკოს“.

როზმერის ასეთმა თავქარიანობამ, რითაც უფრო ბავშვური ჩანდა, და რაც
აღბათ ამასწინანდელი მღელვარების რეაქცია თუ იყო, დაივერებს თავიანთი
შვილები და მათდამი სიყვარული გაახსენა; მაინც არ შერჩა როზმერის, ნიკოლ-
მა მაშინვე მიუგო: „ჯობია, ოფიციალტი გააფრთხილოთ“, უღმობელი და ცივი
იყო ნიკოლის ხმა, „ჩვენ აქ დარჩენას არ ვაპირებთ“.

როზმერი მიხვდა, მაგრამ არ სწყენია.

„იყოს, სულ ერთია, ნახვამდის, ჩემო ძვირფასებო“.

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 1

სიქ. სსრ კ. მარქსის
ხაზ. საბ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

დიკმა ანგარიში მოითხოვა. ცოტა ხანს დაივერები ისვენებდნენ, უგულის-
ყუროდ ისხდნენ.

„ასე...“ თითქმის ერთდროულად წარმოთქვეს.

დიკმა თვალი შეასწრო, ოდნავ შესამჩნევმა მწარე ფიქრობა დაუარა
ნიკოლს ტუჩებზე, მხოლოდ დიკს შეეძლო ამის შემჩნევად დაე-
ჭირა თავი, თითქოს ახლა არც დაენახოს. რაზე ფიქრობდა ნიკოლი? როზმერა
ინათ მიემატა მხოლოდ, ვისი გულიც ამ ბოლო წლებში მოინადირა დიკმა:
ფრანგი კლოუნი, ეიბ და მერი ნორთები, მწერალი, მხატვარი, მოცეკვავე
წყვილი, თეატრ „გრან განიოლის“ კომედიანტი ქალი, თითქმის შეშლილი პე-
დერასტი რუსული ბალეტიდან, დიდი იმედისმომცემი ტენორი, დაივერებმა
სწავლისთვის ერთი წლით მილანში რომ გაამგზავრეს. ნიკოლმა კარგად იცოდა,
როგორ აფასებდა ეს ხალხი დიკის ენთუზიაზმსა და ინტერესს, მაგრამ ნიკოლ-
მა ისიც იცოდა, რომ მათი ცოლ-ქმრული ცხოვრების ექვსი წლის მანძილზე,
დიკი ერთ ღამეს არ ყოფილა უიმისოდ, გარდა იმ ხნისა, როცა მათი ბავშვები
გაჩნდნენ, დიკს ხიბლი ჰქონდა და შეუძლებელი იყო სხვისთვისაც არ გადაედო
იგი. ასეთი კაცი ისე იზიდავს ხალხს, თანაც მათ, ვინც სულ არ სჭირდება,
რომ ამაზე თვითონ არცა ფიქრობს.

ახლა გულჩახვეული იჯდა დიკი. წინათ, მარტო რომ დარჩებოდნენ, გა-
ოცებული იტყოდა ხოლმე, რომ ბედმა გაუღიმა და ერთმანეთს შეეყარნენ.
ახლა კი, წუთი წუთს მისდევდა და არც შესტია და არც სიტყვით, ის თავისი
ვაკვირვება არ გამოუხატავს.

მაგიდებზეა ვიწრო გასასვლელში გამოჩნდა სამხრეთელი ყმაწვილი —
კოლის კლეი და შორიდანვე შინაურულად შესძახა დაივერებს. დიკი ვერ იტან-
და ასეთ შეძახილებს. ეს „ოპ“ და „პეი“, არ უყვარდა, ან როცა ერთად იყვნენ
და მარტო მას, ან — მარტო ნიკოლს მიმართავდნენ. იცოდა თავისი ეს ხასიათი
და უგუნებობისას ხშირად ვაცლას ამჯობინებდა. ვინმეს ოდნავი დაუღვერობაც
კი კარგა ხანს ამოაგდებდა ხოლმე ყალიბიდან.

კოლისმა, რომელიც სულაც არ გრძნობდა თავს იმ სტუმარივით, „რო-
ნელსა არა ემოსა სამოსელი საქორწინე“, მოსვლისთანავე თქვა: ვგონებ და-
ვიგვიანე, ჩიტი გაფრენილა“. დიკმა ძლივს-მოითმინა, ძლივს აპატია, რომ ჯერ
ნიკოლს არ დაუკრა თავი.

თითქმის მაშინვე, ნიკოლი ადგა და წავიდა, დიკი ისევ კოლისთან ერთად
იჯდა, რომ ბოლომდე დაელია თავისი ღვინო. საერთო ჯამში მოსწონდა კიდე-
ვაც კოლისი, ეს ომისშემდგომი ფორმაციის ყმაწვილი, სამხრეთელების უმ-
რავლესობაზე უფრო იოლად ასატანი, იმ სამხრეთელებისა, ამ ათი წლის წი-
ნათ ნიუ-ჰეივენში რომ ხვდებოდა დიკი. ეღიმებოდა, დიდი ამბით და აუჩქა-
რებლად რომ ტენიდა კოლისი ჩიბუხს და ენასაც არ აჩერებდა. ცოტა ხნის წი-
ნათ თითქმის ცარიელი ლუქსემბურგის ბაღი თანდათან ივსებოდა ბავშვებითა
და ძიძებით. შუადღე დგებოდა. ამ რამდენიმე თვის მანძილზე დიკმა პირველად
მისცა თავის თავს ნება, შუადღისას ასე მჯდარიყო.

უცებ, თითქოს სისხლი გაეყინა, ნელ-ნელა ჩასწვდა კოლისის ნდობით
ნათქვამ მონოლოგს.

„...ისეთი ცივიც არ არის, თქვენ რომ გვონიათ. მეც კარგა დიდხანს ვფიქ-
რობდი, ცივია-მეთქი. მაგრამ, ერთხელ ისე მოხდა, ნიუ-იორკიდან ჩიკაგოში
მივდიოდით აღდგომაზე და მატარებელში რაღაც ისტორია შეემთხვა ჩემს მე-

გობართან, ერთი ბრქია, გვარად ჰილისი, ისიც ნიუპეივენელია. როზმერის-
თან ერთად კუბეში ჩემი ბიძაშვილი იყო. ჰოდა, ამ გოგომ მაშინვე შეიძინა,
რომ როზმერის და ჰილისს მარტო უნდოდათ ყოფნა და ესეც ადგა და ნაშუად-
ღევს ჩვენს კუბეში შემოვიდა. იქ ბანქოს ვთამაშობდით. ორი საათი უკვე
მოვდივართ კუბედან და ვხედავთ — როზმერია და ჰილისი კართან ღვენიან
კონდუქტორს რაღაცაზე ვკამათებთან. როზმერის მიტკლის ფერი ადევს. თურმე
კუბეში ჩაკეტილან, თანაც ფანჯარაზე ფარდა ჩამოუშვიათ და მე თუ მკითხავთ,
უჭმდაც არ ისხდებოდნენ. ამასობაში კონდუქტორი მივიდა, რომ ბილეთები გა-
ესინჯა და კარზე დაუკაკუნა. ამათ ჯერ იფიქრეს, რომ ჩვენ ვიყავით და ვი-
თომ არევა გვინდოდა, ამიტომ არ გაუღეს კარი, ბოლოს, როცა გააღეს, კონ-
დუქტორი უკვე ბრაზისაგან ცახცახებდა. მიადგა ჰილისს, თქვენია ეს ადგილი
თუ არა და ცოლ-ქმარი ბართ თუ არა, და თუ არა, რად ჩაკეტეთო კარი. ჰი-
ლისმა სცადა აეხსნა, რომ ცუდი განზრახვა გულშიც არ გაუვლიათ და აუგან
სათქმელი არაფერი მომხდარა, მაგრამ ვერ დააჯერა და თვითონაც დაკარგა
მოთმინება, ყვირილს მოჰყვა, კონდუქტორმა როზმერის შეურაცხუთა მიაყუ-
ნაო და საჩხუბრად იწევდა, მაგრამ კონდუქტორს შეეძლო საჭმე უფრო გაერ-
თულებინა და ძლიერ დავაშოშმინე ორივე, და დამიჯერებთ თუ არა, დიდი ჯათა
კი დამადგა“.

სანამ უსმენდა, სანამ ვაგონში მომხდარი ამბის ყველა დეტალს გაიზრებ-
და და შურით შესცქეროდა გოგო-ბიჭის შეყრის ცდის სავალალო დასასრულს
კუბეს კართან, დიკმა რაღაც უცნაური ცვლილება ხდებოდა. ვილაც მესამის,
თუნდაც უკვე დიდი ხნის წინათ დავიწყებული სახის შემოჭრადა აკლდა, რომ
საბოლოოდ დარღვეოდა სულის სიმშვიდე, ტყვილს, სევდას, სასოწარკვეთასა
და ვნებას უწყალოდ დაერია მისთვის ხელი. ვილაცის თითები როზმერის ლოყა-
ზე, გახშირებული სუნთქვა, ჩაკეტილ კართან ვილაცის გაავება, მიუწვდომელი,
იდუმალი სიტბო.

...ხომ არ გეწყინებათ, ფარდას თუ ჩამოვუშვებ?

ო, არა, მართლა რა თვალისმომჭრელი სინათლეა...

კოლის კლეი უკვე ნიუ-პეივენის სტუდენტური ძმობის პოლიტიკაზე ლა-
პარაკობდა იმავე ტონით და ისეთივე გაცხოველებით. დიკმა იცოდა, რომ
კოლისს რაღაც უცნაური, დიკისთვის გაუგებარი სიყვარულით უყვარდა როზ-
მერი. ჰილისთან ისტორიას, ეტყობა, არავითარი ემოციური შთაბეჭდილება არ
მოუხდენია კოლისზე, შეიძლება უფრო გაახარა კიდევაც, რადგან ამ შემთხვე-
ვის წყალობით გაიგო, რომ როზმერისთვის უცხო არ იყო ის, რაც „ადამია-
ნურია“.

„ჩონჩხმა“ შესანიშნავ ბიჭებს მოუყარა თავი“, ამბობდა იგი. „კაცმა რომ
თქვას, ცდა არავის დაგვიკლია. ახლა ისე გაიზარდა ნიუ-პეივენი, ისე ჭრე-
ლია, რომ სამწუხაროდ, ბევრს უკვე უარს ვეუბნებით“.

...ხომ არ გეწყინებათ, ფარდას თუ ჩამოვუშვებ?

ო, არა, მართლა რა თვალისმომჭრელი სინათლეა...

...დიკმა მთელი პარიზი გაიარა თავის ბანკში მისასვლელად — ჩეკის გა-
მოწერის მერე შემინული კანტორის იქით გამწკრივებულ მაგიდებთან მსხდარ
ბანკის მოხელეებს კარგა ხანს ათვალიერებდა, ვერ გადაეწყვიტა, რომელი
მათგანისთვის მიეწოდებინა, მანამდე კი, მერხზე დახრილი, კალამს სინჯავდა,
ყველა ასო გულმოდგინებით გამოჰყავდა, ერთხელ ფოსტის დეპარტამენტის-

კენაც გაიხედა და თვალი გაუშტერდა, მაგრამ იმეც თავის საქმეს შეტრიალდა და ჩეკს ჩააცქერდა.

ყინ იყო ისეთი, არ შეეშინდა, რა თავგზა აქონდა აბნეული რომელიმე იცოდა სხვებზე ცოტა ლაპარაკი, რომ საუბარი არ წამოეწყო, არც კი დაელოკალი პერენი ზის, გულშია ისა თავახიანი, რამდენჯერმე რომ შეათავებოდა დიკს, ერთად ვისაუბრობოთ შერიკულ კლუბში, იქ კი ესპანელი ვასასუსი, ყოველთვის საერთო შეგობრებაზე რომ ესაუბრებოდა ხოლმე, თუმცა იმ შეგობრებს კარგა ათი წელია აღარ შეხვედროდა დიკი, იქით კიდევ — მუხბაუსი, ერთსა და იგივეს რომ ეკითხებოდა ეველა მიხვდებოდა, თავისი ანგარიშიდან სურდა დიკს ფულის მიღება თუ ცოლის ანგარიშიდან.

ჩეკის არშიაზე თავსა აღნიშნა, ქვეშ ორჯერ გაუსვა ხაზი და გადაწყვიტა პირსისთვის მიემართა, პირსი ახალგაზრდა კაცია, იმასთან დიდი ფარსის თამაში არ მოუწევს, ისე კი, ხშირად იოლია, ფარსი შენ თვითონ ითამაშო, ვიდრე უყურო, როცა ამზე სხვა ცოდვილობს.

ოღონდ, ჯერ თავისა კორესპონდენცია მოიკითხა, იმ ქალმა, კლიენტების ფოსტა რომ ებარა, წერილები მიაწოდა, მავადიდან რალაც ქალაღდი ძირს ვარდებოდა, მკერდით შეაკავა და დიკმა გაიფიქრა, მამაკაცის სხეულისთვის ასეთი მოძრაობა უცხოაო, გვერდზე გადგა და წერილების გახსნა დაიწყო: გერძახული ფირმის ანგარიში ჩვადმეტა წიგნისათვის, ფსიქიატრიის რომ ეხება, ანკარიში ბრენტანას წიგნის მაღაზიიდან, ბათალოდან გამოგზავნილი მამის წერილი, წლითიწლობით სულ უფრო ძნელი გასარჩევი ხდებოდა მისი ხელი: ზედ ფესის შტემპელდაკრული საბუძრო ღია ბარათი ტომი ბარბანისგან, ციურხელი ექიმების ორი წერილი, ორივე გერმანულ ენაზე დაწერილი; მებათქაშის სადავო წერილი კანიდან; ანგარიში მეავეჯესგან, ბალტიმორის სამედიცინო უნივერსიტეტის გამომცემლის წერილი, ბევრი სხვადასხვა სახის უწყება, მოსაწვევი ჯერ უცნობი მხატვრის გამოფენაზე: ვარდა ამისა, სამი წერილი ნაკოლისთვის და ერთიც — დიკის სახელზე, როზმერისთვის გადასაცემად.

...ხომ არ გეწიინებათ, ფარდას თუ ჩამოვუშვებ?

პირსისკენ წავიდა, მაგრამ პირსს ერთი კლიენტი ქალი ჰყავდა და ტანმა უგრძნო, სხვა ვხა არ იყო, კასასუსისთვის უნდა მიემართა, კასასუსი პირსის გვერდით იჯდა და არაეინ ჰყავდა.

„როგორა ხართ, დაივერ?“ კასასუსს გულწრფელად გაუბარდა მისი დანახვა წამოდგა, ღიმილისგან განზე გაეწია უღვაშები, „ამას წინათ გაგიხსენებთ, ფედერსტოუნზე წავიდა ლაპარაკი და, ხომ იცით, ახლა კალიფორნიაშია“.

დიკმა თვალები დააჭყიტა და ცოტათი წინ გადაიხარა.

„კალიფორნიაში?!“

„აბა, ასე გავიგე“.

ჩეკი ჯერ ისეუ გაწვილილ ხელში ეჭირა დიკს: ძალიან უნდოდა კასასუსს მაშინვე საქმისთვის მიეხედა და პირსისკენ შეტრიალდა, შეგობრულად ჩაუკრა თვალი: ეს ძველებური შეხუმრება იყო, სამი წლის წინათ პირსი ერთ ლიტველ გრაფინიასთან ფრიად რთულ ურთიერთობაში რომ გაეხვია, იმ დროიდან მოყოლებული, შეხვედრისას თვალს ჩაუკრავდა ხოლმე, პირსი მაშინვე მიხვდა ხუმრობას, ჩაიციხა და სანამ ესენი თვალებით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და

ვლინებოდათ, კასასუსმა ჩეკიც გაათორმა. დიკს კარგი თვალთ უყურებდა, ცოტა ხანსაც უნდოდა შეეყოვნებინა, მაგრამ საბაბი ვერ მონახა, ზეზედა წამოდგა, პენსნე დაიმაგრა და გაიმეორა: „პო, ფედერსტოუნი ახლა კალიფორნიისა“.

ამასობაში დიკმა პერენს შეხედა, მაგიდების თავში იჯდა და თანხის კლავენტს ელაპარაკებოდა, დიკმა იცნო მსოფლიოს ჩემპიონი მძიმე წონაში; პერენმა ქეშად გამოხედა, დიკი მიხვდა უნდოდა დაეძახა მისთვის და ჩემპიონი გაეცნო, მაგრამ გადაიფიქრა.

დიკმა კარგად გაართვა თავი ყველაფერს, რითაც კასასუსის სოციალურ ფინს დააცხრობდა, ესე იგი, შემინულ კანტორასთან ჯერ გულისყურით დახედა და შეისწავლა ჩეკი, მერე ბანკირის მარჯვნივ მარმარილოს პირველი სვეტის რქით რაღაცამ მიიბყრო მისი ყურადღება და დააკვირდა; ხელიდან ხელში გადაიტანა ხელჯობი, შლაპა და წერილები, ბოლოს თავი დაუქრა, გამოეთხოვა და გასასვლელისკენ გაემართა. კარისკაცს უხვად ასაჩუქრებდა ხოლმე ფულით და ამანაც იცოდა თავისი საქმე, ტროტუართან უკვე ტაქსი იცდიდა.

კინოსტუდია „Films par Excellence“-ში მიმიყვანეთ — პატარა ქუჩაა პასიზე. Porte de la Muette-სკენ წადით, იქ აგიხსნით და მიხვდებით მერე“:

ბოლო ოცდაათნი საათის ამბებში ისე გარდაქმნა და არია, რომ ახლა თვითონაც არ იცოდა რა უნდოდა და რის გაკეთებას აპირებდა; Porte de la Muette-ზე ტაქსი გაუშვა, ფეხით განაგრძო გზა სტუდიისკენ, მაგრამ სანამ იმ შენობამდე მივიდოდა, ქუჩის იქითა მხარეს გადავიდა. გარეგნულად ღირსებაშენარჩუნებული, ელეგანტურად ჩაცმული, მაინც ასეთი დაბნეული ჩანდა, გეგონება მღვევარი მისდევსო, სიმშვიდეს მაშინ თუ აღიდგენდა, თუ მთლიანად წაშლიდა წარსულს, დაივიწყებდა ბოლო ექვსი წლის დაძაბულ ცხოვრებას. ტარკინგტონის რომანის იმ შტერი ბიჭივით, უთავბოლოდ უვლიდა კვარტალს და იმისი შიშით, ვაითუ სტუდიიდან გამოსვლისას როზმერი ვერ დაეინახო, მოსახვედებში ხშირად ჭრილდებოდა ხოლმე. იქაურობას საკმაოდ ნაღვლიანი იერი დაჰკრავდა. სტუდიის გვერდით ფირნიში შენიშნა: „1000 chemises“¹. მთელ ვიტრინას ატარება პერანგი ავსებდა, დაკეცილები და შეკრულები, ანდამხრებზე შემობურთული, ბევრიც, ვითომდა დაუდევრად დაყრილი იქვე, ვიტრინის ძირში. „1000 chemises“ — მიდი ერთი და დათვალე! მეორე მხარეს დიკმა წაიკითხა: „Papeterie“, „Pâtisserie“, „Solde“² — აქვე იყო რეკლამა, კონსტანცა ტოლმეჯი „Déjeuner de Soleil“³-ში. მერე უფრო სევდიანი შინაარსის აბრები ეკიდა: „Vêtements Ecclésiastiques“, „Déclaration de Décès“, „Pompes Funèbres“⁴. სიცოცხლე და სიკვდილი.

იცოდა, რასაც ახლა აკეთებდა, იმით ბევრი რამ შეიცვლებოდა მის ცხოვრებაში—იმდენად იყო ეს ყველაფერი შეუსაბამო იმისა, რაც მანამდე იყო, შეუსაბამო იმ შთაბეჭდილების, რაც სურდა და შეიძლებოდა მოეხდინა როზმერიზე.

¹ „1000 პერანგი“ (ფრანგ.).

² „საწერი ქაღალდი“, „საკონდიტრო“, „მიყიდვა“ (ფრანგ.).

³ „მზიური საუზმე“ (ფრანგ.).

⁴ „საეკლესიო შესამოსელი“, „უწყებები გარდაცვალებაზე“, „დამკრძალავი ბიურო“ (ფრანგ.).

როზმერის თვალში იგი ყოველთვის კორექტულობის ნიშნად იყო, ამ კვარტალში სიარული კი შემოჭრას ჰგავდა. მაგრამ დიკისთვის ეს საჩუქელი, მისაქ მოსვლა, თავის თავში რაღაც მეტად ღრმად ჩამარხულის გამოვლენას უფრო ნიშნავდა. მოუსვლელი არ შეეძლო, მოვიდა და იდგა აქანდნანდნოდ, მაჯებზე კარგად მორგებული სახელოებით, სახელოები პიჯაკის მსგავსი სახელოებით მორგებული პერანგისაზე, საუცხოო თარგის საყულო ეზებოდა ყელს, ქალისა — კარგად შეკრეჭილი, დენდივით ხელში ჰქონდა პორტფელი — მოვიდა, რადგან არ შეეძლო არ მოსულიყო, როგორც იმ ერთ კაცს, ფერარაში რომ მივიდა და დადგა ტაძრის წინ, ტანზე ჯვალმემოხვეული და ფერფლწაყრილი. დიკი თითქოსდა ხარკს უხდიდა რაღაც წაუშლელს, უაღსარებოდ ჩავლილსა და დაუვიწყებელს.

X XI

ორმოცდახუთი წუთი გავიდა რაც იცდიდა, და უცებ ვიღაცა გადაეყარა. ეს ერთი ისეთი შემთხვევა იყო, ჩასაფრებულებით რომ გამოუხტებოდა ხოლმე სწორედ მაშინ, როცა არც ვინმეს ნახვა და არც ვინმესთან დალაპარაკება არ უნდოდა და ასეთ დროს, რაც უფრო მეტად შეეცდებოდა თავის დაფარვას. მით უფრო მეტად შეცდებოდა, იმ მსახიობებით, როცა კარგად არა თამაშობს, დაძაბულია და ბოლოს და ბოლოს ეხმარება მაყურებელს, შეავსოს ხოლმე სიცარიელე თამაშისა. ანდა, კიდევ: ხშირად იმათ არ თანავუგრანობთ, ვისაც სწყურია თანავრძნობა, და იმათ კი ვწყალობთ, ვინც სხვადასხვა გზით ასერხებს და თავს შეგვაბრალებს.

შეიძლება, თვითონ დიკსაც ასე ემსჯელა, ამ შეხვედრაზე თუ იფიქრებდა. Rue de Saints Anges-ზე იგი ოცდაათიოდე წლის ამერიკელმა შეაჩერა, გამხდარი, ფერმკრთალი სახე ჰქონდა, რაღაც ავბუდითად ჩაიციხა და სივარცხის მოკიდება სთხოვა. დიკმა მაშინვე იმ ტიპებს მიამსგავსა, ჭაბუკობისას რომ შეხვედრია, ასეთები თამბაქოს დუქნებში დაყილებენ, ხელები დახლზე ჩამოუწყვიათ და ცამ თუ იცის, გონების რომელ ჭუჭრუტანიდან უყურებენ შემსვლელ-გამომსვლელთ: გარაყებში შინაურებივით გრძნობენ თავს და საუკუნო საქმეებს აგვარებენ, საპარიკმახეროებში იციან ჩამოსხდომა და თეატრების ფოიეებში წრიალებენ: ასეთ ტიპებს მიამსგავსა. ეს სახეები ზოგჯერ ტადის კარიკატურებზეც გაიღვებდა ხოლმე — ბიჭობისას დიკს რამდენჯერ, შიშით ატანილს უცდია რომ ბნელით მოცული დანაშაულის სამყაროსათვის შეეხედა. სამყაროსათვის, რომლის მიჯნაზეც იდგა თვითონ.

- „მოგწონთ პარიზი, მეგობარო?“
- პასუხს არ დალოდებია, დიკს გვერდით ამოუდგა და მიჰყვა.
- „საიდანა ხართ?“ გამამსხვევებელი ტონით ჰკითხა.
- „ბათალოდან“.
- „მე კი სან-ანტონიოდან, ისე კი, რაც ომი დაიწყო, აქა ვარ“.
- „არმიაში იყავით?“
- „აბა როგორ! ოთხმოცდამეოთხე დივიზია გაგიგიათ?“
- ოდნავ წინ გაუსწრო და ჭიქურ შეხედა დიკს, კეთილი არ ჰქონდა გამოხედვ.
- „პარიზში ცხოვრობთ, მეგობარო? თუ ისე, გავლითა ხართ?“

„გაელით“.

„რომელ ოტელში?“

დიკს თავისთვის ჩაეცინა — ეტყობა, ვუნებაში აქვს ამ ღამით პარიზში დად დაუცარიელოს ოთახი. მაგრამ ის ტიპა მიუხვდა, არ მოერიდებოდა და მუდმივად უთხრა:

„ასეთ კაცს, მეგობარო, ჩემი არ უნდა შეგეშინდეთ. პარიზში ქვეყნის მანქანწალა დაეხეტება და ამერიკელ ტურისტებზე ნადირობს, მაგრამ ჩემი რაღ უნდა გეშინოდეთ“.

დიკს მობეზრდა და შეჩერდა. „დრო გლუჯვანზე გაქვთ, ვეტყობათ“.

„არა, რატომ — პარიზში მე საქმეს ვაკეთებ“.

„რა საქმეს?“

„გაზეთებს ვყიდი“.

ასეთი უწყინარი საქმიანობა და იმის უხამსი მანერები ერთმანეთს არ ებამებოდა. ეს კაცი თავისას ერეკებოდა:

„თქვენ რა გგონიათ — შარშან ფულს ვმოუღობდი, დღეში ათი, და ხან ოცი ფრანკი „სანდი ტაიმზე“, ფასი კი ეჭვსია“.

გახუნებული საფულედან სურათი დააძრო, გაზეთიდან ამოჭრილი, და თავის შემთხვევით თანამგზავრს მიაჩენა. სურათზე ამერიკელები რაღაც ნაკადად გადმოდიოდნენ ოქროთი სავსე ხომალდიდან საბიჯელაზე.

„ორასი ათასი. მარტო ერთ ზაფხულს აქ ათი მილიონი რჩებათ“.

„პასიზე რაღამ მოგიყვანათ?“

ყმაწვილმა ფრთხილად მიიხედ-მოიხედა.

„კანომ“, დაღვრემილმა ჩასჩურჩულა, „აქ ამერიკული კინოსტუდიაა, ხანდახან სჭირდებათ ხოლმე ინგლისურად მოლაპარაკე. მეც შემთხვევას ვუცდი“.

დიკმა საბოლოოდ გაცლა და მისი თავიდან მოშორება ამჯობინა.

ცხადი იყო, სანამ იგი კვარტალს უვლიდა, როზმერიმ მოასწრო სტუდიიდან გამოსვლა, ანდა, დიკის ამ არემარეზე გამოჩენამდე წავიდა უკვე. კულტურში მდებარე ბისტროში შევიდა, ტყვიის ეტონი იყიდა და სამზარეულოსა და ამშორებულ ტუალეტს შუა, თალარქვეშ შესულმა ოტელ „Roi George“-ის კომპუტატორს გამოუძახა. სუნთქვაზე შეატყო თავის თავს, რომ ჩეინ-სტოკის ერთ-ერთი სიმპტომი იყო, მაგრამ ამანაც უფრო გაუძლიერა ისედაც უკვე მძაფრი გრძნობა. ოტელის შიფრი თქვა, მერე კარგა ხანს ეჭირა ტელეფონი და ააფეს მიშტერებოდა; ბოლოს საოცრად უცნობი ხმით, „ალო!“ გაისმა.

„დიკი ვარ. არ შემეძლო არ დამერეკა“.

პაუზა — მერე გაბედული, მის გუნებას საკვირვლად აყოლილი და შეხამებული პასუხი:

„ძალიან მიხარია, რომ დარეკეთ“.

„სტუდიასთან მოვედი, მეგონა შეგხვდებოდით, პასიზე ვარ, მეორე მხარეს, ბისტროში შევედი და იქიდან გელაპარაკებით. ვიფიქრე, ვნახავ და ბულონისკენ გავივლით-მეტქი“.

„აჰ, მე იქ მხოლოდ რამდენიმე წუთით შევიარე, რა საწყენია!“ სიჩუმე.

„როზმერი!“

„ჰო, დიკ?“

„უცნაურობა რამ შემართება თქვენზე ფიქრისას. როცა ბავშვი შუახნის ჯენტლმენს მოსვენებას დააკარგვინებს, იმისი საქმე წასულია“.

„სულაც არა ხართ შუახნისა, დიკ, თქვენ ყველაზე ახალგაზრდა ხართ ქვე-
ყანაზე“.

„როზმერი!“

ისევ პაუზა. თაროს მიაშტერდა, ზუსტად თავის პერსონაჟს მსახურად ეწ-
ყო საფრანგეთის შედარებით სუსტი შხამებით სავსე ბოთლები — ოტარ, რომ
სენ-ჯეიმზ, მარი ბრიზარ, პუნშ ორანჟად, ანდრე ფერნე ბლანკო, შერი როშე,
არმანიაკ.

„მარტო ხართ?“

...ხომ არ გეწყონებათ, ფარდას თუ ჩამოვუშვებ?

„კიდევ ვინ უნდა იყოს, როგორ ფიქრობთ?“

„ხომ ხედავთ, თვითონაც არ ვიცი რას ვამბობ. ნეტავი თქვენთან მამყოფა
ახლა“.

სიჩუმე. მერე ამოოხვრა და ძლივს გასაგონი:

„მეც მინდა ახლა ჩემთან იყოთ“.

ოთახი ოტელში, იქ, ტელეფონის ციფრებს მიღმა წევს იგი და მუსიკის
ხმა შხაპუნა წვიმად იცემა ახლო, იმის გარშემო...

„მხოლოდ მე და შენ, შორს, ტატიზე,
ვიქნებით მარტო, ერთად, ოორი-ვე“.

ნაშხეურ კანზე ფიფქივით მოყრილი პუდრი — ახსოვდა, როცა აკოცა,
თმის ძირებში კანი ნოტიო ჰქონდა. უეცრად გაფითრებული სახე გაკრთა დი-
კის სახესთან, და დაქანებული მხრები.

„არა, შეუძლებელია“, თავისთავს უთხრა. ერთი წუთის მერე უკვე ქუჩას
მიუყვებოდა Porte de la Muette-სკენ, ან იქნებ, სულაც საპირისპირო
მხარეს მიდიოდა. ერთ ხელში პატარა პორტფელი ეჭირა, მეორეში — ოქროს
ბუნკიანი ჯოხი, ხმალივით.

როზმერი საწერ მაგიდასთან მიბრუნდა და დედასთან გასაგზავნი წერი-
ლის წერა დაამთავრა.

„...მხოლოდ რამდენიმე წუთით ენახე, მაგრამ მაშინვე საოცრად ლამაზი
მეჩვენა და მაშინვე შემიყვარდა (რა თქმა უნდა, დიკი უფრო ძალიან მიყვარს,
მაგრამ ხომ იცი, რისი თქმა მინდა). მისი ახალი ფილმის საქმე უკვე აყურშია
და ხვალვე მიემგზავრება პოლიცეუდში, ასე, რომ მე ვფიქრობ, ჩვენც უნდა წა-
ვიდეთ. კოლის კლეი ჩამოვიდა აქ, ძალიან კარგი ბიჭია, მაგრამ თითქმის იშვია-
თად ვხვდები დაივერების გამო, დაივერები ღვთაებრივები არიან, ამისთანა მომ-
წიბლავ ხალხს ჯერ არ შევხვედრივარ. დღეს ცოტა შეუძლოდა ვარ და წამალს
ესვამ, თუმცა, მგონია, არც არის საჭირო. მეტს აღარაფერს მოგწერ, მალე გნა-
სავ: გნახავ და რაც იყო, ყველაფერს გეტყვი, გიამბობ!!! როგორც კი ამ წე-
რილს მიიღებ, ტელეგრამა გამოგზავნე, ნუ მომწერ, შემატყობინე ტელეგრა-
მით! ჩამოხვალ თუ მე გამოვყვე სამხრეთში დაივერებს?“

ექვს საათზე ნიკოლს დაურეკა დიკმა.

„რა გეგმები გაქვს საღამოსთვის?“ ჰკითხა მან. „იქნება მშვიდად გავატა-
როთ ეს საღამო — ოტელში ვისადილოთ და მერე თეატრში წავიდეთ?“

„კარგი, როგორც შენ განდა. ცოტა ხნის წინათ როზმერის დავურეკე, თავის ოთახში სადილობს. ამდღანდელმა ამბავმა მაინც ყველას თავგზა აკვირვინა“.

„მე სულაც არა“, უთხრა დიკმა. „თუ ძალიან არ დაიღალე, გონივრულად მოვიფიქროთ, ძვირფასო, თორემ ჩავალთ რივიერაზე და მთელ კვირას იმაზე ვილაპარაკებთ, როგორ დაგვემართა, რომ ბუშე ერთხელაც ვერა ვნახეთო. თანაც ესა სჯობია იმას, რომ ვისხდეთ და ვწუხდეთ...“

ამის თქმა წინდაუხედაობა იყო, წამოსცდა, ნიკოლს არ გამოჰპარვია.

„ვწუხდეთ — რაზე?“

„მარია უოლისზე“.

ნიკოლი დაეთანხმა თეატრში წასვლაზე. თავიდანვე ასე იცოდნენ, თითქოს დათქვესო, დაუღლებელი ყოფილიყვნენ ყველაფერში, მათი აზრით, ასე უფრო კარგი დღეები ექნებოდათ, ხოლო, თუ ხანდახან, ცხადია, მაინც იქანცებოდნენ, შეიძლებოდა ზოგი საღამოს გადადებოდა, მაგრამ ამას თავიანთ თავს არ აბრალებდნენ, — ეტყობა, ვიღაც დაიღალა და სული მოითქვას, გადავდოთო. სანამ ოტელიდან გავიდოდნენ, — მათ შეხედვას ხომ არაფერი სჯობდა და უფრო ღამაზე წყვილს ძნელად თუ შეხვდებოდი მთელ პარიზში, — როზმერის შეუთარეს, კაკუნზე არავინ გამოეხმაურა, იფიქრეს, რომ უკვე ეძინა და ქვევით ჩავიდნენ, ფუკეს ღამის ბნელ ბარში ვერმუტი და მწარე ლუდი დალიეს და პარიზის თბილსა და მათრობელ ღამეს შეერივნენ.

XXII

ნიკოლმა გვიან გაიღვიძა და სანამ თავის გრძელ წამწამებს გახსნიდა, სიზმარგამოყოლილმა, რაღაცა ჩაიბუტბუტა, დიკის საწოლი ცარიელი იყო — მხოლოდ ცოტა ხნის მერე მიხვდა, რომ კარზე ვიღაც აკაკუნებდა და ამან გააღვიძა.

„Entres!“ დაიძახა, მაგრამ, არავინ უბასუხა. ხალათი მოისხა და კარის გასაღებად გაეშართა. კართან პოლიციელი იდგა, ზრდილობიანად დაუკრა თავი და შიგნით შემოვიდა.

„Monsieur ეფგენ ნორთი — აქ არის?“

„ვინ? არა — ამერიკაში გაემგზავრა“.

„როდის გაემგზავრა, Madame?“

„გუშინ დილით“.

პოლიციელმა ჯერ თავი გადააქნია და მერე გამეტებით მოჰყვა საჩვენებელი თითის ქნევას.

„გუშინ საღამოს იგი პარიზში იყო, ამ ოტელში რეგისტრირებული, მაგრამ იმის ოთახში არავინ არის. მე მირჩიეს ამ ოთახში მოვსულიყავი, რომ თქვენთვის მეკითხა“.

„უცნაურია, ვერაფერი გამიგია — გუშინ დილით გავაცილეთ ჰაერის მატარებელზე“.

„როგორც არ უნდა იყოს, დღეს დილით აქ ნახეს. საბუთებიც კი შეუმოწმეს. ასე რომ, რაღა ეჭვი შეიძლება გქონდეთ“.

„ჩვენ არაფერი ვიცით ამაზე“, წამოიძახა გაოცებულმა ნიკოლმა.

პოლიციელი რაღაცაზე ჩაფიქრდა. კარგი გარეგნობის კაცი იყო, მაგრამ უარდა.

„გუშინ საღამოს თქვენთან არ იყო?“

„არა! რანაირად?“

„ერთი ზანგი დავაპატიმრეთ. ეს სწორედ ის ზანგია, და ბოლოს, როგორც იქნა დავაპატიმრეთ“.

„იციტ რა, არ ნესმის, რაზე ლაპარაკობთ. თუ თქვენ მისტერ ებრეჰემ ნორთზე მელაპარაკებით, დიახ, მას ვიცნობთ, მაგრამ თუ იგი კიდევაც პარიზში იყო გუშინ საღამოს, არ ვაგვიგია“.

კაცი თავს იქნევდა, ზედა ტუჩი შიგნით შეეწია, ეტყობოდა, მაინც რაღაც ეეჭვებოდა.

„მაინც, რა მოხდა?“ ახლა ნიკოლმა იკითხა.

პოლიციელმა ხელები გაშალა, მოკუმული პირი გააღო. ცოტა-ცოტა მიხვდა, რა მიმზიდველი იყო ნიკოლი და თავლები აუციმციმდა.

„რა მოხდებოდა, ხომ იცით, Madame, ზაფხულია, ბევრი ხალხი ტრიალებს. მისტერ ეფგენ ნორთი გაძარცვეს და პოლიციაში განაცხადა. ჩვენ დავიჭირეთ არამზადა. ახლა საჭიროა, რომ მისტერ ეფგენ ნორთმა იცნოს იგი და პრალდება დადგინდეს“.

ნიკოლმა ხალათი მჭიდროდ შემოიხვია, კიდევ ერთხელ გაუმეორა, მეტი აღარაფერი ვიცით და დაითხოვა პოლიციელი: გაოგნებულმა შხაპი მიიღო და ჩაიცვა. უკვე ათს გადაცილებული იყო. როზმერის დაურეკა, მაგრამ ტელეფონი არ პასუხობდა, მერე პორტიეს დაუკავშირდა და გამოირკვა, რომ დილის შვიდისთვის ეიბი მართლა მოსულიყო ოტელ „Roi George“-ში, ოთახი აეღო, მაგრამ თითქმის არც გაჩერებულა. ნიკოლი მისაღებში დაჯდა და დაელოდა, რომ იქნება დიქს დაერეკა. მაგრამ დიქი არ ჩანდა, ბოლოს ხელი ჩაიქნია და გარეთ გასვლა დააპირა. სწორედ ამ დროს ქვევიდან დაურეკეს:

„თქვენ გკითხულობთ მისტერ კროუმოუ, un nègre“.

„რა საქმეზე?“

„იგი ამბობს, რომ კიცნობთ თქვენც და დოქტორსაც. ამბობს, რომ მისი მეგობარი ვინმე მისტერ ფრიშენი ციხეში ზის, რომ მას ყველა იცნობს, იგი ამბობს, რომ ეს შეცდომაა, უსამართლობა, და სურს ნახოს მისტერ ნორთი, უნდა მიასწროს, თორემ შეიძლება თვითონაც დაიჭირონ“.

„ჩვენ არაფერი ვიცით“. ნიკოლმა, თითქოს მთელი ჯავრი ამაზე ამოიყარაო. გაბრაზებით დაახეთქა ტელეფონი და ამით მოუღო ბოლო მთელ ამბავს.

პარიზში ეიბის ექსცენტრულმა გამოჩენამ ნიკოლს აშკარად დაანახვა, როგორ დაქანცა იმისმა თავაშვებულმა, გატიალებულმა ცხოვრებამ. თავიდან ამოიგდო ეიბზე ფიქრი და მკერავთან წასვლა გადაწყვიტა. იქ როზმერის შეხვდა და ორივე Rue de Rivoli-ზე გავიდნენ ხელოვნური ყვავილებისა და ფერადი შუშის მძივებისთვის. ნიკოლის დახმარებით როზმერიმ დედისთვის ბრილიანტის ქინძისთავიც იყიდა, და შარფები და პოდური პორტსიგარებიც; რასაც კალიფორნიაში ჩასვლისას თავის პოლიცუდელ მეგობრებს აჩუქებდა. ნიკოლმა მხოლოდ სათამაშო ხარისკაცები, რომაელი და ბერძენი მეომრების მთელი არმია იყიდა ვაჟიშვილისთვის, რაც ათას ფრანკზე მეტი დაუჯდა, და ახლაც სხვადასხვანაირად ხარჯავდნენ ფულს, როზმერის კვლავაც ალტაცებას ჰგვრიდან ნიკოლის, მეთოდი ფულის ხარჯვისა. ნიკოლმა იცოდა, და კარგადაც

იცოდა, რომ თავის ფულს ხარჯავდა, როზმერისკი სულ ეგონა, რომ რაღაც სასწაული მოხდა, ეს ფული ასესხეს და ფრთხილად უნდა ყოფილიყო, გამთუზოგა.

კარგი იყო, გაგიხარია, მზიან დღეს უცხო, დიდ ქალაქში ცხოვრობს ფულის ხარჯვა. დადიხარ ნამხეური ჯანსაღი სხეულით, სახეატკრეცილი, თავით ფეხამდე გალალბებული, ხელს გაიწვდენ, მოძრაობ და გრძნობ, რა მომხიბლავი ხარ და ქალურად მიმზიდველი, გჯერა შენი თავისა.

ოტელში უკვე ელოდებოდათ დიკი, ხალისიანი და დილასავით ცინცხალი, ნიკოლმაც და როზმერიმაც, მის დანახვაზე მთლად ბაჭშვებოვით გაიხარეს.

დიკმა უამბო — ცოტა ხნის წინ თვითონ ეიბს დაურეკია და ულაპარაკია მასთან; თურმე მართლა პარიზშია და დილანდელს აქეთ სადღაც იმალება.

„ჩემს სიცოცხლეში არ მომისმენია ამისთანა უცნაური ლაპარაკი ტელეფონში“.

მარტო ეიბი კი არ ლაპარაკობდა დიკთან, ერთი ათი კაცი მაინც იყო კიდევ ჩართული და ყველა თითქმის ერთნაირად იწყებდა: „...აქ ერთ კაცს უნდა თქვენთან ლაპარაკი ამ საქმეზე, ეს ამბობს, ეგ სულაც რა შუაშიაო — როგორ? რა?“

„თქვენ ეი, მოკეტეთ, არაფერი ისმის — ერთი სიტყვით, გაება ამბავში და შინ ვერ მიდის. მე თუ მკითხავთ, ჩემი აზრია, მე თუ მკითხავთ...“ აქ ტელეფონში რაღაც ბუყბუყის მსგავსი ხმა გაისმა და რა უნდა ეკითხათ მისთვის, გაუგებარი დარჩა.

ტელეფონის ხმაურში ახლა სულ სხვა რამ გაარჩია:

„მე მინდა მოგმართოთ, როგორც ფსიქოლოგს...“ ეს ვილაცა, ასეთი აზრებით შთაგონებული, ეტყობა, მოაცილეს ტელეფონს და ასე და ამრიგად, ვეღარ ელაპარაკა დიკს, ვეღარც როგორც ფსიქოლოგს და ვეღარც ისე.

მერე საუბარი დაახლოებით ასე წარიმართა:

„ალო!“

„დიახ?“

„რა დიახ, ალო!“

„ვინა ხართ?“

„პო“. ისევ ჩაერთო ვილაც, ეცინებოდა. „ახლავე ვინმეს გადავცემ ყურმილს“.

დროდადრო, ყურმილის დახეტქების ხმასა და ტელეფონთან ატეხილ დრიანცელში, ძლივს გასაგონ წყვეტილ ფრაზებში „არ ვინდათ, მისტერ ნორთ, მე არ...“ და რაღაც ამისთანა, დიკს ეიბის ხმაც ესმოდა. მერე ვილაცამ მკვახედ უთხრა:

„თუ თქვენ მართლა მისტერ ნორთის მეგობარი ხართ, მოდიეთ და წაიყვანეთ აქედან“.

ახლა თვითონ ეიბი ჩაერია, ხმაური იმდენად აღარ ისმოდა, ეტყობა, ყველა მისწი-მოსწია და დიდი ამბით, მიიმედ მოპყვა ლაპარაკს.

„დიკ, ჩემი მიზეზით რასობრივი ჩხუბი ატყდა აქ, მონმარტრზე. ახლა ფრიშენის გამოსაშვებად მივდივარ, ციხეშია. თუ იქ ერთი ზანგი მოვიდა — კონვენტაგენში ვაქსის ფაბრიკა აქვს — ალო, კარგად ისმის? — თუ იქ ვინმე მოვიდა...“ ისევ ერთი ათი ხმა მაინც ჩაირთო.

„როგორ მოხვდით ისევ პარიზში?“ ჩაეკითხა დიკი.

„ვერემდე ჩავედი და შერე გადავწყვიტე თვითმფრინავით დავბრუნებულყავი, რომ ვერე და სენ-სიულპისი შემედარებინა ერთმანეთს. ის კი არა, რომ სენ-სიულპისი პარიზთან ვერ მოვა. ბაროკოს ბრძანებით, არა, სენ-სიულპისი კი არა, უფრო სენ-ჟერმენი მაქვს მხედველობაში. ღვთის გულისათვის, მოითმინეთ, ერთი წუთით, მე თქვენ chasseur¹-თან გალაპარაკებთ“.

„ღვთის გულისათვის, არ გინდათ“.

„მომისმინეთ — რა ქნა მერიმ, წავიდა?“

„კი“.

„დიკ, ერთ კაცს მინდა დაელაპარაკოთ, ამ დილით გავიცანი აქ, საზღვაო ოფიცრის ვაჟიშვილია. ყველა ექიმი მოიარა ევროპაში, ვიღასთან არ ყოფილა, ახლავე ყველაფერს გეტყვი...“

აქ კი დააგდო დიკმა ყურმილი, შესაძლოა, ცოტა უმადურადაც კი მოიქცა. — გონების დოლაბს რომ ეტრიალა, დასაფქვავეი მარცვალი იყო საჭირო.

„ეიბი ისეთი კარგი იყო“, როზმერის უამბობდა ნიკოლი — „საოცრად კარგი. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. მე და დიკი ახალდაქორწინებული ვიყავით. სამწუხაროა, რომ მაშინ არ იცნობდით ეიბს. კვირიდან კვირამდე ჩვენთან იყო ხოლმე და თითქმის ვერ ვამჩნევდით სახლში იმის არსებობას. ხან უკრავდა, ხან ბიბლიოთეკაში იჯდა ისე, საათობით, თავის შეყვარებულ მუნჯ პიანინოსთან. ერთი მოახლე გვყავდა — გაბსოვს, დიკ? — ეიბი მოჩვენება ეგონა. უყვარდა ეიბს ამ მოახლის შეშინება. დერეფანში დაუდარაჯდებოდა და გამოჩნდებოდა თუ არა, დაიძახებდა: „უუ!“ ერთხელაც, ამისთანა შეშინება მთელ ჩაის სერვიზად დაგვიჩდა, ხელიდან გაუვარდა; მაგრამ არაფრად ჩაგვიგდია“.

ასეთი მხიარული ცხოვრებით ცხოვრობდნენ მაშინაც, დიდი ხნის წინათ, როზმერის შემურდა კიდევაც, თვითონ ხომ არასოდეს ეცხოვრა ასე, არა სცალოდა, მაგრამ აფასებდა მოცალეობას, როგორც ყველა ძნელად მოცლილი.

„შერე რა დაემართა?“ იკითხა. „სმა რად დაიწყო?“

ნიკოლმა თავი გააქნია, მარჯვნივ და მარცხნივ, მე არაფერ შუაში ვარო.

„რამდენი გონიერი და არაჩვეულებრივი კაცი იკარგება ჩვენს დროში“.

„როდის, რომელ დროში არ იყო ასე?“ ჩაერია დიკი, „არაჩვეულებრივ კაცს ყოველთვის თამაში უხდება ზღვარზე, ყველა ვერ უძლებს ამას და ბოლოს და ბოლოს ხელს ჩაიქნევს“.

„მიზეზი მაინც უფრო ღრმაა“, არ დაუთმო ნიკოლმა, თან ცოტა გაბრაზდა, რომ დიკი როზმერის თანდასწრებით შეეპასუხა. „რამდენი დიდი ხელოვანია. ვთქვათ თუნდაც ფერნან ლეჟე. — სულაც არ იხრჩობენ ღვინოში თავს. რაღა მაინცდამაინც ამერიკელები ლოთდებიან?“

ამ კითხვაზე იმდენნაირი პასუხის გაცემა შეიძლებოდა, რომ დიკმა ამჯობინა სულ არ ეპასუხა, დარჩეს ასე ნიკოლისათვის. ბოლო ხანს დიკმა შეამჩნია, თითქოს კრიჭაში ედგა ნიკოლს და თუმცა იგი ულამაზესი იყო მათ შორის, ვინც ცხოვრებაში შეხვედრია, და უხვადაც ჰქონდა მიმადლებული ყველაფერი, რაც დიკს სჭიროდა, გრძნობდა, უკვე შორს აღარ იყო შეჯახება და თავს იკაფებდა, დროს არ კარგავდა. მიჩვეული არ იყო შეღავათს თავისი თავისადმი და ახლა ცოტათი რცხვენოდა კიდევ ასეთი შეღავათისა, თვალს ხუჭავდა,

¹ ოტელის მსახური (ფრანგ.).

იმის იმედით — ნიკოლი ხომ ვერაფერს ამჩნევს, მხოლოდ იმას, რომ აქტა-
ცებას მგვრის როზმერის მშვენიერებაო, არადა, გუშინ თეატრში როზმერის ხსენ-
ებისას, ნიკოლმა ლამის მიახალა, როზმერი ისევ ბავშვიად.

სამივე დაბლა ჩავიდა და ხალიჩებიან მყუდრო დარბაზში ისჯდნენ. მის
მიც არ ისმოდა, ისე მიდი-მოდიოდნენ ოფიციანტები. სულ აღარ ჰგვანდნენ იმ
თავგზაბნეულ კაცებს, აქეთ-იქით რომ აწყდებოდნენ იმდღევანდელ დღეს;
მოშორებით ამერიკელები ისხდნენ თავიანთი ოჯახებით და სხვა ამერიკელებს
უყურებდნენ, ესენიც ცოლ-შვილთან ერთად იყვნენ და ძალიან ცდილობდნენ
ერთმანეთს დალაპარაკებოდნენ.

გვერდით მაგიდასთან რამდენიმე ქალი და ერთი კაცი იჯდა, ვერ გაიგებ-
დით ვინ იყვნენ. კაცი უფრო მდივნის ტიპი იყო, ახალგაზრდა, სახეზე ღი-
მილი ეფინა, თავაზიანი მიხრა-მოხრა ჰქონდა და სულ იმის ცდაში იყო, ვის-
თვის რა ესიამოვნებინა; ქალები ბევრნი იყვნენ, ოცამდე მაინც, არც ახალგაზ-
რდები ეთქმოდათ, არც ხანშესულები, რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნოდ-
ნენ, ამის მიხვედრაც ჭირდა. მაგრამ ერთი კი იყო, სუყველა რალაცნაირად და-
ახლოებულები ჩანდნენ, თითქოს უფრო მეტად, ვიდრე, ვთქვათ ცოლები,
ერთად რომ შეყრილან და სანამ ქმრები სათათბიროზე თათბირობენ, ამათ დრო
გაპყავთ; იმაზე უფრო ახლობლებიც ჩანდნენ, ტურისტულ ჯგუფში რომ არიან
ხოლმე.

ის იყო, რალაცა სასაცილო უნდა ეთქვა მათზე, რომ დიკმა უნებურად
ენას კბილი დააჭირა და ოფიციანტს სთხოვა, გაიგეთ, რა ხალხიაო.

„ესენი გმირების დედები არიან“, აუხსნა ოფიციანტმა.

სამთავემ ხმადაბლა ამოიოხრა. როზმერის თვალეზზე ცრემლები მოადგა.

„უფრო ახალგაზრდები, ალბათ ცოლები არიან“, თქვა ნიკოლმა.

თავის ღვინის ბოკალში ისევ გახედა მათ დიკმა. იმათ კეთილ სახეებში და
დიდ სიმშვიდეში, გარშემო ყველას რომ ედებოდა, დიკმა ძველი ამერიკის
ღირსება დაინახა. თავიანთი მკვდრების დასატირებლად, იმის საწუხარად, რა-
საც ვერაფერს უშველიდნენ, შორიდან მოსული ქალების აქ ყოფნა იქაურობას
ამაღლებულს და მშვენიერს ხდიდა. იმ წამით დიკი ბავშვობას დაუბრუნდა
მამის მუხლზე შემომჯდარიყო და აჩუ-აჩუს გაიძახოდა, ირგვლივ კი დულდა
ძველი ვნებები, თავდადება და მისწრაფებები. თავს ძალა დაატანა, რომ თან-
მხლებ ქალებს დაბრუნებოდა, შეეხედა მთელ იმ ახალ სამყაროსათვის, რომელ-
საც იგი მინდობოდა.

...ხომ არ გეწყინებათ, ფარდას თუ ჩამოვუშვებ?..

XXIII

ეიბ ნორთი ისევ ოტელ „რიტის“ ბარში იყო, დილის ცხრიდან აქ ჩაჯდა.
თავშესაფრის ძებნაში ოტელს რომ მიადგა, ყველა ფანჯარა გაეღოთ და დიდუ-
ბულ სხივებს ამოჰქონდა იმდენი მტვერი გაკვამლული ხალიჩებიდან თუ
სავარძლებიდან. Chasseurs ქარივით დაქროდნენ დერეფნებში, გეგო-
ნება უსხეულონი არიან, ეს-ეს არის დედამიწას მოსცილდნენ და სივრცეში მი-
დი-მოდიანო. მთავარი ბარის წინ მეორე ბარი იყო, ქალებისთვის, ერთი ბევს
ჩანდა, გაგიკვირდებოდათ, რანაირად იტევდა ამ ხალხს შუადღის მერე.

თავად ცნობილი პოლი, კონცესიონერი, ჯერ არ მოსულიყო, მაგრამ კლოდ-მა, ჯერ უადგილო გაკვირვებით აიხედა და მერე მოსცილდა საქმეს, რომ ეიბ-ისთვის აპერიტივი მოემზადებინა. ეიბი კედელთან ახლო, მერხზე ჩამოჯდა, ორჯერ გადაკრა და უკეთ იგრძნო თავი, ბევრად უკეთ, ისე, რომ, დაბრუნდებოდა, როშიც კი აეიდა და გაიპარსა. ბარში რომ დაბრუნდა, პოლი უკვე იქ იყო, თავისი ახალი მანქანა კაპუცინების ბულვარზე დაეყენებინა მოხერხებულად. პოლს მოსწონდა ეიბი, გვერდით მიუჯდა და საუბარი გაუბა.

„ამ დილას შტატებში უნდა წავსულიყავი“, თქვა ეიბმა, „არა, დღეს არა, გუშინ დილას, თუ — როგორც არის“.

„მერე, რად გადაიფიქრეთ?“ ჰკითხა პოლმა.

ეიბი ჩაფიქრდა და ბოლოს მიხეზი გამოძებნა: „რომანს ვკითხულობდი, „ლიბერტიში“ იბეჭდება გაგრძელებებით. შემდეგი საცაა გამოვა პარიზში და გამოძრჩებოდა, როდისღა წამეკითხა თუ წავიდოდი“.

„ეტყობა საინტერესოა“.

„საშშ-ში-ინლად“.

პოლი წამოდგა, ჩაიკინა და სკამის ზურგს დაეყრდნო.

„მისტერ ნორთ, თუ თქვენ მართლა გინდათ წასვლა, ხვალ ორი თქვენი მეგობარი მიემგზავრება „საფრანგეთით“. სლიმ პირსონი და მისტერ — რა გვარია, მისტერ — ახლავე გავიხსენებ — მალალი, ამას წინათ წვერი მოუშვა“.

„იარდლი“, მიეშველა ეიბი.

„მისტერ იარდლი, ორივე „საფრანგეთით“ მიდიან“.

პოლმა დააპირა თავის საქმეს მიბრუნებოდა, მაგრამ ეიბმა სცადა ცოტა ხანს კიდევ შეეყოვნებინა.

„მე შერბურის გავლით უნდა წავიდე, ჩემი ბარგი ამ გზით წაიღეს“.

„ბარგს ნიუ-იორკში მიიღებთ“, უთხრა მიმავალმა პოლმა.

ამ შენიშვნის ლოგიკურობას ეიბი მაშინვე ვერ ჩასწვდა, მაგრამ გაუხარდა, რომ ეიბმა ფიქრობდა და ხრუნავდა მასზე, ან უფრო, გაუხარდა, რომ ჯერჯერობით კიდევ შეეძლო არც არაფერზე არ ეზრუნა.

ამასობაში ბარში ხალხი მატულობდა. პირველი მალალი დანიელი მოვიდა, რომელსაც ეიბი ადრე სხვაგანაც შეხვედროდა. დანიელმა მოპირდაპირე კედელთან ამოიჩია ადგილი და ეიბი მიხედა, მთელ დღეს იქ გაატარებდა, დალევდა, ისაუბრებდა, გაზეთებს წაიკითხავდა, ანდა სულაც ვინმეს გამოელაპარაკებოდა. ეიბს უცებ მოუნდა იმაზე დიდხანს მჯდარიყო აქ. თერთმეტ საათზე კოლეჯის ბიჭებმა შემოიარეს, ერთიმეორის მიყოლებით შემოდდიოდნენ; დაახლოებით ამ დროს იყო, რომ ეიბმა *chasseur*-ს სთხოვა, ტელეფონით დაივერებთან დაეკავშირებინა; მაგრამ სანამ მათ დაუკავშირდებოდა, ეიბს სხვა, ახალი მეგობრები გამოუჩნდნენ, გადაწყვიტა ისინიც ჩაერთო ლაპარაკში და ამის გამო იყო, რომ კაცი ვერ გაიგებდა. ეიბი და რას გაიძახოდა ტელეფონში. დროდადრო ეიბის გონებაში წამოტივტივდებოდა ფაქტი, რომ უნდა ამდგარიყო და წასულიყო, და ციხიდან ფრიმენი გამოეყვანა, მაგრამ ყველანაირ ფაქტს თავიდან ღამის კოშმარით იშორებდა.

პირველი საათისთვის ბარი უკვე სავსე იყო. არეულ ხმებსა და ხმაურში ოფიციანტები თავიანთ საქმეს აკეთებდნენ, თავიანთ კლიენტებს გასაგები ენით აკვებინებდნენ, რამდენი დაელიათ და რა უნდა გადაეხადათ.

„ასე, ორი ვისკი... და კიდევ ერთი... ორი მარტინი და მერე ერთიც...“

თქვენთვის არაფერი აგიღიათ, მისტერ ქუოტერლი... ესე იგი, ორჯერ სამ-ბაში. თქვენგან სულ სამოცდათხუთმეტი ფრანკი, მისტერ ქუოტერლი. მისტერ შეფერი ამბობს, რომ მეტი არაფერი შეუკვეთია — ბოლოს მხოლოდ ვისკი მარგართვით... ჩემი საქმეა შევასრულო, რასაც მომთხოვთ... უღრმესი მადლობაა“.

აურზაურსა და ღრიანცელში ეიბი უადგილოდ დარჩა და ახლა ფეხზე იდგა, ბარბაცებდა და თავის ახალ ნაცნობებს ელაპარაკებოდა. ვილაცის ფოქსტერიერი თასმით გამოედო და ფეხებში ებლანდებოდა, მაგრამ ეიბმა მოახერხა და მოიცილა, ისე რომ არც არაფერი გადაუყირაუებია და ვილაცამ რომ ერთი ათჯერ ბოდიში მოიხადა, იმასაც მოჴსმინა. მერე ლანჩზე მიიწვიეს, მაგრამ იუარა, საცაა უკვე ბრიგლითია, აუხსნა ეიბმა, და ბრიგლითზე რაღაც საქმე მაქვსო. ცოტა ხნის მერე მეტად თავაზიანად, იმ მანერით, ალკოპოლიკებს დროთა ვითარებაში რომ უჩნდებათ ხოლმე, და ძალიანა ჰგავს პატიმრისა თუ ძველი მსახურის მანერებს — თავი დაუკრა ყველას და შეტრიალდა: „შეამჩნია, რომ ციებ-ცხელება ბარში ისევე ჩქარა ჩამჭრალიყო, როგორც დაიწყო-“

მოპირდაპირე მხარეს დანიელი თანამეინაბეებთან ერთად საუზმობდა. ეიბმაც შეუკვეთა საუზმე, მაგრამ პირი თითქმის არ დაუკარებია, თავისთვის იჯდა მხოლოდ და ლამის ნეტარებით განიცდიდა წარსულს. დეინო თავისას აკეთებდა, გარდასული ბედნიერი დღეები და მოგონებები გაუახლდა, ახლანდელს შეერია, თითქოს იგივე ხდებოდა და უფრო მეტიც, მერმისსაც ედებოდა, თითქოსდა მერეც ისევე ისევე იქნებოდა.

ოთხ საათზე chasseur მიუახლოვდა ეიბს.

„ერთი კაცი გკითხულობთ, ფერადია, გვარად პიტერსონი, თიულ პიტერსონი“.

„ღმერთო ჩემო! რანაირად მომნახა?“

„მე არ მითქვამს, რომ აქა ბრძანდებით“.

„საიდან გაიგო?“ ეიბი შექანდა, კინალამ ჰურჭელს დაემხო ზედ მაგიდაზე, მაგრამ თავს მოერია და გასწორდა.

„უთხარით, რომ აქ არა ვარ...“ ის იყო chasseur უკვე წასასვლელად გამართა, რომ ეიბმა, ეტყობა, გადაიფიქრა და ჰკითხა:

„აქ შემოუშვებენ?“

„ახლავე გავიგებ“.

Chasseur პოლს მიუახლოვდა და შეეკითხა, პოლმა მიიხედ-მოიხედა, თავი გააქნია, მერე ეიბი დაინახა და თვითონ გამოემართა მისკენ.

„ბოდიშს ვიხდი, მისტერ ნორთ, მაგრამ ნებას ვერ დავრთავ“.

ეიბმა ძლივს აიტანა ტანი, წამოდგა და Rue Cambon-ზე გავიდა.

XXIV

თავისი პატარა ტყავის პორტფელით ხელში, რიჩარდ დაივერი მეშვიდე უბნის კომისარიატიდან გამოვიდა, მარია უოლისს ბარათი დაუტოვა, ქვეშ „დიკოლი“ მიაწერა, როგორც თვითონ და ნიკოლი აწერდნენ ხოლმე თავიანთი სიყვარულის პირველ ხანებში მეგობრებისადმი გაგზავნილ წერილებს, და პერანგების ატელიეში გაეშურა. დიკის იქ მისვლისას ერთი ფაცაფუცი

18247

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. საზ. რესპუბ. უმაღლესი საბჭო

შეიქნებოდა ხოლმე, თითქმის არაპროპორციული იმ ფულისა, რასაც დიკი უხდიდა მათ და რცხვენოდა ამის გამო. ეჩვენებოდა, რომ ამ დროს ინგლისელებს აბნევდა თავისი დახვეწილი მანერებით, შეცდომაში შეჰყავდა თავისი ისეთი თავდაპირველი, გეგონება ამ უზრუნველი ცხოველების გასაღები ამას ეგდო ხელთ, იმისაც რცხვენოდა, მკერავს თუ ეტყობა, აბრეშუმის აახელო სულ ონდავ ასწიეთო. იქიდან დიკი ოტელ „კრიიონის“ ბარში შევიდა და ყავა და ცოტა ჯინი დალია.

ოტელის ვესტიბიულში შესულს, ძალიან განათებული ეჩვენა იქაურობა და გაუკვირდა: გარეთ გამოსვლისას მიხვდა, უკვე საღამოვდებოდა და იმიტომაც ჩანდა ისე. ქარი ღრუბელ-ნისლს მიერეკებოდა, ოთხ საათზე თითქმის შედამდა, ელისეს მინდვრებზე ტრიალ-ტრიალით სწყდებოდა ფოთლები ხევებს და არეულად, აქა-იქ ეყრებოდა მიწას. Rue de Rivoli-ზე თავის ბანკში მისასვლელად, რომ იქ ფოსტისთვის მიეკითხა, დიკმა ორი კვარტალი ფეხით გაიარა, მერე ტაქსი გააჩერა და ელისეს მინდვრების გავლით ოტელისკენ წავიდა. წვიმა წამოვიდა. რახარუხით ეცემოდა სახურავს, მარტო იჯდა სიბნელეში, თავის სიყვარულთან ერთად.

ორი საათის წინათ ოტელ „Roi George“-ის დერეფანში როზმერისა და ნიკოლის სილამაზე ილუსტრაციების ქალიშვილისა და ლეონარდოს ქალის სილამაზეს შეედრებოდა. მანქანიდან გაჰყურებდა ელისეს წვიმიან მინდვრებს, დაღვრემილი და შეშფოთებული, თითქოს რამდენიმე სხვადასხვა კაცის ვნებებით მოცული და, გამოსაველსა და მარტივ გზას ვერ ხედავდა.

როზმერიმ თავისი ოთახის კარი გააღო, რომ იტყვიან, ნერვები „დაგლეჯაზე“ ჰქონდა ახლა — დღე-ღამე გავიდა და თავი ვერაფერს მოაბა. მაგრამ ეს სხვამ არაფერ, თვითონ იცოდა მხოლოდ—ფიქრი აერია, სურათ-გამოცანასავით იყო ყველაფერი, ცალ-ცალკე მიყრილი ვერ აეწყო და ვერ გაემთლიანებინა და იმ მიყრილი სურათებივით მიითვლიდა წარმატებებსა და იმედებს, ერთ ძაფზე ასხამდა მძივებივით დიკს, ნიკოლს, თავის დედას, გუშინდელ რეჟისორს „Films Par Excellence“-დან და კრიალოსანივით მარცვლავდა.

კარზე დიკმა რომ დააკაკუნა, როზმერის ის იყო, ჩაეცვა და სარკმლიდან წვიმას უყურებდა. რომელიღაც ლექსის სტრიქონებს იხსენებდა და თვალწინ ბევერლი-ჰილზის ნიაღვრებიანი არხები ედგა. კარი გააღო და დიკი დაინახა, ჩამოსხმული, ღვთაებრივი, მარადიული და შეუცვლელი, როგორც ყოველთვის ეჩვენებათ ხოლმე უმცროსებს უფროსები. დიკს კი უნებლიედ ცოტათი იმედი გაუცრუვდა როზმერის პირველ დანახვაზე. მეორე წუთში კი ისევ მოაჯადოვა მისი ღიმილის უმწეო მშვენიერებამ, ზუსტად შექმნილი მისი სხეულის სილამაზემ, კოკორს რომ ჰგავდა, სულ მალე კი ყვავილივით გაიშლებოდა. სააბაზანო. ღია კარიდან იმისი სველი ნატერფალი ნოხი მოჩანდა.

„მისს ტელევიზია“, ხუმრობის კილოთი, რაც ასე არ ეხამებოდა გუნებას ახლა, ისე თქვა დიკმა. პორტფელი და ხელთათმანები ტუალეტის მაგიდაზე დადო, ხელჯოხი კედელთან მიაყუდა. ნიკაპი თითქოს ჯიუტად იგერიებდა დარდის ნაოჭებს, ბაგის გარშემო დალაგების საშუალებას არ აძლევ-

და, ზევით, შუბლისკენ, საფეთქლებისკენ ერეკებოდა, იმ მომსახურე სხვამ არაფერს შეამჩნაოსო.

„მოდით აქ, მუხლზე დამიჯექით“, აღერსით უთხრა. „აქვე უნდა იქნებოდეს პატარა ბავშვი“.

როზმერიმ გაუგონა, აარკმელს იქით წვიმის ხმაური ნელ-ნელა მიწყდა, წკაპ-წკაპ-აპ. ტუჩები თავისი წარმოსახვით შექმნილ მშვენიერ, ცივ სახეს მიაღო.

მერე თვითონ კოცნიდა დიკს, უცბად, ჩქარ-ჩქარა და დიკს ისევ და ისევ აოცებდა როზმერის კანი — აბრეშუმის; არც არაფერი უნახავა ასეთი თვალისმომჭრელი. მაგრამ სილამაზის ერთი თვისება ისიც არის, რომ გამოავლენს, რაც რამ კარგია ამ სილამაზით მოხიბლულ კაცში: შესაძლოა ამიტომაც ფიქრობდა ახლა დიკი ნიკოლზე, იმაზე, რომ დერეფანში სულ რაღაც ორი კარის იქით იყო იგი, თავის მოვალეობაზე ფიქრობდა დიკი.

„წვიმამ გადაიღო“, თქვა მან. „სახურავენს შეხედეთ, უკვე მზე დანათის“. როზმერი წამოდგა, დიკისკენ დაიხარა:

„რა მსახიობები ვართ! ორივე — მეც და თქვენც“. ყველაზე გულწრფელი რამ, რაც კი დიკისთვის ეთქვა.

როზმერი პატარა მაგიდასთან მივიდა და როგორც კი სავარცხელს დასწვდა, კაკუნი გაისმა კარზე, ხმადაბლა, მაგრამ დაყინებით აკაკუნებდნენ.

ორთავე ადგილზე გაშეშდა: კაკუნი გამეორდა და ახლა უფრო ხმამაღლადაც. როზმერიმ უცვებ გაიახრა, რომ კარი ჩაკეტილი არ იყო, სწრაფად გადაისვა თმაზე სავარცხელი, თავი დაუქნია დიკს, უკვე რომ მოესწრო გადასაფარებლის გასწორება საწოლზე, იქ, სადაც ისხდნენ, და კარის გამოსაღებად გაემართა. დიკმა მშვიდად და ბუნებრივად თქვა, არცთუ ხმამაღლა:

„...ჰო, თუ მაინცდამაინც არსად გინდათ წასვლა, ვეტყვი ნიკოლს და ამ საღამოს ძალიან წყნარად, შინაურულად გავატარებთ“.

ტყუილუბრალო სიფრთხილე იყო, რადგან ისინი, ვინც კართან იდგნენ, იმდენად მოეცვა საკუთარ საზრუნავს, რომ უბრალოდ, ვერც კი შეამჩნევდნენ იმას, რაც ახლა იმათ არ ეხებოდა. კართან იდგნენ ეიბი, ერთ დღე-ღამეში რამდენიმე თვით რომ დაბერებულ იყო, და საშუალო ტანის შავკანიანი, ნალკლიანი და შეშინებული კაცი. ეიბმა გააცნო, მისტერ პიტერსონი სტოკჰოლმიდანო.

„საშინელ დღეშია ჩავარდნილი და ჩემი ბრალია“, თქვა ეიბმა. „იქნება კარგი რჩევა მოგვცეთ“.

„ჩვენთან წავიდეთ“, უთხრა დიკმა.

ეიბმა დაყინებით მოითხოვა, რომ როზმერიც გაჰყოლოდათ და ყველანი დაივებოდნენ, ოთახებისკენ გაემართნენ: ეიულ პიტერსონი, დანჯი და თავაზიანი ზანგი, თავისი ადგილი რომ იცოდა, სასახლეში შტატების რესპუბლიკელთა მომხრე, უკან მიჰყვებოდა.

როგორც გამოირკვა, პიტერსონი შემთხვევითი მოწმე ყოფილა იმ ჩხუბისა, მონპარნასის ერთ-ერთ ბისტროში რომ ატყდა; ეიბს უარი არ უთხრა, პოლიციაში წაჰყვა და ოფიციალური ჩვენება მისცა, დავინახე, ვილაც ზანგმა როგორ გამოსტაცა ხელიდან ეიბს ათასფრანკიანიო. საჭირო იყო ზანგის პიროვნების დადგენა. ეიბი და ეიულ პიტერსონი პოლიციელთან ერთად ბისტროში დაბრუნდნენ და იქ თითქოს შეიცნეს კრიმინალი, მაგრამ ერთ საათსაც არ გაეულო და გამოირკვა, რომ ის ექვმიტანილი ზანგი ბისტროში ეიბის წასვ-

ღის მერე მასულიყო, პოლიციამ უფრო აურ-დაურია საქმე, როცა ცნობილი ზანგა რესტორატორი ფრანკი დააპატიმრა, ფრანკი ბისტროში ცოტა ხნით შესულა და თანაც ძალიან ადრე, სანამ იქ ალკოჰოლური ბურუსი ჩამოწვებოდა. ნამდვილი დამნაშავე კი, ვისი ქვეგობრივ საერთოდ ამტკიცებდნენ მხოლოდ ორმოცდაათი ფრანკი გამოარტყვა, რომ იმ სასმელისთვის მძლავრად, კიბმა მთელი კომპანიისთვის რომ მოითხოვაო — სულ ცოტა ხნის წინ გამოჩნდა და თანაც, საკმაოდ ავისმომასწავებელ რაღში.

ერთი სიტყვით, რაღაც ერთ საათში ეიბმა მოახერხა და თავი ჩაიგდო ლათინური კვარტალის ერთი ავტო-ვეროპული და სამი აფრო-ამერიკული ბინადრის ცხოვრების, სინდისისა და ვნებების რთულსა და ერთმანეთში გადახლართულ ამბებში და რანაირად, რა გზით დაეღწია თავი აქედან, ვერ მოესაზრებინა. ჯერჯერობით მთელი დღე იმაში გავიდა მხოლოდ, რომ საითაც არ უნდა გაეხედა, თითქმის ყველგან ზანგებს ხედავდა. უცნობი ზანგების სახეები მოულოდნელად, სადაც არ ელოდა, იმ ადგილებშიც გამოჩნდებოდნენ, ზანგების დაფინებული ხმები არ ასვენებდა ტელეფონში და გულს უწყალებდა.

მაინც მოახერხა და ყველა აიცდინა, გარდა ერთ პიტერსონისა. პიტერსონი იმ თანამგროსობი და მეგობარი ინდიელის მდგომარეობაში აღმოჩნდა, თეთრ კაცს შემწედ და მშველელად რომ მოეგონა და მის მხარეზე დადგა. მთელ ამ ამბავში დახარალებული ზანგები ახლა იმდენად ეიბს არ დასდევდნენ, რამდენადაც პიტერსონს, რადგან მოლაღატედ თვლიდნენ, პიტერსონი კი ეიბს არ სცილდებოდა, მისგან ელოდა მფარველობასა და შველას.

პიტერსონს სტოკჰოლმში ვაქსის პატარა ფაბრიკა ჰქონდა, მაგრამ გაკოტრდა და მთელ მის ქონებას ახლა ხის ყუთში ჩატეული ზუმბურხეთის რეცეპტი და პორტატიული მანუფაქტურა შეადგენდა, თუმცა მისი ახალგაზოგნილი მფარველი დღეს დილას შეჰპირდა, ვერსალში გიშოვითო ერთ საქმეს — იქ ცხოვრობდა ეიბის ყოფილი მძღოლი. ამჟამად მეწაღე. ეიბმა უკვე ისიც მოასწრო, რომ მომავალი შემოსავლის ანგარიშში პიტერსონისთვის ორასი ფრანკი მიეცა.

როზმერი ისმენდა ამ მიეთმოეთს, რისი გროტესკულობის აღქმასაც უფრო ხალი იუმორი სჭაროდა და ეს მას არ გააჩნდა. შავკანიანი პატარა კაცი თავისი პორტატიული მანუფაქტურით, აცაბაცა თვალებით, დროდადრო შიშით ისე რომ გადაუტრიალდებოდა ხოლმე, რომ მხოლოდ თეთრი გარსის წრეები უჩანდა, ეიბის ფიგურა და მშვენიერი თხელი ნაკვთები, ოღონდ ახლა შეშუპებული, — ეს ყველაფერი რაღაც სხეულებასავით შორეული იყო მისთვის.

„მომეცით შანსი, მე მეტს არაფერს გთხოვთ“, ამბობდა პიტერსონი იმ არაბუნებრივი და შერეული ინტონაციით, კოლონიურ ქვეყნებში რომ ლაპარაკობენ. „ჩემი მეთოდი უბრალოა, ჩემი რეცეპტი — იმდენად კარგი, რომ გამალატაკეს, სტოკჰოლმიდან გამომამევეს, რაკი არ დავთანხმდი და არ ვამხილე“.

ღიკი ყურადღებით შექცევროდა. დაინტერესდა კიდევაც, მაგრამ მაშინვე გაუქრა ინტერესი, ეიბს მიუბრუნდა:

„სხვა ოტელში წადით, დაწექით და დაიძინეთ. როცა გამოიძინებთ, მისტერ პიტერსონი იქ მოვა და მოილაპარაკებთ“.

„მაგრამ გესმით თუ არა, რა ხათაბალაში ჩავარდა პიტერსონი?“ ჩააცივდა ეიბი.

„მე ჰოლში ჩავალ და იქ დავიცდი“, დელიკატურად თქვა პიტერსონმა ჩექნებ უხერხულიც კია ჩემი თანდასწრებით იმ საქმეზე ლაპარაკი, მე რომ მეჩხება“.

ვითომდა ფრანგულ მანერაზე, რაც პაროდის უფრო ჰგავდა, მისი უკრა ყველას და ოთახიდან გავიდა. ეიბი ორთქლშავალივით მძიმედ ათხრა ადგილიდან და ფეხზე დადგა.

„ეტყობა, დღეს მაინცდამაინც ვერ ვიწვევ თანაგრძნობას“.

„თანაგრძნობას კი შექებას ვერა“, მიუგო დიკმა. „მე წასვლას გირჩევთ ოტელიდან, თუნდაც ბარის გავლით, რა გზითაც გინდათ, მიდით „შამპორში“ ან, თუ გინდათ უკეთ მოგემსახურონ -- „მაჟესტიკში“.“

„დასალევი რომ გთხოვოთ რამე, გეწყინებათ?“

„აქ არაფერს ვინახავთ“, იცრუა დიკმა.

ეიბი მორჩილად მივიდა როზმერისთან, სახე ცოტათი დაიმშვიდა, დიდხანს ართმევდა ხელს, ტუჩები უთრთოდა და უჭირდა რაიმეს თქმა, სიტყვებს ვერ უყრიდა თავს.

„თქვენ ყველაზე — ერთ-ერთი ყველაზე...“

როზმერია შეეცოდა და ცოტა ზიზლიც კი იგრძნო ჭუჭყიანი ხელის შეხებისას, მაგრამ ისე გულლიად იღიმებოდა, თითქოს მისთვის აქ უჩვეულო არა იყო რა და ასეთ კაცს, სიზმარულ რომ ჰგავდა, ყოველდღე ხედავდა. ხშირად მთვრალ კაცს საკვირველი პატივისცემით ვეჭყევით ხოლმე, ისე, გიჟებს რომ ეჭყევიან ზოგიერთები, შიშით კი არა, უფრო რიდით. არის რაღაცა იმ კაცში, ვინც თავის თავს ველარ ერევა და ყველაფერზე მიდის, რაღაც, რაც რიდსა და მოკრძალებულ შიშს გვინერგავს: მერე და მერე, რა თქმა უნდა, არ შევარჩენთ და ვაზღვევინებთ ხოლმე ამ უპირატესობას.

ეიბი დიკს მიუბრუნდა, ერთხელაც სცადა თავი შეეცოდებინა, გული მოეღობო.

„კარგი, თუ ოტელში წავალ, დავიბან, დავიფარცხნი, გავიწმინდები და გამოვიანებ, თავიდან მოვიშორებ ამ სენეგალელებს — შეიძლება აქ მოვიდე და სილამოთი ბუხარს მივუჯდე?“

დიკმა თავი დაუქნია, იმდენად თანხმობის ნიშნად არა, რამდენადაც ქირდვით და მიუგო: „მე მგონია, აჭარბებთ, ეიბ, ამდენი კი არ შეგიძლიათ“.

„ნიკოლი რომ აქ იყოს, ვიცი, უბრალოდ იტყოდა, მოდიოთ“.

„ჰოდა, მოდიოთ“. დიკმა ლანგრით დიდი ყუთი მოიტანა და ოთახის შუაში, მაგიდაზე დადო: ყუთი სავსე იყო მუყაოს ასოებით. „შეგიძლიათ მოხვიდეთ და ანაგრამები ვითამაშოთ“.

ეიბმა ყუთს აშკარა ზიზლით დახედა. გეგონება, შიგთავსი შვრიის ფაფად, საჭმელად შესთავაზესო.

„რა ანაგრამებია? დღესდღეობით მეყოფა, რაც კი...“

„ეს უვნებელი თამაშია, ასოებიდან რა სიტყვასაც გინდათ, იმას შეადგენთ, „ალკოპოლის“ გარდა“.

„ალკოპოლის“ შედგენაც კარვად შეიძლება ალბათ“. ეიბმა მუყაოს ასოებით სავსე ყუთისკენ წაიღო ხელი. „შეიძლება დავბრუნდე, და სიტყვა „ალკოპოლი“ შევადგინო?“

„მოდით, თუ ანაგრამების თამაში გინდათ“.

ეიბმა მორჩილად დაიქნია თავი.

„რას იზამ, თუ ასე ფიქრობთ — ჯობია არ მოვიდე“. ყველაფრით დაუქ-
ნია დიკს თითი. „ოღონდ, გახსოვდეთ, რა თქვა გეორგ მენამემ: „გრანტი თუ
დათვრა, მე ვისურვებდი სხვა გენერლები დაკბინოსო“.

კიდევ ერთხელ გახედა ირიბად როზმერიის თავისი მთავარი თვალებით და გავიდა. შვება იგრძნო, პიტერსონი რომ არ... მისი თვალები ფანში.
მიუსაფარი, დაკარგული ეგონა თავი, იხვე „რიტცისკენ“ გაემართა, რომ პო-
ლისთვის კარგად ეკითხა, რა ერქვა იმ გემს.

X X V

როგორც კი ტორტმანით მიმავალი ეიბის ნაბიჯი მინელდა, დიკი და როზ-
მერი უმაღლესად გადაეხვივნენ, პარიზის მტვერი ედოთ, მაგრამ ამ მტვერშიც კარგად
გრძნობდნენ ერთმანეთს: დიკის კალამი, იმისი რეზინის სარქველის სუნის, როზ-
მერის კისრისა და მხრების სითბოს სურნელება. ერთ წუთს მაინც არაფერზე
ფიქრობდა დიკი, როზმერი პირველი დაუბრუნდა რეალობას.

„ჩემი წასვლის დროა, ჭაბუკო,“ თქვა მან.

ერთმანეთს დაბნეულები შეჰყურებდნენ, როზმერის თვალი არ მოუშო-
რებია, ისე იხევდა უკან-უკან და ბოლოს კარში გაუჩინარდა, ასე წასვლა ჯერ
კიდევ თავისი კარიერის დასაწყისში ისწავლა და არც ერთ რეჟისორს არ უც-
ნია მოეშლევინებინა მისთვის ეს ჩვევა.

თავისი ოთახის კარი შეაღო თუ არა, მაშინვე მაგიდისკენ გაემართა. აბ-
სოვდა, საათი დარჩა, იქვე იდო: აილო, სამაჯურს ირგებდა ხელზე და თან დე-
დისთვის გასაგზავნად დაუმთავრებელ წერილს მოავლო თვალი, ფიქრში ბოლო
ფრაზებს უყრიდა თავს, და ამ დროს ნელ-ნელა, თანდათან, ისე, რომ არც გაუ-
ხედავს, იგრძნო, ოთახში მარტო არ იყო.

ისეთი ნივთები, შეუმჩნევლად რომ ირეკლავენ, მრავლად არის საცხოვ-
რისებში: პრილა ხე, ასე თუ ისე გაკრიალებული თითბერი, ვერცხლი და სპი-
ლოს ძვალი და შეუქრდილის ათასი სხვა წყარო, რასაც ძლივს ვამჩნევთ და
არც ვფიქრობთ მათზე, სურათის ჩარჩოს წახნაგი, ფანქრის წვერი, საფერფლის
კიდე, ბროლისა თუ ფაიფურის ორნამენტის ცალი მხარე, და ეს ყველაფერი
მოქმედებს ხოლმე მხედველობის მეტად სათუთ და მგრძობიარე მონაკვეთზე,
ქვეცნობიერების იმ ასოციაციურ ცენტრებზე, რაც აღქმას ასე არეგულირებს,
ისევე, როგორც ვთქვით. ჭოგრში ხრახნის მოტრიალება გვეხმარება დაინა-
ხოთ ის, რასაც კარგად ვერა ვხედავთ. უთუოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ
როზმერიმ მანამდე „შეიგრძნო“ ოთახში ვიღაცის არსებობა, სანამ ეს შეგრ-
ძნება ახრად ექცეოდა. მაგრამ, გაიაზრა თუ არა, მაშინვე მკვეთრად, ლამის ბა-
ლერინასავით შეტრიალდა და დაინახა — მის საწოლზე მკედარი ზანგი ეგდო.

„ააჰჰ“, ზარდაცემულმა შეჰყვირა: წამით მოეჩვენა, რომ ეიბი იყო, რაც
აზრს არ იყო მოკლებული, საათი სამაჯურიტურთ მაგიდაზე დააგდო და შეშ-
ლილივით გავარდა ოთახიდან.

დიკი რაღაცებს ალაგებდა: იმდღევანდელი ხელთათმანები შეათვალიერა
და ჩანთებთან, გროვად დაყრილ ხელთათმანებზე მიავდო. პიჯაკი და ქილეტი უკ-
ვე საკიდზე ეკიდა კარადაში, ცალკე საკიდზე პერანგი ჩამოჰკიდა თავის მე-
თადით — „შეიძლება მთლად ახალთახალი არ იყოს, მაგრამ დაქმუქნილი პე-

რანგი არ უნდა ჩაიცვა კაცმა“. ნიკოლი უკვე შინ იყო და ეიბის საფერფლიდან — ეიბი რალს აღარ ხმარობდა ხოლმე ნამწვავს ყრიდა და ამ დროს ოთახში როზმერი შემოვიარდა

ნაგვის
საფერფლად
ერქვენი
ბიზნიმისეკა

„დიკ! დიკ! ჩქარა, აქეთ!“

დიკი დერეფანში გავარდა, ოთახში შეიჭრა, ჩაიჩოქა და პიტერსონს გულზე მიადო ყური, მერე მაჯა გაუსინჯა — ჯერ არ გაცვიებულყო, სიცოცხლეში მორჩილი და შეშინებული სახე გაბროტებოდა და უხეში გახდომოდა, იღლიაში ის თავისი ყუთი ამოეჩარა და საწოლზე გადმოკიდებულ ფეხზე ლანჩაგაცვეთილი ფეხსაცმელი გასაწმენდი უჩანდა. საფრანგეთის კანონების მიხედვით, დიკს უფლება არა ჰქონდა სხეულს შეხებოდა, მაგრამ მაინც ოდნავ გასწია პიტერსონის ხელი, რომ კარგად დაენახა — მწვანე გადასაფარებელზე მუქად აჩნდა ლაქა, სიბლეს შეიძლება გაეგონა და საბანზე გადასულიყო.

დიკმა კარი ჩაკეტა, ცოტა ხანს გაჩერდა, რომ რამე მოეფიქრა. დერეფანში ვილაცის ფეხის ხმა გაიგონა, მერე ნიკოლის ხმა მოესმა, დიკს ეძახდა ოდნავ გამოაღო კარი და ჩურჩულით უთხრა:

„გადასაფარებელი და ერთი საბანი მოიტანე ჩემი საწოლიდან — ოღონდ, ფრთხილად, არავინ დაგინახოს“, და ნიკოლის სახეზე დაძაბულობა რომ შენიშნა, სწრაფად დაუმატა: „შენ არ აღელდე, ისეთი არაფერი მომხდარა, აქ უბრალოდ ყარაჩები წაეჩხუბნენ ერთმანეთს“.

„ჩქარა მოათავე ეგ საქმე“.

დიკმა საწოლიდან ასწია მსუბუქი, უჭმელობისაგან უძლური სხეული. ის ეჭირა, ჭრილობიდან სისხლი ტანსაცმელშიდა ჩავიდოდა. იატაკზე დააწვინა, საწოლს გადასაფარებელი და ზევითა საბანი ააძრო, კარებთან მივიდა, სულ ოდნავ გამოაღო და ყური მიუგდო — მოსახვევში, პოლთან ახლო ჭურჭლის წყარაწკური გაიმა და ვილაცამ მფარველური კილოთი ხმამაღლა თქვა — «merci, madame», მაგრამ ოფიციალტმა სხვა მხარეს, სათადარიგო კბისკენ გაუხვია.

დიკმა და ნიკოლმა კარიდან კარში სწრაფად გაცვალეს ფუთები: დიკმა როზმერის საწოლს სუფთა გადასაფარებელი გადააფარა და მთლად ოფელში გაღვრილი ოთახის შუაგულში გაჩერდა, რაღაცა მოიფიქრა და ყოყმანობდა. გვანის ვასინჯვის მერე მისთვის ორი რამ გახდა ცხადი. პირველი ის, რომ ეტყობა ეიბის მიმართ მტრულად რომ იყო, იმ ინდიელმა კვალი აიღო ეიბის მუკობარი ინდიელისა და დერეფანში უხელთა, და როცა საწარკვეთილი პიტერსონი თავის საშველად როზმერის ოთახში შევარდა, თან შეჰყვა და მოკლა; მეორე: თუ მოვლენებს ბუნებრივი მსვლელობა მოეცემოდა, ქვეყანაზე ვერაერთარი ძალა ვერ იხსნიდა როზმერის სკანდალისა და ლაქისაგან. მისი კონტრაქტი კი თავისთავად გულისხმობდა, რომ როზმერი ისევ ისეთ „მამიკოს გოგოდ“ უნდა დარჩენილიყო, გულუბრყვილო და უცოდველი.

თავისდა უნებური, საბელოების აკაპიწების ძველებური ეესტიით — თუმცა შიგნით უსახელოებო პერანგი ეცვა — დიკი დაიხარა, გვამს მხრებში მიაწვა, ფეხით გააღო კარი, რაც შეეძლო სწრაფად გაათრია დერეფანში და ისეთნაირად დააწვინა, თითქოსდა მართლა იქ მოეკლათ. მერე კვლავ როზმერის ოთახში შებრუნდა და ცალ მხარეს ხათაშლილი ნოხი საგულდაგულოდ გაასწორა. მხოლოდ ამის მერე დაბრუნდა თავის ოთახში, ტელეფონი აიღო და ოტელის მეპატრონესთან დამაკავშირეთო, ითხოვა.

„მაკბეთი ხართ? დოქტორი დაივერი გელაპარაკებათ — მკვლად საჭირო სიქმეა. ხომ არ შეიძლება ვინმე გვისმენდეს?“

კარგია, რომ არ დაეზარა და მისტერ მაკბეთთან აბლო ურთიერთობა გაა-
ბა. ერთხელ მაინც გამოადგეს, რომ ასე უხვად იხარჯებოდნენ. ~~მკვლად საჭირო~~ ყვე-
ლას...

„ჩვენი ოთახიდან გამოსვლისას მკვდარ ზანგს წავაწყდით... დერეფანში...
არა, არა, სამოქალაქოა. ერთ წუთს მოითმინეთ — გადავწყვიტე თქვენთვის
დამერეკა, მე მესმის, არ გინდათ, რომ ამ საბრთაულის სხვა ბინადრებიც წააწყ-
დნენ გვამს. ოღონდ, გთხოვთ, ჩემი სახელი არ ადა თქვათ. ცხადია, არ მინდა,
საფრანგეთის გაჭიანურებული პროცესის მსხვერპლი გაეხდე მხოლოდ იმი-
ტომ, რომ ეს კაცი ჯერ მე დაეინახე“.

რა ზრუნვაა ოტელის რეპუტაციაზე! ორი დღის წინათ მისტერ მაკბეთი
თვითონვე დარწმუნდა დოქტორ დაივერის ამ თვალემაში და ამიტომაც მიიღო
შემოთავაზებული ვერსია ულაპარაკოდ.

ერთი წუთის მერე მისტერ მაკბეთი უკვე ზევით იყო, ხოლო კიდევ ერთი
წუთის მერე ჟანდარმიც მოვიდა. ამასობაში მაკბეთმა მოასწრო და დიკს წა-
ჩურჩულა: „თქვენ მშვიდად იყავით, ჩვენი ოტელის ვერც ერთი სტუმრის სა-
ხელს ეგრე იოლად ვერ ასხენებენ. ვერ წარმოიდგენთ, რა მადლიერი ვარ თქვე-
ნი, რომ ასე შეწყუბდით“.

მისტერ მაკბეთმა დაუყოვნებლივ მიიღო რაღაც ძნელმისახვედრი ზომები,
რამაც ჟანდარმზე ისე იმოქმედა, რომ აწრიალებული და გაცოფებული, მეტი
რომ ველარა აწამა რა, ხარბად მოჰყვა ულვაშების წიწკნას, ზერელედ რაღაც
ჩაიწერა და ტელეფონით თავის უბან- დაუკავშირდა. ამასობაში, იმ სიმარჯ-
ვითა და მოხერხებულობით, როგორც ბიზნესმენი, თვითონ პიტერსონიც კი
რომ დააფასებდა, ნეშტი მსოფლიოს ერთ-ერთი ფუშენებელური ოტელის სხვი,
ოღვისუფალ აპარტამენტში გადაიტახეს.

დიკი თავია აპარტამენტში დაბრუნდა.

„რა ხდება?“ წამოიძახა როზმერიმ. „როგორ ექცევიან ერთმანეთს ამე-
რიკელები პარიზში, ერთთავად ისერიან?“

„ეტყობა, ნადირობის სენზონია“. მიუგო დიკმა. „ნიკოლი სად არის?“

„ალბათ სააბაზანოში“.

როზმერი აღმერთებდა დიკს, ამან გადაარჩინა — თითქოს დაინახა ის უბე-
დურება, ეს ამბავი რომ დაატეხდა თავს; ფიქრში თავს ევლებოდა, თაყვანს სცემ-
და, უსმენდა იმის ძლიერ და მშვიდ ხმას, ყველაფერი მოაგვარა, მოაწესრიგა.
სულითაც და სხეულითაც მას მივლტვოდა, უნდოდა გადახვეოდა, მაგრამ ამ
დროს სხვა რაღაცამ მიიპყრო დიკის ყურადღება: საწოლი ოთახის კარი შეაღო
და სააბაზანოსკენ წავიდა, მაშინ როზმერიმაც გაიგონა — არეული, არაადა-
მიანური ყვირილი აღწევდა კარის ზვრელიდან, კლიტის კუჭრუტანებიდან,
ძლიერდებოდა, თანდათან უფრო საშინელი ხდებოდა ის ხმა.

ჯერ თავში ის აზრი მოუვიდა, რომ ნიკოლი აბაზანაში დავარდა და რა-
ღაც დაუშავდა; დიკს უკან მიჰყვა, მაგრამ სანამ დიკი მხრით უხეშად შეაჩე-
რებდა და კარს მოუხურავდა, სულ სხვა რაღაცას შეასწრო თვალი.

აბაზანის კიდეს ჩაფრენილი, მუხლებზე ჩაჩოქილი ნიკოლი აქეთ-იქით ირ-
წეოდა.

„შენ, შენა ხარ!“ ყვიროდა იგი. „რისთვის მოხვედი აქ—ეს ერთადერთი აღ-“

გილია მთელ ქვეყანაზე, სადაც მარტო შემიძლია ვიყო — შენ კი შემოიქცევი და გასისხლიანებული საბანი თან მოიტანე. თუ გინდა, შიგ გავეხვევი და თავს მოგაწონებ — მე არა მრცხვენია, ოღონდ, საცოდაობაა. სულელების დღეს, პირველ აპრილს მეჭლისი გავმართეთ ციურხში, ტბაზე, და ყველმან დაიწყო იქ მოვიდა, მე კი მინდოდა საბანში გავხვეულიყავი და ისე წავსუდნენ...“

„დაწყნარდი!“

„...მაშინ მე სააბაზანოში დავიმალე, მაგრამ მომნახეს, დომინო მომიტანეს, ჩაიკვიტო, შითხრეს და მეც ჩავიცვი. სხვა რა მექნა?“

„დაწყნარდი, ნიკოლ!“

„მე არ ველოდი, რომ შენ შეგიყვარდებოდი — ვიცოდი, უკვე გვიან იყო, ოღონდ, რად მოდიხარ სააბაზანოში. ამ ერთადერთ ადგილას, სადაც შემიძლია მარტო ვიყო, და რად მოათრევ ჩემთან სისხლიან გადასაფარებელს, რომ შევხედო“.

„დაწყნარდი, ადექი, ნიკოლ...“

როზმერიმ სასტუმრო ოთახიდან გაიგონა, როგორ გაჯახუნდა სააბაზანოთა კარი. კანკალმა აიტანა. ახლა იცოდა, რაც დაინახა ვაიოლიტ მაკისკომ ვილა „დაიანას“ სააბაზანოში. ტელეფონმა დარეკა, აიღო და სიხარულით კინალამ შეჰყვირა, როცა კოლის კლეის ხმა გაიგონა. როზმერისთან დაერეკა და რაკი არ უპასუხეს, ეტყობა, მიხვდა, რომ დაივერებთან იქნებოდა. სთხოვა, ზევით ამოსულიყო და დაეცადა, სანამ შლაპას დაიხურავდა. თავის ოთახში მარტო შესვლისა ეშინოდა.

წიგნი მეორე

I

1917 წლის გაზაფხულზე, დოქტორი რიჩარდ დაივერი პირველად რომ ჩავიდა ციურხში, ოცდაექვსი წლისა იყო, შესანიშნავი ასაკი მამაკაცისთვის, სწორედაც აქმე უცოლო კაცია ცხოვრებისა, დიკისთვის კი. ომის დღეებშიც შესანიშნავი, რადგან უკვე მეტად დიდ ღირებულებად და კაპიტალდაბანდებად მიაჩნდათ იგი იმისათვის, რომ გაემეტებინათ და თოფისთვის მიეშვირათ. წლების მერე ეჩვენებოდა, რომ მისი ეს სავანეც კი ვერ იფარავდა საიმედოდ, თუმცა, ბოლომდე მაინც ვერ გაერკვია, მართლა ასე იყო თუ არა, — ათას ცხრაას ჩვიდმეტში კი ეცინებოდა ამაზე და თავის მართლებასავით იტყოდა ხოლმე, ომი მე სულ არ შემეხოთ. ციურხში მიწერილობით გაემგზავრა, თავისი სწავლის დასრულებისა და სამეცნიერო ხარისხისათვის.

შვეიცარია კუნძული იყო, ერთი მხრით რომ გორიციიდან გადმოსული მრისხანე ტალღები ვრტყმოდა გარს, და მეორე მხრით კი სომეს და ენეს ჩანჩქერები. იმხანად კანტონები უცხოელებით იყო სავსე, მაგრამ ბევრი მათგანი საეჭვო პიროვნებას უფრო ჰგავდა, ვიდრე სწავლს, ოღონდ, ამას ზუსტად მაინც ვერ მიხვდებოდი — ბერნისა და ენევეის კაფეებში ჩურჩულით მოლაპარაკე

ტიპები, შეიძლება, უბრალოდ ბრილიანტების შემსყიდველები ან კომერცი-
 ეორებიც იყვნენ. მაგრამ ასე თუ ისე, ყველა ხედავდა და კარგად ხედავდა,
 ნეეშატელისა და ბადენის ლაჟვარდ ტბებს შუა ბრმებითა და დაჭრილებით,
 ხეივანი მომაკვდავებით გაქედნილ შემხვედრ გრძელ მატარებლებს. ერთ-ერთ
 რომ მიდიოდნენ. ლუდხანებისა და მალაჩიტების ეიტრინების გზაზე ვე-
 რად პლაკატებზე შვეიცარიელები თავიანთ საზღვრებს იცავდნენ 1914 წელს—
 ჰაბუკები და მონუცები მთებიდან მივიწყებდნენ, მრისხანე თვალთ დაპყრებ-
 დნენ ფრანგებისა და გერმანელების უფერულ ახრდილებს: პლაკატები იმ მიზ-
 ნით გამოუშვეს, შვეიცარიელებს გულით დაეჭერათ, რომ არც მათ აუარა იმ
 დღეთა საბრძოლო დიდების ეპიდემიამ. ხოცვა-ჟლეტა გრძელდებოდა, წლი-
 დან წლამდე პლაკატები გაცვდნენ და გაიცრიცნენ და როცა ომში უცებ ამე-
 რიკა ჩაერია, არც ერთ ქვეყანას ეს ისე არ გაჰკვირვებია, როგორც მის ევრო-
 პელ დას, ამ რესპუბლიკას.

იმ დროისათვის დოქტორ დაივერს ომისათვის უკვე შორიახლოდან შე-
 ეხედა: 1914 წელმა მას ოქსფორდში მოუსწრო, კონექტიკეტის შტატიდან
 როუდზის სტიპენდიის მიღების მერე აქ სწავლობდა. სამშობლოში დაბრუნე-
 ბული, ბოლო ერთი წელი ჯონ ჰოპკინზის უნივერსიტეტში იყო და ხარისხი
 მიიღო 1916 წელს, ვაითუ დიდი ფროიდი საპაერო თავდასხმისას დაიღუპო-
 სთ, ვენაში იჩქარა წასვლა, უკვე მაშინ, ამ ხაესმოდებულ ქალაქში ძლივსღა
 ფეთქავდა სიცოცხლე. მაგრამ დიკმა როგორღაც მოახერხა საკმაო ნახშირისა
 და ნავთის შოვნა, რომ Damenstiff strasse-ზე თავის პატარა ოთახში ჩამჯდა-
 თიყო და ბროშურები ეწერა, რომლებიც მერე მოსპო, მაგრამ რომლებიც, რო-
 ცა აღადგინა და გადაწერა, 1920 წელს ციურიხში გამოცემული მისი წიგნის
 ხერხემლად იქცა.

თითქმის ყველას გვაქვს ისეთი ხანა ცხოვრებაში, როცა გმირი გვგონია
 თავი: ის ხანა სწორედ ასეთი იყო დიკ დაივერსთვის. მაშინ აზრადაც არ მოს-
 ელია, რა ხიბლიც ჰქონდა, ფიქრობდა, რომ ჯანმრთელი ხალხი ყველა ასეა და
 აქ უჩვეულო არ იყო რა. ჯერ კიდევ ნიუ-ჰეივენში ყოფნისას ვიღაცამ „ილბ-
 ლიანი დიკი“ შეარქვა — ეს სახელი თავში ჩარჩა.

„ილბლიანი დიკი, აი ვინა ხარ, ძველო“, ხმადაბლა ეტყოდა ხოლმე თავის
 თავს მბეუტავი ცეცხლით განათებულ ოთახში სიარულისას იგი. „ზუსტად
 მიზანში მოახვედრე, მეგობარო, შენამდე ვერავინ შეამჩნია“.

1917 წლის დასაწყისში, როცა ძალიან გაჭირდა ნახშირის შოვნა, დიკი
 თავის სახელმძღვანელოებს მიადგა. ერთი ასი მაინც დაუგროვდა და ცეცხლს
 მისცა. მაგრამ ყველა წიგნის ღუმელში შეგდებისას ლამის შმაგი სიხარული იპ-
 ყრობდა ხოლმე, თითქოს იცოდა, რომ წიგნის არსი ისედაც სისხლსა და ხორ-
 ცში ჰქონდა გამჭდარი და ხუთი წლის მერეც, თუკი ეს წიგნი ამაღ ღირდა,
 იმის შინაარსს მოკლედ იტყოდა. როცა მხრებზე შემოგდებული იატაკის ნოხიც
 ვეღარ იცავდა სიცვიისაგან, ღუმელის წინ ჩაჯდებოდა და წიგნებს მეცნიერის
 იმ მშვენიერი უშფოთველობით წვავდა, ყველაზე მეტად რომ წააგავს ზეციურ
 ნეტარებას, მაგრამ, ამ უშფოთველობას, როგორც მერე გამოჩნდება, მალე
 უნდა მოღებოდა ბოლო.

ჯერ კი ეს ბოლო არ დამდგარიყო და ამას ნიუ-ჰეივენის ბილიკებზე რბე-
 ნითა და ზამთარს ღუნაიში ბანაობით გაკაჟებულ თავის სხეულს უმადლოდა.
 ბინაში საელჩოს მეორე მდივანთან, ელკინსთან ერთად ცხოვრობდა. ამათ

აბარტამენტში ხანდახან ორი სანდომიანი ქალიშვილი მოდიოდა — მოდიოდნენ და მიდიოდნენ, სხვა არაფერი, არც საელჩოსთან კავშირი მიდიოდა უფრო შორს, ედ ელკინსთან ურთიერთობამ პირველად კიდევაც დააეჭვა თავის აზრებში, ელკინსისას აღარებდა და ხანდახან ფიქრობდა, დიდი სხვაობა არ არის, სო, იმ ელკინსისას, ბოლო ოცდაათი წლის ყველა ნიუპეივენელ თვედასწრე წესის სათითაოდ რომ ჩამოგითვლიდათ.

„იბლიანი დიკი კი ერთი საზრიანი ჭაბუკთაგანი ვერ იქნება, ეს არა კმარა: ზედმეტად კარგი ვინმეა, მთლიანი, ცოტა კიდევაც უნდა დაიშალოს, საჭიროა, რომ სწორედ ცხოვრებამ დააჩნოს თავისი კვალი. ავადმყოფობა, ან ვთქვათ, სიყვარულში ხელის მოცარვა და გულის გატეხა, ანდა „კომპლექსი“ მაინც ის არ არის, რაც საჭიროა, თუმცაღა, საინტერესო იქნებოდა შენობის დანგრეული მხარის აღდგენა და ხელახლა გამთლიანება. ოღონდ ისე, რომ აღრინდელზე უკეთესი ყოფილიყო“.

ამ თავის აზრებზე ეცინებოდა ხოლმე, ყბედობასა და „ამერიკელობას“ ეძახდა — ტვინის დოლაბით დაუფქველ ყველა ფრანს ასე დაარქმევდა ხოლმე. მაგრამ, იცოდა, რომ თავისი მთლიანობის ფასი სრულყოფის ნაკლულევა-ნება იყო.

„ყველაზე კარგი რამ შემოიპლია გისურვო, ჩემო ბავშვო“, ამბობს ჯადოსნურკვერთხა ფერია თეკერეის „ვარდსა და ბეჭედში“, „ცოტაოდენი უბედურება“.

სანდახან თავისთვის, ბუზლუნით იმართლებდა თავს: „რა ჩემი ბრალია, რომ იმ საზეიმო დღეს პიტ ლივინგსტონი გასახდელში მიიმალა, რამდენიც არ ეძებეს, ვერსად ნახეს, და იელის უნივერსიტეტში მე ამირჩიეს. ასე რომ არა, ვინ ამირჩევდა. იმათგან მე თითქმის არავის ვიცნობდი და პიტი იყო ნაღდი კანდიდატი, და ის კი არა, მე უნდა დავმალულიყავი მაშინ გასახდელში. იქნებ ასეც შექნა, თუ შეგონებოდა, რომ რაღაცა შანსი მაინცა მქონდა. ისე კი, ბოლო კვირებში იმ მერსერმა ჩემთან სიარულს მოუხშირა. არა, შანსი მქონდა, პო, ვიცოდი ეს და ახი იქნებოდა, რაღაც კომპლექსს თუ მოვუგონებდი ჩემსავე თავს და ყველაფერს იქვე თუ ჩავშლიდი“.

ლექციების მერე ამ საკითხზე რამდენჯერმე ესაუბრა ერთ ახალგაზრდა რუმინელ ინტელიგენტს და იმან დაამშვიდა: „არაფერი არ ადასტურებს იმას, თითქოს „კომპლექსი“, ამ სიტყვის თანადროული გაგებით, ოდესმე ჰქონდა გოეთეს, ან ვთქვათ ისეთ კაცს, როგორიც იუნგია. რომანტიკოსი ფილოსოფოსი კი არა ხართ, მეცნიერი ხართ, და ამიტომაც მეხსიერება, შეუპოვრობა, ნებელობა და საღი აზროვნება მოგეთხოვებათ. ყველაზე მეტად კი თქვენზე თავის შეუცნობლობა გავნებთ. ერთ კაცს ვიცნობდი, ორი წელი არმადილოს ტვინის შესწავლას მოანდომა იმ ვარაუდით, ბოლოს და ბოლოს არმადილოს ტვინზე ყველაზე მეტი მე მეცოდინებო. ვეკამათებოდი, ვუხსნიდი, რომ არსებითად იგი კაცობრიობის ცოდნის საზღვრებს ვერ აფართოებდა, რომ ეს უბრალოდ მისი აზრება იყო. ასეც მოხდა — როცა თავისი თეზისები ერთ სამედიცინო ჟურნალს გაუგზავნა, უარი შემოუთვალეს — თურმე უკვე ჰქონდათ შავანის თეზისები იმავე თემაზე“.

როცა დიკი ციურიხში ჩამოვიდა, ცხრაფეხასათვის სამყოფზე ცოტა აქილევსის ქუსლები ჰქონდა, თუმცაღა მაინც საკმარისი. ეს იყო გამოუღვევლი ძალის, სიჯანსაღისა და ადამიანში მარადიული სიკეთის ილუზიები —

თაობიდან თაობას გადმოყოლილი მთელი ერის ილუზიები, დიდებების ტყუილები, მგლის ყმუილში თავიანთ პატარებს ნანას რომ უმღეროდნენ და დილინით ეუბნებოდნენ, მგელი არ არის, ქობთან იმისი ჭაჭანებაც არ არის, დაიძინეო.

ხარისხის მიღების მერე დიკი საფრანგეთში, ბარსელონის უნივერსიტეტის ნევიროლოგიურ ჰოსპიტალში გაგზავნეს. საფრანგეთში მუშაობამ იმედი გაუცრუა, უფრო ადმინისტრატორობა უხდებოდა, ვიდრე ექიმობა, მაგრამ დრო კი საკმაო რჩებოდა საიმისოდ, რომ ციურიხში დაწყებული მცირე სახელმძღვანელო დაემთავრებინა და ახალი წიგნის მასალებისთვის მოეყარა თავი. 1919 წლის გაზაფხულზე კი, დემობილიზებული, ციურიხს დაბრუნდა.

ზემოთქმული უფრო ბიოგრაფიის მოყოლასა ჰგავს, ოღონდ ისე, გადაკრულადაც რომ არ დაგაიმედებთ, თითქოს იმის გმირს რთული და თავგადასავლიანი ბედი ელის და უკვე ესმის მისი ძახილი, როგორც გენერალ გრანტს ესმოდა ვალენში, როცა დუქანში იჯდა. თანაც, როცა კაცს უკვე მოწიფულ ასაკში იცნობ და იმის ჭაბუკობისდროინდელ სურათს წააწყდები, უცნაური რამ გემართება — იქიდან სულ სხვა, უცნობი სახე შემოგყურებს, ქორისთვალეა, მგზნებარე და შეუპოვარი. მაგრამ, ბევრი რომ აღარა ვთქვათ რა — დიკ დაივერის დროს დადგა.

II

აპრილის ნესტიანი დღე იყო, გრძელი ღრუბლები ცერად იწვლებოდნენ ალბისპორნის თავზე და მეჩხერ ადგილებში წყალი რინდად იდგა. ციურიხი ბევრი რამით წააგავს ამერიკის ქალაქებს. საფრანგეთიდან ჩამოსვლის მერე იმ ორ დღეს დიკს თითქოს სულ რაღაცა აკლდა, ბოლოს მიხვდა, აქ ვერა ვგრძნობდა იმ სისავეს, ფრანგული ქუჩები თუ შესახვევები რომ იწვევდა, იმ შესახვევებს იქით თითქოს აღარაფერი იყო. ციურიხში კი სულ გახსოვს, რაც ციურიხს იქითაა — სახურავებს უყურებ და მთის საძოვრებზე და ნახირზე ფიქრობ, წკარუნი გესმის, მწვერვლებს ხედავ და ცხოვრებაც მალდა. ცისკენ მიიწევს: ალპების ძირში, სათამაშოებისა და ფუნქციულიორების, კარუსელებისა და წყნარად მრეკავი ზარების მხარეში ისე მიწიერი არა გგონია თავი, როგორც საფრანგეთში, სადაც, ვენახში ვაზი ფეხებში გედება ლამის.

ზალცბურგში, სადაც ერთხელ რამდენიმე დღე გაატარა, დიკმა მუსიკის საუკუნის ძალა და ზემოქმედება იგრძნო; ციურიხში, უნივერსიტეტის ლაბორატორიებში, როცა ერთხილად იკვლევდა ტვინის აგებულებას, თავისი თავი თვითონვე სათამაშოების მძერწავად უფრო წარმოედგინა, ვიდრე იმ დაუდევარ ყმაწვილად. ქარიშხალივით რომ შეიჭრებოდა ჯონ ჰოპკინზის აგურის წითელ კორპუსებში და ვესტიბიულში გიგანტი ქრისტეს ირონიული დიმილიც კი ვერ აჩერებდა.

მაინც გადაწყვიტა, ორ წელსაც დარჩენილიყო ციურიხში, სათამაშოების კეთება რომ ამაღ ღირდა, ამაში ეჭვიც არ შეჰპარვია, ეს ზედმიწევნით სიზუსტესა და დიდ მოთმინებას მოითხოვდა.

ახლა იგი ციურიხის ტბაზე, პროფესორ დომლერის კლინიკაში მიდიოდა ფრანც გრეგოროვიუსის სანახავად. ფრანცი იქ შტატში ითვლებოდა, წარმოშობით კანტონ ვოდან იყო, დიკზე რამდენიმე წლით უფროსი. ტრამვაის გა-

ჩერებაზე დახვდა მას. საინტერესო გარეგნობა ჰქონდა, თვალები — წმინდა-
ნისა, ოღონდ, კალიოსტროს მუქ სახეზე. გრეგორიევიუსების მესამე თაობა —
პაპამისი კრეპელინის მასწავლებელი იყო იმხანად, როცა ფსიქიატრია, რო-
გორც მეცნიერება, ფეხს იკიდებდა. თავმოყვარე, ფიცხ და ზოგჯერ ცხვიარი-
ვით მშვიდ ფრანცს კარგ პიპნოტიზიორად მიაჩნდა თავი. იმდროინდელი წინა
თაობაში ნიჭიერება ცოტაოდნავ რომ ჩამცხრალიყო, მისგან ალბათ მე-
სანიშნავი კლინიკისტი დადგებოდა.

კლინიკისკენ დაიძრნენ. მაშინვე დაიწყო ფრანცმა ლაპარაკი: „მიამბეთ
რა გადაგხდათ ომში. თქვენც შეიცვალეთ, როგორც სხვები? სახე კი ისევ
ისეთი გაქვთ, დაუდევარი, ამერიკული, ხანი რომ არ ეტყობა“.

„ომი მე არ მინახავს, ფრანც, — ჩემი წერილებიდან მიხედვებოდიო“.

„რა მნიშვნელობა აქვს — ჩვენთან კონტუზიით დაავადებულები არიან.
შორიდან რომ გაიგონეს საპაერო დაბომბვის გრუხუნის ისეთებიცა გვყავს,
მხოლოდ გაზეთებს რომ კითხულობდნენ“.

„სიგიჟეა“.

„შეიძლება, დიკ. მაგრამ ეს კლინიკა მდიდრებისთვისაა და ასეთ გამოთ-
ქმებს არა ეხმარობთ. ახლა ერთი გულწრფელად მითხარით, ჩემთან ჩამოხვე-
დით თუ იმ ამერიკელი ქალიშვილის სანახავად?“

ერთმანეთს ცერად გახედეს. ფრანცს ეციინებოდა.

„ცხადია, ყველა წერილი ჯერ მე უნდა მენახა“, პროფესიული, თავისა
ბოხი ხმითა თქვა ფრანცმა, „მაგრამ, მომჯობინება რომ შეეტყო, დელიკატუ-
რი არ იქნებოდა ისევ გამეხსნა წერილები. ეს უკვე მხოლოდ თქვენ გახებო-
დათ...“

„ესე იგი, გამოკეთდა?“ ჰკითხა დიკმა.

„სავსებით, რაც ჩვენთან მოჟიდა, მე შებარა მაგისი საქმე, საერთოდ
ბრიტანელი და ამერიკელი პაციენტების უმრავლესობა მე მამარია. დოქტორ
გრეგორის მეძახის ყველა“.

„მინდა რომ გითხრათ ყველაფერი, რაც ამ ქალიშვილს შეეხება“, თქვა
დიკმა. „მე იგი მხოლოდ ერთხელ ვნახე. იმ დღეს, საფრანგეთში წასვლის წინ
გამოსამშვიდობებლად რომ ჩამოვედი თქვენთან, მაშინ პირველად ჩავიცვი
უნიფორმა და ასე მეგონა, სხვა ვილაც ვიყავი, ჯერ ვერ შევჩვეოდი და ყვე-
ლაფერი მერეოდა, სალუტს ზოგჯერ რიგით ჯარისკაცსაც კი ვაძლევდი ხოლმე“.

„დღეს რატომ არა ხართ უნიფორმაში?“

„უპ, სამი კვირაა დემობილიზებული ვარ. იმას გეუბნებოდით — თქვენ
გამოგემშვიდობეთ და ტბასთან რომ პავილიონია, იქით წავედი, ჩემი ველოსი-
პედი დავტოვე იქ და...“

„კედრებისკენ?“

„...შესანიშნავი სადამო იყო, მთვარე აი იმ მთის წვერზე...“

„კრენცეგის თავზე“.

„...თვალი ვკიდე, ორნი მიდიოდნენ, ქალიშვილი და მომვლელი ქალი.
არც მიფიქრია, კლინიკის პაციენტი თუ იყო. დავეწიე, რომ იმ ქალისთვის
მეკითხა, რომელ საათამდე დადიოდა ტრამვაი და მერე ერთი გზით წავედი.
ქალიშვილი არაჩვეულებრივად ლამაზი მეჩვენა“.

„ახლაც ისეთია“.

„ამერიკული უნიფორმა არასოდეს ენახა და ამაზე ჩამომიგდო ლაპარაკი.“

ჩვეულებრივად ვლამარაკობდით, როგორც ყველა, არაფერი შემიძინებია...“ გაჩუმდა, ნაცნობმა პეიზაჟმა მიიქცია მისი ყურადღება, მერე დაამთავრა: „ოღონდ, ჯერ მე თქვენსაკით გამობრძმედილი არა ვარ, ფრანც გული მეკუმშება ხოლმე, როცა მშვენიერ, გარსს შევყურებ და ვიცი, რაფაქტობა შიგ. სხვა არაფერი, ეს იყო და ესა — მერე კი წერილები შევუწავს“

„ამან გადაარჩინა, ეს იყო ყველაზე კარგი რამ მისთვის“, პათოსით წარმოთქვა ფრანცმა. „შემთხვევითი ტრანსფარანცია; ამიტომ მივანებე თავი საქმეებს და აქ წამოვედი. ჩემთან წავიდეთ, სანამ შეხვდებით, მანამდე მინდა მოგვლამარაკოთ. ისე კი, ახლა აქ არ არის, ციურბინში გავუშვი რაღაცების საყიდლად“, ცოტათი დღლაკდა. „მომვლელი არ გამიყოლებია, სხვა პაციენტთან — იმის მდგომარეობა არ არის ისე სტაბილური — ერთად გავგზავნე. მე ვთვლი, რომ მორჩენილია, საესებით. და ვამაყობ ამ წარმატებით, რასაც თქვენი უნებლოე დახმარებით მივალწიე“.

მანქანა ციურბინის ტბის მიხვეულ-მოხვეულ ნაპირს მიჰყვებოდა, ბოლოს ნაყოფიერ ხეობას დაუყვანენ, მწვანე საძოვრებს აქ ბორცვები სცვლიდა, გორაკებს შვეიცარიული სახლების — შალეების წამახული სახურავები ეკვროდა, ლურჯი ცის ოკეანეზე ცურავდა მზე და უცებ მთელი მშვენიერებით გადაიშალა შვეიცარიული ველი, გადასარკული სივრცითა და ქივივია ხმებით. სიჯანსაღისა და სიმხნევის სურნელებით.

პროფესორ დომლერის კლინიკა, სამი ძველი და ორი ახალი შენობისგან რომ შედგებოდა და ტბასა და ზეგანშუა მდებარეობდა, პირველ მოდერნიზებულ ფსიქიატრიულ კლინიკად ითვლებოდა, და ათი წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი, უცხო კაცი ვერც მიხვდებოდა, რომ ეს თავშესაფარი იყო დაშლილ-დაწეწილი ნერვების ადამიანებისა, ამ ქვეყანას მტრულად და მუქარით რომ უყურებდნენ. ამ ხუთი შენობიდან ორი მათგანი ყრუ კედლით იყო შემოზღუდული, კედლებს ვაზი ეგლებოდა და ისე პირქუში შესახედავი აღიარა ჩანდა. მზის გულზე, პაპანაქებაში ვიდაცები ნამჯას ფოცხავდნენ; მანქანის ხმაურის გაგონებისთანავე მომვლელი ქალები პატარა თეთრ დროშას აიქნევდნენ ხოლმე — პაციენტებს დაჰყვებოდნენ ბალის ბილიკზე.

ფრანცმა თავის კაბინეტში შეიყვანა დიკი და სთხოვა ცოტა ხანს მოეცადა. მარტო დარჩენილი დიკი კაბინეტში ბოლოთასა სცემდა. ფრანცის ნივთების — მაგიდაზე უწესრიგოდ მიყრილი წიგნებისა და ფურცლების, — მამამისისა და პაპამისის დაწერილი ან მათზე დაწერილი წიგნების, კედელზე დიდის ამბით, შვეიცარიული წესითა და რიგით ჩამოკიდებული, მამის გადიდებული დაგეროტიპის მიხედვით ცდილობდა ფრანცზე თავისი აზრი შეექმნა. კაბინეტი თამბაქოს კვამლით იყო სავსე და დიკმა აიენის კარი გააღო, მზის სხივმა ცერად ჩამოჭრა გაკვამლული პაერი. ფიქრით იმ ამერიკელ ქალიშვილს გადასწვდა.

დიკმა მისგან ერთი ორმოცდაათი წერილი მაინც მიიღო რვა თვის მანძილზე. პირველი — რაღაც ახსნასა და თავის მართლებას უფრო ჰგავდა, სწერდა, რომ ჯერ კიდევ ამერიკაში გავიხილი პქონდა, ქალიშვილები წერილებს სწერენ მათთვის უცნობ ჯარისკაცებსო. ასე, რომ დოქტორ გრეგორისგან შეიტყო მისი სახელი და მისამართი და იმედი აქვს იგი უარს არ იტყვის, რომ ხანდახან მიიღოს მოკითხვის ბარათები და ა. შ. და ა. შ.

წერილის ტონის მიხედვითა ძნელი არ იყო — გადმოღებული იყო „გრძელ-

ფეხა მამიკოსა“ და „მოლი თვალთმაქციდან“, გასართობი და სანტიმენტალური თხზულებებიდან, რომელთა კითხვა იმ ხანებში მოდაში იყო ამერიკაში. თუმცა, ამ ტონით თავდებოდა მთელი მსგავსებაც.

წერილები ორ ჯგუფად იყოფოდა, პირველი ჯგუფისა, დაახლოებით დაწერილებამდე დაწერილი, აშკარა პათოლოგიური ხასიათისა იყო, დანართების, ფიქსაციის ბოლო წერილის ჩათვლით — მთლად ნორმალური ადამიანისა, რომელიც თანდათან ვითარდება და თავის მდიდარ ბუნებას ავლენს. ბოლო თვეებში დიკი მიეჩვია და მოუთმენლადაც კი ელოდა ამ წერილებს, ბარ-სიურ-ობის მომქანცველ მოწყენილობას რომ უქარვებდა — ის კი არადა, უფრო ადრინდელ წერილებშიც იმაზე მეტი ამოიკითხა, ვიდრე ფრანცმა, რადგან ფრანცი ყველაფერს ვერ მიხვდებოდა.

„Mon Capitaine“¹:

უნიფორმაში რომ დაგინახეთ, ძალიან ლამაზი მეჩვენეთ. მერე ვიფიქრე, je m'en fiche²-მეთქი, ფრანგულადაც და გერმანულადაც. თქვენც გაიფიქრეთ ჩემზე, ლამაზიაო, მაგრამ ამას მიჩვეული ვარ და კმარა. თუ კვლავ ჩამოხვალთ, და უხამსი და საძაგელი იქნებით, რაც სულაც არ შეეფერება ჯენტლმენს, იმ აზრით, რასაც ეს სიტყვა ნიშნავს და როგორც მე მასწავლეს, მაშინ, ღმერთი თუ გიშველით მხოლოდ, თუმცა, თქვენ თითქოს სხვებზე უფრო თავდაჭერილი ჩანხართ, და დიდი, ღუნღუნულა კატასავით ხართ. მე საერთოდ მომწონს ნებიერი ქალური ვაჟები. თქვენ ხართ ქალური? ასეთებს შევხვედრივარ, მაგრამ არ მახსოვს სად.

არ გაბრაზდეთ. უკვე მესამე წერილს გწერთ. გამოგიგზავნით, ან სულაც არ გამოგიგზავნით. მე ხშირად ვფიქრობ მთვარის შუქზე, და ბევრი მოწმეც მეყოლებოდა, აქედან რომ შემეძლოს გასვლა.

ამბობენ, რომ თქვენც ექიმი ხართ, მაგრამ თქვენ ხომ კატა ხართ და ეს სულ სხვა რამეა. თავი ძალიან მტკივა, ასე რომ, არ გაბრაზდეთ, აქ რომ ასე შინაურულად ვსერილობ თეთრ კატასთან ერთად, ვფიქრობ, ეს ყველაფერს აგიხსნით. მე სამ ენაზე ვლაპარაკობ, ინგლისურსაც თუ ჩავთვლით — ოთხზე და თარჯიმნად მუშაობას შევძლებდი, თქვენ რომ ჩემთვის გეშოვათ ადგილი საფრანგეთში, თავს გავართმევდი ალბათ, თასმებით თუ შემკრავდნენ და დამაბამდნენ, როგორც იმ ოთხშაბათს. დღეს კი შაბათია, თქვენ შორსა ხართ, იქნებ მოგკლეს კიდევაც.

ჩამოდით ერთ დღეს. მე ხომ სულ აქ ვიქნები, ამ მწვანე გორაკზე, სანამ ჩემს ძვირფას მამასთან წერილის მიწერის უფლებას მომცემენ.

მაპატიეთ, დღეს ჩემს თავს არ ვეკუთვნი. მერე მოგწერთ, როცა უკეთ ვიქნები.

მოგიკითხავთ,
ნიკოლ უორენი.

ძაპატიეთ, არ გაბრაზდეთ ჩემზე“.

„კაპიტანო დაივერ: ვიცი, როცა ნერვები ისეთ დღეში აქვს ადამიანს, როგორც მე ახლა, ძნელია რამეს თავი მოაბა, მაგრამ მინდა, ჩემზე ყველაფერი

¹ ჩემო კაპიტანო! (ფრანგ.).

² მიმიფურთხებია (ფრანგ.).

იცოდეთ, როცა ეს დამემართა, შარშან, ჩიკაგოში, ანდა, შესაძლოა სულაც შარშან არა, არ მახსოვს, მაშინ ქუჩაში აღარ გამოვდიოდი, აღარც დასურებს ველაპარაკებოდი და ძალიან მინდოდა, მჭირდებოდა, რომ ვილაყვას გაეგებინებინა, რა ამბავი იყო ჩემს თავს. ვისაც ესმოდა, ის მოვალე იქნებოდა, რომ აეხსნა ყველაფერი. ბრმას ხელს ჩასჭიდებენ და ისე მიჰყავთ, რაკი თვითონ არ შეუძლია სიარული. მეტყოდნენ ხოლმე, მაგრამ არკი დაამთავრებდნენ, მე კი ისე ვიყავი არეული, ორჯერ ორი რამდენი იყო ვერა ვხვდებოდი. ერთი კარგი კაცი გამოჩნდა — ფრანგი ოფიცერი, და იმას ესმოდა. ყვავილი მომცა და მითხრა, ეს „Plus petite et moins entendue“¹ არისო. ჩვენ დავმეგობრდით. მერე წამართვა. მე თანდათან უარესად ვხდებოდი და ვერაფერს მიხსნიდნენ. სიმღერაა — ეანა დ'არკზე — იმას მიმღეროდნენ, მე კი მწყინდა და ვტიროდი იმიტომ, რომ მაშინ არეული არ მქონდა თავი. მირჩევდნენ, სპორტს მივყოლოდი, მაგრამ არ მინდოდა. მერე ერთ დღეს სახლიდან გავედი, მიჩივანის ბუღეარზე, შორს წავედი, რამდენიმე მილი გავიარე. ავტომობილით დამღევდნენ, მაგრამ მე არ მინდოდა შიგ ჩაჯდომა. ბოლოს და ბოლოს ძალით შემართეს და ამის მერე მომვლელი მომიჩინეს. მერე და მერე ვხვდებოდი რაც იყო, იმიტომ რომ უკვე ვგრძნობდი, შემეძლო დამენახა, რაც ემართებოდათ სხვებს. ახლა თქვენ ყველაფერი იცით. აქ მე არასოდეს მოვრჩები, ექიმები არ მასვენებენ, ერთთავად მეკითხებიან, მე კი მინდა დამავიწყდეს. ასე რომ, დღეს მამას მივწერე, ჩამოვიდეს და აქედან წამიყვანოს. ძალიან კარგია, ასე რომ გიზიდავთ თქვენი საქმე, საინტერესო უნდა იყოს ხალხის გასინჯვა და მერე ყველაზე რაღაცის თქმა“.

და კიდევ, ახლა სხვა წერილიდან:

„შეიძლებოდა ერთი გასინჯვა გამოგეტოვებინათ და ჩემთვის წერილი მოგეწერათ. ამას წინათ გრამოფონის ფირფიტები გამომიგზავნეს იმ შემთხვევისთვის, თუ ჩემი გაკვეთილი დამავიწყდებოდა, მე კი ყველა მივამსხვრიე, რის გამოც მომვლელი ქალი აღარ მელაპარაკება. ფირფიტები ინგლისურ ენაზე იყო, იმას მაინც არაფერი ესმოდა. ჩიკაგოში ერთმა ექიმმა მითხრა, სიმულანტი ხარო, სინამდვილეში იმის თქმა უნდოდა, რომ მე მეექვსე ტყუპი ვიყავი და ასეთი ჯერ არ შეხვედროდა თავის ცხოვრებაში. მაშინ ძალიან არეული ვიყავი და სულ ერთი იყო, რას მეტყოდნენ, მეექვსე ტყუპი გოგო კი არა, თუნდაც მემილიონე ეთქვათ.“

იმ სალამოს ხომ თქვით, თამაშს გასწავლით და არ მოგეწყინებათო. იცით, ზოგჯერ მგონია, რომ მთავარია სიყვარული, იგია ყოვლისშემძლე, ან, თუ არ არის, უნდა იყოს. ესეა თუ ისე, მე მიხარია, რომ გამოცდები ბევრ დროს გართმევთ და უქმად არა ხართ.

Toute a vous²

ნიკოლ უორენი“.

იყო სხვა წერილებიც, რომელთა აბნეულ რიტმშიც უფრო შემაშფოთებელი უმწეობა ჩანდა.

„წვირფასო კაპიტანო დაივერ“:

გწერთ იმიტომ, რომ სხვას ვერავის მივმართავ და თუ მეც კი, ასეთი ავად-

¹ „უფრო პატარა და უფრო გამოუცდელი“ (ფრანგ.).

² თქვენი (ფრანგ.).

მყოფი. ვხედავ ჩემს გამოუვალ და უაზრო მდგომარეობას, თქვენთვის ხომ მით უფრო ცხადია იგი. ფსიქიკურმა აშლილობამ გაიარა, მაგრამ მთლად განადგურებული ვარ და დამცირებული, არ ვიცი, ამას თუ მიაღწიეს აქ ჩემი ნათესავები გულმშრალად იქცევიან, იმათგან არც შეველას ველი და არც თანაგრძნობას. მეტი აღარ შემიძლია, მეყო. აქ თუ დავრჩი, ტყუილუბრალოდ დაკარგავ დროს, საბოლოოდ გაეინადგურებ ჩანმრთელობას და თქვენს მკურნალებს, თითქოს რაც ჩემს თავს არის, იმის შეველა შეიძლებოდეს. სულ ერთია, ვერ მოვრჩები.

გამომკეტეს ამ შენობაში, რომელიც ალბათ საგიუეთი უფროა და მხოლოდ იმიტომ, რომ კაცი არ აღმოჩნდა, სიმართლე ეთქვა ჩემთვის. ყველაფერი რომ მცოდნოდა, ისე, როგორც ახლა ვიცი, თვითონვე მოვერეოდნი თავს, საამისოდ ძალა მეყოფოდა, მაგრამ იმათ, ვისაც ჩემი თვალის ახელა შეეძლოთ, არ მოინდომეს, ახლა კი, როცა ვიცი და ასე ძვირად დამიჯდა ყველაფრის გაება, ძალღებვივით კული ამოიძუეს, უნდათ, რომ ისევ უწინდებურად მეგონოს. მეტადრე ერთია მოწადინებული, ძალიან ცდილობს, მაგრამ, ახლა მე უკვე ვიცი.

ძალიან მომეწყინა, მარტო ვარ, მოშორებული მეგობრებსა და ნათესავებს, რომლებიც ოკეანის გადაღმა არიან, მთელი დღეები დაკარგულივით დავბორიალობ. ჰქენით სიკეთე, მიშოვეთ თარჯიმნის ადგილი (ფრანგული და გერმანული მშობლიურ ენასავით ვიცი, იტალიური — საკმაოდ კარგად და ცოტა ესპანურიც). წითელი ჯვრის საველე ჰოსპიტალში ვიმუშავებდი, ან მედიცინის დად სადმე — ხომ შეიძლება, რაღაც კურსს გავივლიდი და ვისწავლიდი“.

და კიდევ:

„ჩემს ამბავს გიყვებით და როგორც შემიძლია ისე ვიხსნით ყველაფერს, თუ არ მეთანხმებით, ის მაინც ხომ შეგიძლიათ, რომ თქვენი აზრი მითხრათ. ჩემთვის ამას მნიშვნელობა აქვს, იმიტომ, რომ თქვენ კეთილი კატის სახე ვაქვთ, აქაურებივით სულელური კი არა, აქ ალბათ ასეა მიღებული. დოქტორმა გრეგორიმ თქვენი ფოტო მომცა. სურათზე ისეთი ლამაზი არა ხართ, როგორც უნიფორმაში. თუმცა უფრო ახალგაზრდა ჩანხართ“.

•Mon Capitane:

ძალიან მესიამოვნა თქვენი ღია ბარათის მიღება. მიხარია, რომ ასე მოგწონთ მედიცინის დების ჩაჭრა გამოცდებზე — ო, არა, ყველაფერს, რასაც მწერთ, ძალიან კარგად ვიკებ. ოღონდ, იმ დღიდან, როცა პირველად დაგინახეთ, ვიფიქრე, რომ თქვენ სხვებს არა ჰგავდით“.

„ძვირფასო კაპიტანო დაივერ:

დღეს ერთსა ვფიქრობ, ხვალ კი სხვას. მთელი ჩემი უბედურება ესაა, და კიდევ ის, რომ მინდა ყველას ჯიბრით მოვექცე და ზომა აღარ ვიცი ხოლმე. დიდი სიამოვნებით მივმართავდი ვინმე ფსიქიატრს, ისეთს, რომელსაც თქვენ მირჩევდით. აქ ყველანი აბაზანაში წვანან და მღერიან: „ითამაშე შენს ეზოში, ითამაშე“. მაგრამ მე არა მაქვს ჩემი ეზო, სადაც თამაში შემეძლებოდა და საითაც არ უნდა გავიხედო, საიმედოს ვერაფერს ვხედავ. გუშინ ისევ თავი-

სას მოჰყვნენ, ისევ საშაქარლამოში, და გამყიდველს კინალამ საწონი დავარტყი, მაგრამ დამიჭირეს.

მეტს აღარ მოგწერთ. ყველაფერი მერევა თავში“.

მერე მთელ თვეს აღარ მოსულა წერილი და უცებ ასევე დაიწყო:

„...თანდათან ვუბრუნდები ცხოვრებას...“

„...შევუბრუნებ ყველაფერს, ღრუბლებს...“

„...ომი გათავდა, მე კი, მვინა, არც ვიცოდი, რომ ომი იყო...“

„...თქვენ ძალიან კეთილი ხართ! და ალბათ ძალიან ჰკვიანიც, თუმცა თეთრ კატას ჰგავხართ, ისე კი, არ გეტყობათ იმ სურათზე, დოქტორმა გრეგორიმ რომ მომცა...“

„...დღეს ციურბში ვიყავი, რა უცნაურია ისევ ქალაქში სიარული...“

„...დღეს ბერნში წავედი, ძალიან მომეწონა, რომ ყველგან საათებია...“

„...დღეს კარგა მალა ავედი მთაზე და ასფოდელები და ედელვაისებიც კი დავკრიფეთ...“

მერე და მერე იშვიათად მოდიოდა წერილები, მაგრამ დიკი, როგორც წესი, ყველა წერილზე უგზავნიდა პასუხს. ერთ წერილში ნიკოლი სწერდა:

„ნეტავი ვინმეს შევუყვარდე, ისე, დიდი ხნის წინათ რომ შევუყვარდებოდი ხოლმე ბიჭებს, სანამ ავად გავხდებოდი, მაგრამ, ასეთ რამეზე, ალბათ წლები გავა და ვერც ვიოცნებებ“.

მაგრამ დიკი თუ რაიმე მიზეზით პასუხს დააყოვნებდა, მაშინვე შეყვარებულის ციებ-ცხელებასავით, ნიაღვარივით მოასკდებოდა მღელვარება: „იქნებ თავი მოგაბეზრეთ... ალბათ არ შეიძლება ასე ჩააციება... მთელი ღამე იმაზე ვფიქრობდი, ვაითუ ავად გახდა-მეთქი“.

დიკს მართლაც გრიპი შეყროდა, რის მერეც კარგა ხანს იყო მოთენთილი და გულგრილი თითქმის ყველაფრისადმი. მერე კი ნიკოლის შორეულ სახეს შტაბის ტელეფონისტი ქალიშვილი გადაეფარა, უისკონსინიდან რომ ჩამოვიდა ბარ-სიურ-ობში და სარეკლამო პლაკატის ქალიშვილებივით წითელი ტუჩები ჰქონდა, ოფიცრების სასაუზმეში მას ორაზროვანი სახელი, „კომუტატორი“ შეარქვეს.

ფრანცი თავის კაბინეტში დაბრუნდა, ეტყობოდა, კმაყოფილი იყო. დიკმა კვლავ გაიფიქრა, შესანიშნავი კლინიცისტი დადგებოდაო. ხან რიხით, ხანაც წყნარად, ფერებით რომ დაარიგებდა პაციენტებსა თუ მომვლელებს, ფრანცს ეს ზრუნვითა და გულით კი არა, უფრო უზომო, თუმცა უწყინარი პატივმოყვარეობით მოსდიოდა. თავის ჭეშმარიტ ემოციებს ლაგამსა სდებდა და ეგრე იოლად არ ავლენდა.

„იმ ამერიკელ ქალიშვილზე ვილაპარაკოთ, დიკ“, თქვა მან. „თქვენზეც და ჩემზეც, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს მერე იყოს, ახლა ქალიშვილს მივუბრუნდეთ. კარგა ხანია შემთხვევას ველი და ვილაპარაკოთ“.

ერთ ქალაღდებით სავსე ყუთში რაღაცა მოიძია, დასტად ამოიღო, გადახედა, მერე მაგიდაზე დააწყო და ისე, რომ აღარსად ჩაუხედავს, მოყოლა დაიწყო.

III

დაახლოებით წლინახევრის წინათ დოქტორმა დომლერმა საკმაოდ ბუნდოვანი წერილი მიიღო ლოზანაში მყოფი ერთი ამერიკელი ჯენტლმენ-

ნისაგან, ვინმე მისტერ დევრე უორენისაგან — ჩიკაგოელი უორენებიდან. მიწერ-მოწერის მერე დათქმულ დღეს მისტერ უორენი თავის თექვსმეტი წლის ქალიშვილთან ერთად მოვიდა კლინიკაში. ქალიშვილს ნიკოლი ერქვა, აშკარად ემჩნეოდა, კარგად არ იყო და სანამ მისტერ უორენი და დოქტორმა ლაპარაკობდნენ, თანმხლებმა მოწყალების დამ ხეივანში გაიყვანა.

მისტერ უორენი, მეტად ლამაზი მამაკაცი, ორმოცი წლისაც არ იქნებოდა, შესანიშნავი აღნაგობის, ზუსტად ამერიკელის ტიპი, მაღალი, მხარბეჭიანი, წარმოსადეგი, „un homme très chic“¹, როგორც მერე უთხრა დოქტორმა დომლერმა ფრანცს. ენევის ტბაზე მზიან დღეებში ნიჩბოსნობისგან დიდი ნაცრისფერი თვალები დაქარღვოდა. ყველაფერზე ეტყობოდა, ამქვეყნიურ სიამეთაგან არაფერს იკლებდა. საუბარი გერმანულად წარიმართა, როგორც გამორკვა, სწავლა გეტინგენში მიეღო. აშკარად ღელავდა და უჭირდა იმაზე ლაპარაკი, რაც აწუხებდა.

„დოქტორო დომლერ, ჩემი ქალიშვილი არ არის კარგად, გონება არეული აქვს, ბევრ სპეციალისტს გავასინჯე, მოწყალების დაც ავუყვანე, გვირჩიეს სიმშვიდე და დასვენება და ამ გზითაც უმკურნალეს, მაგრამ არაფერმა უშველა. დაუინებით მირჩიეს თქვენთვის მომემართა“.

„ძალიან კარგი“, თქვა დოქტორმა. „ახლა კი, გთხოვთ ყველაფერი მიამბოთ, თავიდან ბოლომდე“.

„არ ვიცი რით დაიწყო, რამდენადაც ვიცი, არც ჩემსა და არც ჩემი ცოლის გვარში სულით ავადმყოფი არავინ ყოფილა. თორმეტი წლის ნიკოლი უდებოდ დარჩა, გუვერნანტების ამარა, და შეიძლება ითქვას, რომ მე ვიყავი მისთვის ორივე, მამაც და დედაც — მამაც და დედაც, ორთავე“.

ამის თქმაზე ძალიან აღელდა, თვალებზე ცრემლები მოადგა და დოქტორმა დომლერმა ახლავდა შეამჩნია, ვისკი დაელია.

„შესანიშნავი ბავშვი იყო — ყველა გიჟდებოდა მასზე. ჭკვიანი, ლაღი და მხიარული, უყვარდა კითხვა, ხატვა, ცეკვა, როიალზე დაკვრა: მახსოვს, ცოლი მეუბნებოდა, ჩვენი შვილებიდან მხოლოდ ნიკოლი არ ტირისო ღამით. მე უფროსი ქალიშვილიც მყავს, ვაჟიშვილიც მყავდა, პატარა მოგვიკვდა, მაგრამ ნიკოლი — ნიკოლი ყოველთვის — ყოველთვის...“

სიტყვა გაუწყდა და დოქტორი დომლერი მიეშველა:

„ყოველთვის სავსებით ნორმალური, ჯანმრთელი და ხალისიანი ბავშვი იყო“.

„ღიახ, ღიახ, სავსებით“.

დოქტორი დომლერი იცდიდა. მისტერ უორენმა თავი გადააქნია, ღრმად ამოიოხრა, დოქტორ დომლერს ცერად გახედა და ისევ იატაკს ჩააშტერდა.

„რვა თვის წინათ, ან შეიძლება ექვსი თვის, თუ ათი თვის წინათ — არ მახსენდება სად ვიყავით, მაშინ სადა ვცხოვრობდით, როცა ეს დაემართა — რაღაც უაზროდ, ახირებულად იქცეოდა — ჩემმა უფროსმა ქალიშვილმა შეამჩნია და მითხრა, მე ვერაფერს ვატყობდი, ჩემთვის ისევ ის ნიკოლი იყო“, საჩქაროდ დაუმატა, თითქოს ვიღაცამ ამას რაღაცა დააბრალა. „ისეთივე საყვარელი, პატარა გოგო, პირველად იმ ლაქიას ამბით დაიწყო“.

„აჰა, ღიახ“. თქვა დოქტორმა დომლერმა და შექალაქავებული თავი დარ-

¹ „მეტად ვეფექტური მამაკაცი“ (ფრანგ.).

ბაისლურად, ისე დაუქნია, თითქოს უკვე იცოდა, შერლოკ ჰოლმზის ვით, რომ ადრე თუ გვიან ლაქია უნდა ეხსენებინათ, ზუსტად ლაქია და არა სხვა ვინმე.

„ერთი ლაქია მყავდა, წლების მანძილზე იყო ჩვენთან, შვეიცარიელი, სხვათა შორის“. თავი ასწია და შეხედა დოქტორ დომლერს მკვლევარება, პატრიოტული ალტაცების გამოვლენას ელისო მისგან. „და ნამდვილად მსჯელდება, რომ ის ლაქია დასდევდა. ახლა ექვიც არ მეპარება, რომ ეს ნონსენსია, მაგრამ მაშინ დავიჯერე და დავითხოვე“.

„კერძოდ, რას აბრალებდა მას თქვენი ქალიშვილი?“

„საქმეც ის არის, რომ ექიმებმა ვერაფერი ათქმევინეს. ისე შეაკქერდებოდა ხოლმე, გეგონება ისედაც უნდა მიხედრილიყვნენ. ხმას არ იღებდა. მაგრამ ცხადი იყო, საქმე ეხებოდა რაღაც უხამს ცდას ნიკოლის მიმართ. ეს აშკარა იყო“.

„გასაგებია“.

„მე წამიკითხავს მარტოხელა ქალების ხანდახან აკვიატებულ აზრებზე, თითქოს საწოლის ქვეშ, ან კარს უკან კაცი იმალება და ბევრი ამისთანა. მაგრამ, ნიკოლს რად უნდა დამართოდა ეს? თაყვანისმცემელი ბევრი ჰყავდა, ოღონდაც თვითონ სდომებოდა და ვინ არ შეიყვარებდა. მაშინ ვილაში ვცხოვრობდით, ლეიკ ფორისტში — საზაფხულო აგარაკია ჩიკაგოსთან, მთელი დღეები ბიჭებთან გოლფსა თუ ჩოგბურთს თამაშობდა. ბევრი მათგანი ლამის ჰკუპას კარგავდა ნიკოლისთვის“.

უორენი ლაპარაკობდა, ხმელ-ხმელი, ხანდაზმული დოქტორი დომლერი კი ფიქრში ხანდახან ჩიკაგოს იხსენებდა. ერთ დროს, ახალგაზრდობაში იქ გადასვლა შესთავაზეს, შეეძლო წასულიყო, ჩიკაგოს უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოების წევრი და დოცენტი იქნებოდა და თუ დათანხმდებოდა, იქნება მდიდარი კაციც გამხდარიყო, თავისი კლინიკის პატრონი. აქ კი წილშია სხვებთან, აქციების რაღაცა პაკეტი თუ აქვს. ვერ გაბედა, იქაური ველები რომ წარმოიდგინა, გადაშლილი პურის ყანები და ის უკიდევანო პრერიები, გაიფიქრა, რომ თავისი ცოდნა არ ეყოფოდა, ვერ გასწვდებოდა იმხელა სიერცეს და უარი თქვა. მაგრამ მაშინ ბევრი რამ წაიკითხა ჩიკაგოზე, არმორების, პალმერების, ფილდების, კრეინების, უორენების, სუიტების, მაკკორმიკების და ბევრ სხვათა ძლიერ და გავლენიან გვარებზე. იმის მერე ჩიკაგოდან და ნიუ-იორკიდან ბევრი პაციენტი ჰყოლია იმათი ფენიდან.

„თანდათან უარესად მდებოდა“. განაგრძობდა უორენი. „შეტევები დაეწყო და რაღაც არ იძახდა — მხოლოდ შეშლილი, შეშლილი თუ იტყოდა იმას... უფროსმა დამ სცადა ზოგი რამ ჩაეწერა. ნახეთ“ — დომლერს რამდენჯერმე გადაკეცილი ფურცელი გაუწოდა. „ბევრი რამ კაცებზეა, თითქოს დასდევდნენ, არ ასვენებდნენ, ზოგი უცნობი, ზოგი ისეთი, ვისაც კარგად იცნობდა, ქუჩაში გამელელები — ყველა...“

კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა თავიანთ დარღსა და მწუხარებაზე, ყველაფერზე, რაც გადახდათ, იმაზე, თუ რა საშინელებაა ასეთი უბედურების დატრიალება ოჯახში, რომ მკურნალობამ ამერიკაში უნაყოფოდ ჩაიარა და ბოლოს იმაზე, რომ იმ იმედით, მდგომარეობა შეიცვლებოდა, არ შეუშინდა წყალქვეშა ბლოკადას და ქალიშვილი შვეიცარიაში ჩამოიყვანა.

„შტატების კრეისერით“, ცოტა ქედმაღლურად დააზუსტა. „ბედნიერი შემთხვევის წყალობით შევძელი ამის მოხერხება. შეიძლება ისიც დავუმატო,

რომ“, თითქოს თავს იმართლებსო, ისე გაეღიმა, „როგორც იტყვიან, რა სათქმელია, ფული არის და...“

„ცხადია“, მშრალად შენიშნა დოქტორმა დომლერმა. კარგად ვერ გაეგო, რად ან რას ატყუებდა ეს კაცი. ან, თუ არ ტყუოდა, მაშინ რა ხდებოდა, მთელი ოთახი რად ივსებოდა სიყალბით მისი საუბრისა, იმის ფრთხილად ტვიდის კოსტიუმით სპორტსმენივით დაუდევრად რომ მიწოლილიყო სავარძელში? გარეთ, თებერვლის დღის ბურუსში ტრაგედია ტრიალებს, პაწაწინა ჩიტს ფრთები მოსტეხია, აქ კი რაღაც ისე არ არის, სხვა ამბავია.

„ახლა თქვენს ქალიშვილს მინდა ველაპარაკო — ცოტა ხნით, სულ რამდენიმე წუთს“. თქვა დოქტორმა დომლერმა და ინგლისურ ენაზე განაგრძო საუბარი, თითქოს ეს უფრო მიაახლოებდა უორენთან.

მერე, როცა უორენმა ქალიშვილი კლინიკაში დატოვა და თვითონ ისევ ლოზანას დაბრუნდა, დოქტორმა დომლერმა და ფრანცმა ნიკოლის ავადმყოფობის ისტორიაში ჩაწერეს:

«Diagnostic: Schizophrénie. Phase aiguë en décroissance. La peur des hommes est un symptôme de la maladie, et n'est point constitutionnelle... Le pronostic doit rester réservé»¹.

და შეუწელებელი ინტერესით ელოდნენ დაპირებისამებრ როდის ჩამოვიდოდა მისტერ უორენი კლინიკაში.

მისტერ უორენი აგვიანებდა, კიდევ ორი კვირის მერე დოქტორმა დომლერმა წერილი მისწერა და რაკი პასუხი არ მიიღო, დაუშვა ისეთი რამ, რაც იმ დროისთვის une folie² ჩაითვლებოდა — ვევეს „გრანდ ოტელთან“ ტელეფონით ლაპარაკი შეუკვეთა. მისტერ უორენის კამერდინერმა უპასუხა, მისტერ უორენი დღეს მიემგზავრება ამერიკაში და ემზადებაო. მაგრამ იმის გაფიქრებაზე, კლინიკის ხარჯების სპეციალურ დავთარში ამ ლაპარაკისთვის ორმოცი შვეიცარიული ფრანკი ჩაიწერებაო, დოქტორ დომლერს ტიულრელი გვარდიელის სისხლმა უყვილა და მისტერ უორენი აიძულა ტელეფონთან მოსულიყო.

„საჭიროა თქვენი ჩამოსვლა -- უდავოდ. თქვენი ქალიშვილის ჯანმრთელობა ამაზე ჰკიდია. ვერავეითარ პასუხისმგებლობას მე ვერ ვიკისრებ“.

„მაგრამ, დოქტორო, თქვენთან რისთვისღა მოვიყვანე, მე სასწრაფოდ გამოსიძახეს შტატებში!“

დოქტორი დომლერი მიჩვეული არ იყო ასეთ შორ მანძილზე ლაპარაკს, მაგრამ მაინც შეძლო ისე ურყევად წაეყენებინა თავისი ულტიმატუმი ტელეფონში, რომ შეშინებულმა ამერიკელმა ხაზს იქით ვერ გაუძლო და დათმო. ციურიხის კლინიკაში მეორედ ჩამოსული უორენი ოცდაათი წუთის მერე დანებდა. მოხდენილ პიჯაკქვეშ ძლიერი მხრები უთრთოდა ყრუ ქვითინისგან, თვალები ჟენევის ტბაზე ჩამავალ მზებზე უფრო მეტად შეუწითლდა და ფრანცმა და დომლერმა შემზარავი ამბავი მოისმინეს.

„თვითონაც არ ვიცი, რანაირად მოხდა“, ჩახლეჩილი ხმით ლაპარაკობდა. „თვითონაც არ ვიცი, არ ვიცი — ჯერ კიდევ ბავშვი იყო, დედა რომ მოუკვდა

¹ „დიაგნოზი: შიზოფრენია. მწვავე სტადია, მდგომარეობა თანდათან უარესდება. დაავადების სიმპტომთა მამაკაცების შიში, რაც ორგანული არ არის... პროგნოზი ჯერ გაურკვეველია“ (ფრანგ.).

² სიგიჟედ (ფრანგ.).

და დილაობით ჩემთან იწვა ხოლმე, ზოგჯერ ჩაეძინებოდა კიდეც, ძალიან მენანებოდა საბრალო პატარა. მერე ერთად ვმოგზაურობდით, ავტობობლითა და მატარებლით, დავდიოდით ხელიხელჩაკიდებული და რაღაცას მიმღეროდა ხოლმე. ზოგჯერ ერთმანეთს ვეტყოდით: „მოდით დღეს არავინ შეგნებდეთ, ეს დილა მხოლოდ ჩვენი იყოს — შენ და მე, სხვა მეტი არავინ გვიხდა“. მწარე სიცილი გაერია ხმაში, „ხალხი, ჩვენი შემხედვარე, ტიროდა თითქმის, ნახეთ, რა შესანიშნავი მამა-შვილიაო. შეყვარებულებსა ვგავდით და — ერთხელაც მართლა გავხდით შეყვარებულები — ათი წუთის მერე მზად ვიყავი ტყვია დამეხალა, მაგრამ, ეტყობა, ჩემნაირ წყევულსა და გადაგვარებულს არ შესწევს ამის ძალა“.

„მერე?“ იკითხა დოქტორმა დომლერმა და ისევ ჩიკაგოს დაუბრუნდა ფიქრით, ის წყნარი, ფერწასული ჯენტლმენი გაახსენდა, პენსნეთი, ისე ყურადღებით რომ აცქერდებოდა მას ამ ოცდაათი წლის წინათ, ციურხში. „გაგრძელდა ეგ ამბავი?“

„ო, არა, არა!“ მაშინვე თითქოს ყინულად იქცა, მხოლოდ ამას ამბობდა, „არაფერია, მამიკო, არაფერია, ნუ ჯავრობ, არაფერია“.

„შედეგმა ხომ არ იჩინა თავი?“

„არა“. ერთხელაც აქვითინდა, რამდენჯერმე მოიხტოცა ცხვირი. „თუ იმას არ ჩავთვლით, რომ აქ არის ახლა“.

დოქტორმა დომლერმა ბოლომდე მოისმინა, ბურჯუაზიული ინტერიერის ტრადიციულ ღრმა სავარძლის ზურგს მიეყრდნო და თავისთვის, ლამის იღრიალა: „ხეპრე!“ ამ ოცი წლის მანძილზე იშვიათად რომ ასეთი არამეცნიერული დასკვნის გამოტანის უფლება მიეცა თავისი თავისთვის. მერე ეს უთხრა:

„შინდა ციურხში, ოტელში გაათიოთ ღამე, დილით კი აქ მოხვიდეთ და მნახოთ“.

„მერე?“

დოქტორმა დომლერმა ისე გაშალა ხელები, გოჭი ჩაეტეოდა შიგ.

„ჩიკაგო“, ვარაუდითა თქვა.

IV

„ამის მერე უკვე გასაგები იყო რა შემთხვევასთანაც გვექონდა საქმე“, თქვა ფრანცმა. „დომლერმა უორენს უთხრა, რომ დიდი ხნით უნდა დაშორებოდა ქალიშვილს, სულ ცოტა ხუთი წლით მაინც, და მხოლოდ ამ პირობით ავიყვანდით. პირველი მარცხისა და დათმობის მერე, უორენს, ეტყობოდა, ყველაზე მეტად ის აწუხებდა, რომ ამერიკამდე არ მიეღწია ამ ამბავს. მკურნალობა დავადგინეთ და დაველოდეთ. პროგნოზი ცუდი იყო — თავადაც იცით, მორჩენის პროცენტი ამ ასაკში ძალიან დაბალია“.

„პირველი წერილები უიმედო იყო“, დაეთანხმა დიკი.

„თანაც მეტად ნიშანდობლივი, ვყოყმანობდი კიდეცაც პირველი წერილის გამოგზავნაზე, მაგრამ მერე ვიფიქრე, იცოდეს-მეთქი დიკმა, რომ აქ საქმეს ვაკეთებთ. ამ წერილებზე გამოხმაურება დიდსულოვნება იყო მართლა“.

დიკმა ამოიოხრა.

„ისეთი კარგი სახე აქვს — რამდენიმე სნეპშოტი¹ გამომიგზავნა, ისუ-
დაც, ერთ თვეს მაინც უსაქმოდ ვიყავი ბარ-სიურ-ობში. თანაც, ბევრს ანა-
ფერს ვწერდი, მხოლოდ ამას თუ: „ჭკვიანად იყავით და ექიმებს გაუფიქრეთ“.

„ესეც კმაროდა — ვილაცა ჰყავდა კლინიკის გარეთ, ვილაც, ვისთანაც უფრო
რი შეეძლო. მანამდე — არავინ, მხოლოდ უფროსი და, ვისთანაც უფროსი
მაინცდამაინც დურად ვერ არის. გარდა ამისა, მისი წერილების კითხვა გვეხმა-
რებოდა — იმათში მთელი პროცესი და მდგომარეობა ვლინდებოდა“.

„კარგია“.

„ხედავთ რა მოხდა? თავი თანამზრახველად მიიჩნია, მაგრამ ეს არც აქეთ
და არც იქით, ისე არსებითი არ არის, მხოლოდ ფსიქიკის თანდაყოლილი სიმ-
ყარისა და ხასიათის ძალის გასარკვევად თუ გამოგვადგება. ჯერ — ეს შოკი.
მერე პანსიონში მიაბარეს და იქ, ტოლ-სწორების საუბრების გავლენით თანა-
მოზიარის აზრი მოიშორა, ეს — აშკარა თავდაცვის გამო. აქედან კი ძნელი არ
იყო ჩასრიალება ილუზიების სამყაროში, სადაც ყველა მამაკაცი ბოროტია და
რაც უფრო მეტად გიყვარს და რაც უფრო მეტად მიენდობი, მით უფრო ვერა-
გები არიან...“

„როდისმე თუ ულაპარაკია იმ საშინელებაზე, რაც დაემართა?“

„არა, ისე კი, ვაცმა რომ თქვას, დაახლოებით ოქტომბერში, თითქოს ნორ-
მალურობას რომ დაუბრუნდა, — გაგვიჭირდა. ოცდაათი წლისა რომ ყოფილი-
ყო, შეიძლება დავლოდებოდით, რომ თვითონვე შეძლებდა საბოლოოდ
მომჯობინებას, მაგრამ, რაკი ასეთი ნორჩი იყო, გვეშინოდა, გულმრუდე არ
დარჩენილიყო. ასე რომ, დოქტორმა დომლერმა გულახდილად უთხრა: „ახლა
ყველაფერი თქვენზეა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვათ, რომ ცხოვ-
რება თქვენთვის დამთავრდა — პირიქით, მხოლოდ ახლა იწყება“. და ასე შემ-
დეგ და ამგვარად. გონება უჭრის და დოქტორმა ფროიდიც კი მისცა წასაკით-
ხად — რალაცა, მაინცდამაინც ბევრი არა, და დაინტერესდა. ერთი სიტყვით,
აქ ყველას ნებიერია და ყველა ეფერება. მაგრამ ბუნებით გულჩახვეულია“,
დაუმატა ფრანცმა და ცოტა შეყოყმანდა: „კარგი იქნებოდა გვეცოდნოდა, ბო-
ლოდროინდელ წერილებში, თვითონ რომ აგზავნიდა ციურიხიდან — არის თუ
არა რაიმე ისეთი, რაც მის გუნებასა და მომავალზე მიანიშნებს“.

დიკი ჩაფიქრდა.

„არის და არც არის, შემიძლია გაგანდოთ ეს წერილები, თუ გნებავთ.
მათში იმედიც ჰქვივის და სიცოცხლის წყურვილიც, საკმაოდ რომანტიკულიც
კი. ხანდახან „წარსულზე“ ლაპარაკობს, მაგრამ ამ სიტყვას იმ ხალხივით ხმა-
რობს, ციხეში რომ მჯდარა, როცა ვერ გაიგებ რაზეა ლაპარაკი, ჩადენილ და-
ნაშაულზე, ციხეზე თუ მართლა წარსულზე. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ვინა
ვარ მე მისთვის? მანეკენი, ჩალის ფიტული“.

„ცხადია, მე მესმის თქვენი მდგომარეობა და ერთხელაც მინდა მადლობა
გითხრათ. ამიტომაც მინდოდა მენახეთ მანამ, სანამდე შეხვდებოდით“.

დიკმა გაიცინა.

„გგონიათ, დამინახავს თუ არა, მაშინვე მომაფრინდება?“

„არა, ეგ არა. მე ძალიან გთხოვთ ფრთხილად იყოთ, თქვენ ქალებს მოს-
წონხართ, დიკ“.

¹ მომენტური, სახელდახელოდ გადაღებული ფოტოსურათი (ინგლ.).

„მაშინ, ღმერთმა დამიფაროს, მით უარესი! მხოლოდ ფრთხილად ვიყო კი არა, შევეცდები თავი კიდევაც შევაზიზლო. შეხვედრამდე ნიორს გავლექავ, გაუპარსავი მივალ და ნახავთ, ჩემი დანახვისას გაქცევა და დამადრევა/თუ არ მოუხდეს“.

ერეკუნეშლი

„არა, ნიორი არ გინდათ!“ სერიოზულად შეშფოთდა მუხონიკისმა შეიძლება თქვენს კარიერას ავნოთ, თქვენ ალბათ ხუმრობთ“.

„ერთი ფეხით კოჭლობაც შემოძლია, თანაც, ამ გახსენებაზე, იქ, სადაც ახლა ვცხოვრობ, სააბაზანო არ არის“.

„რალა თქმა უნდა, ხუმრობთ“, ფრანცმა შეება იგრძნო, ყოველ შემთხვევაში, ასეთი იერი მიიღო. „ახლა კი თქვენზე მიამბეთ, რას აპირებთ, რა გინდათ?“

„მხოლოდ ერთი რამ, ფრანც, ის, რომ კარგი ფსიქიატრი გავხდე, და მხოლოდ კარგი კი არა, შეიძლება ყველაზე დიდი ფსიქიატრიც იმათ შორის, ვინც კი ყოფილა“.

ფრანცმა გულიანად გაიცინა, მაგრამ ხედავდა, ამჯერად დიკი არ ხუმრობდა.

„დიდებულია. — და მეტისმეტად ამერიკული“, თქვა მან. „ჩვენთან ეგ ეგრე იოლი არ არის“. წამოდგა და ბალში გამავალ კართან მივიდა. „როცა აქ ვდგები, ციურებს ვხედავ. აგერ, იქ, გროს-მიუნსტერის სამრეკლოა, პაპაჩემი მარხია იქ. ოღნაე მოშორებით, ხიდს იქით ჩემი წინაპრის, ლაფატერის საფლავია, არ უნდოდა, რომ ეკლესიაში დამარხულიყო. იქვე ახლო კიდევ ერთი წინაპრის, ჰაინრიხ პესტალოცის ქანდაკება და დოქტორ ალფრედ ეშერის ძეგლია. და ამას ყველაფერს მალლიდან დაჰყურებს ცვინგლი. მთელი პანთეონი გმირებისა — ყოველთვის თვალწინ მიდგას“.

„გასაგებია, ფრანც“. დიკი წამოდგა. „წავიტრაბაზე. ისე კი, ყველაფერი წინ არის; საფრანგეთში მყოფი ამერიკელების უმრავლესობას, ერთი სული აქვს, შინ როდის წავა, ჩემი კი — სხვა საქმეა, თუ უნივერსიტეტში ლექციებს დავესწრები, ოფიცრის ხელფასი მთელი წლით მენახება. როგორია ასეთი ეესტი სახელმწიფოს მხრიდან — ჩანა იცის იმათი დაფასება, ვინც ქვეყანას სახელს შემატებს, გამოადგება. წლის ბოლოს ერთი თვით ჩავალ შტატებში მამაჩემის საჩაბავად. მერე კი ისევ აქ დავბრუნდები — ადგილი შემომთავაზებს“.

„სად?“

„თქვენს კონკურენტებთან — გისლერის კლინიკაში, ინტერლაკენში“.

„არ გირჩევთ“. უთხრა ფრანცმა. „ერთ წელიწადში მაგათ ათი ახალგაზრდა ექიმი მაინც გამოიცივალეს, თუ მეტი არა. გისლერი თვითონ არის დაავადებული მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზით და კლინიკას მისი ცოლი განაგებს საყვარელთან ერთად — ეს ჩვენ შორის დარჩეს, რა თქმა უნდა“.

„ამერიკულ ვეგმებზე აღარაფერს ფიქრობთ?“ სხვათა შორის ჰკითხა დიკმა. „გახსოვთ, ნიუ-იორკში წასვლას ვაპირებდით, რათა მე და თქვენ მილაარდერებისათვის ახალი ტექნიკით აღჭურვილი მოდერნიზებული კლინიკა დაგვეარსებინა?“

„ეგ სტუდენტური ბოდვა იყო“.

დიკმა ფრანცთან, ბალის განაპირას ჩადგმულ კოტეჯში ისაძილა, იმის ახალმოყვანილ ცოლსა და იმის პატარა ძაღლთან ერთად. ძაღლს რატომღაც

დამწვარი რეზინის სუნი ასდიოდა. გაუცნობიერებელი სევდა მოაწვია, არა, ეს არ იყო ხელმოკლეობისა და ყაირათიანობის ატმოსფეროს გამო, არც ტრაუტ გრეგოროვიუსის, რომელიც სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო, არამედ ტრანციის ჰორიზონტის მოულოდნელი შეზღუდვის გამო, რაც, ერთუბრალოდ მას სულ არ აწუხებდა. დიკისთვის ასკეტიზმი სხვა რამე იყო ბიჭობის მწიკის მისაღწევი საშუალება, და სინათლის წყარო, წინსვლაში რომ შეაწვავა კაცს: მემკვიდრეობით მიღებულ სამოსში ქვაწვიასავით ცხოვრების ჩატევა კუაზრობად ეჩვენებოდა. შეზღუდული სივრცე, რომელშიც ტრანცი და მისი ცოლი ცხოვრობდნენ, ერთფეროვანს ხდიდა იმათ ყოფიერებას და მიმზიდველობას უკარგავდა, საინტერესოს არაფერს ჰპირდებოდა. ომის შემდგომმა თვეებმა საფრანგეთში, ამერიკულმა ხელგაშლილობამ და ვანცბრომამ გავლენა მოახდინა დიკზე, ოღონდ, ყველასგან განებივრებული — კაცებისა თუ ქალებისაგან, შესაძლოა ინტუიციით ხვდებოდა, რომ ასეთი რამ სერიოზულ კაცს მაინცდამაინც არ გამოადგებოდა, და ამან ჩამოიყვანა კვლავ დიდი შვეიცარიული საათის ზუსტად შუაგულში.

კეტე გრეგოროვიუსი მოხიბლა თავაზიანობითა და ქათინაურებით, მაგრამ ძლივს იკავებდა თავს, რომ არ შეემჩნია გაღიზიანება, რასაც ყვავილოვანი კომბოსტოს სუნით გაჟღენთილი ეს სახლი იწვევდა მასში, და ვერ იტანდა თავის თავს ამ უეცარი და აუხსნელი აწრიალების გამო.

„ღმერთო ჩემო, ბოლოს და ბოლოს მეც ისეთი ვარ, როგორიც სხვები?“ ფიქრობდა მერე, შუალამისას, გაღვიძებულზე. „ნუთუ მეც ისეთი ვარ, როგორიც სხვები?“

ძეტად შეუფერებელი გრძნობები სოციალისტიკისთვის, მაგრამ სავსებით შესაფერისი იმათთვის, ვინც ერთ-ერთი ყველაზე საოცარი და უიშვიათესი პროფესია აირჩია ქვეყანაზე. ქეშმარიტება კი ის გახლდათ, რომ რამდენიმე თვე იყო უკვე, დიკის ჭაბუკური მთლიანი ბუნება დაშლა-დაყოფას განიცდიდა. რის დროსაც წყდება ის საკითხი, ღირს თუ არა მოკვდე იმისთვის, რაც უკვე მეტად აღარ გჯერა. ციურების უძილო ღამეების სიწყნარეში ქუჩის ფარნის შუქით განათებულ ვიდაცის სამზარეულოს გაჰყურებდა და უნდოდა კეთილი, გულისხმიერი, გამბედავი და ჰკვიანი ყოფილიყო, რაც არც ისე იოლია. და ისიც უნდოდა, რომ ჰყვარებოდა ვინმეს, თუკი ეს ხელს არ შეუშლიდა.

▼

მთავარი კორპუსის ვერანდაზე ღია კარებიდან კაშკაშა სინათლე იღვრებოდა, მაგრამ იაქთალებქვეშ მაინც ბნელოდა. წნული სავარძლების უცნაური ჩრდილები ქვემოთ, გლადიოლუსების კვლებისკენ იწელებოდნენ. მისს უორენის ფიგურა ჯერ ოთახიდან ოთახში გამავალ სხეების ფიგურებშუა გაკრთა და მერე, დიკი რომ შეამჩნია, მკაფიოდ აისვეტა კარებში, ოთახიდან გამოსულს სახეზე სინათლე შერჩა და თან გამოიყოლა. ისე მოდიოდა, თითქოს ცუკავსო, მთელ კვირას სიმღერას ხმა ჩაესმოდა, გადასარკული ცისა და შმაგად იღუმბალი ზაფხულის ბინდის მღერა და როცა დიკი გამოჩნდა, ისე ხმამაღლა გაისმა იგი, ეს მღერა, რომ მოუნდა აპყოლოდა, შეეძლო შერწყმოდა.

„გამარჯობათ, კაპიტანო“, თქვა და თვალი ძლივს მოაშორა, თითქოს

დიკის მზერაში ჰქონდა ახლართული თავისი მზერა. „გნებავთ, აქ/დაესხდეთ?“ ჯერ ისევ იდგა, კიდევ უყურებდა. „დღეს ზაფხულივით თბილა“

ვილაც შალშემოხვეული ქალი გამოჰყვა, ნიკოლმა წარუდგინა დიკს: „სენიორა...“

ფრანცმა ბოდიში მოიხადა, საქმე მაქვსო და დიკმა ხაში სკამით ახლო-ახლო დადგა.

„კარგი საღამოა“, თქვა სენიორამ.

„შესანიშნავი“, დაეთანხმა ნიკოლი და დიკს მიუბრუნდა. „დიდი ხნით ჩამოხვედით?“

„ციურიხს თუ გულისხმობთ — კარგა ხნით“.

„ნამდვილი გაზაფხულის პირველი საღამოა“, შენიშნა სენიორამ.

„სანამდე გასტანს?“

„ივლისამდე მაინც ასე იქნება“.

„მე კი ივნისში წავალ“.

„ივნისი შესანიშნავი თვეა ამ მხარეში“, უთხრა სენიორამ. „კარგს იზამთ, ივნისს თუ აქ გაატარებთ და ივლისში წახვალთ, როცა ძალიან დაცხება“.

„სად წახვალთ?“ დიკი შეეკითხა ნიკოლს.

„სადაც ბები, ჩემი და წამიყვანს, საცა მზიარულემა იქნება, იქ მივინდა. მე ხომ ძალიან ბევრი დრო დავკარგე. მაგრამ ალბათ ფიქრობენ, რომ ჯერ უფრო წყნარ ადგილას ჯობია ჩემთვის წასვლა, ვთქვათ კომოში, რატომ არ შეიძლება თქვენც ამოხვიდეთ კომოში?“

„აჰ, კომო...“ დაიწყო სენიორამ.

შენობის შიგნით ზუპეს „მსუბუქი კავალერიის“ შესავალი დაუკრეს. ტრიო უკრავდა, მოისმა თუ არა ხმა, ნიკოლი წამოდგა; დიკმა შეხედა, ძალიან ახალგაზრდა იყო და ისეთი ლამაზი, რომ მღელვარება-მოწოლილს ლამის სული შეუგუბდა. ნიკოლმა გაიღიმა, ამადელვებლად, ბავშვურად — სამყაროს გზაარეული ახალგაზრდობა ჩანდა თითქოს იმის ღიმილში.

„ასეთი ხმაურიანი მუსიკის ხმებში ძნელია საუბარი, იქნებ — მოდით, გავიაროთ. Buenas noches, სენიორა“.

„ღამე მშვიდობის, ღამე მშვიდობის“.

ბილიკზე გადავიდნენ, ცოტა იქით ბილიკი უკვე ჩრდილში მოექცა. ნიკოლმა მკლავში მოჰკიდა ხელი.

„მე კარგი ფირფიტები მაქვს, ჩემმა დამ გამომიგზავნა ამერიკიდან“, თქვა მან. „როცა ისევ ჩამოხვალთ აქ, მოვასმენინებთ. ერთი კარგი ადგილი ვიცი, სადაც პატეფონის დადგმა შეიძლება და ვერავინ გაიგონებს“.

„სიამოვნებით“.

„პინდოსტანი“ იცით?“ — ხარბად ჩაეკითხა. „მე მომწონს, ადრე არასოდეს მომისმენია.. სხვებიცა მაქვს — „რალა დროს ჩვენი ბავშვობაა“ და „მიხარია, ჩემთვის ტირი“. ალბათ ბევრჯერ გიცეკვიათ ამ სიმღერების ჰანგზე პარიზში“.

„პარიზში არ ვყოფილვარ“.

დიკს სულ მისი კრემისფერი კაბისთვის უნდოდა ეცქირა, ხან ცისფერი. ხანაც ნაცრისფერი რომ დაჰკრავდა ბილიკზე სიარულისას, მისი საოცრად ღია ოქროსფერი თმისთვის; როცა კი უნდა შეეხედა, ოდნავ იღიმებოდა, სახეზე ფარნის შუქი დაეცემოდა და ანგელოზივით უნათლებოდა, ყველაფრისთვის

თითქოს მადლიერი იყო დიკისა, თითქოს სადმე წაეყვანოს წვეულებაზე, და დიკს ახლა უფრო უძნელდებოდა გაერკვია, რანაირად მოქცეოდა მას, ის კი თანდათან ლაღდებოდა — რაც ქვეყანაზე სიხარულია, გეგონება იმისი, იმ სიხარულით ივსებოდა.



„ახლა თავისუფალი ვარ, აღარაფერი მბოჭავს, რასაც მინდა, იმას გავაკეთებ“. თქვა მან. „კიდევ ორი ფირფიტაცა მაქვს, აუცილებლად მოგასმენინებთ, ესენია: „როცა ნახირი ჩამოვა მთიდან“, და „მშვიდობით, ალექსანდრ!“

მეორედ ჩამოსვლისას, ზუსტად ერთი კვირის მერე, ცოტა შეაგვიანდა: ნიკოლი უკვე ელოდებოდა ფრანცის სახლსა და მთავარი კორპუსის შუა გზაზე. შუბლზე გადაწეული თმა მხრებზე ეყარა და — თითქოს იმწუთას გამოუჩნდაო სახე, ან თითქოს ეს-ეს არის, მთვარიან ღამეს ტევრიდან მინდვრად გამოვიდაო. გამოუცნობი და იდუმალი რამ მოსცილდა; დიკს მოუხდა, რომ წარსული არა ჰქონოდა, რომ უეცრად გამოჩენილი ქალიშვილი ყოფილიყო და არა იმ სიბნელიდან მოსული; პატეფონი სადღაც ფარდულში ჩაედგა და იქით წაიყვანა. ერთ სხვა ფარდულს შემოუარეს, კლდის ძირში, დიდ ქვაზე ავიდნენ და იქ დასხდნენ. გარშემო, რამდენიმე მილის მოშორებით, ჩამუქებული ბორცვები ჩანდა.

ახლა ამერიკაში იყვნენ, ფრანციც კი, რომელიც დიკს მოუგერიებელ ლოტარიოდ თვლიდა, ვერ მიხვდებოდა, რომ ასე შორს წასულიყვნენ. წუხდნენ, ეძებდნენ, ერთმანეთის შესახვედრად მიიჩქაროდნენ პაემანზე ავტომობილით. ძვირფასო და თაფლზე უტკბესო; ღიმილს სტაცებდნენ ერთმანეთს და სადღაც ჰინდოსტანზე შეხვედრებს იხსენებდნენ; მერე, ეტყობა, წაიჩხუბნენ. იმიტომ, რომ აღარაფერი აღარ ესმოდათ, სულ ერთი გახდა, რაკი გათავდა სიყვარული, და ერთი მათგანი წავიდა ბოლოს, დაუტოვა წუხილი და დარდი მეორეს, სევდა იმაზე, რაც იყო მხოლოდ.

მიმწყდარი ჰანგი, იმასთან ერთად, რაც ძველად იყო, წავიდა, გაქრა და მაინც ისევ იმედიანი, საღამოს სიბნელეს შეერთო. სიმღერა თავდებოდა და სანამ ახალი დაიწყებოდა, ჭრიჭინობელას ხმა ისმოდა. მერე ნიკოლმა პატეფონი გააჩერა და თვითონ დაიწყო. დიკს უმღერა.

მონეტა კილით
დაღე ძირს და წავა ტრიალით,
უყურე როგორ დაქანდება
ვერცხლის ციალით...

თითქოს არც სუნთქავდა, მხოლოდ ტუჩებს ამოძრავებდა სიმღერის სიტყვების სათქმელად.

დიკი უცებ წამოდგა.

„რა მოხდა? არ მოგეწონათ?“

„როგორ არა, მომწონს“.

„ეს კიდევ ჩვენმა მზარეულმა მასწავლა შინ:“

ახლა მიხვდა რა დაკარგა,
ჰკუთა სად ჰქონდა,
რადღა დროსია...

„მოგწონთ?“

გაუღიმა, ღიმილში ატევდა იმას, რასაც დიკის მიმართ გრძნობდა, უანგაროდ გაიღებდა მისთვის ყველაფერს ამ წუთიერი გამოძახილის, მცირე ხარკისთვის, ოღონდ თავისი გულის ცემასთან იმისი გულის ცემაც ვგრძნობ. ბინდდებოდა და ბინდიდან და ტირიფებიდან ნელ-ნელა ეღებოდა წყალში ეღვრებოდა ნეტარება.

თვითონაც წამოდგა, წაიბორძიკა, პატეფონს წამოჰკრა ფეხი და წამიერად დიკს მიეხალა, მის გაშლილ მხრებში ჩარგო თავი და უმაღვე ისევ განზე გადგა.

„ერთი ფირფიტაცა მაქვს“, თქვა, „ლეტი, ნახვამდის?“ ალბათ იცით“.

„დამიჯერეთ, გაიგეთ, ასეთი არაფერი ვიცი“.

და არც იცოდა, შეეძლო ისიც ეთქვა, რომ არც გაუგონია, გემოთიც არ გაუხინჯავს, სუნიც არ მოსვლია. ასეთი რამ მის ცხოვრებაში არ ყოფილა; მხოლოდ სახეალეწილი გოგოების ცხელი სუნთქვა მოფარებულ და შეხუთულ შესახვევებში. ნიუჰეივენელი ქალიშვილები 1914 წელს აკოცებდნენ კაცებს და ეტყოდნენ: „აბა, აბა!“ მკერდზე მუშტს მიადებდნენ, რომ კოცნის მერე უმაღ ხელი ეკრათ მათთვის, და ახლა, ეს კატასტროფას ძლივს გადარჩენილი მიუსაფარი, მთელ უცნობ სამყაროს უშლიდა წინ...

VI

უკვე მაისი იდგა, როცა ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. საუზმე ციურხში სიფრთხილის სკოლა იყო; დიკის ცხოვრების ლოგიკით ნიკოლისთვის აშკარად არ რჩებოდა ადგილი და დრო, მაგრამ როცა იქვე, ახლო მაგიდასთან მჯდომი ვიღაც მამაკაცი ნიკოლს დაეინებით მიაკქერდა არეული თვალებით, ნაპირზე უცებ ანთებული, ლოციაში აღუნუსხველი ცეცხლივით დიკმა ზრდილობიანად, მაგრამ ისეთი მუქარით შეხედა, რომ კაცმა მაშინვე განზე გაიხედა.

„ვიღაც მოცლილია“, სხვათა შორის აუხსნა ნიკოლს. „თქვენს კაბას აცქერდებოდა დიდი ცნობისმოყვარეობით. ამდენი კაბა რადა გაქვთ?“

„ჩემი და ამბობს, რომ ძალიან მდიდრები ჯართ“, დამნაშავესავით უთხრა ნიკოლმა. „ბებიამ დაგვიტოვა ბევრი ფული“.

„შემინდვია“.

საკმაოდ უფროსი იყო ნიკოლზე იმისათვის, რომ მისი უცოდველი ახალგაზრდული პატივმოყვარეობითა და თავდაჯერებით გართულიყო, ნიკოლისა, აღტაცებით რომ იყურებოდა რესტორანის ვესტიბიულის სარკეში და არ ეშინოდა იმისა, რაც მოუსყიდველ ამაღამას შეეძლო ეთქვა. დიკს მოსწონდა, რომ ახალ ოქტავეებს აწვდენდა ხელს ნიკოლი და თანდათან ეჩვეოდა იმასაც, რომ ლამაზი და მდიდარი იყო. გულწრფელად ცდილობდა მოეშორებინა იმისთვის ფიქრი, რომ ეს მან, დიკმა შეკრა და ხელახლა გაამთელა დამსხვრეული არსება — უნდოდა, ნიკოლს თავისით, უიმისოდ ერწმუნა საბოლოოდ ბედნიერებაცა და სიხარულიც; მაგრამ ეს ძნელი იყო, რადგან ადრე თუ გვიან, ბოლოს მაინც ამბროზიის ძღვენივითა და საკმევი გუნდრუკივით, დიკს უფენდა ფეხქვეშ ყველაფერს.

ზაფხულის პირველივე კვირებში დიკი უკვე მყარად დამკვიდრდა ციურ-რიხში. ადრეულ თეზისებს თავი მოუყარა, სამხედრო სამსახურში კოფუნისას დაგროვილი მასალებიც მიუმატა და ამათ მიხედვით ამთავრებდა ახლა თავის „ფსიქოლოგიას ფსიქიატრთათვის“. გამომცემელიც თითქოს უკვე შეწყვედა, თანაც ერთ ღარიბ სტუდენტს მოელაპარაკა, რომ წაეკითხა მისი წიგნი და ენაში დაშვებული შეცდომებისთვის მიეხედა. ფრანცი ამ საქმეს სარისკოდ თვლიდა, ადრეაო, მაგრამ დიკმა შენიშნა, არჩეული თემა უბრეტენზიო, უბრალოაო.

„არასოდეს მეცოდინება ეს მასალა ისე კარგად, როგორც ახლა ვიცი“, დაუინებით ამბობდა დიკი. „თუ აქამდე არსებითი და ძირითადი არ არის იგი, მჯერა, მხოლოდ იმის გამო, რომ თეორიულად არ გაშუქებულა. ჩვენი პროფესია, რატომღაც ერთგვარად გატეხილ და სულით გაბზარულ ხალხს იზიდავს. პოდა, ისინიც, კლინიკასა და „პრაქტიკაზე“ დაყრდნობით, „მთლიანდებიან“ და ამგვარად, უბრალოდ აღწევენ გამარჯვებას.“

„თქვენ სხვა ხართ, ფრანცი, თქვენი პროფესიისთვის განგებამ ჯერ კიდევ მანამდე გამოგარჩიათ, სანამ ამ ქვეყანაზე გაჩნდებოდით და ამას ღმერთს უნდა უმადლოდეთ. მე კი ფსიქიატრი მხოლოდ იმიტომ გავხდი, რომ ერთი ვინმე ქალიშვილი ოქსფორდში, წმ. პილდას კოლეჯში, ფსიქიატრიის ლექციებზე დადიოდა. ახლა კი — შესაძლოა ბანალურიც გეჩვენოთ ამის თქმა, მაგრამ არ მინდა, რომ ჩემი ახლანდელი იდეები რაღაც ათ კათხა ლუდს გავაყოლო.“

„თქვენ იცით“, მიუგო ფრანცმა. „თქვენ ამერიკელი ხართ. შეგიძლიათ ეს ისე გააკეთოთ, რომ ზიანი არ მიაყენოთ თქვენსავე თავს, როგორც ეჭიმს. მე პირადად ასეთი რამე მაინცდამაინც თითქოს გულზე არ მახატია. მერე პატარ-პატარა წიგნებსაც გამოუშვებთ სათაურით „აზრები არასპეციალისტებისათვის“, სადაც ყველაფერი ისე მარტივად იქნება, რომ ფიქრი აღარავის მოუხდება. მამაჩემი რომ ცოცხალი იყო, არ შეგაქებდათ დიკ, თითქოს ვხედავ, შემოგხედავდათ, ხელსახოცს აიღებდა, დაკეცავდა, ასე, დიდხანს ატრი-ალებდა ხელში ამ რგოლს, სწორედ ამას“, ფრანცმა დროისა და ხმარებისაგან ჩამუქებულ, მოყავისფრო, ზედ ტახისთავამოტვიფრულ რგოლზე მიუთითა, „და გაჯავრებით დაიწყებდა, „მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება...“ მაგრამ შემოგხედავდათ, და უცებ თავისთვის, ფიქრშიღა იტყოდა: „კაცმა რომ თქვას, რა აზრი აქვს, რისთვის...“ არ დაამთავრებდა სათქმელს, ბუზლუნს მოჰყვებოდა და ასე გაგრძელდებოდა, სადილობის გათავებამდე.“

„დღეს მე ერთი ვარ“, გაცხარდა დიკი, „მაგრამ ხვალ, შეიძლება მართო არ ვიყო, სხვებიც გამოჩნდნენ. მერე მე დავკეცავ ხელსახოცს მამათქვენივით და მოვყვები ბუზლუნს.“

ფრანცი გაჩერდა, ცოტა ხნის მერე ჰკითხა:

„პაციენტი როგორ არის?“

„არ ვიცი“.

„ვინ უნდა იცოდეს ახლა, თქვენ თუ არა?“

„მე მომწონს იგი, ლამაზია. მერე, როგორ გგონიათ, რა უნდა ვქნა — მთებში წავიყვანო, ედელვაისებში?“

„არა, მაგრამ ვიფიქრე, რაკი მეცნიერულ ტრაქტატებზე მუშაობთ, იქნებ რაიმე იდეა წამოჭრილიყო“.

„მთელი სიცოცხლე მას შევწირო?“
 ფრანცმა ცოლს გასძახა სამზარეულოში:

„Du lieber Gott! Bitte, bringe Dick noch ein Glas Bier!“¹

„რაკი დომლერთან უნდა ვილაპარაკო, მეტს აღარ დავლევ.“
 „ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირველ რიგში პროგრამა უნდა გექონდეს. ერთ
 თვეზე მეტი გავიდა. ქალიშვილი აშკარად შეყვარებულია თქვენზე. სხვა გარე-
 მოში ეს ჩვენი საქმე არ იქნებოდა, მაგრამ აქ, კლინიკაში, ეს ჩვენც გვეხება“.

„ისე მოვიქცევი, როგორც დოქტორი დომლერი იტყვის“, დაეთანხმა
 დიკი.

მაგრამ მაინცდამაინც არ სჯეროდა, რომ დომლერი შეძლებდა გარკვეუ-
 ლიყო შექმნილ ვითარებაში, სადაც თვითონ დიკს ეთმობოდა დიდი ადგილი.
 თავისთავად მოხდა ასე და ახლა თითქოს ამის ხელთ იყო ისიც, რაც მერე მოხ-
 დებოდა. ამ ამბავმა ერთი ეპიზოდი გაახსენა ბავშვობიდან, ვერცხლეულის გან-
 ჯინის გასაღები რომ დამალა შიფონერში, აიღო და დედის ცხვირსახოცების
 ქვეშ ამოღო; ყველა იმ გასაღებს ეძებდა, არაქათი გამოეცალათ, ეს კიდეც
 მთელ ამ ამბავს, ფილოსოფოსივით, გაუცხოებით უყურებდა. რაღაც ამდაგ-
 ვარს გრძნობდა ახლა, როცა ფრანცთან ერთად პროფესორ დომლერის კაბი-
 ნეტში შედიოდა.

პროფესორს ძველებური მყუდრო სახლის ვაზშემოხვეულ აივანსავით
 მშვენიერი ქილვაშებიანი სახე ჰქონდა და დიკმა შეხედვისთანავე დაყარა ფარ-
 ხმალი. დომლერზე უფრო ნიჭიერი ხალხიც შეხედდრია ცხოვრებაში, მაგრამ
 დომლერივით შთაგონებული სახე არავის ჰქონია და მასზე უფრო ძლიერი
 გავლენაც არავის მოუხდენია დიკზე... ექვსი თვის მერეც, როცა დომლერი
 მიცვალებული ნახა, იგივე გაიფიქრა. აივანი დაცარიელებულიყო, ვაზივით
 ქილვაშები მაგარ, გახამებულ თეთრ საყელოზე ელაგა, თხელ, ფურცელივით
 ქუთუთობებქვეშ სამუდამოდ ჩაქრობოდა შეუპოვრობა და მრავალი ბრძოლის
 ანარეკლი.

„...დილა მშვიდობის“, სამხედროსავით გაიმართა დიკი.

პროფესორმა დომლერმა მშვიდი ხელები ერთმანეთს გადააჭდო. ფრანცმა
 საქმიანად, თითქოსდა ადიუტანტივით, თითქოს მდივანივით წამოიწყო ლაპა-
 რაკი, მაგრამ უფროსმა სიტყვა შეაწყვეტინა.

„ჩვენ ერთგვარ შედეგს მივადწიეთ“, მშვიდად წარმოთქვა. „მაგრამ, დოქ-
 ტორო დაივერ, თქვენზე ძალიან ახლა უკვე სხვა ვერავინ დაგვეხმარება“.

დიკს გზა მოუჭრეს და აღიარა:

„ჯერ მე თვითონაც კარგად არ მესმის ყველაფერი“.

„მე არ მეხება თქვენი პირადი დასკვნები“, თქვა დომლერმა. „მაგრამ მე
 სწორედაც მეხება სხვა რამ — ამ „გადართვას“, ირონიული მზერა ესროლა
 ფრანცს და ამანაც ისევე შეხედა დოქტორს, „ბოლო უნდა მოეღოს. მისს ნი-
 კოლის მდგომარეობა ახლა უკეთესია, მაგრამ მაინც ვერ არის ისე კარგად,
 რომ მოერიოს, რასაც ტრაგედიად აღიქვამს თვითონ“.

ფრანცს რაღაც უნდოდა ეთქვა, დაიწყო კიდეც, მაგრამ დოქტორმა
 დომლერმა ანიშნა, ჩუმად ყოფილიყო.

¹ „აჰ, ღმერთო ჩემო! თუ შეიძლება მოუტანე დიკს ლუდი, კიდეც ერთი ჭიქა“.
 (გერმ.).



„მე მესმის, ძნელ დღეში ხართ“.

„დიახ, ასეა“.

პროფესორი უცებ უკან გადაიხარა და გადაიხარხარა. სიცოცხლის ძლიერად მორჩა, ნაცრისფერი, ბასრი პატარა თვალები უციმციმებდა: „თქვენ თვითონაც ხომ არ გაებით, იქნებ თქვენც მოგწონთ? სხვა რა გზა ჰქონდა, უნდა ეპასუხა და თვითონაც გაიციინა დიკმა.“

„ძალიან ლამაზი ქალიშვილია — ეს ცხადზე-ცხადია, და ძნელია არ აღიარო, მაგრამ მე არ ვაპირებ...“

ფრანცმა ისევ სცადა ლაპარაკში ჩაბმა — დომლერმა ისევ შეაჩერა და პირდაპირ ჰკითხა დიკს.

„ხომ არ ფიქრობთ, რომ აქედან წასვლა ჯობია თქვენთვის?“

„წასვლა არ შემიძლია“.

დოქტორი დომლერი ფრანცს მიუბრუნდა: „მაშინ ისე უნდა მოვახერხოთ, რომ მისს უორენი წავიდეს“.

„როგორც საჭიროდ მიიჩნევთ, პროფესორო დომლერ“, დაეთანხმა დიკი. „ვითარება მართლაც რთულია“.

პროფესორი დომლერი წამოდგა — მძიმედ, ხეიბარევით.

„მაგრამ — ვითარება, რაც ექიმმა უნდა გაარკვიოს“. ხმამაღლა, მაგრამ მშვიდად წამოიძახა მან.

ისევ ხვნეშით ჩაეშვა სავარძელში და დაელოდა, როდის გადაივლიდა ჭექა-ქუხილი, მთელი ოთახი რომ აავსო. დიკი ხედავდა, დომლერი უკიდურესად იყო დაძაბული, თავის თავისაც არ სჯეროდა, ბოლომდე თუ შეძლებდა ასე მშვიდად ყოფნას. ქუხილი მიწყდა და ფრანცმა, როგორც იქნა, თქვა, რაც უნდოდა:

„დოქტორი დაივერი შესანიშნავი კაცია, მხოლოდ, საჭიროა სწორად შეაფასოს შექმნილი ვითარება და გამოსავალსაც იპოვის, ჩემი ღრმა რწმენით, დიკს შეუძლია ჩვენთან ითანამშრომლოს და მაშინ აქედან არავის წასვლა აღარ იქნება უკვე საჭირო“.

„თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?“ დიკს შეეკითხა პროფესორი დომლერი. ვითარება უფრო და უფრო საჩოთირო ხდებოდა ახლა. წელან, დომლერის სიტყვის მერე, სიჩუმე რომ ჩამოვარდა, დიკისთვის ცხადი გახდა, რომ გაურკვეველობა დიდხანს ვეღარ გაგრძელდებოდა, ადრე თუ გვიან, ბოლო უნდა მოლდებოდა და უცებ, თითქოსდა დაახეთქა:

„მე მგონია, ლამის შეყვარებული ვარ, ისიც კი გავიფიქრე, იქნება ცოლად შევირთო-მეთქი“.

„რა? რა?“ აღმოხდა ფრანცს.

„მოიცაო“. შეაჩერა დომლერმა, მაგრამ ფრანცს მოცდა არ უნდოდა:

„როგორ, შეირთოს! და თითქმის მთელი სიცოცხლე შესწიროს იმას, რომ იყოს მისი ექიმიც, მომვლელიც, და რა ვიცი, კიდევ რა — არასოდეს! მე ძალიან კარგად ვიცი ეს ავადმყოფები. ოცი შემთხვევიდან ერთი თუ იკურნება საბოლოოდ. ჯობია სულაც აღარ ნახოთ, სულ არ შეხვდეთ და ეგ იქნება!“

„რას იტყვით?“ დიკს ჰკითხა დომლერმა.

„იმას, რომ ფრანცი, მართალია“.



შუადღე უკვე გადასული იყო, კამათს რომ მორჩნენ და ბოლოს შეთანხმდნენ, რომ დიკი ისევ ისეთი გულისხმიერი იქნებოდა, რა ამასობაში თანდათანობით დაშორდებოდა, როცა საშივე დოქტორი წამოდგა, დიკმა უნებურად სარკმელს შეხედა, წვიმა ცრიდა, იმ წვიმაში ნიკოლი იდგა სადღაც, იდგა და მათ უცდიდა. გარეთ გავიდა, გზადაგზა ლაბადის ყველა დილი შეიკრა, შლაპა ჩამოიწია, ლამის შებლზე ჩამოიფხატა და — სადარბაზოსთან ნიკოლს შეეჯახა.

„ერთი ახალი ადგილი ვიცი, დღეს იქ შეგვიძლია წავიდეთ“, თქვა მან. „იცი, ვიდრე ავად ვიყავი, შემეძლო მთელი საღამო სხვებთან ერთად ვმჯდარიყავი შინ და მაინც არაფერი მესმოდა, რაზე ან რას ლაპარაკობდნენ. ახლა კი სულ მახსოვს რომ ვარშემო ავადმყოფები არიან და ეს... ეს...“

„მალე წახვალთ აქედან“.

„პო, მალე. ჩემი და ბეტა — თუმცა შინ ყველა ბების ეძახის — ჩამოვათრი კვირის მერე და წამიყვანს სადმე. ერთხანს ერთად ვიქნებით, მერე კი ისევ აქ დავბრუნდები და ბოლო ერთ თვეს აქ გავატარებ“.

„თქვენი და თქვენზე უფროსია?“

„კი, ბევრად, ოცდაოთხი წლისაა, სულ ინგლისელსა ჰგავს, ლონდონში ცხოვრობს, მამიდაათან. ინგლისელი საქმროს ჰყავდა, მაგრამ ომში მოუკლეს, მე ერთხელაც არ მინახავს“.

ნაწვიმარზე მზის ჩასვლას მღვრიე ფერი ედო და იმ ფონზე ნიკოლის სახე, სპილოსძვლისფერს ოქროსფერი რომ შერეოდა, დიკს როგორღაც სხვაგვარად ეჩვენა, ადრე თითქოს არასოდეს ენახა ასეთი: ამოწეული ყვრიმალეები, გამჭვირვალე კანი — ოღონდ ციებ-ცხელებით შეპყრობილისა კი არა — უფრო სიგრილესა და სიჯანსაღეს რომ გავრძნობინებდათ, და იოლად მიგახვედრებდათ, მერეც როგორი იქნებოდა, იმ ჯიშისანი კვიცივით, უკვე სინიბად რომ წარმოიდგენ და იცი, — ცხოვრების უღიმღამო ეკრანზე იგი მხოლოდ და მხოლოდ ახალმოზარდის პროექცია კი არ იქნება, არამედ ცხენი გამძლე და ფეხმაგარი. ეს სახე ლამაზი იქნებოდა მერეც, შუახნისას და სიბერეშიც; ამას მისი წყობა და ნაკვთების მოხაზულობის მკაცრი სინატიფე შეტყველებდა.

„ასე რად მიყურებთ?“

„ახლა იმაზე ვფიქრობდი, რომ ალბათ ძალიან ბედნიერი იქნებით“.

ნიკოლი შეშფოთდა:

„რომ არა? თუმცა, იმაზე უარესი რაღა მოხდება, რაც უკვე იყო“.

შეშის ფარდულში შეიყვანა დიკი და იქ დაჯდა. ფეხი ფეხზე გადაედო, გოლფის ფეხსაცმელები ეცვა და ლაბადაში გახვეულიყო. ცივი, ნოტიო ჰაერისაგან ლაწვეები ოღნავ შეჰფაკლოდა, თვითონაც შეხედა დიკს, დაბნეულად შეხედა, დიკი ბოძს მიყრდნობოდა და ახლაც, ასე მდგომს, ხეს მიყრდნობილს, ამაყი იერი ჰქონდა. სახეში შეხედა ნიკოლმა, სანდომიან სახეში, რომელსაც მქირფავი ღიმილი დიდხანს არ შერჩებოდა ხოლმე და ხუმრობის მერეც, მაშინვე ისევ სერიოზული, გულისხმიერი უხდებოდა. რაღაცა ჰქონდა ისეთი, რაც ეგრერიგად ეხამებოდა მისი კანის მოწითალო ირლანდიურ ელფერს, მაგრამ ამ მხრივ, ვაფი-კაციასს მხრივ ნიკოლი ცოტათიც არ იცნობდა მას; და კიდევაც ეშინოდა რამეს ცოდნისა, თუმცა, ძირისძირობამდეც კი სურდა ჩას-

წვდენოდა: სხვა დიკი, თავდაპირველი და თავაზიანი, გულსხმიერი გამოხედვით, იოლად მისაწვდომი იყო მისთვის და ქალების უმრავლესობასათვის, უკვე თავისად იგულა ახლა ასეთი დიკი, უფიქრელად.

„ეს კია, აქ ძალიან გავიწაფე ენებში“, თქვა ნიკოლმა, უკვე უფრო ფრანგულად ვლაპარაკობდი, მედიცინის დებთან გერმანულად, უფრო უფრო ფრანგულად და კიდევ ერთ-ორ მნე ქალთან — იტალიურად, ერთ პაციენტთან საუბრებით კი ჩემი ესპანური გავამდიდრე“.

„შესანიშნავია“.

ცდილობდა მშვიდად, გააზრებულად ელაპარაკა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა.

„...მუსიკაც. მე მხოლოდ რეგტაიმი როდი მაინტერესებს, იმედი მაქვს, ასე არ ფიქრობთ ჩემზე. ყოველდღე ვმეცადინებ, ბოლო თვეებში კი მუსიკის ისტორიის კურსიც მოვისმინე ციურიხში. ეს მაძლებინებდა — მუსიკა და ხატვა, ამით გამყავდა დრო“. დაიხარა, ლანჩას ხეჭი მოაშორა, დიკს ახედა. „რა კარგი იქნებოდა, ახლა დამეხატეთ, ასეთი, ბოძთან მდგარი“.

დიკს ნაღველი მოჰგვარა ამ ლაპარაკმა. ალბათ ფიქრობდა, რომ ასე უფრო თავს აწონებდა.

„მშურს თქვენი. მგონია, ჩემი საქმის გარდა, აღარაფერი მაინტერესებს“.

„მერე რა, მამაკაცისთვის ეს კარგიც არის“, სწრაფად თქვა ნიკოლმა. „ქალი სხვა საქმეა, ქალს სჭირდება, რომ თავისი აღზრდა გააღრმავოს, მერე იგი შვილებისთვის გამოადგება“.

„ალბათ ასეა“, მოჩვენებითი დაუდევრობით მიუგო დიკმა.

ნიკოლი გაჩუმდა. დიკს ერჩივნა კი ელაპარაკა, უფრო იოლად შეძლებდა ასე იმ ნესტიანი საბურვლის „თამაშს“, რასაც სუყველა ერიდება, მაგრამ ნიკოლი ჩუმად იჭდა.

„თქვენ უკვე სავსებით ჯანმრთელი ხართ“, თქვა მან. „დაივიწყეთ წარსული, დაძაბულობას ერიდეთ ერთ წელიწადს მაინც. დაბრუნდით ამერიკაში, შეიყვარეთ ვინმე და — იყავით ბედნიერი“.

„შეყვარება მე არ შემეძლება“, ფეხსაცმლის წვერით იმ ჭირკს, ზედ რომ იჭდა, ხავსი მოაცილა.

„ძალიან კარგადაც შეგეძლება“, შეეპასუხა დიკი. „ახლა არა, ასე, ერთი ან ორი წლის მერე“. და შეუბრალებლად დაუმატა: „გათხოვდით, გექნებათ მშვენიერი ოჯახი და გეყოლებათ მშვენიერი ბავშვები. ის ფაქტი, რომ ამ აააკში შეგეძლოთ აღგედგინათ თქვენი ფსიქიკა, თავისთავად ბევრს მეტყველებს. დამიჯერეთ, ქალიშვილო, თქვენ მაგრად იდგებით ფეხზე მაშინაც, როცა თქვენი ტოლ-მეგობრები დაღლილობისგან უკვე წაქცევას იქნებიან“.

უხმოდ გაუძლო, აიტანა ტკივილი, ბოლომდე მოისმინა მკაცრი შეგონება. ოღონდ თვალებში გაუკრთა რაღაც საწყალობელი.

„მე ვიცი, რომ კარგა ხანს არ შეიძლება ჩემი გათხოვება“, წყნარად წარმოთქვა.

დიკს გული ჩასწყდა. აღარაფერი უთქვამს, მზერა მწვანე ჯეჯილისკენ გადაიტანა და თავს ძალა დაატანა, რომ ჩვეული სიმტკიცე დაებრუნებინა.

„ძალიან კარგად იქნებით, აქ ყველას სჯერა თქვენი. იცით, დოქტორი გრეგორი ისე ამაცობს თქვენით, რომ...“

„ვერ ვიტან დოქტორ გრეგორის“.

„არა, ასე არ ვარგა“.

ნიკოლის შექმნილი სამყარო დაინგრა, მაგრამ ეს, მყიდვე და გაუძღვებადი სამყარო იყო, დიდი ხნით ვერ იარსებებდა, ოღონდ, ნებსით თუ უნებლიეთ, რაც აღელვებდა, სუყველაფერი ისევ ფეთქავდა იმ სამყაროში, ნუთუ მხოლოდ ერთი საათის წინ ელოდა სადარბაზოსთან და იმედი ჰქონდა, რომ იმეგრებული ყვავილივითა რთავდა მხოლოდ?

...აბრეშუმის შარიშური — მისთვის, კაბავ, ღილო, ჩადექ ღილ-კილოში, ნარგიზებო, იშრიალეთ, შენ, ჰაერო, გამჭვირვალე, საამურო, უძრავ იდექ.

„ჰო, კარგი იქნება ისევ გართობა და ისე ცხოვრება“, ლულულუდით ამბობდა.

წამით სასოწარკვეთილმა აზრმა გაუელვა, ეთქვა დიკისთვის, რა მდიდარი იყო და რა სახლებში ცხოვრობდა, აეხსნა, რომ იგი კაპიტალია და არცთუ მცირე კაპიტალი, წამით თითქოს თავისი პაპის, ცხენებით მოვაჭრე სიდ უორენის სული ჩაუდგა. მაგრამ ამდენი ფასეულობის ერთად თავმოყრის ცთუნებას სძლია და ყველაფერი ისევ იმ თავიანთ ვიქტორიანულ განჯინებში შეაღაგა. თუმცა ახლა აღარაფერი დარჩენოდა ტკივილისა და სიცარიელის გარდა.

„წვიმამ თითქმის უკვე გადაიღო. დროა დავბრუნდე კლინიკაში“.

დიკი გვერდით მიჰყვებოდა, გრძნობდა ნიკოლის ნალველსა და უბედურებას და მის ლაწვებზე დადენილი წვიმის დაღვევაცა სურდა.

„ახალი ფირფიტები მივიღე“, თქვა ნიკოლმა, „ერთი სული მაქვს, როდის დავუკრავ, თქვენ გაგიგიათ...“

იმ საღამოს, ვახშობის მერე ისეთ გუნებაზე იყო, ყველაფერს ბოლოს მოვუღებო, გაიფიქრა; ფრანცის მიბეგვაც კი უნდოდა დიკს, რომ ამისთანა დღეში ჩააგდო. კარგა ხანს იცდიდა ჰოლში. ვილაც ბერეტთან მოჰკრა თვალი, მაგრამ ნიკოლის ნაწვიმებ ბერეტს არ ჰგავდა, იმ თავის ქალას ედო, ამას წინათ ოპერაცია რომ გაუკეთეს. ქვეშიდან ფიცხლად შემოხედა დიკს, თვალები ჩააშტერა და ახლო მივიდა:

- Bonjour, Docteur•.
- Bonjour, Monsieur•.
- Il fait beau temps•.
- Oui, merveilleux•.
- Vous êtes ici, maintenant?•
- Non, pour la journée seulement•.
- Ah, bon. Alors – au revoir, Monsieur!•.

გახარებული, რომ ლაპარაკს კარგად გაართვა თავი, საბრალო ბერეტთან

1 „გამარჯობათ, ექიმო“.

2 „გამარჯობათ, მესიე“.

3 „კარგი ამინდია“.

4 „ღიახ, მშვენიერი“.

5 „თქვენ ახლა აქ მუშაობთ?“

6 „არა, მხოლოდ ერთი დღით ჩამოვედი“.

7 „აი თურმე რა. მაშ, ნახვამდის მესიე“ (ფრანგ.).

მოსცილდა და თავის გზას გაუყვა. დიკი ისევ იცდიდა. უცებ კიბეზე ჩამოშვებული მომვლელი ქალი დაინახა, ამბავი მოჰქონდა მასთან.

„მისს უორენი ბოდიშს გიხდით, დოქტორო. ამ საღამოს თქვენი ოთახში, ზევით ივანეშვილებს, ადრე სურს დაწვეს“.

ისე შეჰყურებდა დიკს, თითქოს ელოდა, მისს უორენის შემოქმედებულ სიმპტომად, პათოლოგიურად ჩათვლისო.

„აჰ, გასაგებია. დიახ...“ გეგონება, გულზე დაადგაო, ძლივს მოითქვა სული. „იმედი მაქვს კარგად არის. გმადლობთ“.

ფრანცს ბარათი დაუტოვა, ატყობინებდა, რომ ვახშმად ვერ დარჩებოდა და ქალაქგარე ტრამვაის ვაგზლის გზას ფეხით გაუყვა. წინ ლიანდაგები ბზინავდა, საბილეთო ავტომატების მინებში ბინდის მზე ცრიატდებოდა და უცებ, თითქოს ეს ვაგზალიცა და კლინიკაც, ხან ცენტრისკენული და ხანაც ცენტრიდანული ძალებით დაირწა. შიშმა შეიპყრო და როცა ფეხქვეშ ციურიხის მყარი ქვაფენილი იგრძნო, გაუხარდა.

მეორე დღეს ელოდა, რომ რაღაცას გაიგებდა ნიკოლისგან, მაგრამ არაფერი შეხმაურებია. ცოტა არ იყოს შეშფოთდა, ფრანცს დაურეკა კლინიკაში და ჰკითხა, როგორ არისო.

„საუზმეზე ჩამოვიდა ქვევით, გუშინაც და დღესაც“, უპასუხა ფრანცმა, „ცოტა დაბნეული კი ჩანდა, ღრუბლებში იყო. როგორ ჩაიარა თქვენმა შეხვედრამ?“

დიკმა იმ გუშინდელი ალბურის ნაპრალის შემოვლა სცადა.

„არაფერი, გრილო-გრილოდ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ. საკმაოდ ცივად მეჭირა თავი, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვი, თითქოს ჩემდამი შეცვლოდა რამე, თუ მართლა ისე ღრმავა ეს გრძნობა, როგორცა ფიქრობთ“.

შესაძლოა პატივმოყვარეობა შეელახა იმის გამო, რომ coup de grâce არ გახდა საჭირო.

„მომვლელთან მისი ლაპარაკის მიხედვით მე ვფიქრობ, ყველაფერს მიხვდა“.

„მით უკეთესი“.

„ალბათ ეს ყველაზე კარგი გამოსავალია, უარესი შეიძლებოდა მომხდარიყო“.

„ჰოდა, მით უკეთესი“.

„დიკ, ჩამოდით, მალე მნახეთ“.

VIII

მთელ კვირას დიკს უკმაყოფილების გრძნობა სტანჯავდა. ამ ამბის იმთავითვე პათოლოგიურობამ და იძულებითმა ბოლომ ლითონის მყირტე გემო დაუტოვა. ნიკოლს საძაგლად მოეჩვენა, ცუდად გამოიყენეს მისი გრძნობები— არადა, იქნებ თვითონაც შეიპყრო იმავე გრძნობამ? ეს იზმრებოდა, კლინიკის ხეივანს მიჰყვებოდა, ბილიკზე მიდიოდა, ფარფლებიანი ჩალის შლაპით... უნდა დაეხსნას, ცოტა ხნით მაინც თავი უნდა დააღწიოს ამ სიზმრების ნეტარ ტყვეობას...

ერთხელაც ცხადად დაინახა: სწორედ იმ დროს, „პალას — ოტელის“

სადარბაზოს რომ ჩაუარა, საუცხოო „როლს-როისი“ მოგრიალდა. სულ ერთი ბეწო მოჩანდა ამოდენა, ასზე მეტი ცხენისძალიანი გიგანტური ავტომობილის შიგნით, გვერდით კიდევ ერთი ახალგაზრდა ქალი ეჯდა, თავისი და ჩქნებამო, გაიფიქრა დიკმა. ნიკოლმა თვალი მოჰკრა და თითქოს შიშით აუფრთხოდდა და გაეხსნა ბაგე. დიკმა შუბლზე ჩამოიწია შლაპა და არ შეხებებულა, ისე გაიარა. მაგრამ იმ წამით იმის გარშემო გროს-მიუნსტერის ყველა ქინკამ ერთი წივილითა და კივილით ფერხული დაუარა. შინ მისულმა გონს მოსვლა სცადა, თავიდან ბოლომდე გაიზრა და ღრმად გააანალიზა ნიკოლის ავადმყოფობა, მთელი მისი მსვლელობა და ის დასკვნა გამოიტანა, რომ რეციდივი უთუოდ თავს იჩენდა, რადგან ცხოვრებასთან შეჯახება და სტრესები თავისას იზამდა და იმოქმედებდა. ერთი სიტყვით, მეტად დამაჯერებელი ჩანაწერი გამოვიდა, დამაჯერებელი ყველასთვის, გარდა ჩამწერისა.

ამ კიდილმა კი მხოლოდ ის გამოიღო, რომ ერთხელაც დარწმუნდა, თვითონაც რა ღრმად ჩაეთრია თავისსავე ემოციებს, და რაკილა ამაში დარწმუნდა, შხამსაწინააღმდეგო საშუალებების ძებნასაც შეუდგა და თავგამოდებითაც შეეცადა. ერთი ასეთი შხამსაწინააღმდეგო საშუალება ბარ-სიურ-ობელი ტელეფონისტი ქალიშვილი აღმოჩნდა, იმხანად ევროპას რომ უვლიდა, ნიცადან კობლენცამდე მიმოდინოდა და გამწარებით ცდილობდა დაებრუნებინა თაყვანისმცემლები, იმ თავისი ხალისიანი ცხოვრების ხანაში რომ ჰყავდა; მეორე ის იყო, რომ ბევრი ირბინა, რათა მოეხერხებინა ბილეთის შოვნა აგვისტოში სპეციალური რეისით შეერთებულ შტატებში მიმავალ გემზე; მესამე კიდევ ის, რომ დაძაბულად მუშაობდა წიგნის კორექტურაზე, წიგნისა, რომელიც გერმანულ ენაზე უნდა გამოსულიყო შემოდგომაზე და მთელ ფსიქიატრიულ სამყაროს ეხილა, ყველა ფსიქიატრს, ვინც კი გერმანულ ენაზე კითხულობდა.

მაგრამ დიკისთვის ეს წიგნი წარსულს ჩაბარდა; უკვე უნდოდა თავდავიწყებით ემუშავა ახალ რამეზე და ოცნებობდა ისეთ ადგილზე, სადაც საკმაო მასალის დაგროვება შეეძლებოდა.

მანამდე კი კიდევ ერთი წიგნის დაწერა იზრახა: „ნევროზებისა და ფსიქოზების თანმიმდევრული სისტემური კლასიფიკაციის ცდა, დამყარებული ათას ხუთასი შემთხვევის შესწავლის საფუძველზე ფსიქიატრიის პრაქტიკიდან, როგორც კრებელინამდე, ისე კრებელინის მერეც, სხვადასხვა თანამდროვე სკოლათა ტერმინოლოგიით დიაგნოზდასმული“. არც ქვესათაური ჩამოუვარდებოდა — „წამოჭრილ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობის ქრონოლოგიური მიმოხილვითურთ“.

მონუმენტური სათაური კი გამოვიდოდა გერმანულად.

მონტრეს გზას ნელა მიჰყვებოდა ველოსიპედით და შიგდაშიგ თვალგაშტერებით აქცერდებოდა იუგენჰორნის ყურეს. სანაპიროზე, ოტელების ხეივანებში ანარეკლი ატანდა ტბიდან და ელვარება თვალსა სჭრიდა. დროდადრო ჯგუფებად ინგლისელები შემოხვდებოდნენ, დეტექტივის პერსონაჟებივით დადიოდნენ, აქ რაღაც ოთხი წლის წინათ იყვნენ და ისეთი შიშით იყურებოდნენ ახლა გარშემო, გეგონება, ამ საექვო ქვეყანაში გერმანულ ყაიდაზე გაწვრთნილი ყაჩაღების თავდასხმას მოელიანო. მთელ გზაზე, მთიდან ჩამოწოლილი ზვავებით რომ ჩახერგილიყო, გაცხოველებით მუშაობდნენ, მიწასა და ქვა-

ლორდს იღებდნენ და ყრიდნენ იქიდან. ბერნსა და ლოზანაში, გზის სამხრეთულ დაყოლებაზე, დიკს დროდადრო ხალისიანად ეკითხებოდნენ, „ამ წელს ამერიკელები ხომ არ ჩამოვლენო.“ „იქნებ აგვისტოში მაინც, ივნისში თუ არა?“

ტყაეის შორტები ეცვა, სამხედრო ხალათი და მთაში სასიარულად უფლებადი ფეხსაცმელები. ზურგჩანთაში კოტონის კოსტიუმი და ერთი-ორი-მეტი-მეტი-მეტი საცვალი ედო. გლიონის ფუნიკულიორზე ველოსიპედი ჩააბარა და იქვე, ბუფეტში ლუდის დასალევად შევიდა. ბუფეტის ტერასიდან მოჩანდა, როგორ მიცოცავდა მუქი პატარა ხოჭო დაბლა, ოთხმოცგრადაუსიან დაქანებაზე. ერთი ყური დიკს შემხმარი სისხლით ამოვსებოდა, ლა-ტურ-დე პელცის სამახსოვრო, სადაც იგი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ისე გაქანდა, იმ გუნებით — გამიშვით, კარგი ათლეტი ვარ, მერე რა, რომ არა მცნობენო. ბუფეტში ლუდი მოითხოვა და ვიდრე ფუნიკულიორის პატარა ვაგონი თაღებქვეშ მიცოცავდა, გარედან გაიწმინდა ყური. დაინახა, მისი ველოსიპედი რომ შეიტანეს ვაგონში, თავისი ზურგჩანთა იმ ვაგონის ცალ მხარეს მიაგდო და მერე თვითონაც შიგ შევიდა.

მთის გზებზე დახრილი ფორმის ვაგონებია, დახრილობის კუთხე იმ კაცის შლაპის ფარფლებივითაა, განგებ რომ ჩამოუწეგია, არავინ მიცნოსო. დიკს ქვევითა ვაგონის კამერიდან მოთქრიალე წყლის ხმაური ესმოდა და რა გონება მამახვილურად, მოხერხებულად არისო, ფიქრობდა — ქვევითა იცლებოდა და ახლა ზევითა ვაგონის კამერა ივსებოდა წყლით, ეს ვაგონი სიმძიმის ძალით ძირს ეშვებოდა და ქვევითას ზევით ეწეოდა. ქეშმარიტად, კარგი გამოგონებააო. დიკის მოპირდაპირედ ორი ინგლისელი იჯდა და ბაგირის ხარისხზე ბჭობდნენ.

„ინგლისში გაკეთებული ბაგირები ხუთ-ექვს წელს ძლებს. შარშანწინ შეკვეთა გერმანელებმა წაგვართვეს და როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანს გაძლო იმათმა ბაგირმა?“

„რამდენ ხანს?“

„ერთ წელიწადსა და ათ თვეს. მერე შვეიცარიელებმა იტალიელებს მიპყიდეს. საქმე ის არის, რომ ბაგირის სიმაგრეს მიღებისას სათანადოდ ვერ ამოწმებენ.“

„ჰო, ბაგირს რომ არ გაეძლო, შვეიცარიას საქმე ცუდად წაუვიდოდა.“

კონდუქტორმა კარი დაკეტა, ტელეფონით დაუკავშირდა თავის კოლეგას და ვაგონი ადგილიდან დაიძრა, ზევ-ზევით წავიდა, პაწაწინა წერტილისაკენ, ზურმუხტისფერი გორაკის თავზე რომ მოჩანდა. მალე თვალს მიეფარა მონტრეს სახურავები და მგზავრების წინ გადაიშალა ვოს, ვალეს, შვეიცარიის სავოისა და ენევის ციკლორამა — აქ, ტბის ცენტრში, ტბისა, რომელსაც რონის ცივი დინება აგრილებდა, დასავლეთ სამყაროს შუაგული იდო. სუსხიანი სილამაზის უნაყოფობაში ჩაკარგული ნავეები გედებს, ხოლო გედები ნავეებსა ჰგვანდნენ, მზიანი, კაშკაშა დღე იყო, ნაპირზე ბალახი ხასხასებდა, კურხალის ჩოგბურთის თეთრი კორტებიც უფრო ქათქათა თეთრი ჩანდა; უჩრდილოებო იყვნენ კორტებზე ფიგურები.

შილიონი და ზედ წამომართული სალანიონის სასახლე გამოჩნდა და დიკმა ქვევით დაიწყო ყურება. ვაგონი ახლა ფერდობზე, სახლების სახურავებზე-მთ მოცოცავდა. ორთავე მხარეს, შიგ ჩამალული ყვავილების მდელოებით, ჩირგვნარი ჩანდა, და ალაგ-ალაგ ჩირგვები განზეც იწეოდნენ, რომ ყვავილები ამოეჩინათ. ეს ბალი ფუნიკულიორის მიდამოსი იყო და ვაგონში წარ-

წერაც გაეკეთებინათ: „Défence de cueillir les fleurs“¹.

ყვავილების მოწყვეტა აკრძალული კი იყო, მაგრამ ჩაველისას თვითონვე გეძალდებოდნენ, ვაგონის ყველა კუბეს რიგრიგობით, თავისთავად ეწვეოდნენ დოროთი პარკინსის გრძელღეროიანი ვარდები; გინდასა მანგანობა, გაუშვებდი ბოლოს და ბოლოს და ისევ თავიანთ ადგილას მიიჭროდნენ და ახლა იქ ირხეოდნენ ფერად-ფერადნი. იმათ კი მერე სხვები ცვლიდნენ.

ჩვევითა მხარეს ინგლისელებს მოეყარათ თავი, იდგნენ და პეიზაჟით თავიანთ ალტაცებას ვერა ფარავდნენ. უცებ იქ რაღაც ალიაქოთი ატყდა — ახალგაზრდა ქალ-ვაჟი გაატარეს, — ბოდიშს იხდიდნენ და თან ქვევითა კუბესკენ მიიწევდნენ, იქით, სადაც დიკი იჯდა. ვაჟი იტალიელი იყო, თვალები ირმის ფიტულისას მიუგავდა, ქალიშვილი — ნიკოლი.

ჯერ კიდევ ვერ მოეტქვათ სული იმის გამო, რომ ძლივს გამოაღწიეს ამ ადგილამდე, იცინოდნენ, იქ მყოფი ინგლისელები კუთხეში მიყუჟეს, დასხდნენ და ნიკოლმა თქვა: „ჰელო!“ დიკმა მაშინვე შეამჩნია რაღაც ცვლილება, თითქოს ახლა კიდევ უფრო ლამაზი ჩანდა; უცებ ვერ გაიაზრა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ თმის გამო მოეჩვენა ასეთი. მშვენიერი თმა მოკლედ შეეჭრა, მოდა — აირენ კასლ — და დაეხვია. მქრქალი ცისფერი სვიტერი და ტენისის თეთრი ქვედა კაბა ეცვა. — მაისის პირველ დილასავით იყო, კლინიკის ნიშანწყალიც კი არ ეტყობოდა.

„უუჰ!“ შვებით ამოისუნთქა ნიკოლმა, „ესეც კონდუქტორია, რა, გაჩერდება თუ არა, მგონია, დაგვიჭერენ. დოქტორი დაივერი — გრაფი დე მარმორა“.

„ძლივს არ გამოვადწიეთ!“ ხელი ასწია და თმაზე გადაისვა. „იციოთ რა, ჩემმა დამ პირველი კლასის ბილეთები აიღო და — სხვაგვარად არ მოიქცეოდა“, მარმორამ და ნიკოლმა ერთმანეთს შეხედეს და ნიკოლმა წამოიძახა: „მერე კი აღმოჩნდა, რომ პირველი კლასი ლამის მძლოლის კაბინას ეკვრის, აქეთ-იქით ფარდები აქვს, ეს იმ შემთხვევისთვის, თუ გაწვიმდა, ისე რომ იქიდან არაფერი ჩანს. მაგრამ ჩემი დისთვის პრესტიჟი ხომ ყველაფერია...“ ნიკოლმა და მარმორამ ისევ ერთმანეთს გადახედეს და ახლო მეგობრებრევიტ, ერთმანეთისა უსიტყვოდაც რომ ესმით, გაიცინეს.

„საით გაგიწევიათ?“ ჰკითხა დიკმა.

„კო. თქვენც?“ ნიკოლმა მისი კოსტიუმი შეათვალიერა. „წინ რომ ველოსიპედია, თქვენია?“

„დიახ. მინდა ორშაბათს დავეშვა ქვევით“.

„მეც თქვენი ველოსიპედით წამოვალ. წამიყვანთ? არა, მართლა, ვგიჟდები, ისე ძალიან მინდა წამოსვლა“.

„რად გინდათ, უფრო კარგია, ხელში აგიყვანთ და ისე ჩაგიყვანთ ქვევით“, თავი გამოიღო მარმორამ. „ან ერთად ჩავალთ გორგოლაჭებით, ან კიდევ გიბიძგებთ და ბუმბულივით ჩაფარფატდებით“.

სახეზე შეეტყო ნიკოლს, როგორ მოეწონა ისევ ბუმბულივით და არა ტყვიასავით ყოფნა, რომ ეფარფატა და მძიმედ არ ევლო; გეგონება, კარნავალზეაო, ხან მიმიკას იშველიებდა, ანცობდა და ხანაც მორცხვობდა, ჩუმდებოდა. ზოგჯერ კი ჩრდილი გადაუვლიდა, ამაყ იერში შერეული ძველი წუხი-

¹ „ყვავილების მოწყვეტა აკრძალულია“ (ფრანგ.).

ლი და სატანჯველი აჩნდებოდა, ჯობდა სულაც არ დაენახა ნიკოლს, ჩვენ კი ყოფნით იმ სამყაროს ვახსენებ, რომელსაც კარგად დააღწიათ თავი და დიკმა მაშინვე გადაწყვიტა, მე სხვა ოტელში ვიცხოვრებო.

ფუნქციური გაჩერდა და ამ გზით პირველად ამოსულ პირში წყნება მოეჩვენათ, რომ ორ ზეცას შუა ლურჯ სივრცეში ჩამოეკიდნენ. გამოსივსება, რომ ზევითა ვაგონის კონდუქტორს და ქვევითასაც, თურმე რაღაცა უნდა ეთქვათ ერთმანეთისთვის და ეს გაჩერებაც იმისთვის იყო. ეს ერთი წუთით, მერე თითქმის მაშინვე წავიდა ვაგონი ზევით, მალლა-მალლა, ტყის ბილიკის, ვიწრო ხეობის თავზე და იმას იქით კიდევ ედღეღაისებოთ მოფენილ ფერდობზემთ. თეთრ ფონზე მონტრეს კორტებზე ჩოგბურთელები ახლა წერტილებადლა მოჩანდნენ. რაღაც ახალი შეერია ჰაერს — მუსიკა. ამას მაშინვე მიხვდნენ, როგორც კი ვაგონი გლიონში მისრიალდა — იქვე, ოტელის ბაღში ორკესტრი უკრავდა.

კოში მიმავალ მატარებელზე რომ გადადიოდნენ, მუსიკის ხმა პიდრავლიკური კამერიდან მოთქრიალუ წყლის ხმამ დაფარა, კო თითქმის ამათ ზემოთ იყო; დიდი, ათასსარკმელიანი ოტელი ჩანდა, ჩამავალ მზეზე ოტელის სარკმლებს ალისფერი ედო და ბრიალებდა.

ახლა უკვე სუყველაფერი სხვაგვარი იყო — მქშინავ პატარა ორთქლმავალს ხვეული გზით მიჰყავდა ზევით მგზავრები, მალლა, სულ მალლა მიიწევდა; დაბლა ღრუბლებში ყვინთავდა ქშენით, მიიზღაზნებოდა, ცეცხლსა ყრიდა და დიკს ნიკოლის სახე ეკარგებოდა ხანდახან. მოხვევისას, ოტელი იზრდებოდა, მკაფიოდ ჩნდებოდა და უცებ, საკვირველება — ზედ კაშკაშა მზეზე აღმოჩნდნენ.

ჩავიდნენ თუ არა, დიკმა ზურგჩანთა მოიგდო მხრებზე და ბაქანზე გავიდა, თავისი ველოსიპედის ასაღებად გაემართა, ნიკოლი უკან მიჰყვა, ვაგზლის ორომტრიალში მაინც მოახერხა და არ შორდებოდა.

„თქვენ ჩვენს ოტელში არა ხართ?“ ჰკითხა მან.

„მომჭირნედ მინდა ვიცხოვრო“.

„იქნებ სადილზე გვეწვიოთ?“ ბარგის გაცემა-მიღების ალიაქოთი მიწყდა და გააცნო: „ეს ჩემი დაა — ეს კი დოქტორი დაივერი ციურიხიდან“.

დიკმა თავი დაუკრა მაღალსა და ახალგაზრდა ქალს, ასე, ოცდახუთი წლისა იქნებოდა, თავდაჯერებული გამოხედვითა და მიხრა-მოხრით. იმ ქალებსა ჰგავს, პირი ყვავილს რომ მიუგავთ, მაგრამ ლავამის გაწყვეტა იციანო, გაიფიქრა.

„სადილის მერე შემოვივლი“, შეპირდა დიკი. „ჯერ ცოტა აკლიმატიზაცია მჭირდება“.

თავისი ველოსიპედით მიდიოდა, გრძნობდა, როგორ მიაცილებდა თვალეზით ნიკოლი, მისი პირველი სიყვარულის მთელ უმწეობასა გრძნობდა და იმასაც გრძნობდა, თვითონაც როგორ ემღვრეოდა გულ-მწყელი. სამასიოდე იარდი გაიარა ფერდობზე, ვიდრე იმ სხვა ოტელამდე მივიდოდა. ოთახი აიღო, ათი წუთიც და — უკვე სააბაზანოში იყო და იბანდა. ამ ათი წუთიდან მეხსიერებას მხოლოდ გაურკვეველი ხმაური შემორჩა, მთვრალსავით, ვიდაცების მიკარგული ხმები რომ ესმის — იმ ვიდაცებმა რა იციან როგორ უყვართ ის.



ელოდნენ, უიმისოდ სალამოს თითქოს რაღაცა აკლდა. აქაც ვერ ძლებდნენ უიმისოდ; მისს უორენი და ჭაბუკი იტალიელი, ნიკოლოზი მოუთმენლად ელოდებოდნენ. ოტელის სალონი, ზღაპრული აქუსტრული კაბადარბაზი ცეკვებისთვის დაეცალათ. კედლებთან კი მთელი ამფითეატრი იყო გარკვეული ასაკის თმაშეღებილი ინგლისელი მანდილოსნების, მოვარდისფრო-მორუხთ პუდრწასმული სახეებითა და შარფებით, და ამავე ასაკის ამერიკელი ქალებისაც — შავი კაბებით, თოვლივით ქათქათა შინიონებითა და ალუბლისფერი ბაგეებით. მისს ურენი და მარმორა კუთხეში მდგარ მაგიდასთან ისხდნენ, ნიკოლი — გეზად, ორმოცი იარდის მოშორებით იჯდა. შევიდა თუ არა, დიკმა მაშინვე მისი ხმა გაიგონა:

„გესმით ჩემი ხმა? მე ჩვეულებრივად ვლაპარაკობ, ხმამაღლა არა“.

„მშვენივრად“.

„ჭელო, დოქტორ დაივერ“.

„რა ხდება?“

„თქვენ ხომ გესმით ჩემი ხმა, იმათ კი. ოთახის შუაგულში — არ ესმით“.

„რესტორანშივე გვითხრა ოფიციალტმა“, თქვა მისს უორენმა. „კუთხიდან კუთხეში აქ რადიოსავით შეიძლება ლაპარაკი“.

მთაში ცხოვრება ზღვაში გემზე ცხოვრებასავით წარმტაცია. ცოტა ხნის მერე მათ მარმორას მშობლებიც შემოემატნენ, დებს პატივისცემით ექცეოდნენ — საუბრიდან დიკმა ის დააკვნა გამოიტანა, რომ მათი საქმეები როგორღაც მილანის ერთ ბანკს უკავშირდება, ის ბანკი კი როგორღაც უორენების ფინანსურ საქმეებს. მაგრამ ბები უორენს დიკთან საუბარი უნდოდა. უნებურად, აქაც ის ძალა უბიძგებდა. ყველა ახალგაენობილი მამაკაცის მიმართ რომ ჰქონდა, თითქოს ჭიმავედა უბილაგ საბელს, რის გაწყვეტასაც დიდი ხანია უკვე ლამობდა. ფეხი ფეხზე გადაედო, და მაღალი, მოუსვენარი და ასაკგადაცილებული ქალწულებივით, ისევ მაღიმალ ჩამოიღებდა ხოლმე.

„ნიკოლმა მიაგნო, რომ თქვენც ზრუნავდით მასზე, რომ ბევრი რამ გააკეთეთ მისი მორჩენისათვის. ოღონდ, მე ერთი რამ არ მესმის კარგად, — ახლა რა უნდა გავაკეთოთ. სანატორიუმში მაინცდამაინც ვერ გამაგებინეს, მხოლოდ გვირჩიეს, რაც შეიძლება გაართეთ და არ შეზღუდოთო. ვიცოდი, მარმორები აქ იყვნენ, კოში, და ტინოს ვთხოვე, დაგვხვედროდა, და მერედა რა, დაძვრაც ვერ მოვასწარი, რომ ნიკოლმა აიძულა და ვაგონის ტიხარზე გადაძვრნენ. ორთავე, გაყებივით...“

„პირიქით, ეს სავსებით ნორმალურია“. დიკმა გაიცინა. „უფრო მეტიც; ეს კარგი ნიშანია. მოუნდათ და ერთმანეთს თავი მოაჩვენეს“.

„მაგრამ, რა ვიცი? ციურიხში, ადგა და სანამ რამეს მივხვდებოდი, თითქმის ჩემ თვალწინ, თმა შეიჭრა, რაღაც უნახავს „ამაოების ბაზარში“ და იმის მიხედვით“.

„ესეც ძალიან კარგი. მიზოიდური ტიპია და ასეთები მუდამ ექსცენტრიკულები არიან. ამას ვერაფრით შეცვლი, სულ ასეთი იქნება“.

„როგორ — ასეთი?“

„აქი გითხარით — ექსცენტრიკული“.

პო, მაგრამ, როგორ უნდა გაარჩიოთ, სად არის ექსცენტრიკულობა და სად სიგიჟე?”

„მაგაზე არც იფიქროთ, მორჩა, საბოლოოდ გაუარა და ახლა ლალი და ბედნიურია ნიკოლი“

ბებიმ ისევ ფეხი ფეხზე გადაიდო, ყველა იმ უკმაყოფილო ქალიშვილს, ბაირონი რომ უყვარდათ ასი წლის წინათ და, მაინც, გვარდიის ოფიცერთან ტრაგიკული რომანის მიუხედავად, რაღაც არაქალღური და ხეშეში ჰქონდა.

„პასუხისმგებლობას არა ვჩივი“, თქვა მან. „მაგრამ ჰაერში გამოკადებულ ვარ, არ ვიცი რა ვქნა. ჩვენს ოჯახში მსგავსი რამეც არა ყოფილა. ნიკოლმა, ეტყობა, მძიმე რაღაც გადაიტანა და მე ვფიქრობ, ვაჟი უნდა იყოს მიზეზი. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია, მამა ამბობს, გამაგებინა ვინ არის და ტყვიას დაეახლიო“.

ორკესტრი „საწყალ პეპელას“ უკრავდა; ახალგაზრდა მარმორა დედასთან ერთად ცეკვავდა. ფოქსტროტის ახალი მელოდია იყო, ჯერ არავის მობეზრებოდა. დიკი უსმენდა და თვალს არ აშორებდა უფროს მარმორასთან ლაპარაკში გაართულ ნიკოლს; ამ ელემენტურ კაცს თმაში ჭაღარა ერია და თეთრ-შავ ზოლებად, როიალის თეთრ-შავ კლავიშებივით დაუყვებოდა. ნიკოლის მხრებს უყურებდა და ვიოლინო გაახსენდა. ისევ იმის საიდუმლოზე, იმის სარცხვილზე გაიფიქრა. ეპ, საწყალი პეპელა, — წამები მიქრის, ერთმანეთს მიჰყვება, საათებად...

„მე გეგმა მაქვს“, თითქოს ბოდიშით, მაგრამ გადაჭრით თქვა ბებიმ, „შეიძლება საჭიროდაც არ მიიჩნიოთ, მაგრამ როგორც მითხრეს, წლების მანძილზე ისევ თვალყური სჭირდება ნიკოლს, არ ვიცი ჩიკაგოში გიცხოვრიათ თუ არა...“

„არა არ ვყოფილვარ“.

„იქაური ჩრდილო და სამხრეთ მხარეები სულ სხვადასხვაა. ჩრდილოეთ მხარე ფეშენებელურია, ჩვენ იქ ცხოვრობდით, თითქმის ყოველთვის. მაგრამ ბევრი ძველი ჩიკაგოელი, კარგი ოჯახები — გასაგებია ალბათ, რასაც ვამბობ, ჯერ ისევ სამხრეთში ცხოვრობენ. იქ უნივერსიტეტია, იმის თქმა მინდა, რომ ბევრი ხალხი ტრიალებს, მაგრამ, მაინც, ასე თუ ისე, სულ სხვაა, ვიდრე ჩრდილოეთი. არ ვიცი, გასაგებად ვამბობ თუ არა“.

დიკმა თავი დაუქნია. თავისი თავი აიძულა და გულისყურით უსმენდა ბების.

„ცხადია, სამხრეთთან ბევრი რამ გვაკავშირებს. უნივერსიტეტის ზოგიერთ კათედრას მამა აფინანსებს, სტიპენდიები გაიღო და ასე შემდეგ, პოდა, გავიფიქრე, შინ რომ დავბრუნდებით, ნიკოლი იმ ხალხში გაერიოს-მეთქი. მუსიკა კარგად იცის, რამდენიმე ენაზეც ლაპარაკობს — იმაზე უკეთესი რა იქნება მაგისტრის, რომ ვინმე კარგი ექიმი შეუყვარდეს...“

დიკმა კინალამ გადაიხარხარა. მაშ ასე, ნიკოლისთვის ექიმის ყიდვას აპირებენ უორენები... ხომ არავინ იცით, დოქტორო დაივერ, ისეთი, ჩვენ რომ გამოგვადგეს? რატომაც არა, ნიკოლზე საზრუნავი აღარ ექნებათ, შეუძლიათ და უყიდვიან ახალგაზრდა, ახალგამომცხვარ და მოხდენილ ექიმს.

„მაგრამ თუ არ გამოჩნდა ასეთი ექიმი?“ უნებლიეთ იკითხა დიკმა.

„არა, რას ამბობთ, გამოჩნდება, რამდენიც გინდათ, ამის შანსს ბევრი არ დაკარგავს“

მოცეკვავეები დაბრუნდნენ, მაგრამ ბებიმ ჩურჩულით მოასწრო ეთქვა:
 „მე ვფიქრობ, შესანიშნავი აზრია. მაგრამ, ნიკოლი სადღაა, არ ჩანს, თავის ოთახში ხომ არ ავიდა? აღარ ვიცი, რა ვქნა, ვერა ვხვდები, უწყინარი რამაა თუ... რა ვიფიქრო, გავიქცე და მოვძებნო?“

„იქნებ თავისთვის ყოფნა მოუნდა — დიდი ხნის უკრძობიერად უბრუნდებოდა“ — ღიმილით უპასუხა ნიკოლი. „შეამჩნია, მისს უორენი არ უსმენდა და გაჩერდა. „წავალ, მოვძებნი“.

ოტელს გარშემო ნისლი ებურა, გაზაფხულზე სარკმლებზე ფარდებს რომ ჩამოუშვებ, ისეთი იყო იქაურობა. თითქოს მხოლოდ აქ, ოტელთან იყო მოკრებილი მთელი სიცოცხლე. დიკმა სარდაფს ჩაუარა, სარკმლიდან დაინახა, მოფრები ისხდნენ და ბანქოს თამაშობდნენ, წინ ერთი ბოთლი ესპანური ღვინო ედგათ. ხეივანს რომ მიუახლოვდა, მაღალი ალპების თხემზე უკვე ვარსკვლავები კიაფობდნენ. ტბის ზემოთ, ნალივით მოხრილ ხეივანში ორ ფარანში ვილაციის უმოძრაო ფიგურა დალანდა, ნიკოლი იყო. დიკი ბალახზე მიდიოდა და ჩუმად მიუახლოვდა. ნიკოლმა მოიხედა. „თქვენა ხართ!“ წამით ინანა დიკმა მოსვლა.

„თქვენი და დღეა“.

„აა!“ მისთვის ახალი არ იყო, რომ უთვალთვალეობდნენ. თავს ძალა დაატანა, რომ აეხსნა: „ზოგჯერ მიჭირს ხოლმე, ბოლო ხანს ისე წყნარად ვცხოვრობდი, მივეჩვიე. ამ საღამოს მუსიკას ვეღარ გავუძელი. უცებ ტირილიც კი მომინდა...“

„გასაგებია“.

„დღეს გადარეული დღე იყო“.

„ვიცი“.

„არ მინდა ვინმეს ცუდად მოვექცე და ვაწყენინო, ისედაც ყველა შევაწუხე. მაგრამ დღეს საღამოს ვიგრძენი, რომ აღარ შემიძლო“.

უცებ დიკს თავში გაუელვა, ასე მომაკვდავს თუ დაემართება, გაუელვებს, რომ დაავიწყდა ეთქვა, სადა დევს ანდერძი — დომლერმა და მთელმა წინა თაობებმა ხომ „ხელახლა შექმნეს“ ნიკოლი; ნიკოლს ბევრი რამ უნდა ესწავლა ხელახლა. ეს სიბრძნე თავისთვის შეინახა დიკმა და ხმამაღლა კი ისა თქვა, რაც უნდა ეთქვა:

„ძალიან კარგი ქალიშვილი ხართ, სულაც არ უნდა წუხდეთ იმაზე, თუ რას ფიქრობენ თქვენზე სხვები“.

„თქვენ მოგწონვართ?“

„რა თქმა უნდა“.

„და თქვენ...“ ახლა ნალისებური ხეივნის იქითა მხარეს მიუყვებოდნენ, ხეივნის ბოლომდე ორასიოდე იარდი იყო დარჩენილი. „ავად რომ არ ვიყო, თქვენ შეგეძლებოდათ, ესე იგი, მე იმის თქმა მინდა, რომ ჩემნაირ ქალიშვილს შეეძლო — ღმერთო ჩემო, რა სანტიმენტალური ყბედობაა, მაგრამ თქვენ იცით, რისი თქმაც მინდა“.

დიკმა იგრძნო, ერთიანად მოიცვა და დათრგუნა უგუნურებამ. ესმოდა ნიკოლის სიახლოვით გახშირებული თავისი სუნთქვა. მაგრამ ახლაც უშველა თავდაჭერამ, ბიჭივით გაიცინა და, ბანალური ჩაურთო:

„ახირებაა, ჩემო კარგო, გაიმბობთ, როგორ შეუყვარდა ერთ პაციენტს თავისი მომვლელი...“ წამოვიდა ანეკდოტი და ერთიმეორეს მიჰყვა სიტყვები.

ნიკოლმა მკვეთრად, ნალდი ჩიკაგოელივით უცებ მოუჭრა:

„მიქარვაა!“

„ძალიან ვულგარული გამოთქმაა“.

„იყოს, მერე რა?“ წამოენტო ნიკოლი. „თქვენ გგონიათ რომ ვარ — ავად ვახდომამდე ვიყავი სულელი, მაგრამ ახლა არა. თქვენი დანახვით რომ არ მეგრძნო, რომ ყველაზე მომხიბლავი და კარგიცა ხართ იმათ შორის, ვინც მე მინახავს, მაშინ მართლა უნდა გეფიქრათ, რომ კიდევ არა ვარ ჭკუაზე. ეს ჩემი მძიმე ხვედრია, გასაგებია, მაგრამ არ არის საჭირო თავის დაქვრა ისე, თითქოს არ გესმოდეთ, რომ მე ვიცი, რომ ყველაფერი ვიცი თქვენზეც და ჩემზეც“.

დიკს მიწა ფეხქვეშ ეცლებოდა, მაგრამ გაახსენდა უფროსი მისს უორენის ლაპარაკი იმ ახალგაზრდა ექიმებზე, სამხრეთ ჩიკაგოს ინტელექტუალურ ბაკში რომ შეეძლოთ ეყიდათ და იმ წამით ძალა მოემატა.

„თქვენ მშვენიერი არსება ხართ, მაგრამ მე შეყვარება არ შემიძლია“.

„თქვენ არ გინდათ, მითანაგრძნოთ“.

„რაა!“

ასეთმა თავდაჯერებამ და მოურიდებლობამაც, გააცვიფრა დიკი, ნიკოლ უორენის თანაგრძნობა ის იყო, რომ თავის თავზე უარი ეთქვა, დაკარგულიყო. ეს მეტისმეტი იქნებოდა.

„რატომ არ გინდათ, მითანაგრძნოთ?“

ხმა სულ ჩაუწყდა, შიგნით, ბიუსტქალტერით შემოჭერილ მკერდში ჩიკარგა, დიკთან მივიდა, ნიკოლი ისე ახლო იყო, ისე უნდოდა მინდობოდა — დიკმა იგრძნო იმისი ბაგე, სისათუთე, და რალაცა ძალა მოემატა, ახლა რაიმე მოსაზრება სულ ერთი იყო, თითქოს უხსნადი ხსნარი მოამზადა დიკმა და ამ ხსნარში შეერთდნენ ატომები. ხსნარის გადაღვრა კი შეიძლებოდა, მაგრამ იმათი დაშლა, გაყოფა — უკვე შეუძლებელი. დიკს ხელი ეხვია და გრძნობდა ნიკოლს, ის კი სულ უფრო იხრებოდა თავისი ბაგით, ნუგეშცემული და მოზეიმეც; ეჩვენებოდა, თითქოს აღარც კი არსებობდა, ანარეკლიდა იყო მხოლოდ ნიკოლის წყლიან თვალეში და ამისთვისაც მადლობელი იყო დიკი.

„ღმერთო ჩემო“, ძლივს ამოისუნთქა დიკმა, „კარგია თქვენი კოცნა“.

ეს იყო ახლა მისი სიტყვები, უნდოდა ელაპარაკა, მაგრამ ნიკოლმა უკვე იგრძნო თავისი ძალა, ლალად შეტრიალდა და დიკი იმ შუადღეს შუა გზაზე გაჩერებული ფუნქიულიორივით თითქოს ჰაერში გამოეკიდა, იყოს ასე, მოუნდება: ფიქრი ერეოდა ნიკოლს, იმიტომ რომ მაწამებდა, როგორ შეეძლო! ო, რა კარგია, უკვე ჩემია. ახლა კი უნდა გაქცეულიყო, მაგრამ მისთვის ეს ისე ახალი იყო, მშვენიერი, რომ აყოვნებდა, სურდა ეგემნა, ბოლომდე ეგრძნო.

უცებ გააფრთოლა: ორი ათასი ფუტის ქვემოთ შუქი ბრწყინავდა, ყელსაბამად და სამაჯურად ბრწყინავდა შუქი, — მონტრედან და ვევედან იყო. იმას იქით კი მქრქალ სამკაულად მოჩანდა ლოზანა. საიდანღაც საცეკვაო მუსიკის ბელოდია მოჰქონდა ქარს. ნიკოლი როგორღაც გაუჩნდა, გრილომ დაუარა, აზრი გაუნათდა და ბრძოლის მერე თრობამოწყურებული ჯარისკაცივით ახლა თავისი ბავშვობის სანტიმენტების შეჯერება მოსურვებოდა. დიკი კი იქვე ახლოს ედგა, ნალისებურ ხეივანს შემოვლებულ რკინის ზღუდეს მშვიდად, დიკისებურად დაყრდნობილი; ჯერ მაინც ვერ დაეძლია იმისი შიშიც და მო-

რიდებაც, ისე უთხრა დიკს, წყნარად: „მახსოვს, როგორ გელოდებოდა მაშინ ხეივანში, მთელი ჩემი არსება ყვეაილების კალათივით მეჭირა ხელში და მიდოდა თქვენთვის მომერთმია, როგორღაც ასე ვგრძნობდი მაშინ“

დიკი მისი მხრისკენ დაიხარა, ძალით მოატრიალა თავისი ხელი და აკოცა, რამდენჯერმე, ხელები მხრებზე ჩამოაწყო დიკს და ჰკრტიდა და მძე ეგონა, თავისი სახე ძალიან დიდი, უზარმაზარი უხდებოდა.

„მაგრად გაწვიმდა!“

ტბის იქითა მხარის ვენახებში უცებ ქვემების გრუხუნი გაისმა, სროლით ცდილობდნენ ღრუბლების გაფანტვას, რომ სეტყვა არ წამოსულიყო. ხეივანში ფარნები ჩაქრა, მერე ისევ ისე აინთო და თითქმის მაშინვე დაუშვა, ჯერ ოდნავ, მერე მოუმატა და მოუმატა. ღვარად წამოვიდა მიხვეულ-მოხვეულ ფერდობზე ჩუხჩუხით მოდიოდა, გზებსა და ქვის სადინარებზე მითქრიალებდა: შეშავებული, შესაზარი ზეცა ჩამოწვა. ელვა ათასად იკლავებოდა და ისევ ქრებოდა, ქექა-ქუხილმა ქვეყანა შეძრა, ოტელის თავზე ღრუბელ-ნისლი დაიწეწა, აღარც მთები ჩანდა, აღარც ტბა, იმ სიბნელეში. ქაოსსა და გრუხუნში ოტელი მარტო იდგა და იკაკვებოდა.

მაგრამ დიკმა და ნიკოლმა უკვე შეასწრეს ვესტიბიულში, სადაც ბები უორენი და სამივე მარმორა შეშფოთებულები ელოდნენ. კარგი იყო უცებ სველი წყვდიადიდან ამოყურყუმელავება, კარის მთელი ძალით გაჯახუნება, ხმამაღლა სიცილი დაუოკებელი მღელვარების გამო, ყურებში ქარი რომ გიწივის ისევ და გრძნობ, როგორ გეკვრის სველი სამოსი. ორკესტრი შტრაუსის ვალსს უკრავდა. თითქოს მუსიკაც სულ სხვა ისმოდა სამეჯლისოდან. გონების წამლები იყო და მალლა აჰყავდი.

...დოქტორმა დაივერმა ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტი შეირთოს? ეს რანაირად მოხდა? რით, საიდან დაიწყო ეს ამბავი?

„მოხვალთ ისევ, ტანსაცმელს როცა გამოიცვლით?“ ჰკითხა ბები უორენმა და გამომცდელი მზერა შეავლო დიკს.

„გამოსაცვლელი არაფერი მაქვს, შორტებს თუ ჩავიცმევ“.

საწვიმარი. ვიდაცამ რომ ათხოვა, მოიხსნა და ფეხით აუყვა გზას თავისი ოტელისაკენ, ძლივს მიდოდა, თავისთვის, ირონიულად ეცინებოდა.

„დიდი შანსია —ო, ღმერთმანი! — მაშ ექიმის შეძენა უნდათ? წავიდნენ და მონახონ ვინმე ჩიკაგოში“. მაგრამ ნიკოლი გაახსენდა და შერცხვა თავისი უკმეხობის, ფიქრში თავს იმართლებდა ნიკოლთან, იმისი ბაგის სინედლე გაახსენდა და ისიც, როგორ ეცემოდა წვიმის წვეთები და მქრქალად ნათდებოდა ნიკოლის ფაიფურისფერ კანზე, დიკისთვის დაღვრილი ცრემლებივით... ქექა-ქუხილის შეწყდომის მერე ჩამომდგარმა სიწყნარემ გააღვიძა დილის ასე, სამ საათზე და გაღებულ სარკმელთან მივიდა დიკი, ნიკოლის სილამაზე ტრიალებდა გარეთ, მთებსა და ფერდობებზე, შიგ შემოდიოდა, ფარდებში მალულად შრიალებდა...

...მეორე დილას ორი ათასი მეტრი აიარა როზე-დე-ნეისკენ: ძალიან გაართო ფუნქიულიორის გუშინდელ კონდუქტორთან შეხვედრამ, დასვენების დღე ჰქონდა თურმე და იმასაც ამ აღმართის ავლა გადაეწყვიტა.

როზე-დე-ნეიდან დიკი მონტრემდე დაეშვა, ტბაში იბანავა და სადილისთვის ოტელში დაბრუნება მოასწრო. შინ ორი ბარათი ელოდა.

„გუშინდელი დღის გამო სულაც არა მრცხვენია, ეს დღე ყველაზე კარგი

დღე იყო. თუნდ აღარასოდეს ვნახოთ, Mon Capitaine სულ ერთია, მტენც
 კარგია, ასე რომ მოხდა“.

ფარ-ხმალამყრელი ბარათი — მაგრამ მეორე ბარათი გახსნა და
 დომლერის პირქუშმა აჩრდილმა დაიხია:

„ბეირფასო დოქტორო დაივერ, დაგირეკეთ, მაგრამ
 სუხა. ძალიან დამავალეობთ, თუ ერთ დიდ თხოვნას შემისრულებთ. გაუთვალე-
 სწინებელი საქმეების გამო სასწრაფოდ მიხდება პარიზში წასვლა, დროში
 მოვიგებ, ლოზანათი თუ გავემგზავრები. ორშაბათს აპირებდით ციურბში
 დაბრუნებას, იქნებ ნიკოლიც თქვენთან ერთად წამოვიდეს, იქნებ სანატორი-
 უმამდე მიგეყვანათ? ძალიან ხომ არ შეწუხდებით?“

პატივისცემით — გეტ ევენ უორენი“.


დიკი გაცოფდა — მისს უორენმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ველოსიპე-
 დით იყო, მაგრამ ბარათი ისეთი ფრაზებით დაეწერა, უარს ვერ იტყოდა.
 უნდა, რომ ერთად ვიყოთ! ახლობლის ზრუნვა, და უორენების ფული!

ცდებოდა, ბები უორენს ასეთი ზრახვა არა ჰქონდა. დიკისთვის უკვე
 მუშტრის თვალით შეეხედა, აწონ-დაწონა ყველაფერი, ყველა მხრიდან გაზო-
 მა თავისი მოღუნული ანგლოფილის სახაზავით და, არ გამოდგებოდა, დაასკვნა:
 ისე კი, ძალიან მოეწონა. მაგრამ მისთვის მეტისმეტად „ინტელიგენტი“ იყო
 დიკი და ისიც იმ უპოვარ სნობებთან ერთად გაუყენა გზას, ლონდონში ერთ
 დროს რომ იცნობდა. ძალიან თვალში საცემია და არ გამოდგება, და კიდევაც
 რომ მოინდომოს, არისტოკრატი — როგორც ეს მისს უორენს ესმოდა — ვერ
 გახდებოდა.

თანაც კერპი იყო — საუბრისას რამდენჯერმე შეამჩნია, მაინცდამაინც
 ყურს არ უგდებდა და უაზროდ იხედებოდა, იმ ხალხივით, ვითომ რომ გე-
 ლაპარკებიან და სხვაგან კი ქრის მათი გონება. ნიკოლი ბავშვობიდანვე აღი-
 ზიანებდა თავისი მანერებით — მეტისმეტად თავნება იყო, ბოლო ხანებში კი,
 ცხადია, რაკი ავადმყოფობდა, მიეჩვია ეფიქრა, რომ უკვე „ხელიდან წასუ-
 ლია“ იმისი საქმე. ასე თუ ისე, დოქტორი დაივერი იმ ტიპის ექიმებს არ ეკუ-
 თენის, მას რომ უნდოდა, და ოჯახის წევრად რომ მიეღოთ, არც მეტი, არც
 ნაკლები, ახლა უბრალოდ ხელსაყრელ შემთხვევასავით უნდოდა მისი გამო-
 ყენება.

მაგრამ ბარათის მიხედვით. თითქოს დიკის ვარაუდი იყო მართალი.

მატარებლით მგზავრობა შეიძლება სატანჯველად გექცეს და გული და-
 გიმძიმდეს, ან შეიძლება სულაც გაერთო; ზოგჯერ ეს გამოსაცდელი ფრენაა;
 შესაძლოა ესკიზიც იყოს სხვა, მომავალი მოგზაურობისა და შეგობართან გა-
 ტარებული მთელი დღესავით, ხანგრძლივად მოგეჩვენოს. დილაობით ჩქარობ,
 სანამ ორივე მიხვდებით, რომ გშიათ და ერთად ისაუზნებთ. შუადღის მერე დრო
 იწელება, ზღაზვნით მიდის, მაგრამ დღის ბოლოს ისევ სწრაფობაა, ნაღველი
 ერეოდა ნიკოლის უმწურო სიხარულის გამო. ნიკოლისთვის კი ეს შვება იყო,
 შინ დაბრუნებას უდრიდა, ეს იყო ახლა იმისი სახლი. იმ დღეს არ უსიყვა-
 რულიათ, მაგრამ როცა დიკი ციურბის ტბის პირზე სევდიან კართან გამოეთ-
 ხოვა და ნიკოლმა, სანამ შევიდოდა, კიდევ ერთხელ მოხედა, მიხვდა, იმისი
 ბედი ახლა ორივეს ბედი იყო უკვე და ამიერიდან ყოველთვის ასე იქნებოდა.



სექტემბრის თვეში დოქტორი დაივერი და ბები უორენი ციურისის ოტ-ელში ტერასაზე ისხდნენ მაგიდასთან და ჩაის მიირთმევდნენ.
„არა მგონია“, თქვა მისს უორენმა, „ჩემთვის მთლად გასაგებია არის თქვენი მოსაზრება“.

„ასე საუბარი არ ივარგებს“.

„ბოლოს და ბოლოს ნიკოლი ჩემი და“.

„ეგ არ ვაძლევთ იმის უფლებას, რომ ასე შელაპარაკოთ“. დიკს სიბრა-ზე ერეოდა, ბევრი რამ იცოდა, მაგრამ ვერაფერს ეტყოდა. „ნიკოლი მდიდარია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე ავანტიურისტი ვარ“.

„საქმეც ეგ არის“, ჯიუტად არ თმობდა ბები, „რომ „ნიკოლი მდიდარია“.

„მაინც რამდენი აქვს ფული?“ ჰკითხა დიკმა.

ბები ლამის შეხტა; დიკს ჩუმად ეცინებოდა, ისე განაგრძო.

„ხომ ხედავთ, რა უაზრობამდეც მივყავართ ამას. კარგი იქნებოდა თქვენი ოჯახის სხვა წევრთან, მამაკაცთან შელაპარაკა...“

„რაც ნიკოლს ეხება, — იმაზე მე ვაგებ პასუხს“, გადაჭრით გამოაცხადა ბებიმ. „სულაც არ ვფიქრობთ, რომ ავანტიურისტი ბრძანდებით. უბრალოდ, არ ვიცით, ვინა ხართ“.

„მე მედიცინის დოქტორი ვარ“, თქვა დიკმა. „მამაჩემი მღვდელია, ახლა აღარ მსახურობს. ვცხოვრობდით ბაფალოში, ჩემი წარსული საიდუმლოებით არ იფარება. ვსწავლობდი ნიუ-ჰეივენში; ამის მერე როუდზის სტიპენდია დამენიშნა. ჩემი პაპის პაპა ჩრდილოეთ კეროლაინის გუბერნატორი იყო და მე პირდაპირი შთამომავალი ვარ შეშლილი ენტონი უეინისა“.

„ვინ იყო შეშლილი ენტონი უეინი?“ დაეჭვებით ჰკითხა ბებიმ.

„შეშლილი ენტონი უეინი?“

„მთელ ამ ამბავში, ჩემი ფიქრით, შეშლილობა ისედაც კმარა“.

დიკმა უიმედოდ გადააქნია თავი და ამ დროს ნიკოლი დაინახა — ტერა-საზე გამოსულიყო და აქეთ-იქით იხედებოდა, ამათ ეძებდა.

„შეშლილი რომ არ ყოფილიყო, ალბათ მარშალ ფილდზე ნაკლებ მემკ-ვიდრეობას არ დატოვებდა“.

„ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ...“

ბები მართალი იყო, და იცოდა, რომ მართალი იყო. მღვდელი მღვდელია. უორენები ჰერცოგები იყვნენ, ოლონდ, ამერიკელი ჰერცოგები, უტიტულო, და ოტელის სარეგისტრაციო წიგნში ჩაწერილი ეს გვარი, სარეკომენდაციო ბარათებით, ფსიქოლოგიურ მეტამორფოზებს იწვევდა ხალხში, რაც კიდევ უფრო უმძაფრებდა უპირატესობის შეგრძნებას ბები უორენს. ფაქტები ინგ-ლისელებისაგან იცოდა, ამ მხრივ მათ ორასზე მეტი წლის გამოცდილება ჰქო-ნდათ. მაგრამ მან არ იცოდა, რომ სანამ აქ ისხდნენ, დიკმა ერთ-ორჯერ კინა-დამ უარი სტაკია ქორწინებაზე. ნიკოლის გამოჩენამ უშველა საქმეს, ბოლოს და ბოლოს შეამჩნია და მაშინვე მათი მაგიდისკენ გამოემართა, ცინცხალი, თეთრი შროშანივით, და ნორჩი, სათუთი, სექტემბრის ღბილი მიმწუხრისას.

გამარჯობათ, ადვოკატო. ხვალ ჩვენ ერთი კვირით მივემგზავრებით კომ-ოში, იქიდან ისევ ციურისში დავბრუნდებით. ამიტომაც გთხოვთ, ჩემს დას-

თან ერთად რაც შეიძლება ჩქარა მოგეგვარებინათ ყველაფერი, რამდენს მივიღებთ სულ ერთია. ორ წელიწადს მშვიდად ვაპირებთ ცხოვრებას ცრურისში და დიკს საამისოდ ფული ეყოფა. არა, ბები, სულაც არა ვარ ისეთი არაპრაქტიკული, შენ რომ გგონია — უბრალოდ მალაზიებში თუ დამჭირდება და მკურავებთან, სხვაგან აბა სად... როგორ, შეიძლება ამდენი გვედლო? რა უნდა გინდა, მთელ სიცოცხლეში ვერ მოვახერხებ მაგის დახარჯვას. შენც მაგდენს იღებ? უფრო მეტს რად — იმიტომ რომ ჰგონიათ, მე არა მაქვს იმისი თავი, კარგად გავერკვე, თუ როგორ უნდა ფულის ხარჯვა? კარგი, იდოს ჩემი წილი ისე, დაგროვდეს... არა, დიკა არ უნდა ამ საქმეში ჩაერიოს. მე უნდა დამაწვეს ეს ამბავი, ორივეს საქმე...

შენ არაფერი იცი დიკზე, ბები, ვერც წარმოიდგენ რა კაცია — სად უნდა მოვაწერო ხელი? ო, უკაცრავად.

...სასაცილოა, რომ ახლა სულ ერთად ვიქნებით, მარტო ჩვენ, არა, დიკ? სასაცილო და უცნაურიც. ხომ არსად წახვალ, უფრო ახლო იქნები, არა? ერთმანეთი გვეყვარება, სხვა მეტი არა გვინდა რა. ოღონდ, მე უფრო ძალიან მიყვარხარ და მაშინვე ვგრძნობ, როცა მშორდები, თუნდაც სულ ოდნავ. ძალიან მომწონს სხვებივით რომ ვართ, გაიწვდი ხელს საბანკვეშ და გრძნობ რა თბილი ხარ, აქვე, გვერდით.

...თუ შეიძლება, დაურეკეთ ჩემს ქმარს ჰოსპიტალში, დიახ, ეს წიგნი ძალიან კარგად იყიდება ყველგან — ახლა უკვე ექვს ენაზე ითარგმნება და გამოიცემა. მე თვითონ მინდოდა ფრანგულად შეთარგმნა, მაგრამ, ეს ღლეები ძალიან მალე ვიღლები, სულ მეშინია, რომ დავეცემი, დავმძიმდი და გავვუხეშდი, ადგაბიჭასავითა ვარ. ოღონდ გაბერილ და გატეხილ ადგაბიჭასავით. ცივი სტეტოსკოპი იმ ადგილას, სადაც გულია და ისეთი შეგრძნება მაქვს, *fiche de tout...*¹ ოპ, ის საბრალო ქალი ჰოსპიტალში, გალურჯებული ბავშვი რომ დაებადა, არა ჯობდა სულაც ცოცხალი არ ყოფილიყო? რა კარგია, რომ ახლა სამნი ვართ, არა?

...რა სიგიჟეა, დიკ, ჩვენ შერთლა გვეჭირდება უფრო დიდი ბინა, საამისო საბაბი გვაქვს კიდევაც. რად უნდა ვისჯიდეთ თავს მხოლოდ იმისთვის, რომ უორენების ფული დაივერებისაზე მეტია? აპ. გმადლობთ, *cameriere*². მაგრამ ჩვენ გადავიფიქრეთ. ეს ინგლისელი მღვდელი ამბობს, რომ ორვიეტოში შესანიშნავი ღვინო გქონიათ; გადატანას ვერ იტანს? ამიტომაც არის, რომ არასოდეს გაგვიგია, თორემ, ჩვენ ღვინო გვიყვარს.

მოყავისფრო თიხაში ჩაქცეული ტბების ნაპირები ჩამოშვებული ფაშვის ნაკეცებსა ჰგავს. ფოტოგრაფმა, კაპრისკენ რომ მოვდიოდით, მაშინ, ნავზე გადამიღო სურათი და მოგვცა. თმა გაშლილი მაქვს, ნავის კიდებზე გადმოშვებული. „ცისფერო მღვიმევ, მშვიდობით“, მღეროდა მენავე, „ჩვენ ისევ მოვაალთ“. ხოლო, როცა იტალიური ჩექმის ყელი გადავიარეთ, საშინელი და გავარვარებული მთელ სიგრძეზე, ძველებური ციხესიმაგრეების გარშემო შამბნარში ავბედითად შრიალებდა ქარი და მეჩვენებოდა, რომ ბორცვებზე მკვდრები იყვნენ და ქვევით იცქირებოდნენ.

¹ მიმიფურთხებია ყველაფრისთვის... (ფრანგ.).

² მსახური (ოტელში), კამერდინერი (იტალ.).

...მომწონა ეს ხომალდი, მეტიდრე მაშინ, როცა ქუსლებით ვაბაკუნებთ გემბანზე ერთად. მობრუნებისას ქარმა ლამის წაგვაქციოს და ამ დღემდე რომ მოვდივართ, ყოველთვის ვცდილობ მხრით ვიყო ქარისკენ. ქარგა/მაგრად ვეხვევი ლაბადაში, მაგრამ დიკს ნაბიჯითაც არა ვწორდები და ვწარმოვიშობებ ვმდერით:

შინგულიყმეჟეჟე

ო-ო-ო-ო
მე რათა, სხვა ფლამინგოა,
ო-ო-ო-ო-ო
მე რათა, სხვა ფლამინგოა...

დიკთან კარგია, არ მოიწყენ — შეზღონებზე მიწოლილი მგზავრები ჩვენკენ იხედებიან, ვიღაც ქალი ცდილობს გაერკვეს. — რა სიმღერაა. მაგრამ დიკს მობეზრდა სიმღერა, არა უშავს, დიკ, მიდი, იარე შენებურად, გამორჩეულად, მხოლოდ შენ თუ შეგიძლია ასე იარო. ძვირფასო, პაერი შეიკვრება და ძალით მოგიხდება გაკვალვა გზისა. საკვამურების ნოტიო კვამლსა და შეზღონების ჩრდილობებშია, იგრძნობა, როგორ აირეკლება შენი სახება იმათ თვალებში, ვინც შენ ვიყურებს. ბოლო მოვდება შენს მარტო ყოფნას, მაგრამ ჩემი აზრით ეს კარგიც არის, თუ არ მიზვედი ცხოვრებასთან, მერე ვერც განზე გაუდგები. მე კი მაშველი ნაფის ბრჯენზე ვზივარ და ზღვას ვაყუებ, გაშლილ თმას არც ვისწორებ, იყოს ასე და სულ ბზინავდეს. ვზივარ, არც ვინძრევი, ეგრე, ცის ფონზე, ხომალდი კი მიდის და მივყავარ წინ, მომავლის ცისფერ წყვედიადში, ხომალდი ამისთვის არსებობს, მე ვარ ათენა პალადა, კრძალვით ამოკვეთილი გაღერაზე. წყალი ჩბრიალებს კიჩოს უკან, აქატიფერ-მწვანე ტოტები კი, თითქოს წვანან, და ფოთლები ჩურჩულებენ, რაღაცას ჩივიან და ფერი მისდით.

...იმ წელს ბევრი ვიმოგზაურეთ — ულუმულუს უბედან ბისკრამდე. ზედ საპარასთან ურიცხვი კალია შემოგვესია. ჩვენი შოფერი თავაზიანად გვიხსნიდა, ესა, კელებიაო, სურდა დაგვეჩერა, რომ კელა იყო, ღამით ცა ისე დაბლა იყო, იდუმალი და ყოვლისმხედველი ღმერთის არაებობა იგრძნობოდა. მახსოვს შიშველი, მწირი, პატარა ულედ ნაილი, ტიალი ღამე, ხმებით სავსე, ფლეიტისა და სენეგალური დაფდაფების ხმები, აქლემების ფრუტუნნი, და იქაურ მკვიდრთა — ძველი ავტომობილების საბურავებისაგან შეკერილი სანდლები რომ ეცვათ — ფეხების ფრატუნნი.

მაგრამ იმხანად ისევ არ ვიყავი კარგად — მატარებლები, ქეიშიანი პლანები — ყველაფერი ერთმანეთში აირია, იმიტომაც წამიყვანა დიკმა სამოგზაუროდ, მაგრამ მეორე ბავშვის, ჩემი პატარა გოგოს, ტოპსის დაბადების მერე ისევ სიბნელემ მოიცვა ყველაფერი.

...სად არის ჩემი ქმარი, როგორ შეეძლო ჩემი აჭ დატოვება, ამ უმეცრებისა და გაუთლელების ხელში. თქვენ მეუბნებით, შავი ბავშვი გაგიჩნდათო — რა უხამსობაა, აფრიკაში იმიტომ წავედით, რომ ტიმგადი გვენახა, ყველაზე მეტად, ამ ქვეყანაზე, არქეოლოგია მაინტერესებს. დავიქანცე იმით, რომ არაფერი ვიცი და წამდაუწუმ, როცა კი უნდათ, მახსენებენ ამას.

როცა მოვრჩები, მინდა განათლებული პიროვნება გავხდე, შენსავით, დიკ, — მედიცინას ვისწავლი, მაგრამ ვშიშობ, რომ უკვე გვიანდაა. ვიყიდოთ ჩემი ფულით სახლი — ბინების გამოცვლამ დაძალა და შენმა ლოდინმაც, მოგ-

წყინდა ციურიხი, ვიცი, და აქ დრო არა გრჩება, რომ წერო, შენ თვითონ რამდენჯერ გითქვამს, ის მეცნიერი, ვინც არა წერს, სრულყოფილ მეცნიერად ვერ ჩაითვლებაო. მეც რამეს მოვკიდებ ხელს, რაიმე ისეთს, რასაც ისე შეიქნა სწავლი, როგორც წესი და რიგია და ეს ძალიან მიშველის, თუ ისევე ისე და შეწყება: შენ დამეხმარები, დიკ — მაშინ ისე დამნაშავედ არ ჩავთვლი, რომ სადმე ზღვისპირას დავსახლდებით, სადაც სითბო იქნება, სადაც შეგვეძლება ერთად გავშავდეთ მზეზე და ისევე ახალგაზრდები ვიყოთ.

...აქ დიკის სახლი იქნება, და, იმუშავებს აქ, საოცარია, ეს აზრი ორივეს ცალ-ცალკე, ერთდროულად გაგვიჩნდა. ათჯერ მაინც ჩაგვივლია ტარმთან, ახლა კი ავდექით და შევიარეთ. ვნახეთ იქაურობა, ვნახეთ, რომ ყველა სახლი ცარიელი იყო თითქმის, ორ თავლას გარდა. ვიყიდეთ, ერთი ფრანგის შემწეობით გავაფორმეთ, მაგრამ საზღვაო უწყებამ გაიგო თუ არა, ამერიკელებმა ზღვაზე, მთიანი სოფლის ნაწილი იყიდესო, მაშინვე ჯაშუშები გამოგზავნეს. ყველაფერი გადაჩხრიკეს, სამშენებლო მასალებში ვაითუ ქვეშეები აქვთო გადამალული. ბოლოს ბები იძულებული გახდა ჩვენი გულისთვის საქმეში ჩირქულიყო და ნაცნობები მოეძებნა პარიზში, Affaires Etrangères.¹ ში.

განათხულობით რივიერაზე არავინ ჩამოდის, ასე რომ ცოტა ხალხს შევხვდებით, სტუმრებს არ ველით და შეიძლება საქმე აკეთო. ხანდახან ვინმე გამოჩნდება, ფრანგებიდან — წინაკვირით მისტენგეტი ჩამოვიდა, ძალიან გაუკვირდა, რომ ოტელი ღია დახვდა, მერე პიკასო და ის კაცი, „Pas sur la bouche“², რომ დაწერა.

...დიკ, ოტელში რად ჩაწერე „მისტერ და მისიზ დაივერები და არა „დოქტორ და მისიზ დაივერები?“ რას ამბობ, ისე ვთქვი, უცებ გამიელვა თავში — შენ თვითონ ყოველთვის მასწავლიდი, რომ ადამიანისთვის ყველაზე მთავარი საქმეა და მე მჯერა შენი. გახსოვს, ამბობდი, კაცმა უნდა თავისი საქმე იცოდეს კარგად, და თუ არ იცის, სხვებსავითაა, და საქმე ის არის, სანამ სხვასავით განდება ისიც, მაგრად დადგეს ცხოვრებაში, თავისი გზა მანამ იპოვოს. თუ შენ გინდა, რომ ახლა ყველაფერი პირიქით იყოს, იყოს ოლონდ, მითხარი, ძვირფასო, თავდაყირა დადგეს შენი ნიკოლი, იმისათვის, რომ ფეხდაფეხ მოგყვეს და არ ჩამოგრჩეს?

...ეიბ ნორთი ამბობს, ძალიან ცოტას ლაპარაკობო, როცა მოემჯობინდი, იმის მერე, მე და დიკი პირველ ხანებში ბევრს ვლაპარაკობდით, მთელ დამეს არა ვჩერდებოდით — ვზივართ საწოლში და სიგარეტს სიგარეტზე ვეწვევით; ხოლო როცა ირიერაფებდა, თავებს ბალიშებში ჩავრგავდით, რომ სინათლეს დავმალვოდით, ზოგჯერ სიმღერა მიყვარს, ცხოველებთან თამაშიც მიყვარს, მეგობრებიცა მყავს — მერი, მაგალითად. როცა მე და მერი ვლაპარაკობთ, არც ერთი არ ვუსმენთ ერთმანეთს, ლაპარაკი კაცების საქმეა. მე როცა ვლაპარაკობ, ჩემთვის ვამბობ, ახლა, ალბათ დიკი ვარ-მეთქი. ზოგჯერ ჩემი ვაფიშვილი ვარ, ის ისეთი გონიერია და თანაც დინჯი. ისეც ყოფილა, რომ დოქტორი დომლერიცა ვყოფილვარ, ოდესმე კი, შესაძლოა რაღაცით თქვენნაირიც გავხდე, ტომი ბარბან... მე მგონია, ტომის ეუყვარვარ, მაგრამ ჩუმად, თავისთვის. თუმცა, ესეცა კმარა იმისათვის, რომ იმან და დიკმა ერთმა-

¹ სიგარეტო საქმეთა სამინისტრო (ფრანგ.).

² „ოლონდ ტუჩებში არა“ (ფრანგ.).

ნეთი ვაალიზიანონ. საერთოდ კი, ახლა ყველაფერი კარგად მიდის. ამაზე კარგად არც შეიძლება. გცხოვრობ ხმელთაშუა ზღვისპირა მხარეს, ამ წყნარ ადგილას, ჩემთან არიან მეგობრები, ვისაც ვუყვარვარ, ჩემი ქმარი, ჩემი ბავშვები, ყველაფერი მშვენიერია — ოღონდ ეს თხერი მერილონდურად წიწილის ვაკეთების რეცეპტის ფრანგულად თარგმნა დაბამთარგმნა — კარგია ფეხების ჩაფლობა თბილ ქვიშაში.

„ჰო, ვხედავ, კიდევ ახალი ხალხია — რომელი, აა, ეს ქალიშვილი? ვისა ჰგავსო, რა თქვით?... არა, არ მინახავს, აქ ხშირად არ ჩამოაქვთ ახალი ამერიკული ფილმები. როზმერი? ჰო, მერე? მოდური გახდა ეს პლაჟი და ეგ არის, არ მეგონა, ივლისში თუ ასე იქნებოდა. ჰო, კარგი ქალიშვილია, მაგრამ ბევრი ხალხი ჩამოვა, ვატყობ“.

XI

დოქტორი რიჩარდ დაივერი და მისიზ ელსი სპირსი „Café des Alliés“-ში ისხდნენ, გრილსა და მტვრიან ხეების ჩრდილქვეშ. აგვისტოს ცხელი დღე იდგა. ნაპირიდან ესტერელს ატანდა, დროდადრო ძლიერად უბერავდა მისტრალი და შეთევვზეთა ნავეები მისადგომებთან ირწეოდნენ და ანძები ირბეოდა მთვლემარე ცის ფონზე.

„ამ დღით მივიღე როზმერის წერილი“, თქვა მისიზ სპირსმა. „საშინელება გადაგზდებოდათ იმ ზანგების გამო. როზმერიმ მომწერა, ვიცი, ძალიან ზრუნავდით მასზე“.

„როზმერის მაგრად ეჭირა თავი, ჯილდო ეკუთვნის, იმ შემთხვევამ კი მართლა შეგვზარა. ერთადერთი, ვინც იმ ამბით არ შეწუხებულა, ეიბ ნორთი იყო — ჰაერში წავიდა, ალბათ ჯერაც არ გაუგია ამაზე რამე“.

„სამწუხაროა, რომ მისიზ დაივერმა ისეთი მღელვარება გადაიტანა“, ფრთხილად შენიშნა მისიზ სპირსმა. როზმერიმ დედას მისწერა პარიზიდან: „ნიკოლი ლამის შეიშალა. გადავწყვიტე ამათ აღარ გამოგყეე სამხრეთში, რადგან დიკს უჩემოდაც ბევრი საზრუნავი აქვს“.

„უკვე გამოკეთდა, კარგად არის“. ლამის მოუთმენლად მიუგო დიკმა. „მამ ხვალ მიდიხართ აქედან. შტატებში როდისღა წახვალთ?“

„მაშინვე“.

„ღმერთო ჩემო, გული მწყდება“.

„კარგია, რივერაზე რომ ჩამოვედით, თქვენი წყალობით მშვენიერად გავატარეთ დრო. თქვენ პირველი კაცი ხართ, ვინც მართლა შეუყვარდა როზმერის“.

ქარმა ისევ დაუბერა ლა-ნაპულის მცწამული მთებიდან. ჰაერში ამინდის შეცვლის სუნი ტრიალებდა; შემთვრალი ზაფხულის თარეში გათავდა.

„როზმერი ყოველთვის ვიღაცით იყო გატაცებული, მაგრამ საბოლოოდ ყველას ჩემ ხელში აგდებდა... მისიზ სპირსმა გაიცინა. „—ვივისექციისთვის“.

„მე ღამინდეთ, ესე იგი“.

„თქვენ სხვა ხართ, აქ მაინც ვერაფერს გავხდებოდი. როზმერის მანამდე შეუყვარდით, სანამ მე გაგიცნობდით და ხელიც არ შემეშლია“.

დიკისთვის ცხადი იყო, რომ არც თვითონ და არც ნიკოლს მისიზ სპირსის გეგმებში თავისთავადობა არ ენიჭებოდათ და — ისიც ცხადი იყო, რომ

მისი სპირსის ამორალობა მისივე თვითაღკვეთიდან მომდინარეობდა. ეს იყო მისი სულიერი პენსია, კომპენსაცია, საკუთარ გრძნობებზე უარისაღვის სებობისათვის ბრძოლაში ქალს ყველაფერი ენერჯება და მამაკაცისაგან განსხვავებით, ძნელად რომ „სისასტიკე“ დააბრალო ქალს. სანამ ტყვედღობა და ფეხარევით, სიყვარული თავისი გზით მიდიოდა, მისი სპირსს შეეძლო საჭურისის ქირდვითა და განზე დგომით ედევნებინა თვალი მისთვის. იმანვე არ დაფიქრებულა, იქნებ ვნებული თვითონ როზმერი ყოფილიყო — ანდა, იქნება სჯეროდა, რომ არაფერი მოუვიდოდა?

„თუ რასაც ამბობთ, მართალია, არა მგონია, დიდი ტანჯვა გადაეტანა“, დიკს ბოლომდე უნდოდა დაეჭერა, რომ როზმერიზე მიუდგომლად, უცხოთაგანით შეეძლო ფიქრი. „ყოველ შემთხვევაში, თუ რაღაც იყო, გაიარა, ხშირად კი, ცხოვრებაში, შემთხვევითი რამ გგონია და რაღაცად კი იქცევა ხოლმე“.

„ეს შემთხვევითი რამე არ იყო“, დაჯერებით თქვა მისი სპირსმა. „თქვენ მისი პირველი სიყვარული ხართ, იდეალი, ყოველ წერილში ამას ამბობა“.

„როზმერი მეტად თავაზიანი“.

„თქვენ და როზმერი ყველაზე თავაზიანი და საყვარელი ხართ იმათ შორის, ვისაც მე ვიცნობ, მაგრამ როზმერი მართალია, თუნდაც კი არ აჭარბებს“.

„ჩემი თავაზიანობა ჩემი ბუნების პარადოქსია“.

ეს ერთგვარად მართალიც იყო. დიკს მამისაგან გადმოეცა კარგი მანერები იმ ახალგაზრდა სამხრეთელებისა, სამოქალაქო ომის მერე ჩრდილოეთში რომ გადასახლდნენ. ხშირად იყენებდა ამ მანერებს და შეგნებულადაც, მაგრამ ხშირადვე ვერ იტანდა მათ, რადგან ხედავდა, აქ ეგოიზმის პროტესტი კი არა, უფრო იმის პროტესტი იყო, რომ ეგოიზმი არ დაენახათ.

„მე მიყვარს როზმერი“, უცებ თქვა დიკმა. „სისუსტეა ამის თქმა თქვენთან, მაგრამ ეტყობა, შელავათი მომსურვებია ჩემი თავისთვის“.

სიტყვები რაღაც უცხოდ გაისმა, ოფიციალურად, თითქოს იმისთვის წარმოთქვა, რომ „Café des Alliés“-ის სკამებსა და მაგიდებს გაეგონათ და სამუდამოდ დამახსოვრებოდათ. დიკი უკვე ყველგან და ყველაფერში გრძნობდა როზმერის არყოფნას, პლაჟზე იწვა და იმის მზით დამწვარ მხარს ხედავდა; ტარში სეირნობდა და ბაღში მისი ფეხის ნაკვალევს სერავდა; ახლა ორკესტრმა „საკარნავალო სიმღერა“ დაუკრა. შარშანდელი და უკვე დავიწყებას მიცემული მხიარულების გამოძახილი და, გარშემო თითქოს ყველაფერი აცეკვდა, მაშინდელივით, მასთან რომ იყო. სულ რაღაც ასიოდე საათში როზმერი თითქოს მფლობელი გახდა ყველაფრისა, რაც კი მსოფლიოს შავმა მაგიამ იცის: ბელადონა, დაბინდულს რომ გინდის მზერას, კოფეინი, ფიზიკური ძალა ნერვულში რომ გადააქვს, მანდრაგორა, სიმშვიდეს რომ გგვრის.

ძალა მოიკრიბა და ერთხელაც სცადა დაეჭერებინა თავისი თავი, რომ როზმერიზე მისი სპირსივით, თითქოს „შორიდან“ შეეძლო მასაც ლაპარაკი.

„თქვენ და როზმერი სულ არ ჰგავხართ“, თქვა დიკმა. „თქვენგან მიღებული სიბრძნე ხმარდება იმ სახის, იმ ნიღბის შექმნას, რითაც ის ქვეყანას წარუდგება. როზმერი არ ფიქრობს, სულის სიღრმეში იგი ირლანდიელია, რომანტიკული და ალოგიკური“.

მისი სპირსმა თავადაც კარგად იცოდა, რომ როზმერი, მაუხედავად ნაზი გარეგნობისა, ახალგაზრდა მუსტანგი იყო, დოქტორ პოიტის, აშშ მედიცი-

ნის სამსახურის კაპიტნის ჭეშმარიტი ქალიშვილი. მშვენიერი გარდასული შიგნით, რომ გაგეჰრათ, ერთმანეთთან მიერთებულ უზარმაზარ გულს, ცხვირსა და სულს ნახავდით.

გამომშვიდობებისას დიკი გრძნობდა მისი სპირსის მომნიშვნელობას, სურდა არ სურდა, მისთვის იგი როზმერის რაღაც ფრაგმენტი კი არა, მეტიც იყო. შეიძლება გამოიგონა დიკმა როზმერი, დედამისის გამოგონება მათ არ შეეძლო. ასპარეზიდან გასულ როზმერის თუ კვერთხიცა და ძვირფასი თვლებიც, აღრალები თუ სპეკალები, მოსასხამიც დიკმა უბოძა, მით უფრო ჰგვრიდა სიამეს ახლა, ეყურებინა მომხიბლავი მისი სპირსისთვის, რადგან აქ თვითონ განზე იდგა. ასეთი ქალები, ვიდრე მამაკაცს სხვა საქმე აქვს, მათთან ყოფნაზე აღმატებული, ვთქვათ ბრძოლის ველი, ან ოპერაცია, და ხელს ვერ შეუშლი, ვერ ააჩქარებ, იცდიან ხოლმე, გაათავებენ ის მამაკაცი თავის საქმეს და მერე მონახავს, სადმე იქნება, გაზეთს ფურცლავს, ანდა წყნარად ზის და არ იტანჯება.

„მშვიდობით, მინდა თქვენ და როზმერის გახსოვდეთ, რომ ძალიან შეგვიყვარდით, მეც და ნიკოლსაც“.

ვილა „დაიანაში“ დაბრუნდა თუ არა, მაშინვე თავის კაბინეტს მიაშურა და დარბები გამოადო, წასვლისას დაეხურა, რათა შუადღის პაპანაქებას არ შეეღწია. ორ გრძელ მაგიდაზე თავისი წიგნის მასალები თითქოს განგებ ეყარა უწესრიგოდ. პირველი ტომი, რომელშიც სწავლებათა კლასიფიკაციაზე იყო ლაპარაკი, ავტორის სახსრებით ერთხელ უკვე გამოიცა მცირე ტირაჟით, ახლა მის მეორე გამოცემაზე შესთავაზეს მოლაპარაკება. მეორე ტომში მისი პირველი პატარა წიგნი, „ფსიქოლოგია ფსიქიატრთათვის“ უნდა შესულიყო, შევსებული და იმ პირველ წიგნზე აღმატებული. სხვებივით, თვითონაც დაიჯერა, რომ ერთი ან ორი იდეა თუ ჰქონდა მხოლოდ; და წერილების პატარა კრებული, სულ ახლახან ორმოცდამეათეჯერ გამოცემული გერმანიაში, არსებითად საწყისი თუ იყო იმისა, რაც იცოდა და რაზეც ეფიქრა დღევანდელ დღემდე.

ახლა კი — ახლა წუხდა ნიუ-ჰეივენში დაკარგული წლების გამო, უფრო კი იმ დროის გამო, დაივერების ცხოვრების მზარდ ფუფუნებას რომ ხმარდებოდა. გაახსენდა თავისი რუმინელი მეგობრის ნამბობი იმ მეცნიერზე, არმადილოს ტვინის აგებულებას რომ სწავლობდა მრავალი წლის მანძილზე და ეჭვი უჩნდებოდა, რომ ბერლინისა და ვენის ბიბლიოთეკებში აუჩქარებელი, მოთმინებადჭურვილი გერმანელები უკვე მიადგნენ იმის თემას. ლამის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რეზიუმეთი მოეთავებინა და ასიათასიტყვიან პატარა წიგნად, მომავალში გამოსაცემი უფრო მეცნიერული ტომების შესავლად გამოეჭვეყნებინა, რაცა ჰქონდა.

საბოლოოდ ირწმუნა, რომ ასე უნდა მოქცეულიყო, ამაზე ფიქრობდა, როცა ჩამავალ მზის სხივებშიყრილ ოთახში ბოლთასა სცემდა. მაშინ უკვე შეიძლებოდა გაზაფხულისთვის გადაეცა გამოსაცემად, როცა ეჭვი ღრღნის და ენერჯის მიუხედავად, მთელი წელი ვერას აკეთებს, — ვინც გინდა იყოს. ცხადზე ცხადია, იმას გეგმა არ უფარგაო, გაიფიქრა.

შენიშვნებით აჭრელებულ ფურცლებს ლითონის მოოქრული ფირფიტები დაადო, პრესპაპიებად ხმარობდა ხოლმე. მერე ოთახი თვითონვე მიალაგა, რადგან აქ მსახურს არ უშვებდა. სააბაზანოში პირსაბანი ბონ ამის პასტით

როგორღაც გაწმინდა. თეჯირი ვაჰაგრა და წერილით შეკვეთა გაუგზავნა ურბის წიგნის გამომცემლობას. ეს ყველაფერი რომ მოათავა, ჯინი დაიხსა, წყალი დაუმატა — ორი წილი და უფრო მეტიც, და ცოტა მოსვა.

ბაღში ნიკოლს მოჰკრა თვალი. იმის გაფიქრებაზე, რომ ახლად შეხვდებოდა, დიკს ტყვიასავით დააწყვა გულზე რაღაცა, ნიკოლთან ვითომ არაფერი, ისე უნდა მოქცეულიყო, და ასე — დღესაც, ხვალაც, ერთი კვირის მერეც და ერთი წლის მერეც. პარიზში მაშინ მთელ დამეს დიკის მკლავებში თვლემდა ნიკოლი, ლუმინალმა თავისი ქნა, მაგრამ ძილ-ღვიძილში მყოფ ნიკოლს დილით ადრე კინაღამ ახალი შეტევა დაეწყო, დიკმა ალერსითა და ზრუნვით დროზე დაამშვიდა და ისევ ჩაეძინა, დიკის სახეს ეხებოდა იმისი თმა და იმ თბილი თმის სურნელსა გრძნობდა. გაღვიძებამდე ფრთხილად დააწვინა, მერე ოთახში გავიდა და ტელეფონით ყველაფერი მოაგვარა. როზმერი ამათთან გამოუმშვიდობებლად გადავა სხვა ოტელში, „მამიკოს გოგო“ მამიკოს გოგოდ უნდა დარჩეს. ოტელის პატრონი, მისტერ მაკბეთი ძველი ჩინეთის სამი მაიმუნებით იქნება — არაფერს ხედავს, არაფერი ესმის და არაფერს ამბობს. როგორღაც ჩაალაგეს უამრავი ყუთები, ფუთები, ყველაფერი, რაც კი პარიზში იყიდეს და, შუადღით სამხრეთისკენ, რივიერასკენ მიმავალ მატარებელში ჩასხდნენ.

მაშინ იყო, რეაქციამ რომ იჩინა თავი, და როგორც კი ვაგონის კუბეში დაბინავდნენ, დიკმა იგრძნო, ნიკოლი ელოდა ამას; სანამ მატარებელი პარიზის გარეუბნებს გასცდებოდა, მანამდეც მოეძალა ის უნებური, სასოწარკვეთელი სურვილი — ჩამხტარიყო მატარებლიდან, ვიდრე მთელი სიჩქარით არ მიქროდა იგი, და ისევ პარიზში გაქანებულიყო. მოენახა როზმერი, გაეგო როგორ იყო, რას აკეთებდა. პენსნე მოირგო, წიგნი გადაშალა და შიგ ჩარგო თავი, ნიკოლი მოპირდაპირე მხარეს იწვა და დიკი გრძნობდა, თვალს არ აშორებდა. კითხვა არ შეეძლო და თვალები დახუჭა, ვითომ ძალიან დაიღალა, ნიკოლი ისევ უყურებდა, ჯერ კიდევ არ განელეზბდა ძილის წამლისგან მოგერილი მოთენთილობა, მაგრამ დაწყნარებული და თითქმის ბედნიერი იყო იმით, რომ დიკი ისევ მას ეკუთვნოდა.

თვალები დაეხუჭა, მაგრამ ეს უარესი იყო, ბორბლების რიტმში მკათიოდ მოესმოდა: ვიპოვე — დავკარგე, ვიპოვე — დავკარგე; მაგრამ თავი რომ არ ვაყცა, ლანჩამდე იწვა, ლანჩის დროს ცოტათი გამოკეთდა ყველაფერი — დიკს ყოველთვის უყვარდა ეს საუზმე, სულ რომ მოეთვალა, რაც ნიკოლი და თვითონ შუადღისას ლანჩზე მსხდარან. დიდ ოტელებში თუ გზისპირა სასტუმროებში, ვაგონ-რესტორანებში, ბუფეტებსა თუ თვითმფრინავებში, იმათი რიცხვი ათასსაც გადააჭარბებდა. მატარებლების ოფიციალტების ნაცნობი სირბილი, ღვინისა და მინერალური წყლის პატარა ბოთლები, როგორც ყოველთვის, შესანიშნავი სამზარეულო ამ ხაზზე, პარიზი-ლიონი-ხმელთაშუა, და ეს ყველაფერი იმის ილუზიას ქმნიდა, რომ არაფერი შეცვლილა მათ ცხოვრებაში, ოღონდ, პირველად იყო, რომ ნიკოლთან ერთად მგზავრობდა და — საითმე კი არა, გზა საიდანღაც მოდიოდა. ღვინო სულ თვითონ დალია თითქმის, ნიკოლმა მხოლოდ ოდნავ მოსვა თავის ჭიქიდან; საუბრობდნენ სახლსა და ბავშვებზე. მაგრამ, კუბეში დაბრუნდნენ და საუბარიც ამოიწურა, ისევ გაჩუმდნენ, მაშინდელივით, ლუქსემბურგის ბაღის წინა რესტორანში რომ ესხდნენ ორთავე. როცა იმავე გზას მიჰყვები, რამაც ტყვილი მოგაყენა, გაიხსენებ.

რაც გადაგხდა და — გულზე გეშვება. ამიტომ, თითქოს საჭიროა იმ გზაზე გასვლა, სხვანაირად თავს ვერ დაიხსნი. საკვირველმა მოუთმენლოვანმა შეიპყრო დიკი; უცებ ნიკოლმა თქვა:

„მაინც კარგად არ გამოვიდა, როზმერი რომ მარტო დავეტოვეთ, შენ როგორ ფიქრობ, არაფერი გაუჭირდება?“

„ცხადია, არა. თავს მოუვლის, არ დაიკარგება“. ნიკოლს რომ საყვედურით არ მიეღო, მაშინვე დაუმატა: „ბოლოს და ბოლოს, მსახიობია და დედა კი ზრუნვას არ აკლებს, მაგრამ ბევრ რამეს თვითონაც უნდა გაართვას თავი“.

„ძალიან მომხიბლავენია“.

„ჯერ ბავშვია“.

„სულ ერთია, მაინც მომხიბლავენია“.

თითქოს უმიზნოდ ისროდნენ ფრაზებს. ესეც, ერთმანეთის გულისთვის, რომ საუბარი როგორღაც გამოსვლოდათ.

„არც ისე ჭკვიანია, როგორც თავიდან მომეჩვენა“, შენიშნა დიკმა.

„საკმაოდ გონიერია“.

„საკმაოდ არა, როგორ ვითხრა, ბავშვურია, რაც გინდა იყოს“.

„ძალიან, ძალიან მომხიბლავენია“. ხაზგასმით, თითქოს გამომწვევად უთხრა ნიკოლმა, „და ძალიან მომეწონა იმ ფილმში“.

„რეჟისორია კარგი, მისი თამაში კი — ჩემი აზრით, მიბაძვია“.

„არა მგონია. საერთოდ, ალბათ ძალიან უნდა მოსწონდეთ მამაკაცებს“.

დიკს გული გადაუქანდა. ვინ მამაკაცებს, რამდენ მამაკაცს?

„...ხომ არ გეწყინებათ, ფარდას თუ ჩამოვუშვებ?“

ო, არა. მართლა რა თვალისმომჭრელი სინათლეა...“

აად არის ახლა? ვისთან არის?

„რამდენიმე წლის შერე შენზე ათი წლით უფროსს ემსგავსება“.

„პირიქით. ერთ საღამოს, თეატრში, პროგრამაზე დახატვა ვცადე. ასეთი სახე გვიან ბერდება“.

ორთავეს ცუდად ეძინა იმ ღამეს. ხვალ ან ზევ დიკი შეეცდება როზმერის აჩრდილის განდევნას მანამ, სანამ სამუდამოდ ჩარჩება სახლის ერთ-ერთ კედელში და დაბინადრდება. მაგრამ ახლა საამისო ძალა არა ჰყოფნიდა. ზოგჯერ ტკივილის მოშორება სიამეზე მეტადაც გიჭირს; ისე ახსოვდა, თვალებიც კი სტკიოდა ფიქრით. ვერაფერს იზამდა, უნდა ეთვალთმაქცა, ძნელი კი იყო, მაგრამ ნიკოლიც ბრახსა ჰგვრიდა, ამდენი ხნის მერე ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლება თვითონვე შეამჩნიოს შეტევისწინა სიმპტომები და აირიდოს, ამ ორი კვირის მანძილზე ორჯერ აიწყვიტა: პირველად ტარმში, ხალხი რომ დაპატიჟეს სადილზე. დიკს საძინებლიდან მოესმა მაშინ, როგორ უაზროდ ხარხარებდა ნიკოლი და მისიზ მაკისკოს ეუბნებოდა, სააბაზანოში ვერ შეხვალთ, ვასაღები ჭაში ჩავარდაო. ვაოცებული მისიზ მაკისკო დაიბნა. აღშფოთდა, შეეშინდა კიდევაც, მაგრამ, ეტყობა, რაღაცას მიხვდა. ის შემთხვევა დიკს დიდად არაფრად ჩაუგდია, რადგან მალე გაუარა, შეწუხდა და მერე გოსის ოტელშიც კი დარეკა ნიკოლმა, მაგრამ მაკისკოები უკვე წასულები იყვნენ.

პარიზში კი — ის შეტევა კი სულ სხვა იყო. იმას რომ იხსენებდა, ახლა პირველიც უფრო სერიოზულად ეჩვენებოდა. შესაძლოა იგი ახალ ციკლს, ავადმყოფობის ახალ აფეთქებას მოასწავებდა, როგორც ექიმმა კი არა, როგ-

ორც ადამიანმა, დიკმა ბევრი რამ გადაიტანა ხანგრძლივი რეციდივის დროს, ტოპსის, თავიანთი მეორე ბავშვის გაჩენას რომ მოჰყვა, და იმ აგონიის მერე მიეჩვია და ძალიან მკვეთრად არჩევდა ხოლმე კარგადმყოფ ნიკოლს ავადმყოფი ნიკოლისაგან. მით უფრო უჭირდა ახლა ერთმანეთისგან გაერჩევა ექიმის თავდაცვითი გაუცხოება და რაღაცა ახალი სიცოცხე თავის გულში. ვიღაცაობასავე, დიდხანს რომ გრძელდება, ან სულაც არაფრად აგდებენ და თანდათან სიცარიელეში გადაიზრდება ხოლმე, სწორედ ასევე შეეძლო დიკს დაცარიელებულიყო, თავისუფალი ყოფილიყო ნიკოლისგან და იმის წინაშე ნება-გრძნობის ჩაურევლად და ძალდატანებით მოეხადა თავისი ვალი. ვიღაცა წერს, სულიერი ჭრილობები ხორცდებაო — უაზრო ანალოგია კანის პათოლოგიასთან, ცხოვრებაში ასე არ ხდება, ასეთი ჭრილობა შეიძლება დაპატარავდეს. შეიძლება ქინძისთავის ჩხვლეტასავითღა იყოს, მაგრამ მაინც ჭრილობაა და ყოველთვის ღია. გადატანილი ტანჯვის კვალი თითის, ან ერთ თვალში ჩინის დაკარგვას შეიძლება შეადარო. ეჩვევი ამას და წელიწადში ეგებ ერთხელღა გაგახსენდეს, მაგრამ მერე მაინც რაღას უშველი.

XII

ნიკოლი ბაღში, გრძელ სკამზე იჯდა. მზრებზე მკლავებზემოჭდობილი. დიკს ნაცრისფერი, გაუსაძლისი ბავშვური ცნობისმოყვარეობით სავსე თვალები შეანათა.

„კანში ვიყავი“, თქვა დიკმა. „მისიზ სპირსს შევხვდი იქ. ხვალ მიდის, ჩამოსვლა უნდოდა, რომ გამოგმშვიდობებოდა, მაგრამ გადავათქმევინე“.

„ტყუილად, გამიხარდებოდა. მე მომწონს იგი“.

„იცი, კიდევ ვინ ვნახე? ბართოლომეო ტეილორი“.

„კარგი ერთი!“

„ბებერი ქრცვინის სიფათი აქვს, მაშინვე იცნობ, რას შეგეშლება. დასაზვერად ჩამოვიდოდა და აი ნახავ — მერმის მთელი სამხეცე აქ გაჩნდება, მე მეგონა, მისიზ აბრამზია ავანპოსტი-მეთქი და ახლა იმათთან ეგ რას მოვა“.

„ბები კი სულ ბუზღუნებდა იმ პირველ ზაფხულს, აქ რომ ჩამოვედით“.

„მაგათთვის მაინც სულ ერთია, სად იქნებიან. ვერ გავიგე, რას დადიან, დარჩნენ იმ დოვილში და გაიყინონ“.

„იქნებ ქოლერაზე ან სხვა ეპიდემიაზე დაგყაროთ ხმები?“

„მეტი კი არაფერი მიოქვამს ბართოლომეოსთვის, ზოგი ვერ იტანს აქაურ ჰავას და ბუზღებივით იხოცებიან-მეთქი, ზოგიც — რაღა აქ და რაღა ომში მეტყვიამფრქვევე-მეთქი“.

„იგონებ, არ ეტყობი“.

„ვიგონებ“, გამოტყდა დიკი „გულითადი საუბარი კი გავაბით. ჩვენი დახატვა ღირდა — შუა ბულვარზე ვიდექით და ხელს ვართმევდით — ზიგმუნდ ფროიდისა და უორდ მაკკალისტერის შეხვედრა“.

დიკს საუბარი კი არა, მარტო ყოფნა უნდოდა, რომ დღევანდელ დღესა და სიყვარულზე ფიქრი ხვალინდელ დღესა და საქმეზე ფიქრით ეძლია. ნიკოლი გრძნობდა ამას, ოღონდ ბუნდოვნად და ტრაგიკულად; ცოტათი კიდევაც

ცხადებოდა დიკი, მაგრამ ცოტათი; რაღაც პატარა მხეცივით, რომ მოსაფერ-
ებლად სწვდომოდა მხარში.

„ძვირფასო“, უგულისყუროდ თქვა დიკმა.

სახლში შევიდა, დაავიწყდა რისთვის, მაგრამ გაახსენდა, რომ დიკისკენ
წავიდა. სმენით აიღო რამდენიმე აკორდი, თან უსტვენდა.



მხოლოდ შენ გხედავ, მუხლზე მიზიხარ,
ორნი ვართ ქვეყნად, როგორ მიზიხარ,
მე შენთვის მოვკვდე, რაღაც მიზიხარ...
მხოლოდ შენ ერთთან,
და ჩემთან ერთად...

მელოდიასთან ერთად ცნობიერებას ნელ დინებასავით დაუარა. აზრმა,
რომ ნიკოლს ესმოდა და მიხვდებოდა, რა სევდაც კლავდა იმ ორ კვირაზე.
რაღაც აკორდით შეწყვიტა დაკვრა და როიალს მოსცილდა.

მიიხედ-მოიხედა. არ იცოდა სად წასულიყო. ეს სახლი ნიკოლმა შექმნა
თავისი პაპის ფულით. აქ მხოლოდ ფლიგელი და რაზეც ეს ფლიგელი ღვას, ის
მიწა ეკუთვნის დიკს. წელიწადში თავისი სამი ათასით და იმით, რასაც დრო-
დადრო გამოქვეყნებულ წიგნებში აძლევდნენ, დიკი იცვამდა, ღვინის სარ-
დაფს ამარაგებდა, ჯიბის ფულად ჰყოფნიდა და ლანიეს ძიძას უხდიდა, — სწა-
ვლა-აღზრდისთვის ჯერ ძიძა ჰყავდათ მიჩენილი, ნიკოლის რაც გინდა წამო-
წყებაში დიკს თავისი წილი ყოველთვის ედო. თვითონ საკმაოდ ასკეტურად
ცხოვრობდა. მარტო თუ მგზავრობდა — მხოლოდ მესამე კლასის ვაგონით,
სვამდა ყველაზე იაფფასიან ღვინოს, ტანსაცმელს უფროთხილდებოდა, ექსტრა-
ვაგანტურობისთვის თავს ისჯიდა ხოლმე და ამით ის მოახერხა, რომ ფინან-
სურად ერთგვარად თავისთავადი ყოფილიყო. მაგრამ, თანდათანობით ესეც ჭი-
რდა. ძალიან ხშირად ერთად უნდა ეფიქრათ ხოლმე ნიკოლის ფულზე, იმაზე,
როგორ მოეხმარათ. ცხადია, ნიკოლი, რაკილა სურდა, დიკი ყოველთვის თან
ჰყოლოდა და მხოლოდ იმისი ყოფილიყო. იმის მხრით ოდნავ სისუსტესაც კი
მაშინათვე ეჭიდებოდა. იოლი არ იყო გასძალებოდა ამდენ ფულსა და წამ-
ლეკავ ნივთებს. ახლა სულ უფრო შორდებოდნენ იმ მიაბიტურ პირობებს,
რითაც ორთავ შეერთდა ციურიხში. მაგალითად კლდეზე გაშენებული
ვილა გამოდგებოდა. ფანტაზიით რომ წარმოიშვა ერთ მშვენიერ დღეს. „რა
კარგი იქნებოდა, რომ...“ ამბობდნენ ხოლმე, და, „რა კარგი იქნება, როცა...“
ამბობდნენ მერე.

მაგრამ არც ისე კარგი იყო ყველაფერი. ნიკოლის პრობლემები დიკის სა-
ქმეში აიხლართა და ხელი ეშლებოდა; თანაც ბოლო ხანს ისე სწრაფად იზრ-
დებოდა ნიკოლის შემოსავალი, რომ დიკის მუშაობას ფასი ეკარგებოდა. გარ-
და ამისა, წლების მანძილზე, რაკი იგი ავადა ჰყავდა და უნდა ეზრუნა, თავი
დააჯერა, ძალიან მეოჯახე ვარო და იშვიათად თუ მოსცილდებოდა იქაურო-
ბას. ეს მოჩვენებითობაც სულ უფრო ძნელი ასატანი ხდებოდა ამ უღონო
უძრავობაში, სადაც იგი მიკროსკოპის ქვეშ იყო და მუდამ სინჯავდნენ. რაკი
დიკი ბოლომდე ველარ უკრავს რის დაკვრაც უნდოდა, ეს იმის ნიშანია, რომ
ცხოვრება წერტილამდეა დასული. კიდევ კარგა ხანს იჯდა დიდ ოთახში, სად-

აც როიალი იდგა და ელექტრო საათის ზუზუნს უგდებდა ყურს. უხმენდა, როგორ მიდიოდა დრო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოემბრის თვეში ზღვა შავად მოიქცა, ტალღები სულ უფრო მეტად ეხეთქებოდა ჯებირს და სანაპირო გზამდე გადმოდიოდა. წავიდა ზაფხულის ცხოვრება და მიტოვებული პლაჟებიც შესაბრალისად იყურებოდნენ მისტრალსა და წვიმაში. ვოსის ოტელი დაიხურა, რომ შეეკეთებინათ და გაეფართოებინათ და ჟუან-ლე-პენის საზაფხულო კაზინოსაც ემატებოდა და ემატებოდა საშენი ხე-ტყე. კანსა და ნიცაში დაივერებს ახალი ნაცნობები შემატნენ — ორკესტრანტები, რესტორატორები, მებაღე ენთუზიასტები, გემთმშენებლები, — დიკმა თავისთვის ძველი, მოტორიანი დიდი ნავი იყიდა, — და „სინდიკატ ინიციატივის“ წევრები. თავიანთი მსახურების ზნე-ჩვევები ორთავემ კარგად იცოდა და ბავშვების აღზრდაზეც ბევრს ფიქრობდნენ; დეკემბრისთვის ნიკოლი უკვე ისევ გამოკეთდა; მთელ იმ თვის მანძილზე დიკს ერთხელაც არ შეუძინებია დაძაბული მზერა, მოკუმული პირი ან უმიზნო სიცილი, არ გაუგონია ერთი უაზრო რემარკაც კი, და საშობაოდ დაივერები შვეიცარიის ალპებში წავიდნენ.

XIII

შიგ შესვლამდე დიკმა ქუდით ჩამოიფერთხა თოვლი მუქი ლურჯი სათხილამურო კოსტიუმიდან. ჩაის მერე დიდი ჰოლი უკვე დაეცალათ, მაგიდები კედელთან მიედგათ და ორ ათეულ წელს სათხილამურო ფეხსაცმლისაგან ლურსმნებდაკვალულ იატაკზე, ნაყვავილარს რომ ჰგავდა, ახალგაზრდა ამერიკელები ცეკვავდნენ. ასამდე იქნებოდნენ, სუყველა გშტადის დასახლების სკოლელები; „ნუ მოგყავს ლულუს“ მხიარულ ჰანგზე ხტოდნენ და ჩარლსტონის შმაგ რიტმში შეპყრობილებივით იკრუნჩხებოდნენ. აქ გულუბრყვილო და უფიქრელი ახალგაზრდობის კოლონია იყო — მოთარეშე მდიდრებს სენ მორიცში მოეყარათ თავი — ბები უორენი გრძნობდა, თავი რომ გაიმეტა და დაივერებს გშტადში წამოჰყვა.

დიკმა იოლად შეამჩნია დები ხალხში, პლაკატებივით თვალშისაცემი სათხილამურო კოსტიუმები ეცვათ — ნიკოლს ცასავით ლურჯი, ხოლო ბების აგურისფერ-წითელი. ახალგაზრდა ინგლისელი რალაცას უამბობდა, მაგრამ არ უსმენდნენ. ცეკვის რიტმს ისინიც აეტანა და მიმორწეულ ჰოლში მოცეკვავე ქალ-ვაჟიანს თვალს არ აშორებდნენ.

თოვლისაგან ისედაც დაწვებაწითლებული და გაბრწყინებული ნიკოლი დიკის დანახვაზე კიდევ უფრო გაბრწყინდა.

„ჰო, სად არის?“

„მატარებელზე დააგვიანდა, შემდეგს გამოჰყვება“. დიკი დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო. მძიმე ფეხსაცმელს აქანავებდა.

„გასაგიჟებლები ხართ ორივენი. ხანდახან მავიწყდება, რომ აქ ერთადა ვართ და თქვენ დანახვაზე ლამის არის ჭკუა დავკარგო“.

ბები მაღალი იყო, ლამაზი გარეგნობისა, კარგად მოვლილი და არ ემჩნეოდა, რომ მალე ოცდაათს გადასცდებოდა. ლონდონიდან ორი თანამგზავრი

ჩამოყვანა — ერთი ჯერაც კემბრიჯელი სტუდენტი, მეორე კი კონტორიანული ტიპის ხანშიშესული უზნეო მამაკაცი. შიგდაშიგ ბებრ უკვე ავლენდა შინაბერულ ჩვევებს — ზედმეტ მგრძობიარობას მიკარებდა, მკერდის მოსაწივს ვინმე თუ უცებ შეეხებოდა, ისეთი ხანგრძლივი კონტრასტული კოგორც კოცნა ან მოხვევა, სხეულს ატანდა და პირდაპირ გონებაზე გადადიოდა. ეესტიკულაციას იშვიათად მიმართავდა — ეს მთელი ტანის მოქნილობას მოითხოვდა, და ფეხის დარტყმას ამჯობინებდა, ანდა, თითქმის ძველმოდურად თავის გაქნევას. თუ ნაცნობთაგანს უბედურება შეემთხვეოდა, სიამოვნებას პგვრიდა სიკვდილის წინათგრძნობა და გემოს ატანდა ნიკოლის ტრაგიკულ ხვედრზე ფიქრს.

იმ ინგლისელებიდან უფრო ახალგაზრდა, როცა თხილამურებით სეირნობდნენ, ან მთიდან მარხილით ეშვებოდნენ, ღებს თან აბლდა. დიკი შეტასმეტ რისკზე წავიდა, პირველსავე დღეს ისეთი ტელემარკი გააკეთა, კოჭი იღრძო და ამიტომ, მსოლოდ ბავშვებთან ერთად თუ შეეძლო „ბალღების ფერდობზე“ ესრიალა, ან კიდევ, სულაც თტელში რჩებოდა და ბურახს სვამდა ერთ რუს ექიმთან.

„გამხიარულდი, დიკ, მოწყენილი ხარ“, ჩააცივდებოდა ნიკოლი. „ამდენი გოგოა, გაიცანი, შუადღეზე საცეკოოდ გაიწვიე და გაერთობი“.

„მერე, რაზე უნდა ველაპარაკო?“

„შენ როგორ ფიქრობ, რაზე უნდა ელაპარაკო?“ განკებ ამადლა თავისი დაბალი, ოდნავ მოგუდული ხმა და კეკლუცად გააბა: „ო, რა კარგია, რა სჯობია ახალგაზრდობას!“

„ვერ ვიტან ნორჩ გოგოებს, ზეითუნნარევი საპნისა და პიტნის ჩასატკბარუნებლის სუნი ასდით. იმათთან რომ ცეკვა, ვეგონება, საბავშვო ეტლს დაატარებო“.

ეს სახიფათო თემა იყო და დიკს წუთითაც არ ავიწყდებოდა, რომ ფრთხილად უნდა ყოფილიყო — ცდილობდა კიდევ ქალწულებისთვის არ შეეხებოდა და სადღაც იმათ თავებზემით ეცქირა.

„ბევრი საქმე გვაქვს“, თქვა ბებიმ. „ჯერ ერთი, წერილი მივიღე შინიდან იმ ნაკვეთზე, ვაგზლის ნაკვეთს რომ ვეძახით. ამ ნაკვეთის ნახევარი დიდი ხანია რაც იმ ვაგზლის კომპანიამ შეისყიდა და ახლა იმავე კომპანიამ მთლიანად იყიდა ნაკვეთი. ეს მიწა შემკვიდრეობის ნაწილია, ღედას ეკუთვნოდა, საკითხი ასე ღვას: დაბანდღეს აღებული ფული“.

ინგლისელმა, ვითომ, აქაოდა ასეთი თემა არ მაინტერესებსო, ვილაც ქალიშვილი გაიწვია საცეკვაოდ. ბებიმ მიბნედილი მზერა გააყოლა, იმ ამერიკელი ქალიშვილებივით, მთელი თავანთი ცხოვრება ყველაფერ ინგლისურს რომ აღმერთებენ, და მერე ისევ საუბარს დაუბრუნდა:

„ფული კარგა ბევრია. თითოეულზე სამას ათასამდე მოდის, ჩემი კაპიტალდაბანდება ჩემი საქმეა, მივხედავ, მაგრამ ნიკოლს ამ საქმეში არაფერი ვაეგება და მგონია, არც თქვენ ვაეგებათ“.

„მატარებელზე არ დამაგვიანდეს“, ორჭოფულად თქვა დიკმა.

გარეთ თოვდა. ჩამობნელდა, სველი ფიფქები სახეში ეყრებოდა და ექლაპებოდა. სამმა პატარა ბიჭმა ციგებით ჩაუარა, რაღაც გაუგებარ ენაზე დაუძახეს, აფრთხილებდნენ. ცოტა ხნის მერე უკვე ქვევიდან, მოსახვევიდან მოისმა იმათი ხმა. მთაზე ამავალი ცხენის მარხილის და ფლარუნების ხმა გაი-

გონა. დღე — სასწაული ახლოვდებოდა და ვაგზალიც ბრწყინავდა. ჭაბუკები და ქალიშვილები კიდევ ჭაბუკებისა და ქალიშვილების ჩამოსვლას ელოდნენ. ეს რიტმი დიკსაც გადაედო და მატარებლიდან ჩამოსულ ფრანც გრეგორიუსს ისეთი სახით შეხვდა, გეგონება, გაუთავებელი ღზინიდან ცოტა ქაჩუჭუჭი ძლივობით დაეღწია თავი, რომ აქ მოსულიყო. მაგრამ ფრანცს ზრუნვა არ ჰქონდა და დიკის ღზინაც ვერ გადაახვევინებდა. ფრანცს ამ მიზნიდან „მე შემოდია ციურბში ჩამოსვლა, ერთი დღით მაინც“, იწერებოდა დიკი, „ან იქნებ თქვენ მოახერხოთ და ჩამოხვიდეთ ლოზანაში?“ ფრანცმა გმტადში ჩამოსვლაც მოახერხა.

ფრანცი ორმოცი წლისა იყო, ჯანმრთელი შესახედაობისა, კარგი პროფესიული მანერებით, მაგრამ ამ მანერებზე მეტად ერთგვარი პედანტიზმი უფრო იცავდა, ამით შეეძლო ხიზღებოდა ის მდიდარი პაციენტები, რომლებსაც თვისაც ხელახლა უნდა ესწავლებინა ცხოვრება. მეცნიერული შემკვიდრეობა დიდ სამყაროს უშლიდა წინ, მაგრამ, ეტყობა, თვითონ უფრო მოკრძალებული ცხოვრებისეული პოზიცია ამჯობინა და ეს ცოლიც არჩევითაც დაადესტურა. ოტელში ბები უორენმა ახედ-დახედა და ჩაკი ღირსსაცნობი ვერაფერი აღმოაჩინა, ვერც სინათლე-დაბეწილობა, ერთი სიტყვით ვერაფერი, რითაც ერთმანეთს მაშინვე ცნობენ პროვილეგირი კლასები, მხოლოდ მეორეხარისხიანი უფროდღების ღირაი გახადა. ნიკოლს, როგორც ყოველთვის, ცოტათი ეშინოდა ფრანცის. დიკს მოსწონდა, და როგორც ყველა თავის მეგობარს, ამასაც ისე ექცეოდა, ზედმეტი არ უყვარდა.

სალამითი ისინი გორაკის ჩავლით სოფელში დაგშენენ. პატარა მარხილებით, მარხილები აქაურებისთვის ის იყო, რაც ვენეციელებისთვის — გონდოლები. სოფელს ოტელიცა ჰქონდა, შვეიცარიული ძველი სახამროთი — ფიცრული კედლებით, ექოსავით არეკლილ ხმებს რომ აყენებდა, საათებით, კასრებით, კათხებითა და ირმის რქებით. გრძელი მაგიდები ერთმანეთზე მიედგათ, იტყოდით, დიდი ჭეიფი აქვთო. ყველანი ჩინდუე-ს, ძნელმოსანელებელ, უელსურ საქმელს შეექცეოდნენ და ზედ შეხავებულ წითელ, ცხელ ღვინოს აყოლებდნენ.

ღრეობდნენ, ძაღლები პატრონს ვერ იცნობსო, თევა ახალგაზრდა ინგლისელმა და დიკმაც კვერი დაუკრა, ზუსტიაო, ცხელი, შეხავებული ღვინო თავში აუვარდა, ეჩვენებოდა, რომ ოთხნოცდაათიანი ოქროს წლების ჭაღარა ვეტერანების, პიანინოს რომ მისხდომოდნენ და ძველ სიმღერებს გაჰყვიროდნენ, იმათ აყოლილი ახალგაზრდა ხმებისა და ელვარე კონტრამეზის თამბაქოს კვამლში შერეული ფერების გამო, ყველაფერი ისეე თავის ადგილას დალივდა სამყაროში. წამით თითქოს ხომალდზე იყვნენ ზღვაში, და საცაა ხმელეთს დაინახავდნენ. ქალწულებრივი სახეები, მომლოდინე, რომ ეს სალამოცა და ეს ღზინიც რაღაცა ახალს შპირდებოდა... დიკმა მალულად გაიხედა, ადრე რომ შეამჩნია, იმ ამერიკელ ქალიშვილს ეახებდა თვალით, მოეჩვენა, რომ ისიც მაგიდას უჯდა, ოღონდ ამათ უკან — მერე სულაც გადაავიწყდა და მიეთმოეთს მოჰყვა, რაღაცება იგონებდა, თავისებს ართობდა.

„მინდა გელაპარაკოთ“, ინგლისურად უთხრა ფრანცმა. „მხოლოდ ორი დღით წამოვედი“.

„მიუხვდი, გუნებაში რაღაცა ჰქონდათ“.

„გეგმა მაქვს — შესანიშნავი“. ფრანცმა თავისი მძიმე ზელო დიკის მუხლს დაადო. „გეგმა, რომელიც ჩვენ ორივეს გამოგვადგება“.

„რა არის?“

„დიკ, შეგვიძლია საკუთარი კლინიკა გვქონდეს — ბრაუნის ძველი კლინიკა ცუგის ტბაზე? ძველია, მაგრამ თითქმის უცვლელი ტექნიკით აღჭურვილი. ბრაუნი ავად არის და ავსტრიაში სურს წასვლა. იქ თუ უნდა წუთისოფელს დაემშვიდობოს, ალბათ ამისთვის, ასეთი შანსი ცხოვრებაში ერთხელ გეძლევა კაცს. თქვენ და მე — უკეთეს წყვილს ვერც ინატრებ! არა, მოიცათ, ბოლომდე მათქმევინეთ“.

ბების თვალეზში ყვითელმა ცეცხლმა დაკვესა და დიკი მიხვდა, რომ ყურს უგდებდა.

„ეს საერთო საქმე იქნება. თქვენ მიიღებთ ბაზას, ლაბორატორიას, საკუთარ ექსპერიმენტულ ცენტრს და ხელფეხშებოქილიც არ იქნებით — ბევრი-ბევრი ექვსი თვე იჯოთ ადგილზე, კარგი თვეები, კარგ ამინდში, ზამთარში კი შეგიძლიათ წახვიდეთ ამერიკაში ან საფრანგეთში და ახალი კლინიკური გამოცდილების ბაზაზე წიგნები წეროთ“. ფრანცმა ცოტა ხმას დაუწია. „ოჯახისათვისაც გამოგვადგებათ კლინიკის რეჟიმი, ატმოსფერო“. დიკს ვერ შეატყუო მხარდაჭერა და ამ პუნქტს მოეშვა, ენის წვერი ოდნავ გამოყო და უმაღლდამალა. „ჩვენ შეგვეძლება პარტნიორობა, მე ადმინისტრატორი ვიქნები, თქვენ — თეორეტიკოსი, ბრწუნვალე, მაღალკვალიფიციური კონსულტანტი და ასე შემდეგ. მე ვიცი ვინ ვარ და რა ვარ. ვიცი, მაინცდამაინც დიდი ნიქით ვერ დავიკვეხნი, თქვენ — პირიქით. მაგრამ კარგ კლინიციისტად ვითვლები და მკურნალობის ახალი მეთოდებიც ვიცი, ამ მხრივ მეტად კომპეტენტურიცა ვარ. სოგჯერ თვეობით ვუძღვებოდი ძველ კლინიკას. პროფესორი აღტაცებულია! ამ გეგმით, არ გადაიფიქროთო, მირჩევს. სიცოცხლეს არ ვეთხოვები და ბოლო წუთამდე ადგილზე ვიქნებიო, ამასაც ამბობს“.

სანამ საქმიან მხარეს შეეხებოდა, დიკმა წინასწარ წარმოიდგინა მთელი ეს პერსპექტივა.

„ფინანსურ მხარეზე რას იტყვიო?“ ჰკითხა ბოლოს.

ფრანცს ყველაფერი, ნიკაპი, წარბები, არც ისე ღრმა ნაოქები შეუბღზე, თითები, იდაყვები, მხრები რაღაცა აეზიდა. ფეხის კუნთები იაე დაეჭიმა, რომ შარვლის ქსოვილზეც კი შეეტყო. გულიც კი ყელთან მიებჯინა, ხმა კი თითქოს ხმას მიეკრა.

„საქმეც ეგ არის! ფული!“ მწარედ წამოიძახა. „ფული ცოტა მაქვს. ბრაუნმა კლინიკა ამერიკულ ფულზე ორას ათას დოლარად შეაფასა. აუცილებელია მოდერნი-ზა-ცია“ — ბოლო სიტყვა ისე წარმოთქვა, გეგონება, გემოს ატანდა თითოეულ მარცვალს, — „ოცი ათასი დოლარი დაჯდება. მაგრამ ეს კლინიკა ოქროს საბადოა. გეუბნებით, ასეა, ღრმად მჯერა. საქმეს უკვე. ასე თუ ისე, გადავხედე. ორას ოცი ათასი დოლარის დაბანდებით ამ საქმეში, ისეთი შემოსავალი გვექნება...“

ბები ლამის გათავდა ცნობისმოყვარეობისაგან, ეყოფაო, გაიფიქრა დიკმა და თქვა:

„ბები“, მიმართა მან, „ერთი მითხარით, ვეროპელს თუ სასწრაფოდ ამერიკელი დასჭირდა, ეს უეჭველად ხომ იმას ნიშნავს, რომ საქმე ფულს ეხება?“

„რა ხდება?“ უცოდველად იკითხა ბებიმ.



„ამ ახალგაზრდა პრივატ დოცენტს სურს, ჩემთან ერთად დიდი ბიზნესი წამოიწყოს — კლინიკა გახსნას ნერვებით დაავადებული ამერიკელებისათვის“.

ფრანცი შეშფოთებით შეაჩერდა ბების, დიკი ისევ ლაპარაკობდა:

„პო, მაგრამ, ეინა ვართ ჩვენ, ფრანც? თქვენ დიდა წინაპრებს ვინ ვართ ატარებთ, მე კი ფსიქიატრიის ორი სახელმძღვანელო გამოვაქვეყნებ... მასწავლებელს კმარა ავადმყოფების მისაზიდად? თანაც, არც მე მაქვს ბევრი ფული — შეათედიც არა მაქვს“. დიკმა შეამჩნია, ფრანცმა უნდობლად ჩაიციხა. „პატიოსან სიტყვას გეუბნებით არა მაქვს. ნიკოლი და ბები მდიდრები არიან. კრეზებივით, მაგრამ ეს სამდიდრე ჩემ ხელთ არ არის, ვერ მოვახერხებ ათვისება“.

ახლა სუყველა ამათ ლაპარაკს უგდებდა ყურს — შეიძლება ის ქალი-შვილიც. სადღაც უკანა მაგიდასთან რომ ზისო, გაიფიქრა დიკმა. ამ აზრმა გაართო კიდევაც. ადგეს და ბებიმ ილაპარაკოს მის მაგივრად, თავისთვის დაასკვნა, იმ კაცებივით, ხშირად ქალებს რომ ალაპარაკებენ საქმეზე, მაგრამ იციან, რომ ბოლო სიტყვა მათზე არ არის. ბები უცებ მთლად პაპამისად იქცა, იმისი დინჯი და საქმიანი იერი მიიღო.

„ჩემი აზრით, ამაზე დაფიქრება ღირს, დიკ, კარგად არ ეიცო, რა თქვა დოქტორმა გრეგორიმ, მაგრამ, მე მგონია...“

ის ქალწული კვამლის რგოლებში ჩაიხარა უკან და იატაკიდან რაღაცა წამოკრიბა. ნიკოლია სახე დიკის წიხ იყო — მისი სიღამაზე, ახლა თითქოს განგებ მღვლვარე და მომლოდინე, იღვრებოდა და თითქოს ერთვოდა დიკის სიყვარულს, იმ სიყვარულს, ყოველთვის რომ იცავდა ნიკოლს.

„მოიფიქრეთ, დიკ“, ჩაცვიებით ამბობდა ადელგუნდი ფრანცი. „არ შეიძლება ფსიქიატრიაზე წერო, თუ კლინიკასთან კონტაქტი არა გაქვს. იუნგი წერს, ბლეილერი წერს, ფროიდი წერს, მიხედვით ფორელსა და ადლერს, ყველანი წერენ და გონებრივი აშლილობის შემთხვევებს ყველანი კლინიკებში აკვირდებიან. ეს კონტაქტი ყველას სჭირდება“.

„მერე, მე რისთვისა ვარ?“ გაიცინა ნიკოლმა, „მე თუ მკითხავთ, ერთი ასეთი გონებრივი აშლილობა მეტიც არის ერთი კაცისთვის“.

„ეს სულ სხვა რამეა“, ფრთხილად შენიშნა ფრანცმა.

ბები კი უკვე ფიქრობდა იმაზე, რომ ნიკოლის კლინიკასთან ახლო ცხოვრება მასზე ჯავრს თითქმის გაუჭრობდა.

„ჩვენ ყველაფერს მოვიფიქრებთ“, თქვა მან.

ბების თავხედობამ გააცინა დიკი, მაგრამ ცოტა გაბრაზდა კიდევ. „საქმე მე მეხება, ბები“ მშვიდად შენიშნა მან. „რა თქმა უნდა, ძალიან მსიამოვნებს, რომ მზადა ხართ მიყიდოთ კლინიკა“.

იგრძნო ბებიმ, კარგად არ გამოუვიდა და მაშინვე უკან დახევა სცადა.

„რა თქმა უნდა, დიკ, ეს მთლიანად თქვენი საქმეა“.

„ასეთ საკითხს სახელდახელოდ ვერ გადაწყვიტ, რამდენიმე კვირა მაინც გჭირდება კაცს, რომ მოიფიქრო. თანაც არ ეიცო, როგორ გავძლებოთ მე და ნიკოლი ციურბში. მე“... ფრანცს მოებრუნდა. წინასწარ მიხვდა, რა პასუხსაც მიიღებდა. „პო, რა თქმა უნდა, ეიცო, ციურბში, წყალოც არის, გაზიც და ელექტრონიც — სამი წელი ვცხოვრობდით იქ“.

„მოიფიქრეთ, მე არ გაჩქარებთ“, თქვა ფრანცმა, „მაგრამ მჯერა, რომ...“

ამი წყვილი ხუთგირვანჯიანი მძიმე ფეხსაცმელი აბრაზუნდა, გასასულელთან და თავისი კომპანიითურთ დიკიც ახვებს მიჰყვა. გარეთ, მთვარის ცივ

ნათებაში ისევ მოჰკრა თვალი იმ ქალიშვილს. ციგის მარხილზე მიბმას ცდილობდა, თავიანთი მარხილი მონახეს, ზედ ავიდნენ, ცხენები აბიჯდნენ და შეძახილსა და მათრახების ტკაცუნში დაიძრნენ, მკერდით მიარღვევდნენ ღამეულ ჰაერს. ვიღაცები სირბილით ეწვოდნენ, ციგებს ეჭიდებოდნენ ყველაზე ახალგაზრდები ერთმანეთს აწყდებოდნენ და რბილსა და ზმრგვლად უცემოდნენ. მერე ისევ სირბილით ეწვოდნენ და არაქათწართშეულები დაეხეთქებოდნენ ციგებზე, ან თუ არადა, ღრიალებდნენ, ჩვენი დატოვება გინდათო. გარეშემო მწყალობელ ველებს მიერულათ. გზა, რომელსაც ეს კავალკადა ზევით მიჰყავდა, უსასრულო და უსაზღვრო იყო. სოფელთან მიჩუმდნენ. ეტყობა, ატავისტურად მიუგდეს ყური თოვლის სითეთრეშერეულ სივრცეს — მგლების ყმული ხომ არ ისმისო.

საანენში უცებ მოიფიქრეს მუნიციპალურ მეჯლისზე წასვლა და მწყემსების, ოტელის მსახურების, დახლიდარების, მოთხილამურე გიღების, ტურისტების, გლეხების ბრბოში გაერივნენ. პანთეისტური შეგრძნების მერე, ისევ სითბო და ხალხმრავლობა რაღაც აბსურდული, რაინდის ბრწყინვალე სახელის დაბრუნებასა თუ ომში მძიმე და ღებებიანი ჩექმეებით ზარდამცემსა და გასახდელში კი ბეტონის იატაკზე ფეხბურთის ბუცების ყურთწამლებ ხმასა ჰგავდა. ტიროლურ სიმღერებს მღეროდნენ, იოდელის ნაცნობ რიტმს დიკი იმ რომანტიკულობიდან გამოჰყავდა, რითაც პირველად შეეხედა ამ სანახაობისათვის. გუნება შეეცვალა — გაიფიქრა. ალბათ იმიტომ, რომ თავიდან ამოვიგდეთ იმ ქალიშვილზე ფიქრი, მაგრამ მერე გაახსენდა ბების სიტყვები: „ჩვენ ყველაფერს მოვიფიქრებთ...“ და ისიც, რაც ამის მიღმა იფარებოდა: „თქვენ ჩვენ გვეკუთვნით, ადრე თუ გვიან ამას თვითონაც აღიარებთ, აბსურდია თქვენი თავდაჭერაც — ვითომდა არა“.

დიდი ხანია დიკს აღარაეისი ბოღმა ჰქონია — იმის მერე, ნიუჰეივენელი პირველი კურსის სტუდენტი რომ იყო და „გონებრივ ჰიგიენაზე“ პოპულარულ ესეს წააწყდა. ახლა ბებიმ გააცოფა პირდაპირ თავისი გულგრილი თავხედობით, აქაოდა, მდიდარი ვარო, და ბრახს ვეღარ იოკებდა. გულს უნდა მორეოდა, მაგრამ ადვილი არ იყო. ალბათ რამდენი ასი წელი გაივლის, მანამ, სანამ ასეთი ამორძალები მიხვდებიან, რომ ფაქტურად ადამიანი ყველაზე უფრო მოწყვლადია სიამაყეში და უნდა ეცადო არ შეუღაბო ეს სიამაყე, თუ არადა, ჰამპტი-დამპტი ხდება, ვისაც მერე პირმოთნედაც ეჭვევა ყველა, და გვიანდა არის. დოქტორი დაივერი თავისმა პროფესიამ, რითაც დაწეწილი სულის პაციენტებთან უხდებოდა ყოფნა, მიაჩვია. სათუთად მოპყრობოდა ადამიანებს. მაგრამ:

„მეტისმეტად თავაზიანი გახდა ყველა“, თქვა მან. წყნარად მავალი მარხილებით ისევ გშტადის გზას რომ დაადგნენ.

„მე ვფიქრობ, ეს ძალიან კარგია“, მიუგო ბებიმ.
 „არა, არ არის ძალიან კარგი“, შეესიტყვა დიკი, უსახო ბეწვეულს მიმართავდა სიბნელეში. „რა არის ეს მეტასმეტი თავაზიანობა, ის, რომ სუყველა მეტისმეტად სათუთია და უხელთათმანოდ ვერ შეეხები. მერედა, პაციენტებმა ადამიანის შიმართ? ცხადია, იოლი არ არის, ვინმეს მატყუარა, ან ლაჩარი დაუძახო, მაგრამ თუკი მთელი სიცოცხლე ხალხის გრძნობებს დაინდობ და

* ძველი ინგლისური საბავშვო გამოცანის გმირი (პასუხით: „კვერცხი“).

პატივმოყვარეობას ასაზრდოებ, მაშინ, ბოლოს და ბოლოს იმას როგორღა დაე-
აგებ პატივს. რაც ჭეშმარიტად ღირსეულია ადამიანში“.

„შე ვფიქრობ, ამერიკელები ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მათს“
ებს“, შენიშნა ხნიერმა ინგლისელმა.

„ასეა, ძალიან“, დაუდასტურა დიკმა. „მამაჩემს, მაგალითად, შთამომავ-
ლობით ჰქონდა ძველ-რბილში გამაღარი მანერები, იმ დროიდან, როცა ჯერ
იარაღს ესროდნენ ხოლმე ერთმანეთს და მერე ბოდიშსაც მოიხდიდნენ. ია-
რალასხმული კაცი — თუმცა თქვენ, ევროპელები უკვე მეთვრამეტე საუკუნე-
ნის დასაწყისიდან აღარ ატარებთ იარაღს მშვიდობიან დროს...“

„იქნებ მთლად ასე...“

„მთლად ასე და ისედაც“.

„თქვენ ყოველთვის შესანიშნავი მანერები გქონდათ, დიკ“, შემრიგებ-
ლურად უთხრა ბებიმ.

ბამბურა ქალები, თავიანთი ბეწვის ქურქებით სამხეცეს ბინადრებს რომა
ჰგვანდნენ, შეშფოთებით შესცქეროდნენ დიკს. უმცროსმა ინგლისელმა ვე-
რაფერი გაიგო, ერთი იმ ყმაწვილთაგანი იყო, ლავგარდანებსა და აივნებზე
ხტომასზე რომ გიყდებიან და ამ დროს თავი იალქნიან ხომალდზე ჰგონიან —
და მოჰყვა გრძელსა და უაზრო ამბავს, თავის ძმაკაცთან რომ მოუხდა —
კრივი გამართეს თურმე, ძალიან ჰყვარებიან, მთელ საათს ურტყამდნენ, დაა-
ლურჯეს ერთმანეთი ჩხუბის სუყველა წესის დაცვით. დიკი ხუმრობის გუნე-
ბაზე დადგა.

„და ყველა მის დარტყმაზე უფრო აფასებდით, როგორც მეგობარს?“

„უფრო მეტ პატივს ვცემდი“.

„შე ვერ გავიგე თავი და თავი ამ ამბისა, თქვენ და თქვენი ძმაკაცი ჩხუბ-
ობთ რაღაც სისულელის გამო...“

„თუ ვერ გაიგეთ, რა ვქნა მერე“, ცივად მიუგო ყმაწვილმა ინგლისელმა.

„ყოველთვის ასე თავდებო ხოლმე, თუკი ისა ვთქვი, რასაც ვფიქრობ, —
გაიფიქრა დიკმა.“

დიკს შერცხვა, არა, რა საჭირო იყო ამ ყმაწვილის გაღიზიანება, რაღაც
უაზრო ამბავს რომ მოჰყვა, მით უფრო უაზროს იმის გამო, რომ თავადაც კა-
რგად არ ესმოდა და თან სოფისტივით ლაპარაკობდა მთელ იმ კრივზე.

საკარნაველო მხიარულებას თავისი გაჰქონდა, ფხიზლდებოდნენ და ერთ-
ბაშად ყველა ბარს მიაწყდა. ტუნისელი ბარმენი ჯადოქარივით ცვლიდა შუქ-
ჩრდილებს და სინათლის რთულ კონტრაპუნქტს ქმნიდა — მისი მთავარი მელო-
დია — დიდ ფანჯარაში საციგურაოდან არეკლილი მთვარის ნათება. ის ქალი-
შვილიც იქ იყო, მაგრამ თითქოს ეშხი წაერთვა ამ შუქის თამაშში და დიკს
ინტერესი დაეკარგა იმის მიმართ. საინტერესო ის უფრო იყო, ჩაბნელებული
ბარისათვის ეცქირა ახლა, სადაც ვერცხლისფრად, ხანაც მწვანედ იწვოდა ხო-
ლმე სიგარეტი წითელი შუქის გაელვებისას. ზოგჯერ კიდევ, კარის გაღება-
დახურვისას, თუ რა უცებ შემოდოდა და იწვლებოდა თეთრი ზოლი.

„ახლა, მითხარით, ფრანც“, უთხრა დიკმა, „როგორ ფიქრობთ, მთელ
ღამეს რომ ჩაჯდები და ლუდის სმის მეტს არას აკეთებ, შეიძლება პაციენტე-
ბთან მიხვიდე და დააჯერო, რომ რაღაცას წარმოადგენ? როგორ გგონიათ, არ
იტყვიან, ლოთიაო?“

„მე წავალ, დავიძინებ“, გამოაცხადა ნიკოლმა, დიკი გაჩეხა, რომ ლიფტამდე შეეცილებინა.

„მეც წამოვიდოდი, მაგრამ ფრანცს უნდა გავაგებინებო“, — უკრძალავს დიკი.

ნიკოლი კაბინაში შევიდა.

„ბების ძალიან სადი აზრი აქვს“, დაფიქრებით წარმოთქვა ნიკოლმა.

„ბები ერთი იმათგანია, ვინც...“

ლიფტის კარი ხმაურით მიიხურა და გვარლის ვიბრაციის ზუზუნში დიკმა ფიქრში დაამთავრა: „ბები შეზღუდული, ანგარიშიანი ეგოისტია“.

მაგრამ ორი დღის მერე, ვაგხალში, როცა ფრანცს აცილებდა, დიკმა უთხრა, რომ მოიფიქრა და ალბათ თანახმა იქნებოდა.

„ეტყობა, რაღაც ქაჯურ წრეში ვხვდებით“, თქვა მან. „დაძაბული ცხოვრებით ვცხოვრობთ, ნიკოლისთვის ეს უკვე ძნელია. რივერაზე ჩვენი პასტორალური ზაფხული კი უკვე გათავდა — მერმინდელ სეზონში უფრო მოდურ აგარაკად იქცევა ეს ადგილი“.

ხრამბრეში თოვლიან ადგილებსა და საციგურაოებს გასცდნენ, იქ ვენის ვალსების გრილი ისმოდა, მთის სკოლებზემთ ფერადი დროშები ფრიალებდა და ფიორ ლურჯ ცისა ფერს ფერებს მატებდა.

„...პო, ვნახოთ, ფრანც, იქნებ კარგად წავიდეს საქმე, სხვასთან ალბათ არ ვინდომებდი“.

მშვიდობით, გშტად! მშვიდობით. საბრალობელო მზრალო ყვავილნო, ფიფქებო ლამის სინანულისა, კისკასო სახე, მშვიდობით გშტად, მშვიდობით!

XIV

ივლისის ერთ დღეს დიკს დილის ხუთ საათზე გაეღვიძა, ომი ესიზმრა. ფანჯარასთან მივიდა და ცუგის ტბას ვახედა. სიზმრის დასაწყისი პირქუშად დიდებული იყო. ბნელ მოედანზე ცისფერუნიფორმიანებმა მარშით გაიარეს, სასულე ორკესტრი პროკოფიევის „სამი ფორთოხლის სიყვარულს“ უკრავდა. მერე მიდიოდნენ სახანძრო მანქანები, უბედურების სიმბოლოები, სულ ბოლოს კი შემაზრხენი ამბობი დაქრილებიანა შესახვევ პუნქტში. დიკმა სასთუმლის ლამპა აანთო და სიზმარი ჩაიწერა, ბოლოს ცოტა ირონიული ფრაზაც მიაყოლა: „კონტუზია ზურგში“.

საწოლის კიდეზე იჯდა და ეჩვენებოდა, რომ გარშემო სიცარიელე იდგა. სახლი, ოთახი, ღამე, ყველაფერი ცარიელი იყო. გვერდით ოთახში ნიკოლმა ნაღვლიანად წაილაპარაკა ძილში, დაიკვნესა. ეტყობა, რაღაცა უსიამოვნოს ხედავდა და დიკს შეეცოდა. მისთვის დრო ხან სულაც ერთ ადგილზე იდგა, ხანაც სწრაფად მიქროდა, კინოფირივით. ნიკოლისთვის კი წლები წარსულში რჩებოდა, წარსულს ბარდებოდა, საათობით, კალენდრით, დაბადების დღეებით, მძაფრად რომ აგრძნობინებდა თავის წარმავალ სილამაზეს.

ეს თვრამეტი თვეც ცუგის ტბაზე ნიკოლს დაკარგულ დროდ მიაჩნდა, წელიწადის დროთა ცვლასაც იმათი სახეებით თუ იგებდა, გზებზე რომ მუშაობდნენ — მაისში უწითლდებოდათ, ივლისში ყავისფერი უხდებოდათ, სექტემბერში ლამის უშავდებოდათ, გაზაფხულისთვის კი ისევ თეთრები იყ-

ვნენ. პირველი შეტევის მერე ცხოვრებას კვლავ დაბრუნებული და იმედრანი, ბევრ რამეა ელოდა, მაგრამ ცხოვრება არც არაფერი არ აღმოჩნდა, ვერაფერს ჩაეჭიდა, ვარდა დიკისა, ბავშვებისა, რომელთა დმი ჭეშმარიტი სიყვარული ქრ-ცა ჰქონია, გეგონება, ობლები აეყვანა გასაზრდელად. ისინი მარტო მარტო მოსწონდა, მეამბოხე სულისა უფრო იყვნენ, მაგრამ იმათთან ყოფნა ნიჭიან უქადდა, სიმშვიდე ერღვეოდა. უნდოდა ჩასწვდომოდა იმ სასიცოცხლო ძალის საიდუმლოს, ასეთ ხალხს თავისთავადებს, გამტანებსა ან შემოქმედებს რომ ზდიდა, მაგრამ ამოდ, საიდუმლო ბავშვობის ბრძოლებში ჩამარხულიყო და დიდი ხნის წინათ დაევიწყათ. ნიკოლში უფრო მომხიბვლელია და მოჩვენებითი ჰარმონია აინტერესებდათ, რითაც მისი ავადობა იფარებოდა, და მართლ იყო ცხოვრებაში, დიკს იკუთვნებდა და დიკს კი არავის კუთვნილება არ უნდოდა რომ ყოფილიყო.

ბევრჯერა სცადა თავისი ძალის შესუსტება დიკმა ნიკოლზე, მაგრამ ამოდ, ხშირად ატარეს კარგი დრო ერთად, ბევრი თეთრი ლამე ჰქონიათ ლაპარაკსა და სიყვარულში, მაგრამ წასვლისას დიკი ყოველთვის თავის თავში იძი-რებოდა, თვითონ კი არაფერთან რჩებოდა და ეჭიდებოდა ამ არაფერს, შეს-ცქეროდა, რა სახელს აღარ ენახდა, მაგრამ იცოდა, ეს მხოლოდ იმედი თუ იყო იმისა, რომ ისევ დიკი დაბრუნდებოდა ძალიან მალე.

დიკმა ბაღში აიღო, დაწვა და კისერქვეშ ამოიღო იაპონელებივით, სისხლის მიმოქცევის შენელება რომ უნდათ ხოლმე. ცოტა ხანს ისევ დაეძი-ნა. მოგვიანებით, პირს რომ იპარსავდა, ნიკოლი ადგა, დიკს ესმოდა, ოთახებ-ში რომ დადიოდა და მსახურებსა და ბავშვებს მითითებებს აძლევდა. ლანიე მოვიდა, რათა ენახა, როგორ იპარსავდა პირს მამა. მთელ ამ ხანში, ფსიქიატ-რიულ კლინიკასთან რომ ცხოვრობდნენ, ლანიე დიდი ნდობითა და აღტაცებ-ით ეკიდებოდა მამას, სხვებს კი, დიდების უმრავლესობას გულგრილად უსუ-რებდა. ავადმყოფებს ან რაღაც უცნაურებად და შერევილებად თვლიდა, ან და მოსაწყენ, ზედმეტად კარგად აღზრდილ ხალხად — ინდივიდუალობა არა აქვთო. ლანიე ლამაზი, საინტერესო ბიჭი იყო და დიკი ბევრ დროს უთმობდა მას. მათი ურთიერთობა კეთილი, მაგრამ მომთხოვნი ოფიცრისა და თავაზიანი რიგითის ურთიერთობასა ჰგავდა.

„მამა“, ჰკითხა ლანიემ, „როცა იპარსავ, რატომ გრჩება ცოტა ქაფი საქო-ჩრებზე?“

დიკმა ფრთხილად გაიცალკევა საპნიანი ტუჩები.

„მე თვითონ არ ვიცი რადარანაირად. მე მგონია, ქაფი ჯერ თითზე მხვდე-ბა, ბაკებს როცა ვისწორებ და იმიტომ, მაგრამ მერე როგორღა აღის საქო-ჩრებზე, ეგ აღარ ვიცი“.

„ხვალ თავიდანვე უნდა ვუყურო და ვნახო“.

„საუზმემდე მეტი შეკითხვა აღარ გექნება?“

„ეს რა შეკითხვაა“.

„როგორ არა, ერთ შეკითხვად უკვე ჩაგითვალე“.

ოცდაათი წუთის მერე შინიდან გასული დიკი ადმინისტრაციული კორპუ-სისაკენ მიდიოდა. დიდი ხანი არ იყო, რაც ოცდათვრამეტისა გახდა, წყერს არ უშვებდა, მაგრამ პროფესიული აურა მაინც მიეცა — რივიერაზე არ იყო ასეთი. თვრამეტი თვე გავიდა, რაც აქ ცხოვრობდა და მუშაობდა კლინიკაში, რო-მელიც თავისი აღჭურვილობით ერთ-ერთი საუკეთესო იყო ევროპაში და დო-

მღერის კლინიკისათვის, ესეც ახალი ტიპისა — არც ერთი ბნელი და პირქუში შენობა — აქა-იქ ჩადგმული კოტეჯები კი სოფლურ მყუდროებასა ქმნიდა. დიკისა და ნიკოლის გემოვნება აქაურობასაც დაეტყო და ტყუილად რომელი იყო, რომ ციურბში თუნდაც გავლით მიხვედრილ ყველა ფსიქიკოსს უფიქრებლად უნდა შემოეველო და ენახა იგი. გოლფისა და ჩოგბურთის სპორტის ნივთების შესანახი სპეციალური სახლიც რომ ყოფილიყო, შეიძლება ქალაქგარე კლუბადაც მიგეჩნიათ. „ასკილი“ და „წიფელი“, პატარა სახლები იმათთვის, ვინც წყვილიადში უკვე სამუდამოდ ჩაძირულიყვნენ, მწვანე ჩირგვნარით იყო გაცალკევებული მთავარი კორპუსისგან — სიმაგრეები, კამუფლაჟით კარგად დაფარული. იმის იქით ბოსტნები ჩანდა, ფერშის ერთ ნაწილს კლინიკის პაციენტები ამუშავებდნენ. აქ, ერთ სახურავქვეშ, სამი სახელოსნო იყო ერთგოთერაპიისთვის და თავის დილის შემოვლასაც სწორედ იქიდან იწყებდა დოქტორი დაივერი. ერთში ხუროს საქმეს აკეთებდნენ, მზით იყო გაჩახჩახებული და ნახერხის მოტკბო, მივიწყებული ხის საუკუნის სუნი ტრიალებდა; იქ ყოველთვის ხუთი-ექვსი კაცი მაინც იყო, რანდავდნენ, ხერხავდნენ, კრავდნენ, გაჩუმებულები. მისი დანახვისას თავები ასწიეს და ზამი თვალებით შემოხედეს. დიკმა თვითონაც კარგად იცოდა ხუროს საქმე და ხელსაწყობზე ჩამოუგდო ლაპარაკი. მშვიდად, გულწრფელი ინტერესით ლაპარაკობდა. გვერდით, წიგნების საამკინძაოში უფრო მოძრავი პაციენტები მუშაობდნენ, თუმცა, ამათაც არა ჰქონდათ მორჩენის შანსი. მესამეში ქსოვდნენ, მძივებს ასხამდნენ, თითბრისგან რალაცებს აკეთებდნენ. ესენი ხანდახან შვეებით ამოიობრებდნენ, ისეთი იერით, გეგონება, რალაც ძნელმისახვედრის მიხვედრაზე ბოლოს და ბოლოს ხელი ჩაიქნიესო, მაგრამ, მათი ოხერა ფიქრის მხოლოდ ახალი წრის დაწყებას მოასწავებდა, ფიქრისა, რომელიც, ხაზად კი არა, წრეზე რჩებოდა და ტრიალებდა, ტრიალებდა, ტრიალებდა, დაუსრულებლად ტრიალებდა. მაგრამ სახელოსნოში ნივთებისა და ფერების სიჭრელის გამო, ვინმე უცხოს წამით ის ილუზია შეექმნებოდა, თითქოს აქ ურიგოდ არა იყო რა, ისე როგორც საბავშვო ბაღში. დოქტორ დაივერის დანახვაზე ბევრმა გაილიმა. პაციენტებიდან დოქტორ გრეგოროვიუსზე მეტად ბევრს დიკი უფრო მოსწონდა, მეტადრე იმათ, ვისაც სხვა ცხოვრებისა და სხვა სამყაროს ნახვა მოესწროთ. ზოგი ისეთიც იყო, ჩიოდა, რომ დიკი მათ უბრალოდ არა ცნობდა, არ ამჩნევდა და პოზიორობდა. — არც ისე დიდი სხვაობააო არაპროფესიული გარემოსაგან, ფიქრობდა დიკი, ოღონდ, აქ ყველა გრძნობა უფრო მძაფრი იყო, გამრუდებული.

ერთი ინგლისელი ქალი იმ თემაზე ელაპარაკებოდა ხოლმე, თავის საკუთრებად რომ თვლიდა.

„დღეს იქნება მუსიკა?“

„არ ვიცი“, მიუგო დიკმა. „ჯერ არ მინახავს დოქტორი ლადისლაუ, როგორ მოგეწონათ გუშინდელი კონცერტი — მისიზ ზაკსი და მისტერ ლონგსტრიტი რომ უკრავდნენ?“

„მაინცდამაინც ბევრი არაფერი“.

„მე მგონია, ძალიან კარგი იყო, მეტადრე შოპენი“.

„არა, არა, ბევრი არაფერი“.

„თქვენ როდისღა დაუკრავთ ჩვენთვის?“

როგორც ყოველთვის, უკვე რამდენიმე წელიწადია, ამ კითხვით როცა მიმართავდნენ, სიამოვნებდა და მხრებს აიხეჩავდა ხოლმე; ახლაც ასე მხრები.

„როდისმე, მაგრამ შე ისე რა, კარგად არ ვუკრავ“.

ყველამ იცოდა, რომ დაკვრა არც იცოდა, იმისი ორი დაკვრის მუხისი გახდა, ამან კი, ბავშვობაში ნოტებიც ვერ ისწავლა.

აქედან დიკი „ასკილისა“ და „წიფლისაკენ“ წავიდა. გარედან ეს პატარა სახლებიც სხვა სახლებივით მყუდრო ჩანდა, ჰო, ნიკოლმა მოიფიქრა დეკორაცია. თვალს არა ხვდებოდა გისოსები, ურდულები, მძიმე ავეჯი, ადგილიდან რომ ვერ დაძრავდი. საქმემ გამოგონებისკენაც უბიძგა, თუმცა ამისი უნარი არა ჰქონდა, მაგრამ ფანტაზიამ თავისი ქნა და წარმატებითაც გაართვა თავი ყველაფერს — ვინც არ იცოდა, ფიქრადაც არ მოუვიდოდა, რომ ფანჯრებზე გაკრული შნოიანი ფილიგრანული ბადეები ბორკილებს ცვლიდა, რომ თითბრის მოღუწული მიღების მოღური სკამები ედუარდისდროინდელ მასიურ ნაკეთობებზე უფრო მძიმე იყო — ყვავილების ვაზებიც კი, რკინისა, მაგრად იდგა და ძერასაც ვერ უზამდი. რადარანაირი ორნამენტიცა და მოსართავიც ისევე საჭირო იყო და თანაც ისე თავის ადგილას, როგორც საყრდენი კოჭებიცა ცათამბჯენების სახურავებზე. ნიკოლის დაუღლებლმა მხერამ რაღა არ შეამჩნია და რისი გამოყენებაც შეიძლებოდა, გამოიყენა. თუ შეაქებდნენ, ნიკოლი უხეშად იტყოდა ხოლმე, ოსტატი მრჩილავი ვარო.

ვისი კომპასებიც დებოლარიზებული არ იყო, იმათ ბევრი რამ გაუგებარი და უცნაური ეჩვენებოდათ ამ სახლებში. „ასკილში“, კაცების შენობაში, უცნაური პატარა ექსპიმიციონისტი ჰყავდათ, რომელთან საუბარი ზოგჯერ ართობდა ხოლმე დიკს. ეს აზრებულნი კაცი იმ აზრისა იყო, თუ არ დამიშლიან და ტრიუმფალური თალიდან თანხმობის მოედნამდე დედიშობილას გამატარებენ. ბევრი პრობლემა გადაიჭრებოთ — ვინ იცის, იქნება მართალიაო, ფიქრობდა დიკი.

დიკის ყველაზე საინტერესო პაციენტი მთავარ კორპუსში იწვა. ოცდაათი წლის ამერიკელი ქალი. ეჭვსი თვის წინათ მოვიდა კლინიკაში, მხატვარი იყო და დიდხანს პარიზში ცხოვრობდა. იმისი ისტორია კარგად არ იცოდნენ, ბიძაშვილს უნახავს რომ ვერ იყო კარგად და ერთ ქალაქგარეთა, ვილაც შარლატნის სამკურნალოში მიუყვანია, სადაც ძირითადად ლოთობისა და ნარკოტიკების მსხვერპლი ტურისტები მიჰყავდათ ხოლმე. იქ მკურნალობას, ცხადია, შედეგი არ გამოუღია და ამის შერევა ჩამოუყვანია შვეიცარიაში. ემჩნეოდა, რომ საოცრად ლამაზი და მომხიბლავი იქნებოდა, ახლა კი თითქმის აგონიაში ჩავარდნილიყო. სისხლის ანალიზი დადებით რეაქციას არ იძლეოდა და ბოლოს საკმაოდ გაურკვეველი დიაგნოზი დაუსვეს: ნერვული ეგზემა. ორი თვე იყო. რაც ჩაწვა, რკინის მარწუხებში მოქცეულივით იტანჯებოდა, მაგრამ გონება არ დაჰკარგვია და თავისი ზღვარდაუდებელი ჰალუცინაციების საზღვრებში, საღად და თანმიმდევრულად აზროვნებდა, ელვარდდაც კი.

დიკის პირად პაციენტად ითვლებოდა. მწვავე აგზნების პერიოდებში სხვა ექიმები ვერაა შევლოდა. მხოლოდ ერთხელ, ღამეები თეთრად რომ გაათენა და უძილობისგანაც გაწამდა, ფრანცმა ჰიპნოზით მოახერხა და რამდენიმე საათით მიჰკვარა ძილი, მაგრამ ეს მხოლოდ ერთხელ იყო. დიკს ისედაც არა სჯეროდა ჰიპნოზისა, იცოდა, რომ საამისოდ გუნებ-განწყობა სჭიროდა და იმ-

ვითად თუ იყენებდა. ერთხელ სცადა ჰიპნოზით ნიკოლზე ემოქმედა და ნიკო-
ლმა დაცინვით შეხედა მას.

იმ პალატაში შევიდა. ქალმა ვერ დაინახა დიკი, შესიებული თვალებს ველ-
არ ახელდა. ძლიერი, მღელვარე ხმის პატრონი იყო, მოგუდული ხმით უთხრა:

„როდემდე იქნება ასე, არ გათავდება? არასოდეს!“

„ცოტაც მოითმინეთ, დოქტორმა ლადისლაუმ მითხრა, რომ კახი ალაგ-
ალაგ უკვე მთლად გაიწმინდა“.

„რომ არ ვიცი რად ვიტანჯები, რა ცოდვა მაქვს, ეს უფრო მკლავს“.

„მისტიკაში გადავარდნა არ არის კარგი, ნერვული დაავადების ფენომენია,
ასე ვფიქრობთ; ესეც იმას უკავშირდება, რაც ადამიანს აიძულებს გაწითლდეს
ხოლმე, იოლად წითლდებოდით, როცა პატარა გოგო იყავით?“

სახე ჭერისკენ ჰქონდა მიქცეული.

„სიბრძნის კბილების ამოსვლას მერე არაფერზე გავწითლებულვარ“.

„არ დაგიშვიათ რაიმე შეცდომა, ან თუნდაც პატარა ცოდვა არ ჩაგიდენ-
ნიათ?“

„თავს ვერაფერს ვუსაყვიდურებ“.

„ბედნიერი ქალი უოფილხართ“.

სანამ რამეს იტყოდა, ცოტა ხანს ფიქრობდა. შეხვეული სახიდან რაღაც
ხმაურით, მიწის სიღრმიდან ამოსულივით მოდიოდა ხმა.

„მე ზიარი ვარ ჩემი დროის ქალების ხვედრისა, იმათი, ვინც მაშაკაცების
ბრძოლაში გაწვევა მოიწადინეს“.

„და თქვენდა გასაოცრად, ესეც ისეთივე ბრძოლა აღმოჩნდა, როგორც
ყველა სხვა ბრძოლა“, ტონის აყოლით უთხრა დიკმა.

„ისეთივე, როგორც სხვა ბრძოლა“. აზრის ჩაწვდომას ცდილობდა. „ან
იმარჯვებ პიროსის გამარჯვებით, ანდა მარცხდები, ნადგურდები და დანგრეუ-
ლი კედლის ჩრდილის ექო ხარ მხოლოდ“.

„არც დამარცხებული და არც განადგურებული თქვენ არა ხართ“. მიუ-
გო დიკმა. „რა, ხომ არ გგონიათ, რომ მართლა ბრძოლაში იყავით?“

„შემომხედეთ!“ შმაგად იყვირა.

„იტანჯებით, მაგრამ რამდენი ქალი დატანჯულა, და სხვა მიზეზითაც“. ეს
უკვე კამათი იყო და მაშინვე დაიხია: „რაც უნდა იყოს, პატარა მარცხი სრულ-
თან არ უნდა გააიგივოთ“.

„ლამაზი ფრაზაა“, მწარედ ჩაიციხა ქალმა და ამ ტკივილს ამოყოლილ სიტ-
ყვებზე სინდისის ქენჯნა იგრძნო დიკმა.

„კარგია ვიცოდეთ ის თავი და თავი მიზეზი, რამაც აქამდე მოგიყვანათ“,
დაიწყო მან, მაგრამ ქალმა მოუჭრა.

„მე აქ სიმბოლოსავითა ვარ, ოღონდ, რისი სიმბოლო, ეს არ ვიცი, მე მე-
გონა, თქვენ გაიგებდით“.

„თქვენ ავადა ხართ“, უნებურად მიუგო დიკმა.

„მაშინ რა იყო, რის მიჯნაზე ვიყავი მე?“

„უფრო მძიმე ავადმყოფობა“.

„სულ ეს არის?“

„სულ ეს არის“. ტყუოდა და ეს ზიზღსა ჰგვრიდა, მაგრამ აქ, ახლა, მხო-
ლოდ სიცრუეში ჩაეტეოდა და შეიკვროდა მთელი ამ თემის სიფართოვე.
„იმ ზღვარს იქით. მხოლოდ ქაოსია და არეულობა. კი არ გარიგებთ, ძალიან

განვიცდი, რომ ასე გაწამებთ ფიზიკური ტანჯვა, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ყოველდღიური პრობლემებით, რაგანდ მომთავსებლადაც უნდა გერგნოი, და მათზე ფიქრობ, შეიძლება მიაღწიოთ იმას, რომ ყველაფერი ისევე თავის ადგილზე დადგეს. ამის მერე კი — შეიძლება ისევ იფიქროთ...“

ერყენული უცებ გაჩეჭდა, რომ ბოლომდე არ ეთქვა, რასაც ფიქრობდა. „ეს თამაში თქვენთვის არ არის“. ეს საზღვრები, რომელთაც ხელოვანი უნდა იკვლევდნენ, ამ ქალისკათვის სამარადისოდ წაშლილიყო. მეტისმეტად მყოფე და სათეთია, ასეთი გაჩნდა და ვერ ვაუძლო. შეიძლება, დრო რომ გაივლის, მშვიდ მისტიკაში დაივანოს თავისი ოფი, ამ კვლევას კი სხვები შეუდგნენ, ჯანმრთელ გლეხურ სისხლს, შერეულები, სქელკოჭები და თუძოგანიერები, სხეულისა და სულის ყველა სჯას პურ-მარილივით რომ ინელებენ.

„ოლონდ თქვენ არი“, ლამის ხმამაღლა თქვა „ეს თამაში თქვენთვის არ არის“.

მაინც, იმისი საზარელი ტანჯვის შემყურე, დაუოკებელ, თითქმის სექსუალურ ჟინსა გრძნობდა, უნდოდა მოხვეოდა და თავისი მკლავებით ჩაეთბო, ისე როგორც ბევრჯერ ნიკოლი ჩაუთბია, ზრუნვით ფიქრობდა იმის ყველა შეცდომაზეც კი, რადგან ისინი, მასში გამჭლარი, უკვე მისი ნაწილი იყო. ნარინჯისფერი ფარდებს ატანდა, სარკოფაგივით იწვა იგი, სახე ლაქა-და, ხმა მვედრებელი, და — არსაით გამოძახილი.

შეხვეულ სახეზე ცრემლები ღვარად წამოუვიდა, დიკი რომ წამოდგა.

„ეს ისე არ არის, რაღაც ხდება“, ჩურჩულითა თქვა. „რაღაცისთვის არის საჭირო“.

დიკი დაიხარა და შუბლზე აკოცა.

„უნდა ვეცადოთ კარგები ვიყოთ“, თქვა მან.

იქიდან გამოსულმა მომვლელი ქალი შეგზავნა მასთან. კიდევ რამდენიმე ავადმყოფი უნდა ენახა, ჯერ ის თხუთმეტი წლის ამერიკელი გოგონა, იმ პრინციპით აღზრდილი, რომ ბავშვობა იმისთვის არის, როგორც გინდა ისე გაერთო და ქვეყანაზე არც არაფერი დაგიშალონ. დიკი სასწრაფოდ გამოიძახეს მასთან, რადგან ის-ის იყო მანიკიურის მაკრატლით თმა ალაგ-ალაგ შეეკორტნა. ვერაფერს უშველიდნენ, ნეეროზი ჯიშში ჰქონდათ და აღზრდილთაც გაემწვაეებიანათ. მამამისი, თვითონ ნორმალური და სინდისიერი კაცი, ცდილობდა თავის ბუდობას ქვეყნის შფოთი ასცდენოდა და იმას მიაღწია, რომ ცხოვრების უცრობებისთვის ბავშვები ოდნავადაც ვერ შეამზადა. დიკი ბევრს არ მოჰყოლია: „ელენ, როცა არ იცი რა გააკეთო, მომვლელს ჰკითხე და რჩევას მოგცემს. სიტყვა მომეცი, რომ ასე იზამ“.

მაგრამ სიტყვას რა აზრი ჰქონდა, როცა თავში ყველაფერი რიგზე არ იყო დიკმა ერთ გაღწეულ ემიგრანტ ჯაგვანიელსაც შეუარა, პამაკივით რაღაცაში იწვა და დროდიდრო თბილ, საკურნებელ აბაზანაში ეშვებოდა. ვერადით პალატაში პორტუგალიელი გენერლის სამი ქალიშვილი მოინახულა, პარგზით რომ იტანჯებოდნენ. შემდეგი პაციენტი პროფესიით თავადაც ფსიქიატრი გახლდათ, აქ უფრო დიდხანს გაჩერდა დიკი, აჯერებდა, რომ კარგად იყო, უფრო კარგად და ისიც უსმენდა, უნდოდა დიკის სახეზე წაეკოხა ამ სიტყვების უტყუარობა, რადგან სამყაროს რეალობასთან დოქტორ დაიგერის ხმა და ამ ხმაში რწმენადა თუ აგავშირებდა. შემთვლის მერე დიკმა ერთი უგერგილო სანიტარი დაითხოვა და ამასობაში ლანჩის ღროძაც მოაწია.



პაციენტებთან ზიარი ტაბლა დიკს აპათიას ჰგვრიდა. ამათთან „სკილისა“ და „წიფლის“ ბინადარნი რა თქმა უნდა, არ იყვნენ ხოლმე დაჯერებულნი. მხედვით, უწყინარი პურის ქამა გეგონებოდათ, მაგრამ მაინც ჩანდნენ, რომ მხედვით და მწარე ნალველი მოსძალებოდათ. ვინც იქ ეჭიმი იყო, ყველა ლაპარაკს ცდილობდა. ოღონდ, თვითონ ისინი ჩუმად ჰამდნენ, ან თავიანთ თეფშებზე იყურებოდნენ და ლაპარაკით ძალიან ცოტას ლაპარაკობდნენ, ვითომ იმ დილით უკვე დადლილ-დაქანცულები, მაგრამ იმიტომ უფრო, რომ უძნელდებოდათ ხალხში ყოფნა.

ლანჩის მერე დიკი შინ წავიდა. ნიკოლი სასტუმრო ოთახში დახვდა და როგორღაც უცნაურად შეხედა.

„წაიკითხე“, უთხრა.

დიკმა წერილი გახსნა, ერთი პაციენტი ქალისგან იყო, რომელიც, ამას წინათ, ეჭიშების აზრის მიუხედავად, რომ ჯერ ადრე იყო იმისი გაწერა, მაინც წასულიყო კლინიკიდან. მიუკიბავ-მოუკიბავად აღანაშაულებდა დიკს, ვითომ იმისი ქალიშვილი, კრიზისის დროს დედას რომ არ მოშორებია, დიკს შეეცდინოს და ბოლოს წერდა, — მისიზ დაივერმა კარგია გაიგოს, იმისი მეუღლე „რასაც წარმოადგენსო“.

დიკმა ერთხელაც გადაიკითხა. გაუმართავე არა სჭირდა რა და კარგი ინგლისურითაც იყო დაწერილი, მაგრამ იოლად მიხვდა, მანიაკის ბოდვა რომ იყო. მაშინვე გაახსენდა ის ქალიშვილი, თავნება, კეკლუცი, შავგვრემანი, ერთადერთხელ, როგორღაც მისივე თხოვნით დიკმა ციურიხში წაიყვანა მანქანით და საღამოს უკანვე, კლინიკაში მოიყვანა. გზაში, სხვათა შორის, უფრო ზრდილობისთვის, ერთხელ აკოცა. იმ ქალიშვილმა რამდენჯერმე ცოტა შორს წასვლაც მოინდომა, მაგრამ დიკს არა სურდა და არც აყოლა უნდობებია, მერე კი, და იქნებ ამის გამოც, ქალიშვილმა დიკი შეიძულა და საჩქაროდ წაიყვანა დედამისი კლინიკიდან.

„გიუობაა“, თქვა დიკმა. „იმ ქალიშვილთან საერთოდ არაფერი საქმე არ მქონდა, არც კი მომწონდა“.

„ჰო, ვცადე, რომ ასე მეფიქრა“, თქვა ნიკოლმა.

„იმედია, არც გიფიქრია დაჯერება?“

„მე სულ შინა ვარ“.

დიკი გვერდით მიუჯდა, საყვედურშერეული ხმით უთხრა:

„სისულელეა, ნიკოლ. ეს წერილი შეშლილისაა“.

„შეშლილი მეც ვიყავი“.

დიკი ადგა და უფრო ავტორიტეტულადა თქვა:

„გეუფა, ნიკოლ, უაზრობაა. მოემზადე, ბავშვები ნახე და მოიყვანე, უნდა წაეიდეთ“.

მანქანა ტბის გაყოლებაზე პატარა კონცხებს მიუყვებოდა. ხან მარადმწვანე კასკადებში შეიკარგებოდნენ და ხანაც ისევ გამოვიდოდნენ, საქარე მინას მხეფები ეყრებოდა და მზით ჩახჩახდებოდა. ეს დიკის საკუთარი მანქანა, „რენო“ იყო, ისეთი პატარა, რომ შიგ ყველანი გოლიათებივითა ჩანდნენ, ბავ-

შვების გარდა, რომლებიც უკან ისხდნენ და შუაში კი Mademoiselle-ებით ამართულიყო.

გზის თითო მეტრიც კი ზეპირად იცოდნენ — სად ფიქვის წიწვილებს სურნელი სცემდათ და სად კიდევ ბუხრებიდან შავი კვამლი ამოდებოდა. კოჭიმელზე იდგა, დაბატულს ჰგავდა და ბავშვების ჩაღის შლაპებზე შმაგობდა.

ნიკოლი დუმდა: მკაცრი და გაშტერებული მზერა კარგს არას მოასწავებდა და დიკი მოეშვა. ხშირად მოსდიოდა ასე, იმის გვერდით იყო და მარტო იყო, ნიკოლი ხშირად ქანცავდა ხოლმე, როცა თავს ვერ იჭერდა და ნიაღვარივით გადმოხეთქავდა, დიკისთვის ჰქონდა ეს ნიაღვარივით გადმოხეთქვა, „ასეთი ვარ — ასეთი ვარ და რა ვქნა“. მაგრამ დღეს დიკს ერჩივნა ელაპარაკა, ელაპარაკა ენაგაკრეფით, რომ წამით მაინც ჩაეხედა ნიკოლის არეულ გონებაში. ყველაზე სახიფათო თავის თავში ასე ჩაკარგვა იყო ხოლმე, როცა ყველა კარსა და ხვრელს დაგმანავდა.

უცგში Mademoiselle გადავიდა და დაივერებმა გზა განაგრძეს. სანამ ავორის ბაზრობაზე მივიდოდნენ, გზაზე ჩახერგილი დიდი სატყეპნი მანქანებისთვის უნდა აეველოთ, დიკმა მანქანა გააჩერა და რაკი ნიკოლი თვალმოუშორებელივ უყურებდა, თვითონვე უთხრა: „გადმო, ძვირფასო“. უცებ ავად გაეხსნა ბაგე ნიკოლს, გულ-მუცელამღვრეულმა დიკმა არ შეიმჩნია და ისევ უთხრა: „გადმოდო, ბავშვები ისე ვერ გამოვლენ“.

„ო, როგორ არა, გადმოვალ“, მიუგო მან, რომელიღაც სიუჟეტიდან ამოგლიჯა ეს სიტყვები, სიუჟეტიდან, ელვის სისწრაფით რომ ტრიალებდა იმის თავში, ისე თავბრუდამხვევად, რომ დიკი ძნელად თუ ჩაავლებდა, ვერ ჩასწვდებოდა.

„ნუ წუხხარ, გადმოვალ...“

„ჰოდა, გადმოდო“.

გვერდიგვერდ მიდიოდნენ, ნიკოლი შეტრიალდა, მაგრამ სახეს ისევ ის ირონიული და უცხო დიმილი ურევდა, მხოლოდ მაშინ, ლანიემ რამდენჯერმე რომ დაუძახა, ძლივს შეძლო მზერის ერთ რაღაცაზე შეჩერება, თოჯინების მოხეტიალე დასის ტაკიმასხარებს მოჰკრა: თვალი და იმათ შეაჩერდა.

დიკმა სცადა რაღაცა მოეფიქრა, ნიკოლისთვის ის ქმარიც იყო და ფსიქიატრიც და ეს ორმხრივობა თანდათანობით ძალას უღევდა. ამ ექვს წელიწადს, უკვე რამდენჯერ თავის თავს აყოლილი ნიკოლი ხან თავის შეცოდებით, ხანაც ახირებითა და მომთხონელობით აიძულებდა ხოლმე რაც უნდოდა ის ეკეთებინა და მერე, გეგონება, მძიმე რაღაცა გადაიტანა და გონს მოდისო, დიკი ხვდებოდა, რომ მისი აყოლის მოწადინეს, ნიკოლს ისევ თავისი გაეტანა.

ტოპსი და ლანიე გინიოლზე შეკამათდნენ, ეს ის პანჩია, შარშან კანში რომ ენახეთ თუ სხვა არისო, მაგრამ მალე დაშოშმინდნენ და მთელი ოჯახი ბაზრობისთვის ღია ცის ქვეშ აგებული ფარდულებისკენ დაიძრა. კანტონებიდან ბლომად ქალები ჩამოსულიყვნენ და იმათი ხავერდის ეილეტები, თეთრი თავსაბურები და ნაოქასხმული ღიაფერა ქვედა კაბები ლურჯ-ნარინჯისფრად შეღებილ ფარდულებსა და კარვებთან, სადაგი ჩანდა.

ვლარუნა აელარუნდა, ჩხარუნა აჩხარუნდა, ბობლანს დასცხეს და — ჰუჩი-კუჩი დაიწყო.

უცებ ნიკოლი ადგილიდან მოწყდა და გაიქცა, მოულოდნელად, ისე რომ დიკმა მაშინვე ვერც შეამჩნია, გვიან, ნიკოლის ყვითელი კაბა უკვე შორს,

ბრბოში რომ შეიგრიხა, — ოხრასფერი ბილიკი სიზმარეულისა და ცხადის მიჯნაზე, — მაშინლა მიხვდა. სირბილით მიჰყვა, მალულად მივბოძდა ნიკოლი და დიკიც მალულად მიჰყვებოდა, ამ პაპანაქება სიცხეში ძრწოლად ეგეტანა და ბავშვები გადაავიწყდა; შემოტრიალდა, იმათკენ გაქანდა და ნიკოლი ნაპკიდა, კარავ-კარავ დადიოდა და ეძებდა ნიკოლს.

„Madame!“ ლატარიის თეთრ ბორბალთან ახალგაზრდა ქალი იჯდა და იმას დაუძახა. „Est-ce que je peux laisser ces petits avec vous deux minutes? C'est très urgent-je vous donnerai dix francs“.

„Mais oui!“¹.

დიკმა ბავშვებს კარვისკენ უბიძგა.

„Alors-restez avec cette gentille dame“.

„Oui, Dick“².

ისევ გაიქცა, მაგრამ დაკარგა. კარუსელისთვის უნდა აეარა და თავის წინ სულ ერთ და იმავე ცხენს რომ ხედავდა, მაშინლა მიხვდა, რომ კარუსელთან ერთად უვლიდა. იდაყვებით შეგლიჯა ბრბო, ბუფეტთან მივიდა, მერე მკითხავის კარავი დაინახა, გაახსენდა, რომ ნიკოლი ლამის ტრფიალი იყო მკითხაობისა და შიგ შეიხვდა. ვილაცა რალაცას ზუზუნ-ზუზუნით ლაპარაკობდა.

„La septième fille d'une septième fille née sur les rives du Nil... Entrez, Monsieur“³.

კარვის კალთას ხელი უშვა და ახლა ტბისკენ გაიქცა დიკი. ლურჯი ცის ფონზე ბრუნავდა მცირე „ეშმაკის ბორბალი“. იქ ნახა ნიკოლი.

მარტო იჯდა ვაგონეტში, ზევიდან ქვევით რომ ეშვებოდა ახლა და მიახლოებისას დიკმა გაიგონა, რომ ისტერიკულად ხარხარებდა. მორიგ ბრუნზე დიკი ისევ ჰრულ ბრბოს შეერია, ვილაცებმა, ეს რანაირი სიცილიაო, და გაჩერდნენ.

„Regardez – moi ça!“

„Regardez donc cette Anglaise!“⁴

ვაგონეტი ისევ ქვევით ეშვებოდა, ბორბალი ნელადა ბრუნავდა და მუსიკაც ნელდებოდა. ერთი ათი კაცი მაინც შემთევხვია ვაგონეტს, როცა ბორბალი გაჩერდა. ნიკოლის სიცილზე იმათაც უნებლიეთ ეღიმებოდათ. დიკის დანახვაზე სიცილი პირზე შეაშრა, გაქცევა სცადა, მაგრამ დიკმა მაგრად ჩასჭიდა ხელი და იქაურობას გამოაშორა.

„ასე რად აიწყვიტე?“

„ძალიან კარგად იცი, რადაც“.

„არა, არ ვიცი“.

„უაჩრობაა — გამიშვი — შენ მე შტერად მთვლი. შენ გგონია, ვერ დავი-

¹ „ხომ არ შეიძლება ეს ბავშვები ორ წუთს დაგიტოვოთ? სასწრაფო საქმე მაქვს — ათი ფრანკს გადაგიხდით“.

„რა თქმა უნდა“ (ფრანგ.).

² „ამ კარგ ქალთან იყავით“.

„კარგი, დიკ“ (ფრანგ.).

³ „ნილოსის ნაპირებზე დაბადებული მეშვიდე ქალიშვილის მეშვიდე ქალიშვილი — მობრბანდით, მესამე“ (ფრანგ.).

⁴ „შებდეთ მას“.

„შებდეთ იმ ინგლისელ ქალს!“ (ფრანგ.).

ნახე, ის გოგო რომ გიყურებდა, პატარა შავი გოგო. ო, რა სერიოზი — ის ხომ მთლად ბავშვია, თხუთმეტი წლისა ძლივს იქნება. გგონია, ვერ დავინახე?”

„ცოტა ხანს გავჩერდეთ, დაწყნარდი“.

მაგიდას მიუსხდნენ; ნიკოლს დაძაბული და იჭვნეული მზერა ჰქონდა, ხელს მალიძალ იქნევდა, გეგონება, რაღაცის დანახვა უნდა და რაღაცის დახვეწა ხელს უშლისო.

„დალევა მინდა, ბრენდი მოატანინე“.

„ბრენდი შენთვის არ შეიძლება — თუ გინდა ლუდი დალიე“.

„ბრენდი რატომ არ შეიძლება?“

„არ შეიძლება, მორჩა და გათავდა. ახლა იმ შავ გოგოზე, მომისმინე — ეს ჰალუცინაციაა, გასაგებია?“

„ყოველთვის ჰალუცინაციაა, თუ ის დავინახე, რაც არ გინდა, რომ დავინახო“.

დიკმა რაღაცა ბრალი იგრძნო. ასე კომმარულ სიზმარში ხდება, როცა გადანაშაულებენ რაღაცაში და შენც აღიარებ დანაშაულს, იღვიძებ და ხვდები, რომ თურმე — არცარა ბრალი არა გქონია, მაგრამ ის სიზმრიდან გამოყოლილი შეგრძნება მაინც ისევე გრჩება. თვალი აარიდა ნიკოლს.

„ბავშვები კარავში დავტოვე ერთ ბოშა ქალთან. უნდა წამოვიყვანოთ“.

„ვინ გგონია შენი თავი?“ უნიანად ეკითხებოდა ნიკოლი. „ჰიპნოტიზირი სვენგალი „ტრილბიდან?“

თხუთმეტი წუთის წინ ეს ოჯახი იყო. ახლა, როცა უნებლიეთ მხრით ეხებოდა, დიკი ფიქრობდა, რომ უბედური შემთხვევის მსხვერპლნი თუ იყვნენ, ყველა, დიდთან-პატარიანად.

„ახლა შენ წავალთ“.

„შინ!“ ის იღრიალა, ჰაერი აღარ ეყო და სიმძვინთ, ტკაცანით გაუწყდა ხმა. „და იჯექი ა იფიქრე, რომ ყველა ვიხრწნებით, გამოაღებ რაგინდარა უკრას და ყველგან ბავშვების ჩანაცრებული ნეშტებია, საზიზღრობაა!“

დიკი თითქმის შვეებით ხედავდა, ამ ღრიალსა და სიტყვებში როგორ დაიხარჯა და ნიკოლმა, რომელსაც კანმა უგრძნო, რომ დაძაბვა ივლიდა, სახეზე შეატყო, რომ მოეშვა დიკი. თვითონაც რბილი გაუხდა სახე და შეეხვეწა:

„მიშველე, მიშველე, დიკ!“

დიკს გულ-მუცელი აუდუღდა. საშინელებაა, რომ ასეთი მშვენიერი კოშკი შეუდგომლად ვერ იდგებოდა, და თვითონ უნდა ყოფილიყო ეს შესადგამი. ალბათ სწორიც არის, მამაკაცი ამისთვისაა. დვირე და იდეა, კოჭი და ლოგარითმი. მაგრამ დიკი და ნიკოლი როგორღაც თანაბრები და ერთი იყვნენ, ერთი მეორეს არ ავსებდა, ეს არ სჭიროდათ, ნიკოლიც დიკი იყო, ძვალ-რბილში რომ ჰყავდა გამჭდარი და ეგრე გულგრილად ვერ ეცქირა, როგორ ირღვეოდა იგი, ეს დაშლა თვითონაც ედებოდა მას. ახლა იმისი ინტუიცია სინაზედ იღვრებოდა და თანაუგრძნობდა ნიკოლს, მაგრამ თანადროული მეთოდებით მხოლოდ პროცესის შენელება თუ შეეძლო, მეტს ვერაფერს გააკეთებდა. დღესვე მომვლელ ქალს გამოიძახებს ციურხიდან.

„შენ შეგიძლია მიშველო“.

მისმა ბავშვურმა უნიანობამ ფეხზე წამოაგდო დიკი.

„შენ მე მშველოდი ადრე — და ახლაც შეგიძლია მიშველო“.

„მე მხოლოდ ის შემიძლია, რაც ადრე შემიძლო“.

„ვიღაცას შეუძლია, რომ მიშველოს მე“.

„აღბათ ასეა. შენი თავის შველა ყველაზე მეტად შენ შეგიძლია, წავიდეთ, ბავშვები მოვნახოთ“.



თეთრბორბლებიანი კარები ბევრი იყო. დიკი ეძებდა მისი კარები კარავთან მივიდა და ვერა ნახა, შეშფოთდა. ნიკოლი განხებდა და თვალბედითად იცქირებოდა. ახლა ბავშვები რად უნდოდა, ბავშვები მისთვის ნაწილი იყო იმ სამყაროსი, რის ამღვრევასაც ლამობდა იგი. ბოლოს, დიკმა მიაგნო ბავშვებს, ქალები შემოხვეოდნენ და ისე გაბრწყინებით შესცქეროდნენ, გეგონება, მონივთულები არიანო. იქვე იყვნენ გლეხის ბავშვებიც და ესენიც პირდაღებულები უყურებდნენ.

«Merci, Monsieur, ah Monsieur est trop généreux. C'était un plaisir M'sieur, Madame. Au revoir, met petits»¹.

მიდიოდნენ და ცხელი ნაღველი ერეოდათ: მანქანას უნდობელი შიშის სიმძიმე აწვებოდა, ბავშვები კრიჭაშეკრულები იხდნენ, ნაღველიანი სახეებითა. გარეშემოც ნაღველივით იყო და უმრუში ფერი დასდებოდა. ცუგს რომ მიუახლოვდნენ, ნიკოლმა, თითქოს კრუნჩხვას მოეაროს, ძლივსა თქვა რაღაც, რაც ადრეც ეთქვა — გზისპირა ყვითელი საბლი საღებავშემშრალ სურათსა ჰგავსო, მაგრამ ეს მხოლოდ ცდა თუ იყო იმისა, რომ ჩასჭიდებოდა თოკს, უსწრაფესად რომ იხსნებოდა.

დიკმა საჭესთან დასვენება სცადა. ყველაზე ძნელი ჯერ წინ იყო, იცოდა, მთელ ღამეს ნიკოლთან ჯდომა მოუწევდა ამ გაბზარული, მთრთოლი სამყაროს ზღსადგენად. ტყუილად კი არ არის, რომ სიტყვა „შიზოფრენია“ პიროვნების ცნობიერების გახლეჩასა ჰქვია — ნიკოლი ან ის პიროვნებაა, ვისაც არაფრის ახსნა არ სჭირდებოდა, ან ისეთი, ვისთვისაც არაფრის ახსნა არ შეიძლებოდა, მასთან აქტიური და დაჯერებული, დაქინებულიც უნდა ყოფილიყავი, ცხად სამყაროში გამავალი გზა ყოველთვის ღია უნდა გქონოდა და მისახვევ-მოსახვევები მაგრად ჩაგეკეტა, მაგრამ ავად გონებას მაინცა აქვს ელვარება-ცა და მოხერხებაც, მდინარესავით არის, ჯებირს თუ ვერ გაარღვევს, გადმოხეთქს, თუ ვერ გადმოხეთქს, შემოუვლის და ისე წავა, სხვა ადგილს ნახავს. აქ ერთი კაცი ვერას გახდება. დიკი გრძნობდა, ახლა საჭირო იყო ნიკოლს თვითონვე მოერჩინა თავისი თავი; არ იჩქარებს, ნიკოლმა თვითონ გაიხსენოს ის მეთოდები, რითაც ადრე კურნავდნენ და თვითონ უარყოს ის მეთოდები. ჯერ კი ისევ ძველ, შარშანწინდელ რეჟიმს უნდა მიემართო, დაღლილად ფიქრობდა დიკი.

დიკმა გორაკს შემოუარა, გზის შემოკლება სცადა, რომ მალე მისულიყვნენ კლინიკამდე. აქსელერატორს ფეხი დაადგა და უცებ მანქანამ მკვეთრად მოუხვია ჯერ მარცხნივ, მერე მარჯვნივ, გადაიხარა, ორ ბორბალზე დადგა, და როცა ნიკოლის კივილზე გაშტერებულმა დიკმა საჭეს ჩაფრენილ იმის გადარეულ ხელს მაგრად დაარტყა, ისევ ისე, ოთხ ბორბალზე დადგა, მერე ისევ მოუხვია, მოწყდა და ფერდობზე დაქანებული, ხეს მიეჯახა. ბავშვები ყვიროდნენ, ნიკოლიც ყვიროდა, ილანძლებოდა. ძლივს მოიშორა მისი ხელები სახიდან დიკმა. ჯერ ის აფიქრებდა, მანქანა ძალიან ხომ არ იყო გადახრილი,

¹ „გმადლობთ, მესიე. ო, მესიე მეტად გულუხვია, ეს სიამოვნება იყო, მესიე, მაღამ ნახვამდის.“ „სატარებო“ (ფრანგ.).

ხომ არ ყირავდებო, მაგრამ ვიღრე შიგ იჯდა, ვერ გაიგებდა. ზევიდან ფრთხილად ამოვიდა, ორივე ბავშვი გადმოიყვანა, ნახა, მანქანა ქვევით არ ცურვებოდა და გაიმართა, სანამ კიდევ რამეს მოიფიქრებდა, იდგა და კანკალებდა, მძიმედ სუნთქავდა.



„შენი...!“ იყვირა დიკმა.

ნიკოლი ხმამაღლა იცინოდა, არცა რცხვენოდა და არც ეშინოდა, ვინმე უცხოს ამ სცენისთვის რომ შეეხედა, ვერც მიხვდებოდა, რომ იმისი ბრალი იყო ახლა ეს ამბავი: ბავშვს ონაერობა რომ გაუეა, ისე იჯდა და იცინოდა.

„გეცვალა ფერი! ხომ გეცვალა“. აღიზიანებდა დიკს. „სიცოცხლე გინდა, არა?“

სიტყვები ისეთი ძალიანი და დამაჯერებელი გამოუდიოდა, წამით დიკი შეეჭვდა, მართლა ჩემ გამო ხომ არ შევშინდიო, მაგრამ ბავშვები დაინახა, იმათი გაფითრებული სახეები, ხან დედას რომ შეაკქერდებოდნენ და ხან მამას და მოუხდა, ეს კრეჭია სიფათი ერთი მაგრად მიენაყა.

იმათ პირდაპირ, ტყიან ფერღობზე, სასტუმროს თეთრი შენობა ჩანდა; საავტომობილო გზით იქამდე ხუთასი მეტრი მაინც იქნებოდა, გორაკზე თუ ახვიდოდი და გზას ისე გადაჭრიდი, ასი იარღის გავლალა იქნებოდა საჭირო.

„ხელი ჩასჭიდე ტოპსის“, ლანიეს უთხრა დიკმა, „ოღონდ, მაგრად ჩასჭიდე და აი იმ გორაკზე აღით ზევით, იქ ბილიკია, დაინახე? სასტუმროში რომ მიხვალთ, უთხარი, „La voiture Diver est cassée“¹. და მაშინვე ვინმე წამოვიდეს“.

ლანიეს მომხდარი ამბისა ბევრი რამ არ ესმოდა, მაგრამ იგრძნო, აქ სხვა რაღაცა იყო, რომ საშინელება დატრიალდა და ჰკითხა:

„შენ რას იზამ, დიკ?“

„ჩვენ აქ დავრჩებით, მანქანასთან“.

წასვლისას არც ერთს არ შეუხედავს დედისთვის.

„ფრთხილად გადადიტ გზაზე!“ მიადახა დიკმა. „ორივე მხარეს გაიხედეთ!“ დიკმა და ნიკოლმა ერთმანეთს შეხედეს. თითქოსდა შუქი გაელავდა აქეთ-

იქითა სახლის ფანჯრებში. მერე ნიკოლმა ჩანთიდან სარკე ამოიღო და საფეთქლებზე ჩამოყრილი თმა გაისწორა. დიკმა ფერღობისკენ გაიხედა, ბავშვები უკვე აბობლებულიყვნენ და იმათ უყურა. ფიქვნარს რომ შეერივნენ და თვალს მიეფარნენ, თავის „რენოს“ შემოუარა, გაიაზრა მანქანას რაცა სჭირდა და რანაირადაც გადაიყვანდა მერე აქედან. ას ფუტზე მაინც, დაქანების კვალი ზიგზაგად ჩანდა გაქელილ გზაზე, სიბრაზე არა, და უფრო აუტანელი ზიზღი კი იგრძნო.

რამდენიმე წუთში სასტუმროს პატრონმაც მოიბრინა.

„ღმერთო, ჩემო!“ წამოიძახა მან, „როგორ მოხდა, დიდი სიჩქარით მოდიოდით? იღბალი გქონიათ, ეს ხე რომ არა, მანქანა ძირს ჩაქანდებოდა“.

ემილს შავი წინსაფარი ეკეთა, ფუნჩულა სახეზე ოფლი ჩამოსდიოდა და ისეთი რეალური და ნაღდი იყო, დიკმა რაღაცა ძალა იგრძნო, ნიკოლს ანიშნა, მანქანიდან გადმოაულიყო, მოგეხმარებო, მაგრამ ნიკოლი მიშველებას არ დაელოდა, მანქანიდან გადმოხტა, ფეხი დაუცდა, წაიბორძიკა და წაიქცეოდა, მაგრამ ღროზე შეიკავა თავი. ნახა, რომ დიკი და ის კაცი მანქანას უტრია-

¹ დაივერებს მანქანა დაემტვრათ (ფრანგ.).

მებით ავსებულებს, მერე პირი მოეხსნათ და ელაპარაკათ და ერთმანეთში აერიათ რეალური თუ მოჩვენებითი საფასეები. ცინიკოსი ლათინიატები იქნებიან, და ფროიდის რომელიმე ვენელი მოწაფეც. ყველაზე მძაფრი დიდი იუნგი იქნება მხოლოდ, სუპერმენე და თავაზიანი, ანთროპოლოგები. რანიდან სკოლის ბიჭების ნევროზებზე რომ გადადის ზოლმე საუბრისას. კონგრესზე პირველები ამერიკელები იქნებიან და ყველაფერი როტარი — კლანივით წავა თითქმის; ამის მერე უფრო ძლიერი ევროპული სიცხოველე ვამოვლინდება და საბოლოოდ ამერიკელები თავიანთ კოზირს ჩამოვლენ, — სტიპენდიებზე, ახალი დიდი კლინიკებისა თუ სასწავლებლების გახსნასა და კოლოსალურ შეწირულობაზე გამოაცხადებენ და იმ ციფრებზე ევროპელებს ფერი წაუვით, ადგებიან და მორიდებითლა წავლენ-წამოვლენ, მაგრამ დიკი იქ არ იქნება და არც ამას ნახავს.

თვითმფრინავი ფორარლბერგის ალბებს უვლიდა და შვეიცარიული სოფლების დანახვაზე დიკს პასტორალური სიმშვიდე ეუფლებოდა. ხუთი ან ექვსი სახლი, მეტი არა, შუაში ეკლესიით. ყველა სოფელი ასეთი იყო. მაღლიდან როგორ უბრალო ჩანდა დედამიწაზე ყველაფერი, ისე უბრალო, როგორც თამაში თოჯინებთან და სათამაშო ჯარისკაცებთან, თუნდაც სასტიკი, მკაცრი თამაში. ალბათ ყველაფერს ასე უყურებენ გადამდგარი სახელმწიფო მოღვაწეები თუ მხედართმთავრები და ეტყობა სხვებიც. ასე თუ ისე, ყველაზე კარგად ასე ისვენებ.

იქითა მზრიდან ინგლისელმა დიკთან მუსაიფი მოიწადინა, მაგრამ ბოლო ხანებში, დიკს, ცოტა არ იყოს. აბათია ჰქონდა ინგლისელთადმი. ინგლისს თავაწყვეტილი ორგის მერე შინდაბრუნებულ მდიდარ კაცს ადარებდა, რალაცას რომ რომშავს და შინაურებს სათითაოდ ესაუბრება, მაგრამ ყველა ხვდება, ასე რადაც იქცევა ახლა — უნდა ისევ ბატონ-პატრონი იყოს სახლში.

აეროპორტის ჯიხურებში დიკს რამდენიმე ჟურნალი ეყიდა: „სენჩერი“, „მოუზნ პიქჩერ“, „L' Illustration“ და „Fleigende Blätter“, მაგრამ კითხვაზე უფრო კარგი ის იყო, ფიქრში სოფლებში დაშვებულიყო და ყველასთვის ხელი ჩამოერთმია, ელაპარაკათ. იმ ეკლესიებშიც შევიდოდა, როგორც იმ ერთ დროს ბაფალოში, მამის ეკლესიაში წირვას რომ ესწრებოდა და გარეშემო, გახამებული საკვირაო ტანსაცმლის ობის სუნი სცემდა, ბიბლიურ სიბრძნეს ისმენდა, ჯვარზე გაკრული კვდებოდა და ნათელ ეკლესიაში მიუჩენდნენ განსასვენებელს; და მაშინდელივით, ახლაც იტანჯებოდა, რადგან უკანა მერხზე ის გოგო იჯდა და დიკი ყოყმანობდა, თეფშზე რამდენი ცენტი დაედო შესაწირად, ხუთი თუ ათი.

ინგლისელმა რაღაცა უთხრა, ალბათ ისე, გამოლაპარაკებისთვის და მერე ჟურნალები სთხოვა. დიკს გაუხარდა, ახლა კი თავს დამანებებსო და ოთხივე მისცა. ისევ თავის ამ მოგზაურობაზე ფიქრს გაჰყვა, გრძელბეწვა ავსტრალიური ქურჭი შემოიხვია — ცხვრის ტყავში მგელიო, და ქვეყნის სიამეები წარმოიდგინა. დაინახა ხმელთაშუა ზღვა, გაუხუნარი და უმანკო და ახლომანლო ზეთისხილები მტვრიან მიწაზე, მზისფერისგან უდაბნოსფერი რომ ედებოდა... სავონასთან გლეხის გოგოს, განათებული კათოლიკური კურთხევანივით ვარდისფერი და მქრქალი სახით, ხელში აიყვანს, საზღვარს იქით გადააცილებს...

...მაგრამ ის გოგო სადაც იყო, იქვე დატოვა, უფრო შორს უნდა წავიდეს

ჩქარა, საბერძნეთის კუნძულების, უცხო პორტებს ღრუბელნივითა წველებისა და უცხო ნაპირზე დარჩენილი ქალუწლისაკენ. პოპულარული ამბებების მთვარისკენაც უნდა წავიდეს... ეს ბიჭობისდროინდელი ხაოხურა დიკს მგხსიერების ერთ კუნძულში ეყარა, მაგრამ მაინც ამით, იმ ხუროთმოძღვრულ ამბით იყო, რომ წამებული ახრი ელავდა.



XVII

ტომი ბარბანი იყო თუ იყო. ტომი გმირი იყო — დიკს მარიენპლატზე შემოსვლა მიუნხენში, ერთ იმ კაფეში, სადაც „პატარა კამათელზე“ შეიყრებოდნენ ხოლმე და მოთამაშეები კამათელს გობელენიან დასტახანზე აგორებდნენ. პაერში პოლიტიკაზე ლაპარაკის სუნი ტრიალებდა და დასტახანზე ბანქოს ტყაპანი.

ტომი მაგიდასთან იჯდა და თავისი მეომრული სიცილით იცინოდა: „უმბა-ჰა-ჰა! უმბუ-ჰაჰა!“ ბევრს არა სვამდა, გულადი იყო და ამით იგებდა, მეგობრებს ცოტა ეშინოდათ კიდევაც მისი. ამას წინათ ვარშაველმა ქირურგმა თავის ქალადან ერთი მერვედი ამოუღო, თმისქვეშა ქსოვილი ჯერ არ შეზრდოდა და იმ კაფეში ყველაზე უღონოსაც კი ხელსახოცის ჩაღიკით შეეძლო ნოეკლა.

„იცნობდეთ, თავადი ჩილიშჩევი...“ ჭაღარა, შეფერთხილი რუსი იყო, ასე, ორმოცდაათი წლისა, „და მისტერ მაკკიბენ — მისტერ ჰენანი“. ჰენანი, შავთმიანი და შავთვალა კაცი, დიდი მასხარა ვინმე იყო და დიკს მაშინვე უთხრა:

„სანამ ერთმანეთს ხელს ჩამოვართმევდეთ, ერთი ეს მითხარით, რა ხდება, აბრიყვებთ მამიდაჩემს თუ რა?“

„როგორ, მე...“

„ღიახ, თქვენ, და საერთოდ, რისთვის ჩამოხვედით აქ, მიუნხენში?“

„უმბა-ჰა-ჰა!“ გაიცინა ტომიმ.

„ალბათ გყავთ მამიდები, არა? ჰოდა, სხვებთან თავი დაანებეთ, სხვებთან რა გინდათ.“

დიკს გაეცინა, ჰენანი კიდევ სხვა იეროშზე გადავიდა:

„სიტყვა აღარ გავიგონო მამიდებზე. საიდან ვიცო, იქნებ სულაც თვალის ახვევა გინდოდათ. არა, მართლა, მოდის კაცი, არავინ არაფერი იცის მასზე, ის კი, მოსულაც არ არის და მამიდებზე იწყებს ლაპარაკს. რა ვიცო აბა, რა გაქვთ გულში?“

ტომის ისევ გაეცინა, მერე გულლიად, მაგრამ მოჭრით უთხრა:

„გეყოფათ, კარლი, ნუ აცურდით, დიკ, ჩამოჯექით და თქვით, როგორა ხართ, ნიკოლი როგორ არის?“

ამ კაცებში დიდად არავინ მოსწონდა და არც ვინმეს გამო თავის რაღაც განგებ დაქერა სჭირდებოდა — ახლა მოდუნდა, ისვენებდა აქ, რომ ხელახალ ბრძოლას შესდგომოდა, იმ კარგი ათლეტივით, რომელიც, თავდაცვაზეც გადადის ხოლმე ამისათვის, რომ დროში მოიგოს და მერე მიაწვეს. წვრილფეხობა კი, როცა ისვენებს, მაშინაც კი დაჭიმულია და დაწყვეტაზეა აქვს ნერვები, ლამის გათავდეს.

ჰენანი მაინც ვერ დაცხრა. პიანინოსთან მივიდა, რამდენიმე აკორდი და
 ლო, დროდადრო დიკს გადახედავდა და ჩაიბუტბუტებდა, „მამიდაოქვენები“.
 მერე კადენციით ჩაიმღერა, „განა ვითხარ მამიდა, არა, ვითხარ რა მინდა“.
 „ჰო, როგორა ხართ?“ გაუძეორა ტომიმ. „მთლად ისე...“
 ეძებდა, — „უღარდელი არ ჩანხართ, უწინდელივით, ისეთი პეწი...“
 რისი თქმაც მინდა“.

რემარკა ნართაულად ეჩვენა დიკს, ცხოვრების ძალა ძველებური ველარა
 გაჭვთო, თითქოს უთხრეს, რალაციის სათქმელად მოემზადა თვითონაც და ტო-
 მისა და პრინც ჩილიშჩევის უცნაურ თარგზ აჭრილ, ფანტასტიკურ კოსტიუ-
 მებს შეხედა, ბილ-სტრიტზე კვირაობით მოსეირნეებსა ჰგვანდნენ, მაგრამ თა-
 ვადმა დაასწრო და აუხსნა.

„ვხედავ, კოსტიუმებზე გვიყურებთ“, თქვა მან. „ჩვენ რუსეთიდან ჩა-
 მოვედით ახლახანია“.

„კოსტიუმები პოლონეთში, სასახლის კარის მკერავმა შეგვიკერა“, უთხ-
 რა ტომიმ. „ჰო, არა ვხუმრობ — პილსუდსკის პირადმა მკერავმა“.

„ტურისტებად იყავით?“ ჰკითხა დიკმა.
 ორთავემ გადაიხარხარა, თავადი ზომიერადსულად ურტყამდა ხელს ტო-
 მის ზურგზე.

„ზუსტად, ტურისტებად, თანაც კარგა ხნით, მთელი რუსეთი გავიარეთ
 და ისე კი არა, დიდი ამბით“.

დიკი ელოდა, გამაგებინებნო, მისტერ მაკკიბენმა გააგებინა ორი სიტყ-
 ვით:

„გამოქცეულები არიან“.

„რუსეთში რა, ციხეში იჯექით?“

„მე ვიჯექი“, უთხრა თავადმა ჩილიშჩევმა და უსიცოცხლო ყვითელი
 თვალებით შეხედა დიკს. „უფრო სწორად, კი არ ვიჯექი, ვიმალებოდი“.

„საზღვარზე გადმოსვლა არ გაგიჭიროდათ?“

„როგორ არა, სამ წითელ გუნთვს ვესროლეთ და მოგვალით საზღვარზე,
 ტომიმ ორს ეპროლა...“ ფრანგივით აჩვენა ორი თითი. „ერთიც მე დავაწვინე“.

„აი, ამას კი ველარ ვიგებ მაგ ამბავში“, თქვა მისტერ მაკკიბენმა. „მაინც
 რად უნდა დაეშალათ თქვენთვის წამოსვლა?“

პიანინოსთან მჯდარი ჰენანი შემოტრიალდა, დანარჩენებს თვალი ჩაუკრა
 და თქვა:

„მაკს მარქსისტი ისა ჰგონია, ვინც წმინდა მარკოზის სკოლაში სწავ-
 ლობდა“.

მერე ერთი ის ამბავი თქვეს, ამ ხასიათის ამბების ტრადიციისთვის
 კარგად რომ გაეძლო — ძველი არისტოკრატი ცბრა წელიწადია რაც აღარა
 ჩანს, თავის ყოფილ ფარეშთან ვხოვრობს და სახელმწიფო საცხოვრებში მუშა-
 ობს; თვრამეტი წლის ქალიშვილი, პარიზში ტომი პარბანი რომ გაიცივნო...
 დიკი უხმენდა და — დახეტქილი პაპიემამეს რელიკვიაა, წარსულს ჩაბარდა, იმ
 სამი ახალგაზრდის სიცოცხლე მეტად ბევრია ამათთვისო, გაიფიქრა.

ლაპარაკი ჩილიშჩევსა და ტომიზე გადავიდა, არ გეშინოდათო, ჰკითხეს.

„როცა ციოდა, მაშინ“, თქვა ტომიმ. „სიცივის ყოველთვის მეშინია, ომ-
 შიც კი მეშინოდა“.

მაკკიბენი წამოდგა.

„მე უნდა წავიდე, ხვალ დღლით ინსბრუკში მივდივარ ცოლით, ბავშვებით — და გუვერნანტიტ, მანქანით წავალთ“.

„ხვალ მეც ინსბრუკში უნდა წავიდე“, თქვა დიკმა.

„რას ამბობთ!“ წამოიძახა მაკკიბენმა. „ჩვენთან ერთად წამოდიტ, დიდი „ბაკარდი“ მაქვს, ბევრნიც არა ეართ — ცოლი, ბავშვები... და გუვერნანტი...“

„მე აღბათ...“

„ცხადია, მთლად გუვერნანტიც არ არის“, დაუმატა მაკკიბენმა და თითქმის პათეტიკურად შეხედა დიკს. „სხვათა შორის, ჩემი ცოლი თქვენს ცოლისდას, ბებე უორენს იცნობს“.

მაგრამ დიკს იქ გარევის თავი არა ჰქონდა.

„ორ ნაცნობს უკვე შევეუთახმდი, ერთად მივდივართ“.

„ო“, მაკკიბენს ვული დასწყდა. „რას ვიხამთ, მაშინ დაგემშვიდობებით“. მოშორებით მაგიდის ფეხზე მიბმული წმინდა სისხლის ორი ტერიერი აუშვა, რომ თავის ძაღლებიანად წასულიყო. დიკმა წარმოიდგინა ინსბრუკის გზაზე ძლივს მიმავალი გაჭედილი „ბაკარდი“ შიგ ცოლ-ქმარი მაკკიბენებით, მათი ბავშვებით, ბარგი-ბარხანით, მოწყავწყავე ძაღლებით — და გუვერნანტიტ.

„გაზეთში წერია, რომ იციან, ვინც მოკლა“. ტომის ხმა გაიგონა დიკმა. „მაგრამ რაკი სპიკიზი! იყო ის ადგილი, სადაც ეს მოხდა, ბიძაშვილებს არ უნდათ გაანმაურონ“. ამასე რას იტყვიო?“

„ოჯახის სახელს უფრთხილდებიან“.

ჰენანმა აკორდი აიღო, რომ ყურადღება მიექცია.

„ჩემი აზრით“, თქვა მან, „რაც აღრე დაწერა, ისიც არ იყო დიდი რამე, ცეროპელებს რომ თავი დავანებოთ, ამერიკაშიც ცოტა როდი წერს ისევე, როგორც ნორთი წერდა“.

დიკი ახლალა მახვდა, რომ ეიბ ნორთზე ლაპარაკობდნენ.

„პო, ოლონდ იმ სხვაობით, რომ ეიბი პირველი იყო“, თქვა ტომიმ.

„ეგრე არ არის“, დაყინებით ამბობდა ჰენანი. „მეგობრების ბრალია, კარგი მუსიკოსის სახელი რომ ჰქონდა, მის გაუთავებელ ლოთობას მაგიით ღსნიდნენ...“

„ვისზე ამბობთ, ეიბ ნორთზე ლაპარაკობო?“ იკითხა დიკმა. „ეიბს რამე მოუვიდა? რა მოუვიდა?“

„დილანდელი „ჰერალდი“ არ წავიკითხავო?“

„არა“.

„ეიბი მოკვდა. ნიუ-იორკის სპიკიზიში სასიკვდილოდ სცემეს. ძლივს მივიდა თავის რეკეტ-კლაბამდე და იქ მოკვდა“.

„ეიბ ნორთი?“

„პო, გაზეთშია...“

„ეიბ ნორთი?“ დიკი წამოდგა. „მართლა იცით, რომ მოკვდა?“

ჰენანი მაკკიბენს მიუბრუნდა.

„რეკეტ-კლაბამდე არ მისულა, პარვარდ-კლაბში მოკვდა. ეგ რეკეტ-კლაბის წევრი არ იყო“.

„ჰერალდში“ ასე წერია“, დაყინებით ამბობდა მაკკიბენი.

1. მაგარი სასმელებით უკანონოდ მოვაკრე ბარი (ამერ. ვარგ).

„შეცდომაა, გეუბნებით, ასე არ არის“.

„სახიკვდილოდ სცემეს სპიკიზიში“.

„რეკეტ-კლავში თითქმის ყველას ვიცნობ“, ჰენანი ამბობდა, „ეგ პარკარდ-კლავში იყო“.

დიკი წამოდგა, ტომიც ადგა. თავადი ჩილიშჩევი უღიმღამო ფიქრით გამოერკვა, შეიძლება ისევ რუსეთიდან გამოქცევის შანსზე ფიქრობდა, ამაზე უკვე იმდენი ეფიქრა, რომ იოლად ვეღარ მოიშორებდა, ადგა და ამათ მიჰყვა თვითონაც.

„ეიზ ნორთს სცემეს და მოკვდა“.

რა გზით, რანაირად მიდიოდა ოტელში დიკი, ვერა გრძნობდა. ტომი ლაპარაკობდა.

„მკერავს ველოდებით, რომ დაამთავროს, რამდენიმე კოსტიუმი შევუკვეთეთ და როგორც კი მზად იქნება, პარიზში წავალთ. ბირჟის მაკლერის საქმეს მინდა ხელი მოვკიდო და იქ ასე ვერ გამოვჩნდები, არ მიმიღებენ. ამერიკაში თქვენთან ახლა ყველა მილიონს აკეთებს. ხვალ მართლა მიდიხართ? ერთხელაც კი ვერ ვისადილებთ ერთად. მე მგონია, მიუნხენში თავადს ქალი ჰყავდა ადრე. დაურეკა, მაგრამ უთხრეს, ხუთი წლის წინათ გარდაიცვალაო, დღეს იმის ორ ქალიშვილთან ვიქნებით სადილზე“.

თავადმა თავი დაიქნია.

„იქნებ დოქტორ დაივეროსთვისაც მომეხერხებინა“.

„არა, არა“, ჩქარა თქვა დიკმა.

მაგრად ეძინა, უსიზმრებოდ. ფანჯრიდან სამგლოვიარო მარშის ყრუ ხმა მოესმა და იმან გააღვიძა. ქუჩაში გრძელ მწკრივად მიდიოდნენ 1914 წლის ნაცნობი უნიფორმიანები, სქელი კაცები ფრაკებითა და ცილინდრებით, ბიურგერები, არისტოკრატები, უბრალო ხალხი. ვეტერანების საზოგადოებას ომში დაცემულთა საფლავეებზე გვირგვინები მიჰქონდა. ნელა და დინჯად მიდიოდნენ, ძველი დიდების, დაკარგულ ძალის, დავიწყებული მწუხარების პატივსაცემად. სახეებზე ფორმალური სევდა ეხატათ, მაგრამ დიკს, იმათ შეხედვაზე, ლამის ფილტვები დაეხეთქა. იმიტომ რომ ეიბი მოკვდა, იმიტომ რომ ათი წლის წინათ წაუვიდა ახალგაზრდობა.

XVIII

ინსბრუკში დღის მიწურულს ჩავიდა, ბარგი ოტელში გაგზავნა და ქუჩებს დაუყვა. მზის ჩასვლაზე იმპერატორ მაქსიმილიანს მუხლი მოეყარა და თავის ბრინჯაოს მეგლოვეებზე ლოცულობდა. ოთხ ახალბედა იუზუიტს, უნივერსიტეტის ბაღში ხეივანს რომ აუყვებ-დაუყვებოდა, წიგნები ეჭირათ და ჩასცქეროდნენ. მზე ჩავიდა და უძველესი ალყებისა და წლისთავეების, ქორწინებების მარმარილოს მოწმენიც გაქრნენ; დიკმა Erbsen-Suppe-ს¹ და Würstchen-ს² ოთხი კათხა პილზენური ლუდი დააყოლა და Kaiser-Schmarren-ის³ საშიშ დესერტზე უარი თქვა.

¹ მწვანე ბარდის სუპი (გერმან.).

² წვრილი ძეხვი (გერმან.).

³ კაიზერის თავშესაქცევი (გერმ.).

გადმოწოლილი მთების მიუხედავად შვეიცარია მაინც შორს იყო. ნიკოლიც შორს იყო. საღამოთი, ოტელის ბაღში სეირნობისას, ნიკოლზე ფიქრობდა, ფიქრობდა სიყვარულითა და განმარტოებით იმაზე, რაც ყველაზე კარგად იყო ნიკოლში. გაახსენდა, როგორ მოიბრინა ერთხელ მასთან ცვიან ბაღაბზე თხელი სანდლებით, მთლად რომ დასველებოდა და დიკის ფეხსაქვეშაში შედგა, უფრო ახლო მიიწია და სახე გადაშლილ წიგნსავეთ მიუხედავად.

„როგორ გიყვარვარ ახლა, ძალიან?“ ჩურჩულით უთხრა. „მე არ მოვითხოვ, რომ ყოველთვის ასე გიყვარდე, მაგრამ ძალიან გთხოვ, არ დაივიწყო ეს საღამო. საღამო, გულში, მე სულ ისეთი ვიქნები, როგორც ახლა“.

დიკი კი გამოიქცა, თავისი გადარჩენისთვის გამოიქცა და ამაზე ფიქრობდა. დაკარგა თავისი თავი და როდის, რომელ დღეს, კვირას, თვეს, ან წელიწადს, ეს არ იცოდა. ოდესღაც ჰქონდა მოვლენების წედომის უნარი, მაშინ ცხოვრების ყველაზე რთულ მხარესაც კი მარტივი პაციენტების პრობლემასავით გადაჭრიდა ხოლმე. იმის მერე კი, რაც ნიკოლი ნახა ციურიზის ტბაზე, და მერე, როზმერისთან შეხვედრამდე, ეს უნარი წართმეოდა.

ღარიბული ეკლესიის მრევლში არსებობისათვის მამამისის ბრძოლის შემდეგ დიკმა, თუმცა ბუნებით მომხვედელი არა ყოფილა, ისწავლა ფულის ფასი არა, ეს იმის გამო კი არ მოხდა, უზრუნველი რომ ყოფილიყო — ეს ბუნებრივი იქნებოდა, არა, ნიკოლს როცა ირთავდა, ყველაზე მეტად იმ ხანებში უფრო სჯეროდა თავისი თავის, მაშინ იყო თუ იყო, რომ ფეხზე იდგა და მიუხედავად ამისა, მაინც, გადაყლაპეს, როგორც *gigolo*¹ და რაღაცნაირად თვითონაც წავიდა დათმობაზე, რომ მთელი თავისი არსენალი უორენების საგვარეულო სეიფებში ჩაკეტილიყო.

„საჭირო იყო საქორწინო მოლაპარაკების ევროპულ სტილზე შედგენა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ წინ არის, რვა წელი ამაოდ დავკარგე, რომ მდიდრებისთვის ადამიანური წესიერების ანაბანა მესწავლებინა, მაგრამ ხელის ჩაქნევა ჯერ აღრეა, ჯერ კიდევ ბევრი კოზირი მაქვს“.

უაზროდ დაეხეტებოდა, წაბლისფერშეპარულ ვარდისფერ ბუჩქებს გარსნოტიო ხვეულა გვიმრები ერთყა. ოქტომბრის თბილი საღამო იყო, მაგრამ დიკს ტვიდის ბოლომდე შეკრულ ქურთუკშიც არ სცხელოდა. რეზინის პატარა ღილ-კილოც შეეკრა, შავმოიისფრო ხეს ქალის ფიგურა გამოეყო, დიკმა შეიცნო, ოტელიდან გამოსვლისას ვესტიბიულში რომ იდგა, ის ქალიშვილი იყო. ახლა ვისაც კი მშვენიერ ქალს დაინახავდა, ყველა უყვარდა, უყვარდა მათი შორს აღმართული სილუეტი, კედელს აკრული იმათი ჩრდილი.

ქალიშვილი ზურგით იდგა და ქალაქის ჩირადნებს გასცქეროდა. დიკმა ასანთი გაკრა, იმ ვარაუდით, იქნებ ხმაზე მოტრიალდესო, მაგრამ ქალიშვილი არც შერხეულა.

— გამოწვევაა? თუ პირიქით, არად ჩაგდება? უბრალო სურვილებისა და ამ სურვილების ასრულების სამყაროს დიდხანს იყო მოშორებული და ეს გაუბედავსა და მერყევს ხდიდა. ალბათ, ფიქრობდა დიკი, მინერალურ წყლებზე აქ აგარაკად ჩამოსულებს რაღაც კოდი აქვთ და იმითი პოულობენ სწრაფად ერთმანეთს.

— საჭირო სვლას იქნებ მისგან ელოდებიან, უცნობი ბავშვები ერთმა-

¹ დაქირავებული პარტნიორი დანსინგში (ფრანგ.).

ნეტს რომ დაინახავენ, გაიღიმებენ და იტყვიან ხოლმე: „მოდი, ერთად ვითანაშობთ“.

ცოტა მიუახლოვდა. ჩრდილი შეირხა. ახლა კი დასცხებენ, რთვორტანში ხეტიალე მედაფდაფე ბიჭებს — ეს ამბავი აღარც ახსოვს როდის დადგინდა, მაშინ თვითონაც ბიჭი იქნებოდა. გული გამალებით უცემდა გაურკვეველის, შეუსწავლელის, გამოუკვლეველის, ამოუხსნელის სიახლოვით. უცებ დიკი მოტრიალდა, მაშინვე ქალიშვილიც შეირხა და შავმოიისფრო ფოთლოვანი არშიაც დაირღვა, რადგან ქალი თვითონვე იყო ამ არშიაში. ბალის მერხს შემოუარა და ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით ოტელისკენ მიმავალ ბილიკზე გადავიდა.

მეორე დილას დიკი, ორი მთამსვლელი და გამცილებელი ბირკარშპიტცეზე ასვლას შეუდგნენ. უკან დარჩა მალალმთიანი საძოვრები, გულს ახარებდა სადღაც ქვევიდან ამოსული ზანზალაკების წკრიალა ხმა, ახლავე უხაროდა, რომ ლამეს მთაში, ქოხში გაათენებდა. მოსწონდა დალლა, მოსწონდა რომ გამცილებლის მორჩილი იყო და არავინ იცნობდა აქ. მაგრამ შუადღით ამინდი შეიცვალა, მოშავო ხორხოშელა წამოვიდა და სეტყვაც მოჰყვა, მთებში ქექაქუხილის ხმა დაირხა. დიკსა და ერთ ალპინისტს კიდევ უნდოდათ გზის გაგრძელება, მაგრამ გამცილებელმა უარი თქვა. დასანანია, მაგრამ სხვა გზა არ იყო. დაშვებისას ფეხი უსხლტებოდათ, ინსბრუკში დაბრუნდნენ, რომ ხვალ დილით ადრე ისევ გზას დასდგომოდნენ.

ცარიელ რესტორანში ერთი ბოთლი იქაური, მაგარი ღვინო შესვა სადილზე და მერე უცებ შეუცნობელმა ლელვამ მოიცივა, შეუცნობელმა მანამ, სანამ ბაღზე არ გაიფიქრა — ვახშამამდე კიდევ შეხვდა იმ ქალიშვილს ვესტიბიულში, ახლა ქალიშვილმა შეხვდა და სიმპათიითაც, მაგრამ ამანაც უფრო გაუმძაფრა ნადველი: „რისთვის, შემეძლო რამდენიც გინდა იმდენი მშვენიერი ქალი მყოლოდა თავის დროზე, მაგრამ ახლა რად მინდა ამის დაწყება, როცა ძველი სურვილებიდან ნატამალიც კი აღარ შემომრჩა?“

წარმოსახვამ შორს წაიყვანა, მაგრამ უწინდელი ასკეტიზმი, ბევრ რამეზე რომ უარს ათქმევინებდა, ახლაც ყველაზე მალლა დადგა. „ღმერთო, შემეძლო, რივიერაზე წავსულიყავი და ხვალვე ჯეინის კარიკამენტოსთან ან პატარა უილბერპეიზისთან გამეთია ლამე, ოღონდ ღირს კი ამ წლების ასე იოლი და მისაწვდომი გზით შემოკლება?“

მაგრამ ლელვა არ დაუცხრა და ვერანდიდან თავის ოთახში ავიდა, რომ ფიქრს მისცემოდა. იქ ხელს არავინ შეუშლიდა. მარტოობა, ფიზიკური თუ სულიერი, სევდას ბადებს და სევდა კი უფრო აძლიერებს მარტოობას.

ზევით ასული ოთახში მიდი-მოდიოდა, ფიქრობდა, მთამსვლელის სველ ტანსაცმელს იხდიდა თან და ოდნავ თბილ რადიატორზე ფენდა; ისევ დახედა ნიკოლისაგან გამოგზავნილ ტელეგრამას. როცა კი დიკი წავიდოდა, ყოველდღე ასე უგზავნიდა. ტელეგრამა ვახშამობამდე მოვიდა, დიკმა არ გახსნა — შეიძლება იმ ბალის გამოც. ახლა გახსნა. კაბლოგრამა იყო ბაფალოდან, ციურიხის გავლით გამოგზავნილი.

„მამათქვენი მშვიდად აღესრულა წუხელ ღამით.

ქოლმზი“.

მწვავე ტკივილმა დაუარა, დაიძაბა, ტკივილმა ჯერ მუცელში გაჰკრა, მე-

რე წელში, და ყელში მოაწვა.

კიდევ ერთხელ გადაიკითხა და საწოლზე ჩამოჯდა გასტერებული/ მძიმედ სუნთქავდა; ჯერ ვერ მოეშორებინა ეგაისტური აზრი, მშობლების ქვეყნიდან შეტყობისას ბავშვს რომ უჩნდება, — რა მეშველება, როგორ უნდა ვიქცეოდეთ და დიდი მფარველი აღარა მყავს?

ამ ატავიზმმა რომ გაიარა, ისევ სიარული დაიწყო ოთახში, ზოგჯერ ჩერდებოდა და კაბლოგრამას დახედავდა. ჰოლმში მამის თანაშემწედ ითვლებოდა, მაგრამ უკვე ათი წელია, რაც ფაქტიურად თვითონ იყო სამრევლო მღვდელი. რით მოკვდა? სიბერით — სამოცდათხუთმეტი წლისა იყო. კარგა ხანს იცოცხლა.

დიკს იმაზე ეწვოდა გული, რომ მარტო მოკვდა, ჯერ ცოლის სიკვდილს მოესწრო, მერე ძმები და დები დაკარგა; ბიძაშვილები კი ჰყავდა ვირჯინიაში, მაგრამ ლარიბები იყვნენ და ჩრდილოეთში ვერ წავიდოდნენ, იმიტომაც აწერდა დებეშას ჰოლმში ხელს. დიკს მამა უყვარდა — დღემდეც კი, ძალიან ხშირად ცდილობდა ხოლმე წარმოედგინა, რას გააკეთებდა მამამისი, ან როგორ მოიქცეოდა, დიკი რომ ყოფილიყო. დიკი იმის მერე, რაც ერთიმეორის მიყოლებით დაიხოცნენ იმისი დები, რამდენიმე თვის მერე დაიბადა და მამას ეშინოდა, ერთადერთი ბავშვი დედამ არ გაანებიეროსო, ამიტომაც თავიდანვე თვითონ ითავა ვაჟიშვილის ზნეობის აღზრდა. მაშინაც უკვე დაღლილი იყო ცხოვრებით, მაგრამ თავისი მოწოდების სიმალლეზე ყოფნა მაინც შეძლო.

ზაფხულობით მამა-შვილი ქალაქში ერთად დადიოდნენ ფეხსაცმელების გასაწმენდად — დიკს გახამებული ტილოს მატროსის კოსტიუმი ეცვა ხოლმე, მამას თავისი საუცხოო სამოსელი პასტორისა. დიკი ლამაზი, მოხდენილი ყმაწვილი იყო და მამა ძალიან ამაყობდა თავისი ბიჭით. შვილს იმას ჩააგონებდა, რაც თვითონ იცოდა ცხოვრებაზე, უფრო მეტად უბრალო და ურყევ ჭეშმარიტებებს, იმას, რაც თვით მას, მღვდელს შეეძლო ესწავლებინა. „ერთხელ, — იმხანად სასულიერო წოდება ახალი მიღებული მქონდა, ერთ სახლში მომიხდა მისვლა, უცხო ქალაქში. შევდივარ ხალხით სავსე სასტუმრო ოთახში და არ ვიცი ვინ არის მასპინძელი. სტუმრებს შორის რამდენიმე ნაცნობი კი შევამჩნიე, მაგრამ არავისთვის მიკითხავს რამე და პირდაპირ ოთახის სიღრმეში, ფანჯარასთან მჯდომ ქალაქსა და მთებს მივედი და ჩემი თავი წარვუდგინე. იმის მერე ბევრს დავუახლოვდი იმ ქალაქში და ბევრი მეგობარი შევიძინე“.

ასეთ რამეს გულლიად ყვებოდა — მამამ იცოდა თავისი ფასი და მთელი ცხოვრების მანძილზე არ დაუკარგავს ის სიამაყე, თავის გამზრდელი ორი ამაყი ქვრივისაგან რომ გადმოეცა, ისინი მას იმ რწმენით ზრდიდნენ, რომ არაფერია იმაზე უფრო დიდი ღირსება, ვიდრე „სიკეთის ინსტინქტები“, ვაჟკაცობა, ზრდილობა და პატიოსნება.

მამას ყოველთვის მიაჩნდა, რომ ცოლის მცირე მემკვიდრეობა ვაჟიშვილს ეკუთვნოდა და სასწავლებელშიც და სამედიცინო კოლეჯში სწავლის წლებშიც დიკს ყოველ წელს, სამ თვეში ერთხელ ჩეკს უგზავნიდა. ის ერთი იმათგანი იყო, ვისზედაც მოთქრულ საუკუნეში, აქსიომასავით იტყოდნენ ხოლმე: „უდავოდ, ჯენტლმენია, მაგრამ უფხოა“.

...დიკმა გაზეთისთვის გაგზავნა ბიჭი. ამერიკაში მიმავალი გემის რეისი ისე შეარჩია, ოთახში წინ და უკან სიარული არ შეუწყვეტია, თან კაბლოგრამას — გახსნილი იყო და — უყურებდა. მერე ციურიხით ნიკოლთან ლაპა-

რაკი შეუკვეთა, სანამ იცდიდა, ბევრი რამ გაახსენდა და დაენანა, რად არ იყო ისეთი კარგი, როგორც უნდოდა ყოფილიყო, ყოველთვის კარგი რად არ იყო.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

XIX

მთელ საათს უკვე წინ მოჩანდა ნიუ-იორკის პორტი და სამშობლო მიწის დიდებული ფასადი, მამის სიკვდილზე ფიქრით მოცულს, სევდიანი ეჩვენა, მაგრამ როგორც კი ხმელზე ფეხი შედგა, ეს გრძნობა გაუქრა და აღარც დაბრუნებია, არც მაშინ, როცა ქუჩებში მიდიოდა, არც ოტელებში, არც მატარებლებში, ჯერ რომ ბათუმში, მერე კი სამხრეთისკენ ვირჯინიაში, მამამისის ნეშტთან ერთად მიაქანებდა. მხოლოდ მაშინ, როცა ძველი მატარებელი უესტ-მორლენდის მეჩხერი ტყის თიხნარს შეუყვავა, დიკმა ისევ იგრძნო, რომ აქაურობის ზიარი იყო. ვაგზალში ცაზე ვარსკვლავი დაინახა და იმ ვარსკვლავს იცნობდა, ჩიზაპიკის უბის თავზე გადმოდგარი ცივი მთვარეც დიკის ნაცნობი მთვარე იყო, ესმოდა ხის თვლების ჭრიალი და რაღაც ხმები, საყვარელი და მიკარგული, იმ პირველყოფილ მდინარეთა სალბუნევით ხმა, მდორედ რომ მიდიოდნენ და ინდიელების სალბუნევით სახელები რომ ერქვა ყველას.

მეორე დღეს მამამისი ეკლესიის ეზოში მიაბარეს მიწას ასობით დაივერების, დორსების და პანტერების გვერდით. სანუგეშო ის იყო, რომ აქ იგი მარტო არ იქნებოდა, არამედ ყველა ამათთან ერთად. ფხვიერი, წაბლა მიწისაგან ამართულ პატარა ბორცვზე მიმოფანტეს ყვავილები, აქაურობასთან დიკს აღარაფერი აკავშირებდა და არც ფიქრობდა, რომ როდისმე კიდევ დაბრუნდებოდა. მუხლი მოიყარა. იცნობდა ამ ხალხს, აქ რომ სამარადისო ძილით ეძინათ, ახოვანებს, მზედაკრული სახეებით და ანთებული ლურჯი თვალებით, მათი სულები მეჩვიდმეტე საუკუნის უღრანი ტყის წყვედიადში იყო გამოძერწილი, ახალი მიწით.

„მშვიდობით, მამა — მშვიდობით, ყველა ჩემო მამებო“.

პორტის გრძელ პირსზე ფეხშედგმული, აღარც იქა ხარ, ხმელეთზე, და აღარც აქა ხარ.

ყვითელი, ნისლიანი კამარა სავსეა მოგუგუნე ხმების ექოთი. ტვირთის გადატანა, ჩასხდომა, გრიალი და გრუხუნი, ონკანების ჩხრიალი და ჭლრიალი, პერს უკვე ზღვის მარილიანი გემო ერევა. ყველა ჩქარობს, მიუხედავად იმისა, რომ დრო ქვეყნისაა; წარსული, კონტინენტი — უკანა დარჩა, მომავალი კი გემის ტრაპს ზევით, გახურებულ ხახაში იცდის; თავგზააბნეული აწმყო — მიხლა-მოხლაა გასასვლელში.

ბოლოს გემზე ხარ, სამყაროს სახეც იკვეთება და ვიწროვდება, ახლა ანდორაზე უფრო პატარა სახელმწიფოს მოქალაქე ხარ, სადაც ყველაფერს უნდა ელოდე. გემის ხაზინადრის კაცებს კაიუტებივით წაგრძელებული და უცნაური სახეები აქვთ; მგზავრები და მათთან მოსული მეგობრებიც, გეგონება, აგდებულად იყურებიან. მაგრამ ხმამალალი, ნაღვლიანი სტვენა გაისმის. ერთი ძლიერი შეთრთოლება და გემი, ადამიანის ეს ერთი აზრიც, უკვე მოძრაობაშია, და პირსი და იმასთან ერთად ხალხიც სრიალით გშორდება; წამით გემი პირსის რაღაცა წანატეხი გგონია, მაგრამ სახეებს უკვე ვეღარ არჩევ და ხმებიც უკვე

ალარ მოგესმის, პირსი რაღაცა შორით ლაქაა, ნავთსაყუდელი უფრო სწრაფად აწევა განზე და ხლვაში შედიხარ.

გაზეთების მიხედვით ამ გემის ყველაზე ძვირფას ტვირთად ელბერტ მაკისკო ითვლებოდა. მაკისკო მოდაში იყო. მისი რომანტიკური დროის კარგი მწერლების ქმნილებათა მიბაძვით იქმნებოდა და არ შეიძლება ეს ღვაწლი მისთვის დაეკარგათ; თანაც, კარგადაც ახერხებდა, რომ გაებერა, ამარტივებდა იმას, რასაც კი სესხულობდა და ამით სალიან აამებდა ბევრ მკითხველსაც, ნოხიბლულს იმით, რომ მისი გაგება უფრო ადვილი იყო. წარმატებამ უკეთესი გაზადა, ისეთი დიდგულა და ამპარტავანი როდილა ჩანდა. იცოდა, თავისი თავი ფასი — იმხელა ენერჯია ჰქონდა, რომ ბევრს, მასზე მეტად სიჭიქრებასაც მოიტოვებდა და გადაწყვიტა, თავისი წარმატებით, რაც შეიძლება ესარგებლა. „მე ჯერ არაფერი გამიკეთებია“, თავისთვის ბჭობდა, „ვიცი, რომ გენიოსი არა ვარ, მაგრამ ბევრი თუ ვწერე, ბოლოს შეიძლება მართლა დავწერო კარგი წიგნი“. ვინ იცის მართლა, — მორყეული ტრამპლინებიდანაც, კარგი ნახტომის მაგალითი რამდენიც გინდათ იმდენია. ძველი წყენა, უთვალავჯერ რომ შეხვედრია, დავიწყებას მიეცა. ისე კი მისი წარმატების ფსიქოლოგიურ საფუძვლად ტომი ბარბანთან დუელი იქცა; მერე, როცა მეხსიერებაში უკვე ბევრი რამ წაიშალა იმ ამბიდან, თავის თავს უფრო აფასებდა.

გემზე მაკისკომ დიკი მეორე დღეს შეამჩნია. ჯერ ფრთხილად გამოხედა, მერე მიუახლოვდა, მეგობრულად წარუდგა და გვერდით მიუჯდა. დიკი კითხულობდა, წიგნი გვერდზე გადადო: რამდენიმე წუთი თუ დასჭირდა იმისათვის, რომ კარგად შეემჩნია მაკისკოში მომხდარი ცვლილება და ეს ახალი მაკისკო, გამაღიზიანებელი გრძნობისაგან დაცლილი, საინტერესო მოსაუბრედაც კი მოეჩვენა. „ინფორმაციის წყარო“ მაკისკოს უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე გოეთეს — ერთ რამედ ღირდა მისი მოსმენა, როცა სიტყვათა უამრავ, იოლად მისახვედრ წყებებს აგებდა და თავის აზრებად ასაღებდა. ურთიერთობა გაიბა და ხშირად ერთადაც საუზმობდნენ. მაკისკო მეუღლითურთ, კაპიტნის მაგიდასთან იყო მიწვეული, მაგრამ როგორც თვითონვე ახალგამომცხვარი სნობიზმით უთხრა დიკს, „იმ კომპანიას ვერ იტანდა“.

ვაიოლიტი ახლა დიდებული ქალი გახლდათ და დიდებული couturières¹ კაბები ეცვა, დაუსრულებლად იხიბლებოდა პატარა აღმოჩენებით, რასაც კარგად აღზრდილი ქალიშვილები ოც წლამდე უკვე განვილ ეტაპად მიიჩნევენ. თავის დროზე რაღაცის სწავლა კი შეეძლო დედისგან, მაგრამ სულიერად იგი უფრო აიდაპოს იაფფასიან, მცირე კინოთეატრებში ჩამოყალიბდა და დედისთვის დრო აღარა რჩებოდა. ახლა იგი რამდენიმე მილიონ სხვა კაცთან ერთად „რჩეულებს“ ეკუთვნოდა და ბედნიერი იყო, თუმცა ქმარი, როცა მეტისმეტ გულუბრყვილობას იჩენდა ხოლმე, ისევ ისე უცაცხანებდა.

მაკისკოები გიბრალტარში გადასხდნენ. მეორე საღამოს ნეაპოლში, გზად, როცა ოტელიდან ვაგზალში მიდიოდა, დიკი ავტობუსში ერთ საცოდავ ოჯახს გადაეყარა. ხანშიშესული ამერიკელი ქალი ორ ქალიშვილთან ერთად დიკმა გემზევე შეამჩნია. ისეთი დაბნეულები და საწყლები ჩანდნენ, ყოვლისწამლევ-

¹ მემოდელეების (ფრანგ.).

მა სურვილმა მოუყარა: დახმარებოდა, ან იქნებ უნდოდა ასე მოქცეულიყო, რომ მერე დიკით მოხიბლულიყვნენ — მატარებელში იმათ გართობის ცდაში იყო და ცხადია, ფრთხილად და ტაქტიანად, ღვინოც კი შესთავაზა, და გულწრფელად გაიხარა, როცა დაინახა რომ გულდაჩერება მოემატათ, ისე იხარჯებოდა, ასეთი კარგი ბრძანდებითო, რომ ლამის თვითონვე დაიჭერა რაღაც მშობრულად, მით უფრო, რომ ამ ილუზიისთვის ბევრსაც სვამდა; ქალებს კი, სწამიუნეს, ასე ეგონათ, ციდან დაგვატყდაო თავს ეს ამბავი. უკვე რიყრაყდებოდა და მატარებელი რწევითა და ქშენით მიდიოდა კასინოდან ფროზინონემდე, როცა იგი მათ გაეცალა. რომის ვაგზალზე ამერიკულად, დიდი ამბით დამშვიდობების მერე დიკი დაქანცული გაემართა ოტელ „კვირინალისაკენ“.

პორტიეს კანტორასთან უცებ გვერდზე მიიხედა და გაქვავებულივით შედგა: თითქოს ღვინო დაელია, ცხელ ტალღასავით დაუარა სხეულში და თავში აუგარდაო. ის დაინახა, ვისი ნახვის იმედიც ჰქონდა, ვისთვისაც მთელი ხმელთაშუა გამოიარა.

სწორედ ამ დროს როზმერიმაც დაინახა და ისე გაუხარდა, გაშტერებაც ვეღარ მოასწრო; დაბნეულმა შეხედა თავის თანამგზავრ ქალიშვილს, და მაშინვე გამოქანდა. დიკი ელოდა, დაჭიმული, სუნთქვაშეკრული. მოუახლოვდა და როცა თითქმის სულ ახლო იყო, ახლებურად მომხიბვლელი და მოვლილი, როგორც ფაშატი გერგე, მბზინავ ფერდებით და მოსართავით, მხოლოდ მაშინ მოეგო გონს; მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა, დიკმა ისღა მოახერხა, რომ დაქანცულობა დაეფარა და როზმერის გულღია და სხივიან მზერას არაგულწრფელი პანტომიმა შეაგება, რასაც, სიტყვებით, ალბათ ასე გამოხატავდა, — „ვის ნახვას აღარ ვიფიქრებდი, როგორ, თქვენა ხართ?“

როზმერის ბელთათმანიანმა ხელებმა დაფარა დიკის მერხზე ჩამოდებული ხელი; „დიკ — ჩვენ აქ „რომის გარდასულ დიდებას“ ვიღებთ — უფრო სწორად, გვგონია, რომ ვიღებთ. ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება მივანებოთ თავი“.

დიკი ჩაცვივებით უყურებდა, იქნებ ამ შეხედვით შემცბარ როზმერის ვერ შეემჩნია გაუპარსავი პირისახე, დაჭმუჭნილი პერანგი და ჩაკეცილი საყელო. საბედნიეროდ, როზმერის ეჩქარებოდა.

„ჩვენ აღრე ვიწყებთ, რადგან თერთმეტისთვის უკვე ნისლია — ორის მერე დამირეკეთ“.

თავის ოთახში ასული დიკი ცოტ-ცოტა თავის თავს დაუბრუნდა. პორტიეს დაურეკა, რომ ზუსტად თორმეტისთვის გაეღვიძებინათ, სწრაფად გაიძრო ტანსაცმელი და ძილს მისცა თავი.

პორტიეს დარეკვა არ გაუგონია, მაგრამ ორ საათზე, გამოძინებულს, თვითონვე გაეღვიძა. ბარგი გახსნა და კოსტიუმები და პერანგები გასამზადებლად ჩააბარა. მერე პირი გაიპარსა, ერთ ოცდაათ წუთს თბილ აბაზანაში ჩაწვა და ისაუბმა. Via Nazionale უკვე მზით იყო გაჩახჩახებული, უნდოდა, ოთახშიც შემოსულიყო მზე და ძველ, თითბრის რგოლებზე ჩამოკიდებული მოყდარუნე პორტიერები ოდნავ გასწია. სანამ გაუთოებულ კოსტიუმს მოუტანდნენ, „კორიერე დელა სერა“ გადაშალა და შეიტყო ამბავი „una novella di Sainclair Lewis «Wall-Street» nella quale autore analizza la vita cociale di una piccola cita Americana“¹ მერე როზმერიზე დაიწყო ფიქრი.

ვერ ფიქრობდა, არაფერი გამოდიოდა, როზმერი ახალგაზრდა და მომხიბ-
ვლელი იყო, მაგრამ ამის თქმა ტოპსიზეც შეიძლებოდა. ხვდებოდა, რომ ოთხ
წელიწადში საყვარლები ეყოლებოდა და ალბათ თვითონაც ეყვარებოდა. კაცმა
არ იცის, ვის რა ადგილი უჭირავს სხვების ცხოვრებაში, მაინც კმაყოფილე-
ბიდან ერთი რამ, თავისი გრძნობა გამოიკვეთა. საუკეთესო ურთიერთობად ის
თვლება, როცა იცი, რომ ბევრი რამ არის ხელშემშლელი, მაგრამ მაინც
გინდა, რომ მოყვასად დარჩე. წარსული ისევ მოეძალა და მოუნდა, რომ როზ-
მერის უებრო მზადყოფნა, დიკს დანებებოდა, მხოლოდ დიკისთვის ყოფილი-
ყო და დიკის იქით არ წასულიყო. სცადა თავმოყრა ყველაფრისა, რითაც როზ-
მერის მოხიბლავდა, — ოთხი წლის წინათ უფრო უხვადა ჰქონდა ხიბლი ვიდრე
ახლა. თვრამეტისეზი ოცდაათოთხმეტი წლისას ახალგაზრდობის სქელ ბურუსში
გახვეულები უყურებენ; მაგრამ ოცდაორისეზი უღმობელი სიცხადით ხედავენ
ყველაფერს, რაც ოცდათვრამეტს შეეხება. თანაც, მათი შეხვედრისას დიკი
ემოციურობის ზენიტში იყო; იმის მერე დრო გავიდა და, ის ხალისიც აღარა
ჰქონდა.

როცა კოსტიუმი მოიტანეს, დიკმა თეთრი პერანგი ჩაიცვა, შავი ჰალს-
ტუხი გაიკეთა და მსხვილმარგალიტიანი ქინძისთავი გაუყარა; მეორე ასეთივე
მარგალიტი პენსნესთვის იყო, დაუდევრად რომ ეკიდა ხოლმე. ზაფხულობით
რივიერაზე ცხოვრების გამო ნამწეური სახე უკვე მოყავისფრო-კრამიტისფერი
გახდომოდა და გამოძინებულს ახლა უფრო ეტყობოდა ეს. მოქნილობისთვის
თავდაყირა დადგა სკამზე და სანამ ჯიბიდან კალამი არ ამოუვარდა და ხურდა
ფული არ გადმოიყარა, ასე იყო. სამ საათზე როზმერის დაურეკა, მიწვევა მი-
იღო. იმ თავისი აკრობატული ვარჯიშის მერე თავბრუ დაეხვა და გზად ბარში
შეიარა, რომ ჯინი-ტონიკი დაეღია.

„ჰეი, დოქტორო დაივერ!“

მხოლოდ იმის გამო, რომ ოტელში როზმერი ცხოვრობდა, დიკმა მაშინვე
იცნო კოლის კლეი. ისევ ისეთი დაჯერებული და თავადერილი, ისევ ისეთი
სქელი ყბებით.

„იცით, რომ როზმერი აქ არის?“ ჰკითხა მან.

„ჰო, შემთხვევით შევხვდი“.

„ფლორენციაში ვიყავი, იქ გავიგე როზმერის აქ ჩამოსვლა და წინა კვი-
რას მეც წამოვედი. ახლა ძნელია მისი ცნობა, დედას პატარა გოგო არ არის“,
და მაშინვე შეარბილა: „ასე ვთქვით, იმის თქმა მინდა, რომ სათუთად გაზრ-
დილი, ახლა მსოფლიო ქალი დადგა — ერთი სიტყვით, ხვდებით, რასაც
გვულისხმობ. რომ იცოდეთ, რა დღეში ჰყავს ეს რომაელი ბიჭები — დაგრე-
ხილები, და მერე როგორ!“

„ფლორენციაში რას აკეთებთ, სწავლობთ?“

„მე? ვგრეა, არქიტექტურას ვსწავლობ იქ. კვირას დავბრუნდები — დო-
ლისთვის დავრჩი“.

¹ „სინკლერ ლუისის რომანისა „უოლ-სტრიტი“, რომელშიც ავტორი პატარა ამერიკული
ქალაქის საზოგადოების ცხოვრებას აღწერს“ (იტალ.).

გინდა თუ არა, სურდა თავისი ბარში ვახსნილი ანგარიშისთვის მიემართა ბინა ისიც, რაც დიკმა დალია, მაგრამ დიკმა თავისი ქნა და არ დაანება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XX

ლიფტიდან გამოსული დიკი მიხვეულ-მოხვეულ დერეფანში მიდიოდა, შორიდან ხმა მოესმა, გამოღებულ კარიდან, და იქით წავიდა. როზმერი შავ პიჟამაში ჩაცმული დახვდა: ოთახში ისევ იდგა პატარა მაგიდა, ყავას სვამდა.

„თქვენ ისევ ისეთი ლამაზი ხართ“, თქვა დიკმა. „უფრო ლამაზი ვიდრე იყავით“.

„ყავა გინდათ, ჭაბუკო?“ ჰკითხა როზმერი.

„ვწუხვარ, რომ დილით ისეთი დაღლილი მნახეთ“.

„პო, დაღლილი სახე გქონდათ — მაგრამ ხომ დაისვენეთ უკვე, არა? ყავას დალევთ?“

„არა, გმადლობთ“.

„ახლა თითქმის ძველებური დიკი ხართ ისევ, დილით კი, ლამის შემეშინდა. დედა აპირებს ჩამოსვლას იმ თვეს, თუ აქ დავრჩით. ძალიან ხშირად მგეკითხება, დიკი სადმე ხომ არ შეგვხვდაო, გეგონება, მეზობლად ვცხოვრობდეთ. დედა ყოველთვის კარგი აზრისა იყო თქვენზე — მიაჩნია, რომ ასეთი კაცის გაცნობით მე მართლა ბევრი რამ მომემატა“.

„მიხარია, რომ ისევ ვახსოვარ“.

„რა თქმა უნდა, ახსოვხართ“, მიუგო როზმერი. „კარგად ახსოვხართ“.

„მე რამდენჯერმე გნახეთ ეკრანზე“, თქვა დიკმა. „ერთხელ ისიც კი მოვახერხე, „მამიკოს გოგო“ მხოლოდ ჩემთვის ეჩვენებინათ“.

„ამ ახალ სურათში კარგი როლი მაქვს, მონტაჟის დროს თუ არ ამოჭრეს“.

ტელეფონისკენ წავიდა, გავლისას, დიკის მხარს შეეხო. დარეკა, რომ მაგიდა გაეტანათ ოთახიდან და მერე ღრმა სავარძელში ჩაჯდა.

„როცა თქვენ შეგხვდით, გოგონა ვიყავი, თითქმის ბავშვი, დიკ. ახლა ქალი ვარ“.

„მინდა ყველაფერი მიაშობოთ თქვენზე“.

„როგორ არის ნიკოლი — ლანიე და ტოპსი?“

„კარგად, ხშირად გახსენებენ ხოლმე...“

ტელეფონმა დარეკა. სანამ როზმერი ლაპარაკობდა, დიკმა წიგნები გადაათვალიერა — ორი რომანი, ერთი ედნა ფერბერის, მეორე ელბერტ მაკისკოსი. მოვიდა ოფიციალტი და მაგიდა წაიღო; უიმმაგიდოდ შავ პიჟამაში როზმერი რაღაც მარტოკა დარჩა.

„...სტუმარი მყავს... არა, ძალიან კარგად არა. მერე კიდევ კოსტიუმის მოსარგებად უნდა წავიდე, დიდხანს შევრჩები... არა, ახლა არა...“

როზმერიმ ისე გაუღიმა დიკს, თითქოს, რაკი მაგიდა გაიტანეს, შვება იგრძნო, თითქოს ორივემ ერთად მოახერხეს, — ქვეყანაზე ყველა სატანჯველს გაერიდნენ და მშვიდობით იყვნენ ახლა თავიანთ ნეტარ ზეცაში...
„ესეც ასე“, თქვა როზმერი. „იცი, ამ ბოლო საათს რას ვაკეთებდი? თქვენთან შეხვედრისთვის ვემზადებოდი“.

მაგრამ ისევ დარეკა ტელეფონმა. დიკი ადგა, რომ ხაწოლიდან თავისი შლაპა აეღო და თავის ადგილზე დაედო. როზმერიმ თვალი შეასწორო დიკს, შეშინებულმა დააფარა ხელი ტელეფონს.

ხაწოლიდან
თავისი
შლაპა
ადგილზე
დაედო.
როზმერიმ
თვალი
შეასწორო
დიკს,
შეშინებულმა
დააფარა
ხელი
ტელეფონს.
ხიზლიწყისა

„ხომ არ მიდიხართ?“

„არა“.

ტელეფონით ლაპარაკი რომ დამთავრდა, დიკმა, უფრო იმისთვის, რომ შუადღის ეს გაწელები დრო შეეკრა, თქვა:

„მე უკვე ისეთ საუბრებს ვიტან, რომლებიც რაღაც საზრდოს მმართველებს“.

„მეც“, დაეთანხმა როზმერი. „ახლა ერთი ვაჟბატონი რეკავდა, ოდესღაც იცნობდა ჩემს ბიძაშვილს. წარმოიდგინეთ, ასეთი მიზეზით რომ დარეკავს ვიღაც!“

ახლა როზმერი სიყვარულისთვის ლაპარაკობდა, სხვა რა იყო ის რამერუმე, ფარდასავით რომ იფარებდა, რათა ამას არ დაენახა? დიკი სიტყვებს წერილებივით გზავნიდა მასთან, გეგონება, სანამ ისინი როზმერიმდე მიაღწევდნენ, თვითონ რაღაც დროს იტოვებო.

„ძნელია თქვენთან ახლო ვიყო და არ გაკოცოთ“.

ოთახის შუაგულში იდგნენ, ერთმანეთს აკოცეს, ვნებიანად. წამით როზმერი დიკს მიეკრა, და მერე ისევ დაბრუნდა თავის საეარძელთან.

კარგი იყო, მაგრამ დიდხანს ასე ვერ იქნებოდნენ. ან წინ უნდა წასულიყვნენ, ან დაეხიათ: როცა ისევ ტელეფონმა დარეკა, დიკმა საწოლისკენ გაიარა, ელბერტ მაკისკოს წიგნი აიღო და საწოლზე დაწვა. როზმერიმ თითქმის მაშინვე გაათავა ლაპარაკი, შემოვიდა და იქვე ჩამოჯდა.

„საოცრად გრძელი წამწამები გაქვთ“, თქვა მან.

„ახლა იქა ვართ, სადაც სტუდენტთა მეჯლისია, დამსწრეთა შორის არიან მისს როზმერი ჰოიტ, გრძელ წამწამების მოყვარე...“

როზმერიმ აკოცა, დიკმა მიიზიდა და გვერდით დაიწვინა და ჰკოცნიდნენ ერთმანეთს ვიდრე სულის შეგუბებამდე. როზმერის სუნთქვა ახალგაზრდული, აგზნებული და მღელვარე ჰქონდა, ტუჩები — ოდნავ დახეთქილი, მაგრამ კუთხეებში ისევე რბილი.

სხვა არაფერი იყო უკვე, ერთმანეთის სხეული და — სამოსიანად, მამაკაცის მკლავების ძალა და ამისი ყელი და მკერდი, და როზმერიმ ჩურჩულით უთხრა, „არა, ახლა არ შეიძლება, არ შემიძლია“.

დიკმა მორჩილად მიაგდო ვნება გონების საღდაც, ერთ კუთხეში და მერე, როცა როზმერის სათუთი სხეული ზევით ასწია, თავის ტანზემთ, მშვიდად უთხრა:

„ძვირფასო, ეგ არაფერი — როგორც გინდა“.

ქვევიდან ზევით უყურებდა და სულ სხვა ეჩვენა მისი სახე — მარადიულად მთვარის შუქით განათებული.

„რომანტიკულად გამართლებული იქნებოდა, და პოეტური, რომ სწორედ თქვენ ყოფილიყავით“, თქვა როზმერიმ. დიკმა თავი გააშვებინა, სარკესთან მივიდა და ორივე ხელით თმა გაისწორა. მერე სკამი საწოლთან მიდგა და დიკს მიეფერა სახეზე.

„მითხარით თქვენზე, მხოლოდ მართალი“, უთხრა დიკმა.

„ყოველთვის მართალს გეუბნებოდით“.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ეთქვათ, ასეა — მაგრამ ყოველთვის ყველაფერი ერთი როდია“.
 ორთავენი გაიცინა, მაგრამ დიკი ჩააცვივდა.
 „თქვენ ისევ ქალწული ხართ?“
 „რ-ა-ა-ს ამბობთ!“ თითქმის წაიმღერა. „მე მყავდა ექვსას ორმოცი საყ-
 ვარელი — ასეთი პასუხი გინდათ?“

„თქვენ ჩემთან რა ვალი გაქვთ, ეგ ჩემი საქმე სულ არ არის“.
 „ფსიქოლოგიური კვლევისთვის გამოგადგებით?“
 „საესებით ნორმალურ, ოცდაორი წლის ჯანმრთელ ქალიშვილს რომ გი-
 ყურებთ. ათას ცხრაას ოცდარვა წელში მცხოვრებს, ბუნებრივია, თუკი ვი-
 ფიქრე, რომ უკვე გიყვარდათ რამდენჯერმე“.

„მაგრამ სერიოზულად ერთხელაც არა“, მიუგო როზმერიმ.
 ვერ დაიჭერებდა. ერთი რამ ვერ გაეგო, როზმერი რაღაც ბარიერს ქმნი-
 და მათ შორის თუ უბრალოდ უნდოდა, რომ იმ შემთხვევისთვის, თუ დათმო-
 ბაზე წავიდოდა, უფრო საფასე გაეხადა ეს დათმობა.

„პინჩიოზე გავისეირნოთ“, შესთავაზა დიკმა.
 დიკმა სამოსი და თმა გაისწორა, იყო მომენტი და ამ მომენტმა გაიარა.
 სამი წელიწადია დიკი იდეალი გამხდარიყო როზმერისათვის, იმით ზომავდა
 სხვა მამაკაცებს და რა გასაკვირია, რომ უკვე გმირივით იყო მისთვის და არ
 უნდოდა სხვა კაცებივით ყოფილიყო, არადა, აქაც მომთხონელობა და მოუთ-
 მენლობა, თითქოს უნდოდა მისთვის ცოტა რამ წაერთმია, ჯიბეში ჩაედო და
 თან წაეღო.

გაზონებს მიჰყვებოდნენ, ქერუბიშებსა და ფილოსოფოსებს, ფავნუსებსა
 და შადრევნებს შორის მიდიოდნენ; როზმერიმ მკლავში ჩაჰკიდა ხელი, ზედ
 მიეკრა დიკს და ცდილობდა, უფრო მოხერხებულად მიჰყოლოდა, თითქოს
 უნდოდა, უკუნისამდე ასე ევლო. სიარულისას პატარა რტო მოიწია და მო-
 ტება, მაგრამ რტოში არ იყო ის სიცოცხლე. უცებ სახეში შეხედა დიკს და ის
 დაინახა, რისი დანახვაც ძალიან სურდა. ხელთათმანიან ხელზე აკოცა და იმ-
 დენი უტრიალა ბავშვივით, სანამ დიკმა არ გაიღიმა, თვითონაც გაიცინა და
 ახლა კი უკვე კარგად იყო სუყველაფერი.

„არ შემიძლია ამ საღამოს თქვენთან ვიყო, ძვირფასო, დიდი ხანია შეე-
 პირდი ნაცნობებს. მაგრამ ადრე ადგომა თუ შეგიძლიათ, ხვალ კინოგადაღე-
 ბაზე წავიყვანთ“.

დიკმა მარტო ისაძილა ოტელში, ადრე დაწვა და შვიდისთვის უკვე როზ-
 მერის ელოდებოდა ვესტიბიულში. მანქანაში დიკის გვერდით იჯდა როზმერი,
 მბრწყინავი და ცვარივით კამკამა, დილის მზის შუქზე, წმინდა სებასტიანოს
 ჭიშკრის გავლით აპიუსის გზაზე გავიდნენ, ამ გზით კარგა ხანს მიდოდნენ,
 მანამდე, სანამ ფორუმის უზარმაზარი დეკორაცია არ დაინახეს, მართალ ფო-
 რუმზე უფრო დიდი. როზმერიმ დიკი ერთ მაღალ კაცს ჩააბარა, ამ კაცმა ბუ-
 ტაფორიული თალების, ამფითეატრის სკამებისა და ქვიშამოყრილი არენის სა-
 ნახავად წაიყვანა დიკი. როზმერის იმ სცენაში იღებდნენ, სადაც მოქმედება
 ქრისტიანი ტყვეების საპყრობილეში ხდება, გადაღების ადგილისკენ გაემარ-
 თნენ და ნიკოტერა, ახალი როდოლფო ვალენტინოს ერთ უამრავ ვარიანტთა-
 განი დაინახეს, „ტყვე“ ქალების წინ მოხდენილად პოზიორობდა. ეს ქალები
 ათამდე მაინც იქნებოდნენ, თვალ-წარბ-წამწამი მასკარათი შეეღებათ და მე-
 ლანქოლიური მზერა ჰქონდათ.

როზმერიმ მოიბრინა, მუხლებამდე ტუნიკი ეცვა.

„კარგად უყურეთ“, ჩურჩულით უთხრა დიკს. „მინდა, რომ თქვენი აზრი მითხრათ მერე. ვინც გასინჯვაზე იყო, ყველამ თქვა...“

„როგორ, გასინჯვაზე?“

„წინა დღით გადაღებულს როცა ნახავენ. ყველამ თქვა, პირველად არის, რომ რაღაც სექსუალური გამიჩნდა“.

„მე ამას ვერ ვამჩნევ“.

„თქვენ კი მაგრამ ასეა“.

თავის ლეოპარდის ტყავში გახვეული ნიკოტერა მზრუნველად გამოელაპარაკა როზმერის, ამასობაში იმათგან ცოტა მოშორებით გამნათებელი რაღაცაზე ეკამათებოდა რეჩისორს და თან იმის მხარსაც ეყრდნობოდა. ბოლოს რეჩისორმა გაბრაზებულმა მოიშორა მხრიდან გამნათებლის ხელი და ოფლიანი შუბლი მოიწმინდა, დიკის გიღმა კი თქვა: „ისევ უკბინა ბზიკმა და თანაც როგორ!“

„ვის?“ ჰკითხა დიკმა, მაგრამ სანამ პასუხს მიიღებდა, რეჩისორი მოვარდა მათთან.

„ვის უკბინა — თქვენ თვითონ გიკბინათ ალბათ ბზიკმა!“ მერე დიკს მიუტრიალდა გაცხარებული და აგზნებული — არიქა, ეს განსჯის თუ განსჯის, ჟიურიაო. „ხედავთ? დალევს თუ არა, ბზიკი უკბენს და ჰგონია, რომ სხვებსაც ყველას უკბინა ბზიკმა, და თანაც როგორ!“ გიღს კიდევ ერთხელ შეხედა მძვინვარედ და მერე ტაშით მიმართა ყველას: „კარგი, ადგილებზე, ვიწყებთ!“

დიკს ასე ეგონა, რომ დიდსა და არეულ ოჯახს ეწვია. ვიღაც აქტრისა მიუახლოვდა და ერთ ხუთ წუთს ელაპარაკა, ლონდონიდან ამას წინათ ჩამოსული მსახიობი ეგონა დიკი. როცა მიხვდა, შემეშალაო, შემცბარი ადგილიდან მოწყდა და გაიქცა. თითქმის ყველა, ვისაც კი გადაღებასთან ჰქონდა საქმე, ვარე სამყაროს ან ზევიდან ქვევით უყურებდნენ, ანდა ქვევიდან ზევით, უფრო მეტად ზევიდან ქვევით. მაგრამ ესენი ყველა გულმოდგინე და გამბედავი ადამიანები იყვნენ, თვალსაჩინო ადგილზე რომ წაწეულიყვნენ იმ ქვეყანაში, სადაც მთელი ათი წელია მხოლოდ გართობა სურდათ.

იღებდნენ მანამ, სანამ მზე ნისლით არ დაიბურა — შესანიშნავი განათება მხატვრებისათვის, მაგრამ კინოკამერისთვის — არა, კალიფორნიის გამჰვირვალე ჰაერს ვერ შეედრებოდა. ნიკოტერამ როზმერი მანქანამდე მიაცილა და გამომშვიდობებისას უურში რაღაც უთხრა, როზმერიმ შეხედა, ნახვამღისო, უთხრა, მაგრამ არ გაუღიმიო.

დიკი და როზმერი „კეისრის პალატებში“, საუცხოო რესტორანში წავიდნენ ლანჩზე. რესტორანი გორაკზე იყო, მაღალ ტერასაზე და ზევიდან გადმოჰყურებდა დეკადანსის გაურკვეველი ხანის ნანგრევებს ფორუმისა. როზმერიმ კოქტეილი და ცოტა ღვინო დალია, დიკმა კარგად დალია, ყოველ შემთხვევაში იმდენი, რომ ბუნდოვანი შეგრძნება თავისი თავით უკმაყოფილებისა გაუქრა. მერე ოტელში დაბრუნდნენ, ბედნიერები, ხალისიანები და რაღაც ნეტარი სიმშვიდით სავსე. როზმერის უნდოდა, რომ ერთად ყოფილიყვნენ და იყვნენ ერთად — და ბოლოს და ბოლოს დასრულდა ის, რაც ბავშვური გატაცებით დაიწყო პლაჟზე.



სალამოს როზმერი ისევ უნდა წასულიყო, კომპანიიდან ვილაციის კვანძების დღის აღსანიშნავ სადილზე იყო მიწვეული. ვესტიბიულში დიქმა კლინიკის კლუის შეხვდა, მარტო უნდოდა ესადილა და მოიგონა, ოტელ „ექსცელსიორში“ შელოდებიანო. მაგრამ კოლის კლუის ბარში კი შეჰყვა და კოქტეილის მერე თავისი თავით ბუნდოვანი უკმაყოფილება გამოიკვეთა — მოუთმენლობა. დროა დაბრუნდეს კლინიკაში, გამართლებას ვერ მოუძებნის უსაქმოდ ყოილს. აქ ჩამოსვლა იმდენად უფრო გატაცების გამო კი არა, უფრო მეტად რომანტიკული განსვენების ამბავი იყო. მისი სიყვარული ნიკოლია, მერე რა, რომ ხშირად უჭირს ნიკოლთან ყოფნა, მაინც ის არის დიკის ქალი. როზმერისთან დროს გატარება თავის თავისთვის შედავათის მიცემა იყო, კოლისთან დროის ტარება კი — არაფერზე ისევ არაფრის მიმატება.

„ექსცელსიორის“ შესასვლელთან ბები უორენს შეეჩეხა. ბები დიდი, ლამაზი თვალებით, სათამაშო მარმარილოებით რომ ჰქონდა, გაცეებითა და ცნობისმოყვარეობით მიაშტერდა.

„მე შეგონა, ამერიკაში იყავით, დიქ! ნიკოლიც თქვენთან ერთად არის?“

„ევროპაში ნეაპოლის გავლით დავბრუნდი“.

დიკის პიჯაკზე გლოვის ფერი შენიშნა და გაახსენდა: „ძალიან ვწუხვარ“.

სხვა გზა არ იყო, ერთად უნდა ესადილათ.

„მომბეთ ყველაფერი“, სთხოვა ბებიმ.

დიკმა, ასე თუ ისე, გააგებინა ბოლო თვეების ფაქტები და ბებიმ წარბები შეიკმუხნა, თავისი დის ცხოვრებაში კატასტროფისთვის ვინმესთვის უნდა დაედო ბრალი და ვილაციას უნდა ეხრუნა მასზე, ბები თვლიდა, რომ ახლაც ასე იყო საჭირო.

„თქვენ როგორ ფიქრობთ, დოქტორმა დომლერმა იმთავითვე სწორად წარმართა მისი მკურნალობა?“

„მკურნალობის მეთოდები საკმაოდ ერთფეროვანია. ცხადია, პაციენტის ხასიათსა და თვისებებსაცა აქვს მნიშვნელობა, პიროვნებას გააჩნია და ზოგჯერ სხვა მიდგომაცა ხდება საჭირო“.

„დიკ, მე ეს საქმე ისე არ ვიცი და რჩევას ვერ მოგცემთ, მაგრამ ნიკოლისთვის იქნებ კარგიც კი იყოს გარემოს შეცვლა, რომ კლინიკის ატმოსფეროდან შორს იცხოვროს, ისე, როგორც სხვა ხალხი ცხოვრობს?“

„მაგრამ თქვენ თვითონ ძალიან მომხრე იყავით კლინიკისა“, გაახსენა დიკმა, „ნიკოლის დარდი აღარ შექნებაო, ამბობდით...“

„ეს იმიტომ, რომ განდეგილივით ცხოვრობდით მაშინ რივიერაზე, სადღაც მთებში ჩაკარგულები, ხალხისაგან შორს. არ მინდა ისევ იქაურობას დაუბრუნდეთ, ამას კი არ ვგულისხმობ. რატომ არ შეიძლება, ვთქვათ, ლონდონში წახვიდეთ? ინგლისელები ყველაზე მშვიდი ხალხია ქვეყანაზე“.

„არა, ასე არ არის“, არ დაეთანხმა დიკი.

„ასეა, მე საკმაოდ კარგად ვიცნობ მათ. იქირავებდით სახლს ლონდონში, გაზაფხულზე; ერთი ძალიან კარგი სახლი ვიცი უკვე, ტალბოტ-სკვერზე, ავეჯით ჭირავდება. იცხოვრებდით იქ საღად მოაზროვნე და დინჯ ინგლისელებთან ერთად“.

ბები კარგა ხანს არ დაანებებდა თავს ამ 1914 წლის ძველ პროპაგანდას, მაგრამ დიკმა სიცილით შეაწყვეტინა:

„ამას წინათ ვკითხულობდი მაიკლ არლენის ერთ ზრმანს ჭა-ჩუ ეს...“
ბებიმ სალათის კოვზის ერთი მოქნევით გაანადგურა მაიკლ არლენი.

„ეგ მხოლოდ ვილაც კრეტიანებზე წერს. მე ღირსეულ ინგლისელებზე ვლაპარაკობ“.

მაგრამ ბებისგან ასე უარყოფილი მეგობრების ადგილი დიკის გონებაში იმ უსახო და უგულისყურო უცხოელებმა დაიკავეს, რომლებითაც სავსეა ხოლმე ევროპის პატარა ოტელები.

„რა თქმა უნდა, ეს ჩემი საქმე არ არის“, ისევ დაიწყო ბებიმ, ახალი შეტევისტვის ემზადებოდა. „მაგრამ ასეთ ვითარებაში მისი მარტო დატოვება...“

„ამერიკაში იმიტომ წავედი, რომ მამა მომიკვდა“.

„გასაგებია, მე უკვე გითხარით, რომ ძალიან ვწუხვარ“, ბროლის ყელსაბამს აწვალებდა. „მაგრამ ახლა უფრო ბევრი ფული გვაქვს, ყველაფერს ეყოფა, და ისედაც, ჯერ ნიკოლის მორჩენაზე უნდა ვიფიქროთ“.

„ჯერ ერთი, ვერ წარმომიდგენია, რა უნდა გავაკეთო ლონდონში“.

„როგორ, რა? მე ვფიქრობ, რასაც აქამდე კლინიკაში აკეთებდით, იქაც იგივეს გააკეთებთ“.

დიკი უკან გადაიწია, სკამის ზურგს მიეყრდნო და ყურადღებით შეხედა. თუ ბების ოდესმე გუმანით უგრძვნია მართალი მიზეზი ნიკოლის ავადმყოფობისა, მაინც უთუოდ მოიშორებდა ამ სიმართლეს და მტვრიან განჯინაში შეაგდებდა, იმ ნახატივით, როცა მიმხვდარა, რომ შეცდა და არ უნდა ეყიდა იგი.

საუბარი „ულპიაში“, ღვინის კასრებით სავსე სარდაფში გაგრძელდა: კოლის კლეიც იქ იყო, იმათ მაგიდასთან მოვიდა და დაჯდა. გიტარის ხმა, მისი კვნესა და უღერა ისმოდა, „Suona fanfara mia“¹, შთაგონებით უკრავდა ახალგაზრდა გიტარისტი.

„იქნებ მე შესაფერისი ქმარი არა ვარ ნიკოლისთვის“, თქვა დიკმა, „მაგრამ მაინც ჩემისთანა ვინმეს გაჰყვებოდა, ისეთ კაცს, ვისაც ბოლომდე დაენდობოდა“.

„თქვენ ფიქრობთ, რომ სხვა ქმართან უფრო ბედნიერი იქნებოდა?“ ბებიმ უცებ ხმამაღლა თქვა თავისი ფიქრი. „შეიძლება, ვცადოთ“.

დიკი კინალამ სიცილისაგან ჩაბეირდა და მაშინლა მიხვდა ბები თავისი სიტყვების უაზრობას.

„ო, სწორად გამიგეთ, თუ შეიძლება“, სწრაფად უთხრა მან, „არ იფიქროთ, თითქოს მადლიერები არ ვიყოთ იმის, რაც გააკეთეთ. ისიც ვიცით, რომ ბევრ-ჯერ თქვენთვის ძნელი ყოფილა...“

„ღვთის გულისათვის, არ გინდათ, ბები!“ წამოიძახა დიკმა. „მე რომ ნიკოლი არ მყვარებოდა, სხვა საქმეა“.

„მაგრამ, ხომ გიყვართ ნიკოლი?“ შეშფოთებით ჰკითხა მან.

კოლისს ახლა აშკარად სურდა საუბარში ჩარეულიყო და დიკმა სწრაფად შეცვალა თემა.

„სხვა რამეზე ვილაპარაკოთ“, თქვა მან. „თუნდაც თქვენზე. რატომ არ

¹ „იღერე, ჩემო ფანფარა“ (იტალ.).



თხოვდებით? გავიგეთ, ლორდ პელიზე არისო დანიშნული, იმის შვილი....“

„ო, არა“. უცებ მორცხვი და გაუბედავი გახდა ბები. „ეს შაგრაამ მაინც, რატომ არ თხოვდებით?“ არ ეშვებოდა დიკს. „თვითონ არ ვიცი. ერთი, რომელიც მე მიყვარდა, ომში მოკლეს, მეორეს მე არ ვუნდოდი“.

„კარგად მითხარით ყველაფერი, ბები. მე ძალიან ცოტა რამ ვიცი თქვენზე — თქვენს შეხედულებებზე, პირად ცხოვრებაზე. თქვენ მე არაფერს მეუბნებით. მხოლოდ ნიკოლზე ვსაუბრობთ ხოლმე“.

„ინგლისელები იყვნენ, ერთიც და მეორეც. მე ვფიქრობ, ჯიშთან ინგლისელებზე კარგი ხალხი მთელ ქვეყანაზე არ მოიძებნება. ყოველ შემთხვევაში, მე არ შემიძვედრია. ის კაცი — ო, არა გრძელი ამბავია, არ მიყვარს გრძელი ამბები, მოსაწყენია, არა?“

„მერე როგორ!“ თქვა კოლისმა.

„რატომ, ძალიანაც საინტერესოა, თუ კარგი ამბავია და კარგად ყვებიან“.

„ამას კარგად თქვენ თუ ახერხებთ, დიკ. თქვენ შეგიძლიათ მიიქციოთ ყველას ყურადღება, როცა ხალხში ხართ, ერთი ფრაზით, ან თუნდაც, ერთი სიტყვით, ამისთვის სხვა ნიჭია საჭირო, შესანიშნავი ნიჭი“.

„არა, მარიფათის ამბავია“, გაიღიმა დიკმა. ამ საღამოს ეს უკვე მესამედ არ დაეთანხმა ბების რაღაცაში.

„ცხადია, მიყვარს, როცა იციან ფორმის ფასი, მიყვარს რომ ყველაფერი რიგზე და ფართო მასშტაბით იყოს. თქვენ შეიძლება სხვა კაცი ხართ, დიკ, მაგრამ ის უნდა აღიაროთ, რომ ამით მე უფრო მყარად ვდგავარ“.

დიკს ცოტა კიდევაც დაეზარა შეკამათებულა ამაზე.

„დიახ, ვიცი, რომ ამბობენ, ბები უორენი ევროპას უვლის, ყველა სიახლეს მისდევს და ცხოვრებაში რაც მთავარია, იმას კარგავსო. მე კი სხვა აზრისა ვარ. მე იმ მცირე ჯგუფს უფრო ვეკუთვნი, სწორედაც მთავარს რომ არ კარგავენ; ჩვენი დროის ყველაზე საინტერესო ადამიანებს შევხვედრივარ“. გიტარისტმა ისევ დაიწყო დაკვრა და ბების ხმას ფარავდა. „მე იშვიათად დამიშვია დიდი შეცდომა....“

„...მხოლოდ ძალიან დიდი შეცდომა, ბები“.

დიკის გამოხედვაში რაღაცა დაიჭირა, ირონიას ჰგავდა და სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი. აშკარა იყო, არ შეეძლოთ, — ერთი აზრი ვერ ექნებოდათ. მაგრამ რაღაც ხიბლავდა დიკს ბებიში და სანამ ორთავე, „ექსცელსიორში“ მივიდოდნენ, ქათინაურებით აავსო და ცოტა კიდევაც შეცბა ბები.

მეორე დღეს როზმერიმ ლანჩზე თვითონ ისურვა მასპინძლობა. დიკი პატარა ტრატორიაში წაიყვანა, ერთ იტალიელს ეკუთვნოდა, დიდხანს რომ ეცხოვრა და ემუშავა ამერიკაში და იქ ერბოკვერცხი, შაშხი და ვაფლი მიირთვეს. მერე ოტელში დაბრუნდნენ. დიკის აღმოჩენამ, რომ არც თვითონ უყვარდა როზმერი და არც როზმერის უყვარდა იგი, არ შეასუსტა, პირიქით, უფრო გაუძლიერა თავისი ვნება. ახლა, რაკი იცოდა, რომ თვითონ დიდი ხნით არ შეიჭრებოდა მის ცხოვრებაში, უცხო ქალივით სურდა იგი. ეტყობა, ბევრი მამაკაცი, როცა, მიყვარსო, ამბობს ხოლმე, მხოლოდ ამას გულისხმობს და არა სულის შმაგ ჩაღრმავებას, უთვალავ ფერთა ერთ და უცნობელ ფერში რიალს—

ასეთი იყო მაშინ იმისი სიყვარული ნიკოლის მიმართ. ახლაც ფიზიკურ ტკივილს აყენებდა გაფიქრებას კი, რომ შეიძლება ნიკოლი დაძაბადარიყო, ან გონება დაეკარგა, ან სხვა კაცი შეჰყვარებოდა.

ნიკოტერა იჯდა როზმერის ოთახში და პროფესიულ უფროსებს უსაქარაკობდნენ. როცა ბოლოს როზმერიმ გადაკვრით უთხრა, რომ მისი წასვლის დრო იყო, სასერიო პროტესტით დაემორჩილა და დაშვიდობებისას საკმაოდ თავხედურად ჩაუკრა თვალი დიკს. ახლაც კიდევ ტელეფონის რეკვა ატყდა, როზმერი კარგა ათ წუთს მაინც ლაპარაკობდა და დიკს მოთმინება დაეკარგა.

„ჩემთან წავიდეთ, ჯობია“, თქვა მან, როზმერი დაეთანხმა.

დიდ, განიერ ტახტზე იწვა, თავი დიკის მუხლებზე ედო; დიკი როზმერის თმას ეფერებოდა.

„შეიძლება კიდევ ერთი შეკითხვა მოგცეთ?“ ჰკითხა მან.

„რა გაინტერესებთ?“

„კაცებზე, რომლებიც თქვენ გიყვარდათ. უბრალო ცნობისმოყვარე ვარ— გულისტქმას აყოლილი ცნობისმოყვარე-მეთქი — ამას არ ვიტყვი“.

„თქვენ გინდათ იცოდეთ, რა იყო ჩემს ცხოვრებაში თქვენთან შეხვედრის მერე?“

„ან, მანამდე“.

„ო, არა“, წამოიძახა როზმერიმ. „მანამდე არ ყოფილა, თქვენ იყავით პირველი კაცი, ვინც რაღაცას ნიშნავდა ჩემთვის. თქვენ ახლაც ერთადერთი ხართ, ვინც მართლა რაღაცას ნიშნავს ჩემთვის“. გაჩუმდა და ჩაფიქრდა. „იმ გაზაფხულის მერე მთელი წელიწადი არავის დანახვა არ მინდოდა“.

„მერე? ვინ იყო?“

„მერე იყო ერთი კაცი“.

დიკმა ისარგებლა იმით, რომ ბოლომდე არ თქვა.

„გინდათ, მე გეტყვით, როგორც იყო: პირველი საქმიდან არაფერი გამოვიდა და იმის მერე — ხანგრძლივი პაუზა; მეორეზე უკეთესად წავიდა საქმე, მაგრამ ის კაცი თქვენ არ შეგყვარებიათ, მესამე — მეტი რომ აღარ შეიძლება, ისე კარგად...“

თავის თავს აწამებდა, მაგრამ ვეღარ ჩერდებოდა.

„მერე გქონდათ ერთი ხანგრძლივი სიყვარული, რომელიც ამოიწურა და მაშინ კიდევაც შეგეშინდათ, რომ აღარაფერი დაგრჩებოდათ იმ კაცისთვის, ვისაც საბოლოოდ შეიყვარებდით“. თანდათან უფრო ვიქტორიანელი ხდებოდა. „იმის მერე რამდენიმე ეპიზოდური ამბავი, და ასე გაგრძელდა ამ ბოლო დრომდე. როგორია, ახლთა სიმართლესთან?“

როზმერი იცინოდა. სიცილსაცა ჰგავდა და ტირილსაც.

„სულაც არა, ოდნავაც არა“, თქვა და დიკმა უნებლიეთ შვება იგრძნო. „მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მე მართლა შემიყვარდება და ვინც შემიყვარდება, არასოდეს გავუშვებ მერე“.

ამ დროს დიკის ტელეფონმა დარეკა და ნიკოტერას ხმამ როზმერი იკითხა. დიკმა ხელისგული დააფარა მიკროფონს.

„გინდათ ელაპარაკოთ?“

როზმერი მივიდა ტელეფონთან და იმისთანა იტალიურს მოჰყვა, ისე სწრაფად, რომ დიკმა ჯერაფერი გაიგო.

„ტელეფონი ბევრ დროს გართმევთ“, თქვა მან. „უკვე ოთხია, ხუთზე კი

საქმიანი პაემანი მაქვს. იქნებ ჯობია თქვენ წახვიდეთ სენიორ ნიკოტერასთან?"

„სისულელებს ლაპარაკობთ“.

„მაშინ, სანამ აქა ვარ, მე მგონია, შეიძლებოდა გადაგეღოთ ნიკოტერასთან“.

„ეს არც ისე იოლია“, უცებ ტირილი წასკდა. „დიკ, მე თქვენ მიყვარხართ, მხოლოდ თქვენ, მეტი არავინ. მაგრამ რა გაქვთ თქვენ ჩემთვის?“

„რა აქვს ნიკოტერას ვინმესთვის, ვინც გინდა იყოს?“

„ეს სულ სხვა საქმეა“.

— იმიტომ, რომ ახალგაზრდაა და ახალგაზრდის ძახილი ესმის.

„ვიღაც იტალიელი!“ თქვა დიკმა. ეჭვიანობისაგან ხელდებოდა, აღარ უნდოდა ისევ ტყვილი.

„ბავშვია მხოლოდ“, — თან სლუკუნებდა, ისე ამბობდა როზმერი. „თვითონვე იცით, რომ თქვენი უფრო ვარ“.

ცოტა დაწყნარდა, წელზე მოხვია ხელი, მაგრამ როზმერი დაღლილად უკან გადაიხარა და წუთით ასე, თითქოსდა ადაჯიოს დამამთავრებელ პოზაში გაჩერდა, თვალები დაეხუჭა, თმები წყლიდან ამოყვანილი გოგოსავით ეყარა მხრებზე.

„გამიშვით, დიკ, სუყველაფერი ამერია, ჩემს სიცოცხლეში თავი ასე არ ამრევია“.

საზარელფრთება ეღალ ფრინველს ჰგავდა და როზმერი უნებლიეთ გაიწია განზე. ეჭვიანობით შეშინებული, უსამართლო ეჭვიანობით, ნამქერივით რომ მიეყარა გულისხმიერ სიტყვებს და აღერსს, რომელსაც ისე მიჩვეოდა.

„მინდა სიმართლე ვიცოდე“, თქვა დიკმა.

„სიმართლე ის არის, რომ ხშირად ერთად ვართ, სურს ჩემი ცოლად შერთვა, მაგრამ მე უარს ვეუბნები. მერედა, რა? როგორ გგონიათ, რა უნდა ვქნა? თქვენი აზრით, უკეთესია, კოლის კლეისთანა შტერებს ვეთამაშო და ასე გავატარო ცხოვრება?“

„გუშინ საღამოს ნიკოტერასთან იყავით?“

„ეს თქვენ არ გეხებათ“, ისევ ტირილი წასკდა. „ო, არა, დიკ, მაპატიეთ. ეს თქვენ გეხებათ. თქვენ და დედა ყველაზე ახლობელი და ძვირფასები ხართ ჩემთვის მთელ ქვეყანაზე“.

„ნიკოტერა?“

„მე თვითონ არ ვიცი“.

თავის არიდების იმ ზღვარს მიაღწია, როცა ყველაზე უბრალო სიტყვაც კი უკვე ფარულ აზრს იძენს.

„ჩემდამი უკვე აღარა გრძნობთ იმას, რასაც პარიზში გრძნობდით?“

„როცა თქვენთან ვარ, მშვიდადა ვარ და მიხარია. მაგრამ პარიზში სულ სხვა იყო. ან, იქნებ ასე მეჩვენება, ძნელია თქვა ამდენი ხნის მერე — ხომ ასეა?“

დიკი ადგა, კარადასთან მივიდა და საღამოს სამოსი შეარჩია — რაკი ქვეყნის სიძულვილი და შხამი შეუშვა თავის გულში, როზმერი ვეღარ ეყვარებოდა.

„ნიკოტერა ახლა არაფერ შუაშია!“ წამოიძახა როზმერიმ. „ხვალ მთელ ჯგუფთან ერთად ლივორნოში უნდა წავიდე. თქ, რად მოხდა ასე!“ ისევ ღვარად

წასკდა ცრემლები. „რა გული მტკივა ნეტავი აქ არ მოსულიყავით, ნეტავი ისევ კარგ მოგონებად დარჩენილიყო ყველაფერი. ისე მძიმედ მაწევს/რაღაცა, ასე მგონია, დედას ვეჩხუბე“.

დიკმა ჩაცმა დაიწყო. როზმერი წამოდგა და კართან მზუნდა.

„მე ამ საღამოს აღარ წავალ“. ეს უკანასკნელი ცდა იყო. „თქვენთან დავრჩები. არ მინდა წასვლა“.

ტალღად მოაწვა ისევ ახალი მღელვარება დიკს, მაგრამ თავი შეიმაგრა, რომ არ აპყოლოდა.

„ოთახში ვიქნები“, თქვა როზმერიმ. „ნახვამდის, დიკ“.

„ნახვამდის“.

„ო, რა გული მტკივა, დასანანია, რა დასანანი, რა არის ეს, მაინც რა არის?“

„დიდი ხანია მინდა გავიგო და ვერ გამიგია“.

„მერე, რად უნდა მოსულიყავით ამით ჩემთან?“

„ვხვდები, რომ შავი სიკვდილივითა ვარ“, ნელა თქვა დიკმა. „აღარავისთვის აღარ მომაქვს ბედნიერება“.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



გერმანულიდან

თარგმნა იორამ ქაშირტელიძემ

სული

ვინ მეძახოდა?

ფაუსტი (შემობრუნდება)
რასა გავს, ღმერთო!

სული

რიხით მიხმობდი სამუსაიფოდ,
შემიწორიალე მთელი საუფლო,
და აი, აქ ვარ...

ფაუსტი

ო, მზარავ ერთობ!..

სული

შენ არ მიხმობდი დიდის ამბით და დაყინებით,
რომ გაგეგონა ხმა ჩემი და გეხილე სახით!
დავყევი მეც ამ უსაშველო ხვეწნას და ძახილს
და აი, აქ ვარ! შენ კი ამ დროს შიშით იღევი
თითქმის ზეკაცი!

ბობოქარი რა იქნა სული?

ქვეყნის დატევას რომ ლამობდა, რა იქნა გული?
აღტკინებული — აღტაცებით და ნეტარებით —
ტკბებოდო, რადგან გახდი სწორი ჩემიანების...
სად ხარ, ფაუსტო! ხმა რომლისაც მომეყურადა,
მთელი არსებით რომ ილტვოდი ჩემკენ გულადად?..
ნუთუ ეს შენ ხარ! — ჩემი სუნთქვით, ჩემი ჩურჩულით

შიშს რომ შეუძრავს გულის ყველა კუთხე-კუნჭული? —
ჰია უმწეო — სიმხდალისგან მთლად დაკრუნჩხული!



ფ ა უ ს ტ ი

სულს ცეცხლისავ, ნუ გგონივარ მართლად —
მე ვარ ფაუსტი! — ტოლი შენი და თანაბარი..

ს უ ლ ი

სიცოცხლის მორევში და შექმნის წიაღში
ავდივარ, ჩავდივარ,
ვარ ბრუნვა-ტრიალში...
შექმნა და გაქრობა —
ზღვა მარადიული,
ცვალებად-მუდმივი
სიცოცხლე მზიური...
და ბრუნავს ასე დროის ჯარა, არა აქვს მოცლა,
და მის ბრუნვაში ვქსოვ ღვთაების სამოსელს ცოცხალს...

ფ ა უ ს ტ ი

შენ ხარ სამყაროს ვინც მოიცავ ყოველი არსით!
როგორ ახლო ვარ, სულს, შენთან, გამრიგევ ყოვლის!..

ს უ ლ ი

ვისაც ჩასწვდები, შენ იმ სულის იქნები მსგავსი
და არა ჩემი! (ქრება)

ფ ა უ ს ტ ი (შეძრწუნებული)

არა შენი?!
ვიღასი მაშინ?
მე — ხატი ღმერთის —
ნუთუ შენიც არა ვარ ტოლი!
(ისმის კაკუნს)
ჩემი მოწაფე! აგერ დგას კართან!
აი ესაა, თუ გინდა ჭირი! —
ამ უსისხლხორცო წიგნების მატლმა
უნდა წამგვაროს ჩილვები ტკბილი!..
(შემოდის ვაგნერი ღამის ხალათითა და ჩაჩით, ხელთ ლამპარი
უპყრია. ფაუსტი უკმაყოფილოდ არიდებს სახეს)

ვ ა გ ნ ე რ ი

გთხოვთ, მაპატიოთ, ძილში ჩამესმა —
რალაც მონოლოგს კითხულობდით ფრანგულ დრამიდან.
ძალიან მინდა, დავეუფლო ასეთ რამესაც,
რადგან ეს საქმე დღეს წინ წავიდა,
თურმე — რა ვიცი, მოუმართოს სუყველას ხელი, —

ზოგ მსახიობთან ამ საქმეში ვერ მოვა მღვდელიც!..



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფ ა უ ს ტ ი

ღიაბ, თუ ამ მღვდელს მსახიობის ბურავს მანტია,
რაც დღესდღეობით არცთუ ისე იშვიათია.

ვ ა გ ნ ე რ ი

ეჰ, რა გამოვა დღენიადაგ სახლში ჯდომისგან,
ხანდახან, ისიც უქმეებზე, თუ გახვალ გარეთ;
ჭოგრიტით უჭვრეტ ქვეყნის კიდეს ამ სიშორიდან
და სიტყვაც შენი არ სცილდება ამ სახლის კარებს.

ფ ა უ ს ტ ი

თუ არრასა გრძნობთ, ვერც რას ეწევით!
სიტყვა ნათქვამი, როგორც მეწყერი,
სულს უნდა მოსწყდეს, რათა სიამით
აავსოს გული ადამიანის.
თქვენ კი რა, ზიხართ და აკოწიწებთ
ნაკუწ-ნარჩენებს — ნაყართ და ვერანთ,
სხვათა ნასუფრალს ჰკიდებთ ბოწკინტზე
და სულს უბერავთ მინავლულ კერას.
ამეებით კი გახსოვდეთ მუდამ,
მხოლოდ ბავშვს, ყვეყნს, მოუკლავთ წყურვილს;
მაგრამ გული კი ვერ მივა გულთან,
თუ თვით გულიდან არ მოდის თქმული.

ვ ა გ ნ ე რ ი


მთქმელისთვის მაინც თქმაა მთავარი,
უნდა ამკობდეს სიტყვას ჯავარი...

ფ ა უ ს ტ ი

თუ პატიოსნად ეძიებ სახელს,
ეყვანებმულიც არა ხარ ბრიყვი!
სიტყვის თქმას, აზრი თუ არი საღი,
არ უნდა ტვინის ჭყლეტა და მჯილი.
კარგი სათქმელი თუ გაქვს რაიმე,
რად ეძებ სიტყვებს ნაირ-ნაირებს!
და დათაფლული ეგ შენი ენა,
თავგზას რომ ურევს ადამიანებს, —
სულ ამოა, — ვით ქარის სტვენა,
გამხმარ ფოთლებში რომ დარიალებს.

ვ ა გ ნ ე რ ი

ეჰ, ხელოვნება დღეგრძელი არის,
ჩვენი სიცოცხლე კი დღემოკლეა!

რომ დავფიქრდები, მიბყრობს ხოლმე დარდი და ჯავრი, —
 სულ ამათა ყველა ცდა და ძალის მოკრება...
 ჯერ იმ ბილიკის უნდა გეპყრას ხელში სადავე,
 რომელიც სიბრძნის წყარომდე მიდის,
 მერე, საწყალმა, შუა გზამდე თუ მიატანე,
 წამოგეწევა სადღაცოდან სიკვდილი ფლიდი...


ფ ა უ ს ტ ი

პერგამენტებში ნუ ეძიებ იმ წმინდა წყაროს,
 ერთი ყლუპით რომ მოგიკლავს წყურვილს;
 თუ ამით გინდა სულს უღბინო, ტყუილად წვალობ! —
 ეს წყარო გახლავს შენივე სული!

ვ ა გ ნ ე რ ი

ბოდნიში, მაგრამ განა არ გვგვრის სიამეს წიგნი,
 ოდეს უამთა სულს ჩავწვდებით და ჩავფურცლავთ გვერდებს!
 როს ვტკბებით ჩვენი წინაპრების ცხოველი სიბრძნით,
 და როს ვხედავ, თუ ვით ავმალდით ჩვენ იმათ შემდეგ!

ფ ა უ ს ტ ი

და მერე როგორ, — ვარსკვლავებს ვწვდებით!
 ეპ, მეგობარო, წარსულის წლები
 ცხრაკლიტულში ძევს, ვით სიბრძნის წიგნი;
 რასაც უამთა სულს უწოდებს ზოგი,
 მისივე სულია! და სულის შიგნით
 აღბეჭდილია მისივე დრო თავისი წყობით.
 რომ წარმოიდგენ მათ წესს და რიგს, და ფუსფუსს ამდენს,
 გული გიკვდება, გინდა მოწყდე, — გაიქცე სადმე!
 აღელვებთ ბედი, კიდევ კარგი, ქვეყნის, ღირსების...
 მაგრამ ირგვლივ კი სანაგვეა, ვაი და ვიში;
 და პრაგმატული ლაი-ლაი, ზუსტად ისეთი,
 თეატრში ბამბის თოჯინებს რომ ტენიან პირში.

ვ ა გ ნ ე რ ი

მაგრამ ქვეყანა? ანდა ხალხი? მადლი და ცოდვა?
 ამისი ცოდნაც აუგია და საძრახველი?

ფ ა უ ს ტ ი

კარგია, მაგრამ რას ჰქვია ცოდნა!
 ვინ მოუძებნა ჩვილს ნამდვილი მისი სახელი?
 თითო-ოროლა, ვინც რაიმეს ამ მხრივ ეწია,
 და გაბედულად გადაუხსნა მეორეს გული, —
 მოეპრიანა ვინმე ქეციანს —
 ჯვარს აცვეს, დაწვეს, — ამოხადეს წამებით სული!..

გთხოვთ, მეგობარო, მაპატიოთ როგორც მეგობარს, —
შუალამეა უკვე, გვეყოფა..



ვაგნერი

ექვ. დილამდეც არ დავიძინებდი
და ასე თქვენთან საუბარში გავტეხდი ღამეს...
ჩველ უქმე დღეა და მივლოვარ იმის იმედით, —
ერთ-ორ კითხვაზე რომ შეტყვით რამეს.
წუთით არ მაძლევს მოსვენებას სწავლის სურვილი,
თუმც ბევრი ვიცი, ყოვლისცოდნის მახრჩობს წყურვილი...
(გაღის)

ფაუსტი (მარტო)

ამ გლახას მართლა რაიმესი თუ აქვს იმედი!
ხარახურაში იქექება, რაც თავი მახსოვს...
გაფაციცებით და კანკალით განძეულს ეძებს
და წვიმის მატლებს რომ პოულობს, ის უხარია.

როგორ გაბედა ან ასეთ დროს შემოსვლა ჩემთან,
როცა სულელები მეხვია ირგვლივ!
მაგრამ მე შენი მადლობელიც კი ვარ ერთთავად,
კაცო — კაცთაგან უბადრუკზე უბადრუკესო!
შენ გამომგლიჯე უსაშველო სასოწარკვეთას,
ლამის გონება რომ წამართვა თვალდახელშუა!
ო, რა დიადი სახილველი იყო ჩვენება!
იმის წინ უცებ ქონდრისკაცი მეგონა თავი!
მე — ხატი ღვთისა, აგერ, ა, ახლა
მარადიული სინამდვილის სარკის წინ ვიდექ —
განათებული ციურ სხივით და სიანკარით!..
უნდა მომეხსნა მიწიერი უკვე სამოსი,
ქერუბიმებზე უზენაესს, მერჩოდა ძალა,
სამყაროს ძარღვებს რომ ჩავდვროდი ნაკადულეზად
და შექმნის ღვთიურ ნეტარებით რომ დავმტკბარიყავ!
ნაცვლად ამისა, რა მივიღე! — სუყოველივე
დავლუბე ერთი როყიო სიტყვით!

არა, მე შენი არა ვარ ტოლი!
დიდის წველებით გამოხშობით კი გამოგიხმე,
მაგრამ არ მეყო მაინც ძალა, — ვერ დაგაკავე!..
იმ სანეტარო ორიოდე წამს
ვიყავ პატარაც, დამცრობილი, ვიყავი დიდიც;
და ვადამტყორცნე ისევ უღმობლად
ამ უთავბოლო, უკაცრიელ სააქაოში!
ვიღას რა ვკითხო? საით წავიდე?
ვირწმუნო ჩემი გულისძგერის? თუ არ ვირწმუნო?

ეს, ჩვენივე საქმით და საქციელით
ვბორკავთ ჩვენივე ცხოვრების სრბოლას!



უმშვენიერესს, რასაც ჩვენი შეჭხარის სუფთა
ვერ ითმენს, როგორც უცხო რამეს, ჩვენი სხეული.
და თუ ვეწიეთ ამქვეყნიურ რამე სიკეთეს,
ვოცნებობთ უფრო უკეთესზე და თავს ვიტყუებთ!
და ვწირება მიწიერ ფუსფუსს
მაკოცხლებელი დიდებული გრძნობები ჩვენი!

გაშლის თუ არა ნეტარებით ფრთებს ფანტაზია,
მარადიულის, უკვდავების იმედით სავსე, —
მყის ვიწროვდება ცა საფრენი... და იმედებიც
ერთიმეორის მიყოლებით იმსხვრევა ყველა.
გულში კი უცებ საზრუნავი ჩნდება ათასი
და გვგვრის იღუმალ სევდას და ტკივილს,
გვიკარგავს ძილსა და მოსვენებას...
და გვიღიტიანებს შენიღბული ნაირნაირად —
აქეთ სახლ-კარი, ეზო, ბაღი, ცოლი და შვილი,
იქით — თუ წყალი თუ მეწყერი, ცეცხლი და რკინა...
თრთი მის წინაშე, რაც არასდროს არ გემუქრება,
და ტირი მისთვის, რაც არასდროს არ დაგიკარგავს!

არა, არა ვარ ღმერთთა ტოლი! მოვეგე ჭკუას! —
მატლი ვარ მხოლოდ, ნაგავში რომ დაძრომილობს
და მტვერს რომ ყლაპავს, საცოდავად ამოგანგლული,
ვინმე გამვლელი რომ დაადგამს ფეხს და გასრისავს!

თუ არა მტვერი, მაშ რაა ირგვლივ —
ეს ახორხლილი უამრავი უჯრა და თარო,
ათასნაირი ჩრჩილიანი ძველმანით სავსე?
ნუთუ რაცა მსურს, რასაც ვეძებ — აქ უნდა ვპოვო?
ნუთუ იმისთვის უნდა ვქექო ამდენი წიგნი,
რომ მივხვდე: ყველგან იტანჯება ერთთავად ყველა?
რომ... იქნებ ვინმე ბედნიერსაც წავაწყდე ვინმეს?
შე საცოდავო თავის ქალავ, რას იკრიჭები!
იქნება მითხრა, რომ ოდესღაც შენი პატრონიც
ბნელში ეძებდა ჩემსავით ნათელს —
გაწბილებული სინამდვილის ხილვის ლოდინით...
თქვენაც დამცინით, ჩემო ძველო იარაღებო,
თვლებო, ლილეგებო, კბილანებო და ჭანჭიკებო!
ზედ კართან ვიდექი და თქვენ უნდა გაგელოთ იგი!
მაგრამ ამაოდ, დაკეტილი დარჩა კვლავ კარი!
დღისითაც — მზისით, ნათელი რომ იღვრება ირგვლივ,
ბუნებას ჩვენთვის საიდუმლო ბურავს შანტია

და თუ თვითონ არ მოიხსნა იგი,

ვერ ახლი ვერა იარაღით — სატეხ-მატეხით...

ოი, ძველმანო ხარახურავ, რა თავში გიხლით!

გინახავთ, როგორც მამის ნაქონ ნივთებს და საგნებს,

თქვენც, ეტრატებო — გაქვარტლულეზო

სულ დღენიადაგ მხრჩოლავ ლამპრის მურით და ბოლით...

ეს წვრილმანობა თავის დროზე რომ გამეფლანგა,

ის ჯობდა, ვიდრე წვრილმანებზე მეღვარა თფლი.

რა დაგრჩა მამის, რასაც იყენებ?

რასაც იყენებ, ესე იგი, გჭირდება კიდევ!

რაც არ გჭირდება, ის ზედმეტი ბარგია უკვე,

გამოგადგება მხოლოდ იგი, რასაც შობს წამი!

სალამი შენდა, ჩემო ფიალავ!

ხელში აგიღებ მოწიწებით და მოკრძალებით,

შენშია თურმე ყველაფერი — ჭკუაც და აზრიც,

შენ ხარ მომგვრელი ნეტარი თვლემის,

წყარო ყოველთა მაკვდინებელ დიდებულ ძალთა...

მაშ შენს ოსტატსაც მოუბოძე წყალობა შენი!

როცა გიყურებ, მიაბდება წყლული ყოველი,

ხელში რომ გიღებ, მინელდება ეინი ცხოველი,

ცხრება თანდათან სული ზვირთად აბორგებული

და მზად ვარ უკვე გადავეშვა უძირო ზღვაში...

აჰა, ჩემს ფერხთით ელავს სარკე — ზღვის ზედაპირი

და დღე ახალი, და ახალი ბრწყინავს ნაპირი!..

ჰა, ცეცხლოვანი გამოჩნდა ეტლი!

აჰა, მომადგა! და მზად ვარ უკვე

გავკვეთო სივრცე ახალ-ახალ უვალი გზებით

და მოვიხილო სამყარონი ახალ-ახალი...

ო, ნეტარებავ, მართლა ღვთიურო!

შენ, მატლი, ნუთუ ღირსი ხარ ამის?

მორჩა! გათავდა! დასთმე ეს მიწა

და შეაქციე ყველაფერს ზურგი!

და გაარღვიე ამ ჭურღმულის დახშული კარი,

ყველა რომ უვლის გვერდს, შიშისგან გაოგნებული,

და დაამტკიცე საქმით საქვეყნოდ,

რომ ღვთის სიმაღლეს უტოლდება კაცის ღირსება!

რომ ვერ აშინებს მას უკუნი შავი ჭურღმულიც,

სად : ჩამკვდარა და ჩანავლულა თვით ფანტაზიაც!..

მაშ წინ, რომ გასცდე ამ ვიწრო სოროს,

თუნდ ირგვლივ მთელი ჯოჯობეთი ენთოს და დუღდეს!

უნდა გადადგა გაბედული ნაბიჯი მტკიცე,

რაც უნდა მოხდეს, თუნდაც გშთანთქოს არარაობამ!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ ჩემო წმინდა ბროლის ფიალავ,
 ემაგ თაროდან ჩამოგდგამ დაბლა!
 თურმე რამდენმა დრომ გაიარა, —
 მამაპაპისას შვენოდი ტაბლას;
 ახალისებდი მოწყენილ სტუმრებს,
 იდგა ყიჟინა — ბოლომდე! შესვი!
 ჰა, გამოცალე!.. და ასე თურმე
 გადადიოდი ხელიდან ხელში.
 როგორც ნახელავს, გაქებდა ყველა..
 ო, მახსოვს ის დროც, ბავშვობის დღენი!
 ღმერთი და რჯული, როდი მინდა ვინმესი წყენა,
 მაგრამ არვისთვის მემეტებო, რომ დატკბნენ შენით...
 ნექტარით, ჩემივ ნახელავით, აგავსე ახლა,
 მუქლურჯი სითხით, მთელ სხეულს რომ ბანგივით უვლის!
 და სავსე თასი მიჭირავს მაღლა, —
 ვსევავ სადღეგრძელოს, უკანასკნელს, სულით და გულით, —
 სალამი ზეიმს, განთიადის შუქი რომ ახლავს!..
 (შიიტანს ფიალას პირთან, ისმის ზარების რეკვა და გუნდის გალობა)



ანგელოსთა გუნდი

ქრისტე აღსდგა მკვდრეთით!
 გიზაროდენ ცოდვილნო!
 მიწის ლუკმად შობილნო,
 სიკვდილითა პყრობილნო,
 ცით გფარავდეთ ღმერთი!

ჯაუსტი

ეს რა ციური ჰანგებია, ასე რომ შემკრა
 და ვერაფრით ვერ მივიტანე პირთან ფიალა!
 აჰა! — აღდგომა დილა გვამცნო ზარების რეკვამ...
 ამ სიმღერამ კი იმედიანმა —
 ოდესღაც ერთხელ, დაკრძალვის ღამით
 ანგელოსებმა რომ იმღერეს ნუგეშიანად —
 რწმენა შთამბერა ახალი ჟამის...

ქალთა გუნდი

ნელსაცხებელით
 განვბანეთ იგი
 და მოვასვენეთ
 წესით და რიგით,
 წავხურეთ ნარმა,
 დავუღვით კვარი,
 ჭკუაზე არ ვართ, —
 სადღაა მკვდარი!

ანგელოსთა გუნდი
 ქრისტე აღსდგა მკვდრეთით!
 ბნელეთიდან მოვლინდა!
 კეთილითა ყოვლითა,
 წყალობითა ცხოვლითა
 შეგეწევათ ღმერთი!



შაუსტი

ო, ზეციერო ჰანგებო ტკბილო!
 რისთვის მოძვრებით ამ ნაგავში, მტვერში და ჭირში!
 სხვას უფალობეთ... ჩემს მოხიბვლას ტყუილად ცდილობთ,
 მესმის რას ამბობთ, მაგრამ რწმენა არა მაქვს მისი...
 რა ვქნა, — არა მწამს, არა მჯერა ნათქვამი თქვენი,
 და სასწაულიც — არ არსებობს თვინიერ რწმენის!

არც შემიძლია, არც იმისი ძალა მაქვს თურმე —
 ციურ სამყაროს შევემსჭვალო გონების თვალი;
 მაგრამ ეს ხმები, ბავშვობიდან რომ ესმის ყურებს,
 უკან მამბრუნებს იდუმალ ძალით —
 დიდშაბათ ღამით, ციურ ამბოჯის
 ნეტარებით რომ მევსებოდა სული და ხორცი,
 როს რეკდნენ ზარნი საარაკონი,
 და როს ვტკბებოდი მხურვალე ლოცვით...
 შემოვირბენდი გაოგნებით, ვითარცა ხელი,
 ტყე-ღრე იყო თუ ღელე იყო, მდელი თუ კორდი:
 თვალთაგან სჩქეფდა ნეტარების მდულარე ცრემლი
 და სულში ახალ სამყაროს ვგრძნობდი...
 ო, ამ სიმღერამ იმ დღეებთან მიმატრიალა!
 იმ სიხარულმა, სიყმაწვილის გულისფრიალმა
 ჟრუანტელივით დამიარა ტანში მთლიანად...
 და უკან ვიხევ, ძირს ვდგამ ფიალას!
 ჰანგო ციურო, მოეფინე ქვეყნიერებას!
 ვარ მიწიერი ისევ კაცი, — ცრემლი მერევა!..

მოციქულთა გუნდი

აღსდგა და განახლდა
 მკვდრეთით, ვით ზღაპრიდან,
 და ზეცად ამალდა
 მოსილი ნათლითა.
 აგი იქ უფალთან
 იშეუებს კეთილად,
 ჩვენ კი აქ ვწუხვართ და
 წელში გავწყვეტილვართ,
 გვტანჯავს უმოწყალო
 გვემა და კვნესა!

მოვტირით, მოძღვარო,
სუფევას შენსას!



ან გ ე ლ ო ს თ ა გ უ ნ დ ი
ქრისტე აღსდგა მკვდრეთით,
ისევ ქვეყნად მოვლინდა,
შეგაწევათ ღმერთი
შეწევნითა ყოვლითა!
მისთვის მქადაგებულნო,
თავის გამომდებელნო,
ერთად წამხემსებელნო,
მისო მადიდებელნო
და სამოთხის მძებნელო —
ტანმთელი და ცოცხალი
თქვენთანაა მოძღვარი!

კარიბჭესთან

(სხვადასხვა ქურის მოსერივნეი გადიან ქალაქიდან)

რ ა მ დ ე ნ ი შ ე შ ე გ ი რ დ ი
რა ხდება, საით გაგიწევიათ?

ს ხ ვ ე ბ ი

აგერ იქ, ძირს რომ მწვანე ხეცია!

პ ი რ ვ ე ლ ნ ი

ჩვენ წისქვილებზე ვაპირებთ ჩასვლას!

ე რ თ-ე რ თ ი შ ე გ ი რ დ ი

ქობია, დაბლა ჩავიდეთ ტბასთან!

მ ე ო რ ე

შორია, თანაც არ ვარგა ჰავა...

მ ე ო რ ე ნ ე

შენ საით მიხვალ?

მ ე ს ა მ ე

სითაც სხვა წავა...

მ ე ო თ ხ ე

ბურგდორფისაკენ! არ უნდა დავა! —

ლამაზი ქალი და ლუდი ცივი,

თან დიდებული ზედ მუშტი-კრივი...

მეხუთე

კაი ვინმე ხარ, მოგეცა ლხენა! —
 ზურგი აგქავდა და გისწრებს ენა...
 შენ როგორც ვინდა, მე, ძმაო — ვერა!..



მოახლე გოგო

არა! მე უნდა გაებრუნდე უკან!

მეორე მოახლე გოგო

ჰო, ახლა ის ხომ ცაცხვებში გველის!

პირველი მოახლე გოგო

მერე მე რაში გჭირდები, ძუკნავ,
 იგი ხომ მუდამ ერთობა შენით, —
 თქვენ ცეკვავეთ, ხარობთ, — იცინით, მღერით
 და მე, სულელი, ვზეიმობ თქვენით...

მეორე მოახლე გოგო

დღეს ის ცაცხვებში არ მოვა ერთი,
 მითხრა, — გრუზა ბიჭს მოიყვანს შენთვის!

სტუდენტი

როგორ ნარნარად და საყვარლად მიაბიჯებენ!
 მოდით, რას შევებით, გავყვეთ გვერდით! აბა, ბიჭებო!
 მაგარჩი ლუდი, მწარე წეკო — მომგვრელი რეტის
 და ზედ ასეთი კაი გოგო, — რა გინდა მეტი!

ქალაქელი გოგონა

ამ ბიჭუკელებს უყურეთ ერთი!
 ვაი სირცხვილო და თავის მოჭრავ! —
 ქალბატონები აგერ ყავთ გვერდით
 და მოახლეებს მისდევენ... ყოჩაღ!

მეორე სტუდენტი (პირველს)

მოიცა! უკან მოდიან ორნი,
 რა დიდებულად აცვიათ, ნახე!
 მეზობელია ის ერთი, მგონი...
 ნამდვილად იმას მიუგავს სახე!
 თვითონ მოვლიან... ჩვენ ვიყოთ ჩვენთვის!.. —
 დაჯუკრავთ თავს და გავყვებით გვერდით..

პირველი სტუდენტი

არა, ძმობილო, როდი ვარ მორცხვი!
 მომყევი, თორემ დავკარგეთ უკვე!..

ვინც შაბათობით სახლსა ჰგვის ცოცხით,
გვაამებს კვირას ყველაზე უკეთ.



მოქალაქე

არა, არ მომწონს ეს ახალი ქალაქის თვეები
თანდათანობით გადიდებულა, და რა გამოდის
არღარა არის გარჩევანი თეთრის და შავის
და უკან მიდის საქმეები თანდათანობით.
უნდა უქნიათ თავი უხმოდ, უმორჩილესად,
და ასე უხმოდ ემატება ქირა ბინებსაც.

მათხოვარი

ბალხნო კეთილი — ქალნო და კაცნო,
თუ სიბრალული იცით ოდნავი, —
მოიღეთ ჩემდა წყალობა საძმო
და გამიკითხეთ მე საცოდავი.
ვის უნდა ჩემი ყეფა ამდენი,
ნეტარ არიან უხვად გამცემნი;
თქვენი ზეიმის დღე დღევანდელი
დღე იყოს ჩემი კუჭის გავსების!

მეორე მოქალაქე

არა მიყვარს რა არაფერი ამქვეყნად ისე,
უქმეებზე რომ დაჯდები და ომზე საუბრობ,
როცა შორს, სადღაც — თურქეთს თუ მისრეთს —
ერთიმეორეს ხოცვა-ჟლეტით ჰგლეჯენ საუფლოს.
დგახარ სარკმელთან, წრუბავ სასმელს თხელი ფიალით,
ძირს ჭრელ-ჭრელ გემებს აუვისიათ მდინარის უბე...
მერე საღამოს შინ ბრუნდები ხალისიანი,
და გიხარია, რომ ამქვეყნად მშვიდობა სუფევს.

მესამე მოქალაქე

სწორი ხართ! ღმერთმა თქვენ გაგახაროთ!
დაე იმტვირონ თავები სხვებმა!
მთლად დაქცეულა მთელი სამყარო,
ოღონდ შინ გვქონდეს, როგორც გვაქვს, შვება!

დედაბერი (ქალაქელ გოგონას)
რა კარგები ხართ, რა ლამაზები!
ვის არ მოხიბლავთ თქვენი მშვეხებით!
ოღონდ ნამეტანს ნუ ინაზებით, —
თქვენნაირების მე ვარ მშველელი!

ქალაქელი გოგონა

წამო, აგათა, ერთდე მაგ ქალს,
ხმის ამოღებაც კი არ გაბედო! —

თუმცა კი ერთხელ, არ ვიცი რა ვქნა, —
მართლა მაჩვენა ჩემი საბედო.

მეორე ქალაქელი გოგონა

მეც: — ჯარისკაცი დამანახა ბროლის ჭიქაში!
სწორედ ეს იყო, კარგად მახსოვს, ეს ჯადოქარი!
მას აქეთია არ მინახავს ის ჯარისკაცი!
ყველგან დავეძებ, მაგრამ თვალი ვერსად მოვკარი!



ჯარისკაცები

ციხე-ქონგურები
ცას მიბჯენილები,
წიფე გოგოები
ცხვირაპრეხილები —
ჩვენ გვემორჩილებით!
ჯილდოა მამაცის
დავლა და ლამაზი!..

ქვეყანას ვედებით
ნალარით, ბუკებით;
ან სულ ავშენდებით,
ან დავიღუპებით, —
გახსენით კედლები,
დაგვნებდით უკლებლივ!..
მამაცის ჯილდოა
დავლა და ლამაზი,
ამიტომ მივდივართ
ბრძოლაში თამაშით!..

ფაუსტი და ვაგნერი

ფაუსტი

კარზე მომდგარი გაზაფხულის საამო სუნთქვით
ვატყდა ყინული, რუ დაიძრა და მიწა გალბა...
ამწვანდა მდელი და ფუთფუთი იგრძნობა ფუტკრის,
დაოსებული ზამთარი კუტი
ველარ ჩამოდის მთებიდან დაბლა.
იქლა აქვს ბინა სასომიხდილს და ლამაზობით
წვრილ, ხორხოშელა ჭირხლს უგზავნის მინდვრებს მთებიდან,
მაგრამ თენდება ნელანელა და მზე ამდღის
და ყოველივეს ორთქლად აქცევს მცხუნვარებითა..
და ყველაფერი აღდგომისთვის გამზადებულა,
კვირტებს ქუთუთო დაჰბერვიათ — სიმძიმით დახრილთ,
ჯერ ველ-მინდორი ყვავილით არ აქრელებულა, —
სამაგიეროდ აქრელდა ხალხით.

გახედე, თვალი შიამყარ წამით
ქალაქის ბნელსა და მაღალ კარებს! —
დაცარიელდა ქალაქი ლამის,
გამოფენილა ჭრელი ბრბო გარეთ;
დღევანდელი დღით ტკობა სურს ყველას
ქრისტეს აღდგომას ზეიმობენ... მოგეცათ
ვითომ თვითონაც აღსდგებიან მკვდრეთიდან ზენად!...
და მოძვრებიან ქოხებიდან, მიწურებიდან,
მყრალ ქარხნებიდან, ფარლალა ფიცრულებიდან,
თუ სხვენებიდან, თუ ათასგვარ სხვა ხვრელებიდან,
თუ საყდრებიდან, ალაპიდან, გასვენებიდან,
პირდაპირ სანთელ-საკმევილიდან — წირვა-ლოცვიდან,
ზედ ქუჩის ჯგლეთა-გნიასიდან და ხორხოციდან,
რომ ბუნებაში დაივანონ სულით, ხორცითა...

აგერ გახედე! — ყველა იქ არი,
ბრბოს დაუფარავს ირგვლივ მთა-ველი,
მთელი მდინარე, სიგრძე-სიგანით,
გადაჭედილა ჭრელი ნავებით.
ხედავ ბოლო ნავს? რა დაზეინულა!
მოიზლაზნება რა გაჭირვებით!
აჰა, სულ ხალხით ამოპირულა
მთის ბილიკებიც და გზაწვრილებიც;
ყველას ერთი აქვს გრძნობა-წადილი,
და ნეტარება ჩამდგარა სოფლად...
აი სამოთხე მართლა ნამდვილი!
აქ ვარ მე კაცი, აქ მმართვეს ყოფნა!

ვ ა გ ნ ე რ ი

ბატონო ჩემო, უზომოდ გმადლობთ, —
თქვენ გვერდით რომ ვარ, ვარ ამაყი და ბედნიერი!
რა მომიყვანდა აბა აქ მარტო,
ჭირივითა მძულს მე ამათი ტლანქი იერი, —
ეს ღრიანცელი, ხტუნვა-როკვა და ტაშ-ფანდურა
მხოლოდ მოთქმია და უწესო უადათობა!

ცოფიანივით მძვინვარების ზღვაში ჩანთქმულან
და უწოდებენ მას სიმღერას, ცეკვა-გართობას!..

გ ლ ე ხ ე ბ ი

(ცაყვავენ და მღეროან ცაცხვის ქვეშ)
მწყემსი ბიჭუნა გვეწვია,
ერთი უყურეთ პეწიანს! —
მხარზე კომბალი გაიდვა,
წრე გაარღვია კაბუკმა, —

ფეხისწვერებზე ჩაბუქნა...
 ეღერს ვიოლინო, — ჰაიდა!
 ჰაიდა, ბიჭო, ჰაიდა!



წრე გაარღვია ჭაბუკმა,
 ზედ გოგოს ცხვირწინ ჩაბუქნა
 და ცეკვა-ცეკვით წავიდა...
 გოგო, ნუ მორცხვობ, ნუ ხამობ,
 ბიჭო, თავხედი ნუ ხარო...
 ჰაიდა, ჰეი, ჰაიდა!
 „ბიჭო, თავხედი ნუ ხარო!“

ხელი ჩაკიდა ჭაბუკმა,
 კვლავ ჩაბუქნა და ჩაბუქნა, —
 გოგოს, რა ექნა, გავიდა...
 სხეულმა იგრძნო სხეული
 ჩაკრული და ჩახვეული!
 ჰაიდა, ბიჭო, ჰაიდა!
 ეღერს ვიოლინო, — ჰაიდა!

„ბიჭო, მომეშვი!“ — ჭაბუკმა
 ისევ და ისევ ჩაბუქნა,
 წრიდან ნელ-ნელა გავიდა...
 გოგონაც თან გაიყოლა, —
 იყო და არა იყო რა!
 ჰაიდა, ბიჭო, ჰაიდა!
 ეღერს ვიოლინო, — ჰაიდა!

მ ო ხ უ ც ი გ ლ ე ხ ი

თქვენ გაგახარათ ღმერთმა, ბატონო,
 ტანმრთელობა და სიცოცხლე თქვენი,
 რომ ჩვენ მდაბიურ ღზინს არ თაკილობთ
 კაცი ნასწავლი და ბრძენზე ბრძენი.
 მოგვირთმევია სავსე სასმისი,
 შიგ ჩვენებური ღვინოა ძველი,
 შესვით, გაამოთ! გულს მოგინახავთ!
 თან გაისველეთ პატარა ყელი...
 რამდენი წვეთიც ამ თასში იყოს,
 შეგმატებოდეთ იმდენი წელი!

ფ ა უ ხ ტ ი

ნუ დაგილიოთ ღვინო და პური!
 მადლობას გიძღვნით სულით და გულით...
 (ხალხი ჭგუფ-ჭგუფად იკრიბება მის გარშემო)



მ ო ხ უ ც ი გ ლ ე ხ ი

ჩვენი ამ ლხინის გაზიარებით
 ყველა უზომოდ კმაყოფილია,
 მაგრამ ლხინი რა მოსატანია,
 სულ ჩვენთანა ხართ, როცა ქირია.
 თუ მამაშენი არ ყოფილიყო,
 სად იქნებოდა ჩვენი ხსენება! —
 ბევრს ან ქოლერა გადაგვიტანდა,
 ან შავი ქირი მოგვინებდა.
 თქვენ რა იყავით, ჯერ სულ ყმაწვილი,
 და რა სენი არ მოგიჩვენიათ!
 ხალხი თქვენ ხელში იხოცებოდა,
 თქვენ ფრჩხილიც კი არ წამოღებოდათ, —
 ნიადაგ ისე ზრუნავდით ჩვენთვის, —
 მფარველს მფარველი გფარავდათ ღმერთი!...

უ ვ ე ლ ა ნ ი

ღმერთო, გვიცოცხლე ეს კაცი ბრძენი,
 რომ არ მოგვაკლდეს მაგისი ხელი!

ფ ა უ ს ტ ი

თაყვანი ეციოთ იქ, მალლა, ზენარს,
 იგი გვმოძღვრავს რა გვიგზავნის შველას!
 (მიღის ვაგნერთან ერთად)

ვ ა გ ნ ე რ ი

ღიადო კაცო, რაღა გრძნობთ ნეტავ,
 როს ოვაციო გიმადლიან ღვაწლსა და გარჯას!
 ბედნიერია, ანც გონებას და გულის ფეთქვას
 სასიკეთოდ და სამადლოდ ხარჯავს!
 შენ ირგვლივ ხალხის ირევა ჯარი,
 შეწყდა ცეკვა და დადუმდა ქნარი!
 და ხალხის რიგში მიაბიჯებ ნაბიჯით წყნარით.
 შენზე უთითებს მამა ჩვილ შვილს — ხელში აყვანილს,
 ქულებს ისვრიან ცაში ყაყანიო,

ლამის მუხლამდე ხრიან თავებს,
 რომ გცენ თაყვანი!..

ფ ა უ ს ტ ი

ცოტა კიდევ და, აგერ იმ ქვაზე
 ჩამოვისვენოთ, წავიდოდეთ ვიდრემდის შინაც...
 რამდენჯერ ვმჯდარვარ აქ მარტოკა, ფიქრებით სავსე,
 ლოცვად და აჯად და მეოხად უფლისა მიმართ.
 და რა იმედით, როგორი რწმენით,



ხელაპყრობილი, ვითარცა მწირი,
 შევთხოვდი უფალს ოხვრით და ცრემლით,
 რომ აეცდინა ქვეყნისთვის ჭირი.
 აი ამ წუთში რომ ვუსმენ ამათ,
 მეჩვენება, რომ დამცინიან დაუფარავად!
 რადგან არც შვილი და არცა მამა,
 არც ერთი ქების ღირსი არა ვართ!
 ახირებული კაცი იყო მამა საწყალი!
 რათა როგორმე ჩასწვდომოდა ძალებს იდუმალთ —
 უკირკიტებდა ბეჯითად და გულისფანცქალით,
 რაც მართლა სწამდა პატიოსნად და რაინდულად;
 უჭდა მაგიდას მთელ ღღეს ქურასთან,
 შიგნიდან ედო კარებზე რაზა,
 ამას ხარშავდა, იმას წურავდა
 და ამზადებდა საეჭვო ნაზავს.
 აი წითელი დათვიყურა — კუშტი საქმარო
 და სადედოფლო — ნაზო ზამბახი!
 მინის კოლბაში შეგიძლია ერთად ჩაჰყარო, —
 შეუღლდებიან თუბთუბ-ფახფახით.
 და დედოფალი ცხელი შუშიდან
 ქაფქაფა ცრემლით მოთქვამს და ტირის;
 აი წამალიც! და მას გემო ვინც გაუსინჯა,
 ყველამ უკლებლივ მოგჭამათ ჭირი!
 ეს წუმპე-მუმპე ნელა-ნელა, და თან უღმობლად, —
 თუ ფიალებით, თუ კოვზებით და თუ თასებით —
 შავი ჭირივით დაერია აქაურობას,
 მარტო თვითონ მე — დახოცილი მყავს ათასები!
 და როგორ გინდა აიტანო ცოდვა და მადლი, —
 მაქებენ! და შენ თავგასული მკვლელი ხარ მათი!

გაგრძელება იქნება



რომანი

ესტონურიდან თარგმნა აშირან კალაძემ

1.

„დღეს კარგი დღე იყო...“ — ჩავწერე ჩემს ყავისფერყდიან საერთო რვეულში.

დღიან, კარგი დღე იყო. ჩემს სანახავად არავინ არ მოსულა... აგნესის სამშობიაროში წაყვანა ნასადილევს შემატყობინეს. თუმცა რაღა შეტყობინება მინდოდა, რაკი სანახავად არ მოვიდა, მიზეზიც ეგ უნდა ყოფილიყო. მშობიარობა უმძიმესი რამაა!.. ამიტომ ორ კვირაზე აღრე ცოლის ნახვა ალბათ არ მომიწევს.

გასულ სამშაბათს აგნესმა თითქმის სამი საათი დაჰყო ჩემთან. ძალიან დიდი მუცელი ჰქონდა. მძიმედ სუნთქავდა, წამდაუწუმ ოფლიანდებოდა. მისი მშვენიერი მუქი თმა, რომელშიც სულ რაღაც სამი მეოთხედი წლის წინ ვნებიანად დავაცურებდი თითებს, ახლა ცხიმმორეული და გაუხეშებული მეჩვენებოდა. პარკში ვისხედით. სწორედ იმ ვერხვის ძირში, რომელიც რაღაცნაირ მომწარო სურნელს აფრქვევდა და ყოველ წუთს ჩემს კიბოს მახსენებდა. ერთთავად საზარდულის ქავილიც რომ ამიტყდა! არადა, მოსეირნე ხალხის თვალწინ ხომ არ დავიწყებდი ქექვას! ყველაზე ძნელი კი მაინც ის იყო, რომ ენაგაუჩერებლად უნდა მელაქლაქა და ისეთი სახეც მქონოდა, აგნესს რომ მოუვიდოდა თვალში.

ბოლო დღეებში აგნესს პირდაპირ დასკდომაზე ჰქონდა ძუძუები, რაც გაოფლილ და დავიწროებულ კოფთაში კიდევ უფრო თვალშისაცემი ხდებოდა, როგორც კი ჩემი მზერა დაიჭირა, თავი მორცხვად დახარა და ხელის ოდნავი მოჭერისთანავე მოთეთრო სითხე გადმომდისო, მიჩურჩულა.

— ბიჭის საკმელი უკვე მზადაა! — ამაყად წარმოთქვა აგნესმა და ახლა იმის გაგებას ლამობდა, რამდენად ნასიამოვნები დავრჩი მე ამ განცხადებით...

უხერხულად შევიშმუშნე, რადგან სწორედ ამ დროს იაანიკამ ჩაგვიარა და ჩვენკენ მოიხედა. ძალიან კარგია-მეთქი, ნირწამხდარი ავლულლულდი. რამხელა ბედნიერებაა, რაღაცას მაინც რომ დატოვებ ამ ქვეყანაზე-მეთქი, ესეც

დავუმატე. აგნესს ჩემი პასუხი თითქოს მოეწონა, თუმცა იქვე შეეცადა და-
კრწმუნებინე, რომ სიკვდილზე ფიქრის უფლება საერთოდ არა მაქვს, რომ
დღითიღე უკეთ გამოვიყურები და ა. შ.

მალე შენს სანახავად ორივე ერთად მოვალთო, შემომლიმა აგნესს მცოდნე
რე ხნის შემდეგ. უსაზღვრო ბედნიერების მოლოდინი გამოსჭვივებდა მისი სხეულს
ლებში. განსაკუთრებით „ორივეს“ წარმოთქმისას გადაურბინა სახეზე ღვთა-
ებრივმა ნათელმა... და სწორედ მაშინ იყო, გარიყულად რომ წარმოვიდგინე
თავი. არადა, როცა ქალები მსგავს სიტყვებს წარმოთქვამენ და თანაც აი ასე
შემოგცქერიან, სხვა რაღა დაგრჩენია კაცს, თუ არა ის, რომ თავი მიუსაფრად
და ეულად წარმოიდგინო. მართლაცდა, რას უნდა წარმოადგენდეს საბრალო
კაცი მადონას თვალთა წინარე! იქნებ ამიტომაცაა, რომ ანტიკვარულ სუ-
რათებში მადონას მხერა ყოველთვის შორეულ სივრცეშია მიქცეული... სად-
ღაც იქით, სადაც პარალელური ხაზებიც კი გადაკვეთენ ერთმანეთს... ხოლო
მის მწყაზარ სახეს მამაკაცის მიმართ გულგრილი უთანაზიარობის ისეთი ბე-
ჭელი აზის, რომ სულიწმინდისაგან დაორსულების შესაძლებლობასაც ადვილად
იწმუნებ კაცი. აგნესიც ასეთი თვალებით შემომცქეროდა, უფრო სწორად,
სადაც შორს, ჩემს თავზემთ იყურებოდა და ამის გამო თუ იყო, რომ ტანში
ცივი ურუანტელი მივლიდა.

დღეს ნამდვილად შესანიშნავი დღე იყო. მხოლოდ ერთხელ მქონდა გუ-
ლისრევა... საღამო ხანს კი სასეირნოდაც განვეწყვე და პარკის ბოლომდე, ანუ
საბოსტნე კვლებამდე ჩავედი. აქ, სასუქის გროვაზე წამოკოტრილებული
უხარმაზარი გოგრა მეგულეობდა...

ლურსმნების ძველ ყუთზე ვიჯექი და პარკში ჩამოწოლილ დუმბილს ვა-
ყურადებდი. მსუყედ და ნოტიოდ ჩამავებულ სასუქს ისეთი ტკბილ-მწარე ოხ-
შივარი ასდიოდა, რომელიც არათუ მალიზიანებდა — პირიქით, სასიამოვნო-
დაც კი მაბრუებდა. მიწის სურნელი დალოცოს ღმერთმა! კი, რა თქმა უნდა,
არიან ისეთებიც, კრემაციას რომ ირჩევენ, მაგრამ მე იმათ რიცხვს არ ვე-
კუთვნი... ჯერ ერთი, დათანხმდე დაგწვან, ეს იმას ნიშნავს, გვერდი აუარო
რაღაც მთავარს!.. ესეც არ იყოს, განა შეურაცხმყოფელი არაა, როდესაც იცი,
რომ ფერფლის სრული ინდიფერენტობა შემწვარ-მოხრაკულის ყველა სტა-
დიის გავლით მიიღწევა!

ლურსმნების ყუთზე ჯდომისას თავში ფრიად საინტერესო აზრები მომდი-
ოდა. მაგალითად, სასუქზე მხართემოზე წამოწოლილ გოგრის თვალთვალში აღ-
მოვაჩინე, რომ გოგრაშიც შეიძლება იყოს მადონასეული ნეტარი სიმშვიდე.
ეს დარბაისლურად მოყვითალო და სტოიკური გოგრაც ხომ მთლიანად საკუ-
თარ თავშია დანთქმული... იქვე, სასუქის გროვაზე ბაიას ბუჩქიც იზრდებო-
და, მაგრამ ასეთ ნოყიერ ნიადაგზე, რატომღაც მთლიანად დაჩრავებულიყო.
ნამდვილად ვირთხების ბრალი იქნებოდა. გემრიელი სასუსნავის ძებნაში თუ
გამოუთხარეს ფესვები საბრალო ბაიას! მართალია, მისი ყვავილები გოგრაზე
უფრო ყვითლად დაღანებდნენ, მაგრამ უცნაურიც სწორედ ის იყო, რომ გოგ-
რას უფრო თავდაჯერებულად ყვითელი ფერი ჰქონდა. ბაიას წყალწყალა —
ყვითელი ყვავილები კი ნაძალადეგად თავსმოხვეულს ჰგავდნენ... და მე სრუ-
ლიად მოულოდნელად გამახსენდა იმბი! ჩემი ბავშვობის მეგობარი, მოუქნე-
ლი, თხუბნია, წვირიანი იმბი, ფრჩხილებს რომ ერთთავად კბილებით იკვნეტ-
და... საბრალო იმბი ხომ ყოველ კლასში ორჯერ რჩებოდა, ხოლო სასკოლო

ცეკვებზე სულ მუდამ კედელზე იყო აწებებული... სამაგიეროდ, თხუთმეტი წლისაც არ იყო, ლუდხანების ახლომახლო რომ დაიწყო წაწალი... ახლა მგონი იმასაც მივხვდი, რატომ უკავშირებენ ყვითელ ფერს უზნეობას!..

ამ მოულოდნელმა აღმოჩენამ დიდი სიამოვნება მომგვარა. ამ შემთხვევაში ჩემო, საავადმყოფოში მოხვედრამდე ამისთანა რამეებზე არასოდეს მიფიქრია!

აი, ასე ვიჯექი ლურსმნების ძველ ყუთზე და ბაიას ბიწიერ შეფერილობაზე ვფიქრობდი. ახლა იმასაც ვხვდებოდი, რომ ყველაფერი ეს: ბაია, გოგრა, სასუქი და სხვ. მთლიანობაში ქმნიან ერთ ფერად კომპოზიციას... — სხვათაშორის, ამ მხატვრულ კომპოზიციაში მშვენიერად იკითხებოდა მაძრად-წითელი ჩამავალი მზეც, რომელიც ეს წუთია მკრთალად ელაციცებოდა ჩაშავებული სასუქის გროვას... ყველაფერში სიცოცხლის ცხოველმყოფელი ძალა იგრძნობოდა.

მაგრამ აი, მზე ჩაესვენა და ბაიამაც მორცხვად დახარა თავი. შორეულმა ხმებმა უფრო გამოკვეთილად შემოაღწიეს ფიცრულ ლობეში. მეგარმონე რომელიღაც რუსულ მელოდიას აჭყლობინებდა. ეს, რა თქმა უნდა, რკინიგზის მიწაყრილთან მოკალათებული კაცები იყვნენ, რომლებიც სადამოობით ლუდის საწრუპავად იკრიბებოდნენ აქ. საიდანაც ბურთის ტყაპატყუპი და მოსახვევში ტრამვაის ღრჭიალი მოისმოდა. ახლა ჯაბახანა ტრამვაი და ჩემი თანამოქალაქენიც წარმოვიდგინე. აი, ისინი თავიანთი სახლებისაკენ მიიჩქარიან... ხელჩანთებში რძის ბოთლები და ფარშიანი ხორცი უწყვიათ... სადამოს გაზეთებში თავჩარგულნი მოსახვევში აღრჭიალებულ ტრამვაიში სხედან და მსოფლიოში მომხდარ ამბებს ეცნობიან.

საგრძნობლად აცივდა.

წამოვდექი და საავადმყოფოსაკენ მიმავალ ბილიკს დავადექი. ბილიკი მუხლამდე წამობიბინებულ ჭინჭარში გადიოდა, ამიტომ ფრთხილად უნდა მევლო. სხვებთან შედარებით, ჭინჭარი ყოველთვის მეტისმეტად ცივ მცენარედ მეჩვენებოდა. არადა, რომ გეკითხათ, რატომო — ვერაფერს გიპასუხებდით. ახლა მხოლოდ იმასღა ვცდილობდი, ფეხები არ დამესუსხა. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს საზიზღარი ჭინჭარი საავადმყოფოს თხელ შარვალშიც გაატანდა.

წამით შევჩერდი. ხეივნის ბოლოში უზარმაზარი, თეთრი სვეტებით დამშვენებული ჩვენი საავადმყოფოს შენობა ჩანდა. რამდენიმე პალატაში უკვე აენტოთ შუქი. სამზარეულოდან ჭურჭლის წკარუნი ისმოდა. ჩვენი საავადმყოფო დღეს უფრო შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. სწორედ რომ სიზმარში ნანახ ზღაპრულ ნაგებობას ჰგავდა. უკანასკნელ გაჩერებასაც მაგონებდა რაღაცით... დიდხანს ვიდექი და თეთრსვეტებიან საავადმყოფოს შიშნარევი გულაჩუყებით მივჩერებოდი... ეს ვეებერთელა ნაგებობა ახლა ჩემი სახლი იყო.

2.

სავადმყოფოს კიბეზე სწორედ ის კაცი შემეჩეხა, რომელსაც დღემდე ვერ გამიგია, ლეო ჰქვია თუ ლეოპოლდი, თუმცა ჩემთვის, გუნებაში კარგა ხანია ლეოპოლდად მყავს მონათლული. ლეოპოლდს ცალ ხელში სახატავი ქალღაღადები, ხოლო მეორეში საღებავების კოლოფი და ცარიელი ქილა ეჭირა. ლეოპოლდი თვითნასწავლი მხატვარია (რა სულელური გამოთქმაა, არა?) მთელ

დღეებს აკვარელით ხატვაში ატარებს. ახლაც ხატვისაგან არაქათგამოცლილი ჩანდა. რაიმე ახალ მოტივს მიაგენით თუ ისევ ძველ ადგილზე ვარჯიშობთ-მეთქი, ვკითხე ლეოპოლდს. ამ კითხვით იმიტომ მივმართე, რათა მის მიერ აკვიატებული საცხედრის ნაცვლად როგორმე სასუქის გროვით დამგინტერესებინა. ხატვის ნიჭი არ დამყვა, თორემ მე თვითონ დავხატავდო. იმასვე ვხატავდიო, უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა სიტყვა „ვარჯიშით“ აშკარად გაღიზიანებულმა ლეოპოლდმა.

საავადმყოფოში, რა თქმა უნდა, ყველამ ვიცით, რომ არავითარი კიბო ლეოპოლდს არა აქვს. თვითონ კი, მაინც პირიქითაა დარწმუნებული და ალბათ ვერც ვერაფერს გადაარწმუნებს. ეჭიმებს, მაგალითად, ვერ წარმოუდგენიათ, რომ მათი ავადმყოფები ოპერაციაზე გაყვანის წინ საათს ინიშნავენ. ვთქვათ, ოპერაციამ გასტანა ერთ, ორ ანდა სულაც სამ საათს, ეს იმას ნიშნავს, რომ ეჭიმებმა რაღაც გააკეთეს: ე. ი. გამოჯანმრთელების იმედი უნდა ვიქონიოთ. ლეოპოლდის ოპერაცია ორმოცდახუთ წუთზე დიდხანს არ გაგრძელებულა. ჩვენ, რასაკვირველია, ვიცით, რომ ასე სწრაფად მხოლოდ იმ შემთხვევაში მთავრდება ოპერაცია, როცა კიბოს ამოკვეთა პრაქტიკულად შეუძლებელია... ანდა მაშინ, როცა საერთოდ არაა მისი ნასახი ორგანიზმში. სამწუხაროდ, მეორე ვარიანტი თითქმის გამორიცხებულია, რადგან ათიდან ცხრა შემთხვევაში ნაირ-ნაირი გასტრო-ცისტო-სკოპიები საკმაოდ ზუსტ პასუხს იძლევიან. მართალია ლეოპოლდს ბედმა გაუღიმა და უმნიშვნელო შეხორცებების მეტი არაფერი აღმოაჩნდა, თავისაზე მაინც ჭიუტად დგას და საიქიოში წამსვლელთა ნომერ პირველ კანდიდატად წარმოუდგენია თავი.

ის, რომ ლეოპოლდი ყოველდღე საცხედრებს ხატავს, ავადმყოფთა უმრავლესობას კარგა ხანია ბავშვურ ახირებად მიაჩნია და ჩუმჩუმად ქირქილებენ კიდევ ისე, კაცმა რომ თქვას, საინტერესო კია, მართლა რომ გაწყრომოდა ღმერთი და მუცელში კიბო აღმოჩენოდა, ეს ახირება ვითომ ნაკლებ ბალღური იქნებოდა? აგერ, თუნდაც პეეტერის სრულიად საწინააღმდეგო დამოკიდებულება ავიღოთ საკუთარი სიკვდილის მიმართ — რით ჯობდა ვითომ სხვებისას! პეეტერი, რომელსაც მე აქ დავუახლოვდი, ერთი თვის წინ გარდაიცვალა. მასზე სხვა დროს მოგიყვებით.

ლეოპოლდის გაბრაზება, რა თქმა უნდა, სულ არ მიფიქრია, ამიტომ ავდექი და, შენს რომელიმე ნამუშევარს ხომ ვერ მაჩუქებდი-მეთქი, ვკითხე. არაო — ცივად მომიგო. ჩემი ნამუშევრები მე თვითონ მჭირდებაო, ღმერთია მოწამე, ლეოპოლდის მტრობა გულში არ მქონია! მისი ნაცოდვილარი კი გახვრეტულ გროშადაც არ მიღირდა, ამიტომ ყველა უფლება მქონდა ამჯერად მე თვითონ გავნაწყენებულიყავი. გადაეწყვიტე მეტი არაფერი მეკითხა და ნაბიჯს აუუჩქარე. დერეფნის ბოლოში რომ გავედი, ვერ მოითმინა და დამიძახა, შევჩერდი. აღელვებული ლეოპოლდი მომიახლოვდა და ბავშვივით დარცხვენილმა განმიცხადა, თუკი მართლა მოგწონს ჩემი მხატვრობა, სიამოვნებით გაჩუქებ რომელიც გინდა ნამუშევარსო...

— ვიცი როგორ გიყვართ და გესმით ხელოვნება, — მითხრა მან და მთხოვა მეორე დილითვე ვწვეოდი, რათა ჩემი გემოვნებით შემერჩია ნებისმიერი ნახატი. ლეოპოლდი ფეხიდან ფეხზე ირწეოდა და თავის შეშუპებულ, უწამწამო თვალებს ახამხამებდა. აუცილებლად გეახლებით-მეთქი, დავპირდი.

8.

სამი თვეა ამ საავადმყოფოში ვწევარ. რვეულში ჩაწერა კი სულ/ახლაბან დავიწყე. ხომ არიან ადამიანები, სამოგზაურო ჩანაწერებზე დაწერილი მთელი გატაცებით. ბოლოს და ბოლოს, არც ჩემი მოგზაურობის ჩანაწერებზეა რომელიღაც შევიცარიაში, ახლო აღმოსავლეთში თუ ცეცხლოვან მიწაზე მოგზაურობას. ეს მოსაზრება ცოტა არ იყოს ბაქიაობას კი ჰგავს, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, არც ჭეშმარიტებისაგან უნდა იდგეს შეტისმეტად შორს.

აი, ახლაც ვზივარ და ჩემს დღიურებს ვათვალისწინებ. ჩემდა უნებურად რვეულს შუა გვერდებზე ვშლი და იმის გამოცნობას ვცდილობ, რომელი მათგანის შევსება მომიწევს უკანასკნელად! ერთ მშვენიერ დღეს, როცა დღიურების წერის თავი არ მექნება (ასეთი დღე კი აუცილებლად დადგება!), ავდგები და ყველა ჩანაწერს თავიდან ბოლომდე გადავიკითხავ. წინასწარ ვგრძნობ, რა საინტერესოც იქნება! მაშ ასე, — გავიფიქრებ მაშინ მე, — თავიდან (ე. ი. ახლა) არც კი მეგონა, თუ სწორედ ამ გვერდამდე ვიცოცხლებდი, თუ სწორედ ამ გზას გავივლიდი... მექნებოდა აი ეს შეგრძნებები და ა. შ. ჭეშმარიტად დიდი ბედნიერებაა იმ საქმის დაწყება, რომლის დამთავრებაც აუცილებელი არ არის! თუმცა საკუთარ თავს თუ გამოვუტყდები, გარკვეული დასასრული ალბათ მაინც მოხდება ჩემს ცხოვრებაში...

ჩანაწერების იდეა ყავისფერი რვეულიდან იღებდა სათავეს.

კვირაში ერთხელ ჩვენს მთავარ ღერეფანში სახელდახლო პატარა ჟიხური მუშაობს ხოლმე, აქ ძირითადად საკანცელარიო ნივთებსა და წიგნებს ყიდულობენ ავადმყოფები. წიგნები, რა თქმა უნდა, მე არ მაინტერესებს, რადგან საკუთარიც ბლომდა მაქვს, მაგრამ ის ყავისფერყდიანი საერთო რვეული, რაც მართალი მართალია, თავიდანვე ძალიან მომივიდა თვალში. მეც სწორედ იმ რვეულის ყიდვა გადავწყვიტე, მაგრამ დეიდა ვიქტორიამ მის ნაცვლად მაინცდამაინც ლურჯყდიანი გამომიწოდა.

— არა, არა... ეგ არ მინდა! — კატეგორიული უარი განვაცხადე მე და თაროზე შემოდებულ იმ ბრინჯაოსფერსა თუ მოყავისფრო რვეულს დავწვდი, რომელიც ამ წუთას ჩემს მაგიდაზე დევს. ადისონის ავადმყოფობას ზოგჯერ ბრინჯაოს ავადმყოფობასაც უწოდებენ. ეს რვეულის ყდა და ჩემი ხელისგულები თითქმის ერთი ფერისაა. ნუთუ მართლა ვერ ამჩნევთ, ყავისფერი უფრო რომ მესადაგება-მეთქი, ვკითხე რვეულების შერჩევისას დეიდა ვიქტორიას. ჩემს გადაკრულ ნათქვამს აბა ის რას ჩასწვდებოდა, ამიტომ იძულებული გავხდი პირდაპირი მნიშვნელობით განმეპარტა დეიდა ვიქტორიასათვის ფერების საიდუმლო... ჩაბყირდა, მაგრამ რა ჩაბყირდა ვიქტორია! უფრო სწორად, მისი დიდრონი, წითლად მოღაჟღაჟე ლოყები იცინოდნენ. ლურჯი თვალები და ზომაზე მეტად მოკუმული ვარდისფერი ტუჩების პაწაწინა ელიფსი ბუნჩულა, გორაკებივით ამოზიდულ ლოყებს შორის ყვინთაობდნენ! ვიქტორია გულიანად ხითხითებდა, და მე ვიგრძენი, რა გასაჭირიც ადგათ ამ თონთლოდ დაბერილ სახეზე მის თვალებს. ცოტაც და, თითქოს ეს ორი, ნახევრად დამშრალი ცისფერი ტბა შოდაგდაგე ლოყებში უკვალოდ უნდა ჩაქცეულიყო.

აი, ასე ხმამაღლა, ასე აშკარად დამცინოდა დეიდა ვიქტორია და საავადმყოფოს ეთიკის მიხედვით, თქმა არ უნდა, საექიმო პერსონალის უმკაცრეს სასჯელს იმსახურებდა. მე კი, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთგვარ სიამოვნებასაც

კი მგვრიდა მისი სიცილი... დეიდა ვიქტორია ხომ ჩემს ავადმყოფობას დასცი-
ნოდა! უფრო მეტიც, სინამდვილეში იგი აღისონის ავადმყოფობის ყავისფერ
მუნდირს შეურაცხყოფდა. კიდევ რამდენიმე თვეც და, როგორც კი ჩემს
საბოლოო სამყოფელში, ანუ ლეოპოლდის მუზის ობიექტად ქცეულ გულრით
ნაშენებ დაბალ სახლში გადამიტანენ და რამდენიმე ხნით დედას მიქტორიას
განკარგულებაში დამტოვებენ (სხვათა შორის, აგნესს სამიდან ხუთ მანეთამდე
დაუჯდება ეს სიამოვნება!) იგი უსათუოდ გაიხსენებს ჩემს ენაკვიმატობას...
თანაც, მე ხომ ვიცი, რომ იმ დროისათვის, როცა მის წინაშე თუთიის მაგიდა-
ზე დედიშობილას შემომდებენ, ბევრად უფრო გაყავისფერებული ვიქნები...

„დიდი ხუშარა ვინმე კი იყო!..“ — აუცილებლად აღმოხდება დეიდა ვიქ-
ტორიას, თუ, რასაკვირველია, ჩემს მაზოხისტურ გამოხტომებს გაიხსენებს და
თავისი ზოგბა, ქონმორეული ხელებით ჩემს გაპატიოსნებას შეუდგება! „დიდი
ხუშარა!“ — აი, ერთადერთი წოდება, რომელიც უთუოდ გარკვეულ უპირატე-
სობას მომანიჭებს თუთიის მაგიდაზე შემოწყობილ ჩემს უტყვ მეზობელთა
შორის.

საავადმყოფოს მუშაკებს ჰგონიათ, თითქოს ჩვენ წარმოდგენაც არა გვაქვს
დეიდა ვიქტორიას ძირითადი თანამდებობის შესახებ... ავადმყოფებმა, რა
თქმა უნდა, ყველაფერი ვიცით და არც არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო მისი
საქმიანობის მიმართ. ამიტომ საკანცელარიო საქონელსაც დიდი სიამოვნებით
ვუსაღებთ.

4.

პაწაწინა, საკმაოდ ნაპატივებ კუსმაგვარ ხოჭოებს მუქი სპილენძისფერი
ედოთ. ფორმით ისინი საჰაერო ბალიშებზე აწყობილ ავტომობილებსაც ჰგავ-
დნენ. აი, ისეთებს, უცხოურ ქუჩალებში რომ შეხვდებით ხოლმე. ხოჭოები
ბაღლინჯოსავით ზანტად დაბობლავდნენ და ყველაზე მეტად ჭარხლის ძირებს
ეტანებოდნენ.

ჩვენც ავდექით და ახალი ქიმიური შენაერთით გაელენთილი ბამბისა და
დოლბანდის ნაჭრები საგანგებო კონუსურ კოლბებში ჩავტენეთ, მერე ეს კოლ-
ბები კვლებსა და კვლებს შორის სანახევროდ დავფალით და მათში ჩამონტა-
ჟებული პაწაწინა ნათურები დენის მომწოდებელ მთავარ ბატარეის მივუ-
ერთეთ.

ო, რა სანახავი იყო ჭარხლის კვლებში აციმციმებული ნათურები ღამით!
მართლაც რომ გაბოროტებული კატის თვალებივით ელავდნენ! ჩვენი საც-
დელი ნაკვეთი ქვესკნელში გაჩახახახებული დარბაზის ალაგ-ალაგ დაბვრეტილ,
გამჭვირვალე ჭერსა ჰგავდა.

ჭარხლის კვლებში ვიდექით და იმის შიშით, რომ ხოჭოები არ დაგვეფრ-
თხო, ხმას არ ვიღებდით, მერე კი, როცა დავრწმუნდით, ხოჭოების ქარავანს
არაფერი აკავებდა, გულზე მოგვეშვა. ისინი ურიცხვ, უწყვეტ კოლონებად მო-
ემართებოდნენ, კვლებსა და კვლებს შორის ჩამარხულ კოლბებში მიძვრებოდ-
ნენ და, რაც მთავარია, ამ საბედისწერო გზაზე წამითაც არ უოვნდებოდნენ.

ჩემმა თანამშრომლებმა ექსპერიმენტის წარმატებით დამთავრება მომილო-
ცეს და წავიდნენ, მე კი მთელი ღამე საცდელ ნაკვეთზე გავატარე.
დილით თეთრი კოლბა ამოვთხარე და სათბურის ლაბორატორიაში წავიღე.

კოლბის ფსკერზე მარილმყავას ხსნარი დაღეჭილიყო. ხსნარი ისე გვექონდა შეზავებული, რომ მკვეთრი სუნით კი არ დაგვეფრთხო, პირიქით, მოგვეზიდა კიდეც ხოჭოები. მართალია, მარილმყავა არც ისე ძვირია, მაგრამ მისი ეკონომიურ ხარჯვას მაინც თავიდანვე ვითვალისწინებდით: ჩვენ მუდმივად მუშაობის ფერომონის დაგეგმილ მასშტაბებში გამოყენება საკმაოდ მსხვილ მასშტაბში კაპიტალდაბანდებებს მოითხოვდა.

მაცივარში გადანახული მენზურადან წყალში გახსნილი ცოტაოდენი სპირტი ჩამოვისხი და გადავკარი. საცდელ კოლბაზე დაკვირვებამ კიდეც ერთხელ დამარწმუნა, რომ მარილმყავას კონცენტრატი სწორი დოზით მქონდა შერჩეული: კოლბაში სულ პირველად მოხვედრილი ხოჭოები უკვე მწვანე მასად ქცეულიყო, დანარჩენები კი კოლბის კედლებზე დაბობლავდნენ და მარილმყავას ორთქლით თავბრუდასხმულნი ერთმანეთის მიყოლებით იხოცებოდნენ.

მახსოვს, მაშინ იყო ჭიშის გაგრძელების ინსტინქტზე რომ დავეფიქრდი. იმ უძლიერეს ინსტინქტზე, რომელიც სპილენძისფერ ხოჭოებს ამ კოლბისაკენ მოერეკებოდა. დიახ, მაშინ დავრწმუნდი, რომ გამრავლების ინსტინქტი ჭეშმარიტად ბრმა და ყოვლისშემძლეა... ვინ იცის, ეს ხოჭოები იქნებ მარილმყავას მომაკვდინებლად ცხარე სუნს კი გრძნობდნენ, მაგრამ რა ეჭნათ, თუ განსხვავებული, უცხო სუნის ძახილი იმდენად ძლიერი იყო, რომ თავშეკავება აღარ შეეძლოთ! აკი სწორედ ეს მძაფრი სუნი იყო, ბრმად რომ აყენებდა მათ საბედისწერო მწყრივში. მაშ, გამოდის, რომ მთელი ეს წელიწად-ნახევარი ჩვენი ლაბორატორია ამოდ არ ვარჯილა — ხოჭოების სასქესო გამალიზიანების სტრუქტურული ფორმულა აღმოჩენილია!

დახოცილი ხოჭოების თვალთვალში მოულოდნელად იმასაც ჩავხვდი, რომ ამ *Cassida nebulos*-ების გაგებით მე ნამდვილი ბოროტი სული ვიყავი. ვაითუ განკითხვის დღესაც ასევე მოიყარონ თავი ატრაქტანტის საამო სურნელით კოლბაში შეტყუებულმა ხოჭოებმა და შურისძიების ნიშნად ჭარხლის ფესვებივით გამომხრან!.. ამ აზრმა ერთგვარი ხალისიც კი მომგვარა. მენზურაში დარჩენილი სპირტი გადავკარი და მკვდარი ხოჭოებით სავსე კოლბას ონკანში მოშვებული წყალი გამოვაღლე. დანარჩენი კოლბები ჭარხლის კვლებშია დაფლული!..

წყალში გახსნილი მარილმყავა ხელსაბანის რკინის სალტზე აშიშინდა და იმოდენა ბუშტულები მოიყენა, იძულებული გავხდი ცოტაოდენი სოდა მომეპნია, მერე ხელები დავიბანე და სინათლე გამოვრთე.

უკვე თენდებოდა. მომწვანო ცას მკრთალი ნათელი გადაჰკრავდა. პირველი საგარეუბნო მატარებლის ჩამოსვლას წუთებილა აკლდა.

კოლბებში დატანებული პაწაწინა ნათურები გამოვრთე და ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ქვესკნელში გაჩახჩახებული დარბაზის ალაგ-ალაგ დახვრეტილი ჭერიც ჩაქრა... ცვარნამით დათქორილმა ჭარხლის ყლორტებმა წინდები დამისველა.

ასე და ამრიგად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენმა ექსპერიმენტმა იმედები გავვიმართლა.

5.

დღეს დილით გავიგეთ, რომ ჩვენი განყოფილების ახალ გამგეს რეგისტრატურაში პერფორატის სისტემა შემოუღია. მოწყალეების დებს ეს სიახლე სუ-

ლაც არ ეჭაშნიკათ, რადგან ახალი წესების თანახმად ჩვენი სამედიცინო მონაცემები ყოველდღიურად უნდა გადაეტანათ პერფორატებზე! ეს მონაცემებზელი საქმიანობა კი ძირითადად იმათ კისერზე გადავიდოდა, ვისაც ღამით უნდა ემორიგევა. წინათ, მორიგეობის საათებში, ღამის ქოთნების ჩამოტარებისა და ნემსების გაკეთების შემდეგ მუშამბაგადაკრულ ტახტზე წამოწოლილად მოწყალების დები ცოტა ხნით მაინც ახერხებდნენ თვალის მოტყუებას. განა ყოველ ღამე ჰყავდათ მომაკვდავები! ესეც არ იყოს, უიმედოების მოვლა ჩვეულებრივად მარგიტს ევალებოდა.

პერფორატის სისტემა რომ გამაცნეს, წამით ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს კაკანათივით პირდაღებულ კართოტეკის ყუთში შემკუჭეს. აი, ახლა ეს ყუთი სადღაც თავისთვის დევს და მასში უამრავი ციფრობრივი მონაცემებით გამოთვლილი ჩემი პერსონაა გამომწყვდეული. ეს ის კაკანათია, რომელსაც ვერცერთი ჩვენთაგანი თავს ვერ დააღწევს. აქ ყველანი, ასე ვთქვათ, ერთ ჩხირზე ვართ ჩამოცმულნი.

წინათ ამგვარ რამეებზე არასოდეს არ მიფიქრია, ახლა კი იმდენი დრო მაქვს, საამისოდაც კი მოვიცალე. ვცდილობ, რაც შეიძლება გულგრილი დამოკიდებულება გამოვიმუშავო ყოველგვარი მიწიერი ამბების მიმართ. მართალია, ხანდახან გაზეთებს ვათვალისწინებ, მაგრამ რა — გუშინ, მაგალითად, სრულიად არ ავუღელვებივარ რომელიღაც ქვეყნის პატრიოტების დახვრეტის ცნობას. არადა, წინათ სულ სხვანაირი ვიყავი, გუშინდელ დღესავით მახსოვს ბერძენი პატრიოტების დასაცავად გამართულ მიტინგზე რომ გამოვდიოდით. მე პირადად, მალლა-მალლა წევისაგან დაბუყებულ ხელში, თუ არ ვცდები, მანოლის გლეზოსის პორტრეტი მეჭირა, საშინლად ცხელი დღე იყო, მზისაგან თავი მისკდებოდა, ოფლად ვიღვრებოდი და თვლებში მოთეთრო ლაქები მიხტოდნენ, მიტინგზე გამომსვლელთა გრძელსა და მოსაწყენ სიტყვებს ბოლო არ უჩანდა, მე კი, მიუხედავად ამისა, გაწამებული ბერძენი პატრიოტები მართლა გულით მეცოდებოდნენ და მალლა შემართულ ჩემს გლეზოსს არავის ვუთმობდი. ახლა კი, ახლა ოდნავადაც არ შემიძლია ვუთანაგრძნო იმ განრისხებულ ახალგაზრდებს, რომლებსაც ზურგსუკან ხელებს უგრეხენ და ვირის აბანოში მიერეკებიან. ახლა მე ფუნთუშეულის პუდინგით მიმასპინძლებიან და თუ მოვისურვებ, ღამის ქოთანზეც დამასკუპებენ. ერთი სიტყვით, ყველაფრის უფლება მაქვს... გარდა საკუთარი ბედის ამორჩევისა. ხომ შეიძლება ახლა რომელიმე სიკვდილმისჯილი პატრიოტი დახვრეტის მოლოდინში იყოს, მაგრამ მშვენივრად იცოდეს თუ რისთვის კვდება, რა მიზანს სწირავს თავს... და მე მშურს მისი, რამეთუ ჩემი სიკვდილი მართოდენ უაზრობის დასასრულია! ამიტომაცაა, მიწიერ ფიქრებს რომ გავუბრუნებ. განა ამ ყოველად უსარგებლო ტვინის ჰყლეტას თავშესაქცევ პერფორატებზე ან საკუთარ თავზე ფიქრი არ ჯობია?

პერფორატის ჩხირებზე ჩვენი სამედიცინო მონაცემების ჩამოცმა განა მართო მე მგვრიდა ზიზღს. დღისით შეზღონგებში ჩამსხდარი სხვა ავადმყოფებიც სწორედ ამ ახალ სისტემაზე კამათით ირთობდნენ თავს. ყველაზე მეტად ერთი აწოწილი ახალგაზრდა აქტიურობდა. მე მისი სახელიც არ ვიცი, მაგრამ, თუ არ ვცდები, ფილტვების კიბო უნდა ჰქონდეს. მიუხედავად ამისა, ეს ფრჩხილებგადაღებელი ტიპი ყოველდღე პეპელასებური ბაფთითაა ყელდამშვენებული.

— იქნებ აწი არც ჰქონდეს აზრი ამ აბების ყლაპვას, ქალბატონო დაი-
კო? — შეეკითხა იგი ერთხელ მარგიტს და აბრეშუმის ფერად ცხერსახოცში
ჩააფურთხა. — სულერთია, ჩვენი ხსნა მხოლოდ ყოველის შემძლე სადგისშია,
მთავარია, კარგად შეგვირჭოთ.

ეროვნული

მას ავადმყოფურად შეფაკლული ლოყები ჰქონდა. ყველაფერი შეტყობო-
და, რომ სადგისის იდეა დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა. რატომღაც სულ მეჩვენე-
ბოდა, რომ მამათმავალი უნდა ყოფილიყო.

მარგიტი ყოველდღე იმის მტკიცებაში იყო, რომ ჩხირებზე ჩამოცმულ ამ
ბარათებს მხოლოდ სარგებლობა მოაქვთ ავადმყოფებისათვის. ერთხელ სხვა-
დასხვა ჯგუფებად დაყოფილ კართოტეკაზეც გვიამბო რაღაც-რაღაცები, რომ-
ელიც თურმე დიდ დახმარებას უწევს ექიმებს, მაშინ იყო პერფოკარტის
ყუთთან მოფუსფუსე ჩვენი ექიმები რომ წარმოვიდგინე. ერთი!!! — და ჯა-
დოსნური კოლოფიდან ერთად შეკრულ რამდენიმე ავადმყოფს მარცხენა
თირკმლით დაითრევენ. ორი!!! — და მაგიდაზე ჩამწკრივდება ქლექიანების
მთელი ფრაქცია. ამ რკინის ყუთიდან წარმოუდგენლად მრავალფეროვანი დაჯ-
გუფებების გამოხმობა შეიძლება, თანაც ელვისებური სისწრაფით. სულო და
გულო, რაც კი მოგებრიანება... გამოხრული კბილების მიხედვით გინდათ? ინე-
ბეთ, ბატონო! შარდში ცილების რაოდენობის მიხედვით? ახლავე, ბატონო!
ასე რომ, ადვილი შესაძლებელია, მეც იმ ჩხირზე წამომავონ, რომელზეც ლე-
ოპოლდი ან ეს საექვოდ მინაზებული ბიჭი და, ღმერთო დამიფარე, ის აუტა-
ნელი ი. ანდრესკოოკია № 2 პალატიდან. დიახ, ამ რკინის ყუთში ყველა მათ-
განს შეუძლია შენ მეზობლად აღმოჩნდეს... და იქნები მერე დღე და ღამე მათ
შორის ჩაქედილი. თუ ყუთში მეზობლობა ასე გარდუვალია, მაშინ მე ჩემდა
თავად იაანიკას გვერდით ყოფნას ვირჩევდი... სხვათა შორის, აგნესსა და იაანი-
კას შორის არჩევანის უფლება რომ მოეცათ, მაშინაც კი!

აგნესზე საკმაოდ ხშირად ვფიქრობ. ყოველ შემთხვევაში იმაზე უფრო
ხშირად, ვიდრე მინდა.. ამ ბოლო ხანებში რატომღაც ისეთი სიტუაციები და
საოცრად უმნიშვნელო წვრილმანებიც მახსენდება, კარგა ხნის დავიწყებული
რომ მეგონა.

8.

დილით ლეოპოლდს ვესტუმრე. იგი იმ იყორელ მოხუცთან ერთად ცხოვ-
რობს, რომელიც ყოველდღე სიკვდილს ელოდება. ვინ მოთვლის, ამ უთვისტო-
მო კაცს რამდენჯერ დაუპირეს საავადმყოფოდან გაწერა და მარტოხელა მო-
ხუცთა სახლში გადაყვანა, მაგრამ რა! ყოველთვის ისეთ ალიაქოთს ასტებს,
ვერაფერეს უბედავენ. თანაც ერთთავად თავისი მოსკოველი ძმიშვილით, ანუ
„დიდი კაცი“ ემუქრება ყველას. „ის თქვენ გიჩვენებთ სეირსო“, სულ ეს
იკერია პირზე. მოსკოველი ძმიშვილი ნამდვილია თუ გამოგონებული, კაცი-
შვილმა არ იცის, მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ ყოველი აყალმაყა-
ლის შემდეგ მოხუცს სიცხე უწევს და სისხლს ახველებინებს. ჰოდა, მაშინ
აბა ვინ გაბედავს მის გაწერას. სხვა მხრივ, ლეოპოლდის თქმით, საკმაოდ უწყ-
ინარი მოხუცია და არავის არაფერს უშავებს. მხოლოდ ერთხელ, შუალამისას
წამოუწყია ხმადაბალი სიმღერა რუსულ-ფინურ კილოზე. ლეოპოლდს

უფიქრია, ახლა კი მიაქვს წერილით, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, მეორე დღით სალსლამათი წამომდგარა.

როგორც შევამჩნიე, ლეოპოლდს დროულად დაეჭირა თადარიგი. ჯერ იყო და პალატაში ჩაით სავსე პატარა ქვაბი მოაცუტცუტა, მერე კი კვლავივე მარცხლიანი ნამცხვრითაც გამიმასპინძლდა, ნამცხვარს ოდეკოლონის გემოვნაშიც რაედა. მთელ პალატაში ლეოპოლდის ნახატები და აკვარელი იყო გამოფენილი — სკამებზე, საწოლზე, ფანჯრის რაფაზე, იატაკზეც კი მისი ნამუშევრები ეწყო. მხოლოდ ერთი სკამი იყო ცარიელი, ალბათ ჩემთვის.

— რომ შეგაგვიანდათ, ვიფიქრე, აწი არ მოვა, ალბათ დაავიწყდა-მეთქი, — შემომღიმა ჩემი სტუმრობით აშკარად გახარებულმა ლეოპოლდმა.

რა უნდა მეთქვა. წუხელის ცუდად მეძინა და ნასაუზმევს ცოტა დავისვენე-მეთქი, ვიცრუე მე. მეც ცუდად მეძინაო, შემომჩივლა თავისი მხრივ ლეოპოლდმა. გუშინ მოხუცი ბაღში მოპარული ალუბლით გასკდა და მთელი ღამე ხვწნეშოდაო.

— იმდენი ალუბალი ჩახეთქა, მთელი ღამე არ დამაძინა, მოვიდეს ერთი მთავარი ექიმი! — გაყვიტლებული საჩვენებელი თითით დაემუქრა ლეოპოლდი მოხუცს. მერე ჩემკენ გადმოიხარა და დელიკატურად მიჩურჩულა, ალუბლით გამძღარ მოხუცს მთელი ღამე გაზები აწუხებდაო.

იქორელს წარბიც არ შეუხრია. იწვა თავისთვის და ეშმაკურად იღიმებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ისიც შევამჩნიე როგორ დაეცა თეთრ ზეწარზე მისი მოკუმული ტუჩებიდან გამოპურტყელებული ალუბლის წითელი კურკა. მოხუცი ისევ ეშმაკურად იღიმებოდა.

ლეოპოლდის ნამუშევრებს წელზე ხელებდაწყობილი ვათვალთვლებდი და ვიწრო პალატაში ისე დავაბიჯებდი, თითქოს ნამდვილ გალერეაში ვყოფილიყავი. ეს იყო ალბათ გამოფენა, რომელსაც მე უკანასკნელად ვათვალთვლებდი!

სანამ ნახატებს ვაკვირდებოდი, ლეოპოლდი ერთადერთ ცარიელ სკამზე იჯდა და ისეთი მედიდური გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს სურათის გადასაღებად ემზადებო.

ყველაზე მეტად იმან გამაოცა, რომ ლეოპოლდის სურათები გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს. თანაც ყველა ერთი წერტილიდან იყო დახატული... ეს იყო საცხედრე, უფრო სწორად, საცხედრის ფასადი. ყოველ შემთხვევაში, დანარჩენი კედლები არც ერთ ნახატში არ ჩანდა. ამის გამო თუ იყო, რომ მისი ნამუშევრების უმრავლესობა ბავშვის დახატულ სახლებს ჰგავდა. ოღონდ საკვამურები აკლდა, ეს იყო და ეს. სხვათა შორის, მინდოდა კიდევ ამის აღნიშვნა, მაგრამ ლეოპოლდი ისეთ პოზაში იჯდა, მისი შეწუხება ნამდვილად საცოდაობა იყო. თუმცა არა, კაცმა რომ თქვას, ყველა ნახატი მაინც არ ჰგავდა ერთმანეთს. მაგალითად, ცა ყველგან სხვადასხვანაირად იყო გამოსახული. ერთ ნახატში თუ საცხედრის თავზე შავი ღრუბლები გადადიოდნენ, მეორეში ლურჯი ცა კამკამებდა. მე, რატომღაც მოწმენდილციანი ნახატები უფრო მომწონდა. განსაკუთრებით აი, ის, რომელზედაც წარმოსახვითი საკვამურის ადგილზე ლიმონისფერი მზე იყო მიდღაბნილი. სწორედ ამ ნამუშევრის წინ შევჩერდი ყველაზე დიდხანს. ლეოპოლდმაც არ დააყოვნა და უმაღლესი მხატვრული გემოვნება შემიქო.

— მიხარია, რომ ხელოვნებისადმი მარტივი დამოკიდებულება არ გქონი-

ათ, — მითხრა მან, — სხვა, თქვენს ადგილზე, მაინცდამაინც შავი ღრუბ-
ლებით შესუდრულ საცხედრეს ამოიჩვენა.

რა გაეწყობოდა. ავდექი და სწორედ ის უღრუბლო ნახატი ამოვიჩვიე სა-
ჩუქრად. ლეოპოლდიც, რასაკვირველია, დიდი სიამოვნებით დასმინდა.

— ხედავთ? აი, აქ, ხის ტოტზე ჩიტი ზის, — ისევ შემხმდომას უწყობოდა.
დავაკვირდი. ერთ-ერთ ტოტზე მართლაც კარგა მოზრდილი ყვითელი ფრინველი
წამოსკუპულიყო.

— ეს, ასე ვთქვათ, მხატვრული გამონაგონია. სხვათა შორის, ეს ნამუშე-
ვარი მეც ძალიან მომწონს, — გაიბადრა ლეოპოლდი, — მაგრამ თქვენ დიდი
სიამოვნებით გაჩუქებთ.

ლეოპოლდმა ჩემ მიერ მოწონებული ნახატი აიღო და იყორელი მოხუცის
მუცელზე გადაფარებულ ნაცრისფერ საბანზე დადო.

— ცივ ფონზე უკეთ ჩანს, არა?

თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიე. ამასობაში, მგონი, იყორელმა მოხუც-
მაც კი გამოავლინა ცნობისმოყვარეობის ნიშნები, მაგრამ საკუთარ მუცელზე
დადებული ნახატი რომ შეათვალიერა, გულგრილობის ნიშნად მხარი იცვალა
და ჭერისაკენ თვალმიქცეულმა თეთრ ზეწარზე ისევ ალუბლის წითელი კურ-
კა გადმოაპურჭყა. მერე მხრის შეუმჩნეველი მოძრაობით შეეცადა კურკა მუ-
ცელზე დადებული ნახატისაკენ დაეცურებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა,
რადგან კურკა საბნის ნაქეცში გაეჩხირა. ამ დროს კედელსა და საწოლს შორის
მოხუცის მიერ პარკით გადამაღული ალუბალი შევნიშნე. პარკის ფსკერზე
ალუბლის წითელი წვენი ჩაწრეტილიყო.

ლეოპოლდმა თავისი ნახატი აიღო და „მე შენ გიჩვენებ სეირსო!“ ისევ
დაემუქრა მოხუცს. იყორელი კი ამ მუქარასაც დუმილით შეხვდა. თუმცა ამ-
ჯერად არც გაღიმებია. გულჩათხრობილი და ბრაზიანი გამომეტყველება ჰქონ-
და. ეტყობა, არც ერთი კბილი არ შერჩენოდა, ამიტომ ალუბლის წვენით შე-
წითლებული პირის ჭრილი თითქმის ცხვირამდე აღწევდა, რის გამოც ძალ-
ზე სასაცილოდ გამოიყურებოდა.

ლეოპოლდს დიდი მადლობა გადაუხადა საჩუქრისათვის, რის შემდეგაც
ორ-ორი ფინჯანი ჩაი დავლიეთ.

წამოვდექი. წასასვლელად მოვემზადე. ლეოპოლდიც წამოდგა და ხელი ჩა-
მომართვა, მაგრამ სწორედ ამ დროს ჩემი მხრის გასწვრივ რალაც მნიშვნელო-
ვანს მოჰკრა თვალი და მაშინვე ფანჯარას მიაწყდა.

— ერთი ამ საიქიოდან მობრუნებულს დამიხედეთ! — აღშფოთებით წა-
მოიძახა მან, — ოპერაციას ძლივს გადაურჩა და აჰა, უკვე ბუჩქებში დაწან-
წალებს!

ფანჯრიდან რომ გადავიხედე, თავდაპირველად საცხედრისა და იასამნის
ბუჩქების მეტი ვერაფერი დავინახე. მერე კარგად დავაკვირდი და ბუჩქები-
დან ფრთხილად გამომძვრალი იაანიკა შევნიშნე. ქერათმიანი, ჩასუქებული,
ბავშვურად პირმრგვალი იაანიკა საავადმყოფოსაკენ მოლასლასებდა და თავისი
ფლოსტებით წვრილი სილით მოკირწყლულ ბილიკზე მსუბუქ ნაკვალევს ტო-
ვებდა.

— არა, ნეტავ რას დაწანწალებენ! — ბოროტად გამოსცრა ლეოპოლდმა
და ვიგრძენი, როგორ აღიზიანებდნენ მას საცხედრის ახლომახლო მოსეირნე
ადამიანები. — დაუყოვნებლივ უნდა აიკრძალოს... ესეც რომ სხვებს აპყოლია!..

ცოტა ხნის შემდეგ იასამნის ბუჩქებიდან ი. ანდრესკოკი გამოძვრა და ისიც საავადმყოფოსაკენ გამოეშურა. ხელში განუყრელი ხელჯოხი ეჭირა, რომლითაც ჩვეულებისამებრ ბაბუაწვერებს აწყვეტდა თავებს. ო, როგორ ვერ ვიტან ამ ანდრესკოკს, ვერ ვიტან მის ხელჯოხს, მის ცრუ მნათეს სიტყვას, მის წითლად აღაჟღაბებულ ლოყებს!

ამასობაში ლეოპოლდმა კიდევ ერთხელ ჩამომართვა ხელი და დაჟინებით მთხოვა ხშირ-ხშირად ვწვეოდი.

— მეწვიეთ, როცა გაგიხარდებათ! მობრძანდით და ვისაუბროთ ხელოვნებაზე...

ამ დღეებში აუცილებლად შემოგივლით-მეთქი. მერე მის ზურგს უკან გადაპარე თვალი და კარგად დავინახე, როგორ მოახვედრა პირიდან გამოსროლილი ალუბლის კურკა ლეოპოლდის ერთ-ერთ ნახატს საწოლიდან ჩუმად წამომდგარმა იქორელმა მოხუცმა.

7.

ლამდება. საღამოს დასალევ პრედნიზოლონის აბებს ერთმანეთის მიყოლებით ვყლაპავ და პალატის განიავების შემდეგ ისევ იმ წიგნებს ვფურცლავ, რომელთა მიმართაც ჯერაც არ დამიკარგავს ინტერესი. ესენია: ანატომიური ატლასები, სამედიცინო ენციკლოპედიები, სახელმძღვანელოები ფიზიოლოგიაში... მართალია, გამოჩანმრთელების იმედით დიდი ხანია უკვე არ ვიტყუებ თავს, მაგრამ არც ისე სულელურად მინდა მოვკვდე, რომ ადამიანის არსებობის შესახებ ელემენტარული წარმოდგენაც არ მქონდეს.

ოთახი ღამის პაერით ივსება. დღეს თიფქოს განსაკუთრებით სუფთაა პაერი.

ჩვენი სართული ამ პატარა პალატაში მე ჯერ კიდევ მარტო ვცხოვრობ. ე. ი. ჩემს პატარა ფანჯარასაც, როცა მინდა მაშინ ვალეზ და ვკეტავ, თითქოს სასტუმროში ვიყო! შემძლია მთელი ღამე ვიკითხო, ანდა სულაც დღიურები ვწერო. ექიმებს, რა თქმა უნდა, მაინცდამაინც არ ეხატებათ გულზე, მე რომ სამედიცინო ლიტერატურას ჩავკირკიტებ, მაგრამ რას იზამ. მე პირადად, მიუხედავად იმისა რომ ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი გახლავართ, სრულებით არაფერი არა მაქვს საწინააღმდეგო, თუკი ვილაც-ვილაცები ჩემი პროფესიის საცნობარო ლიტერატურით დაინტერესდებიან. ექიმები საერთოდ თავისებური ხალხია. როგორც ცნობილია, მედიცინას თავის დროზე მონასტრებში ჩაეყარა საფუძველი. იქნებ ამიტომაცაა, რომ ექიმებს რამდენადმე ბერმონაზონთა ახირებულობანი ახასიათებთ... საქმე იქამდე მივიდა, ერთი პირობა წიგნების ჩამორთმევაც კი დამიპირეს, მაგრამ ეს „მშვიდი პაციენტი“ ისეთი ყვირილითა და უწმაწური გინებით დავუხვდი, ბოლოს და ბოლოს თავი დამანებეს. ახლა, თირკმელზედა ჯირკვლის შესახებ, იქ, სადაც ჩემი კიბოა ფესვგადგმული, მე თითქმის ყველაფერი ვიცი. ყოველ შემთხვევაში დღეს უკვე ოთხმოცდაცხრამეტი მთელი და ოთხმოცდაცხრამეტი მეასედი პროცენტითა ვარ დარწმუნებული, რომ ადისონის ავადმყოფობა თირკმლის კიბოსაგან ავიკიდე. სხვათა შორის, საკმარისია ზუსტად გამოიცნო რომელი ავადმყოფობა გქლავს და ერთბაშად გულზეც მოგეშვება. ეტყობა, ჩემი კიბოს მეტასტაზები თირკმელზედა ჯირკვალსაც გასცდა, თორემ მარცხენა ჯირკვალის ამოკვეთაზეც

არ შეიკავებდნენ თავს. მაშასადამე, გამოდის, რომ ოპერაცია დაგეგმილია!

სამედიცინო ლიტერატურის კითხვისას რას არ გადააწყვეტის კაცი! ასე მაგალითად, ვინმე შიმკევიჩი თავის ერთ-ერთ სტატიაში თავს ესხმის თირკმელზედა ჯირკვლის საყოველთაოდ მიღებულ ლათინურ სახელწოდებას თავდაჯერებით აცხადებს, რომ მას glandulae suprarenales-ი კი არა, glandulae adrenales-ი უნდა ერქვას. მის მიერ შემოთავაზებული ლათინური გამოთქმის მიხედვით ჯირკვალი თირკმლის თავზე კი არა, მის გვერდითაა მოთავსებული. სხვათა შორის, ეს მართლაც ასეა. მხოლოდ ადამიანებსა და ადამიანის მსგავს მაიმუნებს აქვთ იგი თირკმლის თავზე და ისიც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ევოლუციური განვითარების ერთ მშვენიერ დღეს მათ ნება იბოძეს და უკანა ფეხებზე წამოდგნენ. ყოველ შემთხვევაში, დანარჩენ primat-ებს, რომლებიც პორიზონტალურ მდგომარეობაშიც მშვენივრად ახერხებენ გადაადგილებას, ჯირკვალი თირკმლის გვერდით აქვთ მოთავსებული, ისევე როგორც ჩვენ, ოთხზე რომ დავმდგარიყავით. მაგრამ როდესაც შენ დაავადებული ჯირკვალი გკლავს და არა მისი ლათინური სახელწოდება, ალბათ დამეთანხმებით, მსგავსი სტატიები ბრაზისა და ღიმილის მომგვრელია ერთდროულად. თუ კარგია, თვითონ შიმკევიჩმა სცადოს ოთხზე დაშვება! ვინ იცის, იქნებ მხიარულ გუნებაზეც კი დადგეს — აკი მას სწორედ ასეთ პოზიაში ექნება glandulae adrenales-ი... მსგავსი ემოციები გეუფლება მაშინაც, როდესაც გაიგებ, რომ თირკმელზედა ჯირკვლების ფილოგენეზის კლასიკურ გამოკვლევებში საცდელ ობიექტებად თურმე ნიანგები და სტვენები პყოლიათ!.. მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ასეთი სტატიები ერთგვარი ინტერესით იკითხება. შეიძლება შიმკევიჩის შრომებიც კი მოეწონოს კაცს... და თუნდაც იმიტომ, რომ სწორედ ამგვარი სტატიების კითხვისას შეიძლება დაგეუფლოს ოლიმპიური გულგრილობა ადამიანის ხორციელი ტკივილების მიმართ. მე სულაც არ მინდა პეეტერისნაირად მოვკვდე! იგი თოჯინების მხატვარი იყო. თოჯინების მხატვრადვე დარჩა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

მე და პეეტერი, ასე ვთქვათ, ერთმანეთის მეტოქენი ვიყავით. სამწუხაროდ, ახლაც ვერ გეტყვით, ვინ დარჩა გამარჯვებული ჩვენ შორის. მართალია, ფინიშთან მან მიმასწრო, მაგრამ მე რომ მასზე დიდხანს გავძელი?... ეს თავსატეხი ჯანმრთელ კაცს უსათუოდ კამათის გუნებაზე დააყენებდა, საკითხის ფილოსოფიურ ასპექტში გადაწყვეტას მოანდომებინებდა.... მით უმეტეს, დანიის პრინცზე თუ წაუკითხავს რამე, იმ ყოველმხრივ ჯანმრთელ პრინცზე, რომელიც დალაგებული ნერვული სისტემით მაინცდამაინც ვერ დაიკვებნიდა. რიტორიკული შეკითხვები, როგორც ცნობილია, ჯანმრთელთაგან უფროა მოსალოდნელი, თორემ თირკმელში კიბოგამჭდარებს ნეტა რა ერიტორიკებათ! ჩემი აზრით, სიკვდილში არავითარი ფილოსოფია არ არსებობს. სიკვდილი ყველაზე საშინელი უსამართლობაა მზისქვეშეთში. დიახ, ეს ის საძაგლობაა, რომელსაც თავისი გარდუვალობაც კი ვერ ამართლებს!

პეეტერი ცდილობდა, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, საკუთარი სიკვდილი ოდნავ მაინც შეელამაზებინა. უფრო მეტიც — ყველაფერს აკეთებდა, რათა თავისი განსაცვიფრებელი თავდაჭერილობით სიკვდილი გმირობის დონეზეც კი აეყვანა. ასეა თუ ისე, მიუხედავად ამ იდიოტური მცდელობისა, ბოლოს და ბოლოს მაინც შემაყვარა თავი. პეეტერს მოკლე ხელები, ინტელიგენტურად ფაფუკი თითები, ხვეული ქერა თმა, ლურჯი თვალები და სწორწილაკის კიბო

ქონდა. იგი, როგორც აღრე გითხარით, თოჯინების თეატრში მუშაობდა მხატვრად. ჩვენს თოჯინების თეატრში კი, მოგეხსენებათ, ისეთ ამოღლებულ რალა-რალაცებს დგამენ, როგორცაა, მაგალითად, ანდერსენის „თავგადასავალი კალის მამაცი ჯარისკაცისა“.

ერქვენული

ან კი რა საჭიროა სიკვდილის შელამაზება! სუნამოს თუ მოსახმარებელს პო, არა უშავს რა, თუმცა სულერთია, რაც არ უნდა ეცადო, კიბოიანი ავადმყოფის ოთახში მაინც ისეთი სუნი დადგება, როგორც წესით და კანონით უნდა იდგეს. მორჩა და გათავდა! — ვერავითარი სუნამო საქმეს ვერ უშველის. და ამ დროს არც ისე ძნელი წარმოსადგენი უნდა იყოს, რა დამამცირებელი იქნებოდა სიკვდილის წინაშე პეეტერის თვალთმაქცობა. არადა, ის ხომ ძალასა და ღონეს არ იშურებდა იმის დასამტკიცებლად, თითქოს ხელოვნებით, პოლიტიკითა და ჭადრაკით სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე დარჩებოდა გატაცებული... ვის-ვის და, მე ხომ ნამდვილად არ მესწავლებოდა მისი ახირებანი. ვინ მოთვლის რამდენი პარტია გვითამაშია ჭადრაკში და სულ იმას ვთითლიბა-ზობდი, თითქოს ერთობ ღირსეულ მოწინააღმდეგედ მიმაჩნდა და ეს არც ისე იოლი საქმე გახლდათ. პეეტერი ხომ წარმოუდგენლად სუსტად თამაშობდა. ჩემი ღრმა რწმენით, ალბათ არც საავადმყოფოში მოხვედრამდე იქნებოდა დიდი ბედოვლათი. ისევე როგორც ცხოვრებაში, იგი ჭადრაკშიც ერთთავად მეფის გამბიტსა და შეწირვებს მიმართავდა. თანაც ისეთ მედიდურსა და უაზრო შეწირვებს ეტანებოდა, რომლებიც უკანასკნელ სვლებზე კიდევ უფრო გრანდიოზულად გამოიყურებოდნენ. აი, ასე უმიზნოდ ხარჯავდა იგი მთელ თავის ძალასა და ღონეს! სიკვდილი საზიზღრობაა! სიკვდილი თვითთელი ჩვენთავანის წაგებული ენდშპილია!.. და რატომ უნდა ითვალთმაქცო, თითქოს შენ მასზე მალლა დგახარ, თითქოს ფეხებზე გკიდია!.. სიკვდილზე მალლა ჯერაც არავინ დამდგარა. სიკვდილი გაცნობიერებული გარდაუვალობაა. რა ვუყოთ მერე, თავისუფლებასაც თუ ზუსტად იგივე სიტყვებით განსაზღვრავენ!

გმირობანას თამაში არავის არ უხდება. ასეთების მიმართ დიდი-დიდი ადამიანური თანაგრძნობით განეწყო... ხოლო ის, ვინც საიქიოსაკენ მიმავალ გზას დაუფარავი, ყოვლად უწმაწური გინებით დაადგება, ცოცხალთა შორის უმალ ბუნებრივ ზიზღს გამოიწვევს. რაკი სიკვდილი საზიზღრობაა, მომაკვდავიც საზიზღარი უნდა იყოს! ანტიპათიური მომაკვდავი უფრო ბუნებრივია, რამეთუ პირველ რიგში სწორედ ის ამძაფრებს ჩვენს მარადიულ სიძულვილს სიცოცხლის საპირისპირო ცნებისადმი. აი, ნახავთ, როგორც კი ჩემი ფეხების გაჭიმვის დრო დადგება ზუსტად იმდენ ხანს ვიღრიალებ, რამდენსაც ჩავთვლი საჭიროდ... სიკვდილთან პოზიორობა არ გამიგია მე!

პეეტერი მაისის პირველ კვირას გარდაიცვალა, გაზაფხულის არაჩვეულებრივად თბილსა და ნათელ დღეს, უნდა ითქვას, რომ ინსცენირების ეს ნაწილი პეეტერს მართლაც დიდებულად გამოუვიდა! მახსოვს, იმ დღეს აგნესმა გაზაფხულის ყვავილები მომიტანა. ჯერ კიდევ მიმზიდველად გამოიყურებოდა აგნესი. ყველაფერი უხდებოდა: კოხტად შემრგვალებული მუცელი, თხლად გადაღებილი ტუჩები, ლამაზად დავარცხნილი თმა... პარკში ვსეირნობდით. ვკოცნიდი, ვეხვეოდი, ვვალერსებოდი.. ჯანმრთელი კაცის სურვილები მეძალეობდა. დილა იყო და აგნესის თმასაც კვირა დილის სურნელი ასდიოდა. ჩემი ავადმყოფობის შესახებ ჯერ კიდევ არ ვიცოდით ყველაფერი, ჩემს თირკმელში კი, რა თქმა უნდა, იმ დილიდანვე კიბო ცოცხლობდა, ოღონდ მაშინ

ჯერ კიდევ მქონდა ცოტაოდენი შანსი ამ უბედურებისათვის ეჭვის თვალით შემეხედა.

პარკის ბილიკზე დახაზულ „კლასობანას“ სათამაშო უჯრებში დავაბიჯებდით. აგნესმა ბავშვების დატოვებულ ბრტყელ ქვას ფეხსაცმელზე წვერი წამოჰკრა და „კლასებზე“ ასკინკილით გადარბენა მოისურვებდა. — „წვერი იქვე შედგა, „ო, ახლა ჩემთვის ალბათ არ შეიძლება!“ — წამოიძახა შეცბუნებულმა და ლოყებზე სიწითლემ გადაჰკრა. ვინ იცის, მაშინ იქნება მართლაც მაისის პლაკატივით დაშაქრულსა ჰგავდა ყველაფერი (მე, რა თქმა უნდა, ლურჯად გამჰვირვალე განაფხულის კამკამა ცა და მწვანედ ხასხასა ფოთლები მაქვს მხედველობაში), მაგრამ აგნესის მოულოდნელი შეცბუნება მაინც ამაღელვებლად და გულის ამაჩუყებლად გამოიყურებოდა. აი, სწორედ ამ დროს იყო, მარგიტმა რომ მოირბინა და მითხრა, პეეტერი სასწრაფოდ ჰადრაკის სათამაშოდ გიხმობსო, ეს „სასწრაფო“ გამოძახება რასაკვირველია ავის მომასწავებლად მენიშნა და დაუყოვნებლივ მისკენ გავეშურე.

ჩემი აჩქარებით ოდნავ განაწყენებული აგნესი პარკში დავტოვე და ვთხოვე საღამოს ისევ მოსულიყო. „იცი, აქ ერთი მძიმე ავადმყოფი გვყავს... ნერვიული...“ — ავლულლულდი მე, მაგრამ სანამ სათქმელს თავს მოვუყრიდი, აგნესი წავიდა. წავიდა კვირა დღის ქალაქში, ჯანმრთელ ხალხთან, კაცებთან, რომლებიც უკვე სახელოდაკაპიწებულ თეთრ ხალათებში დასეირნობენ, უპიჯაკოდ...

პეეტერის სასთუმალთან პუშკინის ლექსების კრებული იღო.

— ღვთაებრივი ლექსებია! ეს წუთია გადავიკითხე, — მიჩურჩულა პეეტერმა. წიგნი მართლაც იყო გადაშლილი ერთ-ერთ გვერდზე, მაგრამ მაინც ვიგრძენი რომ ცრუობდა.

...გავფრინდეთ ზღვისკენ და ლაევარდის ფერებთან,
სად მე და ნიავი ვსეირნობთ ერთად...*

დიახ, ეს იყო სტრიქონები პუშკინის „ტუსალიდან“... და ჩემს ხსოვნაში მოულოდნელად ბავშვობისდროინდელი მოგონება ამოტივტივდა: ჩაბნელებული აივანი, ტანვარჯიშის ბინძური ლეიბების ტკბილ-მწარე სუნი და ცრემლების გემო. თუმცა დღეს ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.


— ხედავ, რა ყოჩაღად მიჭირავს თავი?. ახლა ნემსს გამიკეთებენ და მერე ჰადრაკსაც ვითამაშებთ... — ტკივილებისაგან გაწამებული პეეტერი მარცხენა ხელისგულს ფრჩხილებით ჩაფრენოდა და თითქოს დასასტვენად ემზადებო, ნახევრად მოკუმული ტუჩებით ჰაერის შესუნთქვას ცდილობდა.

მარგიტმა შპრიცი მოიმარჯვა და იმ უკანასკნელი მოწყალებით გაავსო, რომლითაც ერთ ადამიანს შეუძლია შვება მოუტანოს მეორეს. მოულოდნელად შევამჩნიე, რომ მოწყალების დას პანტოპონის ნაცვლად ხელში მორფის ამბულა ეჭირა.

— ეს ვიტამინების ხსნარია, — ისევ მიჩურჩულა პეეტერმა. დაყინებულ მზერას არ მაცოცხლებდა. ნახევრად მოკუმული ტუჩებით ჰაერს ხარბად ისრუტავდა და მუხლების კრუნჩხვაგარეული მოძრაობით ზეწარს ისე ქაჩავდა, თით-

* თარგმანი პაოლო იაშვილისა.

ქოს ფრთხილობდა, ისიც სადმე არ გაუჩინარებულობო. პეეტერი ტკივილებსა-
გან იკლავებოდა... და მე კიდევ ერთხელ მივხვდი, რა საძაგლობაა სიკვდილი.
დიახ, სიკვდილი ისეთი საძაგლობაა, რომელიც საბრალო პეეტერმაც კი ვერ
შენიღბა.



— ვიტამინი ც, ბ... გლუკოზა... — ბუტბუტებდა პეეტერი.

მახსოვს, თავიდან როგორი წინააღმდეგი იყო ნარკოტიკების მიღებისა.
ამასაც, რასაკვირველია, საკუთარი თავის გმირად წარმოსაჩენად სჩადიოდა.
არადა, დარწმუნებული ვარ, თვითონაც მშვენივრად იცოდა, რომ ამ ბოლო
ხანებში სწორედ ნარკოტიკების წყალობით ედგა სული, მაგრამ საკუთარი თავისადმი
ერთგულებას მაინც ბოლომდე ინარჩუნებდა. დიახ, პეეტერი შეიძ-
ლება მართლაც გმირი იყო, ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ სწორედ მისი
ლამაზი სიკვდილი გახლდათ ყველაზე უშნო და ამაზრზენი იმ სიკვდილთა შო-
რის, რასაც მე შევსწრებივარ.

საშხაპეში შევედი. სიბნელეში დანესტიანებულ ძელსკამს მივაგენი და
ჩემად ჩამოვჯექი. ცხვირში ქლორის მძაფრი სუნი მილიტინებდა. მოშლილი ონ-
კანიდან წყალი მოწვეთავდა.

პეეტერი მეორე დღეს გარდაიცვალა.

8.

ის, რაც გუშინწინ ჩავწერე, სრული სიმართლეა. ბოლო ხანებში აგნეს-
თან დაკავშირებით მართლა ისეთი უმნიშვნელო წვრილმანები მაგონდება,
დღე ხნის დავიწყებული რომ მეგონა.

აი, ახლაც, ლეოპოლდის ნახატს რომ ვათვალისწინებ (იმ აკვარელს ვგუ-
ლისხმობ, რაზეც მხატვრული გამონაგონის ნიშნად ყვითელი ჩიტია ტოტზე
წამოსკუბული) მაინცადამაინც ის მაგონდება, თუ როგორ იზუთხავდა აგნესი
ნუადამისას ხელოვნების ისტორიას ლოგინში...

მართალია, ჩვენ ცალ-ცალკეც საკმაოდ ხშირად ვწოლილვართ, მაგრამ ისიც
უნდა ითქვას, რომ გამოცდების წინა დამეს ერთად წოლა, აგნესისათვის უფ-
რო სასარგებლო იყო. მე მას უცხოური სახელების წარმოთქმაში ვეხმარებო-
დი. ღამის ნათურა დილამდე კი ენთო, მაგრამ აგნესის მონოტონური ბუტბუტი
„თავგანწირვის“ გრძნობას მიმძაფრებდა და, რაც მთავარია, იავნანასავით ჩა-
მესმოდა, მით უმეტეს, დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ჩემი „თავგანწირვა“
აგნესს ძალზედ სიამოვნებდა.

იმ დამეს სამ საათზე გამეღვიძა და ვერაფრით ვერ დავიძინე. ხან ღამის
ნათურა მაჭყიტებდა თვალეებში, ხანაც აგნესის ბუტბუტი მიშლიდა ნერვებს.
ახლა უკვე ისიც მალიზიანებდა, ეს გათხოვილი ქალი ასჯერ გადაღეჭილ მასა-
ლას გამოცდებით დაფეთებულ მოსწავლესავით რომ იზუთხავდა.

— „...სიცოცხლის უკანასკნელიწლებივინსენტვანგოგმაარლისახლოსგაატა-
რა, — ხმადაბლა ბუტბუტებდა ჩემი ბეჭითი ცოლი, — მისშემოქმედებაში
სამუდამოდ დამკვიდრდაათასრვაასოთხმოცდაექვსწელსპარიზშიარჩეულიხატვის-
შანერარაცაისახაკიდევცმისმრავლრიცხოვანპეიზაჟებსადანატიურმორტეებშისულ
უფრონერვიულიდადაძაბულიხდებავინსენტვანგოგისმონასშირაცთავისმზრიარა-
ვითარკავშირშიარუნდაიყოსმისფსიქიურდაავადებასთანრისგანაცათასრვაას...“

გადახდილი ზეწრიდან აგნესს მარცხენა ფეხის თითები მოუჩანს. მეორე თითი ოდნავ მოღრეცილია. ვიწრო ფეხსაცმელმა იცის ასე.

— დაგრებილი ფეხებიც იმავე წელს გაუსწორდა?

— შენ რა, არ გძინავს? დაგრებილი ფეხები ვან-გოგს ^{ქიარა, ტულუზ-ლოტრეკს} ჰქონდა, რომელიც... რომელიც (აგნესი რალაცას ^{გეგნებდა}) რომელიც ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობაში დაეცა სასახლეში და სამუდამოდ დაიზიანა ხერხემალი, — მოსწავლესავით ჩამიკაკლა აგნესმა.

— აბა თუ მეტყვი, სად იყო ეს სასახლე? — გამომცდელად ვკითხე მე.

— სასახლე? სასახლე... ახლავე ვნახავ...

— როგორ თუ ნახავ! ეს ხომ ყველა ნორმალურმა ადამიანმა უნდა იცოდეს!

— ალბათ ძალიან გიშლი ხელს, არა? — მზრუნველ დედასავით მკითხა აგნესმა.

— რა ერქვა იმ ფეხმორღვეულ კაცს, სასახლეში რომ დაეცა? — მკაცრად ვკითხე მე.

— არაფერიც! სანამ დაეცემოდა სრულიად სწორი ფეხები ჰქონდა. ყველაფერი წაქცევის შემდეგ მოხდა, — ალერსიანად განმიმარტა აგნესმა, — ეტყობა გეძინება და იმიტომ აურიე ყველაფერი.

— რა ერქვა-მეთქი იმ კაცს! მიპასუხე, რომ გეკითხები!

— რა ერქვა და, რა თქმა უნდა, იმ კაცს ერქვა, იმ კაცს ერქვა ანრი დე ტულუზ-ლოტრეკი.

— მერე განა მისი სახელი არ გეუბნება სადაურიც უნდა ყოფილიყო? შენისთანა სტუდენტს არასოდეს ნიშანს არ ვალირსებდი.

— შენ თუ ასე შემოიშალე ხელი, მეტს არც უნდა ველოდე.

განაწყენებულმა აგნესმა ისევ თავის კონსპექტებში დაიწყო ქექვა. მე არ ვეშვებოდი. გვართ უნდა გამოგეცნო-მეთქი, ჩავჩიჩინებდი. ეს ხომ ყველაზე ჩამორჩენილმა ინტელიგენტმა იცის-მეთქი... — როგორ გეკადრებათო, ტულუზში კი არა, ზემო-გარონის მახლობლად დაიბადაო, ხაზგასმული თავაზიანობით მიხსნიდა აგნესი.

— ასე რომ, შენ მე ვერ ჩამჭრი! — შესძახა ბოლოს თავდაჯერებით.

— კარგი. აბა იმას თუ მეტყვი, რატომ მოაჭრა ანრიმ ყური თავის მეგობარ გოგენს? — ვკითხე მე, თუმცა ვიცოდი რომ ვტყუოდი.

— ე, რას ამბობ, ყური ხომ თვითონ ვან-გოგმა მოათალა...

— რაო, რაო?! ე. ი. ვან-გოგმა მოათალა ყური ლოტრეკს? გადასარეგია! მეტიმეტად მოსაწონი საქციელია, ღმერთმანი. ეს ადგილი ისე უნდა დაიზუთხო, ძილშიც რომ ვკითხონ, არ უნდა შეგეშალოს, — თანდათან გავმხიარულდი მე.

— არა, ლოტრეკს კი არა... ვან-გოგი რა შუაშია... თუმცა ვან-გოგი იმ შუაშია, რომ ლოტრეკს კი არ მოაჭრა, თვითონ მოითალა საკუთარი ყური...

— ოო, ახლა უკვე არა უშავს. და საერთოდ, რომ იცოდე, როგორ მიხარია, ჩემი ცოლი რომ ასეთ საინტერესო რამე-რუმეებს სწავლობს.

აქ კი მართლა ძალიან გაცეცხლდა აგნესი. ბალიშებზე წამოჯდა. მეორე საწოლზე გადავწვებიო, დამემუქრა. ყოჩაღ-მეთქი, შევაქე, შენ რომ არ დაგესწრო, მე თვითონ უნდა გადავწოლილიყავი-მეთქი. თუმცა მაშინვე შემეცოდა. იაპონურ ღამის პერანგში გამოწყობილი ქალი რომ მხოლოდ იმისათვის

გაიტეხავს ძილს, რაც შეიძლება კარგად დაიზუთნოს, ვის და რატომ მოუხდა საკუთარი ყურის ჩამოთლა, სასაცილოა აბა რა! საბრალო ვინსენტ ვან-გოგს, რასაკვირველია, აზრადაც არ მოუვიდოდა, მის ყურთან დაკავშირებულ ამბავს ოთხმოცი წლის შემდეგ ცოლქმრულ საწოლში თუ განსჯიდნენ... მაგრა... როგორ მიაჩნდა მან პაპიროსის ქალაქში გახვეული ყური თავის საყვარელ ბორდელში და ა. შ.

კითხვისა და უძილობისაგან აგნესს თვალები ჩასწითლებოდა. თმაში ჩაწნული წვრილი ბაფთებით სწორედ რომ მძინარე გორგონას მაგონებდა.

— გეყოფა, აგნეს, ხომ ხედავ, ისედაც ყველაფერი იცი, დაეძინოთ— დანაშაულის გამოსყიდვა ვცადე მე.

— წავალ, დივანზე გადავწვები! მერე რა, რომ გაციებული ვარ! მერე რა, რომ იქ ბნელა!.. — ტანკის ქვეშ შემხტომი კაცის შეუპოვრობით განმიცხადა მან.

წუთიც და ის უკვე ოთახის მეორე კუთხეში იწვა. ღამის ნათურიდან მოლურჯო სინათლე იღვრებოდა. აგნესმა ფეხები ფოსტლებში წაჰყო და ის იყო ჩაის მოსადუღებლად სამზარეულოსაკენ უნდა წასულიყო, რომ სწორედ ამ მომენტში, ღეგას რომელიღაც ბაღერინა გამახსენდა. გასაკვირიც არაა, გამოცდების პერიოდში ხომ მთელი ოთახი მხატვრული ფოტოებით იყო აჭრელებული.

— კარგი რა, აგნეს! თუ ასეა, ამიერიდან კბილს კბილზე დავაჭერ და საერთოდ ხმას არ ამოვიღებ... მოიცა, მოიცა, აბა თუ მიხვდები, ახლა ვის მაგონებ? აი, ახლა, ასე რომ დგახარ.. — ათასი ბოდის მომხდელი ხმით კვითხე მე.

მართალია, აგნესი დიდი მონდომებით კი ღუმდა, მაგრამ გვარიანად შეცივებული რომ ჩემთან დაბრუნებას აპირებდა, არც ეს იყო ძნელი მისახველრი.

— კეთილი, მე თვითონ გაგახსენებ. იცი, ღეგას აქვს ერთი ასეთი... ო, ო, ახლა უკვე არა! აი, ზურგით რომ იდექი, იმ პოზაზე გეუბნები. აბა თუ გაიხსენებ, რა ჰქვია იმ ნახატს? კი, კი, შენ ეს იცი...

აგნესი ჩაფიქრდა. ახლა მას მართლაც ბავშვური სახე ჰქონდა.

— მერე ის განა ღეგასია! იქ ხომ აყვავებული ალუბალიცაა, მარცხნივ... აი, აგერ არ არის! გოგენი — „ტაიტელი ქალები ზღვის სანაპიროზე“. ღეგა და გოგენი აგერია, ჩემო კარგო, ერთმანეთში...

ამის თქმა და ჩემს ზეწარქვეშ აგნესის შემოცურება ერთი იყო. დიახ, აგნესმა ტაიტელ ქალებთან მსგავსება არჩია და ამით კიდევ ერთხელ დამიმტკიცა, რომ იგი საკუთარ თავს ჩემგან განსხვავებულად აღიქვამდა. მართალია, აგნესსაც გრძელი და მუქი თმა აქვს, მაგრამ მის სახის კანს არაფრით ყვითელი არ ეთქმის!..

— „...სულუფრონერვიული და დაძაბული ხდება ვინსენტ ვან გოგის მონასში-რაც თავის მხრივ არავითარ კავშირში არ უნდა იყოს მის ფსიქიურ და ავადებასთან რის განაცათასრვაას...“

საოცრად მსუბუქ სიზმარში ვიძირებოდი. ჩაბნელებულ ქუჩაზე ნიკაპდაგრძელებული კაცი გადადიოდა... ხელში ვარდისფერი მარციპანის უზარმაზარი ყური ეჭირა. ბოლოს ის კაცი ცაში აფრინდა.

9.

ისევ სალამოა. მე ისევ სასუქის გროვასთან მიგდებული ლურსმნების ცარიელ ყუთზე ვზივარ. ახლაც რკინიგზის მიწაყრილთან შეჯგუფებული ატყების სიმღერა და მოსახვევში აღრქიალებული ტრამვაის ხმა მოსისძის ყოველ შვიდ წუთში. ყველაფერი ჩვეულებრივად ირგვლივ...

აგნესი კი მწერდა, აწი ყველაფერი შეიცვლებაო... უკვე მამა გახლიო...

სხვათა შორის, „უკვე მამა გახლი“ მეტიმეტად მაღალფარდოვნად ეღერს! მე უფრო უბრალოდ ვიტყვოდი. თუნდაც აი ასე — „მე შემეძინა ბიჭი“. ამ ორ გამოთქმას შორის კი, რა თქმა უნდა, დიდი სხვაობაა. ვინ უნდა გავხდე ამიერიდან მე?! აწი მე არავინაც არ გავხდები! მხოლოდ და მხოლოდ იმად ვიქცევი. რასაც ყოველდღე ვუახლოვდები...

დიახ, ბიჭი შემეძინა! ბიჭი და მერე როგორი ბიჭი! პერანგში, ბატონო, პერანგში! როგორც მთავარმა ექიმმა ამიხსნა, ეს თურმე მედიცინის ენაზე ნაყოფის გარსთან ერთად დაბადებას ნიშნავს. აი, ხალხში რომ ქუდბედნიანს ეძახიან. ერთხელ კვიცის დაბადებას შევესწარი, ასე რომ, ამისთანა რაღაცებზე ცოტაოდენი წარმოდგენა მეცა მაქვს.

აგნესმა ისიც კი მომწერა, მოხუცი ბებიქალი „პერანგის“ გაშრობას და შენახვას დამპირდაო... სწორედ ეს „პერანგი“ მოუტანს ჩვენს შვილს დიდ ბედნიერებასო... ჩვენი ბიჭის ყველაზე დიდი ბედნიერება კი მამიკოს ჯანმრთელობა იქნებაო და ა. შ. მისი წერილიდან გამომდინარე დღეიდანვე ჩემი ბიჭის მაღლიერი უნდა ვყოფილიყავი.

ღმერთო ჩემო, როგორ დამიჩლუნგდა აღტაცების გრძნობა! იმის მაგივრად, რომ სიხარულით ცას ვეწიო, თავი შავბნელი აზრებით მევსება... ამის გამო თუა, რომ ოდნავ შესამჩნევი შიში მეუფლება ხოლმე. ეს არის და ეს. არადა, სწორედ ეს „ოდნავაა“ რომ მაწუხებს... და კიდევ ის, წარამარა კვიცის დაბადება რომ მახსენდება.

შვილის გამოსაყვანად მიმავალი მამების უმრავლესობა გადაკრულშია. ბიჭის მამას ყვავილებთან ერთად ლურჯი საბანი უჭირავს ხელში, გოგოს მამას — ვარდისფერი. წესი წესია. სამშობიაროს წინ მანქანა დგას. შედარებით კეთილშობილი ტაქსის მძღოლები ანტენის წვერზე თეთრი აბრეშუმის ბაფთას აბნევენ.

ლურსმნების ცარიელ ყუთზე ვზივარ, საცაა მოსახვევში ტრამვაი აღრქიალდება.

ისევ ჭინჭრებს შორის მივაბიჯებ. ისევ ცივად მეჩვენება ეს მსუსხავი მტენარე... საავადმყოფოს ყველა ფანჯარა გაჩახჩახებულია და მე ვიცი, რომ ერთ-ერთ პალატაში ახლა კვდება ბიჭი! აი, ის, ფრჩხილებგადაღებილი, მე რომ სულ მამათმავალი მეგონა. კაზაკურად ულვაშებგადაგრეხილმა ჩვენმა მეეზოვემ ამ დილით მის პალატაში ჟანგბადის რამდენიმე ბალონი შეაგორა და, ნეტავ კიდევ რამდენი დაგვჭირდებაო, ჰკითხა მარგიტს. მარგიტმა რაღაც უპასუხა, მეეზოვე ჭირვეულად აბუტბუტდა... მე კი ბიჭი შემეძინა! ბიჭი და მერე როგორი ბიჭი — ქუდბედნიანი! ნეტავ აგნესმა რა სახელი შეურჩია?

მომაკვდავი ბიჭის პალატის წინ ჟანგბადის ბალონს მტვერს აცლიან... საავადმყოფოში სანიმუშო წესრიგი და სისუფთავე უნდა სუფევდეს. სამშობიაროშიც უსათუოდ ასევე იქნება. ჟანგბადის ბალონები იქაც ექნებათ... ჩვი-

ლებისაგან ყველაფერია მოსალოდნელი. სამშობიაროში, რამდენადაც ვიცი, ძირითადად ტრავმები და ანთებითი პროცესებია გახშირებული. იმედია, ჩემს ქუდბედიან ბიჭს არაფერს გაუჭირვებენ.

ჩაბნელებულ ხეივანში კაცის ჭაჭანება აღარაა. „იმედია, ჩემს ქუდბედიან ბიჭს არაფერი გაუჭირდება...“ — ვბუტბუტებ უკაცრიელ ხეივანში და აგნესზე ფიქრი არ მცილდება. ვინ იცის, ახლა იქნებ მარცხენა ფეხზე ზეწარი დაუტყურდა და ვიწრო ფეხსაცმლისაგან მოკაკული მეორე თითი გამოუჩნდა!..

ძელსკამზე ვჯდები. მაშ ასე, მე უკვე ბიჭი მყავს. ღმერთო ჩემო, რა შორსაა ეს სიახლე ჩემგან! კი, მე თითქოს ყველაფერს ნათლად, ზედმიწევნით ნათლად ვხედავ, ოღონდ... ოღონდ, როგორც უკუღმა გადაბრუნებულ საველე დურბინდში...

და სრულიად მოულოდნელად მახსენდება, რომ სამშობიაროში ერთხელაც არ დამირეკავს! ერთხელაც!

ძელსკამს ცივი საზურგე აქვს. ცივი და რალაცნაირად უკარება... რა მოხდა მერე, რკინა რის რკინაა, ცივი თუ არ იქნა-მეთქი, ვიმშვიდებ თავს. სიცივე ხომ თვით რკინის გულშია ჩაბუდებული-მეთქი და ა. შ. ახლა ამ უთავბოლო ფრაზებს ვჩურჩულებ და საავადმყოფოსაკენ მივემართები. მაშ ასე, დღეიდან მე მამა ვარ!..

ფილტვის კიბოთი დაავადებული ბიჭის პალატასთან უკვე ცარიელი ბალონი დგას.

ჩემს ოთახში შევდივარ. ჩვეულებისამებრ ფანჯარას ვაღებ, მაგრამ სიცივე მაწუხებს და უმალ ვკეტავ. იდაყვებით ფანჯრის რაფას ვეყრდნობი და თვალშეუდგამ სიბნელეს ვაშტერდები.

როგორც იქნა, გამახსენდა! აი, თურმე რატომ მეჩვენება ჭინჭარი ცივ მცენარედ!..

მახსოვს ერთხელ ბავშვობაში მე და ერთი სოფლელი ბიჭი კიბორჩხალების დასაჭერად წავედით. დავანთეთ კოცონი და საქმეს შევუდექით, ის ღამე სამუდამოდ დამამახსოვრდა... მდინარეს ორთქლი ასდიოდა, წყალში ჩამდგარი ბიჭი სორო-ღრუებიდან კიბორჩხალებს ეჭაჩებოდა... ბოლოს კიბორჩხალებიანი ტომარა საბძლის წინ დაედგით და შიგ ახალდაკრეფილი ჭინჭარი ჩავტენეთ. თურმე კიბორჩხალები ჭინჭარში გრილადაც არიან და საკმაოდ დიდხანაც ცოცხლობენ. დილით, სათივედან რომ გამოვძვერი, გავიხედე და რას ვხედავ — ამ ჩვენს კიბორჩხალებით სავსე ტომარას სულ ხრაშუნაში არ გაუდის! მახსოვს, ირგვლივ სქელი ნისლი იწვა. მე საბძლის უკან ღამის შარდისაგან თქრიალ-თქრიალით ვთავისუფლდებოდი და თან იმის წარმოდგენას ვცდილობდი, რა გრილად, რა კარგად, რა გადასარევად გრძნობდნენ თავს ჭინჭარში შეხვეული ჩვენი კიბორჩხალები. მერე რა, რომ მეორე დღესვე შევწვით და შევახრამუნეთ, სამაგიეროდ, მთელი ღამე ქორფა ჭინჭარში ნებივრობდნენ.

ისევ ფანჯარასთან ვდგავარ. დიახ, ახლა მეც კიბორჩხალებით სავსე ტომარა ვარ... ვინ იცის, იქნებ ცოტ-ცოტას ვხრაშუნებ კიდეც... ოღონდ, განა მეც ხვალვე შემწვავენ და შემახრამუნებენ!

ეინუღლაეს. ფანჯრის მიწას წვიმის წვრილი წვეთები ასხდებიან. ღმერთო ჩემო, რამდენი წელია არ მიტირია!.. და ახლა არც კი ვიცი რა ვუწოდო ამ

ცრემლებს... ბედნიერების? მწუხარების!.. არადა, დღეს ხომ ჩემი ბიჭი მოვე-
ლინა ქვეყნიერებას, ჩემი ქუდბედიანი ბიჭი!

გულში ვლოცულობ და ვცდილობ მხოლოდ ღმერთზე, ვიფიქრო... ღმერ-
თი შორსაა და, ეტყობა, მე მასაც გადაბრუნებული ღურბანი ვხედავ... მაგ-
რამ, რაც მთავარია, ვხედავ!

ბიჭ-ლიცხეა

ლამეა. წვიმს. ახლა უკვე ფანჯრის მინაზე მსხვილ-მსხვილი წვეთები იღვ-
რება და მე და ფანჯარა ერთად ვქვითინებთ.

10.

ორგანულ შენადნობთა სპეციალური ლაბორატორია, რომლის შექმნასაც
მთელი ორი წელი მოვანდომე, გასაუქმებლადაა განწირული, მხოლოდ ერთად-
ერთი სექტორი დარჩება და ისიც მეფიქალეთა განმგებლობაში. ეს ამბავი
დღეს ჩემმა ყოფილმა მთავარმა ინჟინერმა გენადიმ გამაგებინა. გენადის აღშ-
ფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, ვუსმინე, ვუსმინე და ისე შემეცოდა, კინაღამ
წამომცდა, ეს ყველაფერი კარგა ხანია სულ ფეხებზე მკილია-მეთქი. თუმცა
დიდი ყოყმანის შემდეგ, როგორც იქნა, თავს მოვერიე და კრინტი არ დამიძ-
რავს.

საავადმყოფოს პარკში ვისხედით. ის თავისას მიერეკებოდა, მე ჩემს გაცი-
ვებულ წვნიანზე ვფიქრობდი. მერედა, რომ იცოდეთ, როგორ არ მიყვარს გა-
ცივებულ რძის წვნიანზე მოყენებული ცხიმი! ვანა არ ვიცი, რომ ეს ნალები,
რძეში არსებული ყოველად უწყინარი ნივთიერებისაგან, პარაფინისაგან წარ-
მოიშობა, მაგრამ მაინც მეზიზღება და რა ექნა. გენადისთან, რასაკვირველია,
არც ამას ვამო დამიძრავს სიტყვა. თვითონ კი თავის რუსულ-ესტონურ ენაზე
იმდენი იქაქანა, იმდენი, სანამ მოტვლებილი თავის კინკრიხოც არ გაუოფლი-
ანდა. სასაცილო სანახავი იყო: დამიძრობდა გენადი ჯიბიდან ლურჯ ცხვირსა-
ხოცს. ვადიხვამდა ოფლით დაცვარულ თავზე, მაგრამ რად გინდა, ოფლი ისევ
და ისევ მოჟონავდა. მეც სხვა რაღა დამრჩენოდა, უნებლიეთ ფიზიკის იმ კა-
ნონს ვიხსენებდი, რის თანახმადაც თბილ ოთახში გაყვანილი ცივი წყლის მილე-
ბაც გენადის თავივით ნესტიანდება ხოლმე.

გენადის დაშოშმინება შეუძლებელი იყო, ამ თავფქვილა ხალხთან ყოფნას
სოფელში წასვლა და ჩვენს საწარმოო საამქროში დაბალხელფასიან მუშად
მუშაობა პირჩევნიათ, განშიცხადა, მუშად წასვლა რამ გაფიქრებინა-მეთქი, შე-
ვეკამათე მე. თუ მაინცდამაინც სოფელში გამგზავრება გაქვს გადაწყვეტილი,
იქ ხომ ჩვენს ახალ საწარმოო ბაზას აგებენ და უკეთეს ადგილს გამოანახავ-
მეთქი. ვაითუ იქაური მშენებლობაც შეწყვიტონო, ექვი გამოთქვა გენადიმ,
აჰ, არამც და არამც ეს არ მოხდება-მეთქი, შევაგულიანე მე. იქ ხომ პერბიცი-
დების უზარმაზარი კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს, რისთვისაც ახლა-
ხან დამატებითი სახსრებიც კი გამოჰყვეს და ადვილი შესაძლებელია, იქაც
მთავარ ინჟინრობას გამოჰკრა ხელი-მეთქი, რაც შემეძლო დავაიმედე გენადი,
მაგრამ ის მაინც თავისაზე იდგა. ქვეყანა რომ დაიქცეს, მაინც უბრალო მუ-
შად წავალ და მაგ უსინდისოებს ასე გადავუზღი სამაგიეროსო...

ვინ იცის, ავად რომ არ გავმხდარიყავი, იქნებ მეც რაიონში წავსულიყა-
ვი სამუშაოდ. ქვას გავხეტქავდი და ჩემს ლაბორატორიასაც იქ გადავიტანდი.

სხვა თუ არაფერი, ამით ვარგამიანელ ინდრეკს* მაინც მივბაძავდი. ლექსი ზომ სწორედ იმ დაბაში შენდება, სადაც მე დავიბადე. რას უკვე ყველაფერი თავდაყირა დადგა, ახლა ჩემს სოფელში, ჩემ გენადი და მისი ცოლი ზოია ჩასახლდებიან თავის სამ შვილთან ლაზე მეტად სწორედ ამ სურათის წარმოდგენა მზარავდა!.. ჩემი სკოლა, ჩემი მდინარე, ჩემი ნასახლარი... თფუ! ეშმაკმა დალახვროს, მაინც რას უგავს კბილები ამ გენადის! ნუთუ ასე ძნელია მათი წესრიგში მოყვანა!

დავიღალე-მეთქი, გამოვუტყდი ბოლოს და ბოლოს გენადის, თუ საჭიროა, თუ კიდევ გამოვა რამე, თუ ღირს დავიდარაბად, სამინისტროში მივწერ-მეთქი და ა. შ. გენადი გაოცებით შემომაჩერდა და ერთბაშად მომჩვარულმა ბოდიშიც კი მომიხადა, დიდი დრო წაგართვით, თან პამიდორებით სავსე ცელოფანის პარკი შემომაჩეჩა ღიმილით, ჩემი ზოიას მოწეულიაო. ყვითელ-მწვანე პამიდორებმა დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე. ერთადერთი პამიდორი ჩანდა წითელი და ისიც გაჭყლეტილიყო ჩანთაში.

გენადის რომ გამოვემშვიდობე, მართლაც გვარიანად დაღლილი ვიყავი. იგი საავადმყოფოს ჭიშკართან შედგა, უკან მოიხედა, რაღაცის თქმაც უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა და ისე უხერხულად დაიხარა, თითქოს ფეხსაცმლის ზონარს იბნევდა.

საღამოს ისევ გამოვედი ეზოში. ისევ ვერხვის ძირში ჩამოვჯექი. გენადის მიმართ გამოჩენილ გულგრილობას ვნანობდი. კარგი იქნებოდა, ცოტა უფრო გულთბილად და ყურადღებით მოვპყრობოდი, მაგრამ ხანდახან ადამიანს ამის თავიც აღარა აქვს...

თავდაპირველად, ჩემი თანამშრომლები სხვადასხვა საფინანსო ანგარიშებსაც კი მიგზავნიდნენ საავადმყოფოში, მაგრამ გამოხდა ხანი და საფინანსო ანგარიშები სამედიცინო ლიტერატურაში აირივნენ... დიახ, მე უკვე „საგარეო პოლიტიკა“ აღარ მაინტერესებდა! (ამ ბოლო ხანებში „საგარეო პოლიტიკას“ ვეძახი ყველაფერს, რაც ჩემს ავადმყოფობასთან არ არის დაკავშირებული) ახლა, ასე ვთქვათ, მთლიანად „საშინაო პოლიტიკაში“ ვარ ჩაფლული. ჩემს მდგომარეობაში ჩავარდნილი კაცისათვის ეს სავსებით ბუნებრივი მოვლენაა.

საოცარია პირდაპირ! — ჩვენი ლაბორატორიის გაუქმება და სექტორად დაქუცმაცება, მგონი, სასიამოვნოდაც კი მიღიტიინებს... ნუთუ ეს შეგრძნება სასტიკი იმპერატორის იმ ბოლო სიხარულსა ჰგავს, ბრძანებას რომ გასცემს, ჩემს ქვეშევრდომებს თავები წააწყვიტეთ და საფლავში ჩამატანეთ?! არა მგონია. არც უხამსი ყოყლოჩინობის ბრალი უნდა იყოს — აი, ხომ ხედავთ, უჩემოდ საქმეს თავი ვერ გაართვით, აბა როგორ გეგონათ-მეთქი, ნიშნის-მოგებით რომ მეფიქრა... მაშ, რაღა უნდა ყოფილიყო ამ სასიამოვნო შეღიტიინების მიზეზი?! დიდი ფიქრისა და თავის მტვრევის შემდეგ ასეთ დასკვნამდე მივდი: კი, თავიდან ამ ცუდმა ამბავმა, რა თქმა უნდა, მეც დამამწუხრა, მაგრამ ბოლოს იმაშიც დავრწმუნდი, რომ სიცოცხლის მიწურულს თურმე ყველაზე სანუკვარ საქმეებში ხელის მოცარვამაც არ უნდა წაგახდინოს კაცი. მით უმეტეს, სწორედ ამნაირი შთაგონებით ეზიარები მომაკვდავისათვის სასურველ იმ ერთადერთ თავისუფლებას, რომლის წყალობითაც მგონი იმ ქვე-

* ესტონელი კლასიკოსის ა. ტამსაარეს რომანის („სიმართლე და სამართლიანობა“) პერსონაჟი.

ყანაში გადაბარგებაც არ უნდა იყოს მაინცდამაინც შემზარავი. ეს დანამდვი-
ლებით ასეა თუ არა, კაციშვილმა არ იცის, მაგრამ ამით არაფერი იცვლება...

აქეთ ვერხვის მომწარო სურნელი იფრქვევა, იქით ბუზები ბზუიან...
„აქეთ საცხედრე, იქით ვერხვები... ბუზის ბზუილში დაიწყებენ...“ რა, ცუდი
რითმაა თუ? რითმა იქით იყოს და რაოდენ სასიამოვნოა... აბეზარ
ბუზებს გამოფულუროებული, ნახევრად გამხმარი ვერხვი უფრო აინტერე-
სებთ, ვიდრე მე... ჭერჭერობით!

ეჰ, გენადი, გენადი! ჩემო კარგო, ჩვენ უკვე რაღა დაგიმალო და ფეხებ-
ზე გვკიდია შენი გასაჭირი... ჩვენ უკვე თანდათან ვხმებით... ხომ ხედავ, გვერდ-
გამომპალ ვერხვს უკვე კანიც ძვრება!..

გამოფულუროებული ვერხვის აქა-იქ ახლჩილ კანქვეშ მწერებისა და ჭია-
ლუების საოცარი სიცოცხლე დულს და გადმოდულს. ვაკვირდები და გული
მწყდება, რომ მწერების შესახებ ასე ცოტა რამ ვიცი. ჭარხლის ძირების მკა-
მელ ხოჭოებს მე ერთხელ უკვე მოვევლინე საშინელ დემონად. სხვათა შორის,
თუ სადმე სამართალია, არც მცენარეთა ტილებმა უნდა მომიგონონ მაინცდა-
მაინც დიდი სიყვარულით. მართალია, ჩვენ მიერ შექმნილმა მათმა გასანადგუ-
რებელმა პრეპარატმა იმედები ვერ გაგვიმართლა, მაგრამ მაინც, და მიუხე-
დავად ამისა, მწერების საკითხში წმინდაწყლის დილექტანტი ვარ. მწერების
წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენს ლაბორატორიაში ორ ბიოლოგს ჰქონდა დავალებ-
ბული. აბა მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს იმდენი თა-
ვისუფალი დროც დამრჩებოდა, ბუჭყების ცხოვრებაშიც გავთვითცნობიერდე-
ბოდი და ისიც აქ, ჩვენი საავადმყოფოს ბაზაზე! რასაკვირველია, ამ ერთ ცი-
და, მოუსვენარ მწერსაც თავისი არისტოკრატულ-ლათინური სახელი ექნება,
(რომლის შესახებ, იმედი უნდა ვიქონიოთ, საბრალო ბუჭყას წარმოდგენაც არა
აქვს), ესეც აუცილებლად რომელიღაც სახეობას, ჯგუფსა და ოჯახს განეკუთ-
ვნება. ხოლო მათი კიდევ უფრო უმწეო წინაპრები სადღაც შორს ზღვებისა
და ოკეანეების ტალღებში წარმოიშვნენ უსათუოდ. მილიონი წლის წინათ
ალბათ ისინიც ასევე მოუსვენრად დაფარფატებდნენ, თავდაუზოგავად შრო-
მობდნენ, ყოველწამს სარჩოს ეძებდნენ და მათზე ბევრად პაწაწინა ქინკლე-
ბით პირს იტკბარუნებდნენ... იმ საბრალო ქინკლებისათვის კი ესენი ალბათ
ისეთივე სულთამხუთავი დემონები იყვნენ, როგორც მე ჭარხლის ძირიჭამია
ხოჭოებისათვის. სხვათა შორის, მწერი, რომელსაც ახლა ვაკვირდები, დიდი
ნერვიული ვინმე ჩანს. გამუდმებით დახტის, ცახცახებს, თავს არ იზოგავს,
ერთი სიტყვით, ტიბიური სანგვინიკია. თავისი მოუსვენარი მოძრაობით მართ-
ლაც რომ მინიატურულ სტრაუსსა ჰგავს. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ პაწაწინა
ბუჭყასაც თავისი პაწაწინტელა გული და ტვინი აქვს. ის კი არა, იქნებ თირ-
კმელზედა ჯირკვლებიც კი ჰქონდეს და თეორიულად სულაც არ არის გამო-
რიცხული, რომ ეს ჩვენი სანგვინიკური ტემპერამენტის მწერიც სწორედ თირკ-
მელზედა ჯირკვლების მსხვერპლი გახდეს.

ო, რა სიმპათიურია ეს ბუჭყა! ჩემს ავადმყოფ „მე“-ს უსათუოდ დიდი სი-
ამაყის გრძნობა დაეუფლებოდა, თუკი ამგვარი ქინკლების შესახებ ყავის-
ფერ ყდაში ჩასმულ სოლიდურ მონოგრაფიას დავწერდი... თანაც, ყველაზე
უფრო ის გამახარებდა, რომ ამ მონოგრაფიას ორ-სამ კაცზე მეტი არ წაიკით-
ხავდა... სხვათა შორის, ამ ბოლო ხანებში სწორედ ისეთი რაღაცებითა ვარ
დაინტერესებული, რომელთაც არავითარი პრაქტიკული ღირებულება არ გააჩ-

ნიათ. ცდას არ დავაკლებ, რათა ამგვარ მოსაზრებათა განხილვას, რაც შეეძლება მეტი ადგილი დაეთმოს ჩემს დღიურებში.



ქართული
წიგლისათვის

11.

იმ დღეს მარგიტმა პუშკინის ლექსების კრებული მომიტანა. თურმე, ნუ იტყვიოდა, ეს კრებული აწ განსვენებულ პეტერს სიკვდილის წინ თავისი მეგობრისათვის, ე. ი. ჩემთვის უანდერძებია. მე ალბათ ამნიირი უკანასკნელი სურვილები არაფრით არ მექნებოდა. ღმერთო, შენ დამიფარე ყოველგვარი უკანასკნელი სურვილისაგან!

მგონი, ზემოთ ვთქვი კიდევ, „ტუსალზე“ გადაშლილმა პუშკინმა ჩაბნელებული დერეფანი, ცრემლების გემო და ტანვარჯიშის ბინძური ლეიბების სუნი გამახსენა-მეთქი. არადა, ახლა, როცა თავზესაყრელი თავისუფალი დრო მაქვს, მოგონებებში ჩაღრმავების მეტი რაღა დამრჩენია. მით უმეტეს, ამ დღეებში სწორედ იმ მოგონებათა თავის მოყრას შევეუდექი, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ჩემთან არიან დაკავშირებული, ერთი სიტყვით, ე. წ. „შიდაპოლიტიკური“ მემუარების დაწერა მაქვს განზრახული.

საერთო რვეულის ბოლო გვერდზე უკვე კარგა მოზრდილი ქვესათაურები მაქვს ჩამოწერილი. ეს ქვესათაურები მერე და მერე ჩემი მემუარების მთავარ ორიენტირად იქცევიან. აი ისინიც:

საკუჭნაო — ობობა — მყავე რძე — ფროიდის წაკითხვა პირველად.

ლინდა — ვარსკვლავები სხვენის სარკმელში — მე ვხდები კაცი — ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებანი — აზრები საყოველთაო ხოცვა-ჟლეტაზე.

ნავსადგური — ალტი რუსული აქცენტით — თევზის პირი — ოთახის დაგვა — ფერდინანდი — საწამლავი — ნახვრეტი წინდის საქუსლეში.

კიდევ ერთხელ ვკითხულობ ჩანაწერებს, რომელთა დაფარული აზრი მხოლოდ და მხოლოდ მე მესმის დედამიწის ზურგზე. ამის გამო იქნებ იმ ქვაწვიასაც ვგავდე, რომელიც ყოველგვარ სიხარულს მარტოდენ დალოცვილ პირად საკუთრებაში ხედავს... და საკმარისია არ გავშიფრო ამ სიტყვებში დაფარული აზრი, რომ მათი საიდუმლოც ჩემთან ერთად დაიმარხოს. დიან, ვინ მოთვლის, რამდენი სიტყვის საიდუმლოა ახლა ჩემს ხელში!.. რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ეს ყველაფერი ერთგვარ სიამოვნებასაც კი მგვრის.

ჩვენ შესახებ მხოლოდ ჩვენ თვითონ ვიცით რაღაც რაღაცები და ისიც საკმაროდ ბუნდოვნად. საკუთარ მოგონებებს არ ვუფრთხილდებით, ყველაფრის დავიწყებას ვეგუებით და იმიტომ!

დღეს საავადმყოფოს პარკში სეირნობისას იაანიკას მოვკარი თვალი. იგი ქვაზე იჯდა და მოხარშულ კვერცხს შეექცეოდა. მერე რა, რომ ნაჭუჭებს მიწაში მარხავდა. ამაში თითქოს არც არაფერი იყო განსაკუთრებული, მაგრამ ეს სურათი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ჩემს არსებაში მინავლული მოგონების შესაფრთხილებლად. კვერცხის ნაჭუჭები რაღაც შორეულსა და მნიშვნელოვანს უკავშირდებოდა. მაგრამ რას? რას? რას? აი, რის გახსენებას ვცდილობდი მთელი არსებით. რვეულის ბოლო გვერდზე ახალი ჩანაწერი ჩნდება: „იაანიკა — კვერცხის ნაჭუჭები — მიწა“. ვნახოთ, იქნებ მერე გამახსენდეს...

დღეს კი სულ სხვა მოგონების ჯერია. ვიწერ:

„გეტრები „ტუსალი“ — მე თქვენ მეზიზღებით! — „ღონა კლარა“ — ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ!“ მაშ, დავიწყეთ!

ათი წლისა ვარ, სკოლაში საზეიმო საღამოა. დედამ თმა შეაჩუქა/ გადამი-
ყო და თეთრი პომპონებიანი გეტრების ჩაცმა მიბრძანა. ეპიტელის შე-
უბრუნებლად ვასრულებ ბრძანებას. დედა გაოცებულად მიხედავს. „მეტივენი“
იცის, როგორ მეზიზღება ფეხების ეს თეთრი ფუტლარი... მაგრამ დღეს ხმას
არ ვიღებ. ჩემს დღევანდელ მორჩილებას თავისი მკაცრი ლოგიკა აქვს. განა
არ ვიცი, რომ თეთრპომპონებიანი გეტრები „დედიკოს ბიჭების“ უნიფორმის
ძირითადი ატრიბუტია, ვიცი და სხვა დროს არაფრით არ ჩავიცვამდი, მაგრამ
დღეს კვირაა! დღეს საზეიმო საღამოა... დაე დღეს ყველას სანიმუშო — სამა-
გალითო ბავშვად მოვეჩვენო! სამაგიეროდ კაციშვილმა არ იცის, რა ხდება
ჩემს სულში! „შეხედეთ, რა კარგი ბიჭუნაა, რა თავაზიანი, რა ზრდილობი-
ანი...“ — უაზრო, მამებლური ღიმილით იტყვიან ჩემზე. მე კი ამ დროს
კბილებს გავალრჭიალებ და ოთხად მოკეცილი, მოჩვენებითი მოწიწებით მი-
ვესალმები მათ. აი, რა წესიერი ბიჭუნა ვარ!.. არადა, ამ დროს ჩემზე უკეთ
არაფინ იცის, რა საცოდავად გამოიყურება ეს თეთრპომპონებიანი ბიჭი! ბიჭი
კი არა, ტიკინა, უფრო სწორად, ბიჭის კარიკატურა. განა ადვილია ენის შეუბ-
რუნებლად აძყვე უფროსების ახირებას... მაგრამ დღეს მე ამას შევძლებ! თუ
ძალიან მოვიინდომებ, შევძლებ... ამ დაძაბულ მცდელობას იქნებ გემოც კი ჩავა-
ტანო! ცოტაც დამაცადეთ! სულ მალე ისეთი ვილაცა გავხდები, ისეთი, რომ...
(მართალია, ამ წუთში დანამდვილებით ვერც მე გეტყვით, რა გავხდები
ამისთანა, მაგრამ იმდენს კი მოვახერხებ, გაოცებისაგან ყველას პირი დავა-
ღებინო) წაიშინონ მერე თავში მუშტები და იკანონონ — „ამას რას ხედავს
ჩვენი თვალები, ნუთუ ეს იმ თეთრპომპონებიანმა ბიჭმა ჩაიდინა“. დიახ, რა
კაცი გავხდები, ჭერჭერობით არაფინ იცის, მაგრამ პატივისცემითა და სიყვარუ-
ლით რომ მომეპყრობიან, ორი აზრი არ არსებობს. „თქვენო ბრწყინვალეებო“,
„თქვენო უდიდებულესობავ!“... აი, დაახლოებით ამ სიტყვებით თუ მოახერ-
ხებენ ჩემთან ურთიერთობას, და მიუხედავად ყველაფრისა, მე მათ მოვეპყრობი
ბევრად უკეთ, ვიდრე ისინი ამას იმსახურებენ! ვეცდები, ვიყო სულგრძელი
და მიმტყვებელი... ნუ გეშინიათ, მე მუდამ თქვენი მწყალობელი ვიქნები!

გუშინდელ დღესავეთ მახსოვს რა ხდებოდა მაშინ ჩემს არსებაში. უფრო-
სები უბრალოდ ვერც კი ამჩნევენ, რა იმპერატორული ვნებათაღელვანი ბო-
ბოქრობენ ბიჭებში მაშინ, როცა ისინი თხმელის ჯოხით ეკლიან ბირკავებს
აწყვეტენ ხოლმე თავებს. თანაც რაც უფრო გრძელია გეტრები, მით უფრო
დაუოკებელია სიშმაგე... სხვათა შორის, ბირკავას თავებს ისინი არა მარტო
უფროსების თავებად წარმოიდგენენ! ხშირ შემთხვევაში ჯოხის ერთი მოქნე-
ვით ბილიკზე სწორედ იმ ღარიბი თანაკლასელის თავს გააგორებენ, რომე-
ლიც სულაც არ არის ვალდებული ჩაიცვას გეტრები, გოლფი — შარვალი,
მაქმანიანი პერანგი... თანაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი რამეები
მათ საერთოდ არ გააჩნიათ.

დღევანდელ საზეიმო საღამოზე პუშკინის „ტუსალი“ უნდა წავიკითხო.
თავდაპირველად ამ ამბავმა წყეული გეტრების ჩაცმასავეთ გამაღიზიანა. დიახ,
დეკლამატორობაც დამცირების ერთ-ერთ მეთოდად აღვიქვი და საგულდაგუ-
ლოდ შენიღბული შურისძიების გრძნობებით გულგასივებული ყოველგვარი
ხალისის გარეშე ვაპირებდი ამ დავალების შესრულებას, მაგრამ ჩემდა გასა-

ოცრად, როგორც კი სცენაზე გავედი, ყველაფერი შეიცვალა.

„ალექსანდრ სერგის-ძე პუშკინი — „ტუსალი!“ გამოვაცხადე ჩემი წვრილი ხმით. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. მოზრდილთა უმრავლესობამ მუდმივად აღსავსე თვალებით შემომამჩერდა, ჩვენთვის, ე. ი. მეოთხეულ წავლევებისათვის, ვინც მაღალ კლასებში სწავლობს, ყველა მოზრდილია... ჩემკენ მოქცეულ არც თუ ისე სულელურ სახეებს კიდევ ერთხელ მოვავლე თვალი და დავრწმუნდი, რომ ყველანი კეთილგანწყობილი გულისუფრით მისმენდნენ. უცებ შევკრთი... რა იქნება, ესენიც ჩემსავით ჩაწვდნენ ამ ლექსის შინაარსს-მეთქი, გამიელვა თავში. ხშირ-ხშირად და ხმამაღლა კითხვისაგან ეს ლექსი ძვალსა და რბილში მქონდა გამჯდარი. ან კი რა გასაკვირია — დილეგში გამომწყვდეული არწივიც ხომ ჩემსავით თავისუფლებისაკენ იაწრაფვის!.. როგორ მინდოდა ამ ლექსის დედააზრი ყველასათვის მიმეწვდინა! მაშინ ხომ ესენიც ბევრად უკეთესნი გახდებოდნენ, უფრო ღრმად ჩაუფიქრდებოდნენ ცხოვრებას... ყველა მე მომჩერებოდა! ყველა სულგანაბული მისმენდა. ტანში ყრუანტელმა დამიარა. ცოტაც და, მე მათ ახალ სარწმუნოებაზე მოვაქცევ! უნიათო ყოფის ამაოებით შევაძრწუნებ...

დიახ, დილეგში გამომწყვდეული არწივის საცოდაობამ თავით ფეხამდე შესძრა მთელი დარბაზი! ახლა მე ამას მთელი არსებით ვგრძნობდი. ჩემი ხმაც სულ უფრო და უფრო გამყინავი ხდებოდა... და მაშინ, როცა მთელი დარბაზი შორეული ლაყვარლებისაკენ მყავდა თვალმიქცეული, უკიდურესი დაძაბულობისაგან აკანკალებული სოპრანოთი შევძახე:

გავფრინდეთ ზღვისკენ და ლაყვარლის ფერებთან,
სად მე და ნიავი...

დადგა წამი, როცა ჩემთვის მართლაც არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა ამ გულაჩუყებული მსმენელების უსასრულო სივრცეებში გადასროლა. ყველანი მონუსხულებივით მომჩერებოდნენ: წინა რიგში მოკალათებული აბითურიენტები, მოხუცი კაცი, თავისი ლურჯი ცხვირსახოციტ წარამარა ცრემლებს რომ იწმენდდა და თვით ესტონური ლიტერატურის მასწავლებელიც კი, რომელიც ხან თავისი ჰობიოს ტემბრიანი ხმით მაგიჟებდა და ხან ზედა ტუჩზე ამოზრდილი მექეჭით, მაგრამ მე უკვე საოცარი დიდსულოვნებითა და ყოვლისმიმტევებლური გრძნობებით ვიყავი შეპყრობილი. იმ წუთში ჩემი საზიზღარი გეტრები და შუაზე გადასლებილი თმაც აღარ მაღიზიანებდა. სულაცოდვილო, იმასაც კი ვნატრობდი, ნეტავ ამ ბრბოს სათავეში დამაყენა და ყველანი სადმე შორს, უსასრულოდ შორს წამაყვანინა-მეთქი... „ზღვისკენ და ლაყვარლის ფერებთან, სად მე და ნიავი...“

და ჰოი საოცრებავ! უეცრად მოხდა ის, რასაც არავინ არ მოელოდა. ეს იყო ენით გამოუთქმელი საშინელება, კოშმარი... ზუსტად იმ წამს, როცა ხმა იმ განსაცვიფრებელსა და გენიალურ formato-ზე გაიყინა, რომელიც ბოლო სიტყვების („ვსეირნობთ ერთად!“) ერთგვარ პროლოგად უნდა ქცეულიყო, კარი გაიღო და ყურადღებადქცეულ დარბაზში შეზარხომებული მეათეკლასელი შემობარბაცდა. ამ აყლაყუდამ ერთი კი მიიხედ-მოიხედა, მეჩრე თავისუფალი სკამებისაკენ წალასლასდა და სწორედ იმ ღროს, როცა ერთ-ერთ თავისუფალ სკამზე უნდა დამჯდარიყო, ფეხი დაუცურდა და იატაკზე გაიშხ-

ლართა... მორჩა, ჩემი წინასწარმეტყველური პაუზა ჩაფლავებულა იყო! უფრო მეტიც — სწორედ იმ ღვთაებრივი ღუმლით ამალღებულ, დარწმუნოთა მოსაქცევად გარინდებულ წამში, როდესაც წარმოსახვაში განთავისუფლებულ არწივს უძირო სილურჯეში უნდა ეფარფატა, ეს აყლაყულდა ვიროშვილი, დიახ, დიახ — ეს გაღეშილი ვიროშვილი თავის სკამიანად გადწირავდა! მაგრამ ჯერ თურმე სად ვიყავი. უზომოდ შეურაცხყოფილმა და დაბოღმილმა ფეხქვეშ გათელილი ბოლო სიტყვები („ესეირნობთ ერთად“) ჩუმაღ წარმოვთქვი და სცენიდან გავვარდი. თუმცა ჩემთვის უკვე არავის სცხელოდა. ეს ტაში და მზიარული შეძახილები რალა თქმა უნდა, ამ ნაძირალას, მაიმუნსა და აყლაყულდას ეკუთვნოდა. მხოლოდ ცრემლმორეულმა მოხუცმა და ესტონური ენის მასწავლებელმა გამომაყოლეს ნაღვლიანი მხერა. წინა რიგში გამოჯგიმულ აბითურიენტებს თავიანთი გამოყეყეჩებული თავები უკან მიექციათ და სიცლისაგან იგუდებოდნენ.

ღემრთო ჩემო, ეს ხომ ნამდვილი ბალაგანია! თავის მოჭრა... მუხანათური ღალატია!

როგორი საქმეა, ჰა? ვდგავარ აგერ მათ წინაშე მე თეთრპომპონებიანი პატარა მესია... ესენი კი ვილაც დოყლაპიას მაიმუნობაზე სიცლისაგან ბეირდებიან! ისე გამოდის, თითქოს ამ ლაწირაკის იატაკზე გაშლართვა უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე ლაევარდი, ვიდრე ღვთაებრივი ღუმლით ამალღებული წამი, რომელშიც თავისუფალი არწივი ფარფატებს!.. ვიდრე პუშკინი და მე, ბოლოს და ბოლოს!..

სცენიდან კისრისტეხით გავრბივარ, რათა რაც შეიძლება სწრაფად გავეცალო ამ პლებეების თვალებს, საცირკო სანახაობათა მოყვარულ ამ ბრბოს. სცენის სიღრმეში შეჯგუფული ჩემი ამხანაგები თავიანთი გამოსვლის რიგს ელოდებიან და დარწმუნებული არიან, რომ ეს ტაში მე დავიმსახურე...

ყავისფრად გალაქულ კარს ვეყრდნობი... ტაში ცივი და ცხელი ჟრუანტელი ერთდროულად მივლის. თითქოს კიდევ რალაცას ველოდები. მაინც რას? აი, მე მათ მოფიქრებისა და თავიანთი საქციელის აწონ-დაწონვის დროს ვაძლევ. ბოლოს და ბოლოს, ნუთუ ვერ უნდა მიხვდნენ, რაც ჩაიდინეს. ალბათ ცოტაც და დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვება... მერე პირველი გაუბედავი ტაში... კიდევ ცოტაც და ტაშის გრიალი მატულობს... ოვაციას საზღვარი არა აქვს. ბის! ბის! ბის! გაისმის ყოველი მზრიდან. ყველა მე მიხმობს, ყველა მე მეძახის, მაგრამ არა, მე უარს ვაცხადებ. ბოლოს შემომესევიან და ხელში ამიტაცებენ... მათი ბინძური ხელების შეხებას მოთმინებიდან გამოვყავარ და ისევ კულისებისაკენ გავრბივარ. გახურებულ შუბლს ყავისფრად გალაქულ კარზე ვიგრილებ და მოფიქრების დროს თავიდან ვხსნი. ისევ ველოდები, ველოდები, ველოდები... ბოლოს კი, როცა როიალზე მექსიკური ცეკვის შესავალი აკორდები აედერდება, კულისებიდან გამოვდივარ და უკანა კარისაკენ ფეხაკრეფით მივიპარები.

ტუალეტში საშინელი ბოლი დგას. ეს ჩვენი აბითურიენტები უკვე იმდენს სვამენ და ეწევიან, არავითარი სიკეთე მაგათგან არაა მოსალოდნელი!

თავისუფალ კაბინაში შევდივარ. კარს საგულდაგულოდ ვკეტავ. მერე გამოვდივარ და თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებ, ხომ არავინ დამინახა-მეთქი. არა, არავისაც არ დავუნახივარ. ეს წუთია, კედელზე უზარმაზარი ასოებით გამოვიყ-

ვანე: მე თქვენ მეზიზღებით! ეს ის წარწერაა, რომელიც ძალიანაც რომ არ გენდოდეს, მაინც მოგხვდება თვალში.



ხმაურიან დერეფანში მივაბიჯებ. მხატვრული ნაწილი დასრულდა და დასრულდა. ლოვდება. წესით უკვე სახლში უნდა მივდიოდე, მით უმეტეს ცეკვებზე დაოჩენა მეხუთე კლასამდე აკრძალულია... არადა, იმის შემდეგ, რაც ტუალეტის კედელზე ჩემოდენა ასოებით მივაწერე, ერთგვარი სიამაყის გრძნობით აღვსილი უნდა ვეცლებოდე აქაურობას. მაგრამ რა უნდა გააწყო იმ უხილავი ძალის წინააღმდეგ, რომელიც უკან გეჭაჩება და არ გიშვებს... არა, ნუთუ მართლა იმის იმედი მაქვს სულ მალე მომძებნიან, დამიყვავებენ და ბოდიშს მომიხდიან-მეთქი?! ეს ხომ გამორიცხებულია! ამ უფერულ ბრბოს ასე ადვილად რას შეაგნებინებ ჩადენილ დანაშაულს! და მიუხედავად ყველაფრისა, სრულიად მოულოდნელად გადასარევე გუნებაზე ვდგები. ახლა უკვე ისიც არ მაინტერესებს შეიგნებენ თუ არა ეს ბედოვლათები თავიანთ დანაშაულს... არ შეიგნებენ და მით უკეთესი! — ჩვენ ხომ სწორედ შეგნებით განვსხვავდებით ერთმანეთისაგან. ახლა ისიც კი შემიძლია დავიჯერო, როგორ მიხდება ეს თეთრპომპონებიანი გეტრები. აკი სწორედ მათი წყალობით გამოვიჩვევი ამ დოკლაპიებისაგან... დამცინით ხომ? იცინეთ, ბატონო, იცინეთ!.. არც კი იცით საკუთარ თავს რომ დასცინით, თქვე საწყლებო...

აი, საზეიმო საღამოს მხატვრული ნაწილიც დასრულდა. ასხრილებულ დერეფანში დავეხეტები და ცეკვების მოლოდინში შეჩვეულ მოსწავლეებს ხაზგასმული ქედმაღლობით ვაკვირდები. კედლის სარკესთან მივდივარ. ჯერ შუაზე გადავარცხნილ თმას ვისწორებ, მერე კი გეტრებზე ჩამოკონწიალებულ თეთრ პომპონებს. ხომ ხედავთ, თქვენმა უზრდელობამ ვერც ჩემს შუაზე გადავარცხნილ ქოჩორს დააკლო ვერაფერი და ვერც ფაფუკ პომპონებს! უფრო მეტიც — ახლა არც ერთ თქვენთაგანს არ შეუძლია წარმოიდგინოს, რა ხდება ჩემს სულში!

რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო კარგ გუნებაზე ვდგები.

ცეკვების მოლოდინში აცეტებული უფროსკლასელები ოხუნჯობენ, უშნოდ იგრიხებიან და გოგოების გასაგონად ისეთ რამე-რუმეებს გაიძახიან, რასაც უფროსები ჩვეულებრივად ორაზროვანს უწოდებენ ხოლმე. არადა, კაცმა რომ თქვას, რა შუაშია აქ ორაზროვნება, როდესაც ყოველ მათ შეძახილში ერთადერთი და საკმაოდ ნათელი აზრია ჩაქსოვილი. მაინც რა აზრი? სხვათა შორის, ჩემთვის ესეც ცნობილია... ჩვენცა გვაქვს სახლში „ჯანმრთელობის ცნობარი“, „ბუნებრივი მკურნალობის მეთოდები“ და სხვ. არა, განა ყველაფერი მესმის, რაც ამ წიგნებში წერია, მაგრამ იმას ხომ ვხედავ, მაინცდამაინც ბიჭების თავშეუყავებელ შეძახილებზე რომ აუტყდებათ ხოლმე ჩვენს ახუნტრუცებულ გოგოებს ქირჭილი და წინდების სწორება... ო, როგორ არ მიყვარს ამისთანა თვალთმაქცობა! თანაც ისეთი შეშლილი სახეები აქვთ, თითქოს იმ წიგნებში ამოკითხული მაიმუნობების ჩასადენადაც იყვნენ მზად!.. კი მაგრამ, სად არიან ამ დროს მასწავლებლები! სად იქნებიან? აქვე არიან, ჩვენ გვერდით, ოღონდ მთელი გულისყური მოჩვენებითი წესრიგისაკენ აქვთ მიქცეული. მერედა, როგორ თვალთმაქცობენ. ისეთი სახეები აქვთ, თითქოს სულაც ვერ ხვდებოდნენ, რა ფიქრები უტრიალებთ თავში მათ მოსწავლეებს. ღმერთო ჩემო, ეს ხომ ნამდვილი შეთქმულებაა! შეთქმულება, რომელშიც

მასწავლებლებიც მონაწილეობენ. სადაცაა ცეკვები დაიწყება. აი, მაშინ იქნება, რაც იქნება! მიესევინ ბიჭები ამ ჩვენს გოგოებს და დაუწყებენ უშნოდ ხელების ფათურს. განსაკუთრებით პერანგის შიგნით იდუმალად გადახლართულ წვრილ-წვრილ თასმებსა და ღვედებს ეტანებიან ხოლმე ჩვენს ჩვენს თასმებს, რომელზე ხელის შეხებასაც სხვა დროს არცერთი გოგო არცერთ ბიჭს არ დაანებებდა. შეთქმულთა ბანდა! მე სულელი კი ამათ ლექსებს ვუკითხავდი..

უკვე ცხრა საათია, რახანია სახლში უნდა ვიყო... და ამ დროს რატომღაც მახსენდება, რომ ჯიბეში აივანზე გასასვლელი საკლასო ოთახის გასაღები მიღვეს. თუმცა რაღა აივანი იმას ეთქმის — რახანია ძველმანი ხარახურის საკუჭნაოდაა ქცეული. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს საკუჭნაო ზედ საცეკვაო დარბაზის თავზეა მოთავსებული... იქიდან კი გაგიხარია, ყველაფერი ხელისგულივით მოჩანს!

ჯერ გასახდელისაკენ მივეშურები: მორიგე მასწავლებელს ვუხვევ თვალს, თითქოს შინისაკენ მივიჩქარი, მაგრამ მართლა სახლში კი არ მივდივარ, არამედ სწორედ საკუჭნაოსაკენ მიმავალი კიბისაკენ მივიპარები.

მოულოდნელად, ჩაბნელებულ კიბეზე მაინცდამაინც იმ მოზვერივით დაბღვერილმა მეათეკლასელმა ჩამავლო ხელი, რომელიც ჩვენი სკოლის ჩემპიონია კრივში. პირი დაალო თუ არა, მაშინვე მივხვდი, ნაყლაპი იყო. „აი, პატარა ბიჭუკელა... კარგი ბიჭუკელა... ხედავ შენ, გულის ჯიბეში ქათქათა ცხვირსახოცი უღვეს, ცხვირიდან კი გრძელ-გრძელი მაკარონები გადმოსდის...“

„ვითომ ეს რა ლაპარაკია!“ — ბრაზიანად ვეუბნები მე.

„ოოო... არ გამლახო ლა?!“ — უშნოდ იღრიჭება ჩემპიონი და, აქაოდა, შიშით აღარა ვარო, პიჯაკზე ხელს მიშვებს. სწორედ ამ დროს ვიღაცამ ალერსიანად გადამისვა თავზე ხელი. გვერდზე მივიხვდე. ეს უკვე სახეალეწილი უფროსკლასელი გოგო იყო... თავზე ხელის გადასმამ სულ გამაცოფა. გოგოს ხელი უხეშად მოვიცილე და ზევით მოვკურცხლე.

სადაცაა ცეკვები დაიწყება. საკლასო ოთახში შევდივარ და კარს შიგნიდან ვკეტავ.

აივანზე ბნელა. აქ ვერავინ დამინახავს, ქვევით კი ყველაფერი მშვენივრად ჩანს. უკეთეს თავშესაფარს ვერც ინატრებ. ტანვარჯიშის ბინძურ ლეიბზე ვჯდები და საცეკვაო დარბაზს ვათვალიერებ. ბიჭები საცეკვაოდ ემზადებიან და გოგოებისაკენ აცეცებენ თვალებს. გოგოები კი კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულ ძელსკამებზე სხედან და ისეთი სახეები აქვთ, თითქოს მთელი ეს საცეკვაო გაწამაწია მათ ოდნავადაც არ ეხებოდეთ.

აივანზე მტვრისა და ნახერხის სუნი დგას. მგონი სულაც ამ სუნის გამო მოვიწყინე. აივანზე, რა თქმა უნდა, ყველაზე მაღლა ვარ... ეს კი შეიძლება სიმბოლურიც იყოს. მაგრამ აკი სწორედ სხვებზე მაღლა დგომაა რაღაც-რაღაცებს რომ გიკრძალავს... იცით რა? თითოეულ თქვენთაგანზე მაღლა დგომა, გაგიხარიათ ჩემთვის, სასიამოვნო იყოს, მაგრამ ვაითუ პატარ-პატარა და აუცილებელმა სიხარულებმა ამ სიმაღლეზე ვერც ამოაღწიონ!.. საცეკვაო დარბაზის ერთ კედელზე უზარმაზარი პორტრეტი ჰკიდია. ახლა მე და იოსებ ბესარიონის ძე თითქმის ერთ სიმაღლეზე ვიმყოფებით... მთელ ამ საცეკვაო აურზაურს ისიც ჩემსავით ზემოდან დაჰყურებს... ხელში ჩიბუხი უჭირავს, ჩექმები უპრიალავს... ზურგსუკან კრემლის კედლის ალისფერი სილუეტი ბრწყინავს.

წამით არწივის მარტოსულობაზე ვფიქრდები.

უცებ ჯიბეში ხელი რალაცაზე მიხვდება. ეს ხომ ოქროსფერ ქალაქში შეხვეული შოკოლადის ნატეხია, დედამ რომ გამომატანა... შოკოლადს ქალაქს ვაცლი და პირს ვიტკბარუნებ. ახლა იმაზე ვიმტვრევ თავს, რამდენად ესადაგებიან ერთმანეთს ეს შოკოლადი და ჩემი წელანდელი ფიქრები პორტრეტზე... მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, თავის გასამართლებელი საბუთის პროცესს არც გამჭირვებია — მე ხომ ჯერ კიდევ ათი წლისა ვარ!

„ო, დონა კლარა!“ — ღრიალებს ორკესტრის შავსათვლიანი ბარიტონი. ნუთუ მეც უნდა დავკარგო რამე ცხოვრებაში? არამც და არამც! მე ხომ არავინაც არ მჭირდება, გარდა საკუთარი თავისა...

პუშკინის მეორე ლექსი მახსენდება. უცნაურსათაურიანი ლამაზი ლექსი — „არიონი“. პირიდან შოკოლადს ვაგდებ და ჩურჩულით ვიწყებ:

„...მე — მომღერალი ღონემიხდილი —
 ზღვამ გამომავდო ნაპირზე ობლად,
 იმავ სიმღერებს კვლავ გავიძახი,
 და სოველ სამოსს, ანთებულ სახით,
 მე ვაშრობ მზეზე ტინის მახლობლად“*.

მაინც რა საოცრად ეღერს „მე — მომღერალი ღონემიხდილი...“ სხვა ყველაფერთან ერთად, ამ ლექსში მგონი უზენაეს სამართლიანობაზეცაა მინიშნებული. მართალია, დღეს მე სამართლიანობის ნასახიც არ მიგრძენია, მაგრამ ეს არაფერს არ ცვლის. სამართლიანობა მაინც არსებობს ქვეყანაზე. გარდა ამისა, ამ ლექსში ის აზრიცაა გატარებული, თუ რა ბრძნულად შეუძლიათ გაერკვნენ ცალკეულ პიროვნებებში სტიქიასა და ბედისწერას. თავად განსაჯეთ — ყველა დაიხრჩო, ყველა დაიღუპა... მხოლოდ ერთი გამოიყვანა ტალღამ ნაპირზე! დიახ, როცა უბრალო მოკვდავი ბრმავდებიან, მაშინვე ზებუნებრივი ძალები აიტაცებენ ხოლმე ღირსეულს და კლდის ძირში მშვიდობიანად დასვამენ... ამიტომაც არ ვგრძნობ თავს უბედურად. დაე, იტლინკაონ ჩემ ქვემოთ ამ ლაწირაკებმა! გაერთონ, როგორც ენებოთ... მაგრამ მოულოდნელად იმასაც ვგრძნობ, რომ დაბლა მყოფთა არსებობაც აუცილებელია რაციისათვის... ჩვენ ხომ ისე ვართ ერთმანეთში შერწყმულნი, ცალ-ცალკე არც ვივარგებთ... მხოლოდ და მხოლოდ ერთად აღებულნი წარმოვადგენთ ერთსა და მთლიანს. ეს მოკუნტრუშე ახალგაზრდები კი საუკუნოდ ჩემი მადლობელნი უნდა იყვნენ! ნეტავ რა ფასი ექნებოდა მათ ტლინკაობასა და დონაკლარობას, თუკი ზემოდან თეთროპომპონებიანი ბიჭი არ გადმოიხედავდა! ბიჭი, რომელიც სიბნელეში პუშკინის ლექსებს ჩურჩულებდა...

წამიც და მე უკვე დანამდვილებით ვიცი, ვინაა ამათი არსებობის გამამართლებელი. დიახ, ეს მე ვარ, მე, ამათი მწყალობელი!

ერთ ადგილზე ვერ ვჩერდები. ჩემს სულს უკვე აშკარად აღარ ჰყოფნის წონით ოცდათხუთმეტკილოგრამიანი და სიგრძით მეტრნახევრიანი სხეული. ახლა მთელი ჩემი წარსული, აწმყო და მომავალი განგებით ნაწინასწარმეტყველებ ჩემივე ბედისწერის ირგვლივ იყრის თავს და მე უკვე არაფრის შიში აღარა მაქვს. ყველას ხელაპყრობით ვლოცავ, ვტირი, ცრემლი ღაპალუბით ჩა-

* თარგმანი ვალ. გაფრინდაშვილისა.

მომდის... ცრემლს მარილის გემო აქვს... ჰეი, თქვენ, მანდი! ამიერიდან ყველაფერი მიპატიებია, ყველაფერი! ან კი სად გაგონილა, ყრუს ბგერის გაგონება უბრძანონ და უსინათლოს საგნის ხილვა! ყველაფერი მოგიტევეთ! მშვიდობა თქვენდა!

ეროვნული

მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. ტანვარჯიშის ლეიბნეზის ვეჯინები და ახლა უკვე ენით გამოუთქმელი ბედნიერებისაგან ეტირი. ცრემლით დაბალ ლეიბის ბრეზენტს კი ისეთი მშობლიური, ისეთი მომლაშო-მოტკბო სუნი ასდის, თითქოს თაკარა მზით გავარვარებულ უდაბნოს შუაგულში აღმართულ კლდის ქიმზე ღონემიხდილი მომღერალი გადმომდგარიყოს და სველ სამოსს აშრობდეს.

12.

დღეს პირდაპირი მნიშვნელობით არ ამიტყდა ენის ქავილი!!! სულ თეთრ-თეთრი ხუწუწები გამომაყარა...

„ენა პირის ღრუში მოთავსებული კუნთოვანი ორგანოა, რომელზეც ლორწოვანი აპკია გადაკრული. ენის ზედაპირი პაწაწინა წანაზარდებითაა დაფარული. წანაზარდები სამი სახისაა: ძაფისებური, სოკოსმაგვარნი და ღარისმაგვარნი. ამათგან ორ უკანასკნელს გემოვნების ბოლქვებსაც უწოდებენ“, — ვკითხულობ ერთ წიგნში.

„ენის ჯირკვლები განსაკუთრებით წყალხმელეთა ცხოველებსა და ფრინველებს აქვთ განვითარებული. ძუძუმწოვრებს კი გარდა ლორწოვანი ჯირკვლებისა სეროზული სითხეც აქვთ. სეროზული ჯირკვლები თავიანთ სადინარებს აღებენ და ღარისმაგვარ წანაზარდებში მოხვედრილი საჭმლის ნამცეცები გემოვნების ბოლქვებს აღიზიანებენ“, — წერია მეორე წიგნში.

„ენის ზედაპირის გაღიზიანება ჯანრთელ ადამიანებშიც შეინიშნება. მომეტებული გარქოვანების შემთხვევაში თეთრ ხუწუწებს წითელიც ემატება, რის გამოც ენის ზედაპირი გეოგრაფიულ რუკას ემსგავსება ხოლმე. აქედანაა გამოთქმაც გეოგრაფიული ენა. ძლიერი გარქოვანების შემთხვევაში ძაფისებური წანაზარდები სულ უფრო და უფრო იზრდებიან და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს შუა ენაზე თმა იყოს ამოსული. ამდაგვარად სახეცვლილ ენას ბალნიანს ან შავს უწოდებენ. ენის ასეთი სახეცვალება არავითარ ტკივილს არ იწვევს და არც მკურნალობას საჭიროებს“, — რეგისტრირებულია მესამე ცნობარში.

სარკეში საქუთარ ენას ვათვალიერებ და ვრწმუნდები, რომ ეს ნამდვილი გეოგრაფიული ენაა, ხოლო თეთრ ხუწუწებს კიბოსთან არავითარი კავშირი არა აქვთ... აი, როგორ ვჭკვიანდები, ყოველდღიურად სარკის წინ პირდაღებული ვზივარ და ჩემს გეოგრაფიულ ენას გულდასმით ვსწავლობ.

კარგად მახსოვს იანის ღამის დღესასწაული, მე და აგნესი კოცონს კარგა მანძილზე ვაეცილდით და გეზი დაცვარული გვიმრალისაგან ავიღეთ. მაშინ ჯერ კიდევ ახალგაცნობილები ვიყავით. აი, სწორედ იმ გვიმრალში იყო, პირველად რომ ვაკოცე... მახსოვს როგორ დახუჭა თვალები აგნესმა, გრძელი, ღამისი წამწამები ჰქონდა. ცისკიდურს ჯერ კიდევ ჟოლოსფერი გადაჰკრავდა. კოცონის მხრიდან კისკისი და სიმღერები ისმოდა... დიდხანს, ძალიან დიდხანს ვკოცნიდით ერთმანეთს... მაშინ იყო სწორედ, აგნესის ენის აღმგზნები

გემო რომ ვიგრძენი მოულოდნელად. ეს, უსათუოდ, ენის ზედაპირზე / ვან-
ლაგებულ გემოვნების ბოლქვების გემო იყო...

ისევ ჩემს გრძელსა და ხორკლიან ენას ვათვალისწინებ. ღმერთო, ჩემო,
როდემდე უნდა მქონდეს პირში გამომწყვედელი ეს ხუწუწებიან რკინა-
როდემდე! ნუთუ მთელი ცხოვრება? დიახ, და სიკვდილის შემდეგაც!

13.

დღესაც მშვენიერი დღეა. შედარებით მშვიდად ვარ. დილიდან შუადღემ-
დე საკარცულში ვიჭექი და მზეს ვეფიცებოდი. სამზარეულოდან ჯამ-ჭურჭ-
ლის ქლარუნი მოისმოდა. ყავის არომატული სუნიც იქიდან მოდიოდა. ქათქა-
თა ღრუბლის პატარ-პატარა ფთილები ცხვრის ფარასავით გადადიოდნენ მოწ-
მენდილ ცაზე. მარადისობის უსაზღვრო სიმშვიდე იგრძნობოდა ამ სურათში...
იქნებ ამიტომაც იყო, რომ სიკვდილი ყველაზე უფრო ბუნებრივ მოვლენად
წარმომიდგა. იწვალე, იჯახირე, შემოუვლი შენს წილ წრეხაზს და გახვალ
ამ წუთისოფლიდან! ეს არის და ეს. სიცოცხლე კი გრძელდება. მოვლენ სხვა
ბიჭები, წაიკითხავენ ლექსებს, დაიმორცხებენ თეთრპომპონებიანი გეტრების
გამო, მიესევინა მეცნიერებას... მერე კი, ისინიც თავიანთ აგნესებზე დაქორ-
წინდებიან, რათა შვილები გააჩინონ და უმემკვიდროდ არ გადაეგონ... სამყა-
როში ყველაფერს თავისი დასასრული აქვს. ასეა მოწყობილი ეს ცხოვრება.
თუმცა დანამდვილებით ვერავინ გეტყვით, რამდენად საბოლოოდ შეიძლება
ჩაითვალოს ესა თუ ის დასასრული... მაინც მარადიული გარდაცვალება, ანუ
ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა გინდა ირწმუნო კაცმა. ბაბუაჩემის
საფლავი ქვაზე, მაგალითად ასეთი სიტყვებია ამოკვეთილი: „მამისეული სახ-
ლი უთვალავი ბინადარის სავანეა“. ვინ იცის იქნებ მართლაც ასეა.

დიახ, ჩემი ტივიც უახლოვდება საბედისწერო ზღვარს! აი, უკვე — მეს-
მის წამლეკავი ტალღის ამაზრზენი ღრიალი... მალე ხახადაღებული უფსკრუ-
ლიც გამოჩნდება... ვითომ, მართლა ასე საშინელია ეს მორევი? პირიქით, მე
მგონი მასშიც უნდა იყოს რაღაც მიმზიდველი, მხსნელი... მდინარე რომ მდინა-
რეა, ისიც კი მშვიდი და აუმღვრეველი ხდება მასთან შეხვედრის წინ... მყუდ-
რო სანაპიროს მზის სხივები ელაციცებიან, ყველაფერი გარინდებული და მომ-
ზიბლავია ირგვლივ... შენი უკანასკნელი მზერაც ამ მშვენიერ სურათს ეალერ-
სება, იმახსოვრებს, ემშვიდობება... განსაცვიფრებელი იდუმალეა უძღვის
წინ უსასრულობაში ჩაქცევას! მაგრამ აი, მდინარე თანდათანობით იძაბება,
ყალყზე დგება, ღმუის... შენ კი მაინც პირდაპირ მიაქანებ ტივს და მთელი არ-
სებით ცდილობ, ნაპირის ახლომახლო საცოდავად მოფარფატე დანარჩენი
ნაგები უკან მოიტოვო. აი, ყურთასმენას სულ უფრო და უფრო ნათლად
წვდება მომნუსხველი ძახილი. ძახილი, რომელიც გიზიდავს, გიტყუებს, თავის-
კენ გიხმობს. და აი, შენ უკვე მთელი სისწრაფით მიექანები მორევისაკენ, სა-
ხეზე ცივი შხეფები გესხმება. ვინ იცის, იქნებ სწორედ ახლა, ამ უკანასკნელ
წამს, როცა ბობოქარმა ტალღამ შეტორტმანებული ტივი თავის ქაფმორეულ
ფაფარზე მოიგდო და ზეატყორცნა, შენ თვალწინ უკანასკნელად გადაიშალა
მომაჯადოებელი სილამაზე შორეული ნაპირისა... უკანასკნელი წამი უფსკრუ-
ლის წინაშე! სახეზე შხეფებშემოქცეულმა იქნებ ზღაპრულ ცისარტყელა-
საც კი ჰკიდე თვალის მამისეული სახლი უთვალავი ბინადარის სავანეა...

ნაბიჯების ხმაზე თვალი გაეახილე. ბილიკზე ჩვენი მოწყალეობის და მარგითი მოაბიჯებდა. ხელში ასტრების თაიგული ეჭირა. თავაზიანად მომესალმა და გამიღიმა. მარგითის თაფლისფერი თვალები, როგორც ყოველთვის, ახლაც საოცარ სიმშვიდესა და სიკეთეს ასხივებდნენ. ასეთი თვალები ქატრონი ალბათ ყველაფერს გაგიგებს. მარგითმა ერთი ყვავილი დამიტოვა და გზა გააგრძელა. თვალი გავაყოლე. ამ ქალიშვილთან შეხვედრა რატომღაც ყოველთვის მაკრთობს, გასაკვირიც არაა — აქი სწორედ მარგითს ევალება იმედგადაწურულ მომაკვდავთა მოვლა... სწორედ ისაა ჩვენი უკანასკნელი მოგზაურობის სანდომიანი გამცილებელი...

მარგითს ფერფლისფერი თმა აქვს. საოცრად მშვიდი და ზრდილობიანი ქალიშვილია. თუ აუცილებლობამ არ მოითხოვს, მთელი დღე ხმას არ გაიღებს. თუ ჰკითხავ რამეს, თავაზიანად გიპასუხებს, თუ არადა, არის თავისთვის.

მომაკვდავებთან, რა თქმა უნდა, სულ სხვანაირი იქნება. ადვილად წარმომიდგენია, რა დამამშვიდებლად იმოქმედებს მათზე მარგითის გულში ჩამწვდომი, საამო ხმა. იქნებ ვცდებოდნე კიდევ, მაგრამ ასე მგონია, მომაკვდავებთან საუბრისას მის ისედაც ტკბილ ხმაში ოდნავ კეკლუცი, შთამაგონებელი, მტრედით ღულუნა ნოტები გამოერევა... მარგითის ხმა ჩაბნელებული სარდაფის კიბიდან ამოძახილსა ჰგავს. იგი შეიძლება წყვილიდან გამოწვდილ ნელსაც შევადაროთ, იმ მზრუნველ ხელს, რომელსაც ქვესკნელში ჩამავალ კიბეზე ფრთხილად ჩაჰყავხარ... ყველა მას უხმობს, ყველა მომაკვდავს სურს, რომ მის საწოლთან აუცილებლად მარგითი იდგეს...

ხმაც რომ არ ამოიღოს, თვით მისი არც თუ ისე ლამაზი, მაგრამ ძალზედ სათნო სახე ამშვიდებს მომაკვდავს. მის მზერაშიც მუდამ თანაღმობა გამოსკვივის. ხანდახან მეჩვენება, თითქოს მარგითი აქ მოხვედრამდეც მინახავს. იქნებ სულაც რომელიმე გამოფენაზე... საექსპოზიციო დარბაზში, ოდნავ დაბინდულ კუთხეში მოციმციმე სახე...

დარწმუნებული ვარ, მარტო მე არ ვფიქრობ ასე მოწიწებით მარგითზე. ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ მახსოვს, ჩვენი კაცებიდან ერთს მაინც გაებედოს მასთან ღლაბუცი. არავის, გარდა გამოჩერჩეტებული ი. ანდრესკოოკისა, რომელიც ისე უპრაფავს და უფუფუნებს საწყალ გოგოს თვალებს, თითქოს მარგითი მსუბუქი ყოფაქცევის ქალი იყოს... ერთ საღამოს ლოგინში ჩათბუნებული მეც დიდხანს ვფიქრობდი მარგითზე, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, მისი ხმისა და სათნო სახის გარდა არაფერი გამხსენებია. მართალია, მარგითი თვალში საცემად ქალური და ნაზია, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორღაც მაინც უსქესოს შთაბეჭდილებას ტოვებს. აი, იმ საღამოსაც, მაგალითად, ვინმეს რომ ეკითხა, მაღალი მკერდი აქვს თუ დაბალიო, ვერაფერს ვერ ვუპასუხებდი. სხვათა შორის, მეორე დღეს ამ კუთხითაც დავაკვირდი და აღმოვაჩინე, რომ სხეულის აგებულებით მარგითი აგნესს ჩამოჰგავდა. მგონი, მკერდის სიმალლითაც!.. როგორც კი თავი ამდაგვარ ფიქრებსა და შედარებებში დავიჭირე, უმალ შევცბი და თვალები ისე მორცხვად დავხარე, თითქოს უნებლიეთ დედის ან დის ბანაობისათვის შემესწროს თვალი.

აი, ასეთია ჩვენი მარგითი. ჩვენი სანდომიანი მოწყალეობის და, რომელიც, სამწუხაროდ, ხშირად და ახლოს ხედავს ხოლმე სიკვდილს... ე. ი. მისი ხელები საკმაოდ ხშირად ეხებიან იმ სამშენებლო მასალას, რომელიც ადამიანის კონსტრუქციის რღვევისთანავე წყალდება... როცა ცუდად გავხდები, მეც მინ-

და, რომ ჩემს სასთუმალთან მარგიტი იდგეს. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ჩემი ტივიც თავბრუდამხვევ მორევში აყირავდება... იმ წამში, როცა წყვლიან-ში ჩამავალ კიბეზე მზრუნველი ხელის გარეშე ჩასვლა თავზარდამცემია... ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სწორედ მარგიტის სათნოება შეისრუტავს ჩემი აკივლებული ხორცის საპროტესტო წინააღმდეგობასა და გაბრუნებას... და მაშინ, როცა იმ ქვეყანაში გადასასვლელად საკუთარი ნიქარიდან ლოკოკინასავით დამითრევენ, სწორედ მარგიტი შეძლებს ჩემი უკანასკნელი ტკივილებისა და გაბრძოლების შთანთქმას! სწორედ მისი მტრედით ღულუნა ხმის ტალღა იქნება, თავის ფერფლისფერ ფაფარზე რომ მომიგდებს და საშინელ კომმარს განმარიდებს.

კი, ეს ყველაფერი ახლა იქნებ მაღალფარდოვნად და არაბუნებრივადაც უღერდეს, მაგრამ მე ხომ მართლაც ამგვარი ფიქრები მიტრიალებდნენ თავში, როცა ხელში მარგიტის ნაჩუქარ ყვავილს ვაცოდვილებდი, ხოლო თვალები უსასრულოდ ლურჯი ცისაკენ მქონდა მიპყრობილი.

14.

არა, განა ვეჭვიანობი (ან კი რა ეჭვიანობას შეიძლება ველოდეთ იმ კაცისაგან, რომელიც ღვიძლი შვილის დაბადებასაც ვერ აღიქვამს სრული სერიოზულობით და თავის საყვარელ ცოლსაც კი უცხო კაცის თვალით უყურებს!). არა, ეჭვიანობა აქ, რა თქმა უნდა, არაფერ შუაშია. მაგრამ მაინც წონასწორობას მაკარგვინებს ის ფაქტი, რომ იაანიკა და ანდრესკოოკი აგერ უკვე საათნახევარია სწორედ ჩემი ფანჯრების ქვემოთ დაწანწალებენ. არა მგონია, ეს ანდრესკოოკი მართო მისი სულელური გვარის გამო შემეძულებიანოს (სახელი არც კი ვიცი. ამიტომ ერთ მშვენიერ დღეს ავდექი და „ი“-დ მოვნათლე). ღმერთო ჩემო, ვერ გამიგია რა უნდა ჰქონდეთ ამდენი ხნის სალაპარაკო ორ სრულიად განსხვავებულ ადამიანს?!

მართალია, მთელი ამ ხნის განმავლობაში ანდრესკოოკი ლაქლაქებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ქვაზე შემომჭდარი სქელი იაანიკაც დიდი ყურადღებით უსმენს. თანაც ისეთი გულუბრყვილო სახე აქვს, ხიფათის მოახლოებასაც ვერ იგრძნობს, ისე გაეხვევა ამ ვაჟბატონის აბდაუბდით ნაქსოვ აბლაბუდაში.

ანდრესკოოკს ბრჭყვიალა პენსნე და საგანგებოდ ნალოლიავები, მოკლედ შეკრეჭილი ჭაღარა წვერი აქვს. იქნებ ზედმიწევნით სუფთა კაციც იყოს, მაგრამ ჩემზე მაინც ტურტლიანისა და უწმინდურის შთაბეჭდილებას ტოვებს... არა, მე მართლაც არაფრით არ შემიძლია იმ ძლიერი ანტიპათიის დასაბუთება, რასაც მის მიმართ განვიცდი. რა დასამალია და, ჩემს წარმოდგენაში იგი ყოვლად საშინელ ცოდვებზე აწერს ხელს! მაშინაც კი, როცა დილდობით საავადმყოფოს ბაღში დასეირნობს, თავის განუყრელ ხელჯოხს უდარდელად მიაქანავებს და ამა თუ იმ ოპერეტიდან ამოჩემებულ არიას უსტვენს, ასე მგონია, მთელი ეს სცენა რაღაც მზაკვრული ჩანაფიქრის შესანიღბავად სჭირდება-მეთქი. ღმერთო შეგცოდნე, ხანდახან იმ მნათესაც კი მაგონებს, რომელიც მრევლის ფულს ისე დაამღერებს, რომ კაციშვილი ვერ გაუგებს. ბევრიც რომ ამოწმონ, სულერთია, მაინც არაფერი გამოუვათ. იგი ყველას თავისი ბრჭყვიალა პენსნეთი, დაქლაქა ლოყებით, საგულდაგულოდ დავარცხნილი წვერითა და დაშაქრული ღიმილით დაუხვდება. ერთი სიტყვით, საიდანაც არ უნ-

და მიუდგეთ, ყოველი მხრიდან დიდად პატივცემულ პიროვნებად მოგაჩვენებთ თავს.

ეტყობა, ეს ჩვენი იაანიკაც ყურებითა ჰყავს დაბმული, თორემ ყოველდღიურად ორ-სამ საათს ვერ იტუქუტუკებდნენ. ერთხელ ვერ მოგინებინებ და, მაინც რა საქმის ქალია ეს ჩვენი იაანიკა-მეთქი, ვკითხე ი-ს. როგორ თუ რა საქმისათ! ფრანგული ენის ფილოლოგია — და უბრალო ვინმეც არ გეგონოს — საპატენტო სამსახურის მთარგმნელიათ, გაიბღინდა ი. თანაც „ფრანგულითა“ და „საპატენტოთი“ ჩაიტკბარუნა პირი.

მერე თქვენ რა-მეთქი, — მივახალე მე.

არაფერი... თქვენ რას გულისხმობთო, — უშნოდ გაიკრიჭა ი. და უცოდველი კრავის ნიღბით გამცილდა.

ეჰ, იაანიკა, იაანიკა! ჩათქვირებულო და თეთრო იაანიკა. ასე მძინარა და მიაპიტი რომ ხარ, ამიტომაც გაები მახეში. თუმცა შენისთანა აპათიურმა ტიპებმა შიში არც კი იციან, რა არის. კი, მართალია, დანამდვილებით ვერც მე აგიხსნი რისი უნდა გეშინოდეს, მაგრამ მაინც ფრთხილად იყავი! სიფრთხილეს თავი არ სტკივართ, ხომ გაგიგონია.

იაანიკას მარცხენა ლოყაზე დიდი, ყავისფერი ხალი აქვს. პაწაწინა თეთრი ბუსუსებით დაფარული ხალი... რაც მართალი მართალია — ხალები არ მიყვარს! მით უმეტეს, ბუსუსებიანი, მაგრამ ბუნების ეს კაპრიზი იაანიკას თითქოს უხდება კიდევ. მხოლოდ ასეთ მჭრქალსა და ნაზ სახეზეა დასაშვები მსგავსი სამკაულები, როგორც მიკა ვალტარი წერს თავის „სინუჰე“-ში, თურმე წინათ ეგვიპტელი ქალები პარიკის ქვეშ ძალზედ მოკლე, სულ რაღაც ორიოდ მილიმეტრი სიგრძის ლამაზ თმას ატარებდნენ. ვალტარის მტკიცებით ქალები ზოგჯერ პარიკს იხდიდნენ და თავიანთ საყვარლებს საქორჩეზე მოფერების უფლებას აძლევდნენ, რითაც ეს უკანასკნელი თურმე ენით აუწერელ ექსტაზში ვარდებოდნენ. ვინ იცის, იქნებ იაანიკა თავის ბუსუსებიან ხალზე მოფერების უფლებას აძლევს ანდრესკოოქს!.. იქნებ ასეთი ფიქრები არც მეკადრებოდეს, მაგრამ თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ძალიან მინდა რაღაცები დავაღწო თავზე ჩემი ფანჯრების ქვეშ განმარტოებულ იაანიკასა და ი-ს.

ფანჯარას ვაღებ. ვაყურადებ. ნეტავ რაზე ლაყბობენ? მხოლოდ ცალკეული სიტყვები აღწევს ჩემს ყურამდე. ხომ შეიძლება ეს ვაყბატონი ახლა შოპენჰაუერის იმ მოსაზრებაზე ყბედობდეს, რომლის თანახმადაც ადამიანისათვის ნაბოძები სიცოცხლე უდიდესი დანაშაულია!.. თვალეზმით უღიჯილი იაანიკა კი მორჩილად უსმენს და ამთქნარებს...

ამ სურათის შემხედვარე კარგ გუნებაზე ხომ არ დავდგებოდი!

15.

ამ ბოლო ხანებში ყველა გამირბის. გასულ კვირას გენადი გაიქცა, ღღეს აგნესი და ბავშვი... თანაც რა თავქუდმოგლეჯილი გარბიან ეს დალოცვილები! გარბიან და გაიქცნენ! მით უკეთესი!

აგნესი რომ ბავშვს მომიყვანდა, ჯერ კიდევ გუშინ შემატყობინეს. მთელი ღამე არ მიძინია. ისე ვბორგავდი, თითქოს მეორე ღღეს რომელიმე დიდმნიშვნელოვანი საკრებულოს წინაშე უნდა წარმდგარიყავი. ისედაც სულ იმის ცდაში ვარ, როგორმე აგნესისათვის სასურველი ოპტიმისტური გარეგ-

ნობა შევიწარჩუნო და ახლა მით უმეტეს, ორმაგად რთული ამოცანის წინაშე აღმოვჩნდი. ჯერ ერთი, ბავშვის აყვანა მომიწევს ხელში! არც ისაა გამორჩეული, რომ ჩასვრილი საცვლების გამოცვლაში მომიწიოს მონაწილეობის მიღება... და რაც მთავარია, უსაზღვროდ ბედნიერი მამის მადლიერებით და სავსე ღიმილი უნდა დამთამაშებდეს სახეზე გამუდმებით. ოპტიმისტური დევიზი მილი...

ბიჭს ჭარხალივით წითელი სახე ჰქონდა, რატომღაც შუბლშეკმუხნული ჩანდა. მისმა წითლად მოღაუღაჟე ლოყებმა ანდრესკოთკი გამახსენა. ძალღიმილი და ჯიბე ხელში დაიკავეო! — სად იყო, სად არა, მოულოდნელად ი არ ამეტუზა წინ?

— ალუ — ალუ — ალუ... მოიჩლიქა ენა და თავისი მოკაკული ყვითელი საჩვენებელი თითი ბავშვს ცხვირწინ აუთამაშა. — ზედგამოტრირი მამამისია! ოო, ამას ისეთი ჰკვიანური ნაოჭები აზის შუბლზე, ნამდვილად მეცნიერი გამოვა, მეცნიერი! — დაასკვნა ბოლოს ი-მ და აგნესს მიუბრუნდა. არც აცია და არც აცხელა, რძე თუ გყოფნითო, ჰკითხა (კინალამ ჰკუდიდან ავიწიე!). არადა, ისე გულითადად იკითხა, ისეთი უცოდველი კრავის სიფათი მიიღო, რომ აგნესს არათუ ჩემი გაღიზიანება არ შეუშინებია, მყოფნის კი არა, იმდენი მაქვს, მეზობლის ბავშვსაც ვაჭმევო, ჩაუკაკლა გულუბრყვილოდ. ოპო-პო, ბევრ რძეს რა სჯობსო, ხელები გაასავსავა ი-მ და ახლა მე გადმომკრა თვალი ეშმაკურად. მერე კიდევ ერთხელ მოუჩლიქა ბავშვს ენა და გაგვიცოლიდა. აი, მიღის ახლა ეს ჰკვებუდანი და იცის, რომ ჩემს ცოლს ორი ბავშვის სამყოფი რძე აქვს...

როგორც მოსალოდნელი იყო, აგნესმა ლურჯ ზეწარში შეხვეული ბავშვი კალთაში ჩამისვა. უმაღლ ბედნიერი მამის ღიმილი აღვიბეჭდე სახეზე. კარგა ხანს ვიჯექი სარგადაყლაბულივით, შორიდან ალბათ ცვილისაგან გაკეთებულ ყავისფერ თოჯინას ვგავდი. უაზროდ კბილებდაკრეჭილ თოჯინას!. აგნესი გაბრწყინებული თვალებით შემოგვეცქეროდა. მაინც როგორ მოუმატია წონაში! ახლაც ფეხმძიმე გეგონება. სახეც რომ მთვარესავით დამრგვალებია... უცებ დაიხარა და ბავშვის კეფაზე ამოდებული ხელი შემისწორა. სწორედ ამ დროს მეცა რძის სუნნი...

— ჯერ ყიფლიბანდიც არ გამაგრებია!

— რა, რა?

აგნესმა ფრთხილად მოუშიშვლა ბავშვს თავი და პაწაწინა საქოჩრეზე მიმითითა. ვერაფრით ვერ მივხვდი, რა უნდა გამაგრებულიყო ამ სათუთ თავზე! აქა-იქ წამოზრდილი თმის ბუსუსები ოფლს დაეცვარა... სრულიად მოულოდნელად გენადის გაოფლილი თავი დამიდგა თვალწინ! მაშინ მგონი ფიზიკის რომელიღაც კანონზე და დანესტიანებულ მიღებზე ვფიქრობდი... ბავშვის თავს უფრო ყურადღებით დავაკვირდი. ამ წარბშეკრული უმწეო არსების სათუთ საქოჩრეზე მართლაც ფეთქავდა რაღაც.

— ყიფლიბანდი ახალშობილთა თავის ქალაზე მდებარეობს. იგი დაბადებიდან ორი-სამი თვის შემდეგ მაგრდება. ცნობილია დიდი და პატარა ყიფლიბანდი... აგნესი კიდევ კარგა ხანს მიხსნიდა რაღაც-რაღაცებს. ესეც წიგნიდან გაზეპირებული ფრაზები იყო, ოღონდ ამჯერად სულ სხვა ინტონაციით... ახლა უფრო თავდაჯერებით და, ცოტა არ იყოს, დამრიგებლური ტონით ლაპარაკობდა. საოცარია პირდაპირ, ამასწინანდელი „ენისენტვანგოვისმონასში...“

თითქმის უკვალოდ გამქრალიყო... და მოულოდნელად ჩემს თავში ამრტევი-
და საკმაოდ სულელური აზრი: „ეჰ, აგნეს, აგნეს! ამიერიდან ხომ შენი სიქალ-
წულეც წარსულს ჩაბარდა!“

ბავშვმა წამოიტირა თუ არა, მაშინვე აგნესს გადავეცი და სტრუქციონი
შეება ვიგრძენი. თქვენ წარმოიდგინეთ, მოუშუშებელი ყიფლიდანის შიშიც
მქონდა... ბიჭი სულ უფრო და უფრო გამყინავი ხმით გაჰკიოდა. აგნესი
ბავშვს მტრედით დაჰლულუნებდა და ხელში სათუთად არწევდა. ღმერთო
ჩემო, მაინც როგორ შეცვლილა ჩემი ცოლი! ჩემი ანჩხლი ბიჭი კი ტირილის
შეწყვეტას არც აპირებდა. ვუყურებდი და მიკვირდა, ამ თითის სიგრძე არსე-
ბას, ამხელა პირი როგორ გამოჰყვა-მეთქი. პატარა იაანს გაზები აწუხებს... ასე
არაა, ჩემო თვალისჩინო? — დაუყვავა ბავშვს აგნესმა.

იაანსო? მაშასადამე ბიჭისათვის უკვე ჩემი სახელი დაურქმევია... ე. ი.
აგნესი საბოლოოდ შერიგებია იმ აზრს, რომ მე... ან კი რა გასაკვირია? კარგი
და კეთილი, მაგრამ ამდენ ხანს რად თვალთმაქცობდა?!

აგნესმა ბავშვს ფეხები მოუღუნა და მუცელზე ფრთხილად დააწვა. პაწა-
წინა, მოწითალო ფეხები კიდევ უფრო პატარა მომეჩვენა პირთან შედარებით.
ეს რა მოკაკვული ფეხები აქვს-მეთქი, გავიფიქრე ერთი გაფიქრება, მაგრამ
მაშინვე გამახსენდა, რომ ახალშობილებს ჩვეულებრივად ასეთი ფეხები აქვთ.
ხუმრობა ხომ არაა, ცხრა თვე საშოში მოკუნტულმა გაატარო!.. სასწაულია
პირდაპირ, როგორ უძლებს ასეთი უმწეო არსება ამ პოზაში თვეობით ყოფნას!

მუცელზე დაწოლილი სავარჯიშოების არსს მაშინლა ჩავწვდი, როცა ზუს-
ტად ისეთი ჭუყჭუყი შემომესმა, როგორსაც ჩვეულებრივად პლუშის სათამაშო
დათუნია გამოსცემს ხოლმე.

— მე ჯერ პატარა ვარ... დედუკოსავით და მამიკოსავით კი არ შემიძლია
გაჭინთვა...

ამ საზიზღარმა ფრაზამ გული კინალამ ამირია!

ბავშვმა ერთი-ორჯერ კიდევ დაიკრუსუნა და როცა საბოლოოდ ჩაწყნარ-
და აგნესმა ახალთახალ ლურჯ საბავშვო ეტლში ჩააწვინა. მერე მე მომიბრუნდა
და როგორ მოგწონს ჩვენი ეტლიო, მკითხა. ახლა ასეთებია მოდაშიო...
რა უნდა მეთქვა. ძალიან მომწონს-მეთქი, წავილულლულდე. ბავშვის ჩაძინების
შემდეგ თითქოს უფრო ავაწყვეთ საუბარი. ახლა ბევრად უკეთ გამოიყურე-
ბიო, დამიყვავა აგნესმა. ქათინაურებს სხვა დროს მაკლებდა-მეთქი ვერ ვი-
ტყვი, მაგრამ დღეს მგონი უფრო ბუნებრივად გამოუვიდა. ეტყობა, ბევრად
უარესად ვყავდი წარმოდგენილი!.. სხვათა შორის, ამ ბოლო ხანებში მე თვი-
თონ მიკვირს, ისე კარგად ვარ. თავს ვერ მოვიტყუებ! ვიცი, განა არ ვიცი,
რომ ყოველდღიურად ვეშვები მთიდან. — ვეშვები, მაგრამ კისრისტეხით ხომ
არ მივექანები!.. ვაითუ სწორედ ეს მონაკვეთი იყოს უკანასკნელი დამრეცი!..
რა დავარქვათ ბიჭსო, სხვათა შორის მკითხა აგნესმა. ეტყობა, არც კი ახსოვ-
და, სულ რაღაც ორიოდ წუთის წინ ჩემივე თანდასწრებით რომ დაარქვა
იაანი. რა ვიცი, ჩემთვის სულერთია-მეთქი, წამომცდა და მაშინვე ენაზე ვიკ-
ბინე. არაფრით ასე არ უნდა მეთქვა! ჩემი იღბალი, რომ მთელი ყურადღე-
ბით არ მისმენდა. მე, მაგალითად, იაანს დავარქმევდიო, გამომიტყდა აგნესი,
ოღონდ ჯერჯერობით თავს ვიკავებ... აი, საბოლოოდ რომ გამოკეთდები, მე-
რეო... ისე არ გამოვიდეს, თითქოს... თითქოს... აი, აქ შეჩერდა. დაუწყო ძებნა

შესაფერის სიტყვებს. ან კი რა ჰქონდა აქ საძებარი. ერთი სული მქონდა, „ვადაზე ადრე ჩამოწერა“ მეკარნახა, მაგრამ...

— ჰოდა, ამიტომაც არ ვჩქარობ ჯერჯერობით სახელის დარქმევას, — თითქოს ჩემი ფიქრი გამოიცნო, შემომღიმა აგნესმა. ახლა ის დარქმევს, კიდევ უფრო გულსაკლავი კითხვა-პასუხისაგან დამეძვრინა თბილისში — სხვა სხვა დამრჩენოდა, დავიხარე და ისედაც კობტად შეზნეული ფეხსაცმლის ზონრებს თავიდან დავუწყე გადაბნევა-გადმობნევა.

ცოტა ხნის შემდეგ ისიც გავიგე, რომ ბავშვის ჰიპს „ზელიონკით“ წმენდენ... რომ ჩვენს ბიჭს მხოლოდ მეათე დღეს მოწყდა ჰიპლარი და ა. შ.

ამ რამდენიმე დღეში აგნესი საცორად გაუცხოებულყო! ღმერთო ჩემო, ახლა მას სულ სხვა იაანი ჰყავს!.. ამაზე დიდი ბედნიერება კი რაღა უნდა იყოს. დიახ, ეს ძალიან დიდი ბედნიერებაა! ძალიან დიდი ბედნიერება! — აი, რა მინდოდა ჩამეგონებინა საკუთარი თავისთვის.

ცოტა ხნის შემდეგ ბიჭი ისევ ატირდა. ასე ხანდახან თუ წამოიტირებს, თორემ საერთოდ იშვიათი ხნის ბავშვიაო, დამამშვიდა აგნესმა და საათზე დაიხედა. საათის სამაჯურზე კიდევ ერთი ნახვრეტი დაემატებინა!.. ე. ი. ამ ცოტა ხანში მაჯებიც კი დამსხვილებია საგრძნობლად.

— ჰამის დრო მოუწია და იმიტომ ტირის, — აფუსფუსდა აგნესი და აქეთ-იქით მიმოიხედა. ერთი პირობა საავადმყოფოს უკან გადაბარგება დავაპირე, მაგრამ მაშინვე გაცხარებული ლეოპოლდი წარმოვიდგინე და გადავიფიქრე. ო, როგორ ვერ იტანდა საცხედრეს ახლომახლო მოსეირნე ხალხს ლეოპოლდი! ესეც არ იყოს, საცხედრეს გვერდით ძუძუთა ბავშვის დანაყრებაც ვერაა მთლად მიზანშეწონილი.

— მოდი, იქით წავიყვანოთ, პარკის ბოლოს...

აგნესმა სწორედ იქ დააყენა ეტლი, სადაც მუხლამდე წამოსული ჰინჯარი ბიბინებდა. კაბის საკინძე შეიხსნა. მეც იქვე ჩამოვჯექი, ლურსმნების ძველ ყუთზე. ო, რა ხარბად, რა მონდომებით წუწნიდა ჩემი ბიჭი დედის რძეს. ვუყურებდი და მიხაროდა ამქვეყნად არსებულ ათასობით ძუძუთაგან მაინცადამაინც ეს რომ შევეურჩიე ჩემს მემკვიდრეს. მიდი, მიდი, მოქაჩე, ჩემო ბიჭუნა! რძე მაინცა გვაქვს თავზესაყრელად! მართალია ჩემი ბიჭის სახეს ვერ ვხედავდი, მაგრამ უკვე გუმანით ვგრძნობდი, რომ მე და ის ამიერიდან მოკავშირეები თუ რაღაც ამგვარი ვიყავით...

ჩემგან ხელმარჯვნივ უზარმაზარი გოგრა იდო. სწორედ ის გოგრა, რომელიც თავისი იღუმალი შეფერილობით მადონასაც კი მაგონებდა. მარცხნივ აგნესი იჯდა და რაღაცნაირი სიამაყით აწოვებდა ბავშვს ძუძუს. გოგრასა და აგნესს შორის მე ვიჯექი.

— შენ რა, ჩუმ-ჩუმად იცინი?

— არაფერი... ისე...

ბიჭი, როგორც იქნა, გაძღა. ახლა მე მომიწია ეტლის გაგორება. რაც შეიძლება ჩქარა მივაგორებდი. თითქოს რაღაცის მრცხვენოდა. იქნებ იმისა, საავადმყოფოს ტანსაცმელში რომ ვიყავი გამოწყობილი. ასე იყო თუ ისე, ავადმყოფი კაცის პირობაზე იმდენად ჩქარა ვიარე, რომ როგორც კი შევეჩერდი და ეტლი აგნესს გადავეცი, ბავშვმა მაშინვე ტირილი მორთო.

— ჩვენი მამიკო ძლიერია... დედისთვის ასე ჩქარა არ შეუძლია!

ღმერთო ჩემო, ესეც თუ ქათინაურია და არ ყოფილა საშველი! ჩემი

ცოლ-შვილი უკვე წასასვლელად ემზადება. ბიჭი ტირილს უმატებს, აგნესი იძულებულია რაც შეიძლება ჩქარა იაროს... მათი წასვლა ვაჟს უფრო ჰგავს! მალე ისევ გესტუმრებითო, მიბარებს აგნესი. მარტო გუფი ბავშვი დედაშენთან დატოვე-მეთქი, სიტყვას ვაწევ მე. მართალია, მარტო დამდები არ არის, მაგრამ რა გვეშარება, სიფრთხილეს თავი არ სტკივა-მეთქი...

ამ ბოლო ფრაზამ აგნესი ისე დააფრთხო, რომ ტრადიციული შეგონებები სულაც არ გახსენებია: სისულელეებს ნუ ლაპარაკობ, არავითარი კიბო შენ არ გჭირსო და ა. შ. ჰო, კარგი, კარგი, რაღაცას მოვიფიქრობო, ესლა მომადინა და ნაბიჯს აუჩქარა.

16.

ჩემს ყავისფერყდიან რვეულში ყოველდღე ახალ-ახალ სიტყვა-სიმბოლოებს ვინიშნავ ხოლმე. არადა, ახლა უკვე სრულიადა ვარ დარწმუნებული, რომ ყველა მათგანის გაშიფვრას ვერაფრით ვერ მოვასწრებ. ეს კი მართლაც ფრიად სამწუხაროა. აკი პუშკინის „ტუსალითა“ და აივანზე განცდილის მოგონებებით მთელი ორი საღამო ვირთობდი თავს. კი, ცოტ-ცოტას იქნებ ვაჭარბებდი (უფრო სწორად — ვალამაზებდი) კიდევ, მაგრამ აბა რას წარმოვიდგენდი, რომ საკუთარი თავის მოტყუებას ასეთი სიამოვნების მოტანა შეეძლო. მომავალში, ჭეშმარიტების ხათრით, რასაკვირველია, სიამოვნებით ჩავასწორებდი ჩემს მოგონებებს. ოღონდ არამც და არამც არ შევამცირებდი.. ახლა კი ენით გამოუთქმელ სიამოვნებას მგვრის თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩემს კიბოიან რვეულში ყოველად უცნაური, სრულიად უკიბოო ჩანაწერებიც არსებობს. და ეს იქნებ თავისებური პროტესტიც იყოს.

დღეს სულ სხვა საფიქრალით ვარ დაკავებული. დიახ, დღეს პატივი მაქვს საკუთარ თავს მოვახსენო, რომ ჩემი ცხოვრების უმთავრეს აზრს მივაგენი.

ვიცი, განა არ ვიცი, რომ ამისთანა რამეების წამოყრანტალება მტკნარი სისულელეა, მაგრამ რას იზამ, თუკი ყველა მოკვდავი სწორედ მას დაეძებს დღენიდაღ! მას, ე. ი. ცხოვრების უმთავრეს აზრს. მერედა, რა თავგამოდებით დაეძებენ! — თითქოს ეს წუთია არსებობდა! არსებობდა და თვალდახელშეუა გაქრა...

თავდაპირველად მე თვითონ დავცინოდი ჩემს მოსაზრებებს, მაგრამ ახლა რომ ვაკვირდები, რაც უფრო მეტს ვჭირქილებ, მით უფრო სერიოზულად აღვიქვამ ხოლმე საკუთარ იდეებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩემ მიერ აღმოჩენილი იდეა იმითაცაა მომხიბლავი, რომ მისი სრული განხორციელება ძალზედ მარტივად, თითის გაუნძრევლადაც შეიძლება. მე ხომ მთელი ცხოვრება მუხლჩაუხრელ შრომაში ვავატარე. არც ცხადში მქონია მოსვენება და არც სიზმარში! ახლა კი აგერ, საავადმყოფოშიც არ ვიშლი ჩემსას... ამ ფიქრებში ისეთ კარგ გუნებაზე ვდგები, ისე ვხალისდები, რომ არც კი ვიცი საიდან მივუდგე ჩემს ჩანაწერებს. ჭიქას ვიღებ. წყალს ნელ-ნელა ვწრუპავ... ვდგები. მაგიდას ვცილდები და ოთახში ბოლთას ვცემ. მერე ისევ ვჯდები. ისევ ვსვამ წყალს და ფანქარს წვერს ვუთლი...

ისევ იმ ვერხვის ძირში მოხდა ყველაფერი.

ბაწაწინა სანგვინიკი მწერები, რომელთა თირკმელზედა ჯირკვლებზეც მე საკმაოდ დიდხანს მიფიქრია, არსად არ ჩანდნენ. სამაგიეროდ დღეს ბევრად უფრო დიდი და საშინელი ინდივიდი დასკუპდა ვერხვზე. უცნაურად ვიწრო,

ოდნავ წაგრძელებული, წითელი ზოლებით აჭრელებული მუცელი ჰქონდა, რითაც ერთობ ავისმომასწავლებლად გამოიყურებოდა. ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო ამძაფრებდა ცხვირთან გამოშვერილი პაწაწინა ნემსი, რომელიც თავიდან ნესტარი მეგონა, მაგრამ როგორც გულდასმით დაკვირვების შემდეგ აღმოვაჩინე, ამ ნემსს იგი უფრო ეშმაკურად იყენებდა. ეს უცნაური ინდივიდი ერთთავად აღმა-დაღმა დაცოცავდა და დახეთქილი ვერხვის კანზე თავის ბასრ ნემსს უცაცუნებდა. ზოგჯერ კი მოულოდნელად შეჩერდებოდა, თითქოს რაღაცას აყურადებდეს... როგორც გამიგია, არიან თურმე ადამიანები, რომელთაც ჯადოსნური წნელის საშუალებით არა მარტო ჭის გასათხრელი ადგილის, არამედ ძვირფასი წიაღისეულის მიგნებაც შეუძლიათ. ესეც ასევე დაეძებს რაღაცას. წამით შეჩერდება, მიაყურადებს, მერე კი, თითქოს კვალს მიაგნო, თავის პაწაწინა ნემსს ააცმაცუნებს და ბურღივით სამუშაოებს იწყებს. საოცარია პირდაპირ, როგორ ახერხებს ამ თმასავით წვრილი ანტენით ხის ქერქში შეღწევას. ან რისი პოვნის იმედი აქვს იქ?

მაგრამ არც ასე ყოფილა საქმე. აი, ქერქიდან ცვილისფერი, კარგად ნაპატივეები მატლი მობობლავს. ღმერთო ჩემო, რა შტერია ეს მატლი! დახეთ ერთი როგორ მიიწევს უცილობელი აღსასრულისაკენ თავისი ნებით!.. საშინელი სანახაობაა, თუმცა თვალს მაინც არ ვაცილებ. საინტერესოა, როგორ დამთავრდება ბოლოს და ბოლოს ეს ყველაფერი.

ცოტაც და ეს ჩვენი ანტენამომარჯვებული ინდივიდი მხედარივით არ მოახტა ცვილისფერ მატლს! ახლა კი იკადრა თავის დაძვრენა მატლმა, ზამბარასავით შეიკუმშა, დაიძაბა, მთელი სხეული ტალღისებურად ამოძრავა... ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, ეს აპათიური არსება თუ ასე ენერგიულად იმოძრავებდა. ახლა მის პაწაწინა თვალებს ვაკვირდები. ორთაბრძოლა გრძელდება: მატლი თავგანწირვით იკლავება და ისეთ ტალღისებურ მოძრაობებს აკეთებს, უნებლიეთ ქარიშხალში აბობოქრებული ზღვა გაგახსენდება. რას არ ცდილობს, მაგრამ ვერაფრით ვერ ახერხებს თავზე წამოსკუპული ამ აბეზარი მეიალქნის გადაყირავებას. კრაზანას მაგვარი ინდივიდი ნაპატივებ მატლს მთელი არსებით ჩაფრენია და თავისი წითელზოლებიანი მუცლითა და ელვარე ფრთებით სწორედ რომ კოსმოსიდან მოვლენილ სუპერმენს ჰგავს. ბურღივითი სამუშაოები გრძელდება.

მატლი ქერქს წყდება და ბალახებში ეცემა. არც ეს ეშმაკობა შველის. ის სასტიკი მხედარიც მასთან ერთად ეცემა. არაფერი არ იცვლება. ტრაგედია გრძელდება. ოღონდ ახლა უკვე მწვანე დეკორაციის ფონზე. ნეტავ რატომ აწამებს ეს საღისტი ამ მატლს? არადა, ისეთი პირი უჩიანს, შექმასაც არ უნდა უპირებდეს. დროდადრო თავის ნემსს შეურჭობს ხოლმე. ეს არის და ეს. შეურჭობს და გამოაძრობს! შეურჭობს და გამოაძრობს... და არის რაღაც უწმაწური მის საქციელში! მართალია გვიან, მაგრამ მაინც მიჩნდება სურვილი ამ მსუქანი მატლის გადარჩენისა. მოულოდნელად რომელიღაც ანატომიურ ატლასში ნახაბი სურათი მახსენდება. ღმერთო, როგორ ჰგავს ეს მატლი თავისი ფორმით თირკმელზედა ჯირკვალს, ამიტომაცაა, რომ ამ საღისტის ნემსს მტკივნეულად განვიცდი. აი, უკვე ჩალის ღერს ვიმარჯვებ, რათა მატლის გამამწარებელი დავაფრთხო, მაგრამ ამაოდ... ის უკვე ჩემი ჩარევის გარეშეც ჰკარგავს ყოველგვარ ინტერესს თავისი მსხვერპლის მიმართ, ფრთებს შლის და

რაკეტასავით მიფრინავს. ეს რა უზნეო, რა ხელიდან წასული დონ უზანი იხილეს ჩემმა თვალებმა!

რა ეშველება ახლა ამ მატლს? თუმცა რაღა რა ეშველება, სასწაული თუ გინდა სწორედ ეს არის. მხოლოდ ორიოდ წამით გაირინდა მელანქოლიურად და ხელად არ გამოკეთდა?! მერე ისევ ვერხვს დაუბრუნდა და ქერქვეშ შეიყუჟა. მაშ რა იყო ეს, რა?!

სწორედ ამ დროს მახსენდება, რომ ოდესღაც, დიდი ხნის წინ, „ბავშვების სიხარულში“ ამოვიკითხე რომელიღაც კრახანაზე, რომელიც თურმე ცოცხალ მატლებში ყრის თავის კვერცხებს. ე. ი. რა გამოდის? მატლები მატლებში — აი, რა! მახსოვს როგორ შემადრწუნა მაშინ ამ უცნაურმა ამბავმა. მაშ გამოდის, რომ ის წითელმუცელა ინდივიდი, მამრი კი არა, პირიქით, ქალბატონი ბრძანებულა და ყველაფერი, რაც ჩაიდინა დედობრივი მზრუნველობით თუ რაღაც ამგვარი გრძნობებით ჩაუდენია! მართალია, ის მატლი ახლა ვერხვის ქერქის ქვეშაა შეყუჟული და თავს მშვენივრად გრძნობს, მაგრამ უკვე კვერცხებითაა გატენილი, იმ კვერცხებით, რომლებისაგანაც აუცილებლად მოკვდება!.. ახლა კი, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს, უდარდელად დაბობღავს და ვერხვის ქერქს მადიანად შეექცევა. პაწაწკინტელა თვალების უკან მოთავსებული მისი ტვინი ჯერ კიდევ ვერ გრძნობს რა უბედურება დაატყდა თავს. მართალია, ერთხანს მინიატურული საწყობივით იქნება გამოკეტილი, მაგრამ ბოლოს ისევ და ისევ საკუთარი გარსი ექცევა კუბოდ. ისევ იმ კვერცხებიდან გამოჩეკილი პაწაწკინტელა მატლები გამოსჭამენ გულ-მუცელს... იმ წამიდან მოკიდებული, როდესაც საღისტმა მხედარმა თავისი ნემსი შეურჭო, დრო და ჟამი მის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. დრო ამწიფებს კვერცხებს... ამწიფებს კვერცხებს.. მოიცა, მოიცა!..

აი, თურმე რა გამახსენა იაანაკამ მაშინ! როცა კვერცხს შეექცეოდა... ნაჭუჭებს რომ მარხავდა მიწაში...

გამახსენდა! მეც ხომ დავმარხე ოდესღაც ხუთი კვერცხი!

ძველთაძველი გერმანული წიგნის მოტკბო სურნელი მაგონდება. ეს იყო წიგნი ჩინური სამზარეულოს შესახებ. უძველესი ჩინური გრაფიურებით მოხატულ ამ წიგნში მრავალი უცნაური კერძის დამზადების რეცეპტი იყო წარმოდგენილი. მათ შორის დელიკატური კერძები მედუზისაგან, ლოკოკინასაგან და ა. შ. ერთ გრაფიურაზე გამოსახული ჩინელები ათასგვარ საშინელებას კმაზავდნენ, ხოლო მეორეზე მზა კერძებით იტკბარუნებდნენ პირს. მჭამელებად ძირითადად ის ღიდებულები იყვნენ გამოსახულნი, რომელთაც ხელში მომცრო ჯოხები მოემარჯვებინათ და სიამოვნებისაგან თვალებს ჭუტავდნენ. მახსოვს, როცა ამ წიგნს ვკითხულობდი, ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს რაღაც მკაცრად აკრძალულს ვაკეთებდი. აი, სწორედ ამ წიგნში ეწერა კვერცხების შესახებ. ერთ-ერთ ბალადაში ისეთი რეცეპტი იყო აღწერილი, რომელსაც მეც საკმაოდ ადვილად მოვამზადებდი.

ხელებში თავჩარგული ვიჯექი და ფეხები რატომღაც ბუდასავით მქონდა მორთხმული. გრაფიურაზე გამოსახული ჩინელი ღიდებულებით თვალმოჭუტული ახლა იმ ძველთაძველ წიგნში ჩაწერილ სტრიქონებს ვიხსენებდი.

FÜNF EIER*



საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

Fünf Jahre war ich alt -
fünf weisse Eier grud ich ein
in die Erde unter dem Baum.

Zehn Jahre war ich alt -
gern hätt' ich nach ihnen geschaut,
den Eiern unter dem Baum.

Als ich dann fünfzehn war,
da hatt' ich sie vergessen in der Fremde,
die Eier unter dem Baum.

Zwanzig war ich, zurück in der Heimat,
und als ich Hochzeit hielt, gedacht' ich
die Eier unter dem Baum.

Ich zählte fünfundzwanzig,
mein ältester Sohn fünf,
sein Bruder um zwei weniger,
als die Schwester geboren ward...

Da hob ich sie aus der Erde,
die fünf Eier unter dem Baum -
sie hatten sich verwandelt
zu köstlichem Gericht.

Und ich sann nach
über des Eies Verwandlung
und den Wandel des Ledens...

ხუთი კვერცხი*

ვიყავი ოდეს ხუთიოდ წლისა,
ხის ქვეშ დავმარბე უთეთრესი
ხუთიოდ კვერცხი.

ხოლო როდესაც გავხდი ათი წლის,
ძალზედ მომიხდა დამეხედა
ხის ქვეშ დაფლული კვერცხებისათვის.

და მაშინ, როცა შემისრულდა თხუთმეტი წელი,
მე, გადახვეწილს უცხო მხარეში,
გადამავიწყდა ის კვერცხები ხის ქვეშ დაფლული.

ოცი წლის ისევ დავუბრუნდი მშობელ ქვეყანას

* თარგმანი ა. კალაძისა

და იმ დღეს, როცა ქორწინების სუფრას
 კვლავ გამახსენდა ის ხუთი კვერცხი.
 იმ წელს მე გავხდი ოცდახუთისა,
 უფროსი ვაჟი ხუთისა, ხოლო
 იმის მომდევნო სამიოდ წლისა,
 როცა ქვეყანას მოვევლინა იმათი დაი...



მეც სწორედ მაშინ ამოვთხარე
 ხის ქვეშ დაფლული ის ხუთი კვერცხი —
 აწ დამატკობელ
 სასუსნავად გადაქცეული.

დავალ მას შემდეგ უსაშველოდ გაოცებული
 კვერცხებისა და
 წუთისოფლის ცვალებადობით...

თუ არ ვცდები, ეს იყო კვირა დილით. უთენია ავღეჭი. ექვსი საათიც არ
 იქნებოდა. ბუდიდან კვერცხები მოვიპარე და უბეში ჩავიწყე. ერთი კვერცხი
 ჯერ კიდევ თბილი იყო.

მხარზე ბარი გავიდე და მდინარისაკენ მიმავალ ბილიკს დავადეჭი. ვინმე
 რომ შემხვედროდა, ჭიაყელების მოსაგროვებლად მივდივარ-მეთქი, მოვატყუ-
 ებდი. რაც შეიძლება ფრთხილად მივაბიჯებდი, რადგან არავითარ შემთხვევაში
 ჩემი წაბორძიკება არ შეიძლებოდა...

საოცრად წყნარი დილა იდგა. ახლამოწვერილი მზის სხივები სოფლის
 ეკლესიის თუნუქის სახურავს ელაციცებოდნენ. მტრედისფერ ცაზე ღრუბლის
 ერთი ფთილიც არ ჩანდა. უსათუოდ ცხელი დღე იყო მოსალოდნელი. სოფ-
 ლის მდინარეს მსუბუქი ბოლი ასდიოდა. ხავერდით რბილი დილა უცნა-
 ური იდუმალეებით ავსებულებოდა... ახლაც ვერ გამიგია, რამ ამომიგდო მეხსიე-
 რებიდან ის კვერცხები! სამაგიეროდ მხარზე ბარგადებული ბიჭი, ეკლესიის
 სახურავზე მოციმციმე მზის სხივები და რაღაცის მოლოდინში სულგანაბული
 ის დილა, ახლაც მთელი სიცხადით მიდგას თვალწინ. უფრო მეტიც — ყო-
 ველთვის, როცა გრიგის „დილას“ ვისმენ, მაინცდამაინც ის სისხამი განთიადი
 მაგონდება. ახლა მგონი იმასაც ვხვდები, რატომ მეჩვენება პასტორალის და-
 საწყისი ფეხის წვერებზე შეუმჩნეველად მოახლოებულ იდუმალეებად... მე ხომ
 უბეში სათუთი კვერცხები მეწყო და არავითარი უფლება არ მქონდა წაფორ-
 ხილებისა!

ჩემი არჩევანი ყველასაგან განცალკევებით მდგარ მტირალა არყის ხეზე
 შეჩერდა. ეს ადგილი ყოველმხრივ ადვილი დასამახსოვრებელი იყო. ასეთ
 ტანკენარ არყის ხეს ვერსად ვერ ნახავდით ახლომახლო. იდგა თავისთვის და
 მიწამდე დაშვებულ გრძელ-გრძელ ტოტებს მშვიდად არხევდა. სწორედ მის
 ძირში, ოთხკუთხად მოჭრილ შავ ორმოში დაემარხე ის კვერცხები. ერთი ისევ
 თბილი იყო... ბოლოს, ჯიბის დანით ხის ტანზე საგანგებო ნიშანი ამოვჭერი.
 ამ ნიშნით ყოველთვის ადვილად მივაგნებდი ორმოში დაფლულ კვერცხებს.
 კვერცხების სამალავი ხიდან თორმეტი ტერფის დაშორებით მდებარეობდა. მეც
 თორმეტი წლისა ვიყავი! ამიტომაც არ დამავიწყდებოდა არასოდეს ეს დილა.

საქმეს რომ მოვრჩი, ირგვლივ მიმოვიხედე. არა, ნამდვილად არაფერს არ დავუნახივარ. სოფელში ჯერ კიდევ ეძინათ. ირგვლივ მღუმარება გამეფებულყო. მხოლოდ მამლები ჰყიოდნენ აქა-იქ. მათი ყივილი რატომღაც მრავალმნიშვნელოვნად მეჩვენებოდა. ჩემი ფიქრი ჯერ კიდევ იმ თბილ კვერცხს დასტრიალებდა, კვერცხს, რომლისგანაც აწი არც მამალი გამოიჩეკებოდა და არც დედალი. ერთი პირობა საკუთარ თავს გულში ცოდვილიც კი ვუწოდე, მაგრამ როგორც კი იმ გრავიურებზე გამოსახული ეშმაკურად მომლიმარი, ვიწროთვალეზიანი ჩინელები წარმოვიდგინე, რატომღაც გულზე მომეშვა. ამიერიდან მეც მქონდა ჩემი საიდუმლო. საიდუმლო, რომლის შესახებაც არავინ არაფერი არ იცოდა დედამიწის გულზე. დიახ, მე ყველას თვალთაგან უხილავი ცოდვილი — ღორმუცელა ვიყავი!

მახსოვს, იმ დღით საიდუმლო სამალავს ცეკვა-ცეკვითაც კი შემოვუარე... ეს ველური ცეკვა ისე უეცრად მომესურვილა, ჩემმა ხელებმა და ფეხებმაც ისე მოულოდნელად დაიწყეს უცნაური ილეთების გამოყვანა, რომ თავისუფლად შეგვეძლო ამ ცეკვისათვის ცოდვილ-ღორმუცელათა ცეკვა დაგვერქმია.

სინათლის ჩართვის დრო მოსულა. თავს დაბლა — დაბლა ვხრი. ჩანაწერების კითხვა სულ უფრო ჭირს. ჩემს ბიჭზე ვფიქრობ. ჩემს პატარა ბიჭზე, რომელსაც ახლა ალბათ აგნესი გაზებისაგან წამოტკივებულ მუცელზე აწვება („მე ხომ ჯერ პატარა ვარ... დედოკოსავით და მამიკოსავით კი არ შემიძლია გაჭინთვა!...“), ვფიქრობ გენადიზე, ჩემს ლაბორატორიაზე... იმ დღვილისმდნობელებმა ალბათ უკვე მოახრიგინეს თავინათი ჯაბახანები! მოულოდნელად, სულ რაღაც ერთ წამში, გამიელვა თვალწინ მთელმა ჩემმა წარსულმა: სკოლამ, ინსტიტუტმა, ცოლის შერთვამ, თაფლობის თევზ... იმ დღემ და საათმა, როცა აქ, ამ საავადმყოფოში მომათავსეს და... მორჩა! აქ უნდა შევწყვიტო!

ცოტა არ იყოს, მეუხერხულება კიდევ, ჩემი ავადმყოფობის პატრონი კვერცხებზე რომ ვფიქრობ და ვწერ, მაგრამ ზოგჯერ გული იმისთანა რამეებსაც მიგრძნობს, ყოველგვარი უხერხულობისაგან ვთავისუფლდები. მართლაცდა, კაცმა რომ თქვას, კვერცხებთან დაკავშირებული ამბები განა უბრალო თამაშია!.. არა, აქ უფრო მნიშვნელოვანი რამ იგულისხმება, დიახ, სწორედ ამ ვითომ თამაშშია შეკრული გორდიუსის კვანძი. კვანძი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მე უნდა გავხსნა! ბრაზმორეული ვდგები. ჩემს გაშმაგებას საზღვარი არა აქვს. დიდი მადლობა მომიხსენებია, ბატონებო! ნეტავ რა თავში ვიხლი ამ ყალბ სიმორცხვესა და თავის მოტყუებას. მე ხომ სრულიად ბრმა, უცაბედმა, სულელურმა შემთხვევითობამ მარგუნა ცოლი, სამსახური, შვილი, ბოლოს და ბოლოს! ახლა კი ასეთივე დაუნდობელი გულგრილობით მართმევს ყველაფერს, ყველაფერს!.. სწორედ მან შემყარა კიბო! მან დამასნეულა! ამ საავადმყოფოშიც მან მიკრა თავი! სენტიმენტებისაგან ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ... მისუსტებულმა სულმაც რა უნდა მიშველოს უსულგულობისა და სისასტიკის უკიდევანო ოკეანეში! მე ხომ სწორედ აქ, ამ საავადმყოფოში მივეჩვიე სისასტიკესა და გულგრილობას... მთელი არსებით ვცდილობდი რაც შეიძლება გულგრილი გავმხდარიყავი ცოლისადმი, შვილისადმი, მთელი სამყაროსადმი! ნეტავ მთელი ცხოვრება მამყოფა იმ როლში, რომელსაც ეს თამაში ითხოვს! ო, როგორ მინდა ყველა ჩემი საფიქრალი და საზრუნავი იმ ხუთი

კვერცხის იქით არ მიდიოდეს!.. „fünf Eier unter dem Baum“. დიახ, ახლავე შევსანსლავდი იმ ხუთ კვერცხს, ახლავე და დიდი სიამოვნებით! ოღონდ ეს ოცნება ამასრულებინა და საბედისწერო თამაშს ყაიმით დასრულებულად ჩავთვლიდი. უფრო მეტიც — მაშინ ხომ თვევე უფლებსემძლე დროსაც გავაბამებულავებდი! იმ დროს, რომელიც თავისთავად უფრო მეტიც გამარჯვებას კი ზეიმობდა, მაგრამ ის აღარ უწყოდა, იმავდროულად საკმაოდ პროზაულ სამუშაოს ანუ ჩემი პირადი მზარეულის მოვალეობასაც თუ ასრულებდა! დიახ, ყოველ წამს ჩემთვის ირჯებოდა და დამარხული კვერცხებისაგან ჩინურ სასუსნავს მიმზადებდა! დრო... დრო ყოველთვის ჩვენს საწინააღმდეგოდ მოქმედებს. მის წინაშე ყველანი იმ მატლსა ვგავართ, რომელიც ამ წუთას ვერხვის ქერქს შეეჭყვავა და აზრზე არაა, რომ კარგა ხანია სხვისთვის ფაფხურობს. მართალია, დრო და კიბო ამ წუთას მეც ერთად მიღრღნიან თირკმელს, მაგრამ განა იგივე დრო არ მიმზადებს ხის ქვეშ დაფლული კვერცხების კერძსაც? ესაა, რომ მამშვიდებს და მახალისებს. მოდი და ნუ გაოცდები — თურმე მაშინაც კი, როცა ყველაზე დიდ სისულელეებს ჩავდიოდი, დროს მაინც ჩემს სასარგებლოდ დავაჭენებდი. ასეა თუ ისე, დაუნდობელი დროც კი მთელი ოცი წლის მანძილზე შესაშური კეთილსინდისიერებით მემსახურებოდა. აჰ, რა თქმა უნდა, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ თორმეტი წლის ბიჭუკელა ოცდათორმეტი წლის კაცად მაქცია! გადაწყდა! ქვას გავხეთქავ და იმ კვერცხებს შევჭამ! რაღაც არ უნდა დამიჯდეს, საავადმყოფოდან გაპარვაც რომ დამჭირდეს, მაინც შევჭამ!

დიახ, დიახ, დროსაც ჩემს ჭკუაზე დავაჭენებდი! და ეს ძალიან შეამაყება...

მაინც რა ჭკვიანი ხალხი ყოფილან ის ჩინელები, მიწაში დაფლულ კვერცხებს რომ შეეჭყვოდნენ და ისედაც ვიწრო თვალებს სიამოვნებისაგან კიდევ უფრო ჭუტავდნენ. ისინი ხომ თვით მძლეთამძლე დროით იტკბარუნებდნენ პირს!

ო, რა სიამოვნებით ჩამოვუვლიდი ახლა იმ ველურ ცეკვას! გამარჯვებულ-ცოდვილ-დორმუცელათა ცეკვას! მერე რა რომ ახლა უკვე დიდი ტომარა ვარ... კიბორჩხალებით გატენილი ტომარა. ტომარა, რომელსაც ხრამახრუში გაუდის! თამაში გრძელდება.

17.

აი, გადაყრუებული მეფე, რომელიც მოოქროვილ ბალდახინზე დაუსვენებიათ. ერთგული შინამოსამსახურენი ტკბილსურნელოვან სასაკმეველებს ახრჩოლებენ... უკანასკნელი იმედიც გადაწურულიაო, ეჩურჩულება სამეფო კარის ფერმკრთალი დასტაქარი პირველ მინისტრს. უკვე ვეფხის ზურგის ტვინისაგან დამზადებული მაღამოებიც მოვსინჯეთ, გზაჯვარედინზე ჩამოხრჩობილი ყაჩაღის თავის ქალას ფხენილიც, სამკურნალო ბალახები და მაგიური ცხელსაფენებიც, მაგრამ არაფერმა გასჭრაო. ისღა დაგვრჩენია, მომაკვდავ მეფეს დღვილის ნახარში დავალევინოთ, ოღონდ მთლად მისი სასწაულმოქმედების იმედიც ნუ დავრჩებით, ყოველ შემთხვევისათვის მღვდელმსახურიც მზადყოფნაში გვყავდესო.

მოხუც მეფეს ბალიშქვეშ სასმენი მილი აქვს დამალული და ჩუმ-ჩუმად

ყველაფერს ისმენს. მერე თავს ძალას დაატანს, ბალიშებზე წამოჯდება და სამეფო ბეჭდის მცველს უხმობს. და აი, მომაკვდავი მეფის ოქრო-ვერცხლით მოქედნილ სარეცელთან წარჩინებული მოხელე იხრება, მეფის ნაჩურჩულევს მოწიწებით მოისმენს, მერე კი სწრაფად გადის და წითელი ხის ზარდახშა შეძრწვევს არბენინებს.

„გახსენ ზარდახშა და ამოიღე რუკა იგი!“

დღის სინათლეზე ამოაქვთ გაცრეცილ-გაყვითლებული პერგამენტი, რომელზეც მრავალრიცხოვანი ისრები, წყვეტილი ხაზები და წითელი წრით აღნიშნული სამალავის ადგილსამყოფელია გამოსახული.

„ახლა კი ჩემი სარეცლის ქვეშ შეძვერი, ოღონდ ფრთხილად, ღამის ქოთანნი არ გადამიბრუნო! მანდ მოოქროვილ ნიჩაბს ნახავ. აიღე იგი. შეარჩიე ორი ერთგული ყმა და წადი! თუ სად და რატომ, შენ უკვე იცი.“

წარჩინებული მოხელე მეფის წინაშე ოთხად იკეცება და წასასვლელად ემზადება.

„იცოდე, გზადაგზა რამე არ გადაყლურწო, თორემ რაც მოგივა, შენს თავს დააბრალებ! ვინ-ვინ და, შენ მაინც მყავხარ იმისი მოწმე, თუ რა კეთილი და გულმოწყალე ვიყავი მთელი ცხოვრების მანძილზე. ვერც „ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას“ დამწამებს ვინმე... მაგრამ, ო, მაგრამ საკმარისია, შენ, ძველო წუწკო, თავი ვერ შეიკავო და პირში რაიმე გადაიცილინო, რომ ჩემს განრისხებას საზღვარი არ ექნება! იცოდე, მაშინვე ჩვენი კანონმდებლობის ყველაზე მივიწყებულ სტატიას მოგაკერებ! და, რაც მთავარია, შენი პონორეა და ფიზიკური სასჯელი არ დაგავიწყდეს, mon ami! ახლა კი გასწი და ვაი შენ, მამლების მესამე ყვილზე თუ არ დაბრუნებულხარ!“

მოხელე მართლაც მამლების მესამე ყვილზე ბრუნდება, მეფესთან შედის და რალაცას გადასცემს. ეს რალაცა ხორკლიანია და აყალო მიწითაა გათხვრილი.

„მუსიკა, ბატონებო, მუსიკა!“ — გაისმის მეფის ბრძანება.

სამეფო კარის კაპელაც ბრძანებისთანავე იწყებს დაკვრას.

„უფრო ცოცხლად, ბატონებო! უფრო მხიარულად Oboe d'amore ნეტავ რას კნავი ასე საცოდავად! Viola da gamba ეს შენიშვნა შენც გეხება, ძვირფასო! Più mosso! Meno mosso! Allegro molto e giocoso*, ბატონებო!“

...და ჰქუხს მუსიკა, სრიალებენ თხემები, oboe d'amore-ს მთელი მონდომებით გამოჰყავს one—step-ი იმ მონადირეებზე, რომლებმაც დათვის ტყავი ნაკუწ-ნაკუწ დაინაწილეს, ხალხის ფული კი დასტა-დასტად.

მომაკვდავი მეფე ზეწრის ბოლოთი კვერცხებს მიწას აცლის. მსახურებს გონდაკარგული კარის დასტაქარი გაჰყავთ...

„ჩემ გამო დამწუხრებულ ძვირფასო მგლოვიარენო! მე ხომ ყველაფრის წარმატებით დასრულება მიყვარდა! ამჯერადაც ასეა... და ეს პირველ რიგში ეხება კვერცხებს! დიახ, კვერცხებს! აი, ამ კვერცხებს!...“

მეფე ხუთივე კვერცხს ერთად იტენის პირში. „Fünf Eier unter dem

* უფრო ცოცხლად! ნაკლებ მხიარულად! უფრო ჩქარა და მხიარულად! (იტალ.).

Baum“... ძლივს გასაგონად ჩურჩულებს და ბოლოს ლუკმის ჩაყლაპვისთანავე სულს განუტევებს.



ერეკლევი

ოთახს მაგიდის ნათურა მინათებს. კარის საკლიტეებზე მსგებსებრივად მაქვს დაგმანული, რათა ნახევრად ჩაბნელებულ დერეფანში მთვლემარე მორიგე ექთანებმა კუჭრუტანიდან გამომკრთალი სინათლე არ დალანდონ. ღამის ორი საათია. კაციშვილმა არ იცის, რომ მე ისევ მაგიდას ვუზივარ და ვწერ.

მაგიდაზე სუვენირების მალაზიაში ნაყიდი ორი ასგრამიანი კიჭა მიღევს. კონიაკის საწრუბავად უკეთესს ვერც ინატრებ. მეც იმ მონადირეებზე შეთხზულ პოპულარულ One—Step-ს ვუსტვენ ხმადაბლა. ჩემს ტყავსაც დანაკუწება ელის... ოღონდ ჯერ არაა. ჯერ მეც იმ დამარბული კვერცხებით უნდა ჩავიტკბარუნო პირი! აგნესს ვთხოვ და აუცილებლად მომიტანს... იმ ადგილსაც ისე ზუსტად დავუხატავ, თვალდახუჭულმა რომ მიაგნოს...

მაშ, ასე. ახლა კი სხვაგვარი ვარიაციის შეთხზვაც შეიძლება.

...იგი გამოუსწორებელი არამზადაა. მთელი ცხოვრება ზრდილობიან მაიმუნობაში გაატარა. ისეთი ფუმფულა თითები აქვს, მაშინვე მიხვდები, თავის დღეში რომ არაფერი გაუთეთრებია. არადა, თვალები აქვს მეოცნებე ბავშვივით სუფთა, ღიღილოსფერი... საოცნებოდ კი, გაგიხარიათ, მუდამ თავზე საყრელი დრო ჰქონდა.

ერთ მშვენიერ დღეს ეს ჩვენი მეოცნებე არამზადა მიქელ-გაბრიელის მოახლოებას იგრძნობს და მაშინვე თავის მეგობრებს მოუხმობს, რომლებიც, რა თქმა უნდა, მასავით ჯიბიდან გავარდნილი თითლიბაზები არიან. ამათაც მეოცნებე, ღიღილოსფერი თვალები აქვთ და თავიანთი ძვირფასი სიცოცხლე არასოდეს დაუხარჯავთ ისეთ წვრილმანებში, როგორცაა ორმოების თხრა, სახლების შენება, ხენა-თესვა და მისთანანი... ჭარხლის-ჭამია ხოჭოების მომაკვდინებელ საწამლავეებზე ლაპარაკი ხომ საერთოდ ზედმეტია! აი, ასე უზრუნველად გაატარეს მთელი ცხოვრება. ლუკმაპურის საშოვნელადაც არ უხდებოდათ შორს წასვლა, იქვე, ახლობლებში ჩამოიმათხოვრებდნენ ხოლმე. ზოგჯერ კი არც იმის აწაპვნაზე იხევდნენ უკან, რაც თავის ადგილზე არ იდო. მეტწილად, რასაკვირველია, გაზულუქებულ მდიდრებსა და ხარბებს ძარცვავდნენ. ზოგჯერ კი პატარა ნავში მოკალათებულნი დენატურატს ყლურწავდნენ და საიდუმლოებით მოცულ სამყაროზე ფიქრობდნენ.

„ძვირფასო მეგობრებო! დღეს მე ჩემი უმთავრესი ნაღვაწი უნდა წარმოგიდგინოთ!“ — აცხადებს საიქიოს გზაზე დამდგარი თაღლითი მეოცნებე.

„ო, ჩვენ ხომ ისედაც კარგად ვიცით შენი ნამოღვაწარი! ან კი რა დავავიწყებს შენს ქადაგებას ცასა და მიწაზე, სიკვდილ-სიცოცხლეზე... ყვავილებისა და პებლების სიყვარულიც შენ ჩაგვინერგე! ნუთუ ყველაფერი თავიდან უნდა გვიქადაგო, ჩვენო მოძღვარო? ეს ხომ შეუძლებელია!“ — ერთხმად აბუტბუტდა ოთხივე მეგობარი.

„ჩემო კეთილო მეგობრებო! ათას მადლობას გწირავთ ამ ღამაში სიტყვებისათვის, თქვენი ამალღებული სულის წარმომჩენი მსჯელობისათვის. ო, რომ იცოდეთ, რა შეებასა და იმედს მგვრით, მეგობრებო! მიხარია, რომ აბსოლუტის შესახებ ჩემს მჭევრმეტყველებას უკვალოდ არ ჩაუვლია!.. — პასუხობს საიქიოს გზაზე დამდგარი ჩვენი მეოცნებე. — მაგრამ ახლა ისიც უნდა გაუწ-

ყოთ, რომ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე მე მხოლოდ თქვენთვის ვარჯი-
ბოდი. ეს გარჯა კი ჩემგან უკიდურეს შეუპოვრობასა და ხასიათის სიმსუბუქეს
მოითხოვდა... ძმანო და მოყვასნო ჩემნო! ყველას ნადიმზე გეპატიეებით ნადიმ-
ზე, რომლის მსგავსიც ამ ჩვენს მშვენიერ ქალაქში ბევრს არ ღმერთობს...
მაშ გავსწიოთ ქალაქგარეთ! ყველამ ჩვენს საყვარელ მდელოზე მსუბუქად
თავი. ეს ხომ ნამდვილი საიდუმლო სერობა იქნება! დიახ, დიახ საიდუმლო
სერობა! თანაც, ჩვენდა საბედნიეროდ, იუდას გარეშე... აჰა, თქვენ ხუთი
ბოთლი ლილისფერი სითხე, რომელსაც ჩვეულებრივი მოკვდავნი ალკოჰოლურ
სასმელს ეძახიან. მაშ ნუ ვაყოვნებთ, ძმებო, Carpe diem!*

ქალაქგარეთ, ერთ-ერთი ხის ძირას იგი თავის მეგობრებს დასვაძს თვი-
თონ კი ორმოს თხრას შეუდგება.

„მანდ რას აკეთებ, დიდო მოძღვარო?“ — ერთხმად ეკითხება ოთხივე
მეგობარი.

„აკი თქვენც ხედავთ, ძმანო ჩემნო, რასაც ვაკეთებ —
დრომ, ანუ ჩემმა მზარეულმა უერთგულესმა
აქ, ამ ორმოში მომიშადა კვერცხების კერძი
არცერთ მეფეს რომ არასოდეს არ ეღირსება!
მაშ ვადღეგრძელოთ ნახელავი უკვდავებისა
და დავაყოლოთ ზედ ხუთი კვერცხი!...“

და აი, ყველანი ორმოდან ამოღებულ კვერცხებს შეეჭყევიან. ყველას
ყოვლისშემძლე დროის მიერ შემზადებული თითო ხორკლიანი კვერცხი უჭი-
რავს ხელში. მეოცნებე, ღიღილოსფერი თვალები ცისაკენ მიუპყრიათ...

„მე ხომ ყველაფრის წარმატებით დასრულება მიყვარდა!“ — ჩურჩულით
წარმოთქვამს ნადიმის თამადა, მერე ხელებს გულზე დაიწყობს, ერთს ამოი-
ხაღებს და საიჭიოსსაკენ გაეშურება.

18.

თერმომეტრი რომ მომიტანეს, ჯერ კიდევ ძილბურანში ვიყავი. ის იყო
დამძიმებული ქუთუთოები წამოვწიე, რომ მაშინვე მორიგე ექთანს ვკიდვ
თვალი. ამ ქალის სახე დღეს რატომღაც თაბაშირისაგან გამოქანდაკებულს
ჰგავდა. ნეტავ ეს ცივად გამოთეთრებული სახე არ დამანახა-მეთქი, გავიფიქ-
რე და თვალები დავხუჭე, მაგრამ არაფერი გამოვიდა — თაბაშირისაგან გა-
მოქანდაკებული სახის ცივი ოფლი ისე მკვეთრად აღმებეჭდა თვალის ბადე-
რაზე, რომ ქუთუთოების დახურვის შემდეგაც ვერ მოვიცილე. ამასობაში
ჩემმა წამწამებმა ერთადერთი, წამიერი მოძრაობით თაბაშირის ნიღაბზე განი-
ვად გამკრთალი ვარდისფერი მონასმის, ანუ მოკუმული პირის აღბეჭდვაც
მოასწრეს.

ცივი თერმომეტრი ნესტარით მილიტინებდა... ისეთი გრძნობა დამეუფ-
ლა, თითქოს წითელმუცლიან ხოჭო-მხედარს ჩემს იღლიაში ვერცხლის ლაპ-
ლაპა კვერცხები დაეყაროს... წარმოვიდგინე როგორ გაღვივდება თესლი ჩემს

* „წაპლიჯე დღეს!“, ანუ იცხოვრე დღევანდელით, მოასწარ ახლავე! (იტალ.).

თბილ ორგანიზმში, როგორ აიყრის ტანს ძაფივით წვრილ კაპილარებში, მერე კი მის სათუთ ღეროებზე პაწაწინა კოკრებიც გაიშლებიან და ვერცხლის ულამაზესი ყვავილები წამიერი ცივი ნათებით გამობრწყინდებიან. სწორედ ამ თვალისმომკრელ სინათლეში გაკრთება თაბაშირის თეთრი ყვავილები ზედ გადასერილი მოვარდისფრო პირის ჭრილი... თვალი გაეახილე. შემზარავ ხილვებს თავი დაეაღწიე და რეალურ სამყაროს დაეუბრუნდი.

ოთახში ციოდა. ფანჯარასთან მივლასლასდი. მართალია, მოძრაობა ჯერ კიდევ შემეძლო, მაგრამ ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ბამბის ფეხებზე ვიდექი და ფრთხილად თუ არ ვივლიდი, ადგილზე ჩავიჭმუჭნებოდი.

ირგვლივ ყველაფერი ცივად გამოიყურებოდა და თავისებური კონტრასტული შეფერილობით გადასაყვან სურათებს მაგონებდა. აი, ისეთს, ბავშვებს რომ გადააქვთ ხოლმე ჩვეულის ყდაზე. წუხელის ქარიც მომძლავრებულა. სახურავზე აგლეჯილი თუნუქის ნაჭერი გულისგამაწვრილებლად ღრქიანობდა...

ასეთ საზიზღარ ამინდში გარეთ გასვლა ნამდვილად არ ღირდა.

საცხედრესთან ლურჯკაპოტიანი სატვირთო მანქანა იდგა. მანქანის ირგვლივ შავეებში გამოწყობილი ხალხი ფუსფუსებდა.

ისევ წამოვწექი. ექთანმა თერმომეტრი გამომართვა; დაბალი სიცხე გაქვსო, მითხრა. თვალები დავხუჭე. სიბნელესაც კი თავისებური სითბო ახლავსმეთქი, გავიფიქრე და კვლავ ძილბურანში ჩავიძირე. ძილის უძირო ჭაც თბილი და ნოტიო იყო.

კარზე დაკაკუნებამ გამომადვიდა. ხმა არ გიმილია. ისევ დააკაკუნეს. ცოტა ხნის შემდეგ სახელურის ჩხაკუნის შემომესმა და ფრთხილად შემოღებულ კარებში ლეოპოლდის ფართო სახე გამოჩნდა.

— ოჰ, მგონი გაგაღვიძეთ!.. არა, არა ნუ ადგებით გეთაყვა... მე მხოლოდ ერთი წუთით შემოვიარე.

ლეოპოლდი ჩემს პასუხს არც დალოდებია, ოთახში შემოვიდა და სკამზე ჩამოჯდა. ხელში სახატავი ალბომი ეჭირა. „ახალი ნამუშევარი უნდა მაჩუქოს!“ — გამიელვია თავში. რატომღაც იუორელი მოხუცი გამახსენდა... თუმცა, აბა მე სად მქონდა ალუბალი, კურკები რომ გამომეპურჭყებინა! წამოდგომა დავაპირე.

— მგონი დიდხანს მეძინა... რომელი საათია? ალბათ უკვე ათი იქნება, არა?

ლოგინზე წამოვჩექი.

— ათი კი არა, თორმეტის ნახევარია, თორმეტის! — რატომღაც რიხიანად მიპასუხა ლეოპოლდმა და ჩემი ყავისფერყდიანი რვეული გადაშალა.

— ეჰ, ნეტავ მეც დამყოლოდა წერის ნიჭი! — გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა ლეოპოლდმა და რვეული გვერდზე გადადო, — პოეტურ მუზას ჩემი აკვნის სიახლოვესაც არ ჩაუვლია... მაგრამ არა უშავს, ამით ქვეყანა კი არ დაქცეულა.

ფეხებში სისუსტე ვიგრძენი. მკერდშიც ისევ ის უცნაური სიყარიელე ამითრთოლდა... ის იყო შიშველი ფეხი საწოლქვეშ შევაცურე, რათა ოთახის სანდლები მომეძებნა, რომ ავისმომასწავებლად გასივებულ-გაყვითლებულმა საკუთარმა ტერფებმა მიიქციეს ჩემი ყურადღება. ღმერთო ჩემო, ისინი უკვე

ჩემგან განცალკევებით არსებობდნენ და თავისი პატრონის ნებასურვილის თითქოს არც ემორჩილებოდნენ... მიუხედავად ამისა, სანდლები მაინც მოვიწიე და გაყვითლებულ ფეხებზე წამოვიცვი.

ლეოპოლდი ისევ პოეტური მუზის უქონლობას მისტიროდა, რადგან მისი ყურადღება ჩემი გასივებული ფეხებისაკენ ჰქონდა გადმოტანილი.

— რა უვითელია, არა? — რაღაცნაირ შემწყნარებლურ კილოზე წარმოთქვა ლეოპოლდმა, — იცით, აი ეს ახალი ნამუშევრები მინდოდა თქვენთვის მეჩვენებინა...

ალბომიდან ორი ნახატი ამოიღო და საწოლზე დამიწყო.

— რას იტყვით?

რა უნდა მეთქვა, ახალ ნახატებს მთელი გულისყურით ვათვალიერებდი და ვერაფრით ვერ გამეგო, რითი განსხვავდებოდნენ ისინი ძველისაგან. იგივე საცხედრე, იგივე ხეები, არც ცაზე შეცვლილა რამე... ბოლოს საცხედრის გვერდით ტანაშოლტილი ხეებიც სულ ფოთოლ-ფოთოლ გადავქექე, იქნებ უცხო ფრინველი მაინც იყოს-მეთქი სადმე შეუუუული, მაგრამ შენც არ მომიკვდე!..

— წინასწარ ვიცოდი რომ მოგეწონებოდათ! — წამოიძახა ლეოპოლდმა, თუმცა ჯერ ერთი სიტყვაც არ მქონდა დაძრული.

— ალბათ თქვენც ამ კარებში ხედავთ ყველაზე დიდ სიახლეს, არა? იქნებ, ერთგვარ ქვეტექსტსაც, როგორც მხატვართა წრეებში იტყვიან ხოლმე...

მოულოდნელად ლეოპოლდი სკამიდან წამოხტა და ფეხის წვერებზე შემდგარი გაემართა კარისაკენ.

— ამ ნახატებს თქვენ გჩუქნით! დიახ, თქვენ... ახლა კი წავედი... არ მინდა მათ აღქმაში შეგიშალოთ ხელი...

ლეოპოლდი ფრთხილად გავიდა. კარიც მისთვის ჩვეული მოწიწებით ვაიხურა. ერთხანს ნაბიჯების ხმა ვერ გავიგონე, ნომ არ მაყურადებს-მეთქი, გავიფიქრე.

აი თურმე რაში ყოფილა საქმე! როგორც იქნა, მივხვდი, რით განსხვავდებიან ეს ახალი ნახატები ძველისაგან! ჩვენს ლეოპოლდს ხომ ამჯერად საცხედრის კარი დაუხატავს ღიად! თუნუქით შეჭედილი საცხედრის კარი შავი ფრინველის ჩამოჭრილ ფრთას მაგონებდა!

18.

თავი ამტკივდა. ღმერთო ჩემო, რა სისულელეა ყველაფერი ეს: აქეთ ლეოპოლდის საცხედრე, იქით ხუთი კვერცხი, ანუ იგივე ხუთი კოზირი, რომლითაც წუხელის საკუთარი ბედისწერის დამარცხებასაც კი ვლამობდი... ეს ხომ ნამდვილი კლოუნადაა და მეტი არაფერი!

თუმცა რა მოხდა მერე, იყოს ბატონო კლოუნადა! მე ხომ ჯერ კიდევ არ დამიყრია ფარ-ხმალი... ისევ ჩემს მაგიდას ვუბრუნდები... ღვთის წყალობით ძალაგამოცლილ ფეხებსაც ვიმორჩილებ ჯერჯერობით.

მაშ ასე. თამაში გრძელდება! სხვა გზა არც არის.

გუშინ მე და ჩემი პატივცემული კიბო კონიაკს მივეძაღეთ და კარგა ლაზათიანად გამოვთვერით, არადა, რა ხანია ჩვენს გემოზე არ გვიქეიფია! ერთი ბოთლით ჩემი სადღეგრძელო დავლიეთ, მეორეთი — მისი. სულ ალავერდებს გადავდიოდით ერთმანეთთან!..

„ბატონებო! მამ წაუწმინდეთ კალამს წვერი და გალექსეთ ვარდი!“ — თუ არ ვცდები, ასე მიმართავდა პუშკინის სიტყვიერების მასწავლებელი თავის მოწაფეებს ცარსკოე სელოში. ნეტავ მეც შემეძლოს ჩემი კიბოს აღწერა! მით უმეტეს, დღეს აშკარად უქეიფოდ გრძნობს თავს... ვასაკვირიც არაა, ის ხომ სრულიად მიუჩვეველია ალკოპოლურ სასმელებს... ვბრაზდები ვირტუოზით, ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დავამყარე ახლო ურთიერთობა ალკოპოლთან... ხოლო რაკი იმ წლებში ჩემი კიბო საერთოდ არ არსებობდა ამ ქვეყანაზე, გამოდის, რომ მას უმაღლესი განათლებაც არ ჰქონია მიღებული! ეს კი, სხვათაშორის, ჩვენს მკვეთრად განსხვავებულ ინტელიგენტურობაშიც ვლინდება, რის გამოც, ღმერთია მოწამე, არასოდეს ცხვირი არ ამიწვევია...

ანატომიურ ატლასში გამოყენებული ფერები რამდენად სარწმუნოა, არ ვიცი (ავტორი: ვირცბურგელი მედ. მეცნ. დოქტ. ი. სობოტა), მაგრამ ერთობ ლამაზი რომაა, აქ ორი აზრი არ არსებობს. ასე მაგალითად, შუაზე გადახსნილი მუცლის ღრუ ბატონ სობოტას მიერ ისე თვალწარმტაცადაა წარმოდგენილი, რომ ერთი შეხედვით ლამაზად გაფორმებული ტკბილეულის კოლოფი გეგონება. დახედავ ამ ხასხასა, წითელ-ყვითლად გაბრწყინებულ ფერებს და ერთი პირობა იქნებ ტორტის მოსართავ კრემადაც კი ინატრო.

სხვისა სხვამ იცოდეს, მე კი მაინც რაფაელის ყვითელ ფერს ამოვიჩივდი და მიუხედავად იმისა, რომ ეს თირკმელზედა ჯირკვლები ანუ glandulae suprarenales-ები ნახევარმთვარეზე უფრო მეტად დაჩუტულ-დაჭმუჭნულ ბუშტებს მოგვაგონებენ, ტილოს ზედა კუთხეში მაინც ორ ნამგალა მთოვარეს მივახატავდი. კი, ვიცი, რომ ამჯერად მხოლოდ ერთი glandula მივარგა, ვიცი და მაინც ორს დავხატავდი. ასე უფრო ლამაზი გამოვიდოდა. ისიც ვიცი, რომ განსაკუთრებული გულმოდგინებით შექჩრდილი უნდა დამემუშავებინა — თირკმელზედა ჯირკვლის ფაქტურა ხომ საკმაოდ ხორკლიანია. ნეტავ ერთი ჯირკვალი ჭრილშიაც დამახატებინა! ო, ქერქიანი შრის zona reticularis-ი, ანუ ბადისებრი ზონა ხომ მართლაც ვირტუოზული ოსტატობის გამოსავლენადაა ზედგამოჭრილი. ამ მრავალრიცხოვანი ძარღვების, უწვრილესი ნერვებისა და სხვადასხვა ზომის კუნთოვანი ქსოვილების გადმოხატვაც ხომ ძალზედ ეფექტური იქნებოდა... სულ ბოლოს კი, ყველაფერი ეს გეომეტრიულად ზუსტსა და თვალგასახარ ნაქარგს დაემსგავსებოდა.

ჰო, მერე და მერე, ე. ი. რაფინირებული ტონების შემდეგ, საკმაოდ ხარბ, არაორაზროვნად მუქ წითელ ფერებზე გადასვლაც შეიძლება. განსაკუთრებით მაშინაა ეს სასურველი, როცა Substantia medullaris-ის ტვინის შრეებს მივუახლოვდები... ამ ინტენსიურსა და მყვირალა წითელ ფერს მე პირადად უფრო მეტ ძალმოსილებას, უფრო მეტ მომხიბვლელობას მივანიჭებდი. ასე და ამრიგად, უკვე ტვინის შრეებიც არ წარმოადგენს ჩემთვის არავითარ სიძნელეს. სხვათა შორის, არც ეს წითელი ნივთიერებაა დიდი გამოცანა: მასში გამომუშავებული პროდუქტების შექენა ხომ ნებისმიერ აფთიაქშია შესაძლებელი ადრენალინის სახით... მთავარი კი ისაა, რომ მაშინ, როდესაც წყვდიადში ჩასასვლელ კიბეზე მარგიტის მზრუნველი ხელი წამეხმარება (რის შესახებაც მე ერთხელ უკვე საკმაოდ დამაჯერებლად და ხატოვნად ვწერდი!), ტვინის შრეები საერთოდ არაფერ შუაში არ იქნება!

ახლა კი დროა თვით თირკმლებზეც გადავიდეთ. აქ, ჩემი აზრით, ყველა-

ზე უპრობანი მაინც ყავისფერი იქნებოდა. დიახ, ერთი შეხედვით თოქოს რალო, მაგრამ საოცრად კეთილსინდისიერი, თანაც ყოველგვარი ზედმეტი მინარევების გარეშე. ასეთი ფერი არა მარტო თირკმლების უშნო ფერად იქნებოდა ზედგამოჭრილი, არამედ მათი ბუნებრივი დანიშნულებისთვისაც... წარმოიდგინეთ თირკმლის არტერიებში ჩამჯდარი ორი მოგრძო პამიდორი, რომელიც სისხლის გაფილტვრასაც ასწრებს და შარდის წვეთწვეთად გატარებასაც, თანაც მკაცრად განსაზღვრული რაოდენობით... თირკმლების ლალატი და ფეხის გაჭიმვა ერთია. და მაინც, მიუხედავად ამისა, თირკმლებს არ გააჩნიათ ის იდუმალება, ის ფლუიდები და ა. შ., რითაც ასე უხვადაა შემკობილი თირკმელზედა ჯირკვლები. თავად განსაჯეთ, საკმარისი იყო თირკმელზედა ჯირკვალს თავისი ფუნქციების შესრულებისას ოდნავ წაეორიგინალებინა, რომ მშვენიერ მონა-ლიზას ნიკაპზე ჩვეულებრივი ბეკეკას წვერი წამოეზრდებოდა.

ახლა კი ამ მოზეიმე ფერების თამადასაც, ანუ ჩემს კიბოსაც ხომ უნდა მოენახოს თავისი კუთვნილი ადგილი? კი, მართალია ჩემი კიბო ჩემშივე აღმოცენდა და განვითარდა, უფრო მეტიც, მე და ის სრულიად განუყოფელი ერთარსი ვართ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე მაინც გარე სამყაროდან მოვლენილ ბოროტ სულად დავხატავდი მას, სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ამ წუთში წარმოდგენაც არა მაქვს, როგორ გამოიყურება გარეგნულად ეს ბოროტი სული. ი. სობოტას ანატომიურ ატლასში ხომ მაინც დამაინც იმათი მუცლებია გამოფატრული, რომელთაც საერთოდ არ ჰქონიათ ისეთი არქიტექტურული ზედმეტობა, როგორიც კიბოა. ე. ი. არც მისი დახატვა ყოფილა აუცილებელი. მით უმეტეს, რაც კი რამ ფატალურია, ერთობ ბანალურადაც გამოიყურება.

წარმოსახვაში, რა თქმა უნდა, ყველაფერი უკეთ გამოიყურება. ჩემს კიბოსაც ამ ჭრელაჭრულა სურათის სიღრმეში დაუღვეს ბინა, თუმცა რაღა ბინა — ალტარი, სადაც ყოველ წამს თავის წარმართულ რიტუალს ასრულებს. დიახ, წარმართულს, რადგან საკუთარი თავის პატივისმცემელი ვერცერთი რწმენა ვერ ჰგუობს ზედმეტობას... თუმცა ამ შერეკილმა მოგვმა ეტყობა უფრო გრანდიოზული მიზნები დაისახა — შეყუყულა თავის ფარულ თავშესაფარში და ჩემს საბრალო უჯრედებს ყოვლად უაზრო და სასტიკ ბრძანებებს გადასცემს. საერთოდ კი ყველაფერს სჩადის იმისათვის, რათა პანიკაში ჩავარდნილმა უჯრედებმა თავიანთ პირდაპირ დანიშნულებაზე აიღონ ხელი, მერე კი უთავბოლოდ გადიდნენ, გაიზარდონ, გადაგვარდნენ... მოკლედ, კიბოს ერთი სული აქვს როდის დააჯილდოვებს თავის პატრონს გულზემოსაყრელი სიდიდეებით... ცდილობს ჩვეულებრივი თირკმელი აქციოს გიგანტურ თირკმლად! ელენთა — ბუმბერაზ ელენთად! სწორი ნაწლავი — ვეებერთელა სწორ ნაწლავად! ოღონდ კი რამე გაამსხვილოს, ოღონდ კი რამე გააფართოვოს!.. კვლავ გულისგამაწვრილებელ წინააღმდეგობაში ვვარდები: — თუ მე და ჩემი კიბო მართლა ერთი და გაუყოფელი ვართ, მაშ გარეშე ძალებიც არაფერ შუაში ყოფილან!.. ჩემი ღრმა რწმენით, არც ბაქტერიებისა და ვირუსების მსუბუქ არტილერიას მიუღია რაიმე მონაწილეობა მათ წარმოქმნაში. ყველაფერი ჩემს არსებაში ხდება, ჩემს არსებაში და ჩემივე თანხმობით... ე. წ. ტვინი და გონება კი სრულიად უძლურნი არიან სხეულის ამა თუ იმ უგუნურ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. ბოლოს და ბოლოს, რაში მარგია

ეს ტვინი, რაში?! ნუთუ მარტოდენ დღიურებში დაშიფრული წვრილმანი ცოდ-
ვების გასახსენებლად და აღსანუსხავად?!

სწრაფად ვდგები. ვცდილობ გრაფინს მივწვდე, მაგრამ... ეხეც/მენ! უკვე
ფეხები აღარ მემორჩილება. მუხლები მიცახცახებს... ჯერ ჩუბუჭებში მეც-
ლება ძალა, მერე მეორეში... მეტი აღარ შემიძლია. საწინააღმდეგო კემბობი
და მოულოდნელად ყველაფერი სულერთი ხდება, უკლებლივ ყველაფერი...

არა, ასე არ შეიძლება, ცოტას კიდევ დავისვენებ და წამოვდგები. ძალას
მოვიკრებ და, რაღაც არ უნდა დამიჯდეს, წამოვდგები... აი, უკვე არა მიშავს,
ვდგები. ფანჯარასთან მივდივარ. სუფთა ჰაერი... ჰაერი!

ყველაფერი ტორტმანებს. მგონი მთელი სამყარო ამოვარდა ფოკუსიდან...
სახლის სახურავები, ხეები და ქუჩები მოყვითალო-მოიისფრო ჩარჩოშია ჩას-
მული... ჩემს ყელში გაჩხერილი ზორკლიანი ბურთიც მოყვითალოა... თანდათან
იზრდება... აი, უკვე ჩემი თავის ხელაა, სადაცაა დამახრჩობს!

გონზე მოვდივარ. ნეტავ რამდენ ხანს ვიყავი ამ ფანჯრის რაფაზე მკერდ-
მიბჯენილი? ყველაფერს თავისი ფერი უბრუნდება... მოყვითალო-მოიისფრო
ყვავილწუნულებიც გაუჩინარდნენ. აი, საავადმყოფოს ბაღი, ბილიკზე მარგიტი
მოაბიჯებს. წამით ჩერდება, ჩემი ფანჯრისაკენ იცქირება. მართალია, ამ სიშო-
რეზე ჩემს სახეს ვერ დაინახავს, მაგრამ მთავარი ახლა ისაა, რომ იგი ნამდვი-
ლად ჩემი ფანჯრისაკენ იხედება. როგორ მინდა ხელი დავუქნიო, როგორ
მინდა, მაგრამ... ისევ მეცლება ძალა... ეშმაკმა დალაზვროს!

20.

ნასადილევს შოკში ჩავევარდი.

არასოდეს დამავიწყდება თანაგრძნობით აღსავსე მარგიტის თვალები.
მთელი საღამო ლოჯინში ვიწეჭი და სულგანაბული ველოდებოდი როდის გა-
ვიგონებდი მის საამო, გულში ჩამწვდომ ხმას. მარგიტი კი დუმდა, ე. ი. ხე-
ლიდან წასულთა სიაში ჯერ კიდევ არ ვეწერე... საინტერესოა, რას ფიქრო-
ბენ ამდენ ხანს ჩემი ეჭიმები? ჩამიდგამენ თუ არა, ბოლოს და ბოლოს, ხელოვ-
ნურ თირკმელს?... ხელოვნური თირკმელი იქით იყოს და ის, რაც ერთ მშვე-
ნიერ დღეს საბრალო პეტერში აღმოვაჩინე, ამ ბოლო დღეებში მე თვითონ
მომეძალა — ღმერთო ჩემო, რა ძნელი ყოფილა სულთან გაყრა! რა თავგა-
მეტებით ვებლაუჭები სიცოცხლეს! კბილებით, ტუჩებით, თვალებით... მთელი
არსებით! თავის წაწყვეტამდე... თურმე, ნუ იტყვიო და, კეფაზე დასმულ სამე-
დიცინო წურბელებსაც თავები აწყდებათ, დროზე ადრე თუ მოაცილეს ნუგბარ
საწუწნავს.

ეტყობა, ცელმომარჯვებული მიქელ-გაბრიელი ნამეტანი ახლოს დაძვრება
ჩემს სახლთან. ვინ იცის, იქნებ ახლაც სადმე აქვე იყოს ჩასაფრებული! აი,
თუნდაც იმ ვერხვის ძირში, რომლის ქერქშიაც საბრალო შატლი ცოდვილობს.
ადვილი წარმოსადგენია სულაც სასუქის გროვასთან მიგდებული ლურსმნების
ძველ ყუთზე იყოს წამოსკუპული! ადრე თუ გვიან იგი ამ პალატაშიც შემოი-
ძურწება.. ფეხაკრეფით ამოუყვება ღამის ნათურით განათებულ კიბეს... დე-
რეფანში დაგებული მწვანე ხალიჩა მთლიანად შთანთქავს მისი ნაბიჯების
ხმას... წამოვა, წამოვა, წამოვა! კაციშვილი ვერ შენიშნავს, ისე უხმოდ ჩაუვ-

ლის მოვლემარე ექთანის მაგიდას, მოხერხებულად გასრიალდება ელექტრონის სხივსა და მასტიკის სუნს შორის... ადამიანისაკენ! იმ ადამიანისაკენ, რომელსაც თირკმლის კიბო აქვს!



მორიგე ექთანი თვლემს. ვერაფერს ვერ ამჩნევს. ალბათ, საათი თუ იგრძნობს რამეს! ასეთ შემთხვევაში ზოგი საათი თურმე საერთოდ ჩერდება... ადვილი შესაძლებელია ჩაბნელებულ ოთახში ფანჯარაც კი გაიღოს თავისით! დიახ, სიკვდილის მოახლოებას მხოლოდ საათი, ფანჯარა და მარგიტი თუ იგრძნობენ... ხმატკბილი მარგიტის გამოსამშვიდობებელი სიმღერა მუდამ თავის დროზე გაისმის მომავლადვის სასთუმალთან... აბა რისი გეშინიათ — ლულუნებს მისი ხმა, ხმა კი არა, ინტონაცია — ცოტაც და ტკივილი თავისით გაივლის... ცოტაც მოვითმინოთ, სულ ცოტა...

სიკვდილის წინ ყველა ბავშვივით იქცევა. ვინ იცის, იქნებ მეც წავიფარო თავზე ზეწარი, მუხლები ნიკაბამდე მოვკაკვო და ასე სასაცილოდ მოკრუნჩხულმა ვცადო დავემალო სიკვდილს... მახსოვს, ბაღბაში, როცა რამეს დავაშავებდი, დედაჩემი დამემუქრებოდა, მოვა მამაშენი და ის გიჩვენებს სეირსო... მეც სხვა რაღა დამრჩენოდა, მოსალამოვდებოდა თუ არა, მაშინვე ლოგინში შევძვრებოდი და თავს მოვიმძინარებდი. არ მახსოვს, მამაჩემს ერთხელ მაინც გაველვებებინე.

მაინც რა იყო, რა ოფლი ვღვარე დღეს! ვერ წარმოვიდგენდი ადამიანს, თუ ამდენი ოფლის გამოყოფა შეეძლო. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს წყლით გაბერილი ბუშტი ვიყავი და საკმარისი იყო ჩემს საწოლთან დახრილ ეჭიმებს თითი დაეკარებინათ, რომ უმაღლესადრევივით ამოვიფრქვეოდი. ახლა რა მიშავს, კარგად ვარ. ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. არსად არაფერი არ მტკივა. ღმერთო ჩემო, რამხელა ბედნიერებაა, როცა უზრუნველად წევხარ და არსად არაფერი არ გტკივა! თითქოს მთელი სხეული ზეიმობს... რა დასანანია, რომ წინათ საერთოდ ვერ ვახერხებდი ამ ბედნიერებით ტკობას. არადა, ვინ მოთვლის რამდენი დღე და საათი მქონდა ცხოვრებაში ამის შესაძლებლობა! რა საოცარი შეგრძნება მეუფლება — ცოტა ხნის წინათ ოფლი მასკდებოდა, ახლა მუსიკად ვიღვრები... ღვთაებრივ მუსიკად!.. მაგარი გული გქონიაო, მითხრეს ეჭიმებმა. მორჩა! ახლა წაძინებაც არ მაწყენს...

21.

ღამის პირველი საათია. მაშასადამე, მთელი ექვსი საათი მძინებია. წამოდგომისთანავე ვგრძნობ, რომ ბევრად უკეთ ვარ. ფეხზედაც მაგრად ვდგავარ. გული ისევ ფანჯრისაკენ მიმიწევს. ეს ფანჯარა პირდაპირ მაგნიტივით მიზიდავს.

ნისლიანი ღამეა. ცივა, ნეონით განათებულ ჩემს ქალაქს ეკლის გვირგვინით ადგას თავზე შარავანდედი... ღმერთო ჩემო, რამდენი რამე არ არსებობს ახლა ჩემთვის ამ დაფიონის ქვეშ! — თეატრები, რესტორნები, კინოთეატრები, კაფეები... არ არსებობს და ნუ არსებობს! სამაგიეროდ ვარსებობ მე თვითონ! აი, ახლა, ამ წუთში, ამ განუმეორებელ წამში! რომელშიაც ყველანი ერთად და ერთდროულად ვარსებობთ. ახლა, როცა მარტოდმარტო ვარ და გახურებულ შუბლს ფანჯრის ცივ მინაზე ვიგრილებ, განსაკუთრებით მძაფრად შევიგრძნობ ხოლმე ჩემს ამწამიერ არსებობას მთელ კაცობრიობასთან ერთად... რა

საოცარი, რა ამალღებული, რა ბედნიერი განცდაა — მე ვარსებობ! მე ვცოცხლობ! მეც ნაწილი ვარ ყოფიერებისა! რატომღაც ჩვენი სკოლის ეს საზეიმო საღამო მახსენდება: აი, მე ისევ ჩაბნელებულ აივანზე ვდგავარ და „დონა კლარას“ ჰანგებით ვტკბები... მოულოდნელად ენით გამოუთქმელი აღტყინება მეუფლება, ხელებს ვშლი და ძველმოდურ ტანგოზე ატროქსის უფროსკლასელებს ვლოცავ... მაშინაც ყველასაგან განცალკევებით ვიღებ! ახლაც მარტო ვარ... ახლა! — რა ჯადოქრული ძალაა ამ სიტყვაში! არადა, ის ხომ მხოლოდ ერთ წამში ინთება და იფერფლება, იფერფლება და გადადის წარსულში, იმ წარსულში, რომელიც, კაცმა რომ თქვას, არც არსებობს. ქრებიან და ინთებიან წამები, იფერფლებიან და ისევ ინთებიან...

სადღაც კი, იქვე საავადმყოფოდან არც თუ ისე შორს, სწორედ ამ წუთში გრიალებენ რესტორნები, ოფლად იღვრებიან არაქათგამოცლილი მოცეკვავეები... თვალბმინაბულ ქალებს ვნებიანად მოქანავე თეძოებზე აბრეშუმის კაბები ეწებებათ... იღვრება შუშხუნა შამპანური... გუგუნებს მუსიკა... რესტორნის უკანა ეზოში კი, ზედ ბათქაშგაცვენის კედელთან მიდგმულ სანაგვე ურნაზე სიცივისაგან გათოშილი კატა მობუზულა... ახლა იქნებ მარტოსული პილიმეესიც კენესის სადმე... სადღაც ურცხვად შიშვლდება ქალიშვილი, რომელსაც ნაზი, ქოქოსის რძისფერი კანი აქვს... ოპოდელდოკის საცხის სუნით აქოთებულ ოთახში ბარძაყებში ფესვგადგმული რევმატიზმით გულგაწვრილებული დედაბერი კენესის... ყვითელი კანი აქვს, პაპირუსის ქალაღივით დაქმუქნული... ჩემს ყოფილ ლაბორატორიაში ძველებური კედლის საათი წიკწიკებს, ეღრიალებს, ითვლის წამებს, წუთებს... ბიურეტებიდან მოწვეთავს ხსნარი, კოლბებში დაცულია მუდმივი ტემპერატურა, კაბელებში მიედინება ელექტრონი... საკანალიზაციო ლიუკებში ათასგვარი უწმინდურობა გროვდება და მარად მღელვარე ზღვებისაკენ მიბუზბუყებს... მარადისობა თავისთავად სხვა არაფერია, თუ არა უთვალავი „ახლა“... სხვათა შორის, ერთი ასეთი „ახლა“ სრულიად საკმარისია, რათა რომელიმე შოშიამ პაწაწინა სიზმარი ნახოს... და ყველაფერს ადგას თავზე ცივი ზეცა! ცივი ზეცა და სავარსკვლავეთის მირიადი „ახლა“...

მაინც რა უკიდევანოა ეს „ახლა“! თვალშეუდგამი სიღიდე ყოველთვის გაეჭვებს თავის არსებობაში. ანკი როგორღა უნდა არსებობდეს, როცა განუწყვეტლივ ქრება და იშლება... სასიკვდილოდ დაჭრილი ჩიტი უსულოდ ენარცხება დედამიწაზე... მორჩა, გათავდა — იგი უკვე აღარ არსებობს. მასთან ერთად ქრება ერთი უზარმაზარი „ახლაც“... და აი, სისხლით მოთხვრილ ბალახებში აწ უკვე მკვდარ ჩიტთან ერთად იბადება ახალი „ახლა“, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა „ახლაც“, სრულიად სხვა! და მოვა წამი უჩემოდ... წამი, რომელშიც მე არ ვიქნები!

საკუთარ სხეულს ვათვალისწინებ. ეს ყველაფერი ჩემი „ახლაც“, საკუთარი „ახლა“... მე ვარსებობ. მე ვგრძნობ საკუთარი ოფლის სუნს. ჩემი თირკმელზედა ცეპელინები როგორღაც კიდევ ჭაბირობენ და ავად თუ კარგად თავის მოვალეობას დაახლოებით მაინც ასრულებენ. რაც მართალი მართალია, ამ ბოლო ხანებში მეტისმეტად გავხდი! თეძოები რომ თეძოებია, ისიც ოპოდელდოკის საცხის სუნით აქოთებულ დედაბერივითა მაქვს ჩაყვითლებული... კი ბატონო, ერთი შეხედვით იქნებ მუმიასაც ვგავდე, მაგრამ ნამდვილ მუმიობამდე ჯერ მაინც შორსაა. აკი ვფიქრობ, ვმოძრაობ, ვაკვირდები საკუთარ

თავს, შემძლია დავძაბო ესა თუ ის კუნთი და... უნებლიეთ ჩემი მზერა სხეულის იმ ნაწილზე ჩერდება, რომლის წყალობითაც ცოტა რამ მგონი მცემოვახერხე სამომავლოდ... ხომ მოვევლინა ქვეყნიერებას ჩემი ქუდბედიანი ბიჭი! ერთ ქალს მაინც ხომ ჩავუყენე სამყოფზე მეტი რძე ქუდბედიანს?

უსაზღვრო სინანულით ვივსები. გული მწყდება, რომ უფრო მნიშვნელოვან კვალს ვერ ვტოვებ ამ გაუტანელ წუთისოფელში. მერე რა, რომ ყველაფერი წარმატალია! ჩემი აზრით, მართლაც დიდზე-დიდი, ჭეშმარიტად ბრძნული აზრი უნდა იდოს იმ მცნებაში, რომელიც საყოველთაო გამრავლებისაკენ მოგვიწოდებს. კიდევ? კიდევ. რა აზრი აქვს? რა და, აი, თუნდაც უთვალავ „ახლათა“ მარადიულობა... სხვა რომ არაფერი, განა ეს საკმარისი არ არის? კი, მართალია, მე არ ვიცი როგორ დაიწყო ეს ყველაფერი... არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე! რაც მთავარია, კარუსელი ტრიალებს, მანქანა მომართულია, გაოფლილ თეძოებს აბრეშუმის ქსოვილი ეკვრება... დაცვარულ ბალახში ეცემა ჩიტი, სასუქის გროვაზე მწიფდება გოგრა... კიდევ რა? რა და, ადვილი შესაძლებელია ყველაფერი ამის უკან იდუმალი ძალებიც იდგნენ, მაგრამ პრინციპში ეს არაფერსაც არ ცვლის (ხანდახან მე ისიც კი მჯერა, რომ სადღაც შორს, ძალიან შორს, ცხრა ზღვისა და მთის გადაღმა, მართლა დგას პატარა ქოხი, გამტვერილ ფანჯრის რაფაზე დგას ქოთანის, ქოთანში ყვავის გერანი, გერანის ფოთლებში დედაბრის მოწყენილი სახე ილანდება... მისი ყოვლისშემწყნარებელი თვალები უსასრულო სივრცეებისკენაა მიქცეული). ამწამიერის ჟრჟოლას ყველანი ერთნაირად განვიცდით... და ეს უსაზღვროდ დიდი ბედნიერებაა!

ისევ ჩემს გაძვალტყავებულ სხეულს ვათვალიერებ. როგორ ჰგავს იგი ხეზე ჩამოტეხილ ფოთლებზემჭკნარ ტოტს! დავყურებ ხელებს, ფეხებს, მუცელს... მერე ისევ ცივი ქალაქის თავზე გადმომდგარ ვარდისფერი შარავანდელისაკენ გამიბრბის თვალი.

ეჰ, იაანიკა, იაანიკა!.. მეც ხომ მჭირდება თანამგზავრი დასაფერფლად განწირულ ამწამიერში. ღმერთო, ნუ გადამრევ, ეს რა მემართება! ნუთუ ისევ ძველებური ძალ-ლონითა და სურვილებით ივსება ჩემი სხეული... იაანიკა!

ხალათს ვიცმევ, ფანჯრიდან მივძვრები და საავადმყოფოს ბაღისაკენ მიმავალ ბილიკზე ვეშვები.

— იაანიკა!

მკრთალად განათებულ ფანჯარაზე წამით თეთრი ოვალი ჩნდება. ეს ხომ მთვარის ცივ ნათელში სხივმოფენილი იაანიკას სახეა. აი, მე უკვე ფანჯარაში ვიჭყიტები და ნათლად ვხედავ მის თვალებს, უსაზღვრო გაოცებისაგან გაფართოებულ თვალებს.

— მე ვარ, იაანიკა, მე...

ფანჯარა ფრთხილად იღება. წამით ფარდებში ვიბლანდები. დაბნეული იაანიკა კარისაკენ ზურგშექცეული დგას და ისე მომჩერებია, თითქოს ეს წუთია მის ფანჯარაში მე კი არა, მოჩვენება გადამძვრალიყოს.

— როგორ მატკინე!.. — ჩურჩულებს იაანიკა.

იაანიკას ჩამოშლილი თმა სახეზე მელამუნება. იატაკზე ზეწარი აგდია...

— შენ რა, მარტოობის შეგეშინდა?

ხმადაბლა ვსაუბრობთ, გრძელ-გრძელი პაუზებით. ერთი „ახლა“ ქრება, მეორე ინთება. ქრება და ინთება, ქრება და ინთება...

— პო, ალბათ მარტო ყოფნაც არ მინდოდა...

— მერე შენ მაინცდამაინც ჩემსკენ გამოგიწია გულმა, თუ?... — გამომცდელად მეკითხება იაანიკა და, მართალია, ამ სიბნელეში მის წინაშე ვერ ვხედავ, მაგრამ ვგრძნობ, როგორ იღიმება.

არაფერს არ ვპასუხობ.

— ეს შიში ჩემთვისაც ნაცნობია... დამერწმუნე, მსგავსი რამ მეც არაერთხელ გამომიცდია...

იაანიკა იატაკზე დაცურებულ ზეწარს იღებს და ტანზე მახურავს.

— შენ მგონი კიდევ ვერ მოითქვი სული... მაინც რა გამხდარი ხარ... ტკივილით კი მაინც მატკინე...

ზედმიწევნით სწორად იქცევა იაანიკა სიბნელეში. განსაკუთრებით იმის შემდეგ... პოულობს ზუსტ კილოს, სვამს ბუნებრივ ინტონაციებს... ღმერთმა დამიფაროს და ხომ შეიძლებოდა, მაგალითად, ასეთი ბანალური ფრაზაც წამოსცდენოდა: „რას შვები, ჩემო გიჟო, განა ასე უნდა ატკინო შენს იაანიკას...“ ამის თქმა და ყველაფრის გაფუჭება ხომ ერთი იქნებოდა... ამგვარი სიყალბის ფონზე ღუმილი რომ ღუმილია, ისიც კი არ იქნებოდა სრულფასოვანი. სხვათა შორის, აგნესი ზუსტად ასე იტყოდა! იაანიკა კი სულ სხვა ქალია. ჩემთვისაც ნაცნობია ეს შიშით, მეც გამომიცდია მსგავსი რამეებიო...

— რა იყო ვითომ წელან ხალზე რომ მეფერებოდი? — მეკითხება იაანიკა, — გიყვარს ხალები? ზოგს სულ არ მოსწონს...

— იცი, ზუსტად ასეთი ხალი ჰქონდა ერთ ქალს... მე მაშინ ჯერ კიდევ პირტიტველა ბიჭი ვიყავი. ის ქალი თევზეულით ვაჭრობდა... — და მე უკიდურესი გულახდილობით ვუყვები იაანიკას, რა ურთიერთობა მქონდა თევზის გამყიდველ ქალთან. „თევზის ბაზარი“ — აი, ამ ორად-ორი სიტყვითაა დაშიფრული ეს ამბავი ჩემს ყავისფერყდიან რვეულში.

იაანიკა ყურადღებით მისმენს და, რა თქმა უნდა, სულაც არ ეჭვიანობს, რადგან ეს გრძნობა ახლა ჩვენთვის საერთოდ არ არსებობს. ის, ვინც ასეთ დამეს განიცდის, არასოდეს არ იეჭვიანებს!

— ეს ჩვენი უკანასკნელი სიგიჟე იყო... აწი ვერასოდეს ვერ შევძლებ... — ვჩურჩულებ მე.

იაანიკა ღუმს. მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ღუმილია. ეტყობა, რაღაც ვერ ვთქვი სწორად... კიდევ წამი და შიშველ მხარზე იაანიკას ცრემლი მეცემა.

— მერე რა თუ ვერ შევძლებ... ამით ქვეყანა კი არ დაიქცევა... ყველაზე დიდი დანაშაული ადამიანის გაჩენააო, უთქვამს ერთ ფილოსოფოსს, — გაუბედავად ვღუღუნებ მე, — კარგი რა, ნუ ტირი!

იაანიკა სულ უფრო და უფრო იძაბება.

— რაღა მე და რაღა გამხმარი ჯირკვი! — სლუკუნებს იაანიკა, — მე ხომ ნანგრევი ვარ, ერთი საცოდავი ნანგრევი და მეტი არაფერი! რამ მოგიყვანა ჩემთან, რამ?! —

— ჩემი სულელი გოგო! — უკვე ჩემს ხმაშიც ერევა სიყალბე.

იაანიკა სწრაფად დგება. ო, რა ქათქათაა მისი სხეული! ქათქათა და ვეება...

— წადი!



— კარგი რა... რა ვემართება?

— მომწყდი თავიდან.

ხმას არ ვიღებ. ანკი რა უნდა ვთქვა. იაანიკა საწოლიდან მაგდებს წელიწადის დასაწყისის გაწევა უაზრობაა. არც დაყვავებით გამოდის რამე.

— გამცილდი, გამცილდი! ახლავე გამცილდი! შენ რა, კიდევ ვერ გაიგე ვინა ვარ მე? ნანგრევი! ჭირკვი! ლეში!

იაანიკა მღელვარებისაგან ცახცახებს. მთელი ძალით მანჯღრევს. მისი ფრჩხილები სულ უფრო და უფრო მტკივნეულად მესობიან მხრებში.

— გაეთრიე! გაეთრიე!

ახლა კი ვკადრულობ წამოდგომას. ხალათს ვიცვამ. იაანიკა საწოლის კიდეზე ჯდება და სახეზე ხელებს იფარებს. მე უკვე ვერ ვხედავ მის ტუჩებს, რომლებიც სულ უფრო გულსაკლავად ბუტბუტებენ.

— ჩემი სხეული ნანგრევებია... უკანასკნელი ღამე იყო, დაგიჩემებია... მე კი, მე ლეში ვარ! ჭირკვი! ო, როგორ მეზიზღება საკუთარი თავი.. როგორ მეზიზღება, როგორ მეზიზღება!

ისევ ჩემი პალატისაკენ მივიძურწები. თენდება. აღმოსავლეთის ცაზე მომწვანო-მოვარდისფრო ფერები ღვებებიან. ტალინის თავზე გადმომდგარი ნეონის შარავანდელი სულ უფრო მეტად იცრიცება და მკრთალდება.

22.

საბანზე ვწევარ. თვალები ჭერზე მაქვს მიშტერებული. ჩვენი საავადმყოფო ჯერ კიდევ ღრმა ძილშია. სადაცაა გათენდება. ჩაბნელებულ ფანჯრებს დილის რიყრაყი ელაციცება. ახლა აუტანელი ტკივილებით განაწამება კიბოიანთა სხეულებიც კი გრძნობენ განთიადის გარდუვალობას. კოშმარულ სიზმრებში ძილგამკრთალი ავადმყოფები ლოგინში წრიალებენ და გაოფლილი ფეხები დაქმუჭნულ ზეწარში ებლანდებათ.

თენდება. დილას ვერავინ დაემალება!

მაგიდის კიდეზე საერთო რვეული დევს. მისი ფერის გარჩევა ჯერჯერობით შეუძლებელია, მაგრამ საკმარისია მზის სხივებმა ჩემი ფანჯარაც მოტეხონ, რომ ამ საერთო რვეულსაც ჩემი სატკივარივით ყავისფერი დაედება.

როცა ამ რვეულს ვფურცლავ, თვითონ მეცინება ხოლმე საკუთარ თავზე. აჰ, სადღაც, ორიოდე სიტყვით, ისიცა მაქვს განმარტებული, როგორ არ უყვარს სიკვდილს პოზიორობა. ამას რომ ვწერდი, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, პეტერი მყავდა მხედველობაში. აბა მაშინ რას წარმოვიდგენდი, ასეთ-სავე პოზიორობაში საკუთარ თავსაც თუ გამოვიჭერდი. აქეთ ახალშობილის ყიფლიბანდი და ბაიას ბიწიერი შეფერილობა, იქით აგნესის ძუძუებში ჩამდგარი რძე და თირკმელზედა ჭირკვლების საკონდიტრო პეიზაჟი... ყველაზე კომიკური კი მაინც „fünf Eier unter dem Baum“-ია. ეშმაკმა დალახვროს, ყველაფერი ეს ხომ წმინდა წყლის ოინბაზობაა! თანაც ისეთი ოინბაზობა, რომელსაც როკფორული ყველის სუნი უდის... მაგრამ ღმერთია მოწამე, არცერთი ცოდვა არ ჩამიდენია შეგნებულად! ვინ მოთვლის, რამდენი მომაკვდავი მინახავს. ყველამ თავისებურად განუტევა სული... მხოლოდ ერთ რამეში ჰგავდნენ ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით — ყველაზე ქედუხრელნიც კი მასხა-

რად გადაიქცნენ უკანასკნელ წამს. სენტიმენტალურად გულაჩუქებულ და ამავე დროს უკიდურესად გაბოროტებულ მასხარად! ღმერთო ჩემო, როგორ ებლაუჭებიან მომაკვდავეები სიცოცხლეს! რა თავგანწირვით... არა, ეს სანახაობა ნამდვილად ზიზღის მომგვრელია! ჩემი მეგობარი პეტე მასხარად რომ მიტოვებული პატარძალივით იქცეოდა. არცერთ ხელსაწყოზე შემთხვევას არ გაუშვებდა ისე, თავისი ჯანმრთელობა რომ არ დაეკვებინა. სულ იმის ცდაში იყო, ყველაფრის მიმართ გამოეჩინა გადაჭარბებული ყურადღება და ინტერესი. ამის გამო თუ იყო, რომ ზოგჯერ იმ შინაბერას მოგაგონებდათ, რომელიც თავის დანაოჭებულ სახეს ათასნაირ ფერუმარლით ინიღბავს და ენაგაუჩერებლად ლაქლაქებს, რათა დაუშრეტელი ენერჯის პატრონად მოგვაჩვენოს თავი. თ, როგორ არ მინდოდა მეც ამგვარი თითლიბახობისათვის მიმემართა! უფრო ვაყვაცურად დავუხვდები იმ სულთამხუთავს-მეთქი, ვფიქრობდი. გამწირავს წუთისოფელი? მიმუხთლებს? კი ბატონო, მიმუხთლოს! ასეთი გულქვა წუთისოფლისათვის არც მე დავიწყებ დიდად გულს... აი, ასე საგულდაგულოდ ვემზადებოდი და ბოლოს რა? — რა და, მეც პოზიორობისაკენ გადავიხარე!

ახლა რა ვქნა? რა გზას დავადგე? იქნებ ისევ იმის დაჯერება სჯობდეს, რომ სიკვდილი მარადიული სასუფევლისაკენ მიმავალი ერთადერთი გზაა, ბუნებრივი დასასრულია, უდრტვინველად მისაღები გარდევალობაა და ა. შ. მაგრამ ესეც ხომ წმინდა წყლის ფარსია?! ახლაც თვალწინ მიდგას ის დღე, როდესაც ბავშვობაში პირველი კატაფალკი ვნახე: შავი ცხენები... კუდზე და ფაფარში ჩაწნული შავი ბაფთები... მაღალ ბორბლებზე შედგმული შავი კარეტა და ვერცხლით მოჭედული თვალსაფარი... ქუდმოხდილი მოქალაქენი... ღმერთო ჩემო, რა სასაცილოდ გამოიყურებოდა ეს ყველაფერი. სასაცილოდ და ფარისევლურად! მოულოდნელად საგანგებოდ მორთულ-მოკაზმულმა ერთმა ცხენმა შავი ბაფთებით გადახვეული კუდი მალლა აპრინა და სავსებით ბუნებრივ მოთხოვნილებათა მოსტუმრებას შეუდგა. პროცესია შედგა. დამწუხრებულმა ქირისუფლებმა თავი გვერდზე მიაბრუნეს, მე კი სიცილისაგან კინალამ გავიგუდე. ჩემი უტაქტო საქციელის გამო ნირწამბდარი დედაჩემი, რა თქმა უნდა, უხერხულად შეიშმუშნა და მე უკვე წინასწარ ვიცოდი, რა მწარე წამალიც გამომეწერებოდა სახლში. აბა მაშინ საიდან უნდა მცოდნოდა უხერხულ მდგომარეობაში მოხვედრილი ადამიანები სასაცილო ნიღაბსაც თუ არ თაკილობდნენ. შავ ყუთში იწვა ადამიანი, რომელსაც მიწაში დასამარხავად მიასვენებდნენ. ერთ დროს, ალბათ ისიც ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა, სვამდა, რომავდა ათასგვარ სისულელეს, წვებოდა ფეხდაუბანელი... იქნებ ასანთის კოლოფის ეტიკეტებსაც აგროვებდა და ა. შ. ახლა კი აგერ ამ გრძელ ყუთში ჩასვენებული სრულიად მოულოდნელად იმდენად საბატივცემულო პიროვნებად იქცა, რომ უცნობებიც კი ქუდს იხდიან და მისი თანდასწრებით უადგილო ადგილის მოფხანვისაგანაც კი იკავებენ თავს. ამაზე უფრო ზრდილობიანი პირობითობა გაგონილა? ვინ მოთვლის ყველაფერ ამაზე რამდენი სიმღერა გამოუთქვამთ ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებულ ბრძენკაცებს! რამდენი ფრიად სერიოზული შეგონება ჩამოუყალიბებიათ... დიახ, რაკი ვერ ვწვდებით სიცოცხლის არსს, დაე სიკვდილმა შეიმეცნოს იგი! რა, ცუდი პირობითობაა თუ? — მით უმეტეს იმასაც თუ გავითვალისწინებთ, როგორ ვძრწით და ვკანკალებთ ყველანი სიკვდილის წინაშე. ერთადერთი ხსნა სიკვდილშია! დავასკვე-

ნით ოდესღაც ჩვენ და ამაზე უფრო ნუგეშისმომცემი რაღა უნდა იყოს ამ ქვეყანაზე. კი, სიკვდილი იქნებ დიდი ღორობა იყოს, მაგრამ განა მარადიული სიცოცხლეც იგივე არ იქნებოდა?

რვეული გვერდზე გადავდე. მასში ქექვამ ახლა რატომღაც უფრო მეტად სიაშოვნება მომანიჭა.



უფრო მეტად
სიაშოვნება

საავადმყოფოს ეზოში პირველი სატვირთო მანქანა შემოგრუხუნდა. აი, ის უკვე სამზარეულოსთან უხვევს და ჩერდება. ეტყობა, სურსათ-სანოვაგე მოიტანეს. მალე სხვა მანქანებიც მოგრუხუნდებიან. მოზიდავენ წამლებს, თურულს, ჟანგბადის ბალონებს. აბა როგორ! — აქ ყველაფერი სამყოფად უნდა იყოს.

მალე ჩვენი პალატები და საპროცედურო კაბინეტები მზის სხივებით აივსებიან. შუშით შემინულ რკინის კარადებში სხვადასხვა ზომის სკალპელები, კატეტერები, ცისტოსკოპები და სტერილიზატორები დაიწყებენ ბზინვას. უბსენებელივით დახვეული რეზინის მილები ჩვენს კუჭში ჩასაშვებ მოწითალო ზონდებად იქცევიან... მთელი ეს უმდიდრესი არსენალი სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია. სიკვდილის მოშიშარმა კაცობრიობამ ხომ ეს ყველაფერი თავისი მეტისმეტად გასათუთებელი და ბალანგაცვენილი სხეულის დასაცავად გამოიგონა. იმ სწრაფწარმავალ ნამლევას დასაცავად — რასაც სიცოცხლე ეწოდება! საცხედრეში ჩამწკრივებულ თუთიის მაგიდებს სოდიანი ხსნარით აქათქათებენ. ყველგან წესრიგი და სისუფთავე უნდა იყოს, წესრიგი და სისუფთავე!

დღეს შეიძლება აგნესი მოვიდეს ჩემ სანახავად. არავითარ შემთხვევაში იმ კვერცხებს არ ვახსენებ! დაე დარჩნენ ისინი საუკუნოდ მიწაში... იქ, მტირალა არყის ხის ძირში!

ვაი რომ, ძალა არ შემწევს და გაბედულებაც მღალატობს, თორემ ახლავე მოვუსვამდი აქედან. ვიცი, ძალიან კარგად ვიცი, რომ ჩემი მხრივ ეს იქნებოდა ყოველად უსარგებლო ნაბიჯი. უფრო მეტიც — იმ გომბეშოს დავემგვანებოდი, ძალად რომ გაიბერა, ერთიც ვნახოთ, იქნებ ხარისოდენა გავზდეთ. მაგრამ გვაქვს კი ჩვენ საერთოდ უფრო მეტი ვაუკაცობის თავი? ო, რა სიაშოვნებით მივიდოდი ახლა იმ შრიალა არყის ხესთან. გულათრთოლებული მოვიგონებდი იმ შორეულ დილას, მამლების ყივილს, ლაქვარდით შეფერილ ზეცას... გავიხსენებდი ბიჭუკელას, რომელსაც უბეში კვერცხები უწყვია და დაცვარულ მდელოზე ფრთხილად მიაბიჯებს.. ო, რა შორსაა ახლა ის ბიჭი! ისე შორს, რომ უკვე ყოველგვარი სენტიმენტალურობის გარეშეც შეიძლება ყველაფრის მოგონება...

Und ich sann nach
über des Eies Verwandlung
und den Wandel des Lebens...

28.

— წინმკლავი! ზემკლავი! განმკლავი! მიმკლავი! წინმკლავი! ზემკლავი! განმკლავი! მიმკლავი!

ეს ტრანზისტორის ხმაა. იგი ჩემს საწერ მაგიდაზე დევს. ეს წუთია დაიწ-

ყო საწარმოო ტანვარჯიში. დიქტორს ძლიერი ხმა აქვს... ძლიერ და დათაფ-
ლული.

— წინმკლავი! ზემკლავი! განმკლავი! მიმკლავი!

თვალწინ წარმომიდგება ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მკერდზე შემოტმასნილი თხელი სვიტერი აცვია. ამ ხმას უსათუოდ ბოჭკოვანი ზეკრეპი-
ლი შავი თმა და ზედა ტუჩზე ოდნავ შესამჩნევი ღიწლი მოუხდებოდა.

ფანჯრის მინაზე უზარმაზარი ბუზი ბზუის.

სამზარეულოდან გადამდნარი ქონის სუნი მცემს. ტაფაზე კვერცხები ში-
შინებენ. აგნესი ერბო-კვერცხს მიმზადებს.

იაანიკასთან გატარებული ღამის შემდეგ, რისი დაფარვაც, რა თქმა უნდა, არ მოხერხდა (ი. ანდრესკოვი!!!), საკმაოდ დელიკატურად განმიცხადეს, რომ ჩემი ოინები უკვე ყელში ამოუვიდათ. რომ მე, პირველ რიგში, ნერვები მაქვს სამკურნალო და ა. შ. ასე რომ, მთელი ორი კვირა პალდისკის ქუჩაზე გამატარებინეს, ფსიქიატრიულში, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მეც დავრწმუნდი, რომ თირკმლების ბოჭკოვან შემაერთებელ ქსოვილში უბრალო fibromyoma renis-ი, ანუ პაწაწკინტელა კეთილთვისებიანი სიმსივნე მქონია და მეტი არაფერი. თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, ამგვარი სიმსივნეები თირკმელში მეტად იშვიათი მოვლენა ყოფილა.

მეორე სამკურნალო დაწესებულებაში კიდევ ერთი ახალი დიაგნოზი დამისვეს: ფსიქოსტენია.

სამედიცინო ლიტერატურის ზედმეტი ქეჩვის გამო აკვიტებული აზრების მაინც რა საზიზღარი სუნი უდის ამ ქონს! გეგონება, პირის დაკარების-
თანავე გულს აგირევსო, მაგრამ ორგანიზმისათვის საჭირო ცილების მცირე ულუფის მიღებისთანავე დარწმუნდები, რომ არც ისე გულისამრევია.

ფსიქიატრიულიდან გამოწერის დღეს მისაღებში დამსვეს და გასაწერი ქალაქების მოლოდინში მთელი დღე მაყურყუტეს. საავადმყოფოს ტანსაც-
მელს მიჩვეულ ტანს პიჯაკი და შარვალი ეხამუშებოდა. განსაკუთრებით ფეხები მეჭავებოდა და მიოფლიანდებოდა წარამარა. ჩემს მკურნალ ექიმს კურდღლისებრი ტუჩი საგანგებოდ მოშვებული ულვაშით ჰქონდა შენიღბული. მუშამბაგადაკრულ ტახტზე ვიჯექი და მის სიტყვებს ვაანალიზებდი. მგონი, ყველაფერი მართალი მითხრა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მინდა დავიჯერო. ამისთანა ჩანაწერების პატრონი ასი წელი იცოცხლებსო, მსუბუქი ფსიქოპა-
ტია, ავადმყოფობა კი არა, ნერვული სისტემის ერთ-ერთი ტიპიაო, ასეთი ადამიანები ცოტა უცნაურად იქცევიანო... ასე რომ, ადვილი შესაძლებელია, მეც მოიოხხოვო ზამთარში ნესვი! ერთ მშვენიერ დღეს კი ჩემს ერთგულ ცოლს სრულიად უსაფუძვლოდ ბრალდებები წავუყენო და იმავე წუთში ახალთახალი პალსტუხი ავიჩემო... ხოლო სიკვდილი... სიკვდილი, რა თქმა უნდა, მოულოდნელად მოვა!

„უკვე საკუთარი სიკვდილიც გავაუფასურე!“ — გავიფიქრე მუშამბაგა-
დაკრულ დივანზე ჩამომჯდარმა.

მწვანემუცლიანი ბუზი ფანჯრის ჩარჩოზე მიცოცავს.

მალე ვისაუზმებ.

გადამდნარ ქონში შემწვარი ერბო-კვერცხი. მზრუნველი ცოლი. მალე სამსახურში გავალ და გეგმებს გადაჭარბებით შევასრულებ...

აქეთ მე ვიღიმები, იქით მონიკლულ ჩაიდანზე არეკლილი ჩემი ორეული იღრიჭება. ეს სასაცილოდ დაგრძელებული სახე სულაც არ მეხატება გულზე...

ახლა კი ყველაფერი დავიწყოთ თავიდან! — გაპყვირის ტრანზისტორი.



ახალბერძნულიდან

თარგმნა იზა ორაონიკიძემ

დაიბადა, ცხოვრობდა, გარდაიცვალა ალექსანდრიაში. უძველესი დროიდან იქცა ალექსანდრია მდიდარი ბერძენი კომერსანტების თავშეყრისა და მოქმედების ასპარეზად. მე-20 საუკუნის მიჯნაზე ბერძენ კომერსანტებს ხელი მოეკარათ. ამ ხანებში ეგვიპტეს ინგლისელი კოლონიზატორები დაეპატრონენ. თავად კავაფისიც ძველი, სახელოვანი, მაგრამ გაღარიბებული ოჯახის შთამომავალი იყო. იგი საბერძნულ რიგით მოხელედ მსახურობდა ინგლისელების გამგებლობაში მყოფ დაწესებულებებში.

მე-19 საუკუნის 90-იანი წლების ლექსები და შემდგომი პერიოდის ნაწერებია ის ძირითადი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რასაც თავად კავაფისი სცნობდა, რომლითაც ღღეს აფასებდა პოეტს საბერძნულშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

კ. კავაფისი არ არის ისეთი პოეტი, რომელსაც ერთხელ გადაიკითხავ და ურთიერთობის დასამკვიდრებლად მხოლოდ პირველგაცნობა იკმარებს. როგორც ვეღა დიდი შემოქმედი — ისიც, უცხოობლად მიგაბრუნებს და სრულიად ახლებურად წარმოგიდგება. კავაფისისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი ნიღბები, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისტორიული ნიღბები, რომლებსაც არც თავად ეკრძაღვის და თავის გმირებსაც ბრწყინვალედ შოარგებს ხოლმე. არავისათვის საიდუმლოდ არ დარჩენილა, რომ „ანტიკური ნიღბები“, სადაც გარდასულ ღღეთა აღწერას ეთმობა უდიდესი ადგილი, პოეტის თანადროული ეპოქის გამოძახილია. მძაფრი რეაქცია ცხოვრების იმ მტკიცეულ საკითხებზე, რომლებიც კავაფისს აღელვებდა, რა თქმა უნდა, რომისა და ბიზანტიის იმპერიების დროინდელი ცხოვრებიდან არ იღებს სათავეს. ელინიზმის დაცემა, რომისა და ბიზანტიის იმპერიათა დამხობა მხოლოდ ფონია კავაფისისათვის თანადროული ცხოვრების უმტკიცეულესი საკითხების წამოსაპრელად. წარსულის მოხმობა ღღეისღღის მანკიერებათა სამხილებლად, ნიღბების მიღმა მღგარი ახალი, დაძაბული, უაღრესად საინტერესო პოეტური სამყაროა ჩვენება, აი, კავაფისის მიზანი.

კავაფისის ზნეობრივი იდეალი, მიუხედავად ძალმომრეობისა და ადამიანის დაკნინებისა, მაინც იგივე ადამიანია. პოეტს სჯერა — ადამიანი მოიკრებს ძალ-ღონეს და მსგავსად 300 სპარტელისა, დაიცავს თავის თერნობილეს ხეობას, მაშინაც კი, როცა ბოროტების გამარჯვება გარდუგალია.

კავაფისას პოეზია მკითხველისაგან ბევრს მოითხოვს. პოეტი ხშირად მარტოოდენ მიანიშნებს აზრისა და სათქმელის მიმართულებას, ბოლომდე არ ამხელს განზრახულს. ერთი ან ორი სტრიქონით ოღნავ გაანათებს ლექსს და ქვეტექსტის ამოსაყიბად მარტო სტოვებს მკითხველს.

კონსტანტინოს კავაფისის ლექსები ცოცხალ სიმბოლოებად დამკვიდრდნენ ბერძენი მკითხველის შეგნებაში. მისმა პოეზიამ უდიდესი გავლენა მოახდინა შემდგომი თაობის ახალბერძნულ ლიტერატურაზე, ბერძენი ინტელიგენციის რამდენიმე თაობის ჩამოყალიბებაზე. მისი მრავალი ლექსი აფორიზმებით გავრცელდა და გახალხურდა.

კავაფისის პოეზიის მნიშვნელობა გასცდა საბერძნულის ფარგლებს. იგი თარგმნილია ევროპის ხალხთა მრავალ ენაზე.

გადასახლებული ბიზანტიელი არქონტი,
რომელიც ლექსმეზსაც წერს



ეროვნული
ბიბლიოთეკა

დე, მიმიჩნიონ თავქარიანად,
სერიოზულ საქმეებში მე მუდამ ვიყავ სერიოზული,
მე თავს დავდებ, რომ ჩემზე უკეთ
არავინ იცის ბიზანტიაში საღმრთო წერილი,
არც ცხოვრება წმინდა მამების,
რალა თქმა უნდა, არც კანონები წმინდა სინოდის,
ტყუილად ხომ არ მომმართავდა ხოლმე ბოტანაიტესი!
მე რჩევისათვის, საეკლესიო საქმეებში
სულ მცირედი გაუგებრობის შექმნისთანავე,
ღიახ, ერთადერთს მე მომმართავდა...
მაგრამ აქ გადმოსახლებული,
ამ მიყრუებულ ადგილს მიბმული,
(მხოლოდ იმიტომ, რათა დატკბეს ჩემი ტანჯვით
ავგუსტა ქალი ირინე დუკა!)
მოწყენილი, შეჭირვებულა,
მე ვთვლი, რომ სწორედ ღროულია
ლექსების თხზვით გავიროთ თავი,
ექვს თუ რვა სტრი ანთან ლექსებს გული გადავაცოლო.
მე მიმაჩნია, რომ მაქვს უფლება
შევიქციო თავი ჰერმესის, აპოლონის, დიონისეს
ან თუ გნებავთ თესალიელი და, რა თქმა უნდა,
პელოპონესის გმირთა ცხოვრების ცრუ ნაზღაპრებით...
მოცალეობის უამს უზუსტეს იამბებსა ვთხზავ,
როგორცაც, ნება მიბოძეთ, დავსძინო რომ
კალმოსნები კონსტანტინოპოლს ვერ შეთხზავენ ვერასდიდებით,
იქნებ, ეს ნიჭი გახლავთ სწორედ მიზეზი ჩემი
გასახლების და განპატიების.

პირველი საფეხური

შესჩივლა ერთხელ თეოკრიტეს
ევმერემ, ახალგაზრდა პოეტმა:
„ორი წელია, რაც ვჯახობობ,
მაგრამ ერთი იდილიის მეტი, არ იქნა,
ვერაფერი დავწერე კარგი,
მაგ ერთმა ლექსმა შეიძლება ივარგოს რამედ,
მართლაც აღმართი პოეზიის სულ მალლა, მალლა,
თვალთუხილავი მწვერვალებისკენ მიეშურება,
მე უბედური, როგორც ვატყობ,
ვერ გავცდები საფეხურს პირველს...“
მაშინ მიუგო თეოკრიტემ „ღმერთებს ნუ სცოდავ,



ნუ მკრეხელობ, უადგილოდ ნუ იტყვი სიტყვას,
 პირველ საფეხურს თუ მიაღწიე
 ბედნიერად ჩათვალე თავი, იამაყებდე:
 რაც შეიძელი, მცირეოდენი სულაც არ არის,
 შენ მაგ შრომისთვის იმსახურებ პატივისცემას,
 დაიმახსოვრე, ეგ პირველი საფეხურიც კი,
 მიუღწეველი სიმაღლეა ბრბოისათვის,
 მაგ საფეხურს რომ მიაღწიო,
 მოიპოვო უნდა უფლება
 ადეთა სამფლობელოს მოქალაქისა,
 იმ სამფლობელოს იშვიათად და ერთობ ძნელად
 მიაღწევს კაცი, იქ მოქალაქედ ყოფნა
 ფრიად საპატიოა, იქ წეს-კანონებს
 აწესრიგებს მოსამართლენი მოუსყიდავნი,
 იმათ თაღლითი ვერ გააცურებს,
 რაც შეიძელი, ის მცირედი სულაც არ არის.

დემარატოსი²

„დახასიათება დემარატოსისა,
 რომელსაც ახსენებს პორფირიუსი³ დიალოგებში,“ —
 აი ასე დაასათაურა თავისი თემა ახალგაზრდა სოფისტმა
 (მიზნად ჰქონდა განეგრცო შემდგომ
 იგივე თემა)
 „თავიდან მეფე დარიუსის
 ხოლო შემდგომში ქსერქსეს⁴ კარისკაცი,
 ქსერქსესვე ახლდა ბრძოლებში ყველგან,
 ბოლოს და ბოლოს, უსათუოდ გაამრთლებენ დემარატოსს —
 შემზარავად და უსამართლოდ მოექცნენ ვაჟს არისტონის.
 მისმა მტრებმა უსირცხვილოდ მოისყიდეს ორაკული და
 დემარატოსს სამეფო თვისი წაართვეს და მწარედ დასცინეს,
 როდი აკმარეს უბირივით ცხოვრებაზე დასტური რომ სთქვა,
 ხალხის წინაშეც შეურაცხვეს,
 დაამცირეს ყველა თემთა დღესასწაულზე,
 ამიტომ არის იგი ქსერქსეს რომ ერთგულად ემსახურება,
 ამიტომ არის დღენიადაგ რომ ოცნებობს დემარატოსი,
 სპარსეთის ჯარით, როცა იქნება, ხომ შევა სპარტას,
 მეფე გახდება ისევ ისე, ჯერ სასტიკად დაამცირებს,
 მერე გააგდებს იმ ინტრიგან ლევტიხიდეს
 ასე, ამგვარ ოცნებებში გადიან დღენი, მისი დღეები
 საზრუნავით ამოვსებულნი...
 ხომ უნდა ბრძნული მისცეს რჩევა, შეუდგინოს
 დაბვეწილი გეგმა სპარსელებს
 როგორ და რა გზით მოახერხონ დამონება საბერძნეთისა,

მოსაწყენია, დემარატოსის ერთფეროვანი დილა-საღამო,
 რადგან ოცნებებს სიხარული არ მოსდევს კვალში.
 (არც ღირსებია სიხარული — არა და არა,
 თავსაც არ უმხელს, მაგრამ ძალზე უბედურად)
 გულის სიღრმეში დემარატოსმა ხომ კარგად იცის,
 რომ სპარსელები ვერასოდეს დაამარცხებენ,
 მის ღვიძლ ძმებს — ბერძნებს“.

სპარტაში

რა ექნა მეფე კლეომენესს
 ვერა და ვერ გადაეწყვიტა,
 ვით გაემხილა დედოფლისათვის
 პტოლემეოსის⁶ შმაგი სურვილი:
 ეგვიპტესთან შეთანხმებით გარანტიის განსამტკიცებლად
 დედა უნდა გაგზავნო მძევლად ეგვიპტეს...
 ამაზე მეტი დამცირება და უწყობა რაღა იქნება!

მაგრამ დიდებულ დედის თვალს როდი გამოჰპარვია ტანჯვა
 შვილისა...

(ჭორმაც იდინა და მოატანა!)

გაამხნევა ვაჟიშვილი და აიძულა ხმა ამოელო...
 მერე ერთი გაიცინა და წარმოთქვა მშვიდად,
 რომ ეგვიპტეს უსათუოდ გაემგზავრება,
 სიხარულით გაემგზავრება იმის შეგნებით,
 რომ სიბერეში, რაღაცით მაინც სარგებლობას მოუტანს სპარტას,
 რაც შეეხება დამცირებას — სისულელეა!
 რაღა თქმა უნდა, რომ ვერ იგრძნობს
 იდეალებს განთქმულს სპარტისას
 გუშინდელი ბიჭი, ხოლო მისი სურვილი
 სრულიადაც ვერ დაამცირებს დედას დიდი სპარტის მეფისა,
 ვერა დესპინე ეპიფანიოსს ვერ დაამცირებს.

ღალატი

ქალღმერთ თეტიდას და პელეგის
 ხმაურიან საქორწილო სუფრასთან მჯდარი
 წამოდგა ფეხზე აპოლონი სხივთამფრქვეველი
 და შეუღლებულთ ბედნიერი წყვილი უწოდა,
 ეყოლებათო თეტიდას და პელეგის ძე გმირი,
 რომელსაც ქვეყნად ტოლი არსად მოეძებნება,
 თქვა აპოლონმა: იცოცხლებსო ძე მათი დიდხანს,
 ვერას უზამსო მტერი, გინა ავადმყოფობა;

გაიხარა გულით თეტიდამ, აპოლონს ეცხო მადლი
 წინასწარმეტყველისა,
 მისი ნათქვამი ჭერ არშობილის ბედნიერების საწინდარი ეგონა/
 დედამეცხველი
 როს იზრდებოდა აჭილევსი და მშობლიურ თესალიაში
 განთქმული იყო ძალგულოვნებით და სილამაზით,
 თეტიდა ხშირად იხსენებდა ვერცხლისმშვილდიანს...
 და აი, ერთხელ ჩამოვიდნენ შორეთიდან უხუცესები
 საზარელი მოუტანეს დედას ამბავი,
 მოჰკლესო გმირი აჭილევსი ტროას კედელთან.
 აღისფერი შესამოსელი თეტიდამ ტანზე შემოიხია,
 განიძარცვა სამკაული, მიწას ანარცხა,
 მერე იკითხა უცებ, ელდით გამწარებულმა,
 სად იყოო აპოლონი იმ უბედურ წამს,
 ჯანის სიმრთელე და დღეგრძელობა მან არ აღუთქვა?!
 ჩუმად აუწყეს უხუცესთა:
 თავად მივიდა აპოლონი დასაცავად ტროას კედლების,
 ტროელებმა და მან დალუპესო აჭილევსი, სწორუპოვარი...

ითაკა?

როცა ითაკას გაემგზავრები
 გზა-სავალი გრძელი ინატრე,
 ესწრაფოდე თავგადასავლებს და მრავალი რამის შეცნობას,
 ნუ გეშინია ციკლოპების, ლესტრიგონების⁸
 და მრისხანე პოსეიდონიც. ნუ შეგაშინებს,
 ისინი გზას არ შეგიკრავენ
 თუ შენი ფიქრი წმინდა არის,
 თუ შენს სულს და ხორცს
 კეთილშობილი მისწრაფება აღელვებს მხოლოდ.
 არ შემოგხედება არც ციკლოპი, არც ლესტრიგონი,
 არცა მრისხანე პოსეიდონი,
 თუ შენი სული თავისუფალი
 სამალავი არ არის მათი,
 თუ სული შენი თავად არ შობს
 მათგან ურჩხულებს.
 ინატრე გრძელი გზა სავალი,
 პოი, რამდენჯერ ზაფხულობით, გამთენიისას
 უდარდელი და აღტაცებული, სიხარულით აღტკინებული
 მიადგები ნავთსაყუდარებს აქამდე უცნობს,
 რათა შეჩერდე ფინიკიის დახლებთან წამით,
 იყიდო ნივთი უძვირფასესი
 ნაკეთები სადაფისაგან, გინა მარჯნისგან,
 ანდა სულაც შავი ხისაგან,

შეიგრძნო უცხო ნელსურნელება,
 რომელიც იწვევს, აცხოველებს ვნებათაღელვას...
 რამდენიც შესძლო თან წაიღე,
 ჩაიტანე ქალაქებში შორი ეგვიპტის,
 რათა ასწავლო და ისწავლო იმათგან.
 ვინაც გამოცდილება დააგროვა უზარმაზარი.
 იფიქრე მხოლოდ ითაკაზე, მუდამ იფიქრე,
 იქ მიბრუნება არის შენი დიდი მიზანი!
 გზაში მაინც ნუ აჩქარდები,
 დაე გაგრძელდეს წლობით შენი მოგზაურობა,
 რომ დაბრძნილი და უხუცესი მიადგე კუნძულს
 ხეტიალში სულით, გულით გამდიდრებული...
 არც კი იფიქრო, რომ ითაკა დაგახვედრებს ლხინს და სიმდიდრეს,
 ისედაც ბევრი საუნჯე და განძი გიბოძა!
 რომ არ ითაკა, შენ გზას როდი გაუდგებოდი.
 მეტს ვერას მოგცემს. უნდა იკმარო,
 სიცრუე ხომ არ დასცდენია!
 როცა დროისგან გამოიცილები,
 აზრს რომ მოიკრებ და დაბრძენდები,
 თავად მიხვდები, რაც ფასი აქვს შენთვის ითაკას.



სატრაპია⁹

რარიგ მწარეა შენი ხვედრი, როდესაც დიდთა
 და მშვენიერ საქმეთათვის გამოზრდილს ბედი,
 მსახვრალი ბედი დამსახურებულ წარმატებას
 არ იქნა და აღარ გაღირსებს,
 როცა სრულიად უიღბლო ხარ, და წინაც მუდამ
 უნდა ათასი წვრილმანი და გულგრილობა გადაგელობოს.
 საზარელია ის დღე, როცა შედრკები და დამორჩილდები,
 ის დღეც — როდესაც აყოლილი ვერაგ ცდუნებას,
 შორეულ ხუბას, შენი მტრის ქალაქს, მიაშურებ
 და ყოვლისშემძლე არტაქსერექსეს მივებახლები...
 ხასიახლეში მიგიღებენ კეთილგანწყობით,
 სატრაპიებს გიბოძებენ, ათას სხვას კიდევ...
 და შენც, სასოწარკვეთილი და უილაჯო,
 მორჩილებით მიიღებ იმ ძღვენს,
 რომელიც შენს გულს არა და არ სურს.
 სხვა რამ სწყურია შენს გულს, ვიცი,
 სულ სხვა რამეს დანატრებულა,
 ი, როგორ უნდა სოფისტებმა, თემმა შეაქონ
 უძვირფასესი, სანუკვარი სიტყვის „ევეგეს“¹⁰ გაგონება თავს
 ურჩევნია,
 გავლა სწადია მოზუზუნე ბაზრის რიგებში,

თეატრონი და ყვავილები მოსწყურებია...
 არც კი იფიქრო, — ამგვარს არაფერს ვისაჩუქრებს არტაქსერექსე,
 სატრაპიაში ამნაირი არაფერი მოიძებნება!
 მაშინ რაღაა, მითხარ, სიცოცხლე
 რაღაა-მეთქი, ყოველივე ამის გარეშე?!



თეოდოტი!

თუკი შენ ბედის რჩეული ხარ, თან ღირსეულიც,
 კარგად დაფიქრდი, რა გზით იხვეჭ ძალაუფლებას?
 ახლა დიდებით მოსილი ხარ,
 შენი საგმირო საქმეების შესახებ ხმები უმალ ვრცელდება
 კიდით კიდემდე,

გარს გახვევია ბრბო თაყვანისმცემელთა, რომში,
 მაგრამ ვერ გიგრძნობს სიხარულს სული
 ვერც იმასა გრძნობ, რომ ღირსი ხარ შენი ხვედრისა.
 ან როგორ იგრძნობ, როცა იქ, ალექსანდრიაში,
 დიდებული შეხვედრის შემდეგ
 თეოდოტე, სისხლში მოსვრილი,
 პომპეუსის მოკვეთილ თავს მოგართმევს სინით?!
 შენ ნუ იფიქრებ:
 კრძალულიაო ჩემი ცხოვრება
 ქარიშხლებსა და ქვეყნის ხმაურს განრიდებული,
 მსგავსი ამბები, ამაზრზენი, გულშემზარავი,
 მე არასოდეს შემეხებაო!
 ნუ მოიტყუებ თავს, იქნებ ახლა,
 სწორედ ამ წუთას, მეზობლის სახლში,
 (შორიდან რომ წყნარი ჩანს და მშვიდობიანი,
 რომელსაც ალბათ, მშრომელი და საქმიანი პატრონიცა ჰყავს!)
 შედის უკვდავი თეოდოტე, უხილავი, ვითარცა ლანდი,
 ფეხაკრეფით შედის და მიაქვს,
 მოკვეთილი თავი მიაქვს სისხლიან სინით...

ნერონის შავი

„გეშინოდესო სამოცდაცამეტი წლისა...“
 დელფოსში უწინასწარმეტყველეს,
 ნერონი არ შეშფოთებულა,
 დრო საკმარი აქვს, მრავალი ელის სიტკბოცა და სიამოვნებაც,
 ოცდაათი წლისაა მხოლოდ.
 განა უფალმა მცირედი დრო უბოძა ნერონს,
 რათა გაფრთხილდეს,
 და შორეული აიცილოს დანაპირები...



აი სულ მალე დაბრუნდება რომში დაღლილი,
 ქანცგაწყვეტილი დიდებული მოგზაურობით,
 თუმცა ასეთი დაღლილობაც საამურია —
 დიდებული ნახა ბალები, თეატრონები, გიმნასიონნი,
 ო, აქავიის ქალაქებში გატარებული საღამოები,
 ო, სუნთქვა ვნების და შიშველი სხეულებისა...
 მხოლოდ ამგვარს ფიქრობს ნერონი
 მხედართმთავარი გალბა¹² კი თურმე საიდუმლოდ ესპანეთში ჯარებს
 აგროვებს,
 გალბა — სამოცდაცამეტი წლის ბერიკაცი.

დიონისე ანტონიუსს სტოვეგს¹³

როცა უეცრად, გვიან ღამით, ღია სარკმლიდან
 შემოგესმება უხილავი ორკესტრის ხმები,
 (ყურს მისწვდება ჰანგი ღვთიური),
 ბედს, რომელმაც ზურგი გაქცია,
 საქმეთ, რომლებიც ჩაგეფუშა,
 ვაცრუებულ ოცნებებს შენსას
 არ გაეტურო!
 აწ აღარაფრის მოშიშარი, უტეხი და
 კიდევ მრავალი მეხთატეხის შესახვედრად გამზადებული,
 გამოეთხოვე ალექსანდრიას, გტოვებს და მიდის,
 რაც მთავარია, წამით თავი არ მოიტყუო,
 არ დაიჯერო, რომ რაც ხდება, სიზმარია ან მოგეყურა.
 მჩატე იმედებს თავი ამოდ არ გაუყადრო.
 კიდევ მრავალი მეხთატეხის შესახვედრად გამზადებული,
 შეუდრეკელი, შენ, რომელსაც წილად გერგო აქ გეცხოვრა, აქ, ამ
 ქალაქში,
 სარკმელთან მიდი, დინჯად, მტკიცედ, დაჯერებული,
 შენი მღელვარე გულისყურით მიაყურადე,
 არ დაიჩივლო, გულნამცეცა წყენას არ აპყვე,
 უსმინე ორკესტრს, ჯადოსნურ და ღვთიურ ჰანგს ჩასწვდი.
 მაშინ დასტკბი ყოველი ბგერით,
 მაშინ, როდესაც ეთხოვები, როცა ჰქარგავ ალექსანდრიას...

შენიშვნები

¹ ნიკიფოროს ბოტანატიანი III — (1078-1081 წწ.). ბიზანტიის იმპერატორი. ალექსი კომნენმა ჩამოაგდო ტახტიდან. ალექსი კომნენის ცოლი იყო ირინე დუკა.
² დემარატოსი — (დაახლოებით 511-491 წ. წ. ჩვ. წ. აღ-მდე) სპარტის მეფე, რომელიც გაიქცა სპარსეთის მეფესთან დარიოსთან და მონაწილეობა მიიღო საბერძნეთის წინააღმდეგ ომში. მასთან ერთად სპარტაში მეფობდა კლეომენტე I, მან მოისყიდა დელფოსის ორაკული, მიიმხრო დემარატოსის მემკვიდრე ლევტიხიდოსი და დემარატოსს ტახტი წაართვა.

8. კორფირიუსი — (232-304 წწ.) ბერძენი ფილოსოფოსი, ფილოლოგი და თეოლოგი, ლონგინესა და პლუტონის (204-270 წწ.) მოწაფე, რომელმაც ჩამოაყალიბა ლონგინეს ფილოსოფიური მრწამსი, კერძოდ ეთიკური და რელიგიური ნაწილი ამ მოძღვრებისა.

4 ქსარქსი — სპარსეთის მეფე, საბერძნეთში ლაშქრობებით საზღვრანთქმული. თითქმის მთელი საბერძნეთი დაიპყრო, მაგრამ იძულებული შეიქნა სასწრაფოდ უკან დაეხია მას შემდეგ რაჟი (1480 წ. ჩვ. ერამდე) სალამონთან ბრძოლაში სასტიკად დაამარცხეს. ~~223-224 წწ.~~

5 კლეომენისი — იგულისხმება კლეომენეს III ლაკედემონის მეფე, ~~223-224 წწ.~~ 223 წ. აღ-მდე.

6 პტოლომეოსი — პტოლომეოს III კეთილისმყოფელი — ეგვიპტის მეფე. 247-222 წწ.

7 ითაბა — კუნძულია იონიის ზღვაში, როგორც პომპროსის პომეს სათაური „ოდისეა“, იქცა ხანგრძლივი მოგზაურობის სინონიმად, ასევე — გამოთქმა „ითაკაზე“ დაბრუნებაც“, დიდი თავგადასავლების შემდეგ სამშობლოში დაბრუნების სინონიმი.

8 ლესტრიგონები — მითიური ხალხი. მათ ოდისევსს თერთმეტი ხომალდი დაუმსხვრიეს და თანამგზაურები შეუჭამეს. ლესტრიგონებს მხოლოდ ერთი ხომალდი გადაურჩათ, რომლითაც ოდისევსმა ვზა განაგრძო.

9 სატრაპი — სპარსეთის მეფის ნაცვალ დიპრობილ საბერძნეთში, სატრაპია ის ტერიტორია იყო, რომელსაც სატრაპი მართავდა.

10 „მვბი“ — ბრწყინვალეა, დიდებულია (ძვ. ბერძნულად).

11, თეოდოტი — კუნძულ ხიოსზე დაბადებული, პტოლომეოს მე-12-ს რიტორიკას ასწავლიდა. მან ურჩია პტოლომეოსს მოეკლა იულიუს კეისრის ყოფილი თანამოაზრე პომპეუსი, რომელიც თავმესაფარს ეგვიპტეში ეძებდა. პომპეუსის მოკვებითი თავი, თქმულების თანახმად, მან მიუტანა იულიუსს.

12 ბალბა — (მე-5 ს. ჩვ. წ. აღ-მდე), — 69 ჩვ. წ. აღ-ისა, რომელი მხედართმთავარი. ჯარმა იგი ნერონის სიცოცხლეშივე გამოაცხადა იმპერატორად.

13 „დიონისე ანტონიუსს სტოვებს“ — რომლის მხედართმთავრის მარკუს ანტონიუსის ცხოვრების აღწერისას პლუტარქე იხსენებს თქმულებას, რომელიც გვამცნობს, რომ ანტონიუსის დაღუპვის წინა ღამეს ალექსანდრიის ქუჩებში გაისმა დიონისეს პატივსაცემად გამართული სახალხო დღესასწაულის თანმხლები ორკესტრის ხმები. აღამიანები ცდილობდნენ რა მიმხედარიყვნენ რას მოასწავებდა ყოველივე ეს, ვარაუდობდნენ, რომ ანტონიუსს სტოვებს ის ღმერთი (დიონისე — ი. თ.), რომელსაც მხედართმთავარი მთელი ცხოვრების მანძილზე კბამავდა...



ლიტველი კომედი

ლექსები



თარგმნა ვაჟა ღაბიანიძემ

ალფონსას მალდონისი

თეთრი მინდორი

თეთრია ყინვა, ჭანგბასრი, ფშენიტი,
გაუდაბურდნენ, დამუნჯდნენ ტყენი.
თრთვილს თუ შეარხევს ხანდახან ჩიტო,
ფრთების ფათქუნით და სუსტი
სტვენით.

მოუსარკია კოშკი რამდენი
სიზმრისეული სადაფის ჯილაგს!
ჩხიკვი წივილით შაშვებსა სდევნის
და ანბანივით იშლება დილა.

არ დაბრუნდება, რასაც ეძებდი,
რაც ვერ გაეცი, რაც მისხლით სწონე.
თეთრ მინდორს სძოვენ შავი ვერძები,
შავი ვერძები თეთრ მინდორს სძოვენ.

ცხოვრება ჩემი, ის, რაც მინდოდა
დაენდო მყიფე აზრის სიმძიმეს.
აგერ, ვარსკვლავი, აქვე, მინდორთან,
მთვლემარე ტოტზე ზის და ციმციმებს.

ანტანას დრილინგა

ვარ მოვიკალი წყურვილი წამით,
და დავრჩი ისევ ქალთა ტრფიალი,
თუმც ფოთოლცვენის დამდგარა უამი.

და უცნაური ბედის ტრიალი
გიტოვებს მაინც რაღაცა ტკივილს,
და დრო მიფრინავს ფრიალ-ფრიალით.

და უკვე სხვა ხარ, როდესაც დილით
ნექტარს დაეძებს ბაგე ყოველი
და ამბორს ეძებს წამწამთა ჩრდილი.

ვრცელ სივრცეების გზას გაყოლილი,
დედამიწაზე ენთება გული
და ბნელს შეაკრთობს მისი ყივილი, --

რომ არ არსებობს სიკვდილი სულაც,
რომ სიყვარულმა დაასამარა
და ამოხადა ყომრალი სული.

და თუ სიბერე შეკრავს კამარას
ჭაბუკი გული — შუბი და ფარი,

არ მიმატოვებს ბედის ამარი,
და სისხლი ჩემი, ცხელი და ჩქარი,

ახალგაზრდული ცეცხლით იალებს
და მარადისი წყურვილი ქალის,
ქველ ლექსებიდან გაიშრილებს.

ერყენული
ზიზღიერება

აღღონა აუიუიბა

ვაშლის ხე ჰუვაპის

ქათქათა ბუქით თვრები და უცებ,
მშფოთვარე ქარი წაგასხებს
ფურცლებს.
რად არი, ღმერთო, მოკლე და ფშვნიტი
ყვავილის ყოფა: სიამე თითქმის

სევდაა... თუმცა, ზამთრისთვის
სამყოფს,
ოქროთი ავსებს, ვით მთვარეს, ნაყოფს.
ჭიან გულში კი ბორგავს და კენესის
თესლი, — სიცოცხლის აზრი და ფესვი.



ზის დედაბერი ზღვასთან... ქსოვს და ქსოვს...
დაშაშრულ ხელებს, გალეულ თავს რამე თუ ახსოვს...
ზღვის ბალახიდან და ქაფიდან რომ ბანდავ წინდებს,
ქველო მოხუცო, ვის ჩააცმევ, გინდაცა წვიმდეს?!
შენი შვილები ჩიტებივით გაფრინდნენ ცაში,
ძმებიც და ქმარიც... ზღვას არ შორდები...
მეწამული მზე ჩავარდა წყალში...
ახლოა ღამე... ქარაშოტები
თვალს დაგივსებენ ავი შოლტებით...
იმ სიბნელეში როგორ მოქსოვ?! ქვიშაში, ქარში...
ღუმს დედაბერი სათნო, კეთილი,
ღუმს ნაჯაფარი, ჯანგატეხილი,
ღუმს ტირიფივით დამტკნარი და კანდახეთქილი.

კოეზია

უცებ რომ მოწყდეს დაგროვილი მთებში ღვარცოფი,
ვინ შეაჩერებს, გინდა ხერხით, გინდ ვაუკაცობით?..

დაო, ვეება ვარკვლავების, ქვიშის ნამცეცის, —
ჯადოსნურ ძალით ახმიანებ ფიქრებს აწეწილს.

მზე წინაპრების თავს გევლება, ვერვინ დაჩრდილა,
ის გასაღდება, მისი სხივით ვინაც დაჭრილა.

დაო, ჩიტების, ყვავილების, დაო, წყაროთა,
რატომლა ჰყვედრი ილუზიებს, — რაც გიხაროდ?



კაშკაშა შუქში ამ ურჯუკი ყოფის ავ-კარგის, შიში რამ მიპყრობს საკუთარი თავის დაკარგვას

ცისად- ცისადი ძილში ქარებს რომ შეერიე,
დათმე სიზმრები მიამიტი და შეელიე!...

ზესკნელში მცხრალი მთვარის გროში ყვითლად პრიალებს,
ყვავილთა დაო, ნუ წრიალებ, მშვიდად იარე.

ვლადას ბალტუშკიავიჩუსი

მიდი და ფიქვებს ეფერე ახლა,
რომ გვიღვივებდა ცეცხლსა და ნაცარს,
როცა ხმაური ქცეულა თალხად
და ტალღა კატის ბრჭყალებით გკაწრავს.

გულს ჩუმი სევდა გაჰყვება დიდხანს,
და არაფერში ჰპოვებ არაფერს...
ისევ ზღვის ზვირთი თუ წაგაკითხავს
ჩემს დაუწერელ ბედს და ბარათებს.

ს ა გ ნ ე ბ ი

თუ ხედავ, გესმის, თუ აზროვნებ, თუ რამეს აგნებ, —
ხედავენ, ესმით, აზროვნებენ თურმე საგნებიც.
უბრალო, გინდამც ბრალიანო ბევრფეროვნებავ,
უწყვეტ ნაკადში მინავლულო ნაღღო გონებავ,
ნუ, ნუ გაკიცხავ კაცთა მოდგმას, ბრმას და ვნებიანს, —
რა ჰქნან, რაღაცას ეძებენ და ხშირად ცდებიან.
ვეტყ შენ შეიცან თავი შენი, აბა, რას წვდები,
მთვრალივით ბოდვა-ბოდვით კედლებს აწყდები, —
ჭრელ-ჭრელ საგნების აბდა-უბდა რია-რიაში,
წინაუკმობის მარადიულ ბრუნვა-ტრიალში.

ლენინ ფილია

მაპატიეთ!



თარგმანი სულხან აბრამიძის

მე უკვე მოვხუცდი...
იმდენი ადამიანი გარდაიცვალა, ვისაც ოდესღაც ვაწყენინე
და ველარ შევძლებ მათთან შეხვედრას
და პატიების თხოვნას, —
მხოლოდ ისღა დამრჩენია —
დავდგე მუხლებზე პირველივე შემხვედრ მათხოვრის წინაშე
და ვეამბორო ხელზე.
მე შეშეძლო გაცილებით კეთილი ცოფილიყავი.
ალბათ, ცუდად შეთითხნილი
თიხისაგანა ვარ მოზელილი.
იმდენ ადამიანს უნდა ვთხოვო პატიება!..
მაგრამ სუყველა გარდაიცვალა.
ვისღა შევთხოვო პატიება,
ამ მათხოვარს!?
ნუთუ ესპანეთში,
და მთელ მსოფლიოშიც,
არ დარჩა ერთი ადამიანი მაინც,
რომელიც შეძლებდა ჩემს პატიებას!
შეხსიერება ნელ-ნელა მაკლდება
და მავიწყდება სიტყვები,
მე მათ თანდათან ვკარგავ, ვკარგავ...
მაგრამ მე მსურს, ბოლო სიტყვა —
ყველაზე საჭირო და ყველაზე გამძლე,
რომელიც მე გამახსენდება სიკვდილის წინ, —
იყოს „მაპატიეთ“.

ტატიანა სუხოტინა-ბოლსტაია

მოგონებები



თარგმნა ნანა ღარიბაია

XIII

იასნაია პოლიანაში ჩვენთან ერთად ცხოვრობდა მამაჩემისა და მისი დამების აღმზრდელი დეიდა ტატიანა ალექსანდრეს ასული ერგოლსკაიაც, სამადლოდ შემოხიზნულ ნატალია პეტრეს ასულსა და მოხუც მოახლე აქსინია მაქსიმეს ასულთან ერთად.

ტატიანა ალექსანდრეს ასული ჩვენი ძალზე შორეული ნათესავი იყო. მამა ჩვევის გამო ეძახდა „დეიდას“, ასე წერს თავის „პირველ მოგონებებში“, რადგან ისე შორეული ნათესავები ვიყავით, რომ ვერასოდეს დავიხსომებდი, რად მერგებოდა, მაგრამ ჩვენდამი სიყვარულმა, როგორც ბუდას დაქრილმა გედმა, ჩვენს აღზრდაში პირველი ადგილი დააჭერინა და ჩვენ ვგრძნობდით მას.

„ჩემს გულშიც დროდადრო იფეთქებდა მისდამი ნაზი სიყვარულის გრძნობა, — წერს მამა, — მახსოვს ერთხელ, მაშინ ხუთი წლისა ვიყავი, სასტუმროში რომ დივანი იდგა, იმ დივანის უკან გადავეარდი. მან ალერსიანად გამომიწოდა ხელი. მე ხელი ვსტაცე მის ხელს და დავუკოცნე. თან ვტიროდი მისდამი სიყვარულით გრძნობამორეული“.

მგონი, ქორწინებამდე მამაჩემს არ ჰყოლია ადამიანი, ვინც ისე უყვარდა და ვისაც ისე სცემდა პატივს, როგორც ამ ჩუმ, უწყინარ, კეთილშობილ არსებას.

„ტატიანა ალექსანდრეს ასულმა ყველაზე დიდი ზემოქმედება მოახდინა ჩემს ცხოვრებაზე, — წერს მამა თავის მოგონებებში — ეს ზეგავლენა, უპირველესად, იმაში გამოიხატებოდა, რომ ჯერ კიდევ ბავშვობაში მასწავლა სიყვარულის სულიერი სიტყობობა. იგი ამას სიტყვებით კი არ მასწავლიდა, არამედ მთელი თავისი არსებით გადამდო ეს გრძნობა. ვხედავდი, ვგრძნობდი, რა კარგად იცოდა სიყვარული და მისგან გავიგე ბედნიერება სიყვარულისა. ეს პირველი.“

მეორეც ის, რომ მან მასწავლა მშვიდი, მარტოსული ცხოვრების სიმშვენიერე“.

ტატიანა ალექსანდრეს ასულმა მთელი თავისი ცხოვრება თავის პაწია აღსაზრდელებს მიუძღვნა და სავსებით უარი თქვა პირად ბედნიერებაზე.

„მის ქალაქებში, — წერს მამა „პირველ მოგონებებში“, — მძივებით მოქარგულ ქისაში დევს ერთი, 1836 წლით დათარიღებული ფურცელი, დედამისის გარდაცვალებიდან ექვსი წლის თავზე ჩანაწერი ფრანგულ ენაზე.

„1836 წლის 16 აგვისტო. ნიკოლამ* დღეს უცნაური რამ შემომთავაზა: ცოლად გავყვე, დედობა გავუწიო მის შვილებს და არასოდეს მივატოვო პირველ თხოვნაზე უარი ვუთხარი; შევპირდი, ვიდრე ცოცხალი ვარ, მეორე თხოვნას შეგისრულებ-მეთქი“.

„ასე აქვს ჩაწერილი, — წერს მამა, — მაგრამ არასდროს არც ჩვენთვის, არც არავისთვის არ გაუმხელია ეს ამბავი“.

იმ დღიდან ტოლსტოის ბავშვების ცხოვრება მის ცხოვრებად იქცა.

რატომღაც მგონია, რომ მას განსაკუთრებით მამაჩემი უყვარდა.

ასე იყო თუ არა, არ ვიცი, მაგრამ იგი მამასთან დარჩა საცხოვრებლად; როცა მამაჩემის ერთადერთი და გათხოვდა, როცა ორი ძმა მოუკვდა, ხოლო სერგეი პიროგოვის მამულში გადავიდა, გაყოფისას რომ ერგო, მარტოდმარტო უდემამოდ დარჩენილმა მამამ ამ ქალს მიაგო მთელი ის სიყვარული, რაც საკუთარი მშობლებისათვის უნდა მიეგო. მას მუდამ ახსოვდა, რომ იასნაია პოლიანას თითქმის უკაცრიელ სახლში ცხოვრობდა ადამიანი, ვისაც უყვარდა მისი სული, შიშობდა მისი მგზნებარე ბუნების გამო, ადვილად რომ იცოდა გატაცება, და მღელვარებით ელოდა მისგან რაიმე ამბავს.

ვფიქრობ, რომ არა ერთხელ შეუჩერებია მამაჩემი ამის შეგნებას და დაუცხრია მისი შმაგი ვნებები.

მამა წერს ტატიანა ალექსანდრეს ასულს:

„თუ მე ვცდილობ, უკეთესი ვიყო და ა. შ.“.

სადაც არ უნდა წასულიყო მამა, იგი მუდამ სწერდა წერილებს თავის ტატიანა ალექსანდრეს ასულს და მოუთმენლად ელოდა მისგან საპასუხო ბარათებს; უამბარათებოდ მას ცხოვრება არ შეეძლო და თუ დიდხანს დაუგვიანდებოდა, წუხდა, გული სტკიოდა და საყვედურობდა, წერილს რად არ მწერთო. „თქვენი წერილები მხოლოდ სიამოვნებას როდი მანიჭებენ, — სწერს მამა მას 1885 წელს სიმფეროპოლიდან, ჩვეულებრივ, ფრანგულად, — ისინი ჩემთვის უდიდესი სიკეთეა, მე სულ სხვა კაცი ვხდები, უფრო უკეთესი, როცა ვდებულვარ თქვენს ბარათებს, რომლებსაც ასჯერ მაინც გადავიკითხავ. ისეთი ზედნიერი ვარ, რომ ადგილზე ვერ ვჩერდები, ღინდა ყველას წავუკითხო და თუ მანამდე თავს რაიმე ურიგო გატაცების ნება მივეცი, ვჩერდები და თავიდან ვაწყობ გეგმებს — როგორმე უკეთესი გავხდე“.

მანვე უბიძგა მამას სამწერლო მოღვაწეობისაკენ. 23 წლის ჭაბუკის მამა თბილისიდან ასეთ ბარათს უგზავნის მას, ასევე ფრანგულად:

„გახსოვთ, ძვირფასო დეიდა, ერთხელ რომ მირჩიეთ, რომანები ვწერო. და აი, მეც ყურად ვიღე თქვენი რჩევა და ჩემი საქმიანობა, რაზედაც გწერდით, ლიტერატურაა. ჯერ არ ვიცი, იხილავს თუ არა ოდესმე დღის სინათლეს ის, რასაც ვწერ, მაგრამ ეს სამუშაო მე მომწონს. თანაც მეტიმეტად შორს შევტოვებ, რომ თავი მივანებო“.

ის, რასაც მამა იმ ხანებში წერდა, იყო „ჩემი ბავშვობის ამბავი“, 1852 წლის სექტემბერში ჟურნალ „სოვრემენნიკში“ რომ დაიბეჭდა.

* ლევ ტოლსტოის მამა.

1852 წელს მამა სადგურ მოზდოკიდან უგზავნის წერილს. „შუა გზიდან თბილისამდე“ — ასე ასათაურებს თავის წერილს, ანდობს თავის ოცნებებს მომავალ ბედნიერებაზე, როცა კავკასიიდან დაბრუნებული ისევ ისინი პოლიანაში დაეფუძნება ტატიანა ალექსანდრეს ასულთან ერთად, იქნებ კიდევ დაქორწინდეს და მაშინ ტატიანა ალექსანდრეს ასული იცხადებოდნენ შოქოჯახთან ერთად და ყველას ეყვარება ერთმანეთი.

„მე რომ რუსეთის იმპერატორი შევიქნე, მე რომ მარგუნონ პერუ, — ერთი სიტყვით, ჯადოქარი რომ მოვიდეს თავისი ჯადოსნური ლამპრით და მკითხოს, რა გსურსო, გულზე ხელს დავიდებ და ვეტყვი: ამ ოცნებების ღრთაშესხმას ვისურვებდი-მეთქი. ისევ ცრემლი მერევა. რატომ ვტირი, როცა თქვენზე ვფიქრობ? ეს სიხარულის ცრემლებია. მე ბედნიერი ვარ თქვენდამი ჩემი სიყვარულის გამო. რა უბედურებაც არ უნდა დამატყდეს, სავსებით უბედურად მაინც არ ჩავთვლი თავს, ვიდრე თქვენ ცოცხალი ხართ.“

თუ გახსოვთ ჩვენი განშორება ივერიის ეკვდერთან, როცა ჩვენ ყაზანში მივემგზავრებოდით? როცა თითქოს რაღაც ზეშთაგონებამ სწორედ განშორების წუთებში ჩამაგონა, რაც იყავით ჩემთვის, და მაინც ჯერ კიდევ ბავშვმა ცრემლებითა და რამდენიმე ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვით გაგრძნობინეთ, რასაც ვგრძნობდი?“

1852 წელს კავკასიაში, პიატიგორსკში რომ ცხოვრობდა, მამა გამუდმებით იმაზე ფიქრობდა, როგორ შეხვდებოდა ისევ ამ ძვირფას ადამიანს.

„რამდენიმე თვეში, თუკი ღმერთი არ ინებებს ჩემი გეგმების ჩაშლას, თქვენთან ვიქნები და ჩემი ზრუნვითა და სიყვარულით შევძლებ დაგიმტკიცოთ, რომ თუნდაც მცირედ მაინც დავიმსახურო ყოველივე, რაც თქვენ ჩემთვის მოიმოქმედეთ. თქვენი ხსოვნა ისე ცხოვლად აჩნია ჩემს სულს, რომ როცა ეს სიტყვები დავწერე, კარგა ხანს გარინდებული ვიჯექი, ვცდილობდი წარმომედგინა ის ბედნიერი წუთი, როცა ისევ გიხილავთ თქვენ, როცა თქვენ სიხარული-საგან ატირდებით ჩემს დანახვაზე, მეც ხელზე გეამბორებით და ბავშვივით ვერ შევიკავებ ცრემლებს“.

და რაკი ასე ძლიერ უყვარდა ეს ადამიანი, მამა მუდამ ოცნებობდა, რომ მისი ოჯახის რომელიმე წევრი დამსგავსებოდა მას, გაემეორებინა მისი სახე-ბა.

მამამ ტატიანა დამარქვა, ხშირად მეუბნებოდა და ერთხელ კიდევ მომწერა, იმას ეოცნებობ, ჩემი ძვირფასი ადამიანის ცხოვრება შენ გაიმეოროო, მაგრამ ვაი რომ არც მე დავემსგავსე მას და არც ჩემი ცხოვრება — მისას.

იმ დღეს, როცა შემეძინა ერთადერთი შვილი, ჩემი გოგონა ტანია, ვისაც ვუძღვნი ამ წიგნს, მომაკითხა გულაჩვილებულმა და გრძობამორეულმა მამამ და მითხრა, წუხელ ტატიანა ალექსანდრეს ასული მესიზმრაო. თან დასძინა, მინდა შენს ასულს ტატიანა დაარქვაო. მე და ჩემმა მეუღლემ, რასაკვირველია, უყოყმანოდ შევუსრულეთ სურვილი.

ტანია ხუთი წლისა იყო, როცა ბაბუა გარდაეცვალა და ამიტომ, მამა როგორ განსჯიდა, ღირსი იყო თუ არა მისი შვილიშვილი ეტარებინა მისი საყვარელი დეიდის სახელი.

როცა მამა დაქორწინდა, ტატიანა ალექსანდრეს ასული უდიდესი სიყვარულით შეხვდა დედას. დედამაც იგრძნო მისი დიდსულოვნება, ამიტომ მუდამ პატივს სცემდა და ზრუნვას არ აკლებდა მას.

იმ დღიდან, რაც ტატიანა ალექსანდრეს ასული მახსოვს, იგი, ნატალია

პეტრეს ასული და აქსინია მაქსიმეს ასული დაბლა ცხოვრობდნენ პატარა ფიცრულ მინაშენში, სადაც თვითონ ტატიანა ალექსანდრეს ასულის დაყინებული თხოვნით გადავიდნენ.

როცა ჩვენს ოჯახში თანდათან მომრავლდნენ ბავშვები, თვითონვე მოითხოვა, რომ დაბლა გადაეყვანათ, მისი ოთახი კი ბავშვთა ოთახად გადაეჭრათ.

მამაჩემი ასე მოგვითხრობს ამ ამბავს თავის მოგონებებში: „მე უკვე ცოლიანი ვიყავი, ის კი თანდათან სუსტდებოდა, ერთხელ შევირჩია ღრო, როცა მე და ჩემი ცოლი მის ოთახში ვიყავით, შებრუნდა (ვხედავდი, ატირებას არაფერი უკლდა) და გვითხრა: „აი რა, mes chers amis*, ჩემი ოთახი ძალზე კარგია და დაგჭირდებათ. აქ რომ მოვკვდე, — თქვა მან ათრთოლებული ხმით, — უსიამო მოგონებად დაგრჩებათ, ამიტომ გადამიყვანეთ სადმე, აქ რომ არ განვუტევეო სული“.

მამა უნაღრესად შეძრა მისი თავგანწირვის ამ ახალმა გამოვლინებამ და დაემორჩილა მის გადაწყვეტილებას.

იმ დღიდან სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე ტატიანა ალექსანდრეს ასული სახლის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს ცხოვრობდა პაწია ოთახში, რომლის ფანჯრები ეზოში გადიოდა.

იგი სავსებით განცალკევებულად ცხოვრობდა. მისი ოთახის კუთხეში მაცხოვრის ხატი ეკიდა მუქ-ვერცხლისფრად შეჭედილი, ჩარჩოში ჩასმული. მაცხოვრის სახე ისე იყო ჩაშავებული, ნაკვთების გარჩევა ჭირდა. გვერდით ეკიდა სახატე. ოთახში ზეითუნის ზეთისა და კვიპაროსის სუნი იდგა. თვითონ ტანდაბალი, თხელი ქალი იყო, პატარა თეთრი ხელები ჰქონდა. როცა მასთან ჩავდიოდით, იმ პატარა ხელებით გამოაღებდა ხოლმე განჯინის კარს და ილის ყავისფერ თაფლაკვერებს გვირიგებდა.

ამ თაფლაკვერებთან არის დაკავშირებული ჩემთვის ერთი სამარცხვინო მოგონება. ერთხელ ტატიანა ალექსანდრეს ასულმა სამივე გვიხმო, რატომღაც მეტიმეტი ცელქობისა და ოინბაზობის გუნებაზე გახლდით. ჩვეულებრივ, დეიდის ოთახი მუდამ მოკრძალების გრძნობას ბადებდა ჩვენს გულში და როგორც კი შევიდოდით, თვითონაც ვერ ვამჩნევდით, ისე გავილურსებოდით ხოლმე. ამჯერად ასე არ მომხდარა. გამოალო თუ არა ტატიანა ალექსანდრეს ასულმა განჯინის კარი, ის იყო თაფლაკვერები აიღო, რომ მე და ილია მივცვივდით განჯინასთან, გამოვტაცეთ ხელიდან, ჯერ პირი ამოვიტენეთ, დანარჩენი კი ჭიბეებში ჩავიყარეთ. ტატიანა შეეცადა დავეშოშმინებინეთ და შევეჩერებინეთ, მაგრამ ვერას გახდა — ისე ვიყავით ატაცებულნი, ვერავინ ვერაფერს შეგვასმენდა. რაკი ვერას გახდა და იგრძნო საკუთარი უმწეობა, მოშორდა განჯინას, ჩამოჭდა შორიახლო და განცვიფრებულმა და თავზარდაცემულმა შემოგვხედა. ეს შემოხედვა არასოდეს დამავიწყდება.

უცებ ისე შემრცხვა, რომ დავყარე თაფლაკვერები, ხელში რომ მეჭირა, რაღაც არაბუნებრივად ჩავიხითხითე, აქაოდა, ყველაფერი ხუმრობა იყო და სხვა არაფერი-მეთქი და გავიქეცი.

მაგრამ თავი მეზიზღებოდა და არც არასოდეს მიპატიებია ჩემთვის ასე უხეშად რომ მოვექეცი ესოდენ დახვეწილი და სათუთი ბუნების ქალს, ვისაც თვითონ მამაჩემიც კი მუდამ განსაკუთრებული რიდით ელაპარაკებოდა.

* ჩემო ძვირფასო მეგობრებო (ფრანგ.).

XIV

არის კიდევ ერთი ადამიანი, ვინაც ხშირად მაგონდება ჩემი ბავშვობის დროიდან. ეს გახლავთ ჩემი მამიდაშვილი ვარია, მამაჩემის დის — გრაფინია მარია ნიკოლოზის ასული ტოლსტაიას ასული.

იგი ხშირად ცხოვრობდა იასნაია პოლიანაში. მახსოვს ყმაწვილი ქალი იყო და დედამისმა გამოგზავნა ჩვენსა, რათა გადაევიწყებინა ადამიანი, ვინც უყვარდა და ვისი ცოლობაც უნდოდა. არაერთხელ მინახავს თვალცრემლიანი. დღესათვის ნათლად მახსოვს, როგორ მიყვარდა და როგორ თანავუგრძნობდი მის მწუხარებას, როცა მუხლებზე ვუჯექი და თავი მის მკერდზე მქონდა მიღებული.

ისე მშვენივრად ყვებოდა ზღაპრებს, რომ შემდეგ არასდროს არავისი ნაამბობი ზღაპარი ისე არ მომწონებია, როგორც ის ზღაპრები, სალამოობით დიუნანზე მჯდარი ჩამობნელებულ ოთახში რომ გვიამბობდა.

დროდადრო ჰანა თავის დასთან ან კიდევ ტულაში, თავისი ნაცნობი ინგლისელების მოსანახულებლად გაემგზავრებოდა: მამამ გამოუძებნა თანამემამულეები, იქნებ ცოტათი გაერთოსო. მაშინ ვარია ჩვენთან ერთად იძინებდა ჩვენს თაღებიან ოთახში.

გამგზავრებისას ჰანა დაარიგებდა ხოლმე ვარიას, როგორ მოევლო ჩვენთვის, რის უფლება მოეცა და რის არა.

ერთი ხანობა ჰანა სალამოობით ძირტკბილას პატარ-პატარა წვნიკს გვაძლევდა, ძალიან გვიყვარდა ხოლმე. ჰოდა, ჰანამ ვარიას დაუტოვა ძირტკბილას მსხვილი ღერო, რათა სალამოს თვითეული ჩვენთაგანისთვის ცოტა-ცოტა მოეცა.

თუმცა ორმოცდაათ წელზე მეტი გავიდა, ახლაც მრცხვენია ვალიარო, რომ ისე ხარბი ვიყავი, დღესაც მახსოვს, ის სიამოვნება, რასაც განვიცდიდი, როცა სალამოობით ვარია ძირტკბილას მოზრდილ ღეროს მომცემდა. ჰანა ალბათ ამოდენა ღეროს სამივეს ხუთ-ექვს ჯერზე გვამყოფინებდა.

მაგრამ ჩემი სიამოვნება დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთ სალამოს უკვე ვეღარ შევძელი ბოლომდე მეწუწნა ძირტკბილა და საბოლოოდ თვალის დასანახავად შემძულდა; თანაც ძილიც მომერია, ჰოდა, გამოვაგდე პირიდან და ჩუმად მოვისროლე იატაკზე.

ვარია მეტისმეტად დაბნეული გოგო იყო და ამაზე ოჯახში ათას თავშესაქცევ ამბავს ყვებოდნენ. ჩვენ ძალიან გვიყვარდა ამ ამბების მოსმენა. ამ დროს ვარია შემცბარი ილიმებოდა, თვალებს ახამხამებდა, თავს აქნევდა და ამბობდა:

— დიახ, დიახ, თქვენ წარმოიდგინეთ, მართალია, ასე იყო.

ზოგჯერ კი უარს განაცხადებდა:

— არა, ეს უკვე ცილისწამებაა.

როცა თხოვდებოდა, მამამ ათი ათასი მანეთის ბანკის ბილეთი აჩუქა. ეს იყო რომან „ომსა და მშვიდობაში“ აღებული გასამრჯელოს ნაწილი, მამამ თავის დისშვილებს რომ გაუნაწილა.

ვარია ფრიად მადლობელი დაურჩა თავის ბიძას და ბანკის ბილეთი მაგიდაზე დადო.

სალამოს ისე მოხდა, რომ ვარიას ოთახში ფანჯრის მინა გატყდა. გარეთ

ციოდა, მან იგრძნო, ორპირი ქარი რომ უბერავდა და გადაწყვიტა მინაზე ქალღალდი აეკრა, თანაც შემთხვევით მის მაგიდაზე წებოც აღმოჩნდა.

აილო, რაც ხელთ მოხვდა პირველადვე, მეტად ოსტატურად მიაკრა მინას ჯალღალი და თავისი საზრიანობით კმაყოფილი დასაძინებლად დაწვა.

დილით ვილაცამ ვარიას ნაჩუქარი ბანკის ბილეთი შეახსენა. ვარიას თი უკვე დავიწყებული ჰქონდა, რადგან ამქვეყნიურ კეთილდღეობას ძალზე მცირე მნიშვნელობას ანიჭებდა. მაინც დაიწყო ბანკის ბილეთის ძებნა. დაიკარგა! თვითონაც ეძებს, სხვებიც ეძებენ — არ ჩანს ბილეთი!

ბოლოს ვილაცამ შემთხვევით გაიხედა ფანჯრისკენ და დაინახა, რომ ათი ათასმანეთიანი ბანკის ბილეთი გატეხილ მინაზე იყო მიკრული.

ვარიამ თვალი დაახამხამა, ვაიო, დაიძახა, შეძრწუნდა, გაუკვირდა, ასეთი უცნაური რამ როგორ დამემართათ. მაგრამ მაინც ბოლომდე ასეთივე დარჩა, არ შეცვლილა.

მადლობა ღმერთს, რომ ასეთივე დარჩა და მთელი თავისი სიცოცხლე არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა მატერიალურ კეთილდღეობას.

როცა გათხოვდა, მისი მეუღლე გულკეთილად ყვებოდა ვარიას ათასგვარ ამბავს.

— თქვენ წარმოიდგინეთ. — გვიამბობდა იგი, — ამას წინათ ნაცნობ-მეგობრებთან ერთად სანადიროდ წავედი და ვარიკოს ვთხოვე, ვახშამი მოგვიმზადე-მეთქი. სადამოს მოვბრუნდით შინ, მგლებივით გვშიოდა. „ვარენკა, როგორ არის საქმე, ვახშამი მზად არის?“ ვხედავ, ვარიკო შეცბა. „წარმოიდგინე, კოლია, — მეუბნება იგი, — ვიფიქრე, ვიფიქრე, რა მოვუშნადო-მეთქი და ვერაფერი მოვიფიქრე“. რალას ვიზამდით, ავდექით და სავახშმოდ რესტორანში წავედით, — დასძინა მან ღმობიერი ღიმილით.

მეორედ, ვარიამ და მისმა მეუღლემ მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად თეატრში ლოჯა აიღეს. შესვენების დროს ფოიეში გაისეირნეს. უკან, ლოჯაში რომ დაბრუნდნენ, ვარენკა აკლდათ. მთელი მოქმედება გავიდა, ვარია კი არსად ჩანდა. ქმარი შეშფოთდა, მაგრამ ბოლოს მოიფიქრა, რაც უნდა ექნა: ჩაეღდა პარტერში და იქიდან მოათვალიერა ყველა ლოჯა. დაინახა, რომ ცარიელ ლოჯაში, ოღონდ ერთი იარუსით მალლა, იჯდა ვარია მარტოდმარტო, შეწუხებული იცქირებოდა აქეთ-იქით და შემცბარი კიდევ უფრო მეტად ახამბამებდა თვალებს.

— წარმოიდგინეთ, — როგორც ყოველთვის სჩვეოდა, წამოიწყო მან, — ვფიქრობდი, ღმერთო ჩემო, რა უცნაურია ეს ხალხი, ასე უცებ სად დამეკარგნენ, მიწამ ხომ არ ჩაყლაპა-მეთქი.

ერთხელ, კვირა დღეს თავის უფროს ვაყიშვილთან ერთად წირვაზე წავიდა. გზაში ბიჭუნას პალტოზე სადაფის ღილი ააწყდა. ვარიამ ეს ღილი ჯიბეში ჩაიდო, ჯიბეში კი ეკლესიისთვის გამზადებული ორი უზალთუნი ჰქონდა. და აი, როცა ეკლესიას სინით ჩამოუარეს ფულის შესაკრებად, ვარიამ ჯიბე მოიჩხრიკა და სინზე ის დააგდო, რაც ორ უზალთუნად ჩათვალა, ხურდა დაიბრუნა — შაურიანი, რათა სხვა სინზე დაედო. მორჩა თუ არა ამას, შეძრწუნებულმა შეამჩნია, რომ სინზე უზალთუნის ნაცვლად კოლიას სადაფის ღილი დაედო. საქმის გამოსწორება გვიანლა იყო, რადგან მნათემ უკვე ჩაიარა და თან წაიღო ძვირფასი სადაფის ღილი. ვარია კი ისე დაიბნა, რომ დააფიწყდა, სინზე დაეგდო უკანონოდ მითვისებული შაურიანი.

ასე და ამგვარად, კი არ გაამდიდრა, გაქურდა ეკლესია.

აქვე დავსძენ; თუმცა მშობლებს უნდოდათ ჩაეშალათ მისი ქორწინება, ვარია მაინც გაჰყვა ცოლად ნ. მ. ნაგორნის. იგი კარგი და მოსიყვარულე ქმარი გამოდგა და ვარიაც არასოდეს დამდურებია ბედს თავისი არჩევანის გამო.

ერისნულნი
ბიზნიუსეჲს

XV

ჩვენი ოჯახი უფრო და უფრო იზრდებოდა. როცა ილია სამი წლისა გახდა, დედას კიდევ შეეძინა ვაჟი — ლევი. მე ძალიან დამწყდა გული, ისევ ძმა რომ გამიჩნდა. ბიჭებისაგან თავი მობეზრებული მქონდა და დანატრებული ვოცნებობდი, როგორ ვითამაშებდით მე და ჩემი დაიკო სახლობანას და ცხოვრებაც სულ სხვაგვარი მექნებოდა, ვიდრე ძმებთან მქონდა.

მე თვითონ, ისე, რომ არავის წავუქეზებდევარ, ცისკრის და მწუხრის ლოცვას მივუმატე ინგლისური წინადადება: „Please God send me a little sister“ — „ღმერთო, გვედრები, მომივლინე დაიკო“.

და აი, 1870 წლის 12 თებერვალს დედას ასული შეეძინა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემმა ლოცვამ გაჭრა და მოუთმენლად ველოდი, როდის ვნახავ-მეთქი. როგორც იქნა, შეგვიყვანეს დედის საძინებელ ოთახში. სანახევროდ ჩაბნელებულ ოთახში იწვა დედა, მშვიდი, ლამაზი და მისუსტებული. საწოლზე მის გვერდით იწვა ნამცეცა, ერთიანად წითელი, დაპრანჭული არსება, რომელსაც თიფთიკისა და საბავშვო ფხვნილის სუნი სდიოდა. ეს პაწია ქმნილება ოდნავ ფათურობდა და ჩუმად და საწყალობლად წიოდა.

„აი, იგი, ვისაც ველოდი, ჩემი სასურველი მეგობარი, ვისთანაც სახლობანა უნდა მეთამაშა, ვისთვისაც უნდა გამენდო ყველა ჩემი ქალწულებრივი ფიქრო და გრძნობა, რის გაგებაც ბიჭებს არ შეეძლოთ. დიდხანს, კიდევ კარგა ხანს დამჭირდება ლოდინი, ვიდრე ეს უბედური, უმწეო არსება გოგონა გახდება!“ — გავიფიქრე მე.

ამჯერად დედასთან მცირე ხანი გვამყოფეს. ფრთხილად დავიხარე და ვაკოცე ჩემს პაწია დაიკოს. სიბრაღულისა და სინაზის დედობრივი გრძნობა დამეუფლა, თითქოს და კი არა, შვილი იყო ჩემი. შემდეგ დედას ვეამბორე და საძინებელი ოთახიდან გულაჩვილებული დავბრუნდი. უკმაყოფილო ვიყავი.

მალე გავიგეთ, რომ დედა მძიმედ იყო ავად, და რომ პაწია დაიკო მეტი-მეტად სუსტი დაიბადა.

ერთმანეთს მისდევდა ნალვლიანი დღეები. დედას ვერ ვნახულობდით.

მამა ზოგჯერ კი შემოვიდოდა ჩვენთან, მაგრამ ყოველთვის შეწუხებული იყო და წასვლას ჩქარობდა. როცა მაშასთან შევიდოდი — ასე ეძახდნენ ჩემს ახალ დაიკოს — ძიძა, მარია ათანასეს ასული, ალერსიანად როდი შემეგებებოდა. მაშა თითქმის სულ ტიროდა, ძიძა ან უნანავებდა ან საფენებს უცვლიდა და ვგრძნობდი, რომ ხელს ვუშლიდი, სიამოვნებისა კი რა მოგახსენოთ.

ბოლოს, როგორც იქნა, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, დედა გამოჯანსაღდა.

მაშა კი სულ შეუძლოდ იყო, რა სატკივარი არ აწუხებდა და, ბოლოს, საყმაწვილოც ზედ დაერთო. მახსოვს, თავ-პირი ერთიანად მოფენილი ჰქონდა ჩირქოვანი გამონაყარით. ძიძა თავისებურად მკურნალობდა, თავზე რძის ნაღებს

უსვამდა, ნაღები მკვდებოდა ხოლმე და, ამიტომ, მუდამ მკვე და უსიამო
სუნი ჰქონდა.

მე, ვისაც ასე გულით მსურდა ამხანაგი გოგო მყოლოდა, გული გაშიშვლებული
და ისევ დაეუმეგობრდი ძმებსა და ჰანას.

მაშას გამოკეთებას დიდი დრო დასჭირდა. საყმაწვილო სენმა კი მკვდარი
მაგრამ ისევ მეტიმეტად სუსტი და ნაზი იყო და მთელი ცხოვრება ასეთი-
ვე დარჩა.

XVI

ჩვენ, სამი უფროსი შვილი, ბავშვობაში უმცროსებისაგან სავსებით განცალ-
კეებულად ვცხოვრობდით. მე მიყვარდა უმცროსებთან საბავშვო ოთახში სია-
რული, გართობა, მაგრამ ნამდვილი ცხოვრება სერიოზულადაა და ილიასთან იწყე-
ბოდა.

ისინიც ამასვე გრძნობდნენ.

„მას აქეთ, რაც თავი მახსოვს, — წერს ილია თავის მოგონებებში, —
ბავშვების ამაღლა ორად იყო გაყოფილი: დიდებად და პატარებად:
big ones და little ones. დიდები ვიყავით: სერიოზულა, ტანია და მე. პატარები:
მა ლელია და დაი little მაშა.“

ჩვენ, უფროსებს, პატარებისაგან მუდამ შორს გვეჭირა თავი, ახლოსაც არ
ვიკარებდით მათ, რაკი არაფერი გაეგებოდათ ჩვენი და მხოლოდ ხელს გვიშ-
ლიდნენ თამაშის დროს.

ამ პატარების გამო შინ აღრიანად უნდა შემოვსულიყავით, ცივდებოდნენ
ხოლმე. ჩვენს გემოზე ვერც ვინმე ვინმე ვინმე ვინმე ვინმე ვინმე ვინმე ვინმე
აქეთ კიდევ, თუ რომელიმე მათგანი ჩვენს გამო ატირდებოდა და დედასთან
დაგვაბეზდებდა, ყოველთვის დიდები ვიყავით დამნაშავენი, მუდამ ჩვენ ვტუ-
ქსავდნენ და გესჯიდნენ ხოლმე.

ყველაზე ახლოს, ასაკითაც და სულიერადაც, ტანიასთან ვიყავი; იგი წლი-
ნახევრით უფროსი იყო ჩემზე. შავთვალა გახლდათ, ყოჩალი, რას არ მოიგო-
ნებდა... მასთან მუდამ მხიარულად ვიყავი, თითქოს უსიტყვოდაც გვესმოდა
ერთმანეთისა.

ბევრი ისეთი რამ ვიცოდით, ჩვენს გარდა ვერავინ გაიგებდა.

დარბაზში სასადილო მაგიდის ირგვლივ გვიყვარდა სირბილი.

დაპკრავდი ხელს მხარზე და გაიქცეოდი: „მე დაგასწარი, მე დაგასწარი!“
დამეწეოდა, მომიტყაპუნებდა ხელს და ისევ გაიქცეოდა.

— მე დაგასწარი, მე დაგასწარი!

ერთხელ დავეწიე, ის იყო ხელი ავწიე, რომ დამერტყა, — მაგრამ ტანია
შედგა, შემობრუნდა, მოჰყვა ხელების ქნევას, ასკინკილას, თან იძახდა: „მე
ხომ ბუ ვარ, მე ხომ ბუ ვარ!“

მე რასაკვირველია, მივხვდი, რომ თუკი ბუ იყო, მაშასადამე, მისი ხელის
ხლება არ შეიძლებოდა.

სერიოზულა, ღმერთმანი, ამას ვერ მიხვდებოდა, დაიწყებდა გაუთავებელ
გამოკითხვას და მსჯელობას, რატომ არ შეიძლება ბუს ხელი ახლოო, და ბო-
ლოს დაასკვნოდა, ვერაფერი მახვილგონივრული თამაშიაო, მე კი მაშინვე მიე-

წითური წვერი ჰქონდა, უზარმაზარი მუცელი; ნამცეცა, რუხი თვალები ძლივს უჩანდა მსუქან ქუთუთოებში.

მაგრამ ამ თვალებიდან მუდამ სიკეთე, სიეშმაკე და ხალისი გამოჰქროდა და როცა იგი ჩამოდიოდა, ისე გვაცინებდა, სადილობის დროს ყველანი სიცილით ვიხოცებოდით. ერთი მსახური გვყავდა — ეგორი, სიცილს ძლივს იკავებდა, ისე, რომ სუფრას ველარ ემსახურებოდა, ერთხელ კი ისეთი სიცილი წასკდა, გონს რომ მოეგო, შეცბა, დაადო სინი სამარქაფო მაგიდაზე და ბუფეტში გაიქცა.

ნათლიაჩემი თითქმის ყოველ წელიწადს მჩუქნიდა თოჯინას, რომელსაც ყოველთვის მაშას ვეძახდი მისი ქალიშვილის პატივსაცემად და რომელიც მუდამ ისე ლამაზი იყო, სათამაშოდაც ვერ ვიმეტებდი. თმა ნამდვილი ჰქონდა, თვალებს ახელდა და ხუჭავდა, როგორც კი ჩამოქაჩავდნენ ბოლოში ლურჯ და მწვანე მძივებგამობმულ თოქს, მოკლედ და დუდლუნით ამბობდა: „დედა, მამა“.

ხელებიც ისევე ფაიფურისა ჰქონდა, როგორც თავი. ნიდაყვებსა და თითების ნაკეცებში ვარდისფერი ღრმულები აჩნდა.

როგორ არ ვუფრთხილდებოდი მაშას, მაგრამ დროთა განმავლობაში თითები დაემტვრეოდა, თმები დასცვივდებოდა, გაუთხელდებოდა და, ბოლოს, თავიც გაუტყდებოდა ხოლმე.

მახსოვს, ერთხელ მე და ილია ერთ-ერთ თოჯინა-მაშას ვათამაშებდით. უცებ დაგვივარდა და ლამაზი თავი უამრავ ნაწილად დაემსხვრა. არაფერი გვითქვამს, მხოლოდ შევხედეთ ერთმანეთს, მერე უცბად იატაკზე პირქვე დავეყარენით, ხმამალლა და გაბმით ავღრიალდით. ჰანა მოვიდა, ჩვენი დამშვიდება სცადა, მაგრამ დიდხანს ვერ შევურიგდით მეგობრის დაკარგვას, რადგან შევეჩვიეთ ამ თოჯინას და უკვე გვიყვარდა კიდევც.

მე კიდევ შვიდი პატარა ფაიფურის თოჯინა მქონდა, ტანზე არც ერთს არ ეცვა. ეს თოჯინები ასე მერგო:

ერთხელ ავად გავხდი და ვიწუქი. მამა სადღაც გამგზავრებულიყო. ჩამოვიდა და სანახავად მომაკითხა. მამაჩემის მოსვლა ჩემს ოთახში მუდამ, იმ დღიდან მოყოლებული, რაც თავი მახსოვს, მისი სიცოცხლის დასასრულამდე, იყო მოვლენა, რასაც სიხარული მოჰქონდა, მუდამ განსაკუთრებული კმაყოფილება, ბედნიერი განწყობა და სითბო მელვრებოდა ხოლმე გულში.

მამა შემოვიდა და საწოლზე ჩამომიჯდა. ჩვეულებისამებრ, ყოველთვის, როცა ავად ვიყავი, მეკითხებოდა, — როდის შეწყვეტ თავის მოკატუნებას. აქაოდა, ავად ვარო?

ახლაც ასე მკითხა, მერე უცებ შეკრთა, ხელი კისერზე იტაცა, თითქოს რაღაცამ უკბინაო.

ერთი ნახე, ჩურკა, — მითხრა მან, — რამ მიკბინა კისერზე.

საყელოში ხელი ჩავუყავი და იქიდან ნამცეცა ფაიფურის თოჯინა ამოვაცალე. ვერ მოვასწარი გაკვირვება, იქ საიდან გაჩნდა-მეთქი, რომ მამამ უცებ ისევ მოიკატუნა თავი, თითქოს ახლა რაღაცამ პერანგის ყოშქვეშ უკბინა. ვნახე და იქაც აღმოჩნდა ცოტა უფრო მოზრდილი თოჯინა. შემდეგ მესამე — უფრო დიდი თოჯინა ერთ ქოშში აღმოჩნდა, მეოთხე თოჯინა — მეორე ქოშში, და ასე აღმოვაჩინე სხვადასხვა ადგილას შვიდი თოჯინა, რომელთაგან სულ

ბოლო, მეშვიდე, ყველაზე დიდი იყო. შემდეგ მათი აბაზანაც მოიძებნა. ეს თოჯინები იყო ერთადერთი სათამაშო, ოდესმე რომ უჩუქებდა მამას. მე ისინი ძალზე მიყვარდა, პოდა, დიდხანს ცხოვრობდნენ ჩემს

მამასთან, ბავშვობაში ხშირად ავადმყოფობდი. ზოგჯერ დიდილად თავის ტკივილი ამყვებოდა. ნამძინარევი მივდივარ ოთახში, ჩემი მძობლივების საძინებელი ოთახის გვერდით, სადაც იატაკზე უზარმაზარი შავი დათვის ტყავი აფენია. ვწვები ამ ტყავზე და თავს დათვის თავზე ვდებ.

ეს განსაკუთრებული დათვია. ისეთი თავი აქვს, ცოცხალი გეგონება. მისი მუქი თაფლისფერი შუშის თვალები ნამდვილივით შემოგყურებენ. დაღებულ ხახიდან ყველა კბილი მოუჩანს, ენაც კი ნამდვილი გეგონება. რაც მთავარია, ვიცით, რომ სწორედ ეს დათვი უპირებდა მამას დაგლეჯას — მთელი სიცოცხლე დააჩნდა შუბლზე ნაიარევი, — დათვის დანატორი.

ხშირად ვუყვებოდით ამ ამბავს ნაცნობ ბავშვებს და ზოგჯერ მამა ვერ ხვდებოდა, რად მისჩერებოდნენ ასე დაქინებით ბავშვები. მაგრამ როცა მიხვდებოდა მუდამ სიამოვნებით უჩვენებდა მათ თავის იარაღს და ხშირადაც ყვებოდა, როგორ მოხდა ეს ამბავი. დიდი ხნის წინათ, სმოლენსკის გუბერნიაში ტყვია უსვრია დათვისთვის, მაგრამ ვერ მოუკლავს. გაშმაგებული დათვი დასტაკებია მამას, მიწაზე დაუნარცხებია და კბენა დაუწყია, თან ტორებში იმწყვევდა თურმე. მამა ყვებოდა, როგორ გრძნობდა პირისახეში დათვის ცხელ სუნთქვას და როგორ იხსნა იგი მისმა ამხანაგმა, მონადირე გლეხმა, ოროლით რომ გააქცია დათვი.

ვწევარ დათვის უხეშ ტყავზე, თითს კბილებში ვუყოფ, ვფიქრობ, რა საფრთხეში ჩაავდო მამაჩემის სიცოცხლე ამ მხეცმა და ჩუმად ვიძინებ, ვიდრე ხალათმოსხმული, თმბაწეწილი და წვერგაჩეჩილი მამა არ გამოვა საძინებელი ოთახიდან, რათა კაბინეტში ჩაიცივას ტანზე, არ გამაღვიძებს და არ მიბრძანებს, საწოლში ჩაწექიო.

XVII

სხვადასხვა სენი ისე შეგვეყრებოდა და მერე ისე გაგვივლიდა, რომ მიზეზი არაფერი ჩანდა; ხოლო როცა ჩვენი ანცობით თითქოს უსათუოდ უნდა მოგვესვლოდა რამე — სწორედ მაშინ არ ვხდებოდით ავად.

მაგალითად, ხშირად სოფის მიბაძვით აი, Segur-ის „Jes malheurs de Sopl“ წიგნში როგორც ხდება, თავსხმა წვიმაში თავს შევუშვერდი ხოლმე წყლის სადინარ მიღს და თავით-ფეხამდე გავილუმბებოდი. ერთხელ კი, როცა მე და ჩემი ძმები ვგუნდაობდით და თან თოვლის პაპას ვდგამდით, ისე დაესველდი თოვლში, რომ ერთიანად გავითოშე.

ერთხელ, გაზაფხულზე, ნასაუზმევს, სწორედ მაშინ, როცა წყალი ირგვლივ მომეტებულაღ არის, პანასთან ერთად სასეირნოდ წავედი.

მარტი იყო, ერთ-ერთი იმ დამათრობელ დღეთაგანი, როცა მზე მთელი ძალით აცხუნებს, ტოროლები წკრიალებენ და შორს იჭრებიან მოწმენდილ ლაქვარდ ცაზე, თოვლი სანახევროდ ამდნარია, ხოლო რაც დარჩა, სველია და ფაშარი; როცა თოვლის საფარველიდან ეს-ესაა განთავისუფლებული და მზის-

გან გამთბარი მიწა ღლევა და რაღაც მისეულ, განსაკუთრებულ, ჯანსაღ და მკვეთრ სურნელს აფრქვევს; როცა ახლად ამოწვერილი მწვანე ბალახის ყლორტები მზისკენ იჩქარიან, ხოლო მზისგულზე გადამშრალ ბორცვებზე უკვე ჩნდებიან ბურძგლა ყვითელი ყვავილები.

ასეთ ღლეებში ადამიანთა ხმები თუ ძაღლების ყეფა, ჩიტების ჭიკჭიკი და წყლის ჩქრიალიც უფრო ხმიერი, ცოცხალი და მეღერი გაზაფხულის ჰაერში.

მე და ილია სხვა და-ძმებისაგან იმით განსხვავდებოდით, რომ ჩვენს ბუნებაში ჭარბად იყო ის სასიცოცხლო ძალა, რასაც ინგლისელები ცხოველურ სიმკვირცხლეს უწოდებენ და რაც ზოგჯერ ისე გაგვიჭდებოდა ძვალრბილში, დაბანგულებს ვემსგავსებოდით და თავს ველარ ვიმორჩილებდით.

გაზაფხულის ამ ღლესაც ასე დაგვემართა. ჰანას არ ვუჯერებდით და თავაშვებული კვიცებივით ვნავარდობდით, არ ვუყურებდით, სად მშრალი იყო და სად სისველე.

ბოლოს იასენკაზე აღმოვჩნდით. ეს ნაკადული თუ მდინარე ჩვენს პარკს ჩაუდის და ზაფხულობით თითქმის მთლიანად შრება. ახლა კი იასენკა ნამდვილი ნიაღვარივით აფოფრილიყო, მიექანებოდა და თავისი ჭუჭყიანი, ყვითელი ტალღებით ყინულისა და თოვლის უზარმაზარი თოშები მიჰქონდა. მე და ილია იასენკასაკენ გავიქეციით, გავრბოდით სველ თოვლზე, რომლის ქვეშაც ნაბიჯის ყოველ გადადგმაზე ბუყბუყებდა და ტკაცუნებდა წყლისგან გაყივებული მიწა. მდინარის კალაპოტთან რომ მივირბინეთ, წამით შევყოყმანდით, შემდეგ კი სიტყვის უთქმელად პირდაპირ წყალში შევაბიჯეთ. თუმცა მეცა და ჩემს ძმებსაც მაღალყელიანი, საჭაობე ჩექმები გვეცვა, წყალმა მაინც გაგვივსო. ოდნავადაც არ შევმცბარვართ, ისე ავუყევით მდინარის კალაპოტს, სულ აღმაღმა.

აქამდე მახსოვს, რა სიამეს ვგრძნობდი. მდინარის კალაპოტში რომ მივახიჯებდი ხშირად ხან ორმოში დამოცდებოდა ფეხი და ხან წყლის სარაჯაში და წყალი ლამის პირ-სახეზე მცემდა. წინ გადახრილი მივდიოდი დინების საწინააღმდეგოდ და ვგრძნობდი, რაოდენ ძლიერად მეჯახებოდა წყალი.

შემხვედრი ყინულის თოშები გულმკერდზე მხვდებოდა, მაგრამ არც ტკივილს ვგრძნობდი, არც დაღლილობას და გამარჯვებულებით მიჭიწევდი წინ.

წყლიდან რომ ამოვედი, ვიგრძენი, რა მძიმე და ცივი იყო ჩემი ტანისამოსი. ჩექმებში წყალი ბუყბუყებდა და ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე იღვრებოდა ჩექმის ყელიდან.

მეშინოდა და მრცხვენოდა, ჰანასა და მშობლებს ვჩვენებოდი ასეთი დანაშაულის ჩადენის შემდეგ. მაგრამ ისე დიდად ვიყავი კმაყოფილი, სინდისი არ მქენჯნიდა ჩემს საყვარელ აღმზრდელს რად არ გავუგონე-მეთქი.

ავად არ გავმხდარვართ და სასჯელი, ჩვენი ცუდი საქციელის გამო რომ დავიმსახურეთ, მოთმინებით გადავიტანეთ. სამი დღით აგვიკრძალეს სეირნობა. ვისხედით შინ, მაგრამ ტკბილად ვიგონებდით ჩვენი გასეირნების ამბავს.

XVIII



1870-1871 წლის ზამთარში მამამ თავდავიწყებით დაიწყო ბერძნული ენის შესწავლა. დილიდან შუალამემდე კითხულობდა და თარგმნიდა კლასიკოსებს.

როგორც სჩვეოდა, ბევრს ლაპარაკობდა თავის გატაცებაზე და გამუდმებით გვესმოდა, რაოდენ აღფრთოვანებული იყო ბერძნული ენით...

როცა რომელიმე მეგობარი ჩამოუვიდოდა, გასაქანს არ მისცემდა ხოლმე, ნახეთ, როგორ ვთარგმნი ბერძნული ენიდან ან ბერძნულ ენაზეო.

მახსოვს წიგნზე დახრილი მისი თავი, დაძაბული „ყურადღებიანი პირისა“ ხე და აწეული წარბები მაშინ, როცა სწრაფად ვერ გაიხსენებდა რომელიმე სიტყვას.

1870 წლის დეკემბერში, ფეტს სწერდა: დილიდან შუალამემდე ბერძნულ ენას ვსწავლობო. „არაფერს არ ვწერ, მხოლოდ ვსწავლობ“.

მაგრამ ფეტს არ სჯეროდა, რომ მამაჩემი მარტო დასძლევდა ასეთ რთულ ენას და თავის მეგობრებს ეუბნებოდა, თუკი იგი ბერძნულს შეისწავლის, ტოლსტოის ბერძნული ენის დიპლომისათვის ჩემი ტყავი მომიციაო.

„...თქვენი ტყავი, ჩემი ბერძნული ენის დიპლომის პერგამენტისათვის რომ უნდა გაიღოთ, საფრთხეშია, — სწერდა მამა ფეტს შემდგომ. — ეს მართლაც დაუჭერებელი ამბავია, რომელსაც სახელს ვერ მოუძებნი, მაგრამ მე უკვე წავიკითხე ქსენოფონტი და ამჟამად à livre ouvert (ფურცლიდან) ვკითხულობ... რა ბედნიერი ვარ, რომ ღმერთმა შთამაგონა ეს სიგიჟე. ჯერ ერთი, ვტკბები, მეორეც, დავრწმუნდი, რომ აქამდე არაფერი მცოდნია იმ ყოველივე ჭეშმარიტი მშვენიერებისა და უბრალო მშვენიერებისა, რაც კი ადამიანის სიტყვას შეუქმნია, ისევე, როგორც არც არავინ იცის (გამოვრიცხავ იმ პროფესორებს, რომლებმაც თუმც კი იციან, მაგრამ არ გაეგებათ), მესამეც იმიტომ, რომ აღარ ვწერ და მეტად არასოდეს დავწერ ისეთ გაუწყობელ, გაუთავებელ სიტყუეს, როგორიც ომი და მშვიდობაა. ღვთის გულისათვის, გამაგებინეთ, რატომ არავინ არ იცის ეზოპეს იგავები, უმშვენიერესი ქსენოფონტი, რომ აღარაფერი ვთქვა პლატონზე, პომპროსზე, რომელთა წაკითხვასაც მომავალში ვაპირებ?“

„სიგიჟე“ მამას ძვირად დაუჯდა: ქანცი გაიწყვიტა დაძაბული მეცადინეობის შედეგად და რაღაც გაურკვეველი სენით შეიქნა ავად. დედა ძალზე წუხდა და მოსკოვს გამგზავრებას სთხოვდა, ექიმებთან.

მამა დაემორჩილა და გაემგზავრა თავის კარგ ნაცნობთან, იმ ხანებში სახელგანთქმულ ექიმ ზახარინთან. 1871 წლის ივნისს მამა ფეტს სწერს:

„დიდი ხანია არ მომიწერია და ველარც გეწვიეთ, რადგან ავად ვიყავი და ახლაც ავად ვარ, თვითონაც არ ვიცი რით, მაგრამ ეტყობა, რაღაც ცუდი რამ მჭირს ან იქნებ კარგი, — ეს მერე გამოჩნდება, ვნახოთ, ბოლო როგორი ექნება.“

ძალა გამომელია, არაფერი არ მჭირდება და არც მინდა, გარდა სიმშვიდისა, რომელიც არ არის...“

ზახარინმა გულითადად გაიზიარა მამის მდგომარეობა, ურჩია სამარის ველებზე წასულიყო, რამდენიმე კვირა ეცხოვრა იქ უზრუნველად, დაელია კუმისი და დაესვენა.

მამამ თან გაიყოლია თავისი ცოლისძმა — ძია სტიოპა ბერსი და ველად გაემგზავრა.

1871 წლის ზაფხულში ტურგენევი სწერდა ფეტს მამაჩემზე: „მამაჩემს მწუხებს მისი ავადმყოფობის ამბავი; მას ხომ ორი ძმა ჭლეჩით ვფიქრობდი, ამიტომ ძალიან მიხარია, კუმისზე რომ მიდის, რომლის სარგებლიანობა ნამდვილად მჭერა. ლ. ტოლსტოი, ეს ერთადერთი იმედი ჩვენი დაობლებული ლიტერატურისა, არც შეიძლება და არც უნდა გაქრეს პირისაგან მიწისა ისევე მალე, როგორც მისი წინამორბედნი: პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი. გამოჩხრიკა რა მანაც უცებ ბერძნული ენა“.

მამამ ველად ექვსი კვირა დაჰყო. ყოველ კვირაში ჯანმრთელობა თანდათან უუმჯობესდებოდა.

მამის მწერლობისმიერ ამხანაგებს მეტისმეტად აწუხებდა მისი ასეთ დღეში ჩავარდნა. ფეტიც გამუდმებით ატყობინებდა ტურგენევს მისი ჯანმრთელობის ამბავს.

„გმადლობთ, რომ შემატყობინეთ ამბები, — სწერს ტურგენევი ფეტს 1871 წლის 6 აგვისტოს, — ფრიად მოხარული ვარ, რომ ტოლსტოი უკეთ გრძნობს თავს და რომ ასე მოერია ბერძნულ ენას, ეს მისთვის დიდი პატივია და დიდადაც წაადგება“.

შემდგომ წერილში სწერს: „გამახარა ამბებმა ტოლსტოის შესახებ რომ მომაწვდინეთ. ფრიად მოხარული ვარ, რომ ჯანმრთელობა გამოუკეთდა და მუშაობს. რაც არ უნდა გააკეთოს, კარგი იქნება...“

ჩვენთვის, ბავშვებისათვის, ეს ზაფხული ნაღვლიანად დაიწყო. მამა არ იყო, დედა დარდობდა და წუხდა მამაზე. ჰანაც რაღაც შეუძლოდ გახდა. მისი მდგომარეობა აშინებდა და გულს ტკენდა ჩემს მშობლებს.

დედა ჰანას ამბავს მამას სამარაში ატყობინებდა. იგი პასუხად სწერდა: „ყველას ჩამოგიყვანდით აქ — შენ, სერიოჟას, ჰანას. როგორ მტანჯავს მისი ავადობა. ღმერთმა ნუ ქნას, ავად შეიქნეს...“

იმ ხანებში ჩვენსა, დედას რომ მიშველებოდა, ცხოვრობდა ჩემი ბებია ლ. ა. ბერსი, ნათლიაჩემი, რომელიც გვამეცადინებდა და ხშირად ჰანას მაგიერ სეირნობდა ჩვენთან ერთად.

დედაჩემი მთელი დღე ვერ უთავდებოდა ჩვენზე ზრუნვას და, განსაკუთრებით, პაწია, სუსტი მაშას მოვლას. იგი სწერს მამას, რომ განსაკუთრებით მტკივნეულად შეუყვარდა თავისი პაწია მაშა. „მე ახლა რაღაცნაირი გულის-ნომწყველელი გრძნობა მეუფლება, როცა მესმის მისი საცოდავი ტირილი და ვხედავ მის გაღეულ, პაწია სხეულს. გამუდმებით თავზე ვეველები, რარიგ მინდა, მზრუნველობით რაც შეიძლება მალე გამოვაბრუნო“.

მამას ჩვენც ვწერდით წერილებს. ივნისში სამარიდან ასეთი წერილი გამომიგზავნა:

„ტანია!

აქ ერთი ბიჭია, 4 წლის არის და აზისს ეძახიან; ბუთხუზაა, მრგვალი, სვამს კუმისს და სულ იცინის. სტიოპას ძალიან უყვარს, სულ კამფეტებს აძლევს. ეს აზისი ტიტველა დაიარება. ჩვენთან ერთად კი ერთი ბატონი ცხოვრობს, დამშეულია, იმიტომ, რომ ცხვრის ხორცის მეტი საჭმელი არაფერა აქვს. სწორედ ეს ბატონი ამბობს: „კარგი იქნებოდა აზისი შემეჭამა—მერე როგორი მსუქანი იქნებოდა“. მომწერე რა ნიშანი გაქვს ყოფაქცევაში. გკოცნი“.

მე მამას თვითონ ვწერდი წერილებს, ილიამ კი წერა არ იცოდა. დედა ატყობინებს მამას:

„შენს წერილებს, ამათ (ბავშვებს) რომ მოსწერე, ხვალ წავუკითხავ... უეჭველად მაშინვე გიპასუხებენ. ილუშამ უკვე მთხოვა, მის მამაკაცად მოგწერო, თანაც ისეთი ნაზი ხმით მთხოვდა, ხომ იცი, თვითონ არ შემიძლიაო, რომ გამიკვირდა“.

ივლისში ზაფხული რამდენადმე გამოცოცხლდა.

სამარაში რომ მიემგზავრებოდა, მამამ გზად, მოსკოვში „გიგანტური ნაბიჯები“, გვიყიდა, მოგვწერა და დაწერილებით დაგვარიგა, როგორ უნდა დავუდგა. დავუძახეთ დურგლებს, ამოვირჩიეთ ადგილი სახლის წინ, მინდორში. მოვჭერით კარგა აშოლტილი მუხა და რამდენიმე დღეში უკვე ყველამ დავიწყეთ სირბილის სწავლა.

„გუშინ პირველად ყველანი, დიდებიც და პატარებიც, — სწერდა დედა მამას, — ახარტულად დარბოდნენ „გიგანტური ნაბიჯებით“. ბავშვებსაც ძალიან მოეწონათ, აღფრთოვანებულები იყვნენ, დასაძინებლად არ მიდიოდნენ, ჩაის დალევა არ უნდოდათ და სულ მინდვრისკენ მიიწევდნენ“.

მალე მე და სერიოჟა კარგად დავრბოდით. მხოლოდ ბუთხუზა ილია სულ ეცემოდა. ჩამოეკიდებოდა ზოგჯერ მარყუეს, ვეღარ შეძლებდა ისევ ფეხზე დადგომას და ტრიალებდა ასე, სანამ მიწაზე არ დაჯდებოდა.

ზაფხულის მიწურულს ჰანამ საგრძნობლად მოიკეთა, რაც დედაჩემმა სინარულით აცნობა მამას:

„ახლა ჰანაც ჯანმრთელად არის, მხიარულად და, როგორც ყოველთვის, მასთან კარგად და მსუბუქად ვგრძნობ თავს, რომ იცოდე, რა ერთგული მეგობარი და შემწეა ჩემი“.

მალე მამა და სტიოპა ჩამოვიდნენ და სრული ბედნიერება ვიგრძენით.

როცა მამა ჩვენთან არ იყო, ასე გვეგონა, ცხოვრებას სისავსე აკლდა, არ გვეოფნიდა არსებობისათვის რაღაც ძალზე საჭირო, თითქოს ცხოვრება როგორღაც ისე მიედინებოდა, ხოლო ნამდვილი ცხოვრება იწყებოდა მხოლოდ მაშინ, როცა მამა ისევ ბრუნდებოდა.

როცა ჩამოვიდა, მაშინვე გავუმხილეთ, ჩვენი მთავარი გატაცება იმხანად „გიგანტური ნაბიჯები“ რომ იყო და მანაც ძალზე სწრაფად ისწავლა სირბილი და ხშირადაც დარბოდა ჩვენთან ერთად.

ერთხელ სადილად ვისხედით და ხუთი წლის ბუთხუზა ილიამ მამას ახსნა-განმარტება დაუწყო, „გიგანტური ნაბიჯებისათვის“ ერთი ხერხი მოვიგონეო.

— იცი, მამა, რა მოვიგონე? — დაიწყო მან, — ეს მეტად თავშესაქცევი რამ იქნება... უნდა გამოვთალოთ ჭოკი, ჭოკზე უნდა მივაჭედოთ ფიცარი, შემდეგ კიდევ ჭოკი უნდა გამოვთალოთ, ჭოკზე ისევ ფიცარი...

მე და სერიოჟას ხარხარი აგვივარდა.

— ჭოკზე ფიცარი და ფიცარზე ჭოკი, — გამოაჯავრა სერიოჟამ ილია. მეც ავეყვი: — ფიცარზე ჭოკი და ჭოკზე ფიცარი, ჰა, ჰა, ჰა, და ჭოკზე ფიცარი... ასეა ხომ, ილია?

ილიამ ვეღარ გაუძლო დაცინვას და ხმამაღლა, გაბმით აღრიალდა.

— აბა, ნუ ტირი, ილია, — უთხრა მამამ, რაკი იცოდე, რომ ილიას ათას-

გვარი გამოგონების ნიჭი ჰქონდა და რომ მისი გამოგონი უეჭველად ჰქონ-
ნური იქნებოდა, — მომიყევი ერთი, რა მოიფიქრე და შევეცდებით, ისე გვე-
კეთოს.

როცა ილია დამშვიდდა და შეიძლო თავისი გამოგონის ახსნა, მისი გამოგონი
ჩი სულაც არ გამოდგა და ეს გამოგონი იასნოპოლიანელმა დურგალმა შე-
ასრულა. თურმე რა ყოფილა: წრეზე „გიგანტური ნაბიჯების“ გვერდით, მიწაში
უნდა ჩაესოთ პატარა ბოძი. შემდგომ ცალკე კეთდებოდა სახელურიანი ფი-
ცარი, კიდეში ნახვრეტი რომ ჰქონდა. „გიგანტური ნაბიჯებით“ მორბენალი
იჭერდა ხელში ამ ფიცარს და სირბილის დროს უნდა ცდილიყო ეს ფიცარი
მიწაში ჩასობილ ბოძზე ჩამოეცვა. ამ ბოძზე, მის ზედა ბოლოსთან, მიჭედლილი
იყო მეორე ფიცარი, რათა ის ფიცარი, რომელსაც მორბენალი ჩამოაცვამდა
ბოძს, მიწაზე არ ჩაცურებულყო.

ილია აღტაცებული იყო, თურმე ნუ იტყვიტ და „ჭოკზე ფიცარი და ფი-
ცარზე ჭოკი და ჭოკზე ფიცარი“ არათუ სისულელე ყოფილა. პირიქით, თვი-
თონ მამამ შეუკვეთა დურგალს ეს მოწყობილობა და ზოგჯერ ერთობოდა კი-
დეც, როცა „გიგანტური ნაბიჯებით“ დარბოდა.

XIX

სამარიდან მამა ჯანშრთელი და მხნე დაბრუნდა. ჩვენი ცხოვრება ისევ
ზედნიერად მიედინებოდა. ყველანი საქმით ვიყავით დაკავებულნი: ბავშვები
ესწავლობდით, მამამ კი ბავშვთა საკითხავი წიგნების შედგენას მოჰკიდა ხელი,
რამიც დედაც ძალიან ეხმარებოდა. მახსოვს, მეც ვეხმარებოდი ხატვაში და მო-
ნდომებით ვხატავდი ალუბალს ასო „ა“-სთან და ბურთს — ასო „ბ“-სთან.

იასნაიაში მუდამ იყო სტუმრად ვინმე ნათესავთაგანი, ამ შემოდგომით
დედაჩემის ერთ-ერთი ძმა — ვალოდია ცხოვრობდა ჩვენსა, მოგვიანებით კი
მისი ბიძა — კ. ა. ისლავინი ჩამოვიდა და მთელი ზამთარი ჩვენთან გაატარა.
„ძია კოსტიას“ ეძახდნენ ყველანი, შინამოსამსახურეებიც კი. ორივენი გვეხმა-
რებოდნენ საკითხავ წიგნებზე მუშაობაში.

ამ ხანებში დედა ხშირად უგზავნიდა წერილებს თავის დას ტ. ა. კუზმინ-
სკაიას ქუთაისში და აგებინებდა, თუ რას იქმოდნენ იასნაია პოლიანაში.

„ჩვენ ახლა ისევ საბავშვო წიგნებს ჩავუკეჩით, — წერს იგი 1871 წლის
20 სექტემბერს, — ლევი წერს, მე და ვარია კი ვათეთრებთ — საქმე კარგად
მიდის. აი, ჩქარა რომ დაბეჭდავდნენ, მაშინ პირველ წიგნს დაშას გამოვუგზავ-
ნიდი. არა, მაინც გამოვუგზავნი. ბავშვების სწავლას რომ მოჰყიდებ ხელს, სი-
ხარულს მოგგვრის ის ამბავი, რომ ეს წიგნები ჩვენი დაწერილია“.

მაშინ ისე მრავლად არ იყო საბავშვო წიგნები, როგორც ახლა არის, მაგ-
რამ ისინიც, რომლებიც გვქონდა, მოსაწყენი ანდა გაუგებარი იყო, განსაკუთ-
რებით გლეხის შვილებისათვის. მამაჩემი კი, არსებითად მათთვის წერდა
წიგნებს.

მამას არასოდეს შეეძლო ისე, ჰაიჰარად, გაეკეთებინა რაიმე, რასაც ხელს
მოჰყიდებდა. ამიტომ ამ ოთხი საკითხავი წიგნისა და „ანბანის“ შედგენას
დიდი დრო და ჯაფა მოანდომა.

თავისი წიგნებისათვის რაიმე ჭკუის სასწავლი და საინტერესო რომ მოე-
ძია, ხან ასტრონომიას კითხულობდა, ხან ფიზიკას, ხანაც ანდაზების წიგნს,

ზოგჯერ ეზოებს იგავეებს გადახედავდა, ხანაც ინგლისურსა და ამერიკულ საბავშვო კრებულებს.

ყოველი მხრიდან, როგორც ფუტკარი ეზიდება ხსენებულს: ყველაფერიდან ნექტარს თავის სკაში, მასაც შეჰქონდა თავის წიგნებში მისი კარგად მიჩნეული...

იყო დრო, როცა სურდა ასტრონომიაზე რამდენიმე სტატია დაეწერა და ამ წიგნებში შეეტანა. არათუ ყველაფერი წაიკითხა ასტრონომიაზე რაც შეეძლო, არამედ ლამეებსაც ათენებდა, ვარსკვლავებს აკვირდებოდა და ვარსკვლავთა რუკის მიხედვით სწავლობდა მათ.

„ლევს ვეხმარები პატარ-პატარა წიგნების წერაში და ისე გამიტაცა ამ საქმემ“, — წერს დედა თავის დას 1871 წლის 28 ნოემბერს, — რომ ძლივს ვართმევ თავს აუცილებელ საქმეებს. მაგრამ მაინც ეს წიგნები მზად მალე არ იქნება: შენ ხომ იცი, ლევმა ყოველთვის და ყველაფერი რომ უნდა დახვეწოს, გზადაკეთოს, წერილმანებიც კი...“

და აი, უკვე ამავე წლის შობისწინა დღეებში, 22 დეკემბერს, დედა ისევ ატყობინებდა თავის დას: „მთელი ეს ხანი მე და ძია კოსტია ვწერდით და ვათეთრებდით საბავშვო წიგნებს, ვეშურებოდით სადღესასწაულოდ დაგვემთავრებინა. მართლაც დავასრულეთ და ლევმა პირველი ნაწილი მოსკოვში წაიღო“.

12 იანვარს მამა სწერს თავის ნათესავსა და მეგობარს გრაფინია ალექსანდრა ანდრეის ასულ ტოლსტაიას:

„ამ ბოლო წლებში „ანბანს“ ვწერდი და ახლა ვბეჭდავ. თუ რა არის ეს მრავალი წლის წრომა ჩემთვის, ამის თქმა ძალზე ძნელია... ამაყი ფიქრები ჩემი ამ „ანბანის“ გამო ასეთი გახლავთ: მხოლოდ ამ „ანბანით“ ისწავლის რუსეთის ორი თაობის ყველა ბავშვი, მეფისა თუ გლეხისა და პირველ პოეტურ შთაბეჭდილებებს აქედან მიიღებენ. და რაკი დავწერე ეს „ანბანი“, შემიძლია მშვიდად განვისვენო“.

დაბეჭდვის დროს მამა გზადაგზა ასწორებდა და ავრცობდა თავის „ანბანს“.

„ჩემი „ანბანი“ თანდათანობით იბეჭდება, გზადაგზა კი იწერება და ივსება, — ისევ ატყობინებს მამა ალექსანდრა ანდრეის ასულს, — მართლაც ეს „ანბანი“ მეყოფა სამუშაოდ 100 წელი. ამისათვის საჭიროა ბერძნული, ინდური, არაბული ლიტერატურის ცოდნა, საჭიროა ყველა საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, ასტრონომია, ფიზიკა, და ენაზე დიდი მუშაობა. ყველაფერი ლამაზად, სხარტად, უბრალოდ და, რაც მთავარია, ნათლად უნდა იყოს“.

XX

იასნაია პოლიანას სახლში ჩვენი ოჯახი უკვე ვეღარ თავსდებოდა. ერთხელ მამამ ტულიდან არქიტექტორი იხმო და სახლისათვის დიდი დარბაზის მიშენება შეუპოვებოდა. ეს დარბაზი 1871 წლის საშობაოდ მზად უნდა ყოფილიყო.

მახსოვს, რა ზარ-ზეიმით ჩავუყარეთ საფუძველი. როცა საძირკვლისათვის ადგილი გამზადდა, მამამ ვერცხლის მანეთიანი მომცა და, საძირკველში ჩაავდეთ, მითხრა. ყველანი ირგვლივ ვიდექით, შემდეგ პირჯვარი გადავიწერეთ

და მუშაობას შევუდექით. კალატონები, დურგლები, მებათქაშეები თავგამოდებით მუშაობდნენ შობისწინა დღეებშიც.

შობამდე რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე მამა მოსკოვში იყო, დედა და ძია კოსტია ახალ დარბაზს აწყობდნენ. ძია კოსტია, რომელსაც უყვარდა ყველა ზად მორთული დარბაზები, გატაცებით შრომობდა: ჩამოჰკიდა სურათები, კედლები, ნათურები, შტორები და ა. შ. დედა კი მუშებთან ერთად ფლიგელიდან ეზიდებოდა ძველ სარდაფში შენახულ ლეიბებს, ბალიშებს, ძველისძველ კანდელებს, სინებს, ავეჯსა და სხვა ნივთებს.

მგონი, ადრე საშობაოდ არასოდეს მოვემზადებულვართ ისე საგანგებოდ, როგორც იმ წელიწადს.

უამრავი სტუმრის ჩამოსვლა იყო მოსალოდნელი და მათ რომ არ მოსწყენოდნენ, ნაძვის ხე მოვრთეთ, მოვემზადეთ მასკარადისთვის, შეეძლოთ მთიდან ციგებით დაშვებულყვნენ, ციგურებით ესრიალათ და კიდევ, ვინ მოთვლის, რამდენი სიამოვნება ეგემნათ.

რამდენიმე დღით ადრე კალთებაკაპიწებულმა მედლეურმა მუშა ქალებმა წყლის ნიაღვარი დააყენეს იატაკზე. სხვანი ფეხშიშველნი იდგნენ ფანჯრების რაფებზე და მინებს წმენდნენ. მეეზოვე დანაყილ აგურს იღებდა სავსე ყუთიდან და მაუდის ნაჭრით წმენდდა სპილენძის საკლიტურებს, ღუმელების სასულეებს და სხვა.

ჩვენ — ბავშვები და ჰანა ფრიად დაკავებულნი გახლდით: უზარმაზარ ქლიავის პუდინგს ვამზადებდით, თან ნაძვის ხეს ვრთავდით.

სალამობით ყველანი მრგვალი მაგიდის ირგვლივ ვიკრიბებოდით და საქმეს ვკიდებდით ხელს. მთელი შემოდგომის განმავლობაში და ზამთრის პირზე დაძაბული სწავლის შემდგომ ჩვენთვის ყოველგვარი ახალი საქმიანობა დასვენება იყო. მრავალი თვე მარტოობაში ყოფნის შემდგომ სტუმართა ჩამოსვლა მრავალ სასიამოვნო რასმე გვიქადდა.

დედას გამოჰქონდა კაკლით სავსე დიდი ტომარა, ჭურჭელში ჩასხმულა ალუბლის წებო, კარგა ხნის წინათ ჩვენვე რომ შევაგროვეთ ძველი ალუბლის ხეებიდან, ხეხილის დასაცავად აშენებულ ჩარდახში რომ ხარობდა. თვითვე ჩვენთაგანს ჩამოგვირიგებდა თითო ფუნჯსა და თხელ ოქროსფერ და ვერცხლისფერფურცლებიან რვეულს, ჰაერის ყოველ შემობერვაზე რომ თრთოდა.

კაკალს ფუნჯით წებოს წაფუსვამდით, შემდეგ დავდებდით ოქროსფერ ფურცელზე და ფრთხილად, ისე, რომ ოდნავ ვკიდებდით თითებს, ფურცელს კაკალზე ვაწებებდით. გამზადებულ კაკლებს სინზე ვაწყობდით და შემდეგ, როცა გაშრებოდა, ქინძისთავით მივაბნევდით ვარდისფერ ბაფთას, მარყუჟად გამონასკვულს, რომ ნაძვის ხეზე ჩამოგვეკიდა. ეს ყველაზე ძნელი გასაკეთებელი იყო: უნდა გვეპოვა კაკლის ის ადგილი, სადაც თავისუფლად გაეყრებოდა ქინძისთავი. ქინძისთავი კაკალში სულ უნდა ჩამალულიყო. ხან ქინძისთავი იღუნებოდა, ხან თითებს ვიჩხვლევდით, ხან კი ბაფთა არ მაგრდებოდა კარგად, ვერ უძლებდა კაკლის სიმძიმეს, იძენძებოდა და ვარდებოდა.

კაკალს რომ მოვრჩებოდით, კარტონაქს შევუდგებოდით. ჭრელი, ოქროსფერი და ვერცხლისფერი ქაღალდი წინასწარ იყო ნაყიდი. ოქროსფერი არშიებიც გვქონდა და პაწია ვარსკვლავებიც, ჩვენს მიერ დაწებებული კოლოფების მოსართავად. თვითვე ჩვენთაგანი ცდილობდა რაიმე ახალი, საინ-

ტერესო და ლამაზი გამოეგონებინა. და ასე იქმნებოდა პაწია კალათები, რგოლები, პაწია ქვაბები, კასრები, თავსახურიანი და უთავსახური კოლოფები, მორთულნი ნახატებით, ვარსკვლავებითა და სხვადასხვა სტუმრებით.

შემდეგ „ჩონჩხებს“ ტანსაცმელს ვაცმევდით. ახლამაჟინებდით ჩონჩხებს დიდი ხანია აღარ ამზადებენ, ჩემს ბაჭშვობაში კი არც ერთი ნაძვის ხე არ მოიბრთვებოდა ამ „ჩონჩხა-თოჯინების“ გარეშე.

ეს ჩაუცმელი ხის თოჯინები, მხოლოდ თქაოში იხრებოდნენ. შავად თმაშეღებილი თავი და მეტისმეტად ვარდისფერი ღაწვები ტანთან ჰქონდათ გაერთიანებული.

ფეხები ისე იყო ჩადგმული პაწია მრგვალ ფიცარში, რომ თოჯინას დგომა შეეძლო.

ასეთ თოჯინებს დედა მთელ ყუთს ყიდულობდა — ასიოდ ცალს. ცალი ხუთი კაპიკი ღირდა. ნაძვის ხეზე სტუმრად მოსულ თვითეულ ბაბულს დაურიგებდნენ ხოლმე ჩაცმულ თოჯინებს.

„ჩონჩხების“ ყუთთან ერთად დედას მოჰქონდა ნაირფერი მაუღის ნაჭრებით სავსე უზარმაზარი ფუთა. მრვიმარაგებდით ძაფს, ნემსს, მაკრატელს და დავიწყებდით კაბების კერვას ჩვენი შიშველი თოჯინებისათვის. ზოგს გოგოსავით მოვრთავდით, ზოგს — ბიჭვით, ზოგი ანგელოზი იყო, ზოგიც მეფე და დედოფალი, გამოვაწყობდით სხვადასხვა ეროვნულ ტანისამოსში: ეს რუსი გლეხის ქალიო, ის — შოტლანდიელიო, ის — იტალიელიო. მერედა, რას, რას არ ვიგონებდით დედა, პანა და ბავშვები...

ბოლოს, შობის წინა დღეს ყველაფერი მზად იყო.

— სერგეი, — ბრძანა მამამ, — უთხარი, სამი მარხილი გაამზადონ.

ჩვენ ყურები ვცქვიტეთ.

— მამა, შენ საით?

— სადგურში, სტუმრებს დავხვდები.

— შეიძლება წამოვიდეთ?

— აბა, სად უნდა წამოხვიდეთ, შუალამეზე დავბრუნდებით. დედაც არ წამოვა, — ამან დაგვამშვიდა.

დასაძინებლად გაგვგზავნეს, მაგრამ ძილის წინ ახალი მინაშენის სანახავად წავედით, სწორედ საშობაოდ რომ მოესწრო.

დარბაზი განსაცვიფრებლად დიდებული იყო. ახლად გაპრიალებული პარკეტი სარკესავით ბრწყინავდა. კედელზე ტოლსტოების წინაპართა ძველი სურათები ეკიდა, იაქთაღებში — სარკეები, მათ პირდაპირ — ორი ნავთის ლამბა, შუა ოთახში კი თეთრსუფრაგადაფარებული გრძელი მაგიდა იდგა, ზედ ჭურჭელი ეწყო: სტუმართათვის ცივი ვახშამი გაემზადებინათ.

სხვა ოთახებში საწოლები დაეგოთ ჩამოსულთათვის. დავთვალეთ: შვიდი საწოლი აღმოჩნდა. მაშასადამე, შვიდ კაცს ელოდნენ.

მეტისმეტად აღელვებულნი წავედით დასაძინებლად, ხვალ უამრავი სიხარული და სიამე გველოდა. ხვალაც და მომდევნო დღეებშიც.

მეორე დღეს უთენია გავიღვიძეთ და მთელი დილა გავიტანჯეთ სტუმრების მოლოდინში. ჩვენმა სტუმრებმა კი, დაქანცულნი მგზავრობისა და გვიანი ვახშმის შემდეგ, ჩვეულებრივზე გვიან გაიღვიძეს.

მაგრამ აი, ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდნენ. აგერ, ჩემი ჩასუქებული, კეთილი ნათლია, დიმიტრი ალექსის ძე დიაკოვი, ვისაც მოკლედ „მიკლიკსეიჩს“

ვედახით და მიუხედავად იმისა, რომ მამაზე უფროსია, შენობით ველაპარაკე-
ბით.

იგი მუდამ ხუმრობს, მუდამ მხიარულად არის, ამიტომაც, შეხვედროსთანავე კისერზე ჩამოვეკიდებით და წინასწარ სიცილით ვიხოცებით.

— აბა, ტანია, მეჩვენე, — მეუბნება მე, — წელი ისევ კვერცხვითა გაქვს არა, შუაში სქელი და თავსა და ბოლოს წვრილი?

ნათლიაჩემის ხუმრობაზე მეცინება, მაგრამ ცოტა შეურაცხყოფილი ვარ. ამიტომ მაშინვე მწარედ ვპასუხობ.

— იცი, მიკლიკსეიჩ, — თამამად ვეუბნები, — ამ ცოტა ხნის წინათ ცერათითი დამიჩირქდა, ცხელი საფენები დამადეს და ჩვრით შემიხვიეს. ისეთი სქელი გახდა ჩემი ცერა თითი, რომ მიკლიკსეიჩი შევარქვით.

შემდეგ გამოდის დიმიტრი ალექსის ძის ასული — მაღალი, ლამაზი, ქერაკულულებიანი მაშა, ტანთხელია, მოქნილი, ნაზი... მე იგი გულით მიყვარს და, რაც მთავარია მსიამოვნებს მისი შეხედვა. ამხანაგი ქალი ახლავს, დაბალი, გულკეთილი სოფეშა.

მათთან ერთად ჩამოვიდა ჩვენი ბიძაშვილი, საყვარელი, დაბნეული და აღტაცებული ვარენკა.

დღისით ტულიდან ჩამოვა ჩვენი მეორე ბიძაშვილი — ლიზა, მისი ქმარი ლეონიდ ობოლენსკი და ძმა ნიკოლენკა ტოლსტოი. ლეონიდეც და ნიკოლენკაც ჩვენი დიდი მეგობრები არიან. ლეონიდე მხიარული, კეთილი კაცია, გარდა ამისა დამყოლი ბუნება აქვს, ყველა თხოვნას გვისრულებს ხოლმე.

— ლეონიდე! წამოდი, ციგურებით ვისთალოთ! — ვეძახით ჩვენ.

— აბა, როგორ იქნება! თვითონაც კისერს მოვიტეხ და თქვენც ჩაგიტეხთ ყინულს, — გვეუბნება სქელუა ლეონიდე.

მაგრამ ჩვენ არ ვეშვებით:

— არა, წავიდეთ. ლიზანკაც წამოვა, ვარიაც და მაშაც. სოფეშაც და ნიკოლენკაც...

ბოლოს და ბოლოს, ლეონიდე გვეთანხმება, და ყველანი მივდივართ ტბორისაკენ, სადაც საციგურაო ადგილია მოსუფთაფებული და ხით ნაგები გორაკი დგას, საიდანაც ციგებით მოვსრიალებთ, ზოგი ეცემა, ზოგიც მოუხერხებლად, სასაცილოდ ეშვება, კოტრილობს თოვლში... ჩვენ, ბავშვები, ვცდილობთ გავაკვირვოთ უფროსები: დახეთ, რა გაწაფულები ვართ ციგურებით სრიალში-თქო.

მხიარულნი, ყინვისაგან დაწვებშეფაკლულნი ვბრუნდებით შინ. დარბაზში არ გვიშვებენ. იქ დედა და სტუმრები ნაძვის ხეს რთავენ და მაგიდებზე საჩუქრებს აწყობენ.

ნაძვის ხის, სასიამოვნო ფისის სუნი გვცემს...

ჩვენ დაბლა, მამას ახალ კაბინეტში ვსადილობთ.

უკვე სადილობის დროს გვესმის წინკარში საბატონო და სოფლის ბავშვების ყრიაშული... ისინი ფეხებს აბაკუნებენ, ჩურჩულებენ, ერთმანეთს ჯიკობენ, ეს ხმები ჩვენთვის მოუთმენლობის ექოა, ჩვენც ხომ ასეთივე ცეცხლის ალი გვაქვს მოდებული.

სადღესასწაულო სადილი ჭიანჭურდება. ბოლოს, როგორც იქნა, შევჭამეთ შემწვარი ინდაური და მსახურს შემოაქვს ხონჩაზე დადებული პლუმ-პუდინგი, რომელსაც რომი აქვს ნასხურები და ალი უკიდია, შემომტანს პირისახე

გვერდზე აქვს მიბრუნებული, რომ არ დაეწვას. მე კი შევყურებ ალს და იმედი მაქვს, არ ჩაქრება, ვიდრე პლუმ-პუდინგს ჩემამდე მოიტანენ, ვამაყობთ, რადგან ეს პლუმ-პუდინგი ჩვენი ნამოღვაწევერა წინააღმდეგობით, პანას ხელმძღვანელობით, მოვასწარით ქიშიში და გვერჩია, ნუში გაგვეფცქენა და დაგვენაყა.

როგორც იქნა, სადილი დასრულდა და მალე ავღვინებოქნაწინკარში რომ გავდიოდით, თანაგრძნობით შევცქეროდით ნაცნობ ბაღებს.

აქ არიან მზარეულის ვაჟები: ეგორი და ჩვენი მეგობარი სენია, რომელიც ყოველი წლის ცხრა მარტს ასე საოცარ ტოროლებს გვიკეთებს. აქ არის მრეცხავი ქალის თმახუჭუჭა, შავთვალა, ლამაზი გოგონა ნატაშა, რომელიც აღდგომა დღეს, კვერცხს რომ აგორებს, ამბობს, „рировенькое ряричко“* მინდა გამოვაგორო; აქვე არიან მისი დები ვარია და მაშა — ყველას ჯერ ჩამოვთვლი. ყინვისა და ტყაბუჭების სუნი დგას.

მალე სასტუმრო ოთახში ჩავგვეტეს, დედა და სტუმრები კი დარბაზში გაემართნენ ნაძვის ხის გასაჩირაღდნებლად.

ადგილზე ველარ ვჩერდებით, ხან ერთ კართან მივირბენთ, ხან — მეორესთან, ხან ვცდილობთ ჭუჭრუტანაში ვავიჭყიტოთ, ხანაც გალურსულნი ვუგდებთ ყურს დარბაზიდან გამოსულ ხმებს.

ბოლოს გვესმის კიბეებზე გამაღებული ნაბიჯების თქარათქური, ისეთი ხმაურია, გეგონება, ცხენების რემა მოერეკებიანო.

ისე ვართ აღელვებულნი, მეტი აღარ შეიძლება. მივხვდით, ჩვენზე ადრე გლეხის ბავშვები შეუშვეს — ისინი არბიან მალე. ვიცით, როგორც კი შევლენ დარბაზში, მაშინვე ჩვენც გაგვიღებენ კარს.

ასეც მოხდა. როცა ხმაური კოტა მინელდა, შემოგვესმა დედის ნაბიჯის ხმა — იგი დარბაზიდან სასტუმრო ოთახისაკენ მოემართება. უცებ კარი ფართოდ იღება და ჩვენც შესვლის ნებას გვაძლევენ.

პირველ წუთებში გაოცებულნი ვდგავართ უზარმაზარი ნაძვის ხის წინ. მისი წვერი ლამის ჭერს ებჯინება. უამრავი თაფლის სანთლის შუქზე ერთიანად აელვარებულა, ათასფერად ბრწყინავს ნაირფერი სათამაშოებით მორთულ-მოკაზმული.

ნაძვის ხის ირგვლივ დგანან დიაკოვები, ვარია, ლიზა, ლეონიდე, ჰანა...

— აბა მიდით და თქვენი საჩუქრები ახლოდან ნახეთ, — გვაქეზებს დედა. სათამაშოები ნაძვის ხის ძირას, მაგიდეებზე აწყვია.

ყველაფერს ვათვალიერებთ, ყველაფერი მომწონს. ჯერ ჩემი საჩუქრები ვნახე, შემდეგ — ჩემი ძმებისა. შემდეგ ნაძვის ხეს ირგვლივ რამდენჯერმე შემოვუარე და თვალს ვერ ვაცილებდი სათამაშოებსა და ტკბილეულს. აგერ ჩონჩხა-თოჯინები, მე რომ გამოვაწყვე. აგერ ჩემი გამოჭრილი კალათები თუ სხვა სათამაშოები.

მაგრამ ახალი სათამაშოც რამდენია!

აგერ თაფლაკვერები — ზოგი ლომია, ზოგი — თევზი, ზოგიც — ფისუნია. აგერ უზარმაზარი კამფეტები ბრწყვილა ქალაღებში, ზოგზე წერო მიუმაგრეთ, ზოგზე — მდიდრულ მარმაშის ბუდეებში ჩამსხდარი პეპლები თუ კა ცხოველები... აგერ ძალზე სასაცილო პაწია ბოთლები — ბეკეების,

* აღდგომის კვერცხი (დამახინჯ. რუსული).

გოჭების, ბატების ფორმა რომ აქვთ. შიგ წითელი, ყვითელი და მწვანე ფერის სუნამო ასხია. გოჭებისა და ბეკეკებისათვის საცობები პირში გაუჩრიათ, ბატებისათვის კი — ბოლოებში.

საბატონო და სოფლის ბაღლებიც შორიდან ათვალეობენ ნაძვის ხეზე ჩამოკიდებულ სათამაშოებს და ერთმანეთს უჩვენებენ, მე ის მომეწონა და მე კიდევ — ესო.

მამა? სად არის მამა? თვალებით ვეძებ, რადგან მთელი გულით ვერ განიხარებ თუ მამაც ჩემ გვერდით არ არის.

ჩემი შვიდი წლის გული გაუცნობიერებლად, ბუნდოვნად გრძნობს, რომ ის სიამოვნება, რასაც ახლა განვიცდი, ვერ გამოიწვევს მამაჩემის დიდ თანაგრძნობას. მაგრამ მაინც მას ვეძებ. იგი სადღაც მოშორებით დგას, თავისი უცვლელი რუხი ხალათი აცვია, ხელები ქამარში გაუყრია. ღიმილით შევხედე, მანაც გამიღიმა, კეთილად, შემწყალებდ. არ უთქვამს, მაგრამ მივუხვდი, რასაც გრძნობდა:

„ჩემთვის უფრო სასიამოვნო იქნებოდა, შენ რომ არ განიხარებდეს ეს წვრილმანები და არ გზიზღავდნენ ამ წვრილმანებით. რა გაეწყობა, მე მარტო უძლური ვარ ყველას წინააღმდეგ. მაგრამ მაინც მიხარია, რომ შენ მხიარულობ, იმიტომ, რომ სისხლი და ხორცი ხარ ჩემი და მე შენ მიყვარხარ...“

ჩავჭიდე ხელი მის დიდ, საყვარელ ხელს და თუმცა ვგრძნობდი, არ თანაზიგრძნობდა, მაინც წავიყვანე ჩემი მაგიდისაკენ და ჩემი საჩუქრები ვუჩვენე.

აქ, ბუდეში ღიზასაგან მოძღვნილი ოქროს მედალიონი დევს. დიაკოვებმა ალბათ იფიქრეს, უკვე დიდი გოგონაა, თოჯინა როგორ ვაჩუქოთო, და ჩვეულებრივი „მაშას“ სანაცვლოდ ნამდვილი სპილენძის სამზარეულო ჭურჭელი მაჩუქეს. ამ ჭურჭელში რა კერძსაც გინდა, იმას დაამზადებ. მათვე მაჩუქეს ტყავის მრგვალი სამუშაო კოლოფი, შიგ ყველაფერი აწყვია, ხელსაქმეში რაც გამომადგება: ეს ბაფთებიო, ჩითის ნაჭრებიო, ნემსი და ძაფიო, ქინძისთავეები, მაკრატელი, სათითური და ყველაფერი, რაც კერვაში დამჭირდება. ეს კოლოფი ძალიან მომეწონა. მთელი ცხოვრება ვუფრთხილდებოდი და ახლაც მთელი მაქვს, თუმცა არც დიმიტრი ალექსის ძე, არც მაშა და არც სოფეშა კარგა ხანია აღარ არიან ამქვეყნად...

როცა ყველამ გული იჯერა ნაძვის ხის და თავიანთი საჩუქრების ცქერით, — დედამ, ჰანამ და სტუმრებმა ნაძვის ხიდან ჩონჩხა-თოჯინები, ყირიმული ვაშლები, მოოქრული კაკლები და კამფეტები ჩამოურიგეს ბაღებს. საჩუქრებითა და ტკბილეულით დატვირთული პატარები თავიანთ სახლებში წავიდნენ.

ჩვენ-ჩვენი საჩუქრები ბავშვთა ოთახში შევიტანეთ და კარადებში შევიწინახეთ.

ილიამ სხვა საჩუქრებთან ერთად ფინჯანიც მიიღო, რომელიც ძალიან მოსწონს. ამ ფინჯანს ფრთხილად ხან ერთს მიუბრუნებინებს, ხან — მეორეს, ნახეთ, რა ლამაზიაო. ფინჯანი ორივე ხელით უჭირავს, თვალს არ აცილებს და ასე გადის თავის ოთახში. მაგრამ დარბაზიდან სასტუმროში რომ გადიოდა, კარის ზღურბლთან წაიბორძიკა და თავის ფინჯანიანად იატაკზე გაიშხლართა.

ლამაზი ფაიფურის ფინჯანი ნამსხვრევებად იქცა. ილია ხმამაღლა, გაბმით აღრიალდა.

— ეს... ეს... მე არა... ვარ. დამნაშავე... — ქვითინით ლულულებს ილია,
— ეს სულ არქიტექტორის ბრალია.

გაგონილი ჰქონდა, უფროსები არქიტექტორს რომ კიცხავდნენ, ეს როგორი ზღურბლი გააკეთაო, და ახლა, როცა ფინჯანიც გატეხეს, დე ფედონაც დაეცა. ასე ეგონა, ტკივილი დამიამდებდა, თუკი ჩემს უბედურებას სხვას გადავაბრალებო.

დედამ წამოაყენა და შეეცადა დაემშვიდებინა. უთხრა, არქიტექტორი რა შუაშია, შენა ხარ დამნაშავე, უფრო ფრთხილად უნდა ყოფილიყავიო.

მამა, როგორც ყოველთვის, ყურადღებით გვადევნებდა თვალს. როცა ილიას შენიშნა, თავისი მარცხი სხვისთვის რომ უნდა გადაებრალებინა, კეთილად დასცინა. ილიას კიდევ უფრო ეწყინა და თვალცრემლიანი და გულმოკლული წავიდა დასაძინებლად.

მას აქეთ „არქიტექტორის ბრალია“ ანდაზასავით დამკვიდრდა ჩვენს ოჯახში. და ყოველთვის, როცა საკუთარი შეცდომა სხვისთვის გვინდოდა გადაგვებრალებინა ან შემთხვევისათვის მიგვეწერა, რომელიმე ჩვენთაგანი აუცილებლად ეშმაკურად გაიღიმებდა და იტყოდა, ალბათ არქიტექტორის ბრალიაო.

X XI

ნაძვის ხის შემდეგ, მეორე დღეს მასკარადია დანიშნული. კოსტუმები მზად არის. ისადილებენ თუ არა, ყველანი თავიანთ ოთახებში გარბიან, რომ ტანისამოსი გადაიცვან.

ჩქარობენ, დაგვიანებისა ეშინიათ. დედა ხან ერთ ოთახში შერბის, ხან — მეორეში, ყველას ეხმარება. ბოლო წუთში თვითონაც სასწრაფოდ იხდის თავის ევროპულ კაბას და გლეხის ქალივით ირთვება.

შემდეგ დედა ძია კოსტიასთან გარბის, თხოვს, ფორტეპიანოსთან დაბრძანდით და მარში დაუკარითო.

ყველანი ჯგუფად ვდგავართ დარბაზში, შესასვლელ კართნ, და ველოდებით, შესვლის ნებას როდის მოგვცემენ. დედა წყვილებად გვაყენებს.

თავში ილია და ჩვენთან სტუმრად ჩამოსული პაწია ინგლისელი გოგონა, კეტი, დგანან.

ილიას გოგონას წითელი ქვედა კაბა აცვია, კეტის კი — ტაკიმასხარას კოსტიუმი. მათ მივყვებით მე და სერიოჟა. მე მარკიზი ვარ. პანტალონები, ცისფერი ხიფთანი, თეთრი წინდები და მოკლეყელიანი ფეხსაცმელები მაცვია. თავი დადენდრილი მაქვს. სერიოჟა ჩემი დამაა, იგი მარკიზის ქალივით არის მორთული.

ლიზა გლეხიკაცია, მაშა დიაკოვა — გლეხის ქალი. ვარია — მეორე ტაკიმასხარა და დედა — მეორე გლეხის ქალი.

ყველაზე უკან მოდის კაფანდარა, ძალზე სასაცილო, ნიღბათარებული კუზიანი ბერიკაცია. ზურგზე უზარმაზარი კუზი ადევს, გრძელი ქალარა თმა-წვერი აქვს, ხელში ჯოხი უჭირავს და პაწია ფეხებზე ქოშები აცვია.

ეს სოფეშა გახლავთ.

პირველ წუთებში ერთმანეთს ვაკვირდებით და ვცდილობთ ნიღბოსნები შევიცნოთ, შემდეგ კი ყველანი ცეკვას ვიწყებთ.

ცეკვა არ ვიცით და ამიტომ ადგილს ვტყუებით, მაგრამ გვიხარია და, ალ-
ბათ ასე ვერ გავიხარებდით, ნარნარად რომ ვცეკვავდით. ფორტეპიანოსთან
ერთმანეთს ცვლიან ისინი, ვინც ოდნავ მაინც უკრავს რაიმეს, ცეკვა კი
გრძელდება.

უცებ შევამჩნიე, რომ ცოტა მოვიწყინე, მიმოვიხედე: აღარც მაშინვე და
აღარც მიკლიქსეიჩი. ძია კოსტიაც წასულა. ნიკოლენკაც გაქრა. მოწყენილო-
ბამ ერთიანად დამრია ხელი.

მაგრამ ეს რა ზედახორაა კარებში? მივიხედე: კართან შეჯგუფულ შინა-
მოსამსახურეებში ჯიკავ-ჯიკავით იკვლევენ გზას ვიღაც კაცი, ორი დათვი და
თხა.

მაშინვე ვხვდები, რომ ნამდვილი დათვები არ არიან, კაცებს ჩაუცვამთ
გადმობრუნებული ქურქები, მაგრამ მაინც მეშინია, და როცა რომელიმე მათ-
განი მომიახლოვდება, წივილ-კივილით გავრბივარ. ორივე დათვი თავისთვის
იღრინება, პატრონი კი ამშვიდებს. თხა მეტისმეტად სასაცილოა. აწოწილა, რა-
ღაც ტომარაში გახვეულა. კისერი ჯოხისა აქვს, ჯოხს ბოლოში თავის ნაც-
ვლად ორი პაწია დაფა აქვს მიჭედებული. ეს ორი დაფა ვითომ პირია. თხა
პირს აღებს და კუშავს, რადგან დაფებზე თოკებია გამობმული, რომელსაც
დროდადრო ეწევა ის ადამიანი, თხას რომ განასახიერებს. რატომ უნდა
რქმეოდა თხა, ვერავენ გიპასუხებდათ, მაგრამ იმ ხანებში თვითთულმა ბი-
ჭუკელამ შეუცდომლად იცოდა, რომ ეს „თხა“ იყო, თანაც ძალზე საშიში,
განსაკუთრებით მაშინ, როცა დაფებს ერთმანეთს უტყაპუნებდა.

რა სასაცილო ოინებს არ აკეთებინებს პატრონი თავის ცხოველებს. რაღა
არ წარმოადგინეს, — როგორ იპარავენ ბალები ცერცვს, როგორ კეკლუცობს
მზეთუნახავი სარკით ხელში, კოჭლობით როგორ მიდის გლეხის დედაბერი სა-
ბატონოში ბეგარის მოსახდელად... თანაც პატრონი ისეთ მოსწრებულ არაკებს
ამბობს, რომ მთელი დარბაზი ხარხარებს.

მაგრამ, აი, მუსიკა უფრო ხალისიანად და მხიარულად ყლერს და თხაც,
დათვებიც და პატრონიც ერთად ცეკვავენ. მეტად სასაცილოდ ბუქნავს თხა,
თან დაფებს ატყაპუნებს.

ბავშვები არ ვმონაწილეობთ, მხოლოდ ვუყურებთ და ერთი სული გვაქვს,
შევიცნოთ ნიღბოსნები. გამყოლის ცნობა ძნელი არ არის — ვის აქვს ასე
გამობერილი მუცელი, ან ვინ იცის ასეთი მოსწრებული სიტყვა, თუ არ მიკ-
ლიქსეიჩმა?

— მიკლიქსეიჩ, მიკლიქსეიჩ! — გავყვირით ჩვენ.

— ეს კი მამაა, — ვამბობთ და „თხასთან“ მივდივართ. თურმე მამა უტყა-
პუნებდა დაფებს და ასე სასაცილოდ ცეკვავდა. დათვები კი ძია კოსტია და
ნიკოლენკა ყოფილან. მათ მალე დასცხათ და ტანისამოსის გამოსაცვლელად
წავიდნენ. მალე დაბრუნდნენ ჩვეულებრივად ჩაცმულნი, მარტო ნიკოლენკას
აეშალა ცეკვის საღერღელი და ახლა დედაბერივით გამოეწყო. გაიკეთა კუზი,
ჩაიცვა ქალის კაბა, მოისხა ქალის თავსაბური, სახეზე ჩამოიცვა მეტად სასა-
ცილო და საშიში ნიღაბი, წვეტიანი ცხვირი და პირიდან გამოჩრილი უზარმა-
ზარი ეშვა კბილი რომ ჰქონდა. ასე მორთულ-მოკაზმული შემორბის დარბაზში
და სოფეშას სთხოვს, ერთად ვიცეკვოთ ტრეპაკიო. სოფეშა, ეს კაფანდარა ბე-
რიკაცი, კოტიტა ფეხებზე ქოშები რომ ჩაუცვამს, გაჰყვება და, აი, ორივენი

ისე სასაცილოდ ცეკვავენ, ყველანი სიცილისაგან ჩაბყირებულნი სულს ძლივს ითქვამენ.

ბოლოს ბავშვებს დასაძინებლად გვგზავნიან. ვსხედვართ გაოცდნილი, დაქანცულნი, მაგრამ დაძინება მაინც არ გვსურს... ცოტაც რომ გვეთამაშა და გვეცეკვა... აქ კიდევ გავიგონეთ, რომ ნაფახშმევს „დიღები...“ მათ სადგურში მიდიან დიაკოვების გასაცილებლად. ისინი ამაღამ მსხვერპლებიან. ფანჯარაში ვიხედები. მშვენიერი, მთვარიანი ღამეა. ყინავს. უძრავად დგანან ბებერი დათრთვილული არყის ხეები. ოჰ, როდის გავიზრდები, რომ რაც მომესურვება, ის მოვიმოქმედო! მაგრამ ჰანა მტკიცედ ითხოვს, დასაძინებლად წადითო და ჩვენც ვემშვიდობებით ყველას.

მაშა დიაკოვას განსაკუთრებული სინაზით ვეთხოვები. მან მუხლზე დამისვა და მომეფერა. როდისღა ვნახავ ისევ. რარიგ მსურს მასთან ყოფნა... საცაა ცრემლი მომერევა, მაგრამ აქ მიკლიკსეიჩი რაღაცას ხუმრობს და მე, სერიოჟა, ილია და ჰანა ქვევით ჩავდივართ, თაღებიან ოთახში, სადაც ჭერში რგოლები ჰკიდია. ვგრძნობ, რომ აღარ ვიცი, ვიტყვო თუ ვიცი.

ხვალ ობოლენსკები გაემგზავრებიან, რამდენიმე დღეში კი ვარია და ნიკოლენკაც წავლეს.

შობის დღეების შემდეგ ისევ მეცადინეობა უნდა დაგვეწყო.

მახსოვს, ერთხელ დედა ჩვენს მოსანახულებლად შემოვიდა და სახეზე გამონაყარი შემნიშნა. შეშფოთდა, ტუჩები შუბლზე შემახო, სიცხე ხომ არა გაქვსო, მკითხა, თავი ხომ არ გტკივაო, აბა, ერთი ენა მიჩვენეო.

თავი ცოტათი მტკიოდა და თუმცა ეჭვი შეეპარა, რომ სიცხე მქონდა, ლოგინში მაინც დამაწვინა.

მალე ილიასაც და სერიოჟასაც გამოაყარათ პირისახესა და ხელებზე. სამივენი ვიწვექით.

დედა და ჰანა გვივლიდნენ, მაგრამ ჩვენ ავადმყოფობისა არაფერი გვეცხო. თავის ტკივილმა მალე სულ გამიარა და თუმცა გამონაყარი სახის გარდა, ხელებზეც გამიჩნდა, მაინც არც ერთ ჩვენთაგანს თავი ავადმყოფად არ მიაჩნდა.

ძალიან სასიამოვნო იყო, როცა ჩვეულებრივი რძის ნაცვლად ყოლოს მურაბიან ჩაის გვასმევდნენ. ისიც გვსიამოვნებდა, გაკვეთილებისაგან თავისუფალი რომ ვიყავით. მაგრამ საწოლში კოტრიალი, როცა სირბილი და ციგურებით სრიალი გვეწადა, მაინც გვიძიმდა, ჩვენც ვხტუნავდით საწოლში და ისე ვცელქობდით, ზოგჯერ ჰანას მოთმინება აღარ ჰყოფნიდა.

— ესენი რა ავადმყოფები არიან? — ეუბნებოდა დედას. — სამივენი სრულიად ჯანმრთელად არიან.

— მაშ, გამონაყარი რაღა აქვთ? — ვერ ვაგვო დედას, — სოფელში წითელა-ბატონებია, ალბათ, ამათ სოფლის ბავშვებისაგან გადმოედოთ.

— მაშინ სიცხე უნდა ჰქონდეთ, — არ იჯერებდა ჰანა.

— თქვენ ხომ იცით, ჰანა, რომ ზოგჯერ წითელა სულ იოლად რჩება. ალბათ ბავშვები მსუბუქი ფორმით დაავადდნენ.

ყოველგვარი ეჭვი საბოლოოდ რომ გაქარწყლებულიყო, გადაწყვიტეს, ტულაში კაცი გაეგზავნათ და ჩვენი საყვარელი ექიმი ნიკოლაი ანდრეის ძე კნერცერი ჩამოეყვანათ.

ჩამოვიდა კნერცერი, მოგვესალმა და ჩემს საწოლთან ჩამოჯდა. დახედა

გამონაყარს პირისახესა და ხელებზე, შემდეგ მთელ სხეულზე ეძება ეს გამონაყარი, შუბლი გამისინჯა, მაჯისცემა დამითვალა და ენა მიჩვენეო, მითხრა.

შემდეგ შემომხედა ჯერ სათვალით, შემდეგ სათვალის ზემოდან და შეგნიშნე, რომ თვალბში დამცინავი, ეშმაკური ღიმილი გაუკრთა.

ასევე გასინჯა ჩემი ძმებიც.

— როგორ არის საქმე? — ჰკითხა დედამ.

— ბავშვებს წითელა არა სჭირთ, — თქვა მან ბოლოს, — სიცხე არა აქვთ, თანაც გამონაყარი მხოლოდ პირისახესა და ხელებზე შეინიშნება. ხომ არ მოხვდათ სახეზე რაიმე ისეთი, რამაც ეს გამონაყარი გამოიწვია?

— არ ვიცი, — მიუგო დედამ, შემდეგ ჩვენ გვკითხა, — სახეზე და ხელებზე რაიმე ხომ არ წაგისვამთ?

და უცებ მომაგონდა; ეს სულ იმ შუშის გოჭების, თიკნებისა და ბატების სუნამოს ბრალია; ჩვენ ხომ ამ სუნამოს პირისახესა და ხელებზე ვისხამდით.

ბალიშებზე თავდაყირა დავდექი, ფეხებს მალლა ვაქნევდი და გულიანად ვკისკისებდი.

— რა დაგემაართა? — მკითხა დედამ.

— ეს ბატების ბრალია, — ვიყვირე მე, — და კიდევ გოჭების ბრალია, და კიდევ თიკნების ბრალია! წიწილების ბრალია!

ბიჭებმა გამიგეს და მათაც ყვირილი მორთეს.

— ეს ბატების ბრალია! გოჭების ბრალია, თიკნების ბრალია!

ქნერცერი ხან ერთს შემოგვხედავდა, ხან მეორეს და ხან მესამეს, ხომ არ გაგიქდნენო.

როცა გავაგებინეთ, რაც მოხდა, გვიბრძანა, სუნამო ნარეცხის ქვაბში გადაგვეღვარა. ადგომისა და ჩაცმის ნება მოგვცეს.

ლოგინში კოტრიალი უკვე მობეზრებული გვქონდა და ხალისით დავეთანხმეთ.

გოჭებისა და თიკნების ღრუნჩებიდან, ბატების ბოლოებიდან გამოვღვართ ფერადოვანი, შხამიანი სუნამო. გული არ დავწყვეტია, ჩავიცვით და ჩვეულებისამებრ განვაგრძეთ ცხოვრება.

XXIII

გაკვეთილების გარდა იანვრიდან მეტად საინტერესო საქმე მოგვემატა. ოთხი „საკითხავი წიგნი“ და „ანბანი“ რომ დაწერა, მამამ მოინდომა საქმეში გამოეცადა ისინი და ისევ მოჰკიდა ხელი ცხოვრებაში მისთვის ყველაზე საყვარელ საქმეს — გლეხის შვილების სწავლებას. ჯერ ისევ ქორწინებამდე ასწავლიდა მამა ანბანს გლეხის ბავშვებს. სკოლის შენობისათვის ორსართულიანი ფლიგელი დაიკავა, მოიწვია პედაგოგები, გამოსცემდა პედაგოგიურ ჟურნალ „იასნაია პოლიანას“. 1865 წლის მაისში იგი სწერდა ფეტს: „იმედი მაქვს, ყოველივე ამის შემდგომ შევადგინო წიგნები იმ დასკვნების საფუძველზე, რაც ამ საქმიდან გამოვიტანე სამი წლის გატაცებული შრომის შედეგად“.

სერიოზულ და მე კითხვა ვიცოდით: თუმცა არცთუ მთლად უშეცდომოდ, მაგრამ მაინც საკმაოდ რიგიანად ვწერდით. ექვსი წლის ილია კი ძლივს კითხუ-

ლობდა და ძალიან ცუდად წერდა. მაგრამ მაინც გამოაცხადა, ბავშვებს „ვასწავლიო“. მამა დაეთანხმა და აი, მეცადინეობაც დაიწყო.

სკოლისათვის ორ საათზე ცოტა მეტი დრო იყო განკუთვნილი როგორც კი ვისადილებდით, ანუ საღამოს ექვსი საათი დაიწყებოდა, მეცადინეობა იწყებოდა და მანამდე გრძელდებოდა, სანამ ჩვენი დაძინების უწყობა ვაძლევდა.

მამა უფროს ბიჭებს თავის კაბინეტში ასწავლიდა. დედა ~~მეცადინეობას~~ მეორე ოთახში, ჩვენ სამივენი კი წინკარში იმ ბავშვებს ვამეცადინებდით, რომლებმაც ანი და ბანი არ იცოდნენ. კედელზე უზარმაზარ მუყაოს ქაღალდზე ჩამოწერილი ანბანი ეკიდა. პატარა ბუთხუზა ილია ამ ანბანთან იდგა, ხელში ჯოხი ეჭირა და თავისნაირ პატარებს ასწავლიდა. ძალიან მკაცრი იყო და მახსოვს, ერთხელ ასეთ საუბარს მოვკარი ყური.

ილია რომელიღაც ბიჭუნას ასო „ა“-ს აჩვენებს და ეკითხება:

— ეს რა ასოა?

— არ ვიცი, — უპასუხებს ბიჭუნა.

— არ იცი?! მაშ, დამეკარგე აქედან!

შემდეგ მეორე გამოიძახა:

— ეს რა ასოა?

— არ ვიცი.

— შენც არ იცი? დამეკარგე აქედან!

ასე გამოსცადა ყველა დამწყები, იფიქრა, ყველაზე სულელი მოწაფეები მე შემომჩიჩესო.

დროთა განმავლობაში ჩვენთან გაჩნდა „მოსეირნეთა“ კლასი. ეს ის ბავშვები იყვნენ, რომლებსაც არ სურდათ ან არ შეეძლოთ სწავლა. მათ ნებადართული ჰქონდათ ყოველ კლასში შესულიყვნენ და მოესმინათ, ოღონდ იმ პირობით, რომ არავისთვის ხელი არ უნდა შეეშალათ. ეს „მოსეირნენი“ ხშირად იმ მოწაფეებზე ნაკლებად როდი სწავლობდნენ ასოების ამოკითხვას, რომლებიც კლასებში იხდნენ.

ჩვენ ბავშვებს დიდად დავუმეგობრდით. მათ ჩვენთვის ზოგჯერ შინ ნაკეთი სათამაშოები მოჰქონდათ, ზოგჯერ ხშიადი და სხვა სასუსნავი.

ყველანი ხალისით ვასწავლიდით ბავშვებს, რადგან ისინი ყოჩაღები და სწავლას მოწყურებულნი იყვნენ.

1872 წლის 2 თებერვალს დედა ატყობინებს თავის დას, კუზმინსკაიას, ქუთაისში:

„გადავწყვიტეთ ნაღდესასწაულევს სკოლა გაგვეხსნა და ახლა ყოველდღე, ნასადილევს, მოდის ასე 35 ბავშვი და ჩვენც ვასწავლით. ვასწავლით მეც, ლევიც, სეროჟაც, ტანიაც, ძია კოსტიაც. ძალიან ძნელია ათ კაცს ერთად აუხსნა, მაგრამ სანაცვლოდ საკმაო მხიარულებასა და სიამოვნებას გვანიჭებს. მოწაფეები გავინაწილეთ: მე რვა გოგონა და ორი ბიჭი ავიყვანე, ტანია და სეროჟა საკმაოდ რიგიანად ასწავლიან, ერთ კვირაში ყველამ შეისწავლა ანბანი და ჩამარცვლით კითხვა. განა შეგიძლია არ ასწავლო წერა-კითხვა, როცა ყველანი ასე გულით არიან მოწადინებულნი; გაგიკვირდება, ისეთი სიამოვნებითა და ხალისით სწავლობენ“.

„ჩვენთან სკოლა ისევ გრძელდება, — წერს დედა მარტში, — საქმე კარგად მიდის... ყოველ საღამოს უამრავი ხალხი იკრიბება, არის ერთი აურზაური, ხმამაღალი კითხვა, მოყოლა, ზოგჯერ თავბრუ მეხვევა“.

მარტის თვეში დაწერილ სხვა წერილში იგი წერს: „ჩვენთან მეტადი-
ნეობა ისევ გრძელდება. საქმე კარგად მიდის. გლეხის გოგო-ბიჭებს ჩვენი ბავ-
შეებისათვის ათასნაირი სათამაშო მოაქვთ: ხან ხისგან გამოჩორქნილნი დას-
ბი, ხან შავი პურის ფქვილისაგან გამომცხვარი ტოროლები. შემცოდნიანსა
შემდეგ ტანიას ხელში ატატებულს დაატარებენ. ზოგჯერ მეტისმეტად ცელ-
ქობენ, მაგრამ თითქმის ყველამ ისწავლა ჩამარცვლით კითხვა“.

იმთვე ხანებში მამა სწერდა ფეტს:

1872 წლის თებერვალი: „...მთელი ზამთარი ახალი მინაშენით ვსარგებ-
ლობთ. სიახლე კიდევ ის არის, რომ ისევ გავხსენი სკოლა. ცოლიც და ბავ-
შეებიც, ერთი სიტყვით, ყველანი, ვასწავლით და ყველანი ფრიად კმაყოფილ-
ნი ვართ“...

ზამთრის მიწურულს საგრძნობი გახდა, რომ დედა ცოტა უკვე დაღალა
ამ სკოლამ. აპრილში იგი წერილს სწერს თავის დას: „ყოველ დილით საკუ-
თარ შვილებს ვასწავლი, ყოველდღე, ნასადილეც, სკოლა იკრიბება. სწავლება
მიჭირს, თავის დანებება კი მენანება. ისე კარგად მიდის საქმე, ყველანი კით-
ხულობენ და წერენ; ვერ ვიტყვი, რომ ძალიან კარგად, მაგრამ რიგიანად. კი-
დეც ცოტა ხანი რომ ვასწავლოთ, მთელი ცხოვრება არ დაავიწყდებათ“.

ზაფხულში სკოლა დავითხოვეთ და მომდევნო წელს აღარ განახლებულა.

ზამთარში ჰანა ისევ ავად შეიქნა. ეს ამბავი ძალიან აწუხებდათ და აღარ-
დებდათ ჩემს მშობლებს. გარდა ამისა, ჰანა ზედიზედ ერთმანეთზე უფრო
გულისმომკვლელ ამბებს იგებდა.

ჯერ ისევ ზაფხულში შეიტყო, რომ გარდაიცვალა მისი საყვარელი უფ-
როსი და, დარჩა ორი პატარა გოგონა მამის ანაბარა. შემდეგ, ზამთარში მოს-
წერეს, მამაშენი მძიმედ არის ავადო. ჰანამ არ იცოდა რა ელონა, ემზადებოდა
ინგლისში გასამგზავრებლად, მაგრამ ახალ ამბებს ელოდებოდა.

დედამ ეს ამბავი რამდენჯერმე მისწერა თავის დას ქუთაისში. „ჰანა გა-
სამგზავრებლად ემზადება, ავადმყოფობს, გახდა, მოწყენილია... სერიოზულ სამ-
ჯერ იტირა... ვშიშობ, რომ ბავშვები იღარდებენ, როცა გაემგზავრება. მეც
ძალიან ვდარდობ, მისი სახით განა მხოლოდ ჩემი ბავშვების მშვენიერ ძიძას
ვკარგავ, არამედ მეგობარსაც“...

მალე მოვიდა ჰანას მამის გარდაცვალების ამბავი.

ძალიან ტიროდა და დარდობდა ჰანა, ჩვენც ვინაწილებდით მის მწუხა-
რებას და მწარედ დავტიროდით ჩვენთვის უცნობ, მაგრამ მისი ქალიშვილის
გამო საყვარელ ვინძორელ მეზალეს. შემდეგ სხვა წერილებიც მოვიდა ინგლი-
სიდან, რომლებმაც კიდევ გაგვაოგნა და თან გულისწყრომითაც აგვაავსო. ჰანას
გარდაცვლილი დის ქმარი სთხოვდა მას, ჩასულიყო ინგლისში და ცოლად გა-
ჰყოლოდა. ჰანას ნათესავები წერილობით ცდილობდნენ მის დაყოლიებას, რომ
დათანხმებულიყო და ორი პაწია ობლისათვის დედობა გაეწია.

ჰანა შეყოყმანდა... მთელი გულით მიყვარდა და ამიტომ ვგრძნობდი,
რაც ტრიალებდა მის გულში, მივუხვდი, რომ უკვე ორჭოფობდა და ამან თავ-
ზარი დამცა, სასოწარკვეთილებამ შემიბყრო.

ნუთუ მიგვატოვებს? ნუთუ ასე გვატყენს გულს? ჩვენ ხომ ისე გვიყვარს,
უიმისოდ ცხოვრება ვერც წარმოგვიდგენია? ნუთუ ჩვენმა სიყვარულმა არ
უნდა შეაჩეროს? ნუთუ შეიძლება, რომ მან, ესოდენ საყვარელმა, ჰაერივით
აუცილებელმა, ხელის ერთი დაკვრით დაწყვიტოს სიყვარულის ბორკილი?

მიყვარხართო, რომ გვეუბნებოდა — და მთელი მისი ცხოვრება ამის/დასტურია, — ნუთუ ეს ქალი ამას ჩაიდენს?!

ყოველივე ამას უფრო ვგრძნობდი, ვიდრე ვფიქრობდებოდი. „ნუთუ, ნუთუ ამას გააკეთებს?“ — დღე და ღამ ვეკითხებოდი საკუთარ თავს.

მაგრამ ჰანამ შეგვიბრალა. მანაც ჩვენსავით იგრძნო, რომ ჩვენი სიყვარულის ხელყოფა შეუძლებელია, არა აქვს უფლება, რომ მთელი სიცოცხლე, სიკვდილამდე არის გადაჯაჭვული ჩვენთან ამ სიყვარულით.

ჰანა დარჩა.

მაგრამ გადატანილმა სულიერმა ჭიდილმა შეარყია მისი ჯანმრთელობა, და ჰანაც დღითიდღე უფრო და უფრო ცუდად ხდებოდა.

XXV

იმ ზაფხულს სამარაში, ველად გაშლილ ჩვენეულ მამულში ვაპირებდით წასვლას, რათა მამასა და ჰანას იქ კუზმისი ესვათ და გამოჯანსაღებულიყვნენ.

მაგრამ სხვადასხვა მიზეზმა ხელი შეგვიშალა.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ სამარის მამულში არ იყო საცხოვრებლად ვარგისი შენობა ისეთი დიდი ოჯახისათვის, როგორც ჩვენი ოჯახი გახლდათ.

გადაწყვიტეს ერთი წლით გადაედოთ გამგზავრება; ცოტა ხნით მარტო მამა ჩავიდოდა ზაფხულის ბოლოს.

დედამ წერილი მისწერა თავის დას ტ. ა. კუზმინსკაიას, ემუდარებოდა მთელი ოჯახით ჩასულიყო ქუთაისიდან იასნაია პოლიანაში.

დეიდა ტანია დაეთანხმა და არ შეუშინდა სამი პაწია ბაღლით კავკასიიდან ტულის გუბერნიამდე მგზავრობას.

თბილისიდან ვლადივოსტოკამდე ცხენით უნდა ემგზავრათ. დეიდა ტანია ახალგაზრდა იყო, ენერგიული და, რაც მთავარია, ძალიან უყვარდა იასნაია პოლიანა და მისი ბინადარნი.

და აი, ისიც დაადგა გრძელსა და მომქანცველ გზას.

დეიდა ტანია დედაჩემის უმცროსი დაა. მთელი ცხოვრება მეგობრობდნენ და დეიდა ტანია, როცა კი შეეძლო, ხშირად ჩამოდიოდა იასნაია პოლიანაში.

ქალიშვილობაშიც ჩამოდიოდა, ხოლო შემდეგ, როცა გათხოვდა თავის დეიდაშვილ ა. კუზმინსკიზე, ზაფხულობით ქმრითა და ბავშვებით გვეწვეოდა ხოლმე.

პირველ ხანებში დეიდა ტანია ტულაში ცხოვრობდა. იქიდან იასნაია პოლიანაში ჩამოსვლა ძნელი საქმე არ იყო და ამიტომაც ყოველწლიურად, ადრეიან გაზაფხულზე გადმოჰყავდა თავისი ოჯახი და შინამოსამსახურე, ფლიგელში დაბინავდებოდა და მთელ ზაფხულს იქ ატარებდა.

1871 წელს ბიძაჩემი კავკასიაში გადაიყვანეს, თბილისში, და ის ზაფხული კუზმინსკებმა კავკასიაში გაატარეს, იასნაიაში არ ჩამოსულან, რადგან შეეშინდათ, ბავშვები ასე შორ გზაზე როგორ წამოვიყვანოთო.

ამ ამბავმა მეტისმეტად დაგვწყვიტა გული — დედასაც და ბავშვებსაც.

მაგრამ 1872 წლის ზაფხულში დეიდა ტანია ჩამოსვლა გადაწყვიტა. ბავშვები უკვე წამოიზარდნენ, ისე საშიში აღარ იყო მათი მკვავრობა. ესეც არ იცოდა, რომ ჩამოსვლით უდიდეს სიხარულს მოგვანიჭებდა. ყველანი ალღევებულნი, გულისფანცქალითა და სიხარულით ველოდით, როდის ჩამოვინდობნენ.

ჩვენთვის, ბავშვებისათვის კუზმინსკების ჩამობრძანება იმას ნიშნავდა, რომ იწყებოდა ხანგრძლივი დღესასწაული.

ზამთრობით მეცადინეობა არ გვიტოვებდა. მაგრამ გამოზაფხულდებოდა თუ არა, უკვე დაღლილობას ვგრძნობდით. და როცა უთენია გაზაფხულის კაშკაშა მზე დაგვნათობდა, სახლის წინ მინდორი მწვანედ ბიბინებდა, გამოჩნდებოდა პირველი ყვავილები, ჩიტები ხმამაღლა ეღურტულებდნენ და ტიკტიკებდნენ, უკვე ძნელი იყო ფორტეპიანოსთან გამების ზეპირობა ან მაგიდასთან მშვიდად ყოფნა და ფრანგული ზმნების უღლება.

გული საყვარელი ტყეებისაკენ მიგიწევდა, იასნაია პოლიანას გარშემო რომ ერთყა, ბავშვების ჯანსაღი სხეული უფრო მეტ მოძრაობას ითხოვდა, ხოლო ფილტვები — სუფთა ჰაერს...

იმჟამად სახელგანთქმულმა ექიმმა ზახარინმა, მამაჩემის კარგმა ნაცნობმა, ჩემს მშობლებს ურჩია, ზაფხულობით, თუნდაც მცირე ხნით მთლიანად გავენთავისუფლებინეთ გაკვეთილებისაგან. ეს რჩევა მათ ყურად იღეს და ყოველ ზაფხულს, ექვსი კვირის განმავლობაში, სავსებით მოწყვეტილი ვიყავით გონებრივ სამუშაოს.

ექვსი კვირა წიგნს ხელს არ ვკიდებდით და დროს უმეტეს ნაწილს ეზოში ვატარებდით, ვაგროვებდით სოკოებსა და კენკრას, ვბანაობდით ჩვენს ანკარა პატარა მდინარე ვორონკაში, ხან ცხენებზე შევსხდებოდით, ხან ეტლით გავისეირნებდით, თვალს ვადევნებდით ფრინველების, პეპლების, ჭიანჭველებისა და სხვა სულდგმულთა ცხოვრებას.

ვფიქრობ, რომ უქმე დღეების განმავლობაში იმაზე ნაკლებ ცოდნას როდი ვიძენდით, ვიდრე წიგნებიდან უნდა შეგვეძინა.

როგორც კი მაისი დადგა, დედაჩემი „კუზმინსკების სახლის“ (ასე ვეძახდით ფლიგელს) კეთილმოწყობას შეუდგა.

ამ წელიწადს ყველანი განსაკუთრებული სიამოვნებით ველოდით კუზმინსკების ჩამოსვლას. მათი ჩამოსვლის დღეს ტულაში ოთხცხენიანი ეტლი და უამრავი საზიდარი გაგზავნეს.

გულათრთოლებულები მთელი დღე ადგილს ვერ ვპოულობდით, ხან ერთ ღანჯარასთან მივირბენდით, ხან — მეორესთან, ყურს ვუგდებდით გზაზე ბორბლების ხმაურს.

ბოლოს გაისმა რესტორიანი ეკიპაჟის რწევა.

ყველანი გავფაციცდით, ფანჯრიდან გავხედეთ არყის ხეების ხეივანს.

დიახ! მოდიან! აი, არყის ხეებს შორის გამოკრთა შავი ცხენები... აი, ეტლიც, აგერ რამდენიმე ადამიანის სახეც გამოჩნდა — ბებრის, ახალგაზრდის, ბავშვებისა.

სერიოჟა, ილია და მე ბზრიალ-ტრიალით ჩავცვივდით კიბეზე და გავფრინდით ფლიგელისაკენ, რომელსაც ეტლი უახლოვდებოდა. დედა უკვე იქ არის.

დიახ, ჩვენები არიან. აი, თვალწარმტაცი, მშვენიერი დეიდა ტანია, მომლიმარე, ალერსიანი. აი, მისი უფროსი ქალიშვილი დაშა, რომელიც ჩემკენ

ეშურება და ყელზე მეხვევა. ლამის შევქამოთ ერთმანეთი, ისე ვეკვრათ ერთმანეთს ლოყებით, მაგრამ აი, უკნიდან პაწია მაშა მოგვეახლა, ფეხისწვერებზე შემდგარი ცდილობს მომეხვიოს.

შემდეგ ეტლიდან გადმოჰყავთ ჩვილი, ძუძუთა ბალლი ვერა-ნიქოლიჩა ბოლოს გადმოფორთხდა თეთრი, ფაშფაშა ტრიფონოვნა, კუზმინსკების ძველი მზარეული.

პირველ წუთებში ერთმანეთს ლაპარაკს არ ვაცლიდით. შემდეგ ბალები ტანსაცმელს იცვლიან და ყველანი ბარგის დასალაგებლად მივდივართ. მე დაშას ვეხმარები თავისი ნივთების გადმოწყობაში და, თანაც, გზადაგზა ვათვალიერებ მას.

ჩამოსვლის დღეს კუზმინსკები ჩვენსა სადილობენ, მაგრამ მეორე დღესვე ტრიფონოვნა ხელებდაკაპიწებულნი ამზადებს კერძებს კუზმინსკების სამზარეულოში.

ბავშვებს, საერთოდ, ძალიან გვიყვარს სხვაგან სადილობა. ამიტომაც, ყველა ბავშვი ერთ სახლში რომ არ შევკრებილიყავით, ჩვენმა მშობლებმა ნება მოგვცეს ასე მოვქცეულიყავით: თუ დაშა ჩვენთან ისადილებდა, მაშინ რომელიმე ჩვენთაგანი კუზმინსკებს ეწვეოდა სადილად.

კვირაში ერთხელ, კვირადღეობით, კუზმინსკებს, ყველას „დიდ“ სახლში იწვევდნენ სადილად.

ამ ზაფხულში მე განსაკუთრებით შევიყვარე ჩემი კარგი, შავთვალა დეიდაშვილი დაშა.

თუმც იგი ორი-სამი წლით ჩემზე უმცროსი იყო, ეს ხელს არ გვიშლიდა გულითადი მეგობრები ვყოფილიყავით.

ზაფხული უფრო სახალისო შეიქნა ჩვენთვის.

ჰანამ ცოტა მოიკეთა და გამზიარულდა. სოკოებისა და კენკრის შეგროვება, საბანაოდ სიარული კუზმინსკებთან ერთად უფრო სახალისო გახდა.

შეაბამენ ცხენებს ეტლში, ჩვენში „საგორავს“ რომ ეძახიან, და ყველანი ანკარა, გრილ ვორონკაში საბანაოდ მივეშურებით. იქ საცურაოა მოწყობილი, საცურაოში ყუთია გაკეთებული ბავშვებისათვის. ხშირად დაგვყვება ხოლმე დეიდა ტანიას მზარეული ქალი ტრიფონოვნა, რომელიც ძალიან გვიყვარს, ფაშფაშა, თეთრი, სუფთა ქალია, თეთრი თავსაფარი ახურავს, თეთრი წინსაფარი აუფარებია.

— აბა, ტრიფონოვნა! — ვუყვირით ჩვენ, — ჯერ თქვენ ჩადით, წყალი გაგვითბეთ.

და ჩვენც გვჯერა, რომ მისი ქათქათა, დიდი ტანი, მუდამ თბილი სამზარეულოში ყოფნისაგან, წყალს მართლა გაგვითბობს.

ივნისში ჩვენი ოჯახი გაიზარდა. ამ ქვეყანაზე გაჩნდა დიდი, ჯანსაღი ბიჭუნა, პეტრე დაარქვეს. ჩვენ უკვე ექვსნი ვიყავით. ამ ამბიდან ერთი თვის თავზე მაშა სამარაში გაემგზავრა... იქ ცოტა ხანი დაჰყო, აგვისტოში დაბრუნდა. მალე კუზმინსკებიც გაემზადნენ უკან, კავკასიაში გასაბრუნებლად.

ზაფხულის მიწურულს ჰანას ჯანმრთელობა ისევ შეერყა. ჩემმა მშობლებმა აღარ იცოდნენ, რა ეღონათ...

ბოლოს ასე გადაწყვიტეს: ჰანა კუზმინსკებთან ერთად უნდა გამგზავრე-

ბულიყო ქუთაისში, ზამთარი იქ გაეტარებინა, იქნებ კარგ ჰავას ხელი შეეწყო და გამოჯანსაღებულყო.

ჰანა უსაქმურობას ვერ იტანდა, — არც ისე ავად ვარ, მუშაობა ვერ შევძლო, ამიტომ დაშა და მაშა კუზმინსკების აღზრდა ითავა.

არ ვიცი, რას ვუპასუხებდი, რომ შემკითხოდნენ. თუმცა ვინმე უთქმელ ტკივილს მაყენებდა, ჰანასთან განშორება, მაინც ვგრძნობდი, რომ იგი თავის საკეთილდღეოდ მიემგზავრებოდა, ამიტომ ვერ შევაჩერებდი. ნუგეშად ისლა მჩრჩებოდა, რომ მხოლოდ ამ ზამთარს გაატარებდა იქ და ზაფხულში ისევ ვნახავდით სამარაში, სადაც, შეთანხმებისამებრ, მაისში უნდა ჩავსულიყავით ყველანი.

როგორ დავშორდით ერთმანეთს, როგორ დავემშვიდობეთ — ეს ჩემს მეხსიერებას არ შემორჩენია.

მახსოვს მხოლოდ ის, რომ დაიწყო სასოწარკვეთის დღეები. ვერაფერს დავუღე გული, ყველაფერი მოსაწყენი და უაზრო მეჩვენებოდა. სახლი დაცარიელებულიყო — ასე მეგონა, ქარის სათარეშო გახდა-მეთქი... სალამობით თვალცრემლიანი ვწვებოდი დასაძინებლად. დილით ადგომა მეზარებოდა, — რისთვის უნდა ავდგე? სულ ერთია, ყველაფერმა დაკარგა ყოველგვარი აზრი და ყოველგვარი სიხარული.

მამას ვერ მიეკარები, როცა წერს. სადილზე კი ჩუმად ზის, დინჯად. ამ ზამთარს მაინც განსაკუთრებით პირქუში შეიქნა. ყური მოვკარი „უფროსები“ რომ ლაპარაკობდნენ, დიდი რომანის წერა დაიწყო, პეტრე პირველის დროის ამბებზე, და რაღაც არ გამოდისო... (1873 წლის 12 იანვარს იგი სწერდა თავის ნაცნობ პ. დ. გოლოხვასტოვს: „მთელი ზამთარი ძალზე მძიმე, არანორმალურ მდგომარეობაში ვარ. ვწვალობ, ვღელავ, თავზარი მეცემა, როცა წარმოვიდგენ რა მელის, სასო წარმეკვეთება, კვლავ იმედი მომეცემა და მერე ვრწმუნდები, რომ ტანჯვის მეტს ვერას გამოვრჩები... საკუთარი თავი ისე მეზიზღება, რომ სხვებისთვის ალბათ აუტანელი ვიქნები...“) ამას გარდა, სახალხო განათლების საქმით არის დაკავებული და სულ ამაზე ლაპარაკობს.

მე კი ეს საქმე აღარ მაინტერესებს. მე ჰანაზე მინდა ვილაპარაკო...

ღედასთან მივალ — პაწია პეტრის ძუძუს აწოვებს, მაგრამ ჰანაზე ან კუზმინსკებზე თუ დაგცდა სიტყვა, მაშინვე ცრემლი ერევა... უკეთესია, ხმა არ გავიღო.

შეხვალ მაშიდა ტატიანა ალექსანდრეს ასულთან... სიჩუმეა, იქაურობა ჩაბნელებულია. ზის მისი მესუფრია ნატალია პეტრეს ასული და შიშინებს: „ჩუ...ჩუ... ტატიანა ალექსანდრეს ასულმა დაიძინა...“

ვამჩნევ, რომ ამ ბოლო დროს იგი ხშირად თვლემს. როცა არ სძინავს, უწინდებურად კეთილი და მოსიყვარულეა, მაგრამ როგორღაც უფრო და უფრო ნაკლებ აინტერესებს გარე ცხოვრება, ბევრი რამ აღარ ახსოვს!

მერე მალლა ავდივარ, დარბაზში. ფანჯარაში ვიხედები: წვრილად ცრის შემოდგომის წვიმა.

რით შევამოკლო გაუთავებელი, ნაღვლიანი დღე?

ჩემმა დეიდამ, ლიუბოვ ალექსანდრეს ასულმა ბერსმა, პეტერბურგში რომ ცხოვრობდა, თითქოს შორიდან შეიგრძნო ჩვენი მწუხარება, შეგვიბრალა და უცებ, სრულიად მოულოდნელად ჩამოვიდა იასნაია პოლიანაში.

მისმა ჩამოსვლამ მე და დედა მეტისმეტად გვანუგეშა.

ვიდრე დიდდა იასნაიაში იყო, ერთ ნაბიჯზე არ ვშორდებოდი, მის გვერდით მეძინა, ღლისით კი მამეცადინებდა: მერე ერთად ვსეირნობდით.

თითქოს ბუნებამაც მოწყალე თვალთ გადმოგვხედა და ოქტომბრის მიწურულს ისეთი საუცხოო მზიანი დღეები გვაჩუქა, რომ ვეფხვივითაც შეცდნენ, ისევ ზაფხული დადგაო, და მეორედ აყვავდნენ...

28 ოქტომბერს დედა სწერდა დეიდა ტანიას:

„საოცრად კარგი ამინდია, გუშინ ახლახან გაშლილი შინდვრის ყვავილები-საგან უზარმაზარი თაიგული შეევკარით: სამყურაო, ვუყვარვარ თუ არ ვუყვარვარო, ღლისფერი ღიღილოებით და სხვები. ასეთი სასწაული არავის ახსოვს...“

დიდდა იასნაიაში დიდხანს არ გაჩერებულა. მაგრამ იგი დაგვეხმარა, როგორღაც გადაგვეტანა ყველაზე მძიმე დღეები...

ჰანა გაემგზავრა და დამთავრდა ჩემი ბედნიერი ბავშვობა.

სამუდამოდ წავიდა ჟამი უზრუნველობისა, უფროსების ნდობისა, ყველასი და ყველაფრის წმინდა სიყვარულისა, — ცხოვრების ეს ხანა ხომ ამით არის გამორჩეული.

მეცხრე წელიწადში გადავდექი და ბავშვობიდან ყრმობაში გადავდგი ფეხი.

ცხოვრებაში ბავშვობის შემდგომაც მქონია მრავალი კარგი და ბედნიერი წუთები, მაგრამ ის სინათლე სულისა და სიმშვიდე გულისა, რასაც ვგრძნობდი მაშინ, როცა ჰანასთან ერთად ვცხოვრობდი თალებიან ბავშვთა ოთახში არასოდეს განმეორებულა.

ბანია ტოლსტაიას ყრმობა

I თავი

1873 წელს ბავშვები ექვსნი ვიყავით: უფროსი, სერიოჟა, ათი წლისა იყო, მე მეცხრე წელიწადში გადავდექი, პეტრას, ნაბოლარას, ზაფხულში უნდა შესრულებოდა წელიწადი.

აი, როგორ აღუწერს ჩვენს თავს მამაჩემი თავის ნათესავს გრაფინია ალექსანდრა ანდრეის ასულ ტოლსტაიას: „უფროსი ქერათმიანია — გონჯი არ არის. გამომეტყველებაში აქვს რაღაც ნაზი, მომთმენი და ფრიად უწყინარი, როცა იცინის, გადამდები სიცილი არ იცის, მაგრამ როცა ტირის, თავს ძლივს ვიკავებ, რომ მეც არ ავტირდე. ყველანი ამბობენ, რომ ჩემს უფროს ძმას ჰგავს. ვერ დამიჯერებია. ეს მეტისმეტად კარგი იქნებოდა. ჩემი ძმის მთავარი თვისება იყო — არა პატივმოყვარეობა და არა თავგანწირვა, არამედ ზომიერება. თავი არავისთვის შეუწირავს, მაგრამ არასდროს არავისათვის არათუ რამე დაუშავებია, ხელიც კი არ შეუშლია. თავის გულში ხარობდა და იტანჯებოდა კიდევ. სერიოჟა ჭკვიანი ბავშვია, მათემატიკური ნიჭი აქვს და ხელოვნებაშიც აღლოიანია, სწავლობს მშვენივრად, მარჯვედ ხტუნავს, ტანვარჯიში ემარჯვება, მაგრამ gauche* და დაბნეულია.

* მოუხერხებელი (ფრანგ.).

...ილია მესამეა. ავად არასოდეს გამხდარა. ძვალმსხვილია, თეთრი, ღო-
ყებწითელი, გაბრწყინებული. ცუდად სწავლობს. მუდამ იმაზე ფიქრობს, რა-
ზედაც ფიქრს უკრძალავენ. თამაშობებს თვითონ იგონებს ხოლმე, თუცა
და violent* მაშინვე ჩხუბს იწყებს. მაგრამ ნაზიც არის და ძალზე მგრძობ-
ბიარე. მიწიერ სიტკბოებასაც ეტანება — უყვარს კარგად ჭამა და მშვიდად
მოსვენება... ყველაფერში თვითმყოფელია. როცა ტირის, და ბრაზი ერევა,
უსიამო სანახავია, მაგრამ როცა იცინის, ყველანი მასთან ერთად იცინიან.

...ზაფხულობით საბანაოდ დავდიოდით: სერიოჟა ცხენზე ამხედრდებოდა,
ილიას კი მე დავისვამდი ხოლმე უნაგირზე.

გამოვედი დილით — ორივენი მელოდებიან. ილიას შლაპა ახურავს, ზე-
წარი უჭირავს ხელში, ერთთავად ბრწყინავს, ისეა მოწესრიგებული, სერიოჟამ
საიდანღაც მოირბინა, სუნთქვა ეკვრის, უქუდოდ არის. „მონახე ქუდი, თორემ
არ წაგიყვან“. სერიოჟა ხან აქეთ ეცა, ხან — იქით, არსად არის ქუდი. „რას
იზამ, უქუდოდ არ წაგიყვან, გაკვეთილად გამოგადგება, სულ მუდამ რაღაც
გეკარგება“. სერიოჟა საცაა ატირდება. მივემგზავრებით მე და ილია, და ვე-
ლოდები, აბა ერთი თუ შეიცოდებს-მეთქი. არავითარი შეცოდება. თვალე-
გაბრწყინებული ზის და ცხენზე მსჯელობს.

ჩემმა ცოლმა ნახა თვალცრემლიანი სერიოჟა: ეძება ქუდი — არსად იყო.
უცებ მიხვდა, ალბათ, ჩემმა ძმამ დაიხურა სერიოჟას ქუდი, — იგი ხომ დი-
ლაუთენია სათევზაოდ წავიდაო. ბარათი გამომიგზავნა სერიოჟას ხელით, სე-
რიოჟას ბრალი არ არის ქუდის დაკარგვაო (მართლაც ასე ყოფილა, სერიოჟას
კარტუზი დაახურა და გამოგზავნა. მესმის საბანაოს ხიდზე მოსწრაფებული
ნაბიჯის ხმა; სერიოჟა შემორბის (ბარათი გზაში დაუკარგავს) და იწყებს ქვი-
თინს. აქ უკვე ილიაც აჰყვა და ცოტა მეც წავიტირე.

ტანია რვა წლისაა. ყველანი ამბობენ, სონიას ჰგავსო და მეც მჯერა. ნე-
ტამც ასე იყოს, მაგრამ იმიტომ მჯერა, რომ ცხადზე ცხადია. იგი რომ ადამის
უფროსი ასული ყოფილიყო და მასზე უმცროსები არ გაჩენილიყვნენ, უბედუ-
რი გოგო იქნებოდა. მისი ყველაზე დიდი სიამოვნება პატარებზე ზრუნვაა.
ალბათ ფიზიკურ სიამოვნებას ანიჭებს, როცა ჩვილის სხეული უჭირავს, ან
ხელს ჰკიდებს მას. მისი შეგნებული ოცნებაა — ჰყავდეს ბავშვები. რამდენი-
მე დღის წინათ ტულაში წავიყვანე სურათის გადასაღებად. დამიწყო ხვეწნა,
სერიოჟას დანა უყიდევო. იმას ის უყიდევო, ამას—ესო. შეუცდომლად იცის, ყვე-
ლაფერზე უფრო ვის რა გაეხარდება. მისთვის არაფერი მიყიდია და თვითონ-
ნაც არ გახსენებია საკუთარი თავი.

ვბრუნდებოდით შინ. „ტანია გძინავს?“ — „არა“. — „რაზე ფიქრობ?“ —
„ვფიქრობ, როგორც კი ჩავალთ, მაშინვე ვკითხავ დედას, ლელია კარგად თუ
იქცეოდა-მეთქი და მივცემ საჩუქარს ერთსაც, მეორესაც. სერიოჟა თავს ისე
დაიჭერს, ვითომ არ მიხარიაო, სინამდვილეში კი ძალიან გაეხარდება“.

მეოთხე ლევია. მარჯვე, მოხერხებული, კარგი მეხსიერების პატრონი,
გრაციოზული, რაც უნდა ჩააცვა, ისე მოერგება, თითქოს მის ტანზე შეეკეროთ.
თვითონაც იმას აკეთებს, რასაც სხვები, თანაც ძალზე მარჯვედ და კარგად.

...მეხუთეა მაშა, ორი წლისაა... სუსტი, ავადმყოფი ბავშვია. რძესავით
ქათქათა სხეული აქვს, ქერა, ხუჭუჭა თმა, დიდრონი, უცნაური, ცისფერი

* ფხუკიანი (ფრანგ.).

თვალეები. უცნაურად ღრმა თვალეები აქვს, ჰკვიანური გამოხედვა. ძალიან ჰკვიანია და უშნო. ცხოვრების ერთი გამოცანა ვინმე იქნება. სულ მუდამ დაიტანჯება, სულ რაღაცის ძიებაში იქნება. ვერაფერს ვერ იპოვებს, მაგრამ მუდამ ყველაზე მიუწვდომელს დაუწყებს ძიებას.

მეექვსეა პეტრე გოლიათი, უზარმაზარი, ჩაჩიანი, მშვენიერი „ბები“, ამოძვრენს ნიდაყვებს, სადღაც მიისწრაფის...“

II თავი

1872 წლის შემოდგომაზე სერიოჟასა და ილიას სამეცადინოდ გერმანელი გუვერნიორი ფეოდორ ფეოდორის ძე კაუფმანი მოიწვიეს. ჩვენმა მეგობარმა ა. ა. ფეტმა გვიჩიოა, თურმე მისი დისწულის აღმზრდელი ყოფილა და ბავშვის მშობლებიც ემადლიერებოდნენ.

თავდაპირველად კაუფმანი მხოლოდ იმიტომ ჩამოვიდა, რომ ჩვენც ვენახეთ და თვითონაც გვჩვენებოდა. ერთმანეთი მოგვეწონა და შეგვპირდა, შუა ოქტომბერში სამუდამოდ ჩამოვალთ იასნაია პოლიანაში.

მამა სწერს ფეტს: „დიდად მადლობელი ვარ თქვენი ფეოდორ ფეოდორის ძის გამო. იყო ჩვენსა და შეგვპირდა, ასე 16-ში ჩამოვალთ. ძალიან მომწონს“.

ბავშვები უდიდესი მღელვარებით ველოდით ჩვენს ახალ აღმზრდელს. მე გერმანული უნდა შემესწავლა, სამივე ბიჭუნა კი მასთან ერთად იცხოვრებდა ჩვენს საყვარელ, თაღებიან, ყოფილ ბავშვთა ოთახში.

პაწია ლევი, ჯერ ოთხისაც რომ არ შესრულებულიყო, ფეოდორ ფეოდორის ძესთან ჩაიყვანეს ბავშვთა ოთახიდან, სადაც მაშასთან ერთად ცხოვრობდა.

დღესავით მახსოვს და ვხედავ მის პაწია კობტა ტანს, ოქროსფერ ხუჭუჭათმას, კიბის თავში მდგომ ბიჭს, ჩასვლა რომ არ უნდა. ფეოდორ ფეოდორის ძემ რამდენიმე საფეხური ჩაიარა, მოუბრუნდა ლევს და ღიმილით გასძახა: ჩამომყევით. ბიჭუნა კი დგას და ყოყმანობს.

შემდეგ დედას მიუბრუნდა და უთხრა:

— უკეთესია, არ წავალ იქ... მე იქ გავფუჭდები...

ვხედავ, დედას ებრალება, არ უნდა ძალა დაატანოს, მაგრამ რა ჰქნას. ყველაფერი აირ-დაირევა, თუკი მას ბიჭებთან ერთად ძირს არ მოათავსებენ. მეც მეცოდება. ბუნდოვნად ვხვდები, რომ სურს, რაც შეიძლება მეტხანს შეინახოს თავისი სული უმანკოდ და ნაზად და ჯერ არ მიატოვოს ბავშვთა ოთახი, სადაც ყველაფერი ალერსით, სითბოთი და უმანკოებით სუნთქავს. მაგრამ ცხოვრების ბორბალი არ შეჩერდა, არ დაინდო მისი ბავშვური სული. აიძულეს და გადაასახლეს დიდ ბიჭებთან, ძირს, სადაც შიშობდა, ვაითუ „გავფუჭდეთ“.

მეც მომიხდა იმ ოთახის დატოვება, სადაც მთელი ჩემი ბავშვობა გავატარე სერიოჟასა, ილიასა და ჩემს საყვარელ აღმზრდელ პანასთან ერთად.

დროებით მარტო დავრჩი და მალლა ვიძინებდი შინამოსამსახურე დუნაშასთან ერთად. იგი ჩემზე ბევრად აღრე დგებოდა და ოთახების დასალაგებლად მიდიოდა. მე კი მარტო ვდგებოდი და ტანთ ვიცვამდი. პანასა და ძმებთან გატარებული მხიარული დღეების შემდეგ სრული მარტოობისათვის ვიყავი განწირული.

იმ დროს თავს მარტოსულად და უბედურად ვგრძნობდი. ბიჭები ჩამომ-
შორდნენ. იშვიათად ვნახულობდი მათ. დაბლა ცხოვრობდნენ ფეოდორ ფეო-
დორის ძესთან ერთად. სულ მალე ბიჭები მას შემოკლებით „ფოფოს“ ეძახ-
დნენ და ხან ნადირობაზე ესაუბრებოდნენ, ხან იარაღებზე, ძაღლებსა თუ ცხე-
ნებზე. ამ საუბრებში არც ისინი მრევდნენ და არც მე ვერეოდი.

დედასაც იშვიათად ვხედავ, მუდამ საქმეშია გართული: ან ჩვილს აწო-
ვებს ძუძუს, ან ელვის უსწრაფესად კერავს რაიმეს თავისი ფეხის საკერავი
მანქანით, ანდა მამაჩემის რომელსამე ხელნაწერს ათეთრებს: მამაზე სათქმე-
ლიც არაფერია. იგი მთელი დღეები „მეცადინეობს“, ხოლო როცა არ „მეცა-
დინეობს“, დაღლილი, რაღაცნაირად უცნაური ჩანს, ბავშვებს ვერც გვამჩ-
ნევს. ბავშვებმა ვიცოდით, რომ მისი „მეცადინეობა“ ფრიად მნიშვნელოვანი
და დიდი საქმეა, მეც ვგრძნობდი, რომ ჩემი ვანცდები მის სამუშაოსთან შე-
დარებით არარაობა იყო. ამიტომაც, ვერასოდეს ვხედავდი, ეს განცდები მის-
თვის გამენდო. რომ გამეხედა და მეტყვა, როგორ ვიტანჯებოდი სულიერად,
იქნებ ეპოვა სიტყვები, რომლებიც დამამშვიდებდნენ და მანუგეშებდნენ. მაგ-
რამ იჭვნეულად ჩავიკეტე საკუთარ თავში, არავის ვუმხელდი ჩემს მძიმე გან-
ცდებს, რითაც პირთამდე ვიყავი სავსე ყრმობის წლებში.

ისე შევეჩვიე ჩემი ნაფიქრისა თუ ნაგრძნობის დამალვას, რომ ზოგჯერ
უაზრობა გამოდიოდა. როცა რამეს მეკითხებოდნენ, მაშინვე იმას ვფიქრობ-
დი, რამე სხვა მოვიგონო-მეთქი, იმის თქმა კი არ მინდოდა, რაც სინამდვი-
ლეში იყო, ოღონდაც კი არავის ჩაეხედა ჩემს სულიერ ცხოვრებაში. ეს უკვე
ჩვევად მექცა.

აი, მაგალითი: ერთხელ დედა მე და ჩემს ძმებს ფრანგულ ტექსტს გვკარ-
ნახობდა. ილია ნელა წერდა. მე უამრავი თავისუფალი დრო მრჩებოდა და თავს
იმით ვირთობდი, ყოველი წინადადების კარნახის შემდეგ სამელნეს ხუფს ვა-
ხურავდი, რომ ამგვარად გამომერკვია, რამდენი ბწკარის დაწერა შეიძლებო-
და მელანში ყოველი ჩაწების შემდეგ (სტილო მაშინ არ არსებობდა).

ვიდრე ვწერდით, შემოვიდა მამა. დაიხარა და თვალს მადევნებდა, როგორ
ვწერდი. შემნიშნა, სამელნეს ხუფს რომ ვახურავდი კალმის ყოველი ჩაწების
შემდეგ და მკითხა, ამას რად აკეთებო.

- მელანი ორთქლდება, — ვუპასუხე მე.
- ორთქლდება? — მკითხა გაკვირვებულმა მამამ.
- დიახ, — განვაგრძე მე ჩემი სულელური მონაჩმახი, — სამელნეს თავ-
სახურს ვადებ, რომ მელანი არ აორთქლდეს და უფრო ცოტა დაიხარჯოს.

მამას არაფერი უთქვამს, მაგრამ მეორედ, როცა ასევე სულელურად და
ცრულ განვუმარტე ჩემი საქციელი, ჩუმად ჩაილაპარაკა:

- დიახ, მელანი ორთქლდება..
- რატომ არ ვუთხარი სიმართლე და არ განვუმარტე მამას, რომ მე სრული-
ად უწყინარ ცდას ვატარებდი? ვფიქრობ იმიტომ, რომ არ მინდოდა ვინმეს,
თუნდაც ყველაზე საყვარელსა და ახლობელ ადამიანს, ჩაეხედა ჩემს სული-
ერ სამყაროში. საკუთარ სიმარტოვეში ჩავიკეტე და არ მსურდა ვინმესთვის გა-
მეზიარებინა თუნდაც ის წვრილმანი, უბადრუკი ფიქრები და გრძნობები, რა-
საც განვიცდიდი...



ერთხელ, შემოდგომაზე, უცებ წარმოვიდგინე, გიჟი ვარ-შეთქი, თავს ძაღს ვატანდი, რომ საკუთარ აზრებს მოვრეოდი, ვცდილობდი, როცა ერთ საგანზე ვფიქრობდი, გონება არ გამქცეოდა და სხვა საფიქრალით არ შემცვლოდა. მაგრამ რამდენსაც არ ვცდილობდი, მაინც შეუმჩნევლად მავიწყებოდა ის, რაზეც ვფიქრობდი და სულ სხვა რაღაც მახსენდებოდა... განსაკუთრებით საღამოობით, საწოლში, ძილის წინ, უცებ ვიგრძნობდი, ვხვდებოდი, რომ გონებაში სრულიად უაზრო წინადადებებს ვიმეორებდი. ამ საშინელებისაგან, ერთიანად აცახცახებული და გაოფლიანებული დაზაფრული წამოვვარდებოდი ხოლმე.

„ნუთუ ყველას თავში ასე არეულ-დარეული ფიქრები უტრიალებთ, ნუთუ ეს ჩემი სიგიჟის ნიშანია?“ — ვფიქრობდი.

მეშინოდა ვინმესთვის მეკითხა, რათა არ დავრწმუნებულიყავი, რომ ასეთი რამ მხოლოდ მე მემართებოდა. „რა უცნაურია, რომ არასგზით, როგორც არ უნდა მოვიხდომო, — ვფიქრობდი გუნებაში, — არ შემიძლია გავიგო, რა ხდება სხვა ადამიანების გონებაში, არ შემიძლია სხვისი ფიქრი ამოვიკითხო“.

პირქუში გავხდი, გაღიზიანებული, არავის ვეკარებოდი. ალბათ ჩემი შშობლები ხვდებოდნენ, რომ რაღაც მძიმე განსაცდელი მქონდა, რადგან შევამჩნიე, რომ სათუთად და ნაზად მექცეოდნენ.

ამან კიდევ უფრო გამიძლიერა რწმენა, რომ გიჟი ვიყავი.

„მიბრალევენ, — ვფიქრობდი გულში, — როგორც სნეულს, ისე მელაპარაკებინან... რასაკვირველია, ხედავენ, რომ უაზრობას ვლაპარაკობ და უნდათ, თვითონ ვერ შევამჩნიო...“

და აი, მეც მკაცრად ვუკვირდებოდი საკუთარ სათქმელს და რაც შეიძლება ცოტას ვლაპარაკობდი. ხშირად ჩემს სიტყვებსა და საქციელს ჩემი ძმების სიტყვებსა და საქციელს ვუდარებდი. ვშიშობდი, მეტისმეტად ხომ არ გამოვირჩევი-მეთქი.

თანდათან უფრო და უფრო პირქუში და სიტყვაძვირი შევიქენი. ეს მართობა რომ შემემსუბუქებინა, გამოვიგონე „მეგობარი“, რომელიც მხოლოდ ჩემს წარმოსახვაში ცხოვრობდა. იგი უჩინარი იყო და ბებერი იასამნის ბუჩქში სახლობდა, სახლის პირდაპირ. ავძვრებოდი ბუჩქზე, ჩამოვკვდებოდი რომელიმე ტოტზე და ვეჩურჩულებოდი ჩემს „მეგობარს“ ყველა საიდუმლოს, ვანდობდი ყველა ჩემს ოცნებასა და საწუხარს.

ეს შვებას მგვრიდა.

დროთა განმავლობაში ისე შევეჩვიე ამ „მეგობარს“, ისე შევიყვარე, რომ დავიწყე მოთხრობის წერა, სადაც აღვწერდი ჩემი ოცნების „მეგობარს“.

მაგრამ უცებ შემეშინდა.

„ხომ არ არის ეს სიგიჟის ნიშანი? — ვფიქრობდი გუნებაში, — განა ჩემ გარდა ვინმე სხვა მიხვდება, რომ ცარიელი ადგილი იასამნის ბუჩქზე ჩემი „მეგობარია?““

დავხიე ხელნაწერი და მეტად აღარ ავმძვრალვარ იასამნის ბუჩქზე, „მეგობართან“.

IV თავი



ოპ, შესაძლებელი რომ იყოს, თუნდაც ერთი საათით ვიხილო ჩემი საყვარელი ჰანა! თუმცა ათი წლისა ვარ, მაინც მუხლებზე ავეუცოცდებოდი, თანხმობდა მისი ხმა: „ნუ სწუხარ, პაწია, ყოველივე ისე ცუდად როდია, როგორც შენ გეჩვენება“. და მეც ვირწმუნებდი, რომ ყოველივე ისე ცუდად როდია. მაგრამ ჰანა სად არის? იგი შორს არის, კავკასიაში.

და აი, ფიქრებით გადავდივარ კავკასიაში, ქუთაისში. იქ ზამთრის გასატარებლად გაემგზავრა დეიდაჩემის, კუზმინსკების ოჯახი. მათთან ერთად გაემგზავრა ჰანაც. ხშირად მშურს ჩემი დეიდაშვილების — დაშას და მაშას ბედი. „ალბათ, რა კარგად გრძნობენ თავს ჰანასთან. მერედა როგორ ეხერხება ჰანას, ცხოვრება მყუდრო, შინაარსიანი გახადოს“.

იასნაია პოლიანასა და ქუთაისს შუა ცხოველი მიწერ-მოწერა გაჩაღდა. დედა სწერდა დეიდაჩემს — კუზმინსკაიას: „დღეს მივიღე შენი და ჰანას წერილი და ფრიად გავიხარე, რომ... ჰანასთან თავს კარგად გრძნობ. ასეც მწამდა, ვიცოდი, რომ კარგად იგრძნობდი თავს. მე კი თქვენი წერილების მიღების შემდეგ, უცებ ისე ეუღლად და სვეგამწარებულად ვიგრძენი თავი, რომ ტირილი მომინდა... წაუკითხე ჰანას ჩემი წერილი, მისგან დასამალი არაფერი მაქვს. მას ჩემს სიხარულსაც ვანდობდი და მწუხარებასაც...“

სხვა წერილში დედა წერს:

„მიხარია, რომ ჰანა უკეთ გრძნობს თავს. სთხოვე, ყოველთვის და რაც შეიძლება მეტი მომწეროს თავისი ჯანმრთელობის ამბავი. ყველანი ხშირად ვსაუბრობთ ხოლმე და მუდამ მასზე ვფიქრობთ, განსაკუთრებით მე და ტანია. ტანიას ფოტოსურათი გადავუღეთ დაშასა და ჰანასათვის. ბიჭებმა, განსაკუთრებით კი სერიოჟამ, ფრიად შეიყვარეს ფეოდორ ფეოდორის ძე. იგი მათ ძალზე კარგად ეპყრობა: უწებებს პაწია კოლოფებს, აკურატულად ალაგებს მათ თეთრეულსა და ნივთებს, ზრუნავს, რომ არც ერთი ღილი არ აკლდეს, ყველა სწრაფად გაიწაფა გერმანულში. ლიოლია კი ისე უყვარს, ისე ანებივრებს, რომ ბავშვიც მუდამ დაბლა ჩარბის, მასთან“...

„ტანიას გულით უნდა ქუთაისში ჩამოსვლა, — სწერს დედაჩემი ტანია დეიდას ერთ-ერთ წერილში, — მეუბნება, მთელი ჩემი ბედნიერება — ჰანაცა და დაშაც იქ არიანო“.

და აი, მარტობით განაწამებს სიხარულიც მეწვია. კავკასიიდან ამანათი მოვიდა ჩემს სახელზე. კავკასიიდან! მღელვარებისაგან ხელებაკანკალებულმა გავქერი შემოხვეული კანაფი, გავარღვიე ქერელის ტილო და ამოვიღე საუცხოო თეთრი ქიშმირის კაპორი, ზუსტად ისეთი, როგორიც დაშას ჰქონდა, აგრეთვე წითელი თბილი კავკასიური ფეხსაცმელები და წერილი. ვიდრე საჩუქარს მოვიზომებდი, წერილი გადავიკითხე.. ჰანა იწერებოდა როგორ ცხოვრობდა კავკასიაში ჩემს დეიდაშვილებთან ერთად. უდიდესი სიყვარულით აღწერდა როგორები არიან შვიდი წლის დაშა და ასევე პაწია მაშა. ცოტა შემშურდა... მაგრამ მეც ისეთ საალერსო სიტყვებს მწერდა, იჭვები სულ გამიჭარწყლა.

ალტაცებული ვიყავი წერილითაც და საჩუქრებითაც.

„ტანია ახლა გახარებულია, რაკი ჰანასაგან წერილი, დაშასაგან კაპორი და შენგან თბილი ფეხსაცმელები მიიღო, მთელი საათი ხტოდა, წიოდ და ყველას თვალეებში გვიყურებდა — ჩემი სიხარული სხვებსაც თუ უხარიათო... საყვარელ ჰანას ყოველდღე ვიგონებთ, და მისი წერილი ჩემთვის მუდამ უდიდესი სიხარულის მომნიჭებელია...“

V თავი

ალბათ ჩემი მშობლები მიხვდნენ, რაოდენ ეულად ვგრძნობდი თავს და ჩემთვის გუვერნანტი ქალის აყვანა გადაწყვიტეს. მამა მოსკოვს ჩავიდა და ჩამოიტანა ფოტოსურათი ჩემი მომავალი აღმზრდელისა, რომელიც მალე უნდა ჩამოსულიყო იასნაიაში. ძალიან მომეწონა და მოუთმენლად ველოდი მის ჩამოსვლას.

— ოღონდ ერთი უბედურებაა, დორას ეძახიან, — თქვა მამამ.

იმ ხანებში მამას ოთახის მონადირე ძაღლი ჰყავდა, სახელად დორა ერქვა. და შიშობდა, ვაითუ ახალ აღმზრდელს ეწყინოს, ჩვენს სახლში ასეთი სეხნია რომ ეყოლებათ. მამამ ეს ამბავი ჯერ კიდევ ჩამოსვლამდე აცნობა მას და მეტად თავაზიანი პასუხი მოუვიდა. ქალი სწერდა: მიყვარს პირუტყვი, განსაკუთრებით კი ძაღლები, და ფრიად მოხარული ვარ, ასეთი სეხნია თუ მყავსო.

ამ წერილმა მისდამი კეთილად განმაწყო და მეგობრულადაც შევხვდი. ქალბატონი დორა პატარა ტანის, ახალგაზრდა, კარგი შესახედავი, გრძელ ჭერადალალებიანი ქალი გახლდათ, და ვიფიქრე, ჩემი მეგობარი უფრო იქნება. ვიდრე აღმზრდელი-მეთქი.

14 ნოემბერს დედა სწერს დეიდა ტანიას: „ტანია ძალზე გაახარა დორას ჩამოსვლამ. ამ ბოლო ხანებში მარტოკა მეტისმეტად მოწყენილი იყო და საღამოობით ხშირად ტიროდა ჰანას გამო“. სხვა წერილში იგი წერს: „ჰანა ამათთვის (ანუ ბავშვებისათვის) დღემდე ითვლება მსოფლიოში პირველ ადამიანად და დარწმუნებული ვარ, აწ მასავით ვერავის შეიყვარებენ“.

დედას თავისმა დედობრივმა ალლომ არ უმტყუნა, თავის დას სწორად გააგებინა ჩვენი გრძნობა.

მე და დორას ერთ ოთახში გვეძინა და ვიდრე იგი არაფერს ითხოვდა ჩემგან, ჩვენს შორის კეთილი ურთიერთობა სუფევდა, კარგი და კეთილი ქალი იყო, მაგრამ ჩემზე ზეგავლენას ვერ ახდენდა და ვგრძნობდი, უმალ მე გავაკეთებინებდი, რაც მსურდა, ვიდრე თვითონ დამიმორჩილებდა. თუ დორა რაიმეს მიბრძანებდა, მე ან გამოვაჯაერებდი ანდა უხეშად ვეპასუხებოდი. თუ რაიმე ისე არ კეთდებოდა, როგორც ამას ჰანა აკეთებდა, უმართებულოდ მივიჩნევდი და დორას გაუთავებლად ვედავებოდი.

რაც ხანი ვადიოდა, ქალბატონ დორასთან ჩემი დამოკიდებულება მით უფრო მწვავედებოდა. ბოლოს დედამ გადაწყვიტა დაეთხოვა დორა და ეცადა. სხვა, უფრო დარბაისელი აღმზრდელი აეყვანა.

„ჩვენსა ჯერ ისევ დორაა, — სწერს დედა თავის დას, — ტანია ძალიან ვაფუჭდა — უხეშია, ცუდი საქციელი გაუხდა... დორას ყველა ბავშვი ლანძლავს, დასცინიან“.

ახლა მრცხვენია და უცნაურად მეჩვენება, როცა საყვარელ, კეთილ, უწყ-

ყნარ დორასთან ჩემს დამოკიდებულებას ვიგონებ. როგორ ვერ მივხვდი, რომ ჩემდამი სიყვარულმა კი არ ჩამოიყვანა მისთვის უცხო იასნაია პოლიონაში, არამედ გაჭირვებამ. და იქნებ დათხოვნა მისთვის უმძიმესი განსაცდელიც იყო.

მაგრამ ჩემი ცხოვრების ამ ხანაში შეურაცხადი ვიყავი და ჩემს გულში ყველა ცუდი ინსტინქტი ბატონობდა. არ ვიცი, ვინმე ან რაიმე თუ იყო მიზეზი ჩემი ამგვარი განწყობისა, ვიცი მხოლოდ ის, რომ ეს პერიოდი ჩემი ცხოვრების ყველაზე უფრო გულისმომწყველელი ზანა იყო.

მთელი ჩემი ბავშვობა, რაც ჰანასთან ვცხოვრობდი თაღებიან ბავშვთა ოთახში, არ მახსოვს ერთხელ მაინც გავჭირვებულელიყავ, რაიმე მნიშვნელოვანი ყურად არ მეღოს, არ გვქონია არც ერთი ე. წ. „ისტორია“. ჰანა ხმას არასოდეს აუმაღლებდა ჩვენთან საუბარში. საკმარისი იყო გამოეთქვა თავისი სურვილი, რომ მაშინვე შეგვესრულებინა. განსაკუთრებით იმას ვაფასებდით, რომ ჰანა არასოდეს გვიჩიოდა მშობლებთან. საბრალო დორას კი სხვა არაფერი რჩებოდა და ისიც დახმარებასა და მფარველობას დედასთან ეძიებდა.

VI თავი

მაშ ასე, საბრალო დორა ჩვენგან გაემგზავრა. დედამ წერილი გაუგზავნა ინგლისში პასტორს, რომელმაც ჰანა გამოგვიგზავნა და სთხოვა, მოეძებნა ჩვენთვის აღმზრდელი. მანაც უპასუხა, შემიძლია ძალიან კარგი ქალიშვილი შემოგთავაზოთ, სახელად ემილი ტემორიო, იწერებოდა, ჰანას შორეული ნათესავიაო.

„ალბათ მეყვარება, — ვფიქრობდი მე. — თუმცა მხოლოდ ჰანას რძლის დისწულია, მაინც იმავე ოჯახიდან არის“.

მოუთმენლად ველოდი. პირველი შთაბეჭდილება მაინცდამაინც სანუგეშო არ ყოფილა. ემილი ულამაზო იყო, ჩემი, ცოტა მხრებში მოხრილი, ნელა დაიარებოდა და იშვიათად იღიმებოდა.

პირველი მშვიდობიანი კვირის შემდეგ დაიწყო ქარიშხალი. ვერაფრით ვერ ვურიგდებოდი იმ აზრს, რომ ჩემი მშობლებისა და ჰანას გარდა ვინმეს დავმორჩილებოდი, ჰანას ჩემივე ნებით ვემორჩილებოდი, რადგან ძალზე მიყვარდა. ხოლო დავმორჩილებოდი ამ უცხო ასულს მხოლოდ იმიტომ, რომ მას ჩემზე მბრძანებლობის უფლება მისცეს, — არ შემეძლო. ამას მოსდევდა უსიამოვნებანი, ჩხუბი, ცრემლები, რისგანაც ორივენი ვიტანჯებოდით...

დედა სწერს თავის დას: „ჩვენი ინგლისელი საკმაოდ კარგი ქალიშვილია, — მხოლოდ ტანია და ის ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს. ტანიას მისი არ ეშინია და არც შეიყვარა, ყველაფერს მის ჯიბრზე აკეთებს და ისიც სულ ტირის“.

როცა ემილიმ დაინახა, რომ თავს ვერ შემაყვარებდა, მთელი თავისი არსებით პაწია, სუსტი მაშას მოვლას მოჰკიდა ხელი. მაშამაც ისე შეიყვარა, რომ მთელ დროს მასთან ატარებდა; თან ისე კარგად შეისწავლა ინგლისური ლაპარაკი, რუსული ლამის დაავიწყდა. ვერ გაიხსენებდა ხოლმე რომელიმე რუსულ სიტყვას და დასახმარებლად ემილის მიმართავდა.

მახსოვს, ერთხელ სადილად ვისხედით და ყველანი გაგვაცინა; ვაშლი

უნდა ეთხოვა და, ჩვეულებისამებრ, ჯერ ემილის მიმართ ინგლისურად: „ემილ, როგორ არის რუსულად „ვაშლი?“

და როცა ყველანი ახარხარდნენ, მიხვდა, რომ თვითონვე უკვე რუსულად ის სიტყვა, რასაც ემილის ეკითხებოდა.



ბიზ-ლიტონეჟა

VII თავი

იმ ხანებში მთელი დღე მეცადინეობას მიჰქონდა. ვდგებოდით დილის რვა საათზე და დილის ჩაის შემდეგ გაკვეთილებს ჩავუსხდებოდით. ცხრა საათიდან თორმეტამდე ფეოდორ ფეოდორის ძესთან ვმეცადინეობდით, თან ყოველ საათში თხუთმეტ წუთს შევისვენებდით ხოლმე. თორმეტ საათზე ვისაუზმებდით და შუადღის ორ საათამდე თავისუფალი ვიყავით. ამის შემდეგ, ორიდან ხუთ საათამდე, ისევ გაკვეთილები გვქონდა დედასთან ფრანგულსა, რუსულსა, ისტორიასა და გეოგრაფიაში, მამასთან კი — არითმეტიკაში. ხუთ საათზე ვსადილობდით და საღამოს შვიდი საათიდან ცხრამდე გაკვეთილებს ვამზადებდით. კვირაში ორჯერ ადგილობრივი მღვდელი გვეწვეოდა — კატეხიზმოსა და ეკლესიის ისტორიას გვასწავლიდა, ხოლო კვირაში ორჯერ საგანგებოდ ჩემთვის, ხატვის მასწავლებელი, გვარად სიმონენკო მოდიოდა ხოლმე.

ყველაზე მეტად არითმეტიკის გაკვეთილის გვეშინოდა, მამა რომ გვიტარებდა. ყოველდღიურ ცხოვრებაში მამაჩემის დიდად არ მეშინოდა. მე მას ისეთ რამეებს ვუბედავდი, რასაც ჩემი ძმები ვერასოდეს გაუბედავდნენ.

მაგალითად, მიყვარდა როცა ილღებში ვუღიტივებდი და ვუყურებდი, როგორ თავშეუკავებლად ხარხარებდა და თავის დიდ უკბილო პირს აღებდა.

მაგრამ არითმეტიკის გაკვეთილზე იგი მკაცრი მასწავლებელი იყო. ვიცი, პირველსავე წაბორძიებაზე განრისხდებოდა, ხმას აუმაღლებდა და მთლად გამომასულელებდა. გაკვეთილის დასაწყისში მხიარულად იყო და ყველაფერი კარგად მიეძინებოდა. რაკი დაღლილი არ ვიყავი, კარგადაც ვაზროვნებდი და ამოცანები სწორად გამომყავდა. მაგრამ მალე ვიღლებოდი და რაც უნდა დამეტანებინა ძალა, ცოტა ხნის შემდეგ ტვინი აზროვნებას წყვეტდა.

მახსოვს, როგორ გამიჭირდა წილადების გაგება. მამაჩემის მოუთმენლობის გამომხატველი ხმა მხოლოდ აფუჭებდა საქმეს.

— ორი მეხუთედი და სამი მეხუთედი რამდენი იქნება?

ვდუმვარ.

მამამ ხმას აუწია.

— ორი ფუნთუშა და სამი ფუნთუშა რამდენი იქნება?

— ხუთი ფუნთუშა, — ძლივს გასაგონად ვამბობ მე.

— ჩინებულია. მაშ რამდენი იქნება ორი მეხუთედი და სამი მეხუთედი?

მაგრამ ყოველივე ამას აღმოჩნდა. #სევ ვდუმვარ. ცრემლი მერევა და მზად ვარ ავღრიალდე. მეშინია ვუბასუნო, ორი და სამი მეხუთედი ხუთი მეხუთედი იქნება და ეს ერთის ტოლია-მეთქი. ეს მეტიმეტად იოლი მეჩვენება.

მამამ შემამჩნია, რა დღეშიც ჩავვარდი და ცოტა მოლბა.

— აბა, იხტუნე!

მე კარგა ხანია ვიცი მისი ეს სისტემა და ამიტომაც არაფერს ვეკითხები, ვდგები სკამიდან და თვალზე ცრემლშეუმშრალი პირქუშად ვხტი ერთ ად-



გილზე. მართლაც, გონება გადაშეწმინდა და როცა ისევ ჩავუჭექი მეცადინეობას, ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ ორი მეხუთედი და სამი მეხუთედი უდრის ხუთ მეხუთედს, ე. ი. ერთის ტოლია. მაგრამ რად მეკითხება მამაჩემი ასეთ უცნაურ ამოცანებს?

გერმანულში ფო-ფო გვწვრთნიდა. უჩვეულოდ ლამაზ, მოხატულ რვეულებში რთული გოთური ასოების გამოყვანას გვასწავლიდა.

დედის გაკვეთილები რთული არ იყო: იგი გვკარნახობდა რომელიმე ნაწყვეტს, შემდეგ ასწორებდა შეცდომებს, რომლებიც ხელახლა უნდა გადაგვეწერა. ისტორიის გაკვეთილები კიდევ უფრო უბრალო იყო. დედა გადაგვიშლიდა ისტორიის წიგნს და გვეტყოდა, აქედან აქამდე ისწავლეთო.

ემილი ინგლისურს გვასწავლიდა. ყველაზე იოლი მღვდლის გაკვეთილები იყო. წაგვიკითხავდა რამდენიმე ტაბეს კატეხიზმოდან და შემდეგ იტყოდა: „ეს უნდა შეითვისოთ“. ასევე იქცეოდა ღვთისმსახურების ისტორიაშიც, საეკლესიო ნივთების აღწერილობისას და ა. შ.

— ხომ არ ეწოდება დვუკირიე იმ სასანთლეს, დიაკვანს რომ გამოაქვს ღვთისმსახურების ღროს?

- დიახ, დიახ, მამაო, დვუკირიე ჰქვია, — ვყვიროდით სამივენი ერთად.
- ხომ არ ჰქვია ტრიკირიე მეორე სასანთლეს, სამი სანთელი რომ აქვს?
- დიახ, დიახ, მამაო, ტრიკირიე ჰქვია, — ვყვირით სამივენი.
- ძალიან კარგი. ეს უნდა შეითვისოთ.

მიიღებდა თავის ჰონორარს მამაო და მიდიოდა მომდევნო გაკვეთილამდე. მუსიკის პირველი გაკვეთილები დედამ ჩაგვიტარა, მაგრამ მალე იგრძნო, რომ ამ ხელოვნებაში ვერ იყო საკმაოდ გამოცდილი პედაგოგი, ამიტომაც სპეციალისტი მოვიწვიეთ, რომლის ჩამოსაყვანად კვირაში ორჯერ ვგზავნიდით ცხენს ტულასთან მდებარე მამულში.

სამი უფროსი ბავშვიდან მუსიკის ნიჭი მხოლოდ სერიოჟას ჰქონდა. ილია ისე უკრავდა, მისი ფრანგი გუვერნიორის (რომელმაც ფო-ფო შეცვალა) სიტყვებით რომ ვთქვათ, „როცა იგი დაკვრას იწყებდა, ძაღლები ღრენით გარბოდნენ“. მე კი ისე მღვდობდა მრავალრიცხოვანი გაკვეთილები, უკვე აღარ შემეძლო გულისყურითა და ენერგიულად მოვკიდებოდი კიდევ ამ ხელოვნებას.

— რა არის, ასე თვალდავსებულივით, მოშვებული სახით რომ ათვალე-რებ ნოტებს? — მეუბნებოდა ჩვენი პედაგოგი, რომელსაც დაკარგული ჰქონდა ყოველგვარი იმედი, რომ ოდესმე ფორტეპიანოზე დაკვრის რაიმე სურვილს აღმიძრავდა გულში.

VIII თავი

1872-73 წლების ზამთარი ჩემთვის განსაკუთრებით გაჭიანურდა და მოსაწყენი შეიქნა. მის გასვლას მოუთმენლად ველოდი. ზაფხულში ჰანა უნდა მენახა.

გაზაფხულზე მამა განსაკუთრებით ცუდად გრძნობდა თავს: გამუდმებით ახველებდა და ფერდში ტკივილს უჩიოდა. ეჭიმები შიშობდნენ, იქნებ ჰქვია სპირსო. ამიტომაც გადაწყდა, მთელი ოჯახი გამგზავრებულიყო სამარის ველებზე, სადაც მამას მამული ჰქონდა. იქ კუმისით უნდა ემკურნალა. ამ ბოლო

ხანს ჰანაც ავადმყოფობდა და ჩემმა მშობლებმა ასეც მოწვეულს საიდროოდ, როცა სამარაში ეიქნებოდით, რათა მასაც ესეა კუმიანა

მამამ მისწერა ჩვენი სოფლის მოურავს, მოემზადებინა ჩემთვის, რაც საარსებოდ დასჭირდებოდა ჩვენს დიდ ოჯახს.

იასნაიდან სამარაში გაიგზავნა ჩვენი დიდი დორმეზი, რადგან ჩვენი მამული სამარიდან ას ოცი ვერსით იყო დაშორებული და ეს მანძილი ცხენებით უნდა გაგვევლო.

ჰანას წერილი გაუგზავნეს, ეპატოებოდნენ — ჩამობრძანდითო, თან იმასაც აუწყებდნენ, რა სიძნელე შეხვდებოდა გზად კავკასიიდან ჩვენს მამულამდე.

გამგზავრება მაისში ითქვა. ისე მახარებდა ჰანასთან მომავალი შეხვედრა, რომ მღელვარებისა და მოუთმენლობისაგან ვერ ვიძინებდი.

მაგრამ ეტყობა, ამ წელიწადს სიხარული არ მეწერა. მაისში დიდი უბედურება დამატყდა თავს.

ერთხელ მამა ტულაში გაემგზავრა საქმეებზე. შინ სალამოს მობრუნდა, შევიდა დედასთან, ხელში ქუთაისიდან გამოგზავნილი წერილი ეჭირა. დეიდა ტანია შემზარავ ამბავს იტყობინებოდა — გარდაცვლილიყო მისი უფროსი ასული, ექვსი წლის მშვენიერი დაშა.

დედას არ უნდოდა ეს ამბავი იმ სალამოს გაემხილა ჩემთვის, მამამ კი ბიჭებს უამბო.

სერიოზამ მაშინვე მიიბრინა დედასთან.

— დაშა მომკვდარა! — თქვა მან. მეტის თქმა ველარ შეძლო, ფანჯრის ფარდა აიფარა პირისახეზე და ტირილი მოართო. შემდეგ ჰკითხა: — რა ეშველება დეიდა ტანიას? ვფიქრობ, იგი ძალზე უბედურია.

მალე მეც გავიგე სამწუხარო ამბავი. არავისთვის არაფერი მითქვამს, მაგრამ ჩემს საწოლში როგორც კი ჩავწექი, ცხარე ცრემლებით დავიტირე ჩემი საყვარელი დეიდაშვილი და მეგობარი.

დედამ მისწერა დეიდა ტანიას:

„სალამო ხანი იყო და ტანიას აღარ ვუთხარი, მაგრამ ბიჭებმა და მერე კი ბარაშამ უთხრეს. მივედი და ვხედავ, სიბნელეში ცრემლები უბრწყინავს თვალებზე... თავზე საბანი წაიფარა და ცხარედ ტიროდა“.

აი, რას სწერდა მამა დეიდა ტანიას:

„საყვარელო მეგობარო ტანია! არ შემიძლია გადმოგცე, რაოდენ თავზარდამცემი იყო ჩემი მშვენიერი, საყვარელი (რაოდენ მსიამოვნებს ახლა მასზე ფიქრი), გამორჩეული დაშას სიკვდილის ამბავი. მთელი დღეა არ შემიძლია მისი და თქვენი გახსენება უცრემლოდ. იმასვე ვგრძნობ, რაც ალბათ თქვენც გტანჯავთ ახლა: დაგავიწყდებათ, მერე უცებ ვაგახსენდებათ და შეძრწუნებული ეკითხვებით საკუთარ თავს: ნუთუ ეს სიმართლეა?“

კიდევ დიდხანს და ბევრჯერ გაგელვიძებათ და შეეკითხებით საკუთარ თავს: ნუთუ სიმართლეა, რომ იგი აღარ არის ცოცხალი? დვთის გულისათვის, არ დაივიწყო, არც სცადო დაეიწყება ყველა უმძიმესი წუთისა, რაც განიცადე, არამედ მუდამ მასთან ერთად იცხოვრე. სიკვდილი საშინელებაა თავისთავად, მახსოვს შენ ამბობდი ამას, მაგრამ ახლობელი ადამიანის სიკვდილში, — განსაკუთრებით ისეთი მშვენიერი არსების სიკვდილში, როგორც არის ბავშვი და თანაც ეს ბავშვი, — არის საოცარი, თუმცა კი გულისმომწყ-

ვლელი სიმშვენიერე. რატომ უნდა გაჩნდეს და დაიღუბოს ბავშვი? ეს შემზარავი გამოცანაა და ჩემთვის მხოლოდ ერთი ახსნა აქვს. მისთვის ასე სჯობს. რაოდენ ჩვეულებრივიც არ უნდა იყოს ეს სიტყვები, ისინი მუდამ ახალია და ღრმა, თუ ჩაუკვირდები. ჩვენთვისაც ასე სჯობს და ჩვენც უმჯობესნი უნდა შევიქნეთ ამ უბედურებათა შემდგომ, მე გამოვცადე ეს... და შენც, უსათუოდ გადაიტან ისე, როგორც ჯერ არს. მთავარია უდრტვინველად გადაიტანო და ერთი გახსოვდეს მხოლოდ, რომ ჩვენ არ გვაქვს უფლება გავიგოთ ჩვენს და ჩისთვის ვართ. და მხოლოდ უნდა დავმორჩილდეთ ბედს. მშვიდობით, საყვარელო მეგობარო, ღმერთი იყოს თქვენი შემწე, შენი და საშასი... რათა გაუძლოთ ამ შემზარავ უბედურებას — ჩვენ რომ ჯერ არ განგვიცდია. მაგრამ მუდამ რომ თავს დაგვტრიალებს, — გაუძლოთ რაც მთავარია უდრტვინველად და ბრძნულად. ეს ხომ, კაცმა რომ თქვას, უბედურება კი არა, მხოლოდ ერთი უმნიშვნელოვანესი საფეხურია ცხოვრებაში, რაც უნდა გაიაროს ყოველმა ადამიანმა, რიგიანად და პატიოსნად ვინც ცხოვრობს...

...ჩამოვედი ტულიდან და წერილები ჩამოვიტანე. სონია მხიარულად შემომეგება. მე კი ვეუბნები: „დიდი უბედურებაა, დიდი უბედურება!“ ის ამბობს: „ჰანა მოკვდა“. ვეუბნები: „ქუთაისში, ოღონდ ჰანა არა“. წუთითაც არ დაფიქრებულა, თითქოს წერილი წაეკითხოს, სწორედ ეს ორი სიტყვა მითხრა: „დაშა მოკვდა“.

როგორ, საიდან უნდა მიმხვდარიყო?

ისე თავზარდაცემულია, ვერც ლაპარაკობს ამაზე. სერიოზულად შენ შეებრალე. ტანია კი დიდხანს იწვა ლოგინში და ტიროდა.

მშვიდობით, ჩემო კარგო მეგობარო, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, რომ ღირსეულად განვლოთ ცხოვრების ეს უმძიმესი საფეხური“.

ასე უბედურად დაიწყო ჩემთვის ზაფხული: დავკარგე საუკეთესო მეგობარი და ამხანაგი... ყველანი ვდარდობდით. ერთი რამ გვქონდა სასურველად — ის, რომ ჰანას შევხვდებოდით სამარაში...

IX თავი

გაზაფხულზე მამა მოსკოვს გაემგზავრა, რათა ეყიდა ყველაფერი, რაც დაგვჭირდებოდა გზაში და ხუტორში ყოფნის პირველ ხანებში.

1873 წლის 11 მაისს მამა სწერს ფეტს:

„ვიყავი მოსკოვში, ვიყიდე 450 მანეთის საყიდლები, რაღაც-რაღაცა და ამის შემდეგ აღარ იქნება სამარაში წაუსვლელი“.

მამამ მე და მამას მოსკოვის საუკეთესო მაღაზიებში ნაყიდი საგზაო ნაცრისფერი მოსასხამები და ნაცრისფერი ქუდები ჩამოგვიტანა. ყველას — ფეხსაცმელი, საგზაო ჩანთები, ჩემოდნები, სკივრები, სამგზავრო ყუთები და ა. შ.

ბავშვებმა ყველაფერი ჩავალაგეთ ჩვენს ჩანთებში. ჯერ გულდასმით ვფიქრობდი, რა გამომადგებოდა გზაში და ცოტაცობით ყოველივე ამას გვერდზე ვდებდი, რათა შემდგომ ჩამეწყო. მაგრამ როცა ჩალაგება დავიწყე, დაეინახე, რომ ყველაფერს ვერ მოვათავსებდი. ამიტომ ყველაზე აუცილებელი ნივთები შევარჩიე. აი, პატარა დანა, ეს აუცილებელია. ასევე აუცილებელია ფანქარი და რვეულები, ფურცელ-ფურცელ რომ შევკერე. გზაში რაიმეს და-

ხატვა ან ჩაწერა რომ მომინდეს, დედას ხომ არ მივადგები ამ წვრილმანების გამო. აი, საკერავი მოწყობილობა: ფლანელის პაწია წიგნაკი შიგ გარკობილი ქინძისთავეებითა და ნემსებით, რომლებზედაც შავი და თეთრი ძაფით შემოხვეული, და პაწია კოლოფი ღილებითა და დუგებებით; უამათოდ როგორ უნდა ვიყო? აი, თოკი — ამის წაღებაც კარგი იქნებოდა, შოლტანდ დავგრუხდი, ბიჭებს ცხენობანა რომ ვეთამაშო. სადავედაც გამომადგება...

ყველაფერი, რაც ჩანთაში არ მეტევა, დედასთან მიმაქვს და ვთხოვ, შენს სკივრში ჩააწყე-მეთქი. ვხედავ, სკივრის წინ არის ჩაჩოქილი, მის წინ კი ძიძა დგას, თეთრეულს დასტა-დასტა აწვდის, და დედაც ფრთხილად ალაგებს სკივრში. ჩემი თხოვნა რომ მოისმინა, გამომართვა პაკეტი და ზეწრებს შორის ჩაჩურთა.

სალამოს დედა თეთრ თეფშზე ფაქიზად დებს სხვადასხვა ფერის აკვარელის საღებავს და იწყებს ხატვას, აფერადებს სურათებს. გზაში ბავშვების გასართობად. ასეთი წიგნაკები თავის სიცოცხლეში ათეულობით დაუმზადებია თავისი თუ სხვისი ბავშვებისათვის და მათაც ყოველთვის ძალზე მოსწონდათ. ან რა გასაკვირია! რა არ არის გამოხატული ამ სურათებზე! აქ არიან საშინელი მგლები, ბავშვებს ტყეში რომ მიათრევენ; სოკოების კრეფაცა და მდინარეში ბანაობაც, ხანძარი გიზგიზებს და ბავშვები ვედროებით ეზიდებიან წყალს მის ჩასაქრობად; კურღლები, კომბოსტოსა და სტაფილოს რომ იპარავენ, თაფლისპურებით, ვაშლებით, სანთლებით მორთულ-მოკაზმული ნაძვის ხე და სხვა. ყოველივე ამას დედა იგონებდა და ხატავდა, თავს არ იზღუდავდა პერსპექტივისა და შეფარდების კანონებით, მთავარია სიმართლეს ყოფილიყო მიმსგავსებული. ნახატები პრიმიტიული იყო, სამაგიეროდ შინაარსობრივად რაოდენ მდიდარი!

ღილით მამამ თადარიგი დაიჭირა, რომელი ეკიბაყი გაემზადებინათ ტულაში ჩვენს გასამგზავრებლად. ძველი ჩვეულების თანახმად, ვიდრე გზას გაუდგებიან, ყველანი, ვინც მიემგზავრება თუ რჩება, ოჯახის წევრები და შინამოსამსახურენი, დარბაზში უნდა შეგროვდნენ და კარი დაკეტონ. ასეც მოიქცნენ, მერე ყველანი დასხდნენ. რამდენიმე წუთს ხმა არ ამოუღიათ, შემდეგ ადგნენ, პირჯვარი გადაიწერეს და დაბლა ჩავიდნენ, წინკარში.

პარმალის წინ რამდენიმე ეკიბაყი იდგა. ყველანი, ჩაცმულნი, მამის ბრძანებით გავნაწილდით ეტლში, ტარანტასში, ლინეიკაზე, საზიდრებზე. იასნაია პოლიანადან თექვსმეტი კაცი მივემგზავრებოდით: მამა, დედა, შვიდი ბავშვი, ემილი, ფეოდორ ფეოდორის ძე და მოსამსახურენი. ჩვენთან ერთად წამოვიდა დედაჩემის ერთ-ერთი ძმა, ახალგაზრდა და მხიარული ძია სტიოპა.

მე დიდი ეტლით მივემგზავრებოდი დედასთან ერთად. მას პაწია პეტია ეჭირა ხელში, თავის ლაბადას აფარებდა და ქარს არიდებდა, ეშინოდა, — ბალღის პირველი მგზავრობა გაციებით არ დასრულდესო.

ჩემთვის ყველაფერი ახალი და საინტერესო იყო. იშვიათად ჩავდიოდი ხოლმე ტულაში და ახლა ცხენებით მგზავრობა თხუთმეტკილომეტრიან შარაგზაზე, — მშვნიერ ძველ ხერგილს რომ მიუყვებოდა ხიდზე, რომლის ქვეშ ანკარა, თეთრი ეორონკა მიედინება, და კიდევ მეორე ხიდზე, რკინიგზაზე რომ არის გადებული, უკვე საინტერესო და ამალელვებელი იყო.

ტულაში მატარებელში ჩავსხედით და ნიჟნი ნოვგოროდში ჩავედით. მე და ჩემი ძმები ფანჯარას არ მოვშორებოვართ და მხოლოდ მაშინ მოვწყდებოდით

ხოლმე, როცა დედა დაგვიძახებდა და რაიმეს მოგვცემდა ან პატარების მოვლაში მოხმარებას გვთხოვდა.

X თავი.



ქართული
ლიბრეოთეკა

ყველაზე წარმტაცი მგზავრობა ნიუნი ნოვგოროდიდან დაიწყო იქამდეში გადავსხედით.

ის განწყობილება რომ ვადმოგედოთ, რასაც განვიცდიდით უზარმაზარ დიდებულ გემზე, როცა სიცოცხლეში პირველად ვიხილეთ უზარმაზარი სივრცე მშვენიერი ვოლგის წყლისა, უნდა გავიხსენო, რომ იასნაია პოლიანასა და, იშვი-ათად ტულის გარდა, არასდროს არაფერი გვექონდა ნანახი.

მატარებელში მომქანცველი მოგზავრობის შემდეგ სუფთა პაერზე გასვლა ტალღებზე მონანავე ხომალდის პატარა, ფიცრულ ხიდურებზე სირბილი ისეთი სიამის მომგვრელი იყო, რომ დღემდე მახსოვს ეს გრძნობა. გამოგვიყვეს დიდი კაიუტა, სადაც დედა მოეწყო პაწია ბავშვებთან ერთად. ჩვენ, სამივე მოზრ-დილი ბავშვი, გემბანზე დავრჩით. ამუშავდა ბორბლები, მატროსებმა ასწიეს ხიდები, მყარ მიწასთან რომ გვაკავშირებდა, და ჩვენც ნარნარად გავუყვეით ვოლგის ტალღებს.

ზაფხული ახლახან დაიწყო და გაზაფხულის ლანქერს მდინარე აუდიდებია. ალაგ-ალაგ, რაც უნდა დავძაბო მხედველობა, არც ერთი ნაპირი არ მოჩანს. ვხედავ მხოლოდ წყალს, უსასრულო წყალს, უკიდევანო წყალს.

პაერი სუფთაა, როგორც მხოლოდ წყალზე იცის ხოლმე. გვიხარია მუხლის გამართვა და დავრბივართ მთელ გემზე, ყველაფერს ვათვალიერებთ და თუ რაიმეს ვერ გავიგებთ, მატროსებს ვეკითხებით. ისინიც სიამოვნებით გვაძლევენ პასუხს. მესამე კლასის მგზავრები სხვადასხვა ეროვნებისანი არიან: თათრები, ბაშკირები, სპარსელები, ცნობისმოყვარე მზერას არ ვაცილებთ მათ ჭრელ, ხასხასა ხალათებს, ჩალმასა და არახჩინს, ვისმენტ მათ განსაკუთრებულ, ხორ-ხისმიერ მეტყველებას და გვიკვირს, რად არ გვესმის მათი ნათქვამი.

სადილზე მგლებივით გვშია. ჩვენი კაიუტის გვერდით, საპირფარეშოში რიგრიგობით ვიბანთ ხელს და ვივარცხნით თმას. შემდეგ დინჯად მივდივართ ნაგიდასთან, მოაქვთ მრავალფეროვანი საუზმეული. ნაირნაირ საუზმესთან ერთად შემოაქვთ ხიზილალა შუშის ვაზით, რომელიც ყინულშია ჩადგმული. შემდეგ შემოაქვთ ცქვრინას ოქროსფერი წვნიანი. ამას მოჰყვება ათასგვარი სხვა კერძი, ერთიმეორეზე უფრო გემრიელი. კაპიტანი, თუმცა ყველანი თა-მამად ვიდებთ თეფშებზე საკმაოდ დიდ ულუფას, მაინც ფრიად თავაზიანად გვიმასპინძლდება და გვთავაზობს, კიდევ გადაიღეთო.

სადილის შემდეგ ისევ გემბანზე ავდივართ. ვუახლოვდებით ყაზანს. მამა გვეუბნება, აქ დეიდაჩემთან — პელაგია ილიას ასულთან — ერთად ვცხოვ-რობდი და ყაზანის უნივერსიტეტში დავდიოდით. გემი აქ ქვანახშირით უნდა დაიტვირთოს და კარგა ხანს მოუხდება დგომა. მამამ გადაწყვიტა ბიჭებთან ერთად ნაპირზე გასულიყო. დედა, მე და უმცროსი ბავშვები გემზე დავრჩით.

ქვანახშირით რომ დაიტვირთა, გემმა საყვირი აახმიანა, ხალხი აფუს-ფუსდა, წინ და უკან დარბოდნენ ხიდებზე, შემდეგ ხიდები მოხსნეს და გე-მიც დაიძრა.

დედამ ბიჭები და მამა მოიკითხა, დაუწყო ძებნა მთელს გემზე, მაგრამ

ველარსად ნახა. მეც დავირბინე ყველა ადგილი, სადაც ჩემის აზრით, შეიძლება ყოფილიყვნენ, მაგრამ ამაოდ — არსად ჩანდნენ.

— ღმერთო! — ამბობდა დედა, — ხომ არ დარჩნენ ყაზანში? ამასობაში გემმა ისე შორს გასცურა ყაზანის ნავსადგურიდან, რომ ხალხს ველარ გაარჩევდი.

დედა კაპიტანთან მივარდა.

— ჩემი ქმარი და ბიჭები ყაზანში დარჩნენ! — უთხრა აღელვებულმა, — ღვთის გულისათვის, დააბრუნეთ გემი. რას გააკეთებენ უცხო ქალაქში უფულოდ, თბილი ტანსაცმელიც არა აქვთ, აღარც საბუთები. მე გადავიხდი დახარჯული ქვანახშირის ფულს.

კაპიტანმა უხმოდ მოუსმინა მღელვარებისაგან გაოგნებულ დედას, შემდეგ გემბანის კაიუტასთან მივიდა და მკაფიოდ წარმოთქვა: „უკუსვლა!“ გემი შეჩერდა, — აღუღდა წყალი კიჩოსთან, — შემდეგ ნელა შემობრუნდა და უკან, ყაზანისაკენ წამოვიდა.

დედა და მე გემბანზე ვიდექით და აღელვებულები გავყურებდით ნავსადგურს. თუმცა კი ვვარაუდობდით, რომ მამა და ბიჭები ყაზანში დარჩნენ, მაგრამ მთლად დარწმუნებულნი არ ვიყავით. ვინ იცის? რაიმე უბედურებაც შეიძლებოდა მომხდარიყო! ვდუმდი და დედას არ ვუმხელდი ჩემს შიშს, მაგრამ თავში უამრავი საშინელი სურათი მიტრიალებდა...

„ილია ცელქია, იქნებ წყალში ჩავარდა, — ვფიქრობდი მე, — მამა კი ან, იქნებ, სერიოჟა ანდა ორივენი ერთად მის გადასარჩენად ჩაცვივდნენ წყალში... ვოლგა ღრმაა, ტანსაცმლით ცურვა კი მოუხერხებელია... იქნებ მოულოდნელად რომელიმე გემი დაეჯახათ... რა არ შეიძლებოდა მომხდარიყო“.

კრიჭაშეკრულნი ვიდექით გემბანზე, თვითელი ჩვენთვის ვფიქრობდით აფორიაქებულნი და რაც კი შეიძლებოდა, თვალს ვძაბავდით, იქნებ რაიმე დავინახოთ.

— ვგონებ, ისინი არიან! — უცებ წამოვიყვირე, როცა დავინახე ნაპირზე მდგარი ერთი დიდი და, აქეთ-იქიდან ორი მომცრო ფიგურა. დედა ახლომხედველია, მაგრამ მალე მანაც იცნო თავისი ქმარი და ვაჟიშვილები.

— ჰო, ჰო, ისინი არიან! — კვლავ დავიყვირე, — ბიჭებს ქურთუკებზე ვცნობ, ახლა კი მამაჩემის წვერსაც ვხედავ.

გემი ჯერ კიდევ არ მისდგომოდა ნაპირს, როცა ილიას ღრიალი შემოგვესმა. ადრე, როცა სულ პატარა ბიჭუნა იყო, სეირნობის დროს სულ ტიროდა, თუ ძიძა რამდენიმე ნაბიჯზე გაგვისწრებდა, წუწუნებდა: „რა არის, რატომ არ დამიცაადეთ!“ ახლა კი ნეტავ რას ფიქრობდა ან რა დღეში იყო, როცა ამოდენა გემმა არ დაუცადა?!

მამა შემცბარი ჩანდა. იგი სწრაფად ამოვიდა გემზე და პირდაპირ კაპიტანთან მივიდა, მოუბოდიშა და მადლობა უთხრა; თანაც შესთავაზა, ნახშირის ფულს გადაგიხდითო, რაზედაც კაპიტანმა თავაზიანად უთხრა უარი. შემდეგ ძმებმა მიაშბეს, ნავსადგურში ხილი ვიყიდეთ და იქვე, შორიახლო დავეხეტებოდითო. თუმცა ნავსადგურიდან ყაზანამდე რამდენიმე კილომეტრი იყო, მამას მაინც მოუნდა კვლავ ენახა ქალაქი, სადაც ახალგაზრდობაში ცხოვრობდა და სწავლობდა. და ვიდრე ბიჭებს ყაზანში თავისი ცხოვრების ამბებს უყვებოდა, გემიც გავიდა. უცებ პირკატა ეცა, როცა შუა ვოლგაში წერტილს ჰკიდა თვალი, თანდათან რომ შორდებოდა ნაპირს. ავიშვიშდა, სხვა გემს დაუწყო ძებნა,

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ხვალამდე სამარაში არც ერთი გემი არ მიდიოდა. ილია, რალა თქმა უნდა, აღრიალდა. რა უნდა ელონათ? იდგნენ ნავმისადგომთან და ჯერაფერი მოეფიქრებინათ.

მაგრამ აი, უცებ მოეჩვენათ, რომ ის წერტილი, მათ რომ გემად მიიჩნიეს, თანდათან გაიზარდა და მალე ეჭვიც აღარ ეპარებოდათ, რომ გემი უკან ბრუნდებოდა დოყლაპია მგზავრების წასაყვანად.

ყაზანი უკან დარჩა, წინ კი უჩვეულო სანახაობა გადაიშალა: ვოლგა გაფართოვდა და მარცხენა მხარეს წყალი მკვეთრად გაიყო ორ ზოლად, ერთმანეთს რომ მისდევდნენ, მაგრამ სრულიად სხვადასხვა ფერისანი იყვნენ, თითქოს გვერდიგვერდ ორი შეფერილობის ბაფთა დაედოთ: ერთი—ცისფერი, მეორე — მოყვითალო. ამ ადგილას კამა ვოლგას ერთვის, და თუმცა მათ წყლებს არაფერი მიჯნავს, ისინი კარგა დიდ მანძილზე მიედინებიან ისე, რომ ერთმანეთს არ ერწყმიან და ფერთაც მკვეთრად განსხვავდებიან ერთერთისაგან.

ყაზანის შემდეგ ვოლგის მარჯვენა ნაპირი თანდათან მალღდება, ციცაბო ხდება და ბოლოს მალღ მთებად იქცევა. ეს ქიგული ანუ ქიგულის მთებია. მთები ტყეებს დაუფარავს და როცა გემი ნაპირს უახლოვდება, მთის კალთებზე შეფენილი ცალკეული ბებერი ხეებიც მოჩანს. მაგონდება თქმულებანი ყაჩაღებზე, ამ ტყეებს რომ აფარებდნენ თავს, სახალხო გმირ სტენკა რაზინზე, თავის რაზმელებთან ერთად რომ დაეხეტებოდა ამ მიდამოებში.

როცა გემი სამარაში შევიდა და ნაპირზე უნდა გადმოვსულიყავით, ყველას გული დაგვწყდა, მაგრამ რას ვიზამდით, წინ კიდევ შორი გზა გველო.

XI თავი

იმ ხანებში — ეს გახლდათ 1873 წელს, — სამარიდან ორენბურგამდე, სადაც ჩვენი ხუტორი იდგა, რკინიგზა არ გადიოდა. ამიტომაც ას ოცკილომეტრიანი გზა ცხენებით უნდა გაგვევლო.

ღამე სამარის სასტუმროში გავათიეთ, რათა მეორე დილით ისევ გზას დავდგომოდით. სასტუმროს ეზოში გველოდნენ ჩვენთვის გამოგზავნილი ცხენები და იასნაია პოლიანადან ჩამოტანილი უზარმაზარი დორმეზი.

დილით სადარბაზოს შესასვლელთან მოაყენეს ეს დორმეზი, რომელშიც ექვსი ცხენი ება: ოთხი ცხენი ერთიმეორის გვერდით, ხოლო ორი წინ, ჭაპანში შებმული. ერთ-ერთ წინა ცხენზე იჯდა ბიჭი, „ვოლეტერს“ რომ ეძახდნენ.

დორმეზი შედგებოდა კარეტისა და ეტლისაგან. წინიდან კოფოებიანი კარეტა იდგა, ხოლო უკნიდან ჩარდახიანი ეტლი იყო მიბმული.

კარეტაში ჩასხდნენ დედა, ძიძა პაწია პეტიათურთ და „little ones“ ანუ ლელია და მამა. მამა უკან იჯდა, ფორანში, ჩვენთვის გამოგზავნილ უამრავ ფორნიდან ერთ-ერთში, რომელშიაც წყვილი მარდი ველის ცხენი ება. სხვა ფორნებში განლაგდნენ ბიჭები და ფო-ფო, ემილი, შინამოსამსახურენი, ლაქიები, მზარეული. მე ეტლში ვიჯექი ძია სტიოპასთან ერთად, რომელიც აქ იმიტომ დაჯდა, დედას თუკი რამ გაუჭირდებოდა, მიშველებოდა.

ღამქანცველი გზა იყო. სიცხე, მტვრის ბუდი, არც ერთი ხე. შუა გზაზე შეეჩერდით ღამის გასათევად გლეხის სასტუმრო-ბაკებში. დედა და პაწიები შიგ შევიდნენ, მამამ და ჩვენ, — უფროსმა ბავშვებმა, ეზოში გავათიეთ

ღამე, თივამოგებულ ფორნებში. ღია ცის ქვეშ წოლა ჩემთვის ახალი ხილი იყო და, თანაც, საინტერესო. დიდხანს ვერ დავიძინე. შევყურებდი ვარსკვლავებით მოჭედულ ზეცას, ყურს ვუგდებდი, რა დინჯად ახრამუნებდნენ ცხენები თივას და თან აღვირს აჩხარუნებდნენ, როგორ შარიშურობდნენ ზაზუნები ჩალაში... ხოლო გამთენიის ხანს ნათელმა აისმა ისე გამიტაცა, სულ დანახებოდა თავი. აყივლდნენ მამლები, აზმუვლდნენ ძროხები და ხბორები, აბრსვლდნენ ცხვრები. წამოდგნენ გლეხის ქალები და სათლების გრიალით შეუდგნენ ძროხების წველას, შემდეგ აჭრიალდა ჭიშკარი და გლეხის ქალებმა საქონელი მიწოდორში გარეკეს. მერე, როცა ეზოში ისევ მიყუჩდა ყოველივე, კარეტაში გადავძვეარი და გვიანობამდე სულუქცევრად მეძინა. ძლივს გამალვიძეს, ჩაი დალიეო, გზა უნდა გავაგრძელოთ.

გზა ხრიოკ ველებზე გადიოდა. ათეულობით კილომეტრზე, სადამდეც თვალი მისწვდებოდა, არც ერთი ხე არ ჩანდა. არც ხევი, არც წყარო, არც მდინარე... ველები, ველები, ველები... მზე უსაშველოდ აცხუნებდა, ჩრდილი კი სად იყო?

შესდექ! — დაუყვირა უცებ მეეტლემ „ფოლეტერს“. შევდექით. მე და სტიოპა ეტლიდან გადმოვედით: რა მოხდა-მეთქი, ვიკითხე. მტვრიან შარავზაზე ერთ-ერთი კიდურა ცხენი იწვა. საბრალო პირუტყვმა ვერ აიტანა სიცხე, ქანცი გაუწყდა და სული დალია. რა ჩარა გვქონდა, გზაზევე დავტოვეთ. მახსოვს უზარმაზარი უძრავი ლეში — მუცელგამობერილი, ფეხებმოწყვეტილი, თვალებამღვრეული პირუტყვი. მეეტლე ისევ აფოფრდა კოფოზე და დავიძარით. რა დიდი გზა გავიარეთ, მაგრამ არც კაცი შეგვხვედრია ვინმე და არც საცხოვრებელი სახლი დაგვინახავს. სოფლები და დაბები იშვიათად თუ გამოჩნდებოდა. სახლები კარგად ნაგებია, ყავრითაა დახურული და არა ჩალით, როგორც ჩვენსა, — ტულის გუბერნიაში არის ხოლმე. ბევრი სახლი ორსართულიანია, სოფლებიც დიდია, პატარა ქალაქის ოდენა. გლეხებს მშვენიერი ცხენები ჰყავთ და მოხერხებული, მსუბუქი ფორნები. გზა ყველგან მტვრიანია და სუფრასავით მოსწორებული.

შევჩერდით დიდ სოფელში — ზემლიანკიში, რათა ცხენებს დაესვენათ და ჩვენც დავნაყრებულიყავით. ზემლიანკი დიდი სავაჭრო სოფელია. აქ ბაზრობა იციან, ბაზრობა, სადაც არა მარტო ყიდულობენ და ყიდიან ყველაფერს, რაც კი ადამიანის მარჯვენას შეუქმნია, არამედ ქირობენ კიდევ ხალხს საზაფხულო სამუშაოებისათვის.

მამამ გვითხრა, აქედან ჩვენს ხუტორამდე ოცი კილომეტრიღაა დარჩენილიო. გავმხნევდით და გავმხიარულდით. ცხენები დავარწყულეთ და გზა განვაგრძეთ.

— ძია სტიოპა, — ვეუბნები ჩემს თანამგზავრს, — ნუთუ ტყე არსად არის და სოკოებსაც ვერ დავკრებთ?

— არ არის, — მეუბნება ძია, რომელიც შარშან ზაფხულს მამაჩემთან ერთად იყო სამარის ხუტორში, — ტყე არსად არის. ხუტორის შორიახლოს ერთი დიდი ხეცია, ამ ხეცში არყის ხეები იზრდება. მაგრამ ისე კი არა, როგორც ჩვენში, ბუჩქებად იზრდება, ადამიანის სიმადლეზე.

— ნუთუ არც გუბურაა და არც მდინარე?

— არ არის. მამათქვენმა ბრძანა, სახლის გვერდით გუბურა გაეთხარათ, მაგრამ წყალი არ ჩერდება და ზაფხულობით შრება.

— მდინარეები?

— მდინარე არის სოფლიდან თხუთმეტოდე კილომეტრზე. კარალიკს ეძახიან. მაგრამ ჩვენს მდინარეებს არა ჰგავს; ეს მდინარე კალაპოტში არ მიედინება, ერთმანეთთან დაუკავშირებელი პატარ-პატარა ტბებია. და შორია.

— ყველგან ასე ულაზათო ბუნებაა, როგორც აქ?

— არა, ხუტორს რომ მიუახლოვდებით, უცნაურ ბორცვებს დაინახებთ. ეს ნიჟარების ბორცვებია და სხვადასხვა გაქვავებული მინერალისაგან შედგება. მათ შორის ერთ-ერთს „ეშმაკის თითს“ ეძახიან, რომელიდაც გაქვავებული მოლუსკია და იმიტომ. ახლა ეს ქვა მოყვითალო-მონაცრისფეროა, მართლაც თითს ჰგავს, ოღონდ უფრო წაგრძელებული და მახვილი ბოლო აქვს. მთელი ეს ადგილი ადრე, უხსოვარ დროს, უზარმაზარი ზღვა ყოფილა და ის გაქვავებული რამერუმები, ველებში რომ ვნახულობთ, ადრე ზღვაში იყო.

ეს ნათქვამიც მომეწონა და მოუთმენლად ველოდი მთების გამოჩენას. ბოლო სოფელი გავრილოვკა იყო, აქედან ხუტორამდე ცხრა კილომეტრიდა დაგვრჩენოდა.

ველი უწინდებურად მოსწორებული, მაგრამ აი, უცებ თვალსაწიერზე გამოჩნდა მთა, სწორი კონუსისებრი ფორმა და მომრგვალებული მწვერვალი აქვს.

— ძია სტიოპა, რა არის ეს? — ვიყვირე მე.

— შიშკის მთაა, ხუტორს იქით ორ-სამ კილომეტრზე იქნება. შიშკის შორიახლოს კიდევ რამდენიმე ამალლებული ადგილი ჩანს, მაგრამ არც მასავით მაღალი და არც მისებრი ფორმისა. ძია სტიოპამ ამიხსნა, ეს ყორღანები ანუ მიწაყრილი არისო, აქ უხსოვარ დროში ადამიანები თავიანთ მიცვალებულებს ასაფლავებდნენო.

აი, როგორც იქნა, ჩვენი ხუტორიც გამოჩნდა. პაწია რუხი ფიცრული სახლი და მის გვერდით რამდენიმე სამეურნეო მინაშენი, ისინიც ხისაა. იქით, ვიღაც დგას ქეჩის კარავი, რომელსაც აქ ალაჩოყს ეძახიან.

და აი, ჩვენ აქ უნდა გავატაროთ მთელი ზაფხული!

XII თავი

პირველ ხანებში ყველაფერს ვათვალთვლებდი, რაც კარმიდამოში და მის შემოგარენში იყო.

სახლის დათვალთვლებას დიდი დრო არ დასჭირვებია: ოთხ ოთახს ირგვლივ აივანი არტყია. სახლში ვიცხოვრებთ: მამა, დედა, უმცროსი ბავშვები და მე. ბიჭები, ფო-ფო და სტიოპა დიდ საბძელში, ველად იცხოვრებენ; სახლიდან რამდენიმე მეტრზე დგას ქეჩის კარავი, სადაც მოხუცი ბაშკირი მუჰამედშახი ცხოვრობს ოჯახითურთ. ისინი სამკურნალოდ ჩამოსულთათვის კუმისს დაამზადებენ.

არის კიდევ რაღაც-რაღაც ნაგებობანი მუშახელისთვის, ცხენ-ძროხისათვის.

სახლის ირგვლივ არც ხეა, არც ყვავილი, არც ტბორი... ბალახი გამხმარი და ჩხვლეტიაა.

მცხუნვარე მზისაგან თავის შეფარება შეიძლება მხოლოდ ჩვენს უზარმაზარ ღორმეზში, შუა ეზოში რომ დგას და ჩვენს დაბრუნებას ელოდება. მოწყენილობაა...

წყლის შეცვლამ და სიცხემ პირველ ხანებში დაგვცადა და ყველას კუჭი აგვიშალა. დედა სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. ექიმის ჩამოსაყვანად ესე შორს სად გაგზავნიდა კაცს. ამიტომ როგორღაც იმ წამლებით უნდა გავსულიყავით ფონს, დედამ თან რომ ჩამოიტანა.

ქვების საქმე გაძნელდა: წყალს ჭიდან იღებდნენ „უგემური იყო, თან საშიში. თეთრი პური არც იყო და ვერც გამოაცხობდი, რადგან საფუარი არა გვქონდა. შავ პურსა და ორცხობილას ვჭამდით...

აივანზე ვსადილობდით, მაგრამ სიცხე და მწერები გვაწუხებდნენ და ჭამა გვიჭირდა. მზის ჩასვლის შემდეგ, სუნთქვა გვიადვილდებოდა, საღამოობით აივანზე ვსვამდით ჩაის, მაგრამ მწერებისაგან ვერც აქ ვიცავდით თავს. ავანთებდით თუ არა სანთლებს შუშის თალფაქში, მაშინვე სუფრაზე პარტყა-პურტყით ცვიოდნენ შავი ხოჭოები. ფრთებმოკეცილნი საფანტივით ცვიოდნენ თეთრ სუფრაზე. ჯერ გაუნძრევლად იწვნენ, შემდეგ თანდათან მოცოცხლდებოდნენ და სუფრაზე გარბი-გამორბოდნენ.

დალევ ჩაის და დაწვები დასაძინებლად, მაგრამ რა დაგაძინებს ასეთ სიცხეში! ჰაერი დახუთებულია. წრიალებ, ხან ბალიშს გადააბრუნ-გადმოაბრუნებ, მაგრამ იოტისოდენა სიგრილეს ვერსად იპოვი.

გათენდება, ისევ ამოდის მცხუნვარე მზე, რომელსაც ისევ ვერსად დაემალები.

ვერც საქმე ვნახე გასართობი და დადარდიანებული ვოცნებობდი იასნაია პოლიანაზე. მომქანცველი დღე დაუსრულებლად ჭიანურდებოდა.

ბოლოს მომაფიქრდა გავიქცევი-მეთქი. „ავდგები დილაუთენია ჩუმად, არავინ რომ არ გაიგოს და გავიქცევი პირდაპირ იასნაიაში“, — ვფიქრობდი გუნებაში.

მთელი ჩემი აზრი იქითკენ იყო მიმართული, როგორ განმეხორციელებინა ეს გეგმა.

„გზაში ხომ ფულია საჭირო, — ვმსჯელობდი გუნებაში, — ფული კი არა მაქვს. როგორ მოვიქცე?“ — ახლა იმაზე ვიმტკრევდი თავს, ფული როგორ ვიშოვო-მეთქი.

„ხომ არ გავყიდო საყურეები, დიდედამ — ლიუბოვ ალექსანდრეს ასულმა რომ მიყიდა? ოქროს საყურეებია და ნაღდი მარჯნის თვლები აქვს, ალბათ ძვირი ეღირება... მაგრამ სად ან ვის მივყიდო? დედას ან მამას რომ მოვთხოვო, მკითხავენ, რისთვის გჭირდებაო. და თუ ვეტყვი, რა თქმა უნდა, არ მომცემენ. იქნებ სჯობდეს, სტიოპას ვთხოვო და თან ჩემი გეგმაც გავანდო? მაგრამ ფული სტიოპასაც არ ექნება, ვიცი, ვალები აქვს. გავიგონე, ამის თაობაზე დედაჩემი რომ ელაპარაკებოდა...“

გადავწყვიტე ჰანას ჩამოსვლას დავლოდებოდი. ეგების მან შეძლოს და გაამშვენიეროს ჩემი ცხოვრება, თუნდაც სულ ოდნავ მიამსგავსოს იასნაიაში გატარებულ დღეებს, როცა მე, სერიოჟასა და ილიას თაღებიან ოთახში გვზრდიდა.

და ვიდრე ჰანა ჩამოვიდოდა, ვცდილობდი ცოტათი მაინც დამედო წილი ბიჭების ცხოვრებაში. ისინი უმეტესად ნადირობაზე, თოფებსა და ძაღლებზე

ლაპარაკობდნენ. ფო-ფო გატაცებული მონადირე იყო. თუნებობდა, თუნდაც ერთი სავათი მოეკლა, ველზე ხშირად რომ შეიძლება შეგხვედროდა. სავათე-ბი — ინდაურის მსგავსი უზარმაზარი ფრინველებია, ძალზე ფრთხილი და მგრძობიარენი არიან და ადამიანს ახლოს არ იკარებენ.

რალაც ხრიკებით, ცხერის ფარას შეფარებულმა ფო-ფომ მოატყუა საბრალო სავათი და მოკლა.

ერთხელ სახლთან მისულმა დავინახე ფარზე მილურსმული უზარმაზარი, ფრთებგაშლილი მშვენიერი ფრინველი.

გერმანელს ეამაყებოდა საკუთარი წანადირევი და სურდა, ყველას ენახა. თვითონ სიხარულისაგან ბრწყინავდა.

დედამ ფრინველი ააწონინა და თვრამეტი გირვანქა გამოვიდა. შემდეგ მისი ხორცისაგან ძმრიანი მუყუყი გააკეთეს და ცოტაცოტაობით შევჭამეთ ფეოდორ ფეოდორის ძის სიმარჯვის გულუბრყვილო მსხვერპლი.

სავათებს გარდა, აქაურები „დუდაკებს“ რომ ეძახდნენ, ველებში არწივები ბინადრობდნენ. ზოგჯერ გუნდად იყვნენ, ზოგჯერ თითო-თითოდ.

ერთხელ დილით ყავა დავლიე და სახლიდან გამოვედი. დავინახე ასე, თხუთმეტი-ოციოდე უზარმაზარი, მუქი ფერის ფრინველი, ამომშრალი გუბის გაღმა მხარეს რომ ისხდნენ.

შევვარდი ოთახში, რომ ბიჭებისათვის დამეძახნა, მაგრამ შერბენა ვერ მოვასწარი, რომ არწივები უკვე ერთმანეთის მიყოლებით შლიდნენ თავიანთ მძიმე ფრთებს და აუჩქარებლად მიფრინავდნენ ველზე.

ერთხელ ბიჭებმა საიდუმლო გამანდეს, შენ თუ იცი, ფო-ფო რად დადის მუდამ ასე საგულდაგულოდ თმადავარცხნილიო.

— იცი, — მითხრა სერიოჟამ, — თავისი თმა არა აქვს, პარიკს ატარებს.

— პო, — გააგრძელა ილიამ, — გავიღვიძე ღამით და რას ვხედავ: ფო-ფოს თავი საზამთროსავით მოტვლებილი აქვს და კეფას იპარსავს. პარიკი მაგიდაზე უდევს. როცა დაინახა, რომ მეღვიძა, დამიყვირა, დაიძინეო. შემეშინდა და საბანი წავიფარე თავზე.

— შენ ერთი გულდაგულ დააკვირდი იმ ადგილს, სადაც თმა აქვს გადაყოფილი, — მითხრა სერიოჟამ, — ძაფით არის გაკერილი და კანი არა ჩანს.

ბიჭების ამ ნათქვამმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ადრე არასოდეს გამეგონა, რომ ვინმე პარიკს ატარებდა. თვალს არ ვაცილებდი საბრალო გერმანელის თავს და დავასკვენი, რომ ბიჭები მართლები იყვნენ.

XIII თავი

მამა ყოველნაირად ცდილობდა დედაჩემისა და ჩვენს ვართობას. გრძობდა, მის გამო რომ წამოვედით აქ ყველანი და ამიტომ უნდოდა, რაც შეიძლე-

ბა ნაკლებ მოგვეწყინა. ხშირად გაგვასეირნებდა ხოლმე ფორნებით მორიახლო მდებარე რუსთა თუ ბაშკირთა სოფლებში.

უფრო ხშირად გავრილოვკაში მივდიოდით ნაცნობ გლეხთან ვასილი ნიკიტას ძესთან. ჭკვიანი, ზრდილობიანი ბერიკაცი იყო, რომელსაც ხან რწმენაზე ესაუბრებოდა, ხან სხვადასხვა სექტაზე, მრავლად რომ იყო აქაურ გლეხებში.

ბავშვებს ცოტა რამ გვესმოდა უფროსების ნალაპარაკებისა. შევექცეოდით მშვენიერ ჩაის, სურნელოვან თაფლსა და ალუბლის ნამცხვართან ერთად რომ მოგვართმევდნენ ხოლმე სტუმართმოყვარე მასპინძლები.

— მე ჩაიში სახსარს ვპოულობ, — მეუბნებოდა ვასილი ნიკიტას ძე და გემრიელად ხვრებდა ლამბაქიდან ცხელ ჩაის.

ვასილი ნიკიტას ძეს ცალ თვალზე ლიბრი ჰქონდა გადაკრული. წითური წვერი და ფართოდ დაჭორფლილი ხელები ჰქონდა.

ყურადღებით უსმენდა მამის ნათქვამს, თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა და ამბობდა:

— ნამდვილად ასეა, ნამდვილად...

ერთხელ მამამ ბაშკირების სოფელში იქაურ მოლასთან სტუმრად ჩაგვიყვანა. ამ სოფელს ყარალიყი ერქვა. მამა ადრეც იყო იქ ნამყოფი, სამარის გუბერნიაში უამრავი ნაცნობი ბაშკირი ჰყავდა.

გზად ხევი გავიარეთ, სადაც, ჩემდა სასიხარულოდ, პირველად დავინახე მთელი ამ ხნის განმავლობაში არყის ხე, ნამდვილი რუსული არყის ხე, თეთრი ზრო და მოელვარე სურნელოვანი ფოთლები რომ ჰქონდა. მაგრამ როგორი ჯუჯა იყო! სიმაღლით ადამიანს არ აღემატებოდა, კუზიანი დედაბერივით ერთბაშად დაკრუნჩხულ-დაგრეხილიყო. და მაინც კუზიანი დედაბრის ნახვამაც გამახარა, რადგან მშობლიური იყო. დავკრიფე ფოთლები და ვცნოსავდი, მაგონდებოდა სამების დღე იასნაია პოლიანაში, როცა მთელი სახლი არყის ხის ტოტებით იყო მორთული...

იმავე ხევში დავკრიფეთ უჩვეულოდ ლამაზი წითელი ყვავილები. ტირიფისას მოგაგონებდათ, მაგრამ ისეთი ხასხასა ფერისა იყო, რომლის მსგავსი არასოდეს მენახა.

ბაშკირული სოფელი მდინარეზე იყო გაშენებული, მაგრამ რაღა მდინარე ეთქმოდა იმ ცალკეულ, პატარ-პატარა მრგვალ ტბებს, ერთმანეთისაგან მყარი მიწა რომ აშორებდათ.

ბაშკირული სახლები კარგად არის ნაგები, სუფთაა, სასიამოვნო. მოლამ გულლიად და სტუმართმოყვარულად მიგვიღო. მალე აქვე მოვიდნენ მამაჩემის ძველი ნაცნობები. მათ შორის იყო ძალზე მხიარული ბაშკირი მოხუცი, რუსულად მიხეილ ივანეს ძეს რომ ეძახდნენ. მისვლისთანავე შესთავაზა მამას, შაში ვითამაშოთო. მამა დაეთანხმა და მაშინვე მიუსხდნენ შაშის დაფას. როცა ძნელი სვლა იყო, მიხეილ ივანეს ძე შუბლს იფხანდა და ამბობდა:

— ფიქრია საჭირო. დიიიდი ფიქრია საჭირო.

ამასობაში ჩვენი მასპინძლის მოჯამაგირე ცხვრის დასაკლავად გაგზავნეს, მანამდე კი ჩაი და კუმისი შემოგვთავაზეს.

როცა ცხვრის ხორცი მოიხარშა, მსახურმა მსუქანი ნაჭრებით პირთამდე სავსე უზარმაზარი ხონჩა შემოიტანა. გაგონილი მქონდა, ბაშკირებში მშობლ-თავაზებულზე უარის თქმა წესი არ არის, რადგან ასეთი საქციელი მსხმძის-ლებს ძალიან ტკენსო გულს. მიაშბეს, თუ სტუმარი არ აიღებს შეთავაზებულ ცხვრის ხორცს, მაშინ მასპინძელი იმ ნაჭერს მთელ სახეზე მოუსვამს, რის შემდეგაც სტუმარი იძულებულია ნაჭერი მაინც შეჭამოსო. ამიტომაც, როცა ბაშკირმა ხელით გადმომიღო ცხვრის ხორცის ნაჭერი, სასწრაფოდ შევჭამე. აქვე უნდა დავსძინო, რომ შეჭმა სულაც არ გამჭირვებია, რადგან დიდი გზა გვქონდა გამოვლილი და მომშივნოდა, თანაც ცხვრის ხორცი ნაზი და გემრიელი საჭმელი იყო. იმ ხანებში არათუ ვეგეტარიანელი ვიყავი, საერ-თოდაც ჩვენს სახლში არასოდეს არც თქმულიყო და არც გვსმენოდა ვეგეტა-რიანელობაზე რაიმე.

მამაჩემი ვისაც არ უნდა შეხვედროდა, ყველასთან გამოძებნიდა საერთო ენას. სულ ადვილად პოულობდა საგანს საინტერესო საუბრისათვის. მოლას რელიგიაზე ესაუბრებოდა, მიხეილ ივანეს ძეს ეხუმრებოდა, სოფლელ გლე-ხებს ნათესებზე, ცხენებზე, ამინდზე ჩამოუგდებდა სიტყვას... და ყველანი მინ-დობილად და გულდიად აძლევდნენ პასუხს.

ნასადილევს რემების სანახავად წავედით. დედამ ძალზე შეაქო ერთი კობტა ზერდაგი ფაშატი, თქვა, ეს ჩემი საყვარელი ფერი არისო. მამამ დას-ძინა, ეს პატარა ფაშატი საოცრად კეთილიაო.

ერთ-ერთ მრგვალ ტბას რომ ჩავუარეთ, წყალზე თეთრი ღუმფარები შე-ვამჩნიე. აღმაფრთოვანა წყლისა და ამ ყვავილების ხილვამ. ვცადე, ერთს მივ-წვდომოდი, მაგრამ ვერ მოვახერხე. მაშინ ისე, რომ დიდხანს არც უფიქრია, მოლას შეიღმა, ახალგაზრდა ბაშკირმა ნაგიმმა გაიხადა თავისი ტყავის სატუ-ცები, შემდეგ — რბილი მწვანე ფერის ტყავის ჩექმები, აიკარწახა შარვლის ტოტები და წყალში შევიდა. დაკრიფა მთელი თაიგული ღუმფარებისა და მო-მაწოდა. არ ვიყავ ნაჩვევი ამგვარ თავაზიანობას და გავწითლდი, ყვავილები ჩამოვართვი და მადლობა-მეთქი, ბურტყუნით ვუთხარი.

სალამო ხანს გამოვემშვიდობეთ გულდია მასპინძლებს და მსახურთ ვუბრ-ძანეთ, ჩვენი ფორნები მოერთმიათ. პირველზე, რომლითაც მამა და დედა ჩამოვიდნენ, ის ლამაზი ზერდაგი ფაშატი იყო მიბმული, დედამ რომ შეაქო. თურმე მასპინძელმა დედას აჩუქა. აღმოსავლეთში წესად აქვთ აუცილებლად აჩუქონ სტუმარს ის, რასაც შეაქებს. დედა შეცბა:

— რა სირცხვილია! — იყვირა მან, — რა საჭიროა? რომ მცოდნოდა, არა-ფრით არ შევაქებდი თქვენს ცხენს... — დედას უნდოდა გამოეხსნა და დაებ-რუნებინა ცხენი პატრონისათვის, მაგრამ მამამ შეაჩერა, იცოდა, რომ ეწყი-ნებოდა ცხენის გამჩუქებელს...

მამამ გულითადი მადლობა უთხრა მოლას, ხელი ჩამოართვა, და ჩვენც შინსაკენ გამოვემგზავრეთ. ზერდაგი ფაშატი მხიარულად მოკურთხეულებდა, დედა კი ვიწვიშებდა, როგორ არ გამახსენდა აღმოსავლური ზნე-ჩვეულება და ცხენი რად შევაქეო. მაგრამ მამამ, როგორც კი შემთხვევით შევხვდნენი მეოქროს თუმნიანი აჩუქა ბაშკირელს ცოლისა და ასულის კაბების მოსართავად.

XIV თავი

იმ ხანებში მამას ცხენების უზარმაზარი რემა ჰყავდა. მიზნად დაისახა, ველის მომცრო ცხენები ევროპული ჯიშის დიდტანიან ცხენებთან შეეჯვარებინა. იმედოვნებდა, რომ პირველთა ძალა, ამტანობა და სიფიცხე მეორეთა სილამაზეს, სისწრაფეს და ახოვნებას შეერწყმებოდა. მოიწვია მთელი შტატი მეჯოგეებისა, მეველეებისა და მეჭინიბეებისა.

ცხენები მიყვარდა და ამიტომ შევეცადე დავმეგობრებოდი ყველას, ვინც მეცხენეობის საქმეს განაგებდა. ჩემი გულითადი მეგობარი იყო მეჯოგე ლუთაი, რომელიც, რაკი ძალზე მარჯვე იყო და ყველაზე ველური ცხენების მოთვინიერებაც შეეძლო, მამამ ჩვენს მეორე მეეტლედ დანიშნა.

ზოგჯერ, როცა სადმე უნდა გავმგზავრებულიყავით ცხენებით, ლუთაის ცხენის შებმას უბრძანებდნენ; აიღებდა ხელში ქამანდსა და აღვირს და წავიდოდა ველზე, სადაც რემა ძოვდა. ამოიღებდა მიზანში ცხენს, ქამანდს მოიმარჯვებდა და მიუახლოვდებოდა. ნახევრად ველური ცხენები უფრთხოდნენ, ერთად შეკგუფდებოდნენ, მაგრამ ლუთაი მოხერხებულად ჩამოაცვამდა ქამანდს შერჩეულ ცხენს კისერზე და ისე გადაგრებდა, რომ ცხენი ველარ დაუსხლტებოდა. იწყებდა ხიხინს, დავარდებოდა მიწაზე, შემდეგ წამოიჩოქებდა, ისევ დაეცემოდა და გვერდზე გადავარდებოდა, თითქოს მოკვდაო.

მაშინ ლუთაი დაწოლილ ცხენს ჩამოაცვამდა აღვირს, პირში ლაგამს ამოსდებდა — უფრო ფიცხ ცხენს ჩიჩვირსაც ამოუბრუნებდა და მოუქანჩავდა — და ცოტა-ცოტაობით უშვებდა ქამანდს. ცხენი მოცოცხლდებოდა და ფეხზე დგებოდა. ლუთაიც — სწრაფად და მოხერხებულად მოეცლებოდა ზურგზე და ახლა გაცოფებული ცხენი მხედრის გადმოგდებას ცდილობდა. ყალყზე დგებოდა, ხან ტლინკაობდა, ხან სულ გაირინდებოდა, ხანაც ცოფიანივით გაიჭრებოდა ველად, მაგრამ ლუთაის, თითქოს ცხენის ზურგს შეზრდიაო, ვერავითარი ძალით ვერ აგდებდა ძირს. რამდენიმე წუთის გიჟური ჭენების შემდგომ ცხენი, ბოლოს და ბოლოს, იქანცებოდა და ისე თვინიერი ხდებოდა, რომ მასზე ამხედრებული ლუთაი კიდევ ორ ცხენს იჭერდა სამცხენიანი ეტლისათვის.

გაბადრული ბრუნდებოდა შინ, ორი ცხენიც სადავით მოჰყავდა და მეჭინიბეთა დახმარებით შეაბამდა ხოლმე ეტლში, სახლის წინ რომ იდგა.

როცა ეტლში ცხენებს შეაბამდნენ, ლუთაი კოფოზე დაჯდებოდა და თვითულ ცხენს თითო მეჯინიბეს დაუყენებდა, რათა აღვირი დაეჭირათ. ცხენები მშვიდად არასოდეს დგანან — ბუზებს იგერიებენ, ხვიხვინებენ, ფლოქვეებით მიწას ჩიჩქნიან. ლუთაი მოიკალათებს კოფოზე და ჩვენ გვეძახება:

— ჰეი, ტანკა, დაჯექი! სტოპკა, დაჯექი, სეროშკა, დაჯექი, ბლუსკა, დაჯექი!

ჩავცვივლებით ეტლში, ლუთაი მეჯინიბეებს უყვირის:

— აბა, ხელი გაუშვით!

მეჯინიბეები სწრაფად გავარდებიან გვერდზე. ლუთაი პირველად თავის ნებაზე მიუშვებს ცხენებს, ისინიც ისრებივით გავარდებიან მოსწორებულ შარავზაზე. ეტლი წარმოუდგენელი სისწრაფით მიქრის. ხშირად წესიერად დაჯდომასაც ვერ მოასწრებ, მხოლოდ მუცლით დაებერტყები ბალიშზე და ხელებით ჩააფრინდები ეტლის გვერდს, ცხენებიც უმალ მოწყდებიან ადგილს და ცოფიანივით გავარდებიან. და დიდხანს უნდა გაუძლო ამგვარ ყოფას, ვიდრე ცხენები არ მოიქანცებიან და ნაბიჯით არ წავლენ. მხოლოდ მერე, როცა სხვებიც მოგეშველებიან, თუ დაჯდები მოხერხებულად.

ლუთაის სადავე უჭირავს და ცხენებს სურვილისამებრ მართავს. მერე მოაბრუნებს გაბრწყინებულ სახეს, თავს ცხენებისაკენ გაიქნევს და გვეუბნება:

— ხომ დაინახეთ? — და მონღოლურ პირისახეზე ღიმილი მოეფინება!

(გაგრძელება იქნება)



იტალიურიდან თარგმნა
პაჩანა პრეჰვაცკი

დილოზები

გამოსვლა პირველი

პირველი ჰორა და მზა

პირველი ჰორა. დილა მშვიდობისა, თქვენო ბრწყინვალეზა!
მზა. უმჯობესი იქნებოდა, ღამე მშვიდობისა გესურვებინა.
ჰორა. ეტლი მზადაა.

მზა. კეთილი და პატიოსანი.

ჰორა. ცისკრის ვარსკვლავი უკვე გამობრძანდა.

მზა. გამობრძანდა და სადაც უნდა, იქ წაბრძანდეს.

ჰორა. რისი თქმა სურს ამით თქვენს ბრწყინვალეზას?

მზა. რისი და იმისა, რომ, თუ შეიძლება, თავი დამანებე.

ჰორა. კი მაგრამ, თქვენო ბრწყინვალეზა, ღამე ისე გაგრძელდა და ვა-
ჭიანურდა, რომ მეტი აღარ შეიძლება. ცოტაც რომ შევყოვნდეთ, ვაითუ ყვე-
ლაფერი აირ-დაირიოს.

მზა. გინდ აირ-დაირიოს და გინდ გადაირიოს, აქედან ფეხის მომცვლელი
არა ვარ.

ჰორა. რას ბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალეზა? შეუძლოდ ხომ არა
გრძნობთ თავს?

მზა. არაფერსაც არა ვგრძნობ, გარდა იმისა, რომ მომკალი და აღგილიდან
ნუ დამძრავ. შენ კი გასწი, საქმეს მიხედუ.

ჰორა. სად გავწიო, ან სად წამესვლება, თუ ამოსვლაზე უარს აცხადებთ?
ნუ ხომ დღის საათთა შორის პირველი ვარ, ხოლო დღეს რა გაათენებს, თუკი
თქვენი ბრწყინვალეზა არ ინებებს, როგორც წესი და რიგია, ამ ალყაფიდან
გამობრძანებას?

მზა. მაშინ შენც ადექი და დღის კი არა, ღამის პირველი საათი იყავი.
ანდა, დაე, ღამის ჰორებმა ზედიზედ მეორედაც იყარაულონ, შენ კი შენს დო-
ბილებთან ერთად მოისვენე. იმიტომ რომ, მართალი გითხრა, ყელში ამომი-
ვიდა სულ ერთი და იგივე, ერთი და იგივე: იტრიალე, უნათე და სითბო უგ-
ზავნე იმ უბადრუკ არსებებს, რომლებიც ტალახის პაწაწინა კოლბოზზე ცხოვ-
რობენ, იმდენად პაწაწინაზე, რომ, მთელი ჩემი შორსმჭვრეტელობის მიუ-
ხედავად, აქამდე ვერ იქნა და ვერსად დავლანდე. და, აი, წუხელ გადავწყვიტე

დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 1

ამას იქით ხელი ავიღო მათ სამსახურზე, ხოლო თუ ადამიანებს უსინათლოდ არ გაეძლებათ, მაშინ კეთილინებონ და საერთოდ ნუ ჩააქრობენ ცეცხლს, თუმცა მე რა მესაქმება, თავის თავს თვითონ მიხედონ.

ჰორა. კი მაგრამ, თქვენო ბრწყინვალეებავ, ერთხელ მაინც თუ დიფიქრულხართ, ამ საცოდავებმა როგორ უნდა გაძლონ უთქვენოდ ჩვენი ცეცხლს ჩააქრობენ, ველარც ფარნებს და ველარც სანთლებს, რა წიბე გაუძლებს ამას? საწვავის რაღაც იაფი წყარო რომ აღმოეჩინათ, ვთქვათ, ჰაერი გამოეყენებინათ ქუჩების, სახლების, დახლების, სარდაფების თუ სხვა მისთანათა გასანათებლად, კიდევ არა უშავდათ, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ადამიანებს სამასი წელიც არ ეყოფათ საამისოდ, ხოლო ამასობაში ზეთიც გაუთავდებათ, ცვილიც, ქონიც და ფისიც, ასე რომ, საწვავის ნასახიც აღარ დარჩებათ.

მზე. მაშინ ციციანთელებზე, ამ მოციმციმე ხოჭოებზე მოუწევთ ნადირობა.

ჰორა. ანდა სიცივისაგან როგორღა დაიცავენ თავს? რადგან თქვენი ბრწყინვალეების გულმოწყალებისა და შემწეობის გარეშე ადამიანები მაინც ვერ შეძლებენ გათბობას, თუნდაც ცეცხლს შეუკეთონ მთელი ხე-ტყე, რაც დედამიწაზე მოიპოვება. ეგეც არ იყოს, შიმშილით ამოწყდებიან, ვინაიდან დედამიწა აღარ აღმოაცენებს არავითარ ნაყოფს და რამოდენიმე წელიწადში ამ საცოდავეების სახსენებელიც არსად დარჩება; ერთხანს ხელის ფათურით იბორიანებენ დედამიწის ზურგზე საზრდოსა და სათბობის საძებნად, მერე კი, როცა შთანთქავენ ყველაფერს, რისი შთანთქმაც შეიძლება, და უკანასკნელი ნაკვერცხალიც მიიფერფლება, ან შიმშილი მოუღებთ ბოლოს, ან სიცივისგან გათოშილნი ყინულის ლოლუებად გადიქცევიან.

მზე. მაგაზე დამიდგა დარდი. მე რა, კაცთა მოდგმის ძიძა ვარ თუ რა? ან, იქნებ, მათი მზარეული გგონივარ და ჩემს ერთადერთ მოვალეობად ის მიმაჩნია, რომ დროულად აღმოვაცენო ნაირ-ნაირი ნაყოფი და სასმელ-საჭმელი არ მოვაკლო მათ სუფრას? რა ჩემი საქმეა, თუ იმ უბადრუკი არსებების ჯოგს, რომლებიც აქედან რამოდენიმე მილიონი კილომეტრის დაშორებით დალოდავენ დედამიწაზე და რომლებსაც მათი სიმცირისა და სიპატარავის გამო ვერც კი ვხედავ, უჩემოდ არც რაიმეს დანახვის თავი აქვს და არც სიცივის გაძლებისა? მაგრამ თუ მაინც იძულებული ვიქნები ბუხრის ან კერიის მაგივრობა გავუწიო კაცთა სახლეულს, ადამიანთა მთელს მოდგმას, გონება მოითხოვს, რომ სახლეული თვითონვე მიუჩოჩდეს ბუხარს, თვითონვე იტრილოს მის ირგვლივ და არა პირიქით: ბუხარმა — სახლეულის თუ სახლის ირგვლივ. რახან დედამიწას უჩემოდ არ გაეძლება, თვითონვე გაისარჯოს, თვითონვე იტრილოს ჩემს გარშემო, თუ უნდა, რომ გვერდითა ვყავდე. მე კი პირადად დედამიწა არას მარგია და ამიტომ არც მის სიახლოვეს დავეძებ.

ჰორა. თუ სწორად გაგიგეთ, თქვენს ბრწყინვალეებას ამისი თქმა სურს: დაე, დედამიწამ აწი თვითონ აკეთოს ის, რაც აქამდე მე მიკეთებიაო.

მზე. დიახ, აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე.

ჰორა. რა თქმა უნდა, თქვენს ბრწყინვალეებას საკმარისზე მეტი საბაბი აქვს ამის სათქმელად და, ეგეც არ იყოს, ვის შეუძლია ხელი შეგიშალოთ იმაში, რომ, როგორც გინდათ, ისე მოიქცეთ? მაგრამ კარგად დაფიქრდით, თქვენო ბრწყინვალეებავ, რამდენი დიდებული რამ განქარდება, რამდენი აუცილებელი რამ სამუდამოდ გამოგვეცლება ხელიდან მხოლოდ იმიტომ, რომ

ამ ახალი წესრიგის შემოღებას აპირებთ. დღეს აღარ ეყოლება აღარც თავისი საუცხოო, ოქროცურვილი ვტლი და აღარც თავისი ფიცხი ცხენები, რომლებიც საღამოობით ზღვაში ბანაობდნენ. ათასნაირ წვრილმანზე რომ აღარაფერი ეთქვა, ჩვენ — საბრალო პორებს წყალში ჩაგვეყრება ამდენი წლის სამსახური ცაში და, ამრიგად, ზეციური მხეველებიდან მიწიერ მოახლეობაში ვიქცევით. თუკი, რასაკვირველია, სულაც არ გავქრით და განვქარდით, რასაც მე პირადად უფრო მოველო. მაგრამ რაც მოსახდენია, მოხდეს, თქვენს ნებას ვინ აღუდგება წინ? მთავარი მაინც ის არის, თუ როგორ დავითანხმეთ დედამიწა, რომ თქვენს გარშემო ტრიალს მოჰყვეს. ნამდვილად გადაირევა: ამდენი ხანია ადგილადაც არ დაეძრულვარ და ახლა რა ძალა მადგია, კისრისტეხით ვირბინო შხის გარშემო და ოფლი ვღვარო, გიყი ხომ არ გგონივართო, — იტყვის. და მართლაც: თუკი თქვენს ბრწყინვალეობას, როგორც ვატყობ, ჭკუაში უჯდება ის, რასაც მცონარება შემპარავი ხმით ჩასჩურჩულებს, არ ვიცი, ამ საპყარს, უძრავსა და უქნარა დედამიწას რა ძალა დააძლევინებს თავის მცონარებას, რა აამოძრავებს და აამოქმედებს.

ნაშ. ხომ ვაგვიგონია, გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო? დასჭირდება და ისე დაიწყებს სირბილს, რომ აღარც გაჩერდება. მაგრამ ჩვენთვის უფრო საიმედო და ხელსაყრელი იქნებოდა რომელიღაც პოეტი თუ ფილოსოფოსი გამოგვეძებნა, რათა ერჩიათ დედამიწისთვის, დაუყოვნებლივ დაეწყო ბრუნვა, ხოლო თუ არც რჩევა გასჭრიდა, არც თხოვნა და არც შეგონება, ძალით მაინც დაეტრიალებინათ ჩემს ირგვლივ, ვინაიდან საამისო ძალა სწორედ პოეტებისა და ფილოსოფოსების ხელთაა. ძველისძველად, როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი და მიაშიტურად ვენდობოდი პოეტებს, განა სწორედ მათ არ გამაბრძოლებს თავიანთი გრძნეული სიმღერებით და მაიძულეს ეს სულელურა სამუშაო მეტვირთა, თითქოს დიდად საბატიო და სასახელო საქმე ყოფილიყოს, და, მთელი ჩემი სიდიდის თუ სიმძიმის მიუხედავად, კისრისტეხით იერბინა ქვიშის უბადრუკი მარცვლის გარშემო? მაგრამ მას შემდეგ, რაც მოწიფულობის ასაკს მივაღწიე, ფილოსოფიას ვანიჭებ უპირატესობას, ვინაიდან ყველაფერში სარგებლობას ვეძებ და არა მშვენიერებას, პოეტური გრძნობელობა კი გულისამრევად თუ არა, ყოველ შემთხვევაში, სასაცილოდ მაინც მეჩვენება. ახლა უმიზეზოდ თითსაც აღარ გავანძრევ, და რაკი არავითარი მიზეზი არა მაქვს საიმისოდ, რომ სიმშვიდეს და მოცალეობას მოუსვენრობასა და მუხლჩაუხრელ შრომას ვარჩევდე, მით უმეტეს, თუ ეს მოუსვენრობა არავითარ ნაყოფს არ იძლევა ამდენი ოფლის ღვრისა და თვით თავის მტვრევის სანაცვლოდ (თუმცა მთელს სამყაროში არ მოიძებნება ნაყოფი, ჩალის ფასადაც რომ ღირდეს), — საბოლოოდ გადავწყვიტე სხვას გადავულოცო წვალება და ჭაპანწყვეტა, თვითონ კი ჩემს ნებაზე, მოსვენებით ვიცხოვრო შინ. ეს გარდატეხა ჩემში, ასაკს ვარდა, როგორც უკვე მოვახსენე, ფილოსოფოსებმაც განიიწვიეს: მათი ამქარი ამჟამად ნამეტანი ძლიერი გახდა, და ეს ძლიერება დღითი დღე უფრო იზრდება. ამიტომ ახლა, როცა მე ვცდილობ რამენაირად მივაღწიო იმას, რომ დედამიწამ ჩემს მაგივრად იწყოს ტრიალი, ერთის მხრივ, თითქოს უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა გვეპოვა პოეტი და არა ფილოსოფოსი, ვინაიდან პოეტები თავიანთი მაცთუნებელი გამონაგონით ხან ასე და ხან ისე არწმუნებენ ყველას, თითქოს სამყაროში ყველაფერი ფასეულია და ღირებული, საოცნებოა და მშვენიერი, და ამრიგად, ხალისიან იმედებსა და, ამასთან, არცთუ იშვიათად გარჯის სურვილსაც აღუძრავენ ადამიანებს, მაშინ

როდესაც ფილოსოფოსები, პირიქით, კლავენ ამ სურვილს. მაგრამ, მიიჩნევენ მხრივ, ფილოსოფოსების გავლენა ამჟამად უფრო დიდია და უფრო მკაცრია, დედამიწამ ჩემზე უფრო ყურადღებით მოუსმინოს პოეტს, თუ ვინაა, ვინაა რომ მოუსმინოს, ეს არავითარ შედეგს არ გამოიღებს. ასე რომ, ჩვენთვის უმჯობესია, ფილოსოფოსს მივმართოთ შემწეობისთვის; რადგან, როდესაც ფილოსოფოსებს გაცილებით უფრო ნაკლებ შესწევთ იმის უნარი, რომ სამოქმედოდ წააქეზონ და განაწყონ ხალხი, მაგრამ, ვინ იცის იქნებ ამჟერად სასწაული მოხდეს და იმედი გაგვიმართლონ. თუკი, რატა თქმა უნდა, დედამიწა დალუბვას არ ამჯობინებს იმას, რომ უქნარობა დასძლიოს და გაისარჯოს, თუმცა მე მაშინაც კი ვერ ვიტყვი, უჭკუოდ მოიქცა-მეთქი. კარგი, ვნახოთ, რა გამოვა აქედან. შენ კი ასე ქენი: დაუყოვნებლივ დაეშვი დედამიწაზე, თუმცა, არა, უმჯობესია შენი ერთ-ერთი დობილი გაგზავნო, რომელიც უფრო მარჯვე გგონია, და თუ ის სადმე გამოჩნდეს ჩვენთვის საჭირო ფილოსოფოსს, — არა კაბინეტში, არამედ ღია ცის ქვეშ, გარინდებული რომ მიშტერებია ცას და ვარსკვლავებს, ხოლო გონება მკარნახობს, რომ ამნაირი ფილოსოფოსი უეჭველად მოიძებნება. ვინაიდან ჯერ არასდროს არ ყოფილა ამსიგრძე ღამე, — წამითაც ნულარ დააყოვნებს, უწონადი გახადოს, მხრებზე მოივდოს და აქ მომგვაროს, დანარჩენი კი მე ვიცი. ხომ გესმის ჩემი?

პორა. მესმის, თქვენო ბრწყინვალეზავ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გნებავთ.

გამოსვლა მეორე

კომპერნიკი თავისი სახლის ბანზე ზის, პირი აღმოსავლეთისკენ აქვს მიქცეული: ხელში მილივით დაგრაგნილი ქალაქის ფურცელი უჭირავს და ასე უყურებს ცას, ვინაიდან სამზერო ჭოგრიტი ჯერ კიდევ არ არის გამოგონილი.

კომპერნიკი. ხედავ, როგორ გაგრძელდა და გაჭიანურდა? ან ყველა საათი შეცდომით უჩვენებს დროს, ანდა მზე, სულ მცირე, ერთი საათის წინათ მაინც უნდა ამოსულიყო: მაგრამ აღმოსავლეთს ჯერჯერობით რიყრაყის ნასახიც არ დასტყობია, თუმცა ღამე სარკესავით კრიალაა და ნათელი. ვარსკვლავებიც ისე კაშკაშებენ, შუალაშე ეგონება კაცს. ქვეშ ახლა „აღმავესტი“ ან საკრო ბოსკო და იმედი გქონდეს, რომ შიგ იპოვი ამ არნახული მოვლენის აბსნას; მეტი არაა ჩემი მტერი! მე არაერთხელ გამიგონია იმ ღამის ამბავი, რომელიც ზევსმა ამფიტრიონის მეუღლესთან გაატარა. მახსოვს, ამას წინათ, ერთი ესპანელის წიგნში ისიც წავიკითხე, რომ პერუელების გადმოცემით, ერთხელ, უხსოვარ დროს მათ ქვეყანაში გაუთენებელი ღამე მდგარა, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, მზე მაინც ამოსულა იმ ტბიდან, რომელსაც იქაურები ტიტიაკას უწოდებენ. მაგრამ, მართალი გითხრათ, მთელს ამ აბდაუბდას ზღაპრებად ვთვლადი და, როგორც ჭკუადამჭდარ კაცს შეპფერის, თქვენ წარმოიდგინეთ, დარწმუნებულიც კი ვიყავი ჩემი აზრის სისწორეში. ახლა კი ეხედავ, რომ არც გონებას და არც მეცნიერებას არაფრის აბსნა არ შეუძლიათ, და თავს ნებას ვაძლევ დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ ეს არაკებბიცა და სხვა მისთანანიც სრული სიმართლეა. მეტიც, ვაპირებ, თუ შევძელი, ყველა ტბა და ჭაობი შემოვიარო, ვინ იცის, იქნებ ბადითაც კი დავიჭირო მზე. მაგრამ ეს რა შრიალი ისმის? გეგონება, რომელიდაც ვეებერთელა ფრინველი ფრთებს აფართქუნებსო.

გამოსვლა მესამე

უკანასკნელი ჰორა და კოპერნიკი



ჰორა. კოპერნიკ, მე უკანასკნელი საათი ვარ.

კოპერნიკი. უკანასკნელიო?.. ეჰ, რას იზამ კაცი? მაგაზე უფრო მაინც მაცალე, რომ სიკვდილამდე ანდერძის დაწერა მოვასწრო და ჩემი საქმეები მოვაწესრიგო.

ჰორა. რას ამბობ, ადამიანო? სიცოცხლის უკანასკნელი საათი ხომ არ გგონივარ?

კოპერნიკი. აბა, მაშ ვინა ხართ? უკანასკნელი საათი, უკანასკნელი უამო, მაგის მეტი რა მიკითხავს „უამნში?“

ჰორა. ჰო, მაგის კითხვა, როგორც ვატყობ, თავს გირჩევნია.

კოპერნიკი. კი მაგრამ, ვინ გითხრა, რომ კანონიკე ვარ? ვინ გასწავლა ჩემი სახელი? აკი სახელით მომმართე.

ჰორა. აჰ, დედამიწაზე შევიტყუე ყველაფერი, ხალხს გამოვკითხე. მე კი მხოლოდ და მხოლოდ დღის უკანასკნელი საათი ვარ.

კოპერნიკი. აჰა, ახლა კი გასაგებია: დღის პირველი საათი ავად გახდა და ამიტომ დღესაც ვეღარ ვეღირსეთ, არა?

ჰორა. ნუ მაწყვეტინებ. დღეს საერთოდ ვერ ეღირსებით, ვერც დღეს, ვერც ხვალ და ვერც ვერასოდეს, თუკი სასწრაფო ზომებს არ მიიღებ.

კოპერნიკი. კაი დაგემართოს, ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, დადგება დღე თუ არ დადგება?!

ჰორა. მე გეტყვი, რაც არის შენზე დამოკიდებული. უწინარეს ყოვლისა, ახლავე, დაუყოვნებლივ, ერთად უნდა ვეახლოთ მზეს, ჩემს მბრძანებელს, მის სასახლეში. ზოგ რამეს გზაში ვაიგებ, დანარჩენს კი თვით მისი ბრწყინვალეობა გაუწყებს, როცა ვეახლებით.

კოპერნიკი. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ წინ, თუ არა ვცდები, კაი გვარიანი მანძილი გვიდევს. როგორ წამოვიდო იმდენი საგზალი, რომ შიმშილით არ მოვკვდე? რამდენიმე წელი ხომ მაინც ვაივლის, სანამ მზეს მივალწევდეთ, და, ეგეც არ იყოს, ჩემი ანგარიშით, მისი ბრწყინვალეობის თვალუწვდენელ სამფლობელოებში იმდენი ნაყოფიც არ მოიკრიფება, რომ ერთ საუზმედ ნეყოს.

ჰორა. შენ დარდი ნუ გაქვს; დიდხანს როდი მოგიწევს მზის სასახლეში ყოფნა. ხოლო გზას ერთ წამში გავლევთ, ხომ არ დაგავიწყდა, რომ მე სული ვარ.

კოპერნიკი. შენ კი სული ხარ, მაგრამ ამ ჩემს ხორცს რა ეშველება?

ჰორა. კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს. შენისთანა კაცს, ფილოსოფოსსა და ისიც მეტაფიზიკოსს, ნამდვილად არ ეკადრება ამდენი მიეთ-მოეთი და დროის ტყუილუბრალოდ ფლანგვა. შენ ერთი ხელი მომეცი და დანარჩენი მე ვიცი.

კოპერნიკი. რაც არის, არის, წავიდეთ! ცნახოთ, რა გამოვა ამ არნახული საქმიდან.

გამოსვლა მეოთხე

კოპერნიკი და მზე

კოპერნიკი. თქვენო ბრწყინვალეობა...

მზე. მომიტევე, კოპერნიკ, სავარძელს რომ ვერ გთავაზობ: ჩვენ აქ არც სკამები გვაქვს და არც სავარძლები. მაგრამ, იმედია, მალე მოვრჩებით საქმეს. ჩემმა მხევალმა ალბათ უკვე ვაგაცნო მისი არსი. მე კი ის მაძლევს წარმატების იმედს, რომ გოგონამ დაწვრილებით მომახსენა შენი ღირსების ამბავი. მე მგონია, ამ საქმეში შენზე უკეთეს კაცს ვერ ვიშოვი.

კოპერნიკი. მოწყალეო ხელმწიფე, ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინებას, ჩემის აზრით, მრავალი სიძნელე ელოდება წინ.

მზე. სიძნელემ როგორ უნდა შეაშინოს შენისთანა კაცი? იმასაც კი ამბობენ, სიძნელე მამაცთა სიმამაცესა ზრდისო. მაგრამ მაინც რა სიძნელეა ასეთი?

კოპერნიკი. ჯერ ერთი, მართალია, ფილოსოფიის გავლენა და ძალმოსილება დიდია, მაგრამ არა მგონია იმდენად დიდი იყოს, რომ დაარწმუნოს დედამიწა, ამდენი საუკუნის განმავლობაში ერთ ადგილას უქმად ჯდომის შემდეგ უცებ წამოხტეს და ციბრუტივით ტრიალს მოჰყვეს, და მერე როდის, — ახლა, როცა გმირებისა და გმირობის დრო რახანია წარსულს ჩაბარდა.

მზე. ვერ დაარწმუნებ და — აიძულე!

კოპერნიკი. დიდი სიამოვნებით ვაიძულებდი, თქვენო ბრწყინვალება, ჰერაკლე თუ არა, როლანდი მაინც რომ ვიყო, და არა ვარმიელი კანონიკე ბერი.

მზე. მერე რა? არ გახსოვს, რა უთქვამს ძველი დროის ერთ თქვენებურ მათემატიკოსს: მომეციო სამყაროში საყრდენი წერტილი და ცასა და დედამიწას გადავაბრუნებო? შენ კი არც ცის გადაბრუნება გჭირდება და დედამიწიდანაც კაი შორსა ხარ. პოდა, თუ წინასწარვე თითს არ მოკაკავავ ამ მათემატიკოსის წინაშე, შეუძლებელია შენს ნებაზე ვერ ააბრუნო და აამოძრავო დედამიწა, მიუხედავად იმისა, სურს თუ არა ეს თვითონ მას.

კოპერნიკი. უფალო ჩემო, კაცმა რომ თქვას, ეს შეუძლებელი საქმე როდია, მაგრამ საჭიროა ბერკეტი და, თანაც, იმსიგრძე ბერკეტი, რომ არამცთუ მე, არამედ თვით თქვენი ბრწყინვალებაც, რაგინდ მდიდარიც უნდა ბრძანდებოდეთ, სანახევროდაც ვერ აუვა ვერც მისთვის საჭირო მასალისა და ვერც მისი დამზადების ხარჯებს. მაგრამ მე უფრო მეტად მაფიქრებს მეორე სიძნელე, რაზედაც ახლავე მოგახსენებთ: უფრო სწორად, სიძნელე კი არა, სიძნელეთა მთელი გორგალი. აქამდე დედამიწას პირველი ადგილი ეჭირა სამყაროში, რომლის შუაგულშიც, როგორც თავად მოგეხსენებათ, უძრავად ეგო და სხვა საქმე და საფიქრალი არა ჰქონდა, გარდა იმისა, რომ აქეთ-იქით ეცქირა და მოუსვენრად ეცეცებინა თვალი, მაშინ როდესაც ყველა სხვა ციური სხეული, დიდიცა და პატარაც, მანათობელიც და ჩამქრალიც, გამუდმებით დაჰქროდა მის ზემოთ, მის ქვემოთ, მის შორიახლო, და, თანაც, ისეთი წარმოუდგენელი სისწრაფით, რომ პირდაპირ გამტერებელი დარჩები კაცი. ამიტომ დედამიწას ყოველთვის სამყაროს მბრძანებლად მიაჩნდა თავი, და საგანთა იმნაირი წესრიგის დროს, რომელიც არსებობდა აქამდე, უსამართლობა იქნებოდა იმისი თქმა, თითქოს მას გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდა თავის თავზე. პირადად მე გულწრფელად ვაღიარებ, რომ მას სრული უფლება ჰქონდა ასე ეფიქრა. ადამიანებზე ხომ ლაპარაკიც კი ზედმეტია: მიწიერ არსთა შორის ჩვენ ყველაზე უმთავრესნი, ყველაზე უპირველესნი გვგონია და კვლავაც გვეგონება თავი; ამიტომ ჩვენს შორის თვით ყველაზე უკანასკნელი, ჩამოკონკილ-ჩამო-

ძონძილი და ლუქმა პურის არმქონი, უყოყმანოდ აცხადებს თავს არა კონსტანტინოპოლის, არა გერმანიის, არა ნახევარი მსოფლიოს მბრძანებლად, რომის იმპერატორთა მსგავსად, არამედ მთელი სამყაროს — მზის, მთვარის, ყველა ხილული თუ უხილავი ვარსკვლავის მეუფედ და, ამასთანავე, ვარსკვლავების, პლანეტების, თქვენი ბრწყინვალეებისა და, საერთოდ, ყოველი საგნის არსებობის საბოლოო მიზნადაც. ახლა კი, თუ ჩვენ გვსურს, რომ დედამიწამ მიატოვოს მისი ჩვეული ადგილი, თუ ჩვენ მივალწევთ იმას, რომ ის კისრისტეხით დარბოდეს, ციბრუტივით ტრიალებდეს, ოფლს ღვრიდეს, მუხლჩაუხრელად შრომობდეს და დაუზარებლად ასრულებდეს ყველაფერს, რასაც აქამდე სხვა ციური სხეულები ასრულებდნენ, მოკლედ, ისე იქცეოდეს, თითქოს ერთი ჩვეულებრივი პლანეტა იყოს, მაშინ მისი უდიდებულესობა დედამიწა და მათი უდიდებულესობანი — ადამიანები ტახტიდან უნდა გადადგნენ, უარი თქვან ძალაუფლებაზე და თავიანთი ძონძებისა და უბედურების ამარა დარჩნენ, უბედურება კი ცოტა როდია.

მზმ. საით ჰქრის შენი გონება, მამათ ნიკოლოზ? სინილისი ხომ არა გქენჯნის იმის გამო, რომ ეს საქმე „მისი უდიდებულესობის“ შეურაცხყოფად გეჩვენება?

კოკპერნიკი. არა, თქვენო ბრწყინვალეებავ, არც კოდექსებში, არც დიგესტებში, არც სამოქალაქო, საიმპერიო თუ საერთაშორისო სამართლის ტრაქტატებში, არც ბუნებრივი სამართლის წიგნებში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ამ ტიტულის შეურაცხყოფის თაობაზე. მაგრამ საქმის არსს რომ მივუბრუნდეთ, ეს ჩვენი წამოწყება მარტოოდენ საკითხის მატერიალურ მხარეს როდი ეხება, როგორც ერთის შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს კაცს, და არც მისი შედეგები ვრცელდება მარტოოდენ ფიზიკის სფეროზე: ის თავდაყირა დააყენებს საგანთა მთელ ჰიერარქიასა და ყოველივე არსებულის წესრიგსაც, ძირფესვიანად შეცვლის ყოველი ქმნილების მიზანსა თუ დანიშნულებას და, ამრიგად, დღემდე არნახულ გადატრიალებას გამოიწვევს ყველაფერში, რაც შექმნილების გონებამჭვრეტელობით სფეროს განეკუთვნება. ასე რომ, ადამიანები, თუკი შესძლებენ, ან, საერთოდ, მოისურვებენ, საღად იაზროვნონ, თვალნათლივ დარწმუნდებიან, რომ სინამდვილეში თურმე სულაც არ ყოფილან ისინი, რანიც აქამდე იყვნენ, ან რადაც დღემდე ასაღებდნენ თავს.

მზმ. აი, ეს გარემოება ყველაზე ნაკლებ მადარდებს, შვილო ჩემო, ვინაიდან მეტაფიზიკას სულაც არა ვცემ უფრო მეტ პატივს, ვიდრე ფიზიკას, ალქიმიას, ან, თუ გნებავს, ნეკრომანტიას. ადამიანები იქნებიან ისინი, რანიც არიან, და ეს სავსებით საკმარისია, ხოლო თუ მათ არაფრად ეპიტნავენათ ამნაირი ცვლილება და, სიცხადისა თუ სინამდვილის საპირისპიროდ, კვლავ უკულმართად დაიწყებენ მსჯელობას, რაც მათთვის სავსებით ჩვეულებრივი ამბავია, ალბათ, არ გაუჭირდებათ, უწინდებურად იმადვე მიაჩნდეთ თავი, რადაც მოეპრიანებათ: ბარონესად. ჰერცოგებად, იმპერატორებად, ან, თუ გნებავს, თვით ღმერთებადაც. მათთვისაც შეღავათი იქნება და „მართალი გითხრა, არც მე მექნება რაიმე საწინააღმდეგო.

კოკპერნიკი. კეთილი და პატიოსანი, დავტოვოთ ადამიანები დედამიწაზე. მაგრამ თუ დაფიქრებულხართ, თქვენო ბრწყინვალეებავ, რა მოხდება, ყოველ მიზეზს გარეშე, სხვა პლანეტებზე? როგორც კი დაინახავენ, რომ დედამიწა ზუსტად მათსავით იქცევა, და დარწმუნდებიან, რომ ისიც ერთი მათთაგანა

განდა, აღარც თვითონ მოინდომებენ ისეთსავე გლუვ, ყოველგვარი სამკაულისაგან განძარცულ, უსახურ და უდაბურ სფეროებად დარჩენას, როგორც აქამდე იყვნენ; არასდიდებით აღარ მოითმენენ იმას, რომ მხოლოდ დედამიწა იყოს შემკული ათასნაირი სამკაულით და თვითონაც მოითხოვენ თავიანთ მდინარეებსა და ზღვებს, თავიანთ მთებს და მცენარეებს, ისევე როგორც თავიანთ ცხოველებს და თავიანთ მცხოვრებლებსაც. ვერც გაამტყუნებ! მათკა დედამიწას არავითარი უპირატესობა აღარ ექნება მათ წინაშე, ისინი ვერ აიტანენ, რომ რამეში ჩამორჩნენ მას. აი, კიდევ ერთი არნახული გადატრიალება მთელს სამყაროში: ურიცხვი სიმრავლე ახალ-ახალი ოჯახებისა და ახალი მოსახლეებისა, რომლებიც — დარწმუნებული პრძანდებოდეთ, — თვალის დახამხამებაში სოკოებივით ამოიზრდებიან ყველგან.

მზმ. მერედა, შენ რა გადარდებს? დაე, იზარდონ და გამრავლდნენ, როგორცა ნებავთ: ჩემი სიტბო და სინათლე ყველას ეყოფა. შენ წარმოიდგინე, უფრო მეტი ენერჯიაც კი არ დამეხარჯება. სამყარო საკმაოდ ვრცელია და ნაყოფიერი, რათა ვალებში ჩაუფლელადაც შეიფაროს, შემოსოს, გამოკვებოს და ყოველივე აუცილებლით უზრუნველყოს ისინი.

პოპერნიპი. მაგრამ თუ თქვენი ბრწყინვალება უფრო გულდასმით ჩაულრმავდება ამ საკითხს, დარწმუნდება, რომ უცილობლად თავს იჩენს კიდევ ერთი არეულობა. დაინახავენ თუ არა, რომ მზვარეში კი აღარ ზიხართ, არამედ ტახტზე, და გარს გახვევით პლანეტების დიდებული ამაღლა, თვითონაც მოინდომებენ განცხრომასა და ტახტზე მორჭმით ჯდომას. მაგრამ ტახტზე მჯდომს, რასაკვირველია, ქვეშევრდომებიც სჭირდება და ამიტომ თვითელი მათგანი მოიწადინებს, თქვენი მაგალითისამებრ, საკუთარი პლანეტების ასაბნია ახლდეს. თავის მხრივ, ამ ახალ პლანეტებსაც ხომ დასჭირდება თავიანთი მოსახლეობა და დედამიწასავით მორთვა-მოკაზმვა? რა ეშველება მაშინ კაცთა საბრალო მოდგმას, ისედაც ტახტიდან ჩამოგდებულსა და, დანარჩენს რომ თავი ვანებოთ, მარტოოდენ თქვენი სამყაროს წინაშეც ლამის სრულ არარაობად ქცეულს? სანამდე დაეშვება და დაეცემა, როცა უეცრად აღმოცენდება ათასობით ახალი სამყარო და მთელს გალაქტიკაში არ დარჩება ყველზე უბადრუკი ვარსკვლავიც კი, თავისი საკუთარი სისტემა რომ არ გააჩნდეს? მაგრამ კაცთა მოდგმასაც რომ მოვეშვათ, მარტოოდენ თქვენი ინტერესებიდან გამომდინარე, აი, რას გირჩევთ: აქამდე მთელს სამყაროში პირველი თუ არა, მეორე მაინც იყავით დედამიწის შემდეგ, და ბადალი არ მოგეძებნებოდათ იმიტომ, რომ დანარჩენი ვარსკვლავები ვერ ბედავდნენ თქვენს მეტოქეობას. ამ ახალი წესრიგის დროს კი იმდენივე მეტოქე გამოგიჩნდებათ, რამდენიც იქნება საკუთარი სისტემის მქონე ვარსკვლავი. მაშ, ფრთხილად იყავით, რომ იმ ცვლილებამ, რომლის დანერგვასაც ახლა ვაპირებთ, აუნაზღაურებელი ზარალი არ მიაყენოს თქვენს ღირსებას.

მზმ. ნუთუ არ გახსოვს, რა უთქვამს თქვენს კეისარს, ალპების გადალახვისას ბარბაროსთა ერთი უბადრუკი სოფლის გვერდით რომ ჩაუვლია: მე მიჩვენია პირველი ვიყო ამ სოფელში, ვიდრე მეორე — რომშიო? კეისარისა არ იყოს, მეც უფრო მხიბლავს პირველობა მზის სისტემაში, ვიდრე მეორეობა მთელს სამყაროში. მაგრამ ახლა პატივმოყვარეობის გამო როდი ვცდილობ სამყაროული წესრიგის შეცვლას, არამედ სიმშვიდის სიყვარულის, ან, უფრო სწორედ, — ცოდვა გამხელილი სჯობია, — სიზარმაცის გამო. რაში მენადვლება, მეყოლება მეტოქე თუ არ მეყოლება, პირველი ვიქნები თუ უკანასკნელი? —

მე ხომ, ციკრონისაგან განსხვავებით, სიმშვიდეს უფრო ვუფრთხილდები, ვიდრე ღირსებას.

პოპერნიკი. რაც შეეხება სიმშვიდეს, პირობას გაძლევთ, თქვენო/ბრწყინვალეზავ, ძალღონეს არ დავიშურებ, რათა არასოდეს მოგწყობოთ იგი. მაგრამ რა, ეს ჩვენი წამოწყება წარმატებითაც რომ დავაგვირგვინოთ, მე ხომ ვიცი, დიდხანს მაინც ვერ გაუძლებთ უქმად ყოფნას. ჯერ ერთი, დარწმუნებული ვარ, მალე იძულებული გახდებით ჭია ჯალამბარივით თუ წისქვილის დოლაბივით ერთ ადგილას დაიწყოთ ბრუნვა, და ეგეც არ იყოს, ბოლოს და ბოლოს, სხვა გზა არ გექნებათ, გარდა იმისა, რომ ციბრუტივით ტრიალს მოჰყვეთ; მე არ გეუბნებით, დედამიწის ირგვლივ-მეთქი, მაგრამ თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს ამას? ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ ტრიალმა თქვენთვის ირგვლივ ხელახლა აგამოქმედოთ და აგამოძრავოთ, ხელახლა გაგიყენოთ სამყაროს შორეულ გზებს. მაგრამ დროს ნუღარ ვკარგავთ, თქვენი ნება უნდა ასრულდეს. ყოველგვარი ხელისშემშლელი მიზეზისა თუ დაბრკოლების მიუხედავად, ვეცდები ერთგულად გემსახუროთ, მაგრამ თუ სამსახური არ გამომივიდა, გვეუდრებით, ჩემს უმწეობას მიაწეროთ ეს და არა იმას, თითქოს მსნეობამ მილალატა, ან სიმამაცე არ მეყო.

მზე. აბა, შენ იცი, კოპერნიკ, აბა, შენ იცი!

პოპერნიკი. ერთი საჭოჭმანო საკითხი რჩება...

მზე. მაინც რომელი?

პოპერნიკი. არ მინდა, ამ საქმის გამო ცოცხლად დამწვან და დამხრუკონ, ფენიქსის მსგავსად. რადგან, თუ კოცონზე დაწვა მომეღის, მეტი არაა ჩემი მტერი, ამ ფრინველივით ვეღარ აღვდგე და ავლორძინდე ჩემივე ფერფლიდან. ეს კი ნიშნავს, რომ ჯღარასოდეს ვიხილავ თქვენს ბრწყინვალეზავს.

მზე. მისმინე, რას გეტყვი: როგორც მოგეხსენება, იმხანად, როცა თქვენ—ფილოსოფოსები — ის-ის იყო, მოველინეთ ქვეყანას, ესე იგი, როცა პოეტებისა იყო ბურთი და მოედანი, მე წინასწარმეტყველი ვიყავი. მაშ, ნება მიბოძე, უკანასკნელად გიწინასწარმეტყველო და, ჩემი ძველი ძალმოსილების ხატრით, მენდე: მე გეუბნები, რომ ოდესმე შენი რომელიმე თანამოაზრე თუ თანამზრახველი იქნება ვერც ასცდეს დამწვრობას, დადაღვას და სხვა მისთანათ, მაგრამ პირადად შენ არაფერ ცუდს არ გიქადის ეს ჩვენი წამოწყება. ხოლო თუ გსურს ბოლომდე გულდამშვიდებით იყო, ასე მოიქეც: წიგნი, რომლის დაწერასაც აპირებ, პაპს მიუძღვენი, გარწმუნებ, ასე თუ მოიქცევი, კანონიკოსობის ხარისხსაც კი არ დაკარგავ.

პლოტინისა და პორფირიოსის საუბარი

„ერთხელ, როდესაც მე, პორფირიოსმა, გადავწყვიტე თავი მომეკლა, პლოტინმა შენიშნა ეს, მოულოდნელად მეწვია შინ და მითხრა, ამნაირი გადაწყვეტილება საღი აზრის ნაყოფი კი არ არის, არამედ ერთგვარი მელანქოლიური სნეულებისაო; შემდეგ კი მირჩია საცხოვრებელი ხდგილი გამომეცვალა“. ამას წერს თვით პორფირიოსი „პლოტინის ცხოვრებაში“ და პორფირიოსის ცხოვრების აღწერისას ამასვე იმეორებს ევნაპიოსიც, რომელიც იქვე დასძენს, რომ პლოტინს თავის ერთ-ერთ თხზულებაში გამოწვლილვით განუხილავს მისი და პორფირიოსის იმდღევანდელი საუბარი.

პლოტინი. ხომ იცი, პორფირიოს, რომ შენ ჩემი მეგობარი ხარ, ისიც

იცო, როგორ გაფასებ. ამიტომ არ უნდა გაგაკვირვოს იმან, რომ მე დაჟინებით ვადევნებ თვალყურს შენს ქცევას, შენს სიტყვებს თუ გუნება-განწყობილებას: ჩემი შენდამი სიყვარულია ამის მიზეზი. ეს რამდენიმე დღეა გამჩნევს, რომ რაღაცა გაწუხებს, ერთთავად გულჩათხრობილი დაიარები. გამოხედვაც რაღაც უცნაური გაგიხდა და დროდადრო არანაკლებ უცნაური სიტყვებები მოგხდება ხოლმე. მოკლედ რომ მოვჭრა, მგონი, სასიკეთოს არასაზიარებელია.

პორფირიოსი. მაინც რას? არ მეტყვი, რას გულისხმობ?

პლოტინი. რასა და იმას, რომ შენ აპირებ, რაღაცა ავი აუტეხო საკუთარ თავს. მისმინე, პორფირიოს, ნუ უარყოფ, რომ მართალი ვარ, პატივი ეცი ჩვენს ძმურ სიყვარულს, რომელიც ამდენი ხანია ერთმანეთთან გვაკავშირებს. ვიცი, რა უსიამოვნოა შენთვის ეს საუბარი, მაგრამ როცა ასე შავადაა საქმე, რას მიბრძანებ, განზე გავდგე და დუმილი ვარჩიო? ან შენ რა დაგიშავდება, რომ ზვაშიადი გაუმყლავნო შენს ძველ მეგობარს, რომელსაც საკუთარი თავივით უყვარხარ? მოდი ერთად ვიმსჯელოთ, ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონოთ. ნუთუ იმდენი აღარ დამიმსახურებია, რომ გული გადამიშალო, შენი გასაჭირი შემომჩივლო და, თუ გნებავს, იტირო კიდევ? მერე კი ვინ დაგიშლის იმის ჩადენას, რასაც ორივენი გონივრულად და შენთვის სასარგებლოდ მივიჩნევთ?

პორფირიოსი. მე არასოდეს გამიწბილებია შენი თხოვნა, ჩემო ძვირფასო პლოტინ. ახლაც გამოგიტყდები და გაგანდობ იმას, რაც მინდოდა საიდუმლოდ შემენახა და რასაც, ღმერთმანი, შენს გარდა, კაციშვილს არ ვაუწყებდებდი. რასაც ჩემს განზრახვაზე ფიქრობ, სწორია. თუ გნებავს ამაზე ვიმსჯელოთ, რა გაეწყობა, ამჯერადაც ნებას დაგყვები, თუმცა გული კი მეურჩება, ვინაიდან ამნაირ განზრახვას, როგორც ჩანს, მალეა უყვარს, და სულსაც, როცა შავი ფიქრები მოეძალება, ყველაზე მეტად სწყურია განმარტობა და თავისი ფიქრების ჩხრეკა, თვითჩაღრმავება. მაგრამ შენს კითხვას დავასწრებ და თვითონვე გეტყვი, რომ ამ ჩემი განზრახვის მიზეზია არა უკვე მომხდარი ან მოსალოდნელი უბედურება, არამედ მხოლოდ ის, რომ სიცოცხლე მომბეზრდა. ისეთნაირად მომძულდა თავი, რომ ეს ჩემი სიძულვილი თანდათანობით აუტანელ ტკივილსა თუ კრუნჩხვას დაემგვანა. მე არა მართო გონებით ვწვდები ყოველივე იმის ამაოებას, რასაც ყოველდღე და ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვხვდები, არამედ აშკარადაც ვგრძნობ: ვხედავ, ვისმენ, ხელით ვეხები. ასე რომ, არა მართო ჩემი გონებაა სავსე ამ უსასრულო ამაოებით, არამედ თვით ჩემი გრძნობაც და თვით ჩემი ხორციელი ვნებებიც. ვიცი, რომ ცოტა უცნაურად ვმსჯელობ, მაგრამ ეს უცნაურობა ყველაზე უკეთ ესადაგება და ყველაზე ზუსტად გამოხატავს ჩემს სულიერ განწყობილებას. შენ, ალბათ, იტყვი, არ შეიძლება გონება იყოს ამნაირი განწყობილების სათავე, თუმცა მე თვითონაც ვადიარებ, რომ ის, უმეტესწილად, ხორციელს ნეულებათაგან იღებს დასაბამს. ნიუხედავად ამისა, ჩემი განწყობილების მიზეზი პირწმინდად გონებისეული გახლავს; მეტსაც გეტყვი, სულის ყველა სხვანაირ განწყობილებას, რომლის წყალობითაც ადამიანები ცოცხლობენ და ცხოვრებასა თუ მთელ თავიანთ მოღვაწეობას გარკვეულ აზრსა და მნიშვნელობასაც კი ანიჭებენ, გონებასთან საერთო არაფერი აქვს და მთლიანად გრძნობათა მცდარობასა თუ წარმოსახვას მაცდურ თამაშზეა დაფუძნებული. არაფერია უფრო გონებისეული, ვიდრე სევდა. ყოველგვარი განცხრომა ფუჭია. თვით ტანჯვაც — მე ვგულისხმობ სულიერ ტანჯვას, — უმეტესწილად ფუჭია და ამო, რადგან თუ დაუკვირდები

მის მიზეზს და საბაბს და გულდასმით განიხილავ მათ, დარწმუნდები, რაოდენ უბადრუკნი და უმნიშვნელონი არიან ისინი. იგივე ითქმის შიშისა, თუ იმედის მიმართ. მხოლოდ სევდა, ყოველივე არსებულის ამაოებით გამოწვეული სევდა არ არის ამაო, არც სევდა და არც ცდომილება, ვინაიდან მცდარ საფუძველზე როდია დაფუძნებული. შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ ყველა მტერი, რაც ადამიანის ცხოვრებაში არსებითია და ჭეშმარიტი, სევდაზე — დასუსტება, სევდას ეთანაფარდება, რადგანაც ყოველივე დანარჩენი სხვა არა არის რა, თუ არა ამაოება.

პლოტინი. თუ ასე გგონია, ასე იყოს. არ მინდა შემოგედავო. მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ კარგად ავწონ-დაეწონოთ და გულდასმით განვიხილოთ შენი განზრახვა, განვიხილოთ თავისთავად და არა ესოდენ ზოგადად. აღარ გაგიმეორებ, რას ფიქრობს ამაზე პლატონი, თავადაც კარგად მოგეხსენება: კაცს ისევე არა აქვს იმ ბნელი დილეგიდან გაქცევის უფლება, რომელშიაც ღმერთების ნებითაა გამომწყვდეული, როგორც მონას ეკრძალება გაექცეს პატრონს, ხომ მიმიხვდი: არავის არა აქვს იმის უფლება, რომ თავისი ხელით ნოისწრაფოს სიცოცხლე.

პორფირიოსი. ერთ რამესა გთხოვ, პლოტინ, ახლა მაინც მოვეშვათ პლატონსაც, მის მოძღვრებასაც და მის ფანტასტიურ აზრებსაც. სხვა საქმეა — აქებდე, განმარტავდე და სკოლებში — მსმენელთა წინაშე — ან წიგნებში იცავდე მის შეხედულებებს, და სულ სხვაა — ყოველდღიურ ცხოვრებაში მისდევდე მათ. მსმენელთა წინაშე თუ წიგნებში, იცოცხლე, მეც ვაღიარებ პლატონის აზრებს და სახელმძღვანელო საწყისებად ვსაბავ მათ. ვინაიდან დღეს ასევე იქცევა ყველა, მაგრამ, აი, ცხოვრებაში კი რა მოგახსენო: არამცთუ მისაბაძად, არამედ ჩვენთვის სრულიად შეუფერებლად და შეუწყნარებლადაც კი მიმაჩნია ისინი. მე ხომ ვიცი, ჩვეულებრივ რასაც ამბობენ: პლატონმა თავის თხზულებებში ჩააქსოვა საუკუნო სიცოცხლის რწმენა, რათა ადამიანებისათვის სამუდამოდ ჩაენერგა საზარელი შიში და ორჭოფობა მათი სიკვდილისშემდგომი ხვედრის მიმართ, ხოლო საუკუნო ტანჯვის წინაშე საზარელი შიშის წყალობით კაცთა ყოველგვარი უკეთურობა და უსამართლობა აღეკვეთა ამ ქვეყნად. მე რომ პლატონს მთელი ამ ძრწოლისა თუ ცრუმორწმუნეობის მიზეზად ვთვლიდე, მე რომ მწამდეს, თითქოს ყოველივე ეს თვითონვე გამოიგონა, მაშინ ასე ვეტყოდი მას:

ნუთუ ვერ ხედავ, პლატონ, რომ ბუნება, ბედისწერა, აუცილებლობა თუ სამყაროს შემქმნელი ან ყოველის გამრიგე სხვა რამ ძალა იმთავითვე კაცთა მოდგმის მოსისხლე მტერი იყო და კვლავაც იქნება. ვინ მოსთვლის, რამდენი რამ გვიმტკიცებს იმ ჩვენი ბრიყვეული თვითრწმენის უსაფუძველობას, რომლის წყალობითაც ასე დაეინებით და ქედმაღლურად ვიჩემებთ პირველობას და ნარჩენ არსთა შორის, რამდენი რამ გვიქარწყლებს ჩვენი უპირატესობის გრძნობას, მაგრამ ერთი ხომ მაინც ცხადია, ერთ რამეში ხომ მაინც ვერაგინ წაგვართმევს, ვერაგინ შეგვეცილება პირველობას, რასაც ჩვენ გვაკუთვნებს ბებერი პომეროსი, — პირველობას უბედურებაში. თუმცა ბუნებამ ამ უბედურების წამალიც მოგვცა. და ეს წამალი არის სიკვდილი, რომელსაც ქირის დღესავით როდი უფროთხის ის, ვინც გამუდმებით არ იქეჭება თავის აზრებსა თუ თავის განცდებში, ხოლო ზოგიერთს სასურველადაც კი უჩანს. ამ ტანჯვითა და ვაებით სავსე წუთისოფელში აღსასრულის მოლოდინი და მასზე ფიქრი შეიძლება სულზე უტკბესი ნუგეშიც კი ყოფილიყო ჩვენთვის, მაგრამ

შენ, საშინელი ეჭვი და ორჭოფობა რომ ჩანერგე კაცთა სულებში, თვით ეს ნუგეშიც კი არ შეგვიტოვებ და, ამრიგად, სიმწარედ გვიტოვებ სიტკბო. მხოლოდ შენ მიგიძღვის ბრალი იმაში, რომ საცოდავი მოკვდავნი, როგორც ვხედავთ, მყუდრო ნავთსაყუდელს უფრო უფროთხიან, ვიდრე მღელვარე ზღვას, და თავიანთ ერთადერთ წამალს — სამუდამოდ დაცხრომას და დასვენებას — რების ორომტრიალსა და ტანჯვა-ვაებას ამჯობინებენ. შენ უფრო სამტკბოა ულმობელი იყავი კაცთა მიმართ, ვიდრე ბედისწერა, აუცილებლობა ანდა ბუნება. და რაკი ამ ეჭვს ვერაფერი ვერ გაგვიფანტავს, რაკი ჩვენს სულებსაც ვერაფერი დაიხსნის მისგან, შენ სამუდამოდ გასწირე და საიმისოდ გაიმეტე შენივე მსგავსნი, რომ ყოველთვის ძრწოლით ელოდნენ სიკვდილს და სიცოცხლეზე უფრო დიდ უბედურებად მიაჩნდეთ იგი. არც ერთ ცხოველს არ აშინებს სიკვდილი, მაშინ როდესაც ადამიანმა, შენის წყალობით, სამუდამოდ დაკარგა სულის სიმშვიდე და აუმღვრეველობა აღსასრულის ყამს. ჩვენს უბედურებას ესღა თუ აკლდა, პლატონ.

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ შენი მიზანი — კაცთა უკეთურობისა და უსამართლობის აღკვეთა — მიუღწეველი დარჩა. მართლაცდა, შენს მიერ ჩანერგილი ეჭვიცა და ცრუ რწმენაც მხოლოდ სიკვდილის წინ თუ აძრწუნებენ უკეთურს, დიახ, მხოლოდ მაშინ, როცა ის უკვე სულს ებრძვის, სულთმობრძავმა კი ისედაც ვის რაღა უნდა ავნოს? მაშინ როდესაც ისინი ხშირად მთელი სიცოცხლის მანძილზე თავზარსა სცემენ კეთილს, რომელიც იმას კი არ ცდილობს, ვის რა უმტროს და უმუხთლოს, არამედ მხოლოდ იმას, თუ რითი შეეწიოს მოყვასს. არანაკლებ აშინებენ ისინი სუსტს და უმწეოს, ვისაც არც ძალადობის თავი აქვს და არც ავის ქმნისა. მაგრამ არც თავხედი და მოძალათე, არც გულმხეცი და გონებაჩლუნგი, მოკლედ არცერთი მათგანი, ვისაც კანონის გარდა სხვა სადავეცა სჭირდება, არაფრად აგდებს ამ შენს შიშსა თუ ძრწოლას და არც თავის ავკაცობას არ იშლის. რიგიანი კანონები და რიგიანი აღზრდა, რომელიც აფაქიზებს და შეძლებისდაგვარად სრულყოფს სულს, — აი, რა უწყობს ხელს კაცთა შორის სამართლიანობისა და სულგრძელობის შენარჩუნებას, ვინაიდან დახვეწილი და განათლებული კაცი, ალბათ, არასოდეს არ ხელყოფს მოყვასის სიცოცხლეს, არასოდეს მის სისხლში არ გაისვრის ხელს, მიზნად არ დაისახავს სხვის გაუბედურებას და არც კანონის დარღვევას ეცდება, რათა საფრთხეში არ ჩაიგდოს თავი. მთელი ეს სიქველე რაღაც ფანტასტიური გამონაგონის, სავალალო ცრუმორწმუნეობის, ან, თუ გნებავს, ბრმარწმენის შედეგი როდია, რომლებიც, სახელმწიფოს მიერ დაწესებული ესოდენ ურიცხვი და ეგზომ მკაცრი სასჯელის მსგავსად, მხოლოდ სულის სიმდაბლისა და სისასტიკის ზრდას უწყობენ ხელს, ეს ორი თვისება კი ყველაზე ნავენ და დამღუბველია ჩვენთვის.

მაგრამ შენ ამასაც არ დასჯერდი და სიკეთისა და სიქველის საზღაურიც დაგვიწესე. მერედა, რა საზღაური? უღიმღამო არსებობა, სავსე მხოლოდ მოწყენილობით, და, როგორც ჩანს, თვით სიცოცხლეზეც უფრო მეტად აუმოწყენილობით, და, როგორც ჩანს, თვით სიცოცხლეზეც უფრო მეტად აუმოწყენილობით, ყველასათვის აშკარაა შენს მიერ დაწესებული სასჯელის საშინელება, მაგრამ შენს მიერვე აღთქმული ჯილდო კი იდუმალების ბურუსითაა მოცული და მიუწვდომელია ჩვენი გონებისათვის. ამიტომაც არ შესწევს მაგ შენს ჯილდოს იმისი ძალა, რომ სიკეთისა და სიმართლის გზაზე დაგვაყენოს. და თუ შეშინებულად არცერთი ბოროტმოქმედი არ შეუკრთია შენი ჰადესის საშინე-

ლებას, არც შეუშინებია იმდენად, რომ ბოროტებაზე აელო ხელი. მე გავბედავ და ვიტყვი, რომ არცერთ კეთილ კაცს არასოდეს უქმნია თვით ყველაზე უმნიშვნელო სიკეთე იმ მიზნით, რომ სიკვდილის შემდეგ ნეტარობა კუნძულები დაემკვიდრებინა. ჩვენს წარმოსახვაში ეგ შენი სანეტარო სავანე ოდნავადაც არა ჰგავს იმას, რაც შეიძლებოდა სურვილის საგნად მიგვეჩინა! მაგრამ ამ ნეტარების მოლოდინი დიდ ნუგეშსაც რომ არა გვცემდეს, საკითხავია, რა იმედი დაუტოვე თვით ყველაზე ქველსა და ყველაზე სამართლიანს, თუკი შენი მინოსი, ეაკე და რადამანთისი, სამი ერთმანეთზე სასტიკი და უღმობელი მსაჯული, ბრალის ნატამალსაც კი არ მიუტევენ და თვით უმცირეს შეცოდებასაც არ შეუნდობენ კაცს. ვის შეუძლია თავს თვლიდეს ისე წმინდად და უმწიკვლოდ, როგორც შენ მოითხოვ ამას? ასე რომ, საუკუნო ნეტარებასთან ზიარება, მიუხედავად იმისა, თუ რას წარმოადგენს ის თავისთავად, თითქმის შეუძლებელია, და რაგინდ ღრმადაც უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ პატროსნად და ალაღმართლად გავატარეთ მთელი სიცოცხლე, სულერთია, ჩვენ, საბრალო მოკვდავნი, მაინც ვერ ვიტყვით დაბეჯითებით, თუ რა გველის სიკვდილის შემდეგ, და ვერც იმ შიშისაგან დავიხსნით თავს, რომელიც მომავალი სასჯელის წარმოდგენისას გვეუფლება ხოლმე. ასე, შენი მოძღვრების წყალობით, შიში სამუდამოდ თრგუნავს იმედს და ადამიანის ერთადერთი მეუფე ხდება, და შენი სწავლის ერთადერთი ნაყოფი, საბოლოო ანგარიშით, მხოლოდ ის არის, რომ კაცთა მოდგმას, რომლის წილხვედრადაც ამქვეყნიურ სიცოცხლეში წარმოუდგენელი სისაწყლუ და უბედურება გვევლინება, საერთოდ აღარ აქვს იმის იმედი, რომ სიკვდილი მაინც მოუღებს ბოლოს მის უბედობას, არამედ იმ ქვეყნადაც დაუსრულებელ ტანჯვასა და ვაებას ელის. ამიტომ შენ სისასტიკით აღმატე არა მარტო ბუნებას და ბედისწერას, არამედ თვით უწყალო ჯალათს, თვით ყველაზე გულმხეც ტირანსაც, რომელსაც ოდესმე უცხოვრია ქვეყნად.

ანდა რა შეიძლება იყოს უფრო სასტიკი, ვიდრე შენი მცნება, რომელიც კაცს უკრძალავს იმას, რომ თვითონვე მოუღოს ბოლო თავის ტანჯვას, წამებას, უბედურებას, დასძლიოს სიკვდილის შიში და საკუთარი ხელით მოისწრაფოს სიცოცხლე? რა თქმა უნდა, არცერთ სხვა ცხოველს არ აღეძვრის თვითმკვლელობის სურვილი, მაგრამ მათი ტანჯვაც ხომ არ არის ისე უნაპირო, როგორც კაცისა, და, ეგეც არ იყოს, ალბათ, არც საიმისოდ ეყოფოდათ გამბედაობა, რომ თვითონვე გაეწყვიტათ თავიანთი სიცოცხლის ძაფი. თუმცა, ბუნებით რომ მოსდგამდეთ ამნაირი მიდრეკილება, მაშინ ცხოველებს ვერაფერი დაუშლიდა სიკვდილს და ვერავითარი აკრძალვა, ვერავითარი შიში თუ ეჭვი ხელს ვერ ააღებინებდათ იმ განზრახვაზე, რომ უბედურებისაგან თვითონვე დაეხსნათ თავი. მაშასადამე, მხოლოდ შენი ბრალია, რომ ცხოველები ამ მხრივაც ჩვენზე მაღლა დგანან, და თავისუფლება, რომელიც ნუ დასჭირდებოდათ, თორემ ვერავითარი ძალა ვერ წაართმევდათ, — დიახ, სწორედ ეს თავისუფლება, რომელიც თვით ეგზომ ძუნწმა ბუნებამაც კი არ დაიშურა ჩვენთვის, შენის წყალობით, სამუდამოდ წარჩმეული აქვს ადამიანს. და თუმცა ის ერთადერთია დანარჩენ არსთა შორის, რომელსაც შეიძლება სურდეს სიკვდილი, მაგრამ სწორედ მას არა აქვს სიკვდილის ნება. ბუნება, ბედისწერა, განგება გამუდმებით გვიხათქუნებენ შოლტს, სისხლიანი ზოლებით გვიჭრელებენ სხეულს და აუტანელი ტკივილებით გვაწამებენ. შენ ისწრაფი ჩვენდა საშველად, მაგრამ შველის ნაცვლად ხელ-ფეხს გვიბორკავ, და ჩვენ იმის საშუალებაც

აღარა გვაქვს, რომ თავი დავიცვათ ან დარტყმები ავიცილოთ. კაცთა დაუსრულებელი უბედურების შემყურეს ჭეშმარიტად ასე მგონია, რომ ისინი ყველაზე მეტად ბრალს უნდა სდებდნენ შენს სწავლას, და თვითონ შენაც უფრო მეტად უნდა გგმობდნენ, ვიდრე ბუნებას, რომელსაც, კაცმა რომ თქვას, სწავლანიერი ცხოვრებისთვის არც შევუქმნივართ, მაგრამ იმის უფლება კი დაგვიტოვა, რომ, როცა გვინდა, ხელი ავიღოთ მასზე. ამრიგად, ჯერ უფრო ამქვეყნიურ ხვედრს არც ისე დიდ უბედურებად უნდა ვთვლიდეთ, რაკილა მეგვიძლია, როცა მოგვეპრიანება, მაშინ შევიმოკლოთ სიცოცხლის დღენი, და, ამოვრეც, რა ვუყოთ, რომ კაცი ძალზე იშვიათად თუ ბედავს თავისი სიცოცხლის ხელყოფას; თვით იმაზე ფიქრი, რომ ყოველ წამს შეგიძლია თავი დაიხსნა შენი უბადრუკი ხვედრისგან, ჩვენს გაძალღებულ ცხოვრებაში ისეთი დიდი ნუგეშია და სასოება, რომ მისი იმედით, ალბათ, აღარც გაგიჭირდება ამ წუთისოფლის გათრევა. რადგან ჩვენი სვედაესილობის საშინელებას ყველაზე უკეთ გვიმოწმებს ჩვენივე შიში: თუ თვითნებურად მოვისწრაფებთ სიცოცხლეს, ვაითუ იმ ქვეყნად უფრო მეტი სატანჯველი გველოდესო, ვიდრე ამ ცხოვრებაში, და არა მარტო უფრო მეტი, არამედ უფრო სასტიკიც, უფრო ხანგრძლივიც და, რაც მთავარია, — სრულიად უცნობიც, ჯერ განუცდელიც. — მაშინ როდესაც მთელი ამქვეყნიური ტანჯვა-ვაება ესოდენ კარგად ცნობილია ჩვენთვის, — შიში საუკუნო ტანჯვის წინაშე, რომელსაც ვერაფრით გაზომავ, ვერაფერს შეადარებ, უთუოდ დაჩრდილავს ჩვენს სულში ამ ქვეყნად განცდილი ყოველგვარი უბედურების სიმწარეს და საშინელებას. შენ არ გაგიჭირდება ამ საზარელი ეჭვის გამოწვევა, მაგრამ უმაღ კაცთა მთელი მოდგმა აღიგება მიწის პირისგან, ვიდრე შესაძლებელი გახდება მისი გაქარწყლება. ასე რომ, არასოდეს დაბადებულა და არც დაიბადება რაიმე, კაცთა მოდგმისათვის უფრო საბედისწერო და დამლუპველი, ვიდრე ეგ შენი გენიაა, პლოტინ.

აი, რას ვიტყვოდი, მართლაც რომ მწამდეს, თითქოს სწორედ პლატონმა შექმნა და თავს მოგვახვია ეს მოძღვრება. მაგრამ მე ვიცი, რომ ეს ვარაუდი მცდარია. ასეა თუ ისე, ამ საგანზე საკმაოდ ვილაპარაკეთ, და მე მადლობელი ვიქნები, თუ აღარ მივუბრუნდებით მას.

პლოტინი. ხომ მოგეხსენება, პორფირიოს, თუ როგორ მიყვარს პლატონი, მაგრამ სიყვარული იმას როდი ნიშნავს, რომ ყოველ წამს დავიმოწმოთ მისი ავტორიტეტი, მით უმეტეს, იმ საკითხის გარჩევისას, რაზედაც ახლა ერთმანეთს ვესაუბრებით. მე მის მეტი არა მინდა რა, რომ ჩემი საბუთები მარტოდენ გონების მონაცემებს ემყარებოდნენ, და თუ გაკვრით შევეხე პლატონის სწავლასაც, მხოლოდ იმ მიზნით, რომ ჩემი სიტყვის თავისებურ შესატყვად გამოეყენებინა იგი. ახლა კი მივუბრუნდები ჩემს საბუთებს, რომელთა მოტანასაც აქ ვაპირებდი, და ვიტყვი, რომ არა მარტო პლატონი, ან სხვა რომელიმე ფილოსოფოსი, არამედ, როგორც ჩანს, თვითონ ბუნებაც გვიშლის და გვიკრძალავს იმას, რომ ჩვენივე ხელით მოვისწრაფოთ სიცოცხლე. სიტყვას აღარ გავაგრძელებ: თუ კარგად დაუკვირდები, ალბათ, არც თავად გაგიჭირდება იმის მიხვედრა, რომ თვითმკვლევლობა ბუნების საწინააღმდეგო საქციელია, ან, უფრო სწორად, ესაა ყველაზე არაბუნებრივი საქციელი, რომელიც ჩვენ შეგვიძლია ჩავიდინოთ. არაბუნებრივია იმიტომ, რომ საგანთა მთელი წესრიგი თავდაყირა დადგება, თუკი ისინი თვითონვე დაიწყებენ თავიანთი თავის განადგურებას. ეტყობა, ბუნებას სძაგს, როცა ვინმე იმისთვის იყენებს სიცოცხლეს, რომ თვით ეს სიცოცხლე მოსპოს; როცა ჩვენი ყოფნა და ჩვენი

არსებობა იმ მიზანს ემსახურება, რომ აღარ ვიარსებოთ, აღარ ვეყოთ. ისიც ცხადია, რომ თუ ჩვენთვის რაიმე უბრძანებია ან ურყევ მცნებად დაუსახავს ბუნებას, — არა მარტო ყოველი კაცისა, არამედ ყოველი სულდგმულისა და თვით მთელი სამყაროსათვის ცხოვრების წესად დასახუროს უბრძანებელი და უმკაცრესი მცნება, რასაკვირველია, ის გახლავს, რომ ყოველმხარესაშუალებით, ძალღონის დაუზოგავად ვესწრაფოდეთ თვითდაცვას და თვითშენახვას, ხოლო განა ეს არ უპირისპირდება თვითმკვლევლობას? რა დიდი მტკიცება ამას უნდა? განა თვითონვე ვერა ვგრძნობთ, თუ საით მიგვიძღვის ჩვენი სასიცოცხლო ძალა, ანდა როგორ გვაიძულებს, გვინდა თუ არა, წარმოუდგენელი სიძულვილით გვძულდეს სიკვდილი და გვეშინოდეს მისი? მაშასადამე, რაკი თვითმკვლევლობა უპირისპირდება ბუნებას, ხოლო რამდენად უპირისპირდება, ჩვენ უკვე ვნახეთ, — მე არ შემიძლია დასაშვებად მიმაჩნდეს იგი.

პორფირიოსი. მე დაწვრილებით განვიხილე ეს საკითხიც. აკი თვითონვე ბრძანე, შეუძლებელია კაცი დაფიქრდეს და ყურადღება კი არ გაამახვილოსო მასზე. მე მგონია, შენს ყოველ საბუთს შეიძლება ათასი სხვა საბუთი დავეუპირისპიროთ და ათასნაირადაც დავეუპირისპიროთ, მაგრამ ვეცდები მოკლედ მოვჭრა ჩემი სათქმელი. შენ საექვოდ თელი, დასაშვებია თუ არა ჩვენთვის თვითმკვლევლობა, მე კი გეკითხები: დასაშვებია თუ არა ჩვენთვის უბედურების დათმენა? ბუნება თავის მოკვლას გვიკრძალავსო? საკვირველია, ღმერთმანი: არა სურს თუ არ შეუძლია ბედნიერება მომანიჭოს, ან არა და, უბედურებისგან მაინც დამიხსნას, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, მაიძულებს მაინც ვიცოცხლო? რა ვუყოთ, რომ ბუნებამ დაბადებითვე ჩაგვინერგა თვითშენახვის სურვილი და სიკვდილის სიძულვილი? განა მისივე წყალობით არ დაგვყვა უბედურების სიძულვილიცა და ბედნიერების სიყვარულიც? ხოლო ეს ორი უკანასკნელი გრძნობა იმდენადვე ძლიერია პირველ ორზე, რამდენადაც ბედნიერებაა ჩვენი სიძულვილის თუ სიყვარულის, მთელი ჩვენი ცხოვრების საბოლოო მიზანი. ამიტომ არც სიცოცხლე გვიყვარს და არც სიკვდილი გვძულს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთიცა და მეორეც ის არის, რაც არის, არამედ იმიტომ, რომ პირველს ჩვენი ბედნიერების, ხოლო მეორეს ჩვენივე უბედურების მიზეზად ვსახავთ. მაშ, რა არის არაბუნებრივი იმაში, რომ ვცდილობთ თავი დავალწიოთ უბედურებას ჩვენს ხელთ არსებული ერთადერთი საშუალებით? ხოლო ეს საშუალება არის სიკვდილი, ვინაიდან სიცოცხლეში, ბევრიც ვეცადოთ, უბედურებას ვერ ავცდებით. ამიტომ შეუძლებელია სწორი იყოს ის აზრი, თითქოს ბუნება გვიკრძალავდეს თავის მოკვლას — ამ ჩვენს ერთადერთ სიკეთეს, — და სიცოცხლეზე ხელის ადებას, თუკი ეს უკანასკნელი აშკარა ბოროტებაა და უბედურება, ვინაიდან სხვას არაფერს იმეტებს ჩვენთვის ტანჯვისა და ვაების გარდა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, რაც არა აქვს, რა ვაიმეტოს?

კლოტინი. ასეა თუ ისე, შენმა სიტყვებმა ვერ დამარწმუნა იმაში, თითქოს თავის მოკვლა ბუნების საწინააღმდეგო საქციელი არ იყოს: იმდენად აშკარაა, რომ მთელი ჩვენი არსება უფრთხის და სიძულვილით უყურებს სიკვდილს. და მერე, ჩვენ ვხედავთ, რომ ცხოველები — თუკი ადამიანი ძალით არ გადაახვევინებთ ჩვეული გზიდან, — არამცთუ თავს არ იკლავენ, არამედ თვით ყველაზე დიდი გაჭირვებისა და უბედურების უამსაც კი სიახლოვეს არ იკარებენ იმაზე ფიქრს, რომ შეიძლება თვითონვე მოუღონ ბოლო თავიანთ უბედურებას. ასე რომ, მხოლოდ კაცთა შორის თუ კპოვებ თითო-ოროლა

თვითმკვლელს, და ისიც არა იმ ხალხებში, რომლებიც ბუნებრივი ცხოვრებით ცხოვრობენ; და მართლაც, ბუნების რომელი შვილი გინდა აიღო, რომ თავზარდაცემული არ უკუიქცეს ამ საშინელების წინაშე, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ვინ, რომელმა მათგანმა იცის, რა არის თვითმკვლელობა, ან ვის რაში სჭირდება ეს? მხოლოდ ჩვენ — ბუნებისგან განდგომილთ და გადაგვირჩეულთ — თუ შეგვიძლია ჩვენივე ხელით მოვისწრაფოთ სიცოცხლე.

პირველი. მეტი რა გზა მაქვს, უნდა დაგეთანხმო; თუ თვითმკვლელობა არაბუნებრივი საქციელია, დე, ასე იყოს. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას, თუკი ჩვენ, განათლებული ადამიანები, არამც თუ ბუნების შვილებად, ბუნებრივ არსებებადაც კი აღარ ვითვლებით? შეადარე ჩვენი თავი არა მარტო ნებისმიერ სულდგმულთა მოდგმას, არამედ იმ ველურ ტომებსაც, რომლებიც სადღაც შორს, ინდოეთისა თუ ეთიოპიის მივარდნილ კუთხეებში ცხოვრობენ და, გადმოცემით, პირველყოფილი ბარბაროსობის დროინდელ ჩვეულებებს ინარჩუნებენ. შენ გავიჭირდება იმისი თქმა, რომ ჩვენცა და ისინიც ერთსა და იმავე მოდგმას ვეკუთვნით. მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ამ ჩვენმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფერისცვალებამ და ჩვენი სულის თუ სიცოცხლის სახეცვლილებამ ათასჯერ მეტი უბედურება დაგვატეხა თავს. რა თქმა უნდა, ამ ველური ტომების არცერთ წევრს არ აღეძვრის იმის სურვილი, რომ სიცოცხლე მოისწრაფოს; მეტსაც გეტყვი, ვერც კი წარმოიდგენს, რომ სიკვდილი შეიძლება სასურველი იყოს, მაშინ როდესაც ბევრ ჩვენშია, ესე იგი, განათლებულ ადამიანს სასურველად უჩანს სიკვდილი, ხოლო ზოგი თავსაც კი იკლაწს. მაგრამ თუ განათლებული ადამიანისთვის ნებადართულია ბუნების საპირისპიროდ იცხოვროს და ბუნების საპირისპიროდვე იყოს, ვითომ რატომ აღარა აქვს ბუნების საპირისპიროდ სიკვდილის ნებაც? რადგან მხოლოდ სიკვდილის წყალობით თუ დავაღწევთ თავს იმ ურიცხვ ახალ-ახალ უბედურებას, რომლებიც ჩვენი ოდინდელი ყოფის ძირფესვიანი ცვლილებისაგან იღებენ დასაბამს, ხოლო რაც შეეხება ბუნების მიერ დაწესებული ამ ოდინდელი, ამ დასაბამიერი ყოფის კვლავ დაბრუნებას, ვფიქრობ, ეს თითქმის შეუძლებელია ოჯახურსა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თავისი არსით გაცილებით უფრო მნიშვნელოვან — სულიერ ცხოვრებაში კი — საერთოდ შეუძლებელიც. რა შეიძლება იყოს უფრო მეტად არაბუნებრივი, ვიდრე საექიმო ხელოვნება, კერძოდ, მისი ორივე ძირითადი დარგი — დასტაქრობაცა და წამლებით მკურნალობაც. ორივე მათგანის მოქმედება, ორივეს მიერ გამოყენებული ნივთიერებებიცა და ხელსაწყო-იარაღებიც ძალზე შორსაა ბუნებისაგან და არც ცხოველები და არც ველურები არ იცნობენ მათ. მაგრამ რაკილა ის სწავლებანი, რომელთა განკურნებასაც მიზნად ისახავს საექიმო ხელოვნება, არაბუნებრივი არიან, და ჩვენ მხოლოდ ერთადერთ მიზეზს — განათლებას, ესე იგი, ჩვენი ოდინდელი ბუნების გადაგვარებას უნდა ვუმაღლოდეთ მათ, ამიტომ ზემოხსენებული ხელოვნებაც, მთელი მისი არაბუნებრიობის მიუხედავად, საჭიროდ და, შენ წარმოიდგინე, აუცილებლადაც კი ითვლება. მაშასადამე, თვითმკვლელობა, რომელიც ყველა იმ უბედურებისაგან გვათავისუფლებს, რაც თავს მოგვახვია ჩვენმავე გადაგვარებამ, — არაბუნებრივიც რომ იყოს, არ შეიძლება მხოლოდ ამიტომ ითვლებოდეს გმობისა და განკიცხვის ღირსად: არაბუნებრივ ბოროტებას მარტოდენ არაბუნებრივი საშუალებით თუ უმკურნალებ. ვანა უმაგალითო სისასტიკე და უსამართლობა არ იქნებოდა, რომ გონება,

რომელიც ჩვენი ბუნებრივი თუ ბუნებით თანდაყოლილი უბედურების გასასა-
კეცებლად თავგამოდებით ეურჩება და ეწინააღმდეგება თვითონ ბუნებას. მა-
ინცდამაინც აქ შეთანხმებოდა მას და, ამრიგად, დაეხმო ჩვენს ერთადერ-
თი — უკანასკნელი გამოსავალი, რომელსაც თვითონვე განიხილავდა და იძუ-
ლებულნი გავხსნადეთ, გვიჩვენა თუ არა, ხარბად ჩაბღვნილი უბედ-
რუკ ხვედრს?

სიმართლე, თუ გნებავს, ესაა პლოტინ. ძველისძველი და ველური ტომების
დასაბამიერი ბუნება უკვე აღარ არის ჩვენი ბუნება. ჩვეულება და გონება
მეორე ბუნებად გვექცა, რომელმაც სამუდამოდ შეცვალა ჩვენი ოდინდელი
ბუნება. თავდაპირველად ადამიანისთვის არაბუნებრივი იყო არა მარტო თვით-
მკვლელობა, არამედ იმის სურვილიც, რომ თავი მოეკლა. ახლა კი ერთიც და
მეორეც ბუნებრივი, ანუ ჩვენი აწინდელი ბუნების შესატყვისი გახდა, რომე-
ლიც ოდინდელისა არ იყოს, რა კიდევ ისწრაფის იმისკენ, რაც ჩვენთვის
ყველაზე უმჯობესი, ყველაზე უკეთესი ჰგონია, და არცთუ იშვიათად გვასურვე-
ბინებს ჩვენს უდიდეს სიკეთეს — სიკვდილს. ამაში არაფერია გასაოცარი:
ჩვენს აწინდელ ბუნებას ზომ უპირატესად გონება წინამძღვრობს და წარმარ-
თავს, ხოლო გონება დაბეჭითებით ამტკიცებს, რომ სიკვდილი ბოროტება კი
არ არის, როგორც შეიძლება ერთის შეხედვით მოგვეჩვენოს, არამედ — ერ-
თადერთი ქმედითი წამალი, რომელსაც შეუძლია ჩვენი უბედურებისაგან გან-
გვეკურნოს, და ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი უდიდესი სიკეთე მაინც, რომე-
ლიც შეიძლება სასურველად მიაჩნდეს კაცს. და მე გეკითხები: როგორ გგო-
ნია, რას უთანხმებენ ადამიანები თავიანთ ქცევას? ჩვენს ოდინდელ ბუნებას?
მაშინ პითხარი, როდის და რანაირ ქცევას? არა, ოდინდელს კი არა, აწინდელ
ბუნებას, ესე იგი, გონებას უთანხმებენ მას. კი მაგრამ, თუ ასეა, ეს ერთად-
ერთი საქციელი — თვითმკვლელობა — რატომღა უნდა ეთანხმებოდეს არა
აწინდელ ბუნებას, ანუ გონებას, არამედ — ოდინდელს, დასაბამიერს? ვითომ
რა აუცილებელია, რომ ეს უკანასკნელი, რომელიც უკვე რა ხანია აღარ
გვეკარნახობს ჩვენი ცხოვრებას წესს, — კვლავინდებურად სიკვდილის კანონ-
მდებლად რჩებოდეს? რატომ არ უნდა განაგებდეს გონება სიკვდილს, თუკი
მხოლოდ ის განაგებს სიცოცხლეს? და მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ სინამ-
დვილესი გონებაცა და ჩვენი აწინდელი ყოფის მთელი უბედურებაც არა მარ-
ტო ახშობენ მრავალტანჯულ ადამიანთა გულებში სიკვდილის თანდაყოლილ
შიშს, რაზედაც წელან ლაპარაკობდნენ, არამედ სიყვარულად და მწველ სურვი-
ლადაც კი აქცევენ მას, როგორც ეს-ესაა მოგახსენე. ხოლო როდესაც ჩნდება
ეს სურვილი და სიყვარული, რომლებიც ბუნების თანახმად ვერ გაჩნდებოდნენ,
და როდესაც არსებობს ურიცხვი უბედურება, რომლებსაც იწვევს ჩვენივე
ფერისცვალება და არა ბუნება, მით უმეტეს, აწკარა ბდება, თუ როგორ ეწი-
ნააღმდეგება ყოველივე ამას თვითმკვლელობის აკრძალვა. მე მგონია, რაც
იოქვა, სავსებით საკმარისია იმის გასარკვევად, დასაშვებია თუ არა თვითმკვ-
ლელობა. ისღა დაგვრჩენია, გავარკვიოთ, სასარგებლოა თუ არა იგი.

კლოტინი. ეს უკვე შეგეძლო აღარ გეოქვა, ჩემო ძვირფასო პორფი-
რიოს: თუ ამნაირი საქციელი დასაშვებია, და თუ მე დაუშვებლად მიმაჩნია
ის აზრი, თითქოს უსამართლო და უკანონო შეიძლება სასარგებლო იყოს, სხვა
რა დამრჩენია, უნდა ვაღიარო, რომ თვითმკვლელობა არა მარტო დასაშვებია,
სასარგებლოც ყოფილა თურმე. მოკლედ რომ მოვქრათ, ყველაფერი ამ კით-
ხვაზე დაიყვანება: რანაირი სიცოცხლე გვიჩვენებს — ტანჯული თუ უტანჯელი?
მე ექვიც არ მეპარება, რომ თითქოს ყველა ჩვენგანი ამჯობინებდა ტანჯვას,

მხოლოდ იმ პირობით, რომ ხანდახან სიტყვოც ეგემა, სიტყვოც განეცადა, და პირიქით, უარს იტყოდა იმნაირ სიცოცხლეზე, რომლისთვისაც სრულიად უნდა ხოა ტკბობაც და ტანჯვაც: იმდენად მძაფრია და უძლები ჩვენს სულში ტკბობის წყურვილი, თუმცა ჩვენ, არსებითად, წართმეული გვაქვს ამ ორნაირ სიცოცხლეს შორის არჩევანის შესაძლებლობა, რადგანაც ტკბობა და ტანჯვა ერთი და იგივეა, გულახდილად რომ ვთქვათ, იმდენადვე მიუწვდომელია, რამდენადაც გარდუვალია ტანჯვა. და მე ვამტკიცებ, რომ ტანჯვა ისევე უწყვეტია, როგორც ტკბობის წყურვილი და ბედნიერების მოთხოვნილება, რომელთა დაცხრომა და დაკმაყოფილება ჭეშმარიტად შეუძლებელია. აღარაფერს ვამბობ იმ მტანჯველ განცდებზე, რომლებიც მხოლოდ ხანდახან, დროებით თუ გვაწყველინებენ გაჩენის დღეს და რომლებსაც ცხოვრების გზაზე თავს ვერ დააღწევს ვერცერთი ჩვენგანი. ისინიც გარდუვალი არიან, ვინაიდან აღრე თუ გვიან, მეტად თუ ნაკლებად, უფრო ხშირად თუ უფრო ძვირად, შეუძლებელია მათი წერა არ გახდეს თვით ყველაზე ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული კაციც. რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩვენთვის იმის ცოდნაც საკმარისია, რომ რაც უფრო მეტს ვიცოცხლებთ, მით მეტი ტანჯვა გველის; და თუ ასეა, ვითომ რა გვიშლის ხელს, რატომ არ უნდა მივიჩნიოთ გონივრულად ის გადაწყვეტილება, რომელიც სიკვდილს ამჯობინებს სიცოცხლეს? რადგან თუ სიცოცხლეს ავირჩევთ, ვერაფერს მოვიმკით სანაცვლოდ, რაკილა მასში, საერთოდ, არა ყრია რა — არც სიკეთე, არც ტკბობა, არც განცხრომა, არც არაფერი.

პორფირი იოსი. მარტოოდენ მოწყენილობა, უსასოება და შეუძლებლობა იმისა, რომ სასიკეთოდ შეცვალო შენი მდგომარეობა და შენი ხვედრი, ჩემის აზრით, საკმარისია, რათა თავის მოკვლის სურვილი აღუძრას თვით იმ კაცსაც, რომელსაც კი არ უჭირს, არამედ ულხინს. მე ყოველთვის მიკვირდა, რატომ არსად იხსენიებიან ის მეფეები, თავიანთი მდგომარეობით გაბეზრებულებსა და ცხოვრებით გულმოყირჭებულებს, მარტოოდენ მოწყენილობის გამო რომ დაუპირებიათ თავის მოკვლა, მაშინ როდესაც გამუდმებით გვესმის და ვკითხულობთ კიდევ, ცხოვრებაზე მათსავით გულაყრილი რამდენი კერძო პირი, რამდენი უბრალო მოკვდავი იქცევა ასე. ამ უკანასკნელთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ის უბედურნიც, რომლებიც კირენელთა სკოლის მიმდევრის, ფილოსოფოს ჰეგესიას საუბრების მოსმენის შემდეგ, სადაც ის ამტკიცებდა, რაოდენ უბადრუკია კაცთა სიცოცხლე, — მონასმენით შეძრწუნებულნი ერთიმეორის მიყოლებით იკლავდნენ თავს. ამიტომაც იყო, რომ ჰეგესიას მეტსახელად „სიკვდილის ქადაგი“ შეარქვეს თურმე. როგორც გადმოგვცემენ, პტოლემეაიოსმა, ბოლოს და ბოლოს, საერთოდ აუკრძალა ამაზე საუბარი, თუმცა ეს თავადაც მშვენივრად მოგეხსენება. ხოლო თუ აქა-იქ მაინც ახსენებენ იმ მეფეებს, რომლებმაც თავიანთი ხელით მოისწრაფეს სიცოცხლე, როგორც მაგალითად, მითრიდატემ, კლეოპატრამ, რომაელმა ოტონმა და ა. შ., — ჩვენ ვიცით, რომ ყველა მათგანს მხოლოდ თავსდატეხილმა უბედურებამ გადააწყვეტინა თავის მოკვლა, რათა ამ გზით უფრო დიდი უბედურებისაგან დაეხსნა თავი. მე კი უფრო ადვილად ვირწმუნებ შემდეგს: მეფეებმა ყველაზე უმაღლესი შეიძლება იგრძნონ ისეთი ზიზღი და სიძულვილი როგორც თავიანთი მდგომარეობის, ისე ყველასა და ყველაფრის მიმართ, რომ სიკვდილი სანატრელი გაუხდეთ. მართლაცდა, მონარქებს, რომლებმაც, მათდა სავალალოდ, მიადწიეს იმის ზღვარს, რასაც ამქვეყნიური ბედნიერება ჰქვია, უკვე აღარ შეიძლება ჰქონდეთ უფრო დიდი ბედნიერებისა თუ ნეტარების იმედი და, მაშა-

სადაც იმისი რწმენა, რომ მათი ხვალისდელი დღე დღევანდელზე უკეთესი იქნება. ხოლო დღევანდლობა, ანუ აწმყო, რაგინდ უღრუბლოც უნდა იყოს, ყოველთვის მოსაწყენია და უსიხარულო, რადგან ჩვენ შინალოდ მომავალს შევხარით. მხოლოდ მომავლის რწმენით ვსულდგმულვით, ასეა თუ ისე, ბოლოს და ბოლოს, უნდა შევიგნოთ, რომ ორი რამ არ გვეძლევის თავის მოკვლის ნებას, ორი რამ გვაძიულვებს გვიყვარდეს სიცოცხლე და სიკვდილს გვერჩიოს იგი: ჭერ ერთი, შიში იმის წინაშე, რაც საიქიოს გველის და, მეორეც, სრულიად უბრალო და უმნიშვნელო, მაგრამ მაინც აშკარა და თვალში საცემი შეცდომა, რომელსაც ვუშვებთ ყოველთვის, როცა ვითვლით, ვანგარიშობთ, ვზომავთ, ვწონით და ერთმანეთს ვადარებთ ჩვენს სარგებელს და ზარალს. ამ შეცდომას ხან განზრახ, შეგნებულად ჩავდივართ, ხანაც უნებურად, ყოველგვარი განსჯის გარეშე, როცა მისაღებად ვთვლით სიცოცხლეს, ესე იგი, როცა თანხმობას ვაცხადებთ იმაზე, რომ ვიცოცხლოთ და ამას ვჯერდებით.

კლოტინი. მართალს ბრძანებ, ჩემო ძვირფასო პორფირიოს, მაგრამ ნება მიბოძე ერთი რჩევა მოგცე და, თუ ბოროტად არ ვისარგებლებ შენი მოთმინებით, ესეცა გთხოვო: მაგ შენი განზრახვის ასრულებისას გონების კი არა, ბუნების ხმას მიუგდე ყური. მე ვგულისხმობ დასაბამიერ ბუნებას — ჩვენს მშობელსა და მთელი სამყაროს დედას. ხოლო ის, მართალია, დიდად არასოდეს გვანებივრებდა, გვესიყვარულებოდა და გვიალერსებდა, პირიქით, გვსჯიდა და შავ დღესაც გვაყრიდა ხოლმე, მაგრამ არც ისე უღმობელი ყოფილა ჩვენს მიმართ, არც იმდენი უბედურება დაუტეხია ჩვენთვის, რამდენიც თვითონვე დავიტეხეთ თავს ჩვენი არნახული და არგაგონილი, მართლაც რომ დაუოკებელი ცნობისწადილით, ჩვენი დაუსრულებელი თავის მტკრევითა და ტვინის ქულვით, ჩვენი შლეგური ზმანებებით, ბრიყვული წარმოდგენებითა და უბადრუკი მოძღვრებებით. პირიქით, ცდილობდა ცოტათი მაინც შეემსუბუქებინა ჩვენი უბედური ხვედრი, რაკილა იერს უცვლიდა, შეძლებისდაგვარად მალავდა და მთლიანად როდი გვიძლავნებდა მის თავზარდამცემ საშინელებას. და თუმცა აშკარად წაგზნით და გადაგვარდით, ხოლო ბუნების ძალმოსილება უჩვეულოდ დაკნინდა ჩვენში, მაგრამ მთლიანად როდი ჩამკვდარა და არც ჩვენ შევცვლილვართ და გადაგვარებულვართ იმდენად, რომ ძველი ადამიანის ნასახიც აღარ დარჩენილიყო არცერთი ჩვენგანის სულში. შესაძლოა, ეს ჩვენი სიბრიყვითაც აიხსნებოდეს, მაგრამ ძველი ბუნების გადმონაშთი არა მართო არსებობს, არამედ ყოველთვის იარსებებს და არც შეიძლება სხვაგვარად იყოს. ავიღოთ თუნდაც ის, რასაც შენ გამოთვლისას თუ გაზომვ-აწონისას დაშვებულ შეცდომად სახავ. ეს მართლაც შეცდომაა, იმდენადვე უხეში, რამდენადაც აშკარა და თვალში საცემი, მაგრამ გამუდმებით კი მეორდება, და მის გამეორებაში ბრალი მიუძღვის არა მართო ურიცხვ რეგენსა თუ გონებაჩლუნგს, არამედ მრავალ მალაღნიჭიერ სწავლულსა და, შენ წარმოიდგინე, თვითონ ბრძენკაცთაც; მეორდება და კვლავაც განმეორდება, თუკი ბუნება, რომელმაც დასაბამი მისცა კაცთა მოღვმას, თვითონვე არ აღგვის და ძირფესვიანად არ აღმოფხვრის მას, — დიახ, თვითონ ბუნება და არა ჩვენი გონება ან ჩვენი ნება. დამერწმუნე, არავითარი სიძულვილი სიცოცხლის მიმართ, არავითარი სასოწარკვეთა, ყოვლის ამაოების, უმწეობის, სიცარიელისა თუ სიმარტოვის არავითარი განცდა, არავითარი ზიზღი სამყაროსა თუ საკუთარი თავის მიმართ არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, თუმცა სწორედ ამნაირი გან-

წყობილებაა გონივრული, მაშინ როდესაც განწყობილება, რომელიც მას უპირისპირდება, ზუსტად ასევე უპირისპირდება გონებასაც. მაგრამ გაივლინა ორი ოდნე დღე, ოდნავ მაინც მოვიკეთებთ და მოვმჯობინდებით, და აი, თანდათანობით, ზოგჯერ კი უცაბედადაც, თითქმის შეუმჩნევლად თუ ქვეშევსრულად, კვლავ გვიბრუნდება სიცოცხლის ხალისი, კვლავინდებურად ჩვენი მხრები იმედი და ყოველივე ადამიანური იმნაირ ფასს იძენს ჩვენს თვალში, რომ უწინდელივით სასურველად და ჩვენი სწრაფვის საგნად აღვიქვათ, მაგრამ არა გონებით, არამედ გულით. და ეს სავსებით საკმარისია, რათა კაცო, რომელმაც მშვენივრად იცის ჭეშმარიტება და ეჭვიც არ ეპარება მასში, ხარბად ჩაებლახოს სიცოცხლეს და, გონების საპირისპიროდ, კვლავ ჩაებას ცხოვრების ფერხულსა თუ ორომტრიალში, ვინაიდან გონება კი არა, სწორედ გული წარმართავს ჩვენს არსებობას.

რა ვუყოთ, რომ ცხოვრებასთან შეგუება არ ეთანხმება გონებას, მაშინ როდესაც თვითმკვლევლობა გონივრული ქცევა გვგონია, თუმცა სინამდვილეში გონივრული კი არა, მხეცური, არაადამიანური საქციელია. და თუ იძულებულნი ვიქნებით, ორიდან ერთი ვირჩიოთ: ვიყოთ მხეცები, გონების შესაბამისად, თუ ადამიანები, ბუნების თანახმად, — დაუშვებელია პირველს მივაკუთვნოთ უპირატესობა და მასზე შევაჩეროთ ჩვენი არჩევანი. ან რატომ არავითარ ანგარიშს არ ვუწევთ ჩვენს მეგობრებს და ნათესაებს, ჩვენთვის უახლოეს ადამიანებს — დედ-მამას, ცოლ-შვილს, დებსა თუ ძმებს, რომლებთანაც ამდენი ხნის ერთად ცხოვრებამ თითქოს ერთმანეთს შეგვანივთა და საუკუნოდ შეგვაკავშირა? რატომ ერთხელაც არ მოგვივა თავში აზრად, რომ ჩვენი სიკვდილი სამუდამოდ გაგვყრის და დაგვაშორებს ერთიმეორეს? რატომ გულს არ გვტკენს ეს განშორება და არ ვუფიქრდებით იმას, თუ რა დღეში ჩააგდებს მათ საყვარელი ადამიანის დაკარგვა, როგორ გაუარმდებათ სიცოცხლე და სიმწარედ ექცევათ წუთისოფელი? მე შესმის, რომ ბრძენი ბალღივით გულჩვილი არ უნდა იყოს და არც ისე ნებდებოდეს სიბრალულსა თუ მწუხარებას, რომ უბედურებით ცნობამიხდილს აღარც ღირსება ახსოვდეს და აღარც თავმოყვარეობა: მიწაზე გორავდეს, მხდალივით გული მისდიოდეს, მკერდში მჯიღს იცემდეს და მღულარე ცრემლებს აფრქვევდეს, ერთი სიტყვით, ისე იქცეოდეს, როგორც არ შეშვენის, არ ეკადრება კაცს, რომელსაც ღრმად აქვს შეგნებული ჩვენი ამქვეყნიური არსებობის ამაოება. მაგრამ სულის სიმტკიცე მხოლოდ შავი ღლისთვის გვჭირდება, რათა ღირსეულად შევეგებოთ ბედისწერით მოვლენილ უბედურებას, და არა იმისთვის, რომ ბოროტად გამოვიყენოთ იგი, ჩვენივე ხელით მოვისწრაფოთ სიცოცხლე და, ამრიგად, წავართვათ მეგობრებს, ნაცნობებს და ნათესაებს ჩვენს გვერდით ყოფნის ბედნიერება, ჩვენი სიახლოვეთა და ჩვენთან საუბრით მინიჭებული სიხარული. ბრძენი კი არა, მხოლოდ ბარბაროსი არ განიცდის, მხოლოდ ბარბაროსი არა გლოვობს ნათესაებისა თუ მეგობრების დაკარგვას. მხოლოდ მას, ვინც არაფრად აგდებს სხვებს და მარტოოდენ თავის თავსა და თავის განცდებს ელოლიავენა, — დიახ, მხოლოდ მას თუ შეუძლია გულგრილად და განუსჯელად გაწიროს თავი და არც კი დაფიქრდეს, რა დღეში აგდებს საკუთარ მოყვასთ. თვითმკვლელი მართლაც არავის უწევს ანგარიშს და არც არას დაგიდევს, გარდა საკუთარი სარგებლობისა თუ გამორჩენისა, ის, თუ შეიძლება ასე ითქვას, აბეზარი მწერივით იშორებს თავიდან ახლობლებსა თუ, სერთოდ, კაცთა მოდგმაზე ფიქრს და ამიტომაცაა, რომ თვითმკვლევლობაში ვლინდება ამ

ქვეყნად ყველაზე შეუფარავი, ყველაზე უკეთური და ყველაზე ურცხვი თვით-
მოყვარეობა თუ თავკერძობა, ჩვენი პიროვნული „მე“-ს უსაზღვრო და უსაზ-
ნო სიყვარული.

და ბოლოს, პორფირიოს, რაგინდ ურიცხვიც ან უსაზღვროც უნდა იყოს
უბედურება, თუკი რაღაც გაუსაძლისი არა გვჭირს (ხოლო შენს უბედურებით
ვერ იტყვი ამას), ან საზარელი ტვივილი არ გვანატრებინებს სიკვდილს, მაინც
შეიძლება მისი ატანა, მით უმეტეს, თუ კაცი შენსავით ბრძენია და სულით
ძლიერი. ხოლო თვით ჩვენი სიცოცხლე იმად არა ღირს, რომ კაცს სხვა საფიქ-
რალი არა ჰქონდეს, გარდა იმისა, თუ როგორ შეინარჩუნოს ან დაუტევოს
იგი. მაშ, რა საჭიროა ამდენი ყოყმანი, დაუსრულებელი მერყეობა სიკვდილსა
და სიცოცხლეს შორის. სულ უმნიშვნელო საბაბიც საკმარისია, რათა სიცოცხ-
ლისკენ გადავიხაროთ, ესე იგი, ამ ქვეყნისკენ ვიქციოთ პირი. მერედა, მეგობ-
რის თხოვნა განა საკმარისზე მეტი საბაბი არ არის? ხოლო თუ გთხოვ, ჩემო
ძვირფასო პორფირიოს, ამდენი ბნის მეგობრობის სახელით გემუდარები: ხელი
აიღე მაგ განზრახვაზე, ნურც შენს მეგობრებს გაუხდი სატირლად საქმეს,
რომლებსაც სულითა და გულით უყვარხართ, და ნურც მე გამიმწარებ სიცოცხ-
ლეს, რადგანაც შენზე ძვირფასი მეგობარი არ გამაჩნია. ის არა სჯობს, მხარში
ამოგვიდგე და ამ ცხოვრებაში გაგვაძლებინო, ვიდრე განშორებით მოგვიკლა
გული; ვიცოცხლოთ, ჩემო პორფირიოს, და დავეხმართ ერთიმეორეს, ნუ
ვიტყვით უარს იმაზე, რომ ჩვენი წილი ტვირთი ვატრიოთ, იმ უზარმაზარი და
უმძიმესი ტვირთის ყოვლად უმნიშვნელო ნაწილი, რომელიც ბედისწერამ
მხრებზე აპკიდა მთელს კაცთა მოდგმას. ვიყოთ ერთად, მხარი მხარს მივცეთ,
გავამხნევოთ და დახმარების ხელი გავუწოდოთ ერთიმეორეს, — ასე უკეთ ჩა-
გაბარებთ ცხოვრების მძიმე გამოცდას. ხოლო როდესაც მოვა სიკვდილი, უდ-
რტვინველად შევხვდებით მას: უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ჩვენს გვერდით
იქნებიან მეგობრები და სიკვდილს გაგვიადვილებს იმაზე ფიქრი, რომ მერე,
როცა აღარ ვიქნებით, ისინი კვლავ არაერთხელ გაგვიხსენებენ ჩუმი და სევ-
დიანი სიყვარულით.

კალენდრების გამყიდველისა და გამვლელის საუბარი

გამყიდველი. აბა, კალენდრები, ახალი კალენდრები! ბედნიერი ახა-
ლი წლის მანარობლები! ხომ არ ინებებთ კალენდარს, სინიორ?

გამვლელი. ახალი წლის კალენდარს?

გამყიდველი. დიახ, სინიორ.

გამვლელი. თქვენის აზრით, ეს ახალი წელი ბედნიერი იქნება?

გამყიდველი. რა თქმა უნდა, თქვენო მოწყალეზავ.

გამვლელი. შარშანდელივით?

გამყიდველი. არა, გაცილებით უფრო ბედნიერი.

გამვლელი. აბა, წლევანდელივით?

გამყიდველი. არა, თქვენო მოწყალეზავ, წლევანდელზე ბედნიერი.

გამვლელი. მაშასადამე, შარშანწინდელივით, იმის წინდელივით, ან რო-
მელილაც წინანდელი წელიწადივით? ნუთუ არ გინდათ, რომ წლევანდელი
წელი ერთ-ერთი უკანასკნელი წელიწადივით ბედნიერი იყოს?

გამყიდველი. არა, მართალი გითხრათ, არ მინდა.

ბამვლელი. რამდენი ახალი წელი დადგა მას შემდეგ, რაც კალენდრებით ვაჭრობას მიჰყავით ხელი?

ბამყიდველი. ოცი მაინც იქნება, თქვენო მოწყალეებავ.

ბამვლელი. კი მაგრამ, არ გინდათ, რომ ახალი წელი ამ ოციდან ერთ-ერთსა ჰვადდეს? მაინც რომელს?

ბამყიდველი. რა მოგახსენოთ.

ბამვლელი. ნუთუ არ გახსოვთ, რომ ერთ-ერთი მაინც ბედნიერი ყოფილიყოს თქვენთვის?

ბამყიდველი. მართალი გითხრათ, არ მახსოვს, თქვენო მოწყალეებავ.

ბამვლელი. და მაინც, ცხოვრება დიდებული რამ არის: ასეა, არა?

ბამყიდველი. რაღა თქმა უნდა.

ბამვლელი. ნუთუ არ გინდათ, რომ წინ ვედოთ ეს ოცი წელი, ანდა კიდევ მთელი სიცოცხლე, დაბადების დღიდან მოყოლებული?

ბამყიდველი. ეეეჰ, ბატონო ჩემო, ყველაფერი ღმერთის ნებაა.

ბამვლელი. ანდა ხელახლა რომ დაგაწყებინათ ზუსტად ისეთივე ცხოვრება, რომლითაც დღემდე გიცხოვრებთ, მთელი თავისი სიხარულით თუ მწუხარებით?

ბამყიდველი. ღმერთმა დამიფაროს.

ბამვლელი. კი მაგრამ, მაინც ვისი ცხოვრების გამეორებას ისურვებდით, — ჩემი ცხოვრების, ჩვენი ხელმწიფის თუ სხვა ვინმესას? თქვენ გგონიათ ან მე, ან ხელმწიფე, ანდა სხვა ვინმე სხვანაირ პასუხს გაცემდით ამავე კითხვას და თანახმანი უიქნებოდით, თავიდან დაგვეწყო ყველაფერი?

ბამყიდველი. არა მგონია.

ბამვლელი. ასე რომ, ამ პირობით უარს იტყოდით ცხოვრების თავიდან დაწყებაზე, თუნდაც მაგ თქვენი უარით საერთოდ დაგეკარგათ ცხოვრების ყოველგვარი შესაძლებლობა?

ბამყიდველი. რა თქმა უნდა, სინიორ, უარს ვიტყვდი.

ბამვლელი. კი მაგრამ, მაინც რაწაირ ცხოვრებას ისურვებდით?

ბამყიდველი. რასაც ღმერთი მარჯუნებს წილად, ოლონდ, თუ შეიძლება, ყოველგვარი პირობის გარეშე.

ბამვლელი. ესე იგი, ვაუშვი, ყველაფერი მივანდოთ შემთხვევითობას: მოხდეს, რაც მოსახდენია, მხოლოდ თქვენ წინასწარ ნურაფერი გეცოდინებათ, ისევე როგორც არაფერი არ იცით ამ ახალი წლის შესახებ?

ბამყიდველი. ჭეშმარიტად.

ბამვლელი. მეც ზუსტად მაგასვე ვიტყვდი, იძულებული რომ ვყოფილიყავი, თავიდან დამეწყო ცხოვრება, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ვინ იტყოდა სხვა რამეს? მაგრამ ეს მხოლოდ იმასა ნიშნავს, რომ შემთხვევითობა დიდად როდი გვანებიერებდა და არც ახლა გვანებიერებს. ცხადია, ყველა ჩვენგანი ფიქრობს, რომ ცხოვრებაში ცუდი მეტი ნახა, ვიდრე კარგი, რომ ბოროტება გაცილებით მეტია სიკეთეზე, და იმ პირობით, რომ მის ცხოვრებაში არაფერი შეიცვლებოდა, არავინ არ ისურვებდა მეორედ მოსულიყო ამ ქვეყნად. ბედნიერება ჩვენი ცხოვრების თანამგვსაერი როდია, არამედ ჩვენთვის სრულიად უცნობი ცხოვრებისა. მისი ადგილი აწმყოში კი არ არის, არამედ მომავალში. მაგრამ ახალი წლიდან შემთხვევითობა, რასაკვირველია, უფრო კეთილმოწყალე იქნება თქვენს მიმართ, ჩემს მიმართ, თვითთელი ჩვენგანის მიმართ, და დაიწყება ბედნიერი ცხოვრება, ასეა, არა?



ბამყიდველი. ღმერთმა ინებოს, რომ აგრე იყოს.

ბამვლელი. მაშ, ამირჩიეთ ერთი ყველაზე ლამაზი კალენდარი.

ბამყიდველი. ინებეთ, თქვენო მოწყალეებავ, სულ ^{როგორც} ოცდაათი სოლდო ღირს.

ბამვლელი. ესეც თქვენი ოცდაათი სოლდო. ^{ერჩენული}

ბამყიდველი. მადლობელი ვარ, თქვენო მოწყალეებავ, ^{ბრძანდებოდეთ.} აბა, კალენდრები, კაი კალენდრები, ბედნიერი ახალი წლის მანარობლები!

ტრისტანისა და მისი მებოგარის საუბარი

მებოგარი. წაფიკითხე თქვენი წიგნი; აგი სავსეა ჩვეულებრივი მელანქოლიით.

ტრისტანი. დიახ, ჩემი ჩვეულებრივი მელანქოლიით...

მებოგარი. მელანქოლიითა და გულშემზარავი სასოწარკვეთით. როგორც ჩანს, ცხოვრებაზე მაინცდამაინც დიდი წარმოდგენისა არა ბრძანდებით.

ტრისტანი. აბა, რა ვითხრათ, მე ამეკვიატა შლეგური აზრი, რომ ჩვენი ცხოვრება უბედურებაა.

მებოგარი. იქნებ მართლაც უბედურებაა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს...

ტრისტანი. თუმცა არა, უბედურება კი არა, ბედნიერებაა. აზრი შევიცვალე, მაგრამ წიგნის წერისას ეს შლეგური აზრი, როგორც მოგახსენე, თავიდან არ მშორდებოდა. მე ღრმად ვიყავი დარწმუნებული მის სისწორეში და ყველაფერს მოველოდი, გარდა იმისა, რომ ჩემს თვალსაზრისს საეჭვოდ გახდიდა ვინმე. ასე მეგონა, ყოველი მკითხველის სული დაუყოვნებლივ დამიდასტურებდა მის სიმართლეს. ვფიქრობდი, დავა შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ იმან, სასარგებლოა თუ არა ამნაირი თვალსაზრისი-მეთქი, მაგრამ თუ მისი ჭეშმარიტებაც სადავო შეიქნებოდა, ეს კი არასოდეს მომსვლია თავში. რაკი უბედურება საერთოა ყოველი ჩვენგანისათვის, ისიც კი მჯეროდა, რომ ჩემი საწყალობელი ხმა ექოსავით გამოძახილს ჰპოვებდა მსმენელთა გულში. მერე კი, როცა გავიგე, რომ გადაჭრით უარყოფენ არა მარტო ცალკეულ დებულებებს, არამედ მთელს წიგნსაც და ერთხმად ამტკიცებენ, რომ ცხოვრება სულაც არ არის უბედურება, ხოლო თუ მე მაინც უბედურებად მესახება, ამაში დამნაშავეა მარტოდენ ჩემი ავადმყოფობა, ან ჩემივე სვედავსილობა, — თავდაპირველად იმდენად გაშტერებული და გაოგნებული დავრჩი, რომ ლამის გავხევედი, გავქვავდი და დიდხანს ისიც კი მეგონა, თითქოს რომელიღაც სხვა სამყაროს მცხოვრები გავხდი. შემდეგ, როგორც იქნა, გონს მოვეგე. ჭერ, ცოტა არ იყოს, გავბრაზდი, მერე კი სიცილი დავიწყე და ჩემს თავს ვუთხარი: ადამიანები, საერთოდ, ჭმრებსა ჰგვანან, რომლებმაც — თუ მშვიდად და უშფოთველად ცხოვრება სურთ, — ძალაუწებურად უნდა ირწმუნონ, რომ ცოლები არ დალატობენ, და ასედაც იქცევიან, თუნდაც ყველამ იცოდეს, რომ ჭეშმარიტება სულ სხვაგვარია, ვიდრე მათი მიაშიტური რწმენა. ვისაც სურს, ან ვინც იძულებულია ამა თუ იმ ქვეყანაში იცხოვროს, ვალდებულია მას მთელი დედამიწის ზურგზე ერთ-ერთ საუკეთესო ქვეყანადა თვლიდეს. და საერთოდაც, ადამიანები, თუკი სიცოცხლე არ მობეზრებიან, მოვალენი არიან სწამდეთ, რომ ცხოვრება მშვენიერია და საამური. აკი სწამთ, კიდევ, და ვაი მას, ვინც მათ რწმენას არ იზიარებს. ვინაიდან კაცთა მოდგმას, არსებითად, ჭეშმარიტება

კი არა სწამს, არამედ ის, რაც მისთვის ხელსაყრელია, ან არა და, ხელსაყრელად მაინც ეჩვენებინა. ადამიანთა მოდგმა, რომელსაც სწამდა, სწამს და კვლავ იწამებს უთვალავ სისულელეს, არასოდეს არ ირწმუნებს იმას, რომ არაფერი არ იცის, არაფერს არ ნიშნავს და არც არაფრის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ვერცერთი ფილოსოფოსი, ამ სამიდან ერთ-ერთის ქადაგება რომ დაეწყო, ვერ მიაღწევდა წარმატებას და ვერც მიმდევრებს გაიჩენდა ხალხში: რადგან სამივე მეტიმეტად ხელსაყრელია მისთვის, ვისაც სიცოცხლე სურს. ეგეც არ იყოს, პირველი ორი ამკარად ამცირებს და შეურაცხყოფს ადამიანის სიამაყეს, ხოლო მესამე, თუმცა არა მარტო მესამე, არამედ დანარჩენი ორიც, მისგან მოითხოვს სულის სიმტკიცეს და სიმამაცეს, რომელთა გარეშეც ვერც ერთს ირწმუნებ, ვერც მეორეს და ვერც მესამეს. ადამიანები კი მხდალნი არიან, სუსტნი, სულმოკლენი და სულმდაბალნი; ოღონდ საიმედო უთხარი რამე, და იმ წამსვე დაგიჯერებენ, რადგანაც წამდაუწუმ იცვლიან აზრს და შეხედულებას, ვითარებისა და აუცილებლობის შესაბამისად, თავიანთ ნებაზე რომ ათამაშებენ მათ, და, პეტრარკას თქმისა არ იყოს, მზად არიან ყოველ წამს იარაღი დაყარონ ბედისწერის წინაშე; ხარბად ებლაუჭებიან უბადრუკ ნუგეშს ყოველგვარი უბედურების, დანაკარგისა თუ დანაკლისის შემდეგ; უყოყმანოდ იღებენ ყოველივე იმის საზღაურს, რაც არ ღირსებიან, ან რაც დაკარგეს და მორჩილად ეგუებიან ყოველნაირ მდგომარეობას, თვით ყველაზე მკაცრსა და სასტიკ ხვედრს; რაკი არაფერი არა აქვთ, რაცა სურთ ჰქონდეთ, ისინი ათასგვარი ცრუ და მაცთური რწმენით სულდგმულობენ, რომლებიც, მთელი მათი არაგულწრფელობის მიუხედავად, იმდენად ურყევნი არიან, თითქოს ამ ქვეყნად ყველაზე ჭეშმარიტნი და ექვშეუვალად დასაბუთებულნი იყვნენ. მე კი, მსგავსად იმისა, როგორც სამხრეთ ევროპაში დასცინიან მოღალატე ცოლებზე შეყვარებულ ქმრებს, დღენიადაგ დავცინი ცხოვრებაზე შეყვარებულ ადამიანებს, რადგანაც მოწიფული ხალხისთვის ამკარად უღირს საქციელად მიმაჩნია ესოდენ მიამიტური სიყვარული: არ მესმის, ბრიყვების მსგავსად, რატომ უნდა მოატყუებინო ან გააცურებინო თავი სხვებს? ჩვენს უბედურებასა და სვედავსილობას ისღა აკლია, რომ ბუნებისა თუ ბედისწერის დასაცინი და მასხრად ასაგდები გავხდეთ. არა, წარმოსახვის მცდარობაზე კი არა, გონების ცდომილებაზე მოგახსენებ. არ ვიცი, ეს ჩემი გრძნობები ავადმყოფობით არის თუ არა გამოწვეული; გინდ სნეული ვიყო და გინდ ჯანმრთელი, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია დაბეჯითებით, რომ მეზიზღება კაცთა სიმხდალე და უარყოფ ნუგეშად შემოპარებულ ყოველგვარ სიცრუესა თუ სიყალბეს, რაც მხოლოდ ბავშვების დასამშვიდებლად და დასაყვავებლად თუა გამოსადეგი. მადლობა ღმერთს, იმდენი სიმამაცე კი გამაჩნია, რომ ქედუხრელად ავიტანო სრული უიმედობა, თამამად გავუსწორო თვალი ცხოვრების უდაბნოს, გულახდილად ვადიარო, რაოდენ უბადრუკია ჩვენი ყოფა და უყოყმანოდ გავიზიარო მწუხარე, მაგრამ ჭეშმარიტი ფილოსოფიური აზრის ყველა დასკვნა, ყველა შედეგი. დიახ, ასე ვამბობდი გულში, თითქოს თვითონვე ვყოფილიყავი ამ მწუხარე აზრის ავტორი. მე ხომ მინახავს, რომ ყველა ისე უარყოფს მას, როგორც, ჩვეულებრივ, უარყოფენ რაღაც ახალს, ჯერ არნახულს და არგაგონილს, მაგრამ შემდეგ დავფიქრდი და გამახსენდა, რომ ის ისევე ახალია, როგორც სოლომონი, ჰომეროსი, ანდა ჩვენთვის ცნობილი ყველა ძველი პოეტი თუ ფილოსოფოსი, რომელთა ქმნილებებიც სავსეა შედარებებით, ხატოვანი გამოთქმებით თუ არაკებით, თვალნათლივ რომ წარმოგვიჩენენ ჩვენს უბედურ ხვედრს.

ასე, ერთი მათგანი ამბობს, რომ ადამიანი ყველაზე უბედური არსებაა სულდგმულთა შორის; მეორე შენიშნავს, უმჯობესი იქნებოდა, საერთოდ არ დაებადებულყავით, მაგრამ რახან დავიბადენით, ნეტავი აკვანშივე მოქმედარიყავითო; მესამე ამტკიცებს, ვინც ღმერთებს უყვარს, სეკულარული კვდებაო, და ვინ მოსთვლის, რამდენნაირად აღარ იმეორებენ ურთულადობას აზრს. ისიც გამახსენდა, რომ თვით გუშინდელსა თუ გუშინწინდელ დღემდე ამასვე ამტკიცებდა და ადასტურებდა ყველა პოეტი, მწერალი თუ ფილოსოფოსი. ამიტომ ხელახლა შემიპყრო განცვიფრებამ. და ამ ყოფაში გავატარე რამოდენიმე ხანი, — ხან ვბრაზობდი, ხან ვიცინოდი, ხანაც ვკვირობდი, სანამ უფრო გულდასმით არ ჩავუღრმავდი საკითხს და, ბოლოს და ბოლოს, არ მივხვდი, რომ ადამიანთა ცხოვრების მიჩნევა უბედურებად ჩვენი გონების ერთი ყველაზე დახვსებული და დრომოკმული შეცდომა გახლავთ. არა, ცხოვრება ბედნიერებაა, და ეს აღმოჩენა მეცხრამეტე საუკუნის უდიდეს მიღწევათა რიცხვს განეკუთვნება. მაშინდა დავცხრი და ვაღიარე, რომ თურმე სასტიკად ვცდებოდი.

მეგობარი. აღიარეთ და აზრიც შეიცვალეთ?

ტრისტანი. რა თქმა უნდა, ნუთუ თქვენ მთხოვთ, რომ ეჭვის თვალთ ვუყურებდე მეცხრამეტე საუკუნის მიერ აღმოჩენილ ჭეშმარიტებებს?

მეგობარი. და ყველა საკითხზე ისევე ფიქრობთ, როგორც ეს ჩვენი საუკუნე?

ტრისტანი. რასაკვირველია; ვითომ რატომ არ უნდა ვფიქრობდე?

მეგობარი. მაშასადამე, თქვენ გწამთ, რომ ადამიანს შეუძლია დაუსრულებლად სრულყოს თავისი თავი?

ტრისტანი. რა თქმა უნდა.

მეგობარი. ისიცა გჯერათ, რომ კაცთა მოდგმა დღითიდღე უკეთესი ხდება?

ტრისტანი. ცხადია, მჯერა; თუმცა, სულო ცოდვილო, ხანდახან იმასაც ვფიქრობ, რომ ძველად ერთი კაცი ტანის სიმრთელითა და სხეულის ძალმოსილებით ოთხ ჩვენისთანას მაინც გაუტოლდებოდა. ხოლო სხეული მთელი ადამიანია, ვინაიდან, დანარჩენს რომ თავი ვანებოთ, სულის სიდიადე, სიმამაცე, ვნებათა სიმძაფრე, მოქმედებისა თუ ტკბობის უნარი, ერთის სიტყვით, თითქმის ყველაფერი, რაც სიცოცხლეს აზრსა და ღირებულებას ანიჭებს, კუნთების სიმკვრივეზეა დამოკიდებული და ამის გარეშე ვერ იარსებებს. ტანსუსტი კაცი კაცი კი არ არის, არამედ ბავშვი, მეტიც, ბავშვზეც უარესია, ვინაიდან მისი ხვედრი ესაა: იდგეს და უყუროს, როგორც ცხოვრობენ სხვები, თქითონ კი, დიდი-დიდი, მარტოოდენ ლაყბობა თუ შეუძლია, რადგანაც ამ ცხოვრების ღვიძლი შვილი კი არ არის, არამედ გერი. ამიტომ ძველად, თვით ყველაზე განათლებულ ეპოქებშიაც კი, ტანის სისუსტე სამარცხვინოდ ითვლებოდა. ჩვენს დროში კი აღზრდა, რა ხანია, თავს აღარ იწუხებს ტანის სიმრთელეზე ზრუნვით და მხოლოდ სულს ელოლიავება; მაგრამ სწორედ იმით, რომ მარტოოდენ სულის სრულქმნილებაზე ფიქრობს, ანგრევს და ანადგურებს სხეულს და ვერ კი ამჩნევს, რომ სხეულის დანგრევით სულსაც ანგრევს. მაგრამ დავუშვათ, რომ აღზრდაში დაშვებული შეცდომების გამოსწორება ჯერ კიდევ შესაძლებელია; მიუხედავად ამისა, მთელი თანადროული ყოფის ძირეული გარდაქმნის გარეშე წარმოუდგენელია კერძო თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მხარეების მოწესრიგება, ცხოვრებისა, რომელშიაც უწინ ყველაფერი ემსა-

ხურებოდა ერთ მიზანს — სხეულის გაკაფებას და გამობრძმედას, ახლა კი, პირიქით, — მის დამახინჯებასა და დასახინჩრებას ემსახურება. შედეგი ერთია: ჩვენს შორეულ წინაპრებთან შედარებით ბავშვებზედაც უმწეონი და უსუსური ვართ, მაშინ როდესაც ისინი, ჩვენთან შედარებით ნამდვილი ვიქცები იყვნენ, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით. ეს სხვაობა თვალში საცემისაა, მაგრამ ტო ცალკეული პიროვნებების, არამედ მთელი მასების (რა გული მრგვალია, რომ არ ვიხმარო ეს დიდებული თანადროული ტერმინი) ერთმანეთთან შედარების დროსაც. აქვე დავსძენ, რომ სიმწიფის თვალსაზრისით ჩვენი წინაპრების ზნეობრივი თუ მეტაფიზიკური სისტემები გაცილებით მაღლა იდგნენ ჩვენსაზე. მაგრამ ისლა მაკლია სწორედ, რომ ესოდენ უბადრუკი არგუმენტების ზეგავლენით ზურგი ვაქციო ჩემს მრწამსს. არა, მე კვლავ ურყევად მწამს კაცობრიობის ნათელი მომავალი, კაცობრიობისა, რომელიც ძლევაამოსილი ნაბიჯებით მიიწევს წინ, გამარჯვებიდან გამარჯვებისკენ.

მეზობარი. და თქვენ დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ცოდნის ნათელს, როგორც ამბობენ, დღითიდღე უფრო ემატება ბრწყინვალება?

ტრისტანი. რა თქმა უნდა, თუმცა კი ვხედავ, რომ რაც უფრო იზრდება სწავლის წყურვილი, მით უფრო მცირდება მეცნიერებაში ჩაღრმავების მოთხოვნილება. აბა, დაითვალეთ სწავლულთა რაოდენობა, — მე ვგულისხმობ ჭეშმარიტ სწავლულთ, — რომლებიც ხუთასი წლის წინათ თუ უფრო ადრე ცხოვრობდნენ; გაგიკვირდებათ, რამდენად აღემატება მათი რიცხვი ჩვენი დროის მეცნიერებისას. ფუჭია ყველა თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც სწავლულთა რიცხვი ცოტაა მხოლოდ იმიტომ, რომ ცოდნის დაგროვება ცალკეული პირების მიერ კი აღარ ხდება, არამედ მთელი მისი მარაგი თანდათანობით ნაწილდება ურიცხვ მეცნიერს შორის, რომელთა სიმრავლაც თითქოსდა ანაზღაურებს და აწონასწორებს მრავალმხრივ სწავლულთა ნაკლებობას. იქ, სადაც ყველამ ცოტ-ცოტა იცის, საერთოდ ნაკლებია ცოდნა, ვინაიდან ნამდვილი ცოდნა ცოდნას ამრავლებს და არა უბადრუკ წვრილმანებად ხურდავდება. შეუძლებელია ზერელე ცოდნის განაწილება მრავალთა შორის, რადგან ის შეიძლება მხოლოდ თანაბრად ეკუთვნოდეს მრავალ უვიცს. მთელი დანარჩენი ცოდნა კი სწავლულთა კუთვნილებაა, მისი უმეტესი ნაწილი კი — ჭეშმარიტი სწავლულებისა. და თუ არ ჩავთვლით შემთხვევითს გამონაკლისებს, მხოლოდ ჭეშმარიტ სწავლულს, ესე იგი, მხოლოდ მას, ვინც ცოდნის უზარმაზარ კაპიტალს ფლობს, შეუძლია გაამდიდროს ზოგადსაკაცობრიო ცოდნის მარაგი და ხელი შეუწყოს მის შემდგომ განვითარებას. კი მაგრამ, ხომ არა გგონიათ, რომ თუ არ ჩავთვლით გერმანიას, სადაც ჯერ კიდევ ვერ მოახერხეს ამოეძიკვათ ჭეშმარიტი განსწავლულობა, — დღითიდღე უფრო ძნელდება ახალ-ახალი სახელების აღმოჩენა, რომლებიც შეიძლება მივაკუთვნოთ ჭეშმარიტ სწავლულთა რიცხვს? ამ მოსაზრებას ისე, ჰაიჰარად გამოვთქვამ, რათა ცოტათი წავიფილოსოფოსო, ან, თუ გნებავთ, წავისიბრძნისმეტყველო, რაც სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მე დარწმუნებული ვარ თქვენი მტკიცების სისწორეში. თუნდაც თვალნათლივ ვხედავდე, რომ მსოფლიო სავსეა, ერთის მხრივ, უმეცარი გაიძვერებით, ხოლო მეორეს მხრივ, თავდაჯერებული უვიცებით, სულერთია, მაინც ისე ღრმად ვიქნებოდი დარწმუნებული, როგორც დღესა ვართ, რომ ცოდნის ნათელს დღითიდღე უფრო ემატება ბრწყინვალება.

მეზობარი. მაშასადამე, თქვენის აზრით, ეს ჩვენი საუკუნე წინარე სა-

უკუნიებზე უფრო მალლა დგას?

ტრისტანი. რა თქმა უნდა, ასე ფიქრობდა ყველა საუკუნეში, მათ შორის, თვით ყველაზე ბარბაროსული საუკუნეშიც; ასევე ფიქრობს ჩემი საუკუნეც და, მასთან ერთად, მეც. რომც მკითხოთ, კი მაგრამ, რითი მარტოობა უფრო და-ნარჩენ საუკუნეებს, — იმით, რაც სულს ეხება, თუ იმით, რაც სხეულს ეხე-ბაო, — მე დავიმოწმებ იმას, რასაც წელან გეუბნებოდით.

მეზობარი. მოკლედ რომ მოვქრაოთ, რათა ყველა კითხვა ორიოდ სიტყ-ვაზე დავიყვანოთ, ბარემ მითხარით, იმასვე ფიქრობთ თუ არა ადამიანისა და სამყაროს ბედსა თუ ბუნებაზე (რადგან ამჟამად მწერლობასა და პოლიტიკაზე როდი ვმსჯელობთ), რასაც ფიქრობენ გაზეთები?

ტრისტანი. ზუსტად იმასვე. მე აღფრთოვანებული ვარ გაზეთების ფი-ლოსოფიური სიღრმით და სიბრძნით, გაზეთებისა, რომლებიც ჩანასახშივე ახ-შობენ და კლავენ ყველა სხვანაირ ლიტერატურასა თუ მეცნიერებას, განსა-კუთრებით — სერიოზულს, რომელიც მიზნად არ ისახავს ბრბოს გართობას. დიახ, მე მოწიწებით ვიხრი ქედს ჩვენი საუკუნის ამ მოძღვართა და გზის მაჩვენებელ მნათობთა წინაშე; ასეა, არა?

მეზობარი. რა თქმა უნდა. თუ გულწრფელად ამბობთ ამას და არა ჩემი დაცინვის მიზნით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკვე ჩვენიანი ხართ.

ტრისტანი. რასაკვირველია, თქვენიანი ვარ.

მეზობარი. მერედა, რას უპირებთ მაგ თქვენს წიგნს? ხომ არა გსურთ შთამომავლობამდე მიაღწიოს და მის გულამდე მიიტანოს გრძნობები, რომ-ლებიც ასე ეწინააღმდეგებიან თქვენს ახლანდელ მრწამსს?

ტრისტანი. შთამომავლობამდეო? ნუ მაცინებთ, თუ ღმერთი გწამთ; მაგის თქმა ხუმრობით კი არა, სერიოზულად რომ შეიძლებოდეს, უფრო გუ-ლიანად გავიცინებდი. ჩემზე კი არა, სხვებზე მოგახსენებთ, განკერძოებით რომ დგანან ამ ჩვენს მეცხრამეტე საუკუნეში: მერწმუნეთ, ისინი ოდნავადაც არ უფრთხიან შთამომავლობის მსჯავრს, რადგანაც შთამომავლობას უფრო მე-ტი როდი ეცოდინება მათზე, ვიდრე წინაპრებმა იცოდნენ. „ცალკეული პიროვ-ნებები უკვალოდ გაქრნენ მასების წინაშე“, — ასე მომხიბლავად გამოთქვამენ თავიანთ აზრს თანამედროვე მოაზროვნენი. ეს კი ნიშნავს, რომ ცალკეულ პი-როვნებებს საერთოდ აღარ სჭირდებათ თავის შეწუხება: რანაირი დამსახუ-რებაც უნდა მიუძღოდეთ ქვეყნის წინაშე, სულერთია, ცხადში კი არა, სიზ-მარშიაც აღარ შეიძლება ჰქონდეთ რაიმეს იმედი, თუნდაც ისეთი უბადრუკი ჯილდოსი, როგორიც არის დიდება: გაუშვი, ყველაფერი მასებმა აკეთონ; მაგ-რამ რანი არიან თვით ეს მასები, რომლებიც ყველაფერს ცალკეული პიროვნე-ბების გარეშე აკეთებენ, თუმცაღა თვითონვე შედგებიან ცალკეული პიროვ-ნებებისაგან, — ამას, ალბათ პიროვნებებისა და მასების თანამედროვე მცოდ-ნენი ამიხსნიან, მნათობებივით ნათელს რომ ჰფენენ ქვეყანას. ჩვენ კი ისევ შთამომავლებსა და წიგნებს მივხედოთ. თქვენ თვითონვე მშვენივრად ხედავთ, რომ თითქმის ყველა წიგნის დაწერას ამჟამად უფრო ნაკლები დრო სჭირდება, ვიდრე მის წაკითხვას, და რაკი ყოველი წიგნის ფასი მასზე დახარჯული დრო-ის ოდენობით განისაზღვრება, ამიტომ ის ზუსტად იმდენსავე ხანს ცოცხლობს, რამდენი შრომაც დაიხარჯა მის შესაქმნელად. მე პირადად, ჩემის მხრივ, ვფიქ-რობ, რომ მომავალი საუკუნე ერთს ლაზათიანად შეაფურთხებს მეცხრამეტე საუკუნის მთელს უზარმაზარ ბიბლიოგრაფიას, ან კიდევ იტყვის: ჩემი ბიბ-ლიოთეკები სავსეა წიგნებით, რომელთაგანაც თვითეულის შექმნას ოცი-

ოცდაათი წელი მაინც დასჭირდა, ხოლო თუ ვთქვათ და ნაკლები დროც და-
 ხარჯა. ყოველ შემთხვევაში, უკლებლივ ყველა მათგანი უდიდესი ძალისხმე-
 ვის შედეგად მოველინა ქვეყნიერებას. ჯერ ისინი წავიკითხოთ, რადგანაც
 ეჭვს გარეშეა. მათგან უფრო მეტი აზრის გამოტანა შეიძლება; და როცა
 ყველას წავიკითხავე, მაშინღა მივუბრუნდები ექსპრომტად დაწერილ *ქვეყნიერებას*
 ჩემო ძვირფასო, ეს ჩვენი საუკუნე ბავშვების საუკუნეა, და ცოტა *ქვეყნიერებას*
 წიფული ხალხი, რომელიც, რაღაც სასწაულით, ჯერ კიდევ შემორჩენილა აქა-
 იქ, სირცხვილით უნდა იწვოდეს, იმ კაცის მსგავსად, რომელიც გამართულად
 დაიარება მაიმახებო ქვეყანაში. ამ ბეჯით ბავშვებს სურთ აკეთონ ყოველივე
 ის, რასაც უწინ მოწიფული ხალხი აკეთებდა, მაგრამ აკეთონ ბავშვურად,
 ერთი ხელის მოხმით, ერთბაშად. ყოველგვარი მოსამზადებელი სამუშაოს გა-
 რეშე, მათ ისიც კი სურთ, რომ განათლების დღევანდელმა დონემ და ახლან-
 დელი თუ მომავალი საუკუნის ბუნებამ სამუდამოდ დაიხსნან ისინიცა და
 მათი მემკვიდრეებიც თავაუღებელი შრომისა და ოფლის ღვრისაგან, რათა
 უშრომლად და უწვალებლად შეიძინონ რაიმეს კეთებისა თუ შექმნის უნარი.
 ამ რამდენიმე ულის წინ ერთი ჩემი მეგობარი, საქმიანი და პრაქტიკული კაცი
 მეუბნებოდა, რომ დღეს თვით საშუალო ნიჭიც კი სანთლით საიებნი გახდა: სა-
 კუთარი უტვინობისა თუ უმწეობის გამო თითქმის არავის აღარ შეუძლია შე-
 აარულოს თავისი მოვალეობა, ან აკეთოს ის საქმე, რისი კეთებაც აუცილებ-
 ლობამ, ბედმა თუ საკუთარმა არჩევანმა არგუნა წილად. ჩემის აზრით, ნაწი-
 ლობრივ სწორედ ეს განასხვავებს ამ ჩვენს ასწლეულს ყველა დანარჩენი სა-
 უკუნისაგან. მაშინაც და ახლაც სულის სიდიადე იშვიათი გამონაკლისი გაბლ-
 დათ; მაგრამ უწინ ყველაფერს განაგებდა საშუალო ნიჭი, ახლა კი — არარა-
 თბა. ამდენი გნიასიც და ღრიანცელიც სწორედ იმის შედეგია, რომ ყველას
 აურს ყველაფერი იყოს: ამიტომაც აღარავინ აქცევს ყურადღებას იმ თითო-
 როლა ჭეშმარიტ ტალანტს, რომლებიც, ჩემის აზრით, ჯერ კიდევ უნდა ბო-
 გინობდნენ სადღაც, მაგრამ რომლებსაც არავითარი შესაძლებლობა აღარა
 რჩებათ, რომ პატივმოყვარე მოშურნეთა ბრბოში როგორმე გაიკაფონ გზა.
 და რაკი ყველა არარაობას აზრთა მპყრობელი ჰგონია თავი, ამიტომ უსა-
 ხელობა, უპატივცემლობა და აუგი ხდება როგორც უბადრუკ მკლაბნელთა, ისე
 ჭეშმარიტ ტალანტთა საერთო ხვედრი. მაგრამ გაუმარჯოს სტატისტიკას! გა-
 უმარჯოს ეკონომიურ, მორალურ თუ პოლიტიკურ მეცნიერებებს! გაუმარ-
 ჯოს ჯიბის ენციკლოპედიებსა თუ ჩვენი საუკუნის სხვა დიდებულ ქმნილე-
 ბებს! გაუმარჯოს, გაუმარჯოს და კიდევ გაუმარჯოს მეცბრამეტე საუკუნეს!
 რა ვუყვით, რომ მწირია და ღარიბი საქმით, სამაგიეროდ უხვია და მდიდარი
 აიტყვით, ეს კი, როგორც მოგეხანებათ, სიკეთის ნიშანია. მაშ, ვინუგეშოთ
 თავი იმით, რომ ეს იქნება ერთადერთი საუკუნე, რომელიც დარჩენილი სა-
 მოცდარვა წლის მანძილზე გაუთავებლად ილაყბებს და ილაქლაქებს, და, ვინ
 იცის, ბოლოს და ბოლოს, იქნებ თავისი პრინციპებიც კი გამოთქვას.

მეგობარი. ჩემის აზრით, მაგ თქვენს სიტყვებში ირონია გამოსჭვივის:
 მაგრამ ხომ უნდა გახსოვდეთ, რომ ეს ჩვენი საუკუნე გარდამავალი საუ-
 კუნეა?

ბრისტანი. მერედა, რა დასკვნა გამოგაქვთ მანდედან? ყოველი საუკუ-
 ნე ასე თუ ისე გარდამავალი იყო, ვინაიდან ადამიანთა საზოგადოება არასო-
 იეს არა დგას ერთ ადგილზე და გერც ერთ საუკუნეში ვერ მიაღწევს იმ
 ჯდგომარეობას, რომელიც უცვლელი დარჩება უკუნისამდე, ასე რომ, ეს

მშვენიერი სიტყვა ოდნავადაც ვერ ამართლებს მეცხრამეტე საუკუნეს, ან ასევე შეიძლება ამართლებდეს ყველა სხვა საუკუნესაც. საკითხავი მხოლოდ ისაა, თუ სად მიიყვანს საზოგადოებას ის გზა, რომელსაც ამჟამად ადგას, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საით მივემართებით — უარესობიდან უკეთესობისკენ, თუ, პირიქით, უკეთესობიდან უარესობისაკენ? უნდა გვინდობოდეს, რომ ეს გარდამავლობა თანდათანობით გადასვლას კი არ გულისხმობს, არამედ სწრაფ ნახტომს ცივილიზაციის ერთი მდგომარეობიდან მეორისაკენ. რომელიც პირველად განსხვავდება პირველისაგან? თუ ასეა, თქვენის ნებართვით, ერთს გულიანად გავიცილებ ამ სწრაფ ნახტომზე და გიპასუხებთ, რომ ყოველი გადასვლა თანდათანობითი უნდა იყოს, ხოლო თუ ის ერთბაშად ხდება, სულ მალე უკანვე ბრუნდება, უკანვე შემოუქცევა, რათა ნაბიჯ-ნაბიჯ გაიაროს იგივე გადასასვლელი. ასე ყოფილა და ასე იქნება. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ბუნებისათვის უცხოა ნახტომები, ხოლო ბუნებაზე ძალდატანებით ვერაოდეს მიაღწევთ რაიმე მყარ შედეგს. ან, უკეთ რომ ვთქვათ, ყველა ეს ანაზღაურელი ნახტომი მხოლოდ მოჩვენებითია და არა ჭეშმარიტი.

მეზობარი. გემუდარებით, ასე ხმაინალა და ქვეყნის გასაგონად მაინც ნუ მსჯელობთ, თორემ ვინ იცის, რაიღენ მტერს გაიჩენთ.

ტრისტანი. მაგანე დამიდგა და დი; ახლა ვერც მტრები და ვერც მეგობრები ბევრს ველარაფერს დამაქლებენ.

მეზობარი. ან, უფრო სწორად, ყველანი აგითვალწუნებენ იმის გამო, რომ ძალზე ცოტა რამ გესმით თუ ამედროვე ფილოსოფიის მიღწევებისა და არაფრად აგდებთ ცოდნისა და ცივილიზაციის პროგრესს.

ტრისტანი. ძალზე სამწუხაროა, მაგრამ რა გაეწყობა? ამითვალწუნებენ და როგორმე ვინუგეშებ თავს.

მეზობარი. კი მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, შეიცვალეთ თუ არა აზრი? ან რას უპირებთ თქვენს წიგნს?

ტრისტანი. აჯობებს, თუ ვეათ; ანდა, თუ დასაწვავად ვერ გავიმეტებთ, შევინარჩუნოთ, როგორც ბრეტური ზმანებების, შლეგური ბოდვის, ახირების, ენიანობისა და ავტორის ავადმყოფური განცდების გამომხატველი წიგნი; ავტორისა, რომელიც დასტურის თავის უბედობას, ვინაიდან, ჩვენში დარჩეს და, ყველანი ბედნიერებოდ ამბაჩნიხართ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, მაგრამ, აი, მე კი, თუ თქვენ და ეს ჩვენი საუკუნე არ შემრისხავთ ამის თქმისათვის, უბედური ვარ, უბედურად ვთვლი ჩემს თავსაც და ძველი თუ ახალი სამყაროს ყველა გაზეთი ერთნაირად ვერ დამარწმუნებს საპირისპირო აზრის სისწორეში.

მეზობარი არ ვიცი, რატომ თვლით თავს ასე უბედურად, როგორც თვითონვე ბრძანებთ. მაგრამ უბედურია კაცი თუ ბედნიერი, ეს მხოლოდ თვითონ შეუძლია განსაჯოს, და მისი განსჯა ამ შემთხვევაში უტყუარია.

ტრისტანი. მართალი ბრძანდებით, მაგრამ პირდაპირ მოგახსენებთ, რომ, სხვებისაგან განსხვავებით, მე არ ვემორჩილები ჩემს უბედურებას, ქედს არ ვუხრი ბედისწერას და უკან არ ვიხევ მის წინაშე. მეტიც, მე მყოფნის გამბედაობა, გულმხურვალედ ვნატრობდე სიკვდილს, ვნატრობდე ისე ხარბად, ისე ვნებიანად, ისე გულწრფელად, როგორც ამ ქვეყნად, ალბათ, ცოტას თუ უნატრია. არასდიდებით არ გეტყოდით ამას, დარწმუნებული რომ არ ვიყო იმაში, რომ, როდესაც ჩემი საათი დაჰკრავს, საქმით არ უარყოფ ჩემს სიტყვებს. მართალია, ჯერ კიდევ არ ვიცი, როგორი იქნება ჩემი აღსასრული, მაგრამ გუ-

ლი მიგრძობს, რომ ეს საათი შორს აღარ უნდა იყოს. მე მეტიმეტად მოემწიფდი სასიკვდილოდ და თუ სულიერად მკვდარს მაიძულებდნენ, — მას შემდეგ, რაც გაიხსნება ჩემი სიცოცხლის საზარელი დრამის კვანძი, — ერთ ორმოცსა თუ ორმოცდაათ წელიწადს კიდევ მეტრია ამქვეყნიური არსებობის ტვირთი, რასაც მიქადის გულქვა ბუნება, ჩემის აზრით, ეს ყოველგვარად იქნებოდა და გაუმართლებელი. მარტო ამის გაფიქრებაც კი თმეზარსა მსკეპს. მაგრამ ყველა იმ უბედურებისა არ იყოს, რომლებიც თავიანთი საშინელებით, ასე ვთქვათ, მთლიანად თრგუნავენ და გასაქანს არ აძლევენ წარმოსახვას, — ის აზრი, რომ შეიძლება დიდხანს ვიცოცხლო, საზარელ სიზმრად, უსაზმნო და უნიადაგო ზმანებად შესახება. როდესაც შორეულ მომავალზე მელაპარაკებიან, თითქოს მას რაიმე კავშირი ჰქონდეს ჩემთან, ძალაუწებურად მელიმება ხოლმე, ისე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ წინ დიდი გზა აღარ მიღევს. წიგნები და თავაუღებელი შრომა (ახლა მიკვირს, რომ ოდესღაც ენებიანად მიყვარდა ისინი), დიადი მიზანდასახულობანი, ოცნებები უკვდავი სახელისა თუ დიდების მოხვეჭაზე, — დადგა დრო, როცა ყოველივე ეს სასაცილოდ იქცა ჩემს თვალში. არა, მე არ დავცინი ჩვენი საუკუნის მიზნებსა და მისწრაფებებს: ღმერთმა ქნას, ყველაფერი კეთილად დაგვირგვინდეს, ყველაფერმა წარმატებით შეისხას ხორცი: მე ვაქებ ჩემი თანამედროვეების კეთილ ნებასა და აღტაცებული ვართ მათი მხნეობით, მაგრამ არც შთამომავლებისა მშურს და არც იმათი, ვისაც დღეგრძელი სიცოცხლე უწერია ამ ქვეყნად. უწინ შურის თვალით ვუყურებდი ბრიყვებს, სულელებს და იმათაც, ვისაც დიდი წარმოდგენა აქვს თავის თავზე, და მათ ადგილას ყოფნას ენატრობდი. ახლა კი აღარც ბრიყვისა მშურს და აღარც ბრძენისა, აღარც დიდისა და აღარც არარაობისა, აღარც უძლურისა და აღარც ძლევამოსილისა. ერთად-ერთი, ვისიცა მშურს, ეს გახლავთ მკვდრები და ვისურვებდი მხოლოდ მათთვის გამეცვალა ადგილი. ყველა სასიამოვნო განცდა, ყველა საამო ოცნება მომავალზე, რომლებიც ჩემს სიმარტოვეში აღმედვრის ხოლმე, და რომლებსაც დიდხანს ვერ ვწყდები, მე მიხატავენ მხოლოდ სიკვდილს და მერე ფარვანასაგით ევლებიან თავზე. ჩემი სული ისე სავსეა ამ სურვილით, რომ ვერც ბავშვობისდროინდელი ოცნებების მოგონება, ვერც ფიქრი უაზროდ ჩავლილ სიცოცხლეზე უწინდებურად ვეღარ მამღვრევს, ვეღარ მაშფოთებს. თუ ღმერთმა ქნა და ველირსე სიკვდილს, ისე მშვიდად და უდრტვინველად მოვკვდები, თითქოს ჩემს სიცოცხლეში სხვა რამის იმედი არა მქონოდეს და არც სხვა რაიმე ენატროს. სიკვდილი — აი, ერთადერთი სამადლო საქმე, რამაც შეიძლება ბედისწერასთან შემარიგოს. არჩევანი რომ შემოეთავაზებინათ კეისრისა თუ ალექსანდრეს დიდებასა და დაუყოვნებლივ სიკვდილს შორის, მე ვიტყოდი — დაუყოვნებლივ სიკვდილს ვარჩევ და კიდევ იმას, რომ ყოყმანისა და აწონ-დაწონის დრო აღარ დამრჩეს-მეთქი.

ფილიპო ოტონიერის ღირსსახსოვარი სიტყვები

თავი პირველი

ფილიპო ოტონიერი, ვისი ღირსსახსოვარი აზრების გადმოცემასაც აქ გპირდებით, რომელთაგანც ზოგი სხვებისაგან გამიგონია, ზოგი კი თვით მასთან საუბრისას მაქვს მოსმენილი, — დაიბადა და სიცოცხლის უმეტესი ნა-

წილი გაატარა ქალაქ ტუჩაში, ელექტროლეს პროვინციაში, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ გარდაიცვალა და სადაც კაციშვილს არ ახსოვს, რომ ვინმე შეურაცხევოს სიტყვით ან საქმით. მიუხედავად ამისა, საყოველთაო ზიზღისა და სიძულვილის საგანი გახლდათ თავისი თანამოქალაქეების თვალში, რადგანაც, მათი აზრით, არაფრად აგდებდა ყოველივე იმას, რასაც ასე ძლიერ ეტოვებოდა ხარბად მიელტვის ადამიანთა უმრავლესობა, თუმცაღა ოტონიერის არასოდეს უგრძობინებია ვინმესთვის, რაოდენ უფასურად მიაჩნდა სხვებისთვის ესოდენ სანუკვარი საგნები და არც არასდროს დაუგმია ისინი, ვისაც ბედნიერებისა წყაროდ და სიცოცხლის მიზნად დაესახა მათი ფლობა. ამიტომაც სტოვებდა უცნაური კაცის შთაბეჭდილებას, თუმცაღა ყველაზე მეტად იმას ცდილობდა, არაფრით გამორჩეულიყო სხვებისაგან, ყველაზე ნაკლებად კი იმას, რომ თავი მოეწონებინა თავისი რჩეულობით. თვითონვე იტყოდა ხოლმე: თუკი განათლებული კაცის ზნე-ჩვეულებებსა და ქცევას — ჩვენი თანამედროვეობის თვალში ამ ყველაზე დიდ უცნაურობას — შევადარებთ იმათ ზნე-ჩვეულებებსა და ქცევას, ვინც ყოვლად უცნაურ არსებებად მიაჩნდათ უწინ, ცხადი გახდება, რომ ეს უკანასკნელი სულ სხვა ბუნებისანი კი არ ყოფილან, არამედ ოდნავ შესამჩნევად თუ განსხვავდებოდნენ ყოველივე იმისაგან, რაც სავსებით ბუნებრივად მიაჩნიათ ჩვენს თანამედროვეებს, და ამიტომ უცნაურობა, რომელიც დღეს ესოდენ აუტანელი ჩანს, თითქმის სრულიად შეუმჩნეველი დარჩებოდა თვით იმ დროშიაც და იმ ხალხებშიაც, რომლებსაც უწინ ყველაზე ნაკლებ განათლებულად, ან ყველაზე უფრო ზნედაცემულად თვლიდნენო. და როცა ერთმანეთს უდარებდა ორ სხვადასხვანაირ უცნაურობას — ეან-ეაკ რუსოსას, რომელიც სრული დამთხვეულობის ნიმუშად ესახებოდათ ჩვენს წინაპრებს, და დემოკრიტესას თუ პირველი კინიკოსი ფილოსოფოსებისას, ის დასძენდა: ახლა რომ ვისიმე ცხოვრება ისეთნაირად განსხვავდებოდეს ჩვენი ყოფისგან, როგორც ამ ფილოსოფოსების ცხოვრება — მათი თანადროული ბერძნული საზოგადოების წეს-ჩვეულებებისაგან, მაშინ მას არა მარტო დამთხვეულად, არამედ კაცთა მოდგმის თავლაფდამსხმელადაც მიიჩნევდნენო. ის ფიქრობდა, რომ აბსოლუტური საზომი, რომლითაც ამა თუ იმ ქვეყანაში სხვადასხვა დროს ზომავდნენ და აფასებდნენ უცნაურობას, შეიძლებოდა ამ ქვეყანაში ცივილიზაციის დონის საზომადაც გამოგვეყენებინა, მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

ცხოვრებაში, მთელი თავისი ზომიერების მიუხედავად, ის თავს აცხადებდა ეპიკურელად, შესაძლოა, უფრო ხუმრობით, ვიდრე სერიოზულად. თვით ეპიკურეს კი გმობდა და ასე ამბობდა: მის დროში და მის ქვეყანაში კაცს შეეძლო უფრო მეტი სიამოვნება მიეღო სიჭველისა თუ დიდებისაკენ სწრაფვით და არა უქმად ყოფნითა და ყველაფრის უარყოფით, განცხრომის გარდა, რასაც ეს ბრძენკაცი ადამიანის უზენაეს სიკეთედ თვლიდაო. ამასთანავე, ის ამტკიცებდა, რომ ეპიკურეს მოძღვრება, თითქოს საგანგებოდ ჩვენი დროისათვის შექმნილი, სრულიად უცხო იყო მისი თანამედროვეობისათვის.

ფილოსოფიაში სოკრატეს მიმდევრად მოჰქონდა თავი და დღის უმეტეს ნაწილს, ათენელი ბრძენის მსგავსად, ხან ერთსა და ხან მეორე ნაცნობთან, უპირატესად კი თავის მეგობრებთან ფილოსოფიურ საუბრებში ატარებდა. მსჯელობდა ყველაფერზე, რასაც გარემოება თუ შემთხვევა უკარნახებდა. მაგრამ სოკრატესაგან განსხვავებით, ხარაზებისა თუ ღურგლების სახელოსნოების, ან კიდევ სამჭედლოებისა თუ სხვა მისთანათა სტუმარი როდი გახლდათ, რად-

განაც თვლიდა, რომ ათენელ დურგლებსა თუ მკედლებს საკმაოდ ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდათ, რათა ფილოსოფიურ საუბრებში გაეფლანგათ იგი ხოლო ტუჩელ ხელოსნებსაც რომ მათთვის მიეხატათ, შიმშილით ამოსცვრებოდათ სული. საუბარიც სოკრატესაგან განსხვავებული იცოდა, ესე იგი, კითხვას კითხვაზე არ აყრიდა თანამოსაუბრეს და არც ახალ-ახალ საბუთებს ეძებოდა, რადგანაც, მისი აზრით, თვით ჩვენს თანამედროვეებს შორისაც კი, რომლებიც ძველ ბერძნებზე გაცილებით უფრო მრავლისმთმენნი არიან, იშვიათად თუ მოიძებნებოდა ისეთი ამტანი კაცი, რომ ათას კითხვაზე პასუხის გაცემისა და ათასობით დასკვნის მოსმენისათვის გაეძლო. და მართლაც, სოკრატეს მხოლოდ იმით ჰგავდა, რომ უმეტესწილად ირონიულად და გადაკრული სიტყვით, ნართაული მინიშნებებით ლაპარაკობდა. ათენელი ბრძენკაცის საყოველთაოდ ცნობილი ირონიის მიზეზთა კვლევისას ის ამტკიცებდა: სოკრატეს დაბადებითვე თან დაჰყვა სულის უჩვეულო კეთილშობილება და საოცრად მოსიყვარულე გული, მაგრამ რაკი განგებამ აშკარად გასწირა და ხორციელი სილამაზის ნასახიც არ გაიმეტა მისთვის, როგორც ჩანს, სიყმაწვილეშივე გადაიწყვიტა ყოველგვარი იმედი და საბოლოოდ ირწმუნა, რომ არავინ არასოდეს შეიყვარებდა, ანდა, თუ შეიყვარებდა, ეს იქნებოდა მხოლოდ მეგობრული სიყვარული, ამ გრძნობას კი ყველაზე ნაკლებად შესწევს იმის უნარი, რომ დააკმაყოფილოს სიყვარულით მფეთქავი გული, რომელშიაც გაცილებით უფრო მძაფრი ვნებები ბობოქრობენ. მეორეს მხრივ, თუმცა უჩვეულო გამბედაობით გამოირჩეოდა, რომლის წყაროდაც გონების ძალმოსილება გვევლინება, მაგრამ, როგორც ჩანს, აშკარად აკლდა ბუნებრივი სიმამაცე და ბევრი სხვა თვისებაც, რომლებიც ესოდენ აუცილებელნი იყვნენ მის მშფოთვარე დროში — გამუდმებული ომებისა და ამბოხებების საუკუნეში, რასაც ზედ ერთვოდა ათენელთა აღვირაბსნილობაც, — აუცილებელნი იყვნენ საიმისოდ, რომ თავის სამშობლოში საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მიეყო ხელი. ეგეც არ იყო, მისი უშნო და სასაცილო გარეგნობის გამო, ალბათ ათვალწუნებული ჰყავდათ თანამოქალაქეებს, რომლებიც, ყველაფერს რომ თავი ვანებოთ, ენობრივადაც კი ოდნავ თუ ასხვავებდნენ ერთმანეთისგან სიკეთეს და სილამაზეს, და ამასთანავე, ცნობილნი იყვნენ თავიანთი ავციობითა და ბილწსიტყვაობით. ამიტომაც თავისუფალ, ერთთავად მოყაყანე და მოგნიასე, სიმდიდრითა და ფუფუნებით სავსე ქალაქში, სადაც გამუდმებით მძვინვარებდნენ შმაგი ვნებები, ხოლო ცხოვრება დულდა და გადმოდიოდა, ღარიბ-ლატაკმა და უპოვარმა სოკრატემ, რომელსაც არც სიყვარულში სწყალობდა ბედი და არც საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ვარგოდა, მაგრამ დაჯილდოებული იყო უდიდესი ნიჭით, რასაც ზემოხსენებულ თვისებებთან შერწყმის წყალობით მხოლოდ უნდა გაემძაფრებინა მისი სვედავსილობა, ნაცვლად იმისა, რომ რამეში წასდგომოდა, — რაკილა სხვა საქმე არა ჰქონდა რა, ფილოსოფიური საუბრები გაიხადა თავის ერთადერთ ხელობად, რომლებშიაც გამოწვლილვით განიხილავდა თანამოქალაქეთა ქცევასა და ზნე-ჩვეულებებს, ხოლო ამ განხილვაში თავის ჩვეულ ირონიას აქსოვდა, რაც სავსებით ბუნებრივი უნდა ყოფილიყო იმ კაცისათვის, რომელსაც ბევრი რამ უშლიდა ხელს იმაში, რომ, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისი წილი მიეღო ამ ცხოვრებისგან. მაგრამ ზნეობრივი სიფაქიზისა და ბუნებრივი კეთილშობილების, ისევე როგორც უდიდესი გავლენის წყალობით, რომელიც თავისი საუბრებით მოიპოვა და რომელსაც ნაწილობრივ მაინც უნდა დაეშოშმინებინა მისი თავმოყვარეობა,

სოკრატეს ირონია გესლიანი და ზიზღნარევი კი არ იყო, არამედ სასიამოვნო და მშვიდი.

ასე, სოკრატემ, ციცერონია ცნობილი გამოთქმით, ფილოსოფია პირველად ჩამოიყვანა ციდან და ქალაქის მოედნებზე დაამკვიდრეს ზურგი ექცია იღუმალების ბურუსით მოცული საგნებისათვის. მანამდე იკვლევდა, და კაცთა ყოფა-ცხოვრება თუ ზნე-ჩვეულებანი, მათი სიქველე თუ ბიწიერება, მათთვის სასარგებლო თუ საზიანო, მოკლედ რომ ვთქვათ, სიკეთე თუ ბოროტება დაესახა შესწავლის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის, პაექრობისა და კამათის საგნად. მაგრამ თავდაპირველად სოკრატეს აზრადაც არ მოსვლია ამ სიახლეთა დანერგვა, მიზნად არ დაუსახავს ვინმესთვის რაიმე ესწავლებინა და არც ის უცდია, რომ ფილოსოფოსის სახელი მოეხვეჭა, რომელიც მაშინ მხოლოდ ფიზიკოსებისა და მეტაფიზიკოსების კუთვნილება იყო, ასე რომ, იმედიც არა ჰქონია, თავისი საუბრებითა თუ პაექრობებით დაემსახურებინა იგი. ის კი არა და, საჯაროდ აცხადებდა, არაფერი არ ვიცით, და მხოლოდ ერთ რამეს ესწრაფოდა: როგორმე შეექცია თავი სხვის საქმეებზე ლაყბობით, ვინაიდან, ბუნებით, პრაქტიკული საქმიანობა უფრო ხიბლავდა, ვიდრე თეორიული მსჯელობა და ფილოსოფიური საუბრებიც მხოლოდ იმ ხელისშემშლელ მიზეზთა გამო გაიხადა ხელობად, რომლებიც ძირშივე აზმოზდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ მის ქმედითობას, და რაკი ყველა ფილოსოფიური სკოლა, რომელიც მის შემდეგ აღმოცენდა საბერძნეთში, ასე თუ ისე, ნეტად თუ ნაკლებად, სოკრატეს სკოლის თავისებურ განშტოებად გვევლინება, ოტონიერი ამტკიცებდა, რომ მთელი ჩვენი თანადროული ფილოსოფიის უშუალო წინაპრის — ბერძნული სიბრძნისმეტყველების პირველსაწყისი სხვა არა იყო რა, თუ არა იმ კაცის პაქუა ცხვირი და სატირისებური გარეგნობა, რომელსაც უზარმაზარი ნიჭი და მხურვალე გული ჰქონდაო. იქვე დასძენდა — სოკრატეს მოწაფეების ქმნილებებში მათი მათწავლებლის პიროვნება ჩვენი ძველი კომედიის იმ ნიღბებსა ჰგავს, რომლებსაც ყველგან ერთი და იგივე სახელი ჰქვიათ, ერთი და იგივე ტანსაცმელი აცვიათ და ერთნაირი ბუნება აქვთ, დანარჩენით კი ყველა კომედიაში სხვადასხვანაირი არიანო.

ოტონიერის არ დაუტოვებია არც ერთი ფილოსოფიური და არც სხვა ხასიათის თხზულება. წერით მხოლოდ თავისთვის წერდა, როცა ჰკითხავდნენ, რატომ წერილობითაც ისევე არ ფილოსოფოსობ, როგორც ზეპირ საუბარშიო, პასუხად იტყოდა ხოლმე: კითხვა სხვა არა არის რა, თუ არა საუბარი წიგნის დამწერთან. მაგრამ როგორც დღესააწაულზე თუ დროის სატარებლად თავშეყრილ ხალხში მალე სწყინდება იმას, ვინც დროსტარებაში არ მონაწილეობს, — საუბარშიაც გაცილებით უფრო სასიამოვნოა ლაპარაკი, ვიდრე ყურის გდებაო. წიგნი კი უცილობლად იმ თანამოსაუბრესა ჰგავს, რომელიც ყოველთვის ლაპარაკობს, მოსმენით კი არასოდეს არაფერს ისმენსო. ამიტომ აუცილებელია, რომ წიგნი სასიამოვნო საგანზე საუბრობდეს და ჰკვიანურადაც საუბრობდეს, — მხოლოდ ამ შემთხვევაში თუ მიუტევებს მკითხველი სიტყვამრავლობას, არადა, ისევე მოგვაბეზრებს თავს, როგორც ყველა ენამოუღლელი ყბედიო.

თავი მეორე

მისთვის არ არსებობდა არაფითარი განსხვავება საქმის კეთებასა და გართობას შორის. ამიტომ, რაგინდ სერიოზულად უნდა ყოფილიყო საქმე, მისი

დამთავრების შემდეგ ამბობდა: კარგად გავერთეო, მხოლოდ ხანდახან, როცა ნახევარ საათს მაინც უქმად დაპყოფდა, გულახდილად აღიარებდა, თავშესაქცევი ვერაფერი ვნახეო.

ის ამტკიცებდა, რომ ამ ქვეყანაში ყველაზე ნამდვილ სიხარულს ყველაზე გამოჩინავი გვანიჭებს, და რომ ბავშვებს თვით არაფერიც ყველაფერად მიაჩნიათ, დიდებს კი, პირიქით, ყველაფერი — მხოლოდ არაფერად უჩვენებენ. ყოველნაირ სიამოვნებას, რომელსაც, ჩვეულებრივ, ჭეშმარიტს უწოდებენ, ის აღარებდა არტიშოკს: ვისაც სურს გულამდე მიაღწიოს, თავდაპირველად ფოთლები უნდა დაღეჭოს და გადაყლაბოსო. ამასთანავე, — დასძენდა იგი, — ამნაირი არტიშოკი იშვიათია და უმეტესწილად ისეთები გვრჩება ხელთ, რომლებიც გარეგნულად პირველსა ჰგვანან, მაგრამ გულის ნასახიც არ გააჩნიათ. მე კი მომკალი და ფოთლებს ნუ მალეჭინებ, ამიტომ მეტწილად იმას ვჯერდები, რომ არც ერთს ვუსინჯავ გემოს და არც მეორესო.

როცა ჰკითხავდნენ, ადამიანის ცხოვრებაში რომელი წამი მიგაჩნია ყველაზე უარესად, ასე მიუგებდა: ჩემთვის პირადად, თუ არ ჩავთვლით იმ წამებს, როცა შიშსა თუ ტკივილს განვიცდი, არ არსებობს განცხრომის წამზე უარესი წამი, რადგანაც მისი მოლოდინი ან მისი ხსოვნა, რასაც მთელი დანარჩენი სიცოცხლე მიაქვს, გაცილებით უფრო ტკბილია, ვიდრე თვით განცხრომაო. გარდა ამისა, ყოველგვარ ადამიანურ განცხრომას ის აღარებდა სურნელებას, რადგანაც თვლიდა, რომ თავისი მსწრაფწარმავლობით ის აშკარად განსხვავდება ყოველივე იმისაგან, რასაც გრძნობებით აღვიქვამთ, ვინაიდან რაც უფრო მეტ სიამოვნებას გვანიჭებს, მით უფრო სწრაფად ქრება, მით უფრო მეტ სინანულს გვიტოვებს გაქრობისა თუ განქარების შემდეგ, და რომ ჩვენს გრძნობათა შორის ყნოსვას ყველაზე ნაკლებ შესწევს იმის უნარი, რომ საკუთარი აღქმის წყალობით დატკბეს. სურნელებასვე აღარებდა იგი სიამოვნების მოლოდინსაც და ამბობდა: წარმოიდგინეთ ნუგბარი სასმელ-საჭმელი, რომელსაც მადისაღმძვრელი სურნელი ასდის, მაგრამ გემოს გავუსინჯავთ თუ არა, ერთგვარად იმედგაცრუებული ვრჩებით, რადგანაც სურნელება გაცილებით მეტს გვპირდებოდაო. იმასაც ყვებოდა, რომ ხანდახან საშინელი მოუთმენლობა იპყრობდა თურმე, როცა ის, რაც სასურველად მიაჩნდა და რასაც თითქმის უკვე მიღწეულად თვლიდა, ერთბაშად არ ეძლეოდა, — მაგრამ არა იმიტომ, რომ სული ელეოდა მასზე, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ შიშობდა, თუ ბევრი ფიქრის დრო დამრჩა, ვაითუ მოსალოდნელ სიამოვნებაზე გაცილებით უფრო მეტის წარმოდგენა მოვასწრო, ვიდრე სინამდვილეში შეიძლება ახდეს და, ამრიგად, მთელი სიხარული ჩამმწარდესო. და მთელი ამ ხნის მანძილზე, ისე გულმოდგინედ ცდილობდა თავიდან მოეშორებინა მომავალ სიამოვნებაზე ფიქრი, როგორც ცდილობენ არ იფიქრონ მოსალოდნელ უბედურებაზე.

იმასაც ამბობდა, ყოველი ჩვენგანი დაბადებითვე იმ კაცსა ჰგავს, რომელიც უხეშსა და მოუხერხებელ საწოლში წევს, მოუსვენრად წრიალებს, ბორგავს, წამდაუწუმ გვერდს ინაცვლებს და მთელ ღამეს ასეთ ვაივაგლახში ატარებს, თუმცა იმედს მაინც არ კარგავს, ეგება ძილი მომეკიდოსო, ზოგჯერ კი მართლა ჰგონია, თითქოს სძინავს, სანამ არ ინათებს და ღამენათევი და ნაცემნაგვემივით დაქეცილი მოყამულ გუნებაზე არ აღგებაო.

ერთხელ, როდესაც მეფუტკრეებს აკვირდებოდა, რომლებიც არამართო უვლიდნენ, კიდევაც ელაპარაკებოდნენ ფუტკრებს, თქვა: ბედნიერები! წარმოდგენაც არა აქვთ, რომ უბედურები არიანო.

ის თვლიდა, რომ ადამიანთა უბედურებებს ვერც დათვლი და ვერც დაიტირებ.

პორაციუსის კითხვაზე: რატომაა, რომ არც ერთი კაცს ბედნიერად არ არის თავისი ხვედრით, — ასეთი პასუხი ჰქონდა: იმიტომ, რომ არ არსებობს ისეთი ხვედრი, რომელიც ბედნიერებას მიანიჭებდა ადამიანს. ბედნიერება რომ იყვნენ, არა მარტო ქვეშევრდომნი, ღარიბ-ღატაკნი და უმწიერთნი, არამედ მბრძანებლებიც, მდიდრებიცა და ძალმორკმულებით გალაღებულნიც კმაყოფილნი იქნებოდნენ თავიანთი ხვედრით და შურის თვალთ აღარ დაუწყებდნენ ყურებას ერთიმეორეს, რადგანაც ადამიანები უფრო მეტად ხარბნი და გაუმაძღარნი როდი არიან, ვიდრე სხვა არსებები, მაგრამ კმაყოფილებას მათ მხოლოდ ბედნიერება ანიჭებთ. ხოლო თუ უბედურები არიან, რა გასაკვირია, რომ უკმაყოფილონი იყვნენ? აქვე იხსენებდა ქსენოფონტეს სიტყვებს, რომელიც ურჩევს კაცს, თუ ყანის ყიდვას დააპირებს, რაც შეიძლება მოუვლელი და ცუდად დამუშავებული ნაკვეთი შეიძინოს, რადგან თუ ნაყიდი ყანა დროთა განმავლობაში უფრო მეტ მოსავალს არ მისცემს, ვიდრე ყიდვისას, და წლითი-წლამდე უკეთესობის იმედი აღარ ექნება, გულამღვრეული წყალში ჩაყრილად ჩათვლის თავის ფულს. და მართლაც, მხოლოდ იმ ყანას შეჰხარია პატრონი, რომელიც ყოველ წელს უფრო მეტ მოსავალს აძლევს.

და, პირიქით, — ამტკიცებდა იგი, რაგინდ დიდიც უნდა იყოს უბედურება, ადვილი შესაძლებელია კიდევ უფრო დიდ უბედურებად იქცეს, და თვით ყველაზე უბედურ კაცს იმითიც კი არ შეუძლია გაიმაგროს გული, ამაზე უარესი რაღა დამემართებაო. იმედი უსაზღვროა და უსასრულო, ბედნიერება კი საზღვრული და სასრული, და თუ ღარიბისა და მდიდრის, ბატონისა და მონის მდგომარეობას მათსავე სურვილებს და მისწრაფებებს შევუფარდებთ, ცხადი გახდება, რომ მათი ყოფა თითქმის არაფრით არ განსხვავდება ერთმანეთისგან. ჩვენი სვედავსილობისათვის ბუნებას არ დაუდევს არავითარი ზღვარი. თვით წარმოსახვასაც კი არ ძალუძს იმნაირი უბედურების წარმოდგენა, ან ახლა რომ არ ატყდებოდეს, ან წარსულში არ დასტყდომოდეს, ან ოდესმე მაინც არ დაატყდეს თავს კაცთა მოდგმას. იმიტომ ადამიანთა უდიდეს უმრავლესობას არ შეიძლება ჰქონდეს იმის იმედი, რომ ოდესმე მაინც ეღირსება ბედნიერებას, მაშინ, როდესაც უბედურების ძოლოდინისა და სავსებით საფუძვლიანი შიშის საბაბი არავის დაეღვევა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ბედის წყალობა წამიერია, მისი უკულმა ტრიალი კი იმდენად ხანგრძლივი და დაუსრულებელი, რომ შეუძლებელია თვით სასოწარკვეთილების შეუვარი სიკერპეც კი არ შედრკეს მისი სიმუხთლის წინაშე.

ის ხშირად დასცინოდა ფილოსოფოსებს, რომლებიც ქედმაღლურად აცხადებდნენ, რომ კაცს შეუძლია თავი დააღწიოს ბედისწერის დამთრგუნველ ძალმოსილებას, თუკი შეიზიზღებს და არარაობად მიიჩნევს ყოველგვარ ბედნიერებას თუ უბედურებას, რასაც თავისივე ძალისხმევით ვერ მიაღწევს ან თავიდან ვერ აიცილებს, თვითონვე ვერ შეინარჩუნებს ან განირიდებს, და რომ ადამიანთა ბედნიერებაცა და უბედურებაც მთლიანად მათზეა დამოკიდებული. ამნაირ თვალსაზრისზე ის, სხვათა შორის, ამბობდა: დაუუშვათ, რომ მართლაც არსებობდა ისეთი კაცი, რომელიც სხვების თვალწინ ცხოვრობდა როგორც ქეშმარიტი ფილოსოფოსი, მაგრამ თვით ისიც კი არ იქნებოდა ქეშმარიტი ფილოსოფოსი თავისივე თავის წინაშე; დავივიწყოთ ისიც, რომ შეუძლებელია შენს საქმეზე უფრო მეტად არ ზრუნავდე, ვიდრე სხვისაზე, ანდა, პირიქით.

სხვის საქმეზე ისე ზრუნავდე, თითქოს ის შენი იყოს: წარმოვიდგინოთ, რომ სულის ამნაირი განწყობილება, რაზედაც ლაპარაკობენ ეს ფილოსოფოსები, არამარტო შესაძლებელია (თუმცა, სინამდვილეში, ყოვლად შეუძლებელი ვახლავთ), არამედ აქაც და ამჟამადაც ნიშნულია ერთ-ერთი ჩვენგანისთვის, რომ ის გაცილებით უფრო ყოვლისმომცველია, ვიდრე წარმოგვიჩვენებდნენ ბრძენკაცთ, უფრო მყარი, ბედის ტრიალში გამოჯეკილ-გამობრძნეული და ხანგრძლივი გამოცდილების წყალობით, უფრო ღრმად ფესვგადგმულიც: კი მაგრამ, განა ყოველივე ამის მიუხედავად, ადამიანის ბედნიერებაცა და უბედურებაც კვლავინდებურად ბედისწერის ხელთ არ იქნება? განა ბედისწერაზევე არ იქნება დამოკიდებული სულის თვით იმნაირი განწყობილებაც, რომელსაც, ზემოხსენებულ ბრძენკაცთა აზრით, მისი დამთრგუნველი ძალმოსილებისაგან უნდა დავეხსენით? განა ადამიანის სულს თუ გონებას ყოველდღიურად ურიცხვი განსაცდელი არ ემუქრება? განა უთვალავ სნეულებას შედეგად არ მოსდევს შეშლილობა, სიშმაგე, სიგიყე, სიშლეგე, გონების დროებითი ან სამუდამო დაბინდვა თუ დაბნელება? განა შეუძლებელია ჩვენი სულია ამღვრევა, დაძაბუნება, გაუკულმართება, გადაგვარება? განა მეზსიერება, ცოდნისა და სიბრძნის საცავი, სიყმაწვილითვე არა ცვდება და ჩლუნგდება? რამდენი ადამიანი სიბერეში ბავშვივით ჭკუასუსტი ხდება და თითქმის ყველა კარგავს გონების ძველებურ ძალმოსილებას. თვით ესა თუ ის ხორციელი სნეულება, რომელიც ინდობს და დაუზიანებელს ტოვებს ჩვენი გონების ყველა უნარს, ჩვეულებრივ, მეტნაკლებად ფიტავს სულის სიმტკიცეს და სიმამაცეს, არცთუ იშვიათად კი მათ ნასახსაც აღარ უტოვებს კაცს. მოკლედ რომ ვთქვათ, უდიდესა სიბრყვეა, ერთის მხრივ, აღიარო, რომ ჩვენს სხეულს გამუდმებით ემუქრება ურიცხვი საფრთხე, განსაცდელი თუ სნეულება, რომელთა თავიდან აცილებაც ჩვენს ძალ-ღონეს აღემატება, ხოლო მეორეს მხრივ, გადაჭრით უარყო, რომ ჩვენი სული, რომელიც ყველა სხვა მხრივ სხეულზეა დამოკიდებული, მთლიანად ჩვენ როდი გვექვემდებარება. ადამიანი სხვა არა არის რა, თუ არა უბადრუკი სათამაშო ბედისწერის ხელშიო, — დასძენდა იგი.

შეკითხვაზე, რატომ იბადებიან ადამიანებიო, ხუმრობით იტყოდა ხოლმე: იმიტომ, რომ იცოდნენ, რამდენად უმჯობესი იქნებოდა, სულაც არ დაბადებულიყვნენო.

თავი მესამე

ერთხელ, როდესაც დიდი უბედურება დაატყდა თავზე, მან თქვა: როცა ის, ვინც გიყვარს, ხელიდან გეცლება ამა თუ იმ საბედისწერო შემთხვევის, ან ხანმოკლე და უკუბრუნებელი სნეულების შედეგად, მისი დაკარგვით გამოწვეული სიმძიმელი ვერ შეედრება იმ სიმწარეს, როდესაც ჩემსავით ხედავ (აქ ის თავის უბედურებას გულისხმობდა), რა თანდათანობით იღევა და იფერფლება შენთვის საყვარელი არსება, როგორ არღვევს მის ორგანიზმს ხანგრძლივი ავადმყოფობა, მოუბრუნებელი სენი, რომელიც მხოლოდ მას შემდეგ მოუღებს ბოლოს, როცა მთლიანად შეიცვლება სულითაც და ხორციითაც და შენს თვალწინ ლამის სულ სხვა ადამიანად იქცევა. აი, სწორედ ესაა ყველაზე დიდი უბედურება, რადგანაც ამ შემთხვევაში, საყვარელ ადამიანს რომ კარგავ, ერთადერთ ნუგეშად მისი ნათელი სახეც კი აღარ გრჩება, რომელიც ისეთივე ადვილს დაიჭერდა შენს გულში, რაც უწინ ცოცხალს ეკუთვნოდა. მართალია, ის მაინც რჩება შენში, მაგრამ არა ისეთი, როგორიც უწინ გიყ-

ვარდა და, ამრიგად, ნუგეშის ნასახსაც აღარ გიტოვებს, რადგან სამუდამო განშორების შემდეგ მის უწინდელ წმინდა ხატებას შენს სულში სულ სხვა, ახალი, წარმოუდგენლად შეცვლილი და ტანჯვით შეშლილი სახე ეწყველება. ასე რომ, საყვარელ ადამიანს მთლიანად და, თუ შეიძლება, უნაშ- თოდ კარგავ, ვინაიდან თვით შენს წარმოსახვაშიაც კი ვეღარ აგრძელებს არ- სებობას და, ამრიგად, ნუგეშის ნაცვლად მხოლოდ გიმძაფრებს ტკივილს. ამ- ნაირი ჭირისუფლის მწუხარება რაღაცნაირად ნათელი და ამაღლებული კი არ არის, არამედ თავზარდამცემი და დამთრგუნველი.

ერთხელაც, როცა მისი თანდასწრებით ვიღაცა წუწუნებდა: ამ უბედუ- რებას თუ გადავურჩი, დანარჩენისა მე ვიციო, — მან თქვა: მაშინ ამ დანარ- ჩენზე წუწუნით გაგვიწყალებდი გულს, ახლა რომ ასე ადვილად ასატანი გეჩ- ვენებო.

მეორე ჩიოდა: ეს ტკივილი რომ დიდხანს გაგრძელდეს, ღმერთმანი, ვე- ლარ გავუძლებო, რაზედაც მან თქვა: პირიქით, შეეჩვეოდი და უფრო ადვილად გაუძლებდიო.

ადამიანის ბუნების ბევრ მხარეს ხშირ შემთხვევაში სულ სხვანაირი თვალსაზრისით უყურებდა, ვიდრე კაცთა უმრავლესობა და, თქვენ წარმოიდ- გინეთ, თვით ზოგიერთი ბრძენიც. ასე მაგალითად, სხვებისაგან განსხვავებით, ის თვლიდა, რომ კაცს მაშინ კი არ უნდა ეახლო თხოვნით, ამა და ამ საქმეში დამეხმარე ან შუამდგომლობა გამიწიეო, როცა მშვენიერ გუნებაზე ბრძანდე- ბა, მით უმეტეს, თუ ისეთს არაფერს ითხოვ და მის შესრულებას უბრალო თანხმობის მეტი არაფერი სჭირდება. მე მგონია, — ამბობდა იგი, — როცა კაცს რაღაცას სთხოვ, მისმა მხიარულმა გუნება-განწყობილებამაც და უგუნე- ბობამაც შეიძლება თანაბრად შეუშალოს ხელი შენი თხოვნის შესრულებას, ვინაიდან ამ გრძნობების ბუნება ისეთია, რომ კაცი მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს, თავის განცდებს ელოლიაება და ელაციცება, ასე რომ სხვაზე ფიქ- რისათვის იოტის ოდენა ადგილიც აღარ რჩება, როდესაც გვიჭირს — მწუხა- რება, ხოლო როდესაც გვილხინს — სიხარული ისეთნაირად ავსებს და განწო- ნის ჩვენს სულს, რომ სხვისი ჭირისა თუ ღზინისათვის აღარა გვცხელა. ორი დრო ყველაზე არაბელსაყრელია თანაღმობის გამოსავლენად: დიდი სიხარუ- ლისა და მწუხარების დრო. ეს უკანასკნელი იმიტომ, რომ ადამიანი მხოლოდ თავისი თავის მიმართ განიცდის სიბრალულს, პირველი კი იმიტომ, რომ მთელი სინამდვილე, ადამიანთა მთელი ცხოვრება ზეიმად, დღესასწაულად, ზეაღმტაც ბედნიერებად გვესახება და ყოველგვარი გაჭირვება თუ უბედურება ყოველად უადგილო სიცრუედ, წმინდაწყლის გამონაგონად წარმოგვიდგება, რასაც ხე- ლალებით უარყოფს და თავიდან იშორებს სული, როგორც მისი ამყამინდელი განწყობილებისათვის სრულიად უცხო, მიუღებელსა თუ შეუთავსებელს. სა- იმისოდ, რომ კაცი სხვას მხარში ამოუდგეს, ან დახმარების ხელი გაუწოდოს, ყველაზე ხელსაყრელია არა ნეტარების, არამედ მშვიდი და ზომიერი სიხარუ- ლის დრო, სიხარულისა, რომელსაც თითქოს საბაბიც არ გააჩნია, მაგრამ, იდუ- მალეებით მოცული სათავიდან რომ იღებს დასაბამს, მოკლებული არ არის გარ- კვეულ ცხოველმყოფელობას და სულის ოდნავ ზეაწეული განწყობილების, გრძნობათა მშვიდი და გამოუცნობი მღელვარების წყაროდ გვევლინება. ამ დროს ადამიანი ყველაზე ღმობიერია და გულისხმიერი, თავაზიანად ეგებება მთხოვნელებს და ზოგჯერ სიამოვნებით სარგებლობს ხელსაყრელი შემთხვე-

ვით, რათა ეს გამოუცნობი მღვლვარება ქველმოქმედებად გარდაქმნას, ქების ღირს საქმედ აქციოს.

იმასაც უარყოფდა, თითქოს როცა ჩვენს უბედურებას შევჩივებთ, ან ახე თუ ისე ვუმყლავნებთ სხვებს, ყველაზე დიდ თანაგრძნობას სწორედ ისინი გვიცხადებენ, ვისაც თვითონვე განუცდია დაახლოებით ასეთივე უბედურება. ის კი არა და, ჩვენს ჩივილს რომ ისმენენ, ერთი სული აქვთ, რომელს მხელსაქმე თებენ დროს, რათა აქეთ შემოგვიჩვილონ თავიანთი დარდი, და როცა გგონია, რომ შენი სიტყვებით გულშეძრულთ საცაა ცრემლი მოადგებათ თვალზე, სწორედ მაშინ გაწყვეტინებენ სიტყვას და თავიანთ უბედურებას შემოგტირებენ, თანაც ცდილობენ დაგარწმუნონ, რომ მასთან შედარებით შენი საკუთარი უბედურება, თურმე ნუ იტყვი, და საერთოდ, რა გასამხელია. ის ამბობდა, რომ ამ შემთხვევაში დაახლოებით იგივე ხდება, რაც „ილიადაში“ აქილევსზეა ნათქვამი: უბედური პრიამოსი ქეითინით ემხობა თავისი ძის მკვლელის წინაშე, და როცა მოთქმასა და ვედრებას მორჩება, აქილევსი თვითონვე იწყებს ტირილს, მაგრამ არა მხცოვანი მეფის, არამედ საკუთარი უბედურებით გულშეძრული: მოხუცი მამა და მოკლეული მეგობარი ახსენდება. და იქვე დასძენდა: თუ ჩვენ დიდი ხნის წინათ განგვიცდია ისეთივე უბედურება, რასაც ვხედავთ ან გვესმის, მაშინ ის ჩვენს თანაგრძნობას იწვევს, ხოლო თუ ამჟამად განვიცდით, პირიქით, ხელს უშლის და ჩანასახშივე ახშობს თანაგრძნობის ყოველნაირ გამოვლინებასაო.

ის ამტკიცებდა, უსულგულობა და დაუდევრობა იმდენჯერ ქცეულან სისასტიკისა თუ უკეთური ქცევის მიზეზად, რომ თვითონაც შეიძლება მიჩნეულ იქნენ სისასტიკედ და უკეთურობადო: ასეა, მაგალითად, — ამბობდა იგი, — როცა ვინმე დიდკაცი ამალის თანხლებით მიემგზავრება სასახლიდან, მაგრამ დროსტარებაში გართული ვეღარ ამჩნევს, როგორ გაეპარა დრო და თავშესაფრის გარეშე ტოვებს მსახურებს, რომლებიც თავსხმა წვიმაში დგანან გალუმპულები და საცოდავად კანკალებენ; მაგრამ ამის მიზეზია არა მათი პატრონის სისასტიკე და გულმხეცობა, არამედ ის, რომ არც კი დაფიქრებულა, თუ რა ძვირად დაუჯდებოდათ საცოდავებს მისი ბატონკაცური დაუდევრობა.

ერთი შემთხვევის გამო მას უთქვამს: ქველმოქმედი და სხვისი მოამაგე კაცისთვის გაცილებით უფრო ადვილია აშკარა უმადურობის ატანა, ვიდრე იმისა, რომ თავისი დიდი ამაგის ნაცვლად უბადრუკი საზღაური მიიღოს, რადგანაც იმას, ვისზედაც ამაგი მიუძღვის, გულდრძობისა თუ უკეთურობის გამო ჰგონია, თითქოს ამას იქით აღარაფრით აღარ არის დავალებული თავისი კეთილისმყოფლისაგან, ეს უკანასკნელი კი, ზრდილობისა თუ თავაზიანობის გამო, იძულებულია ხალხს ისე მოაჩვენოს თავი, თითქოს თავისი სიკეთის საზღაური სრულად მიიღო და, ამრიგად, ერთდროულად კარგავს როგორც სრულიად უსარგებლო, მაგრამ მისი თავმოყვარეობის მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელ მადლიერებას, ისე იმის შესაძლებლობასაც, რომ დრტვინავდეს სხვისი უმადურობის გამო და თავი მოჰქონდეს იმად, რაც არის სინამდვილეში, ესე იგი ადამიანად, რომელსაც ამაგი არ დაუფასდა.

მის მიერ გამოთქმული ერთი ამნაირი აზრიც გადმომცეს: ჩვენ მზადა ვართ უყოყმანოდ ვალიაროთ ჩვენი თანამოსაუბრეების მახვილგონიერება და გამჭრიახობა, თუკი მათ შეუმჩნეველი არ რჩებათ ჩვენი ქვეშაპირი თუ მოჩვენებითი ღირსებები და მხედველობიდან არ ეპარებათ ჩვენი სიტყვისა თუ

ქცევის სინატიფე და დახვეწილობა, ხოლო თუ ისინი სათანადო პატივს მიაგებენ და კიდევაც იმახსოვრებენ მათ, ჩვენს თვალში კიდევ უფრო ძალა იწევს იმათი ფასი: ახლა ისინი ნამდვილი მოაზროვნეებიც არიან, უაღრესად გულისხმიერნიც და დიდებული მეხსიერების მქონენიც. მაგრამ ვერავითარი სხვა ძალა, ვერავითარი სხვა ღირსება ვერ გვაიძულებს ამნაირი უფასოებად აღმოვაჩინოთ მათში, ანდა ჩვენს თავს გამოვუტყდეთ, რომ აღმოვაჩინეთ ისინი.

თავი მეოთხე

ერთხელ თქვა, მერყევი და გაუბედავი ადამიანები, რომლებსაც გადაწყვეტილების მიღება უჭირთ, განსაკუთრებულ სიკერპესა და სიჯიუტეს იჩენენ თავიანთი განზრახვის ასრულებისას, რაც სწორედ მათი გაუბედაობით აიხსნებაო: მართლაცდა, თუ უარს იტყვიან იმაზე, რისი თქმაც ძლივსძლივობით გაბედეს და გადაწყვიტეს, იძულებულნი იქნებიან ახალი გადაწყვეტილება მიიღონ; ამიტომაც უჩვეულო გულმოდგინებით ჰკიდებენ ხელს თავიანთი ჩანაფიქრის ასრულებას, რადგანაც შიშობენ, ვაითუ რაიმე გაუთვალისწინებელმა გარემოებამ ხელი აგვადებინოს ჩვენი განზრახვის ხორცშესხმაზეო. მაშინ ხომ თავიდან უნდა დაიწყოს დაუსრულებელი ყოყმანი, კვლავ განმეორდეს თავიანთი გაუბედაობის მტანჯველი განცდა, საცოცხლეს რომ უწამლავდათ მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ გადაწყვეტილების მიღებას მოახერხებდნენ, და ისინიც თავს არ ზოგავენ, ერთი სული აქვთ, როდის მოაბამენ თავს და მოათავებენ კიდევაც საქმეს, რადგანაც იმედი არა აქვთ, რომ ერთხელ კიდევ სძლევენ, ერთხელ კიდევ მოერევიან თავიანთ თავს, და უფრო ამის შიში აქვთ, ვიდრე საოცნებო საგნისკენ სწრაფვა, ან იმ დაბრკოლებათა დაძლევის სურვილი, რომლებიც ძალაუნებურად უნდა გადალახონ მისკენ სწრაფვისას.

ხანდახან სიცილით იტყოდა ხოლმე: ადამიანები, რომლებსაც სჩვევიათ, თავიანთი აზრები თუ განცდები სხვებს გაანდონ და გაუზიარონ, მარტოდმარტონიც რომ იყვნენ, გამწარებით წამოიყვირებენ, თუკი, ვთქვათ, ბზიკმა უკბინათ, ან შემთხვევით ჭიჭა გაუვარდათ ხელიდანო. და პირიქით, კაცი, რომელიც სიმარტოვეს არის ნაჩვევი, დამბლაც რომ დაეცეს, ერთს არ ამოიკვნესებს, თუნდაც ამ დროს ახლობლები ეხვიონ გარსო.

ის ფიქრობდა, რომ იმათმა უმრავლესობამ, ვისაც ძველად თუ ახლა დიდ ადამიანებად თვლიდნენ ან თვლიან, მხოლოდ ერთი რომელიღაც ღირსების წყალობით მოიხვეჭა ეს სახელი, ღირსებისა, რომელიც აშკარად ჩრდილავდა ყველა დანარჩენს, მაშინ როდესაც იმას, ვისი სულის ყველა უნარი ერთმანეთის ტოლფარდი და ტოლფასია, ძალიან უჭირს რაღაცა ისეთის შექმნა, რაც დიდი ადამიანის სახელის ღირსი იქნებოდა და დიდების შარავანდედით შემოსავდა მის შემოქმედს თანამედროვეთა თუ შთამომავალთა თვალში.

ახლანდელ განათლებულ ხალხებში ის გამოპყოფდა და ერთმანეთისგან განასხვაებდა ადამიანთა სამ ფენას. პირველ ფენას აკუთვნებდა იმათ, ვისი საკუთარი ბუნება, ან ის, რაც ბუნებით საერთოა ყველა კაცისთვის, მთლიანად გარდაქმნილი და სახეცვლილია ხელოვნების წყალობით თუ ქალაქური ცხოვრების წესით. ამ ფენის წარმომადგენლებს უნარი შესწევთ წარმატებით გაართვან თავი საკუთარსა თუ საზოგადო საქმეებს, დაიკმაყოფილონ სულიერი

მოთხოვნილებანი კეთილშობილური ადამიანური ურთიერთობის საშუალებით და სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინონ ერთმანეთზე ყოველთვის. ^{ორცა} ერთად ყოფნა უწყევთ, მოკლედ, მიესადაგონ თანადროული საზოგადოებრივი ცხოვრების წესს. ზოგადად რომ ვთქვათ, მხოლოდ ამ ფენის წევრებს შეუძლიათ საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდნენ ^{საზოგადოებრივი} ხალხების თვალში.

მეორე ფენას მიეკუთვნებიან ისინი, ვისი ბუნებაც ოდნავ შესამჩნევად თუ შეიცვალა დასაბამიერ მდგომარეობასთან შედარებით, და რაკი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სათანადო წვრთნა ვერ მიიღო, თავისი სისუსტისა თუ შეზღუდულობის გამო თითქმის სრულიად ვერ აღიქვამს ხელოვნების მომნუსხველ ძალას, ისტორიული გამოცდილებისა თუ კეთილშობილური მაგალითის ღირებულებას, ვერა გრძნობს მათ ზემოქმედებას, და, მით უმეტეს, ვერ ინარჩუნებს მათგან მიღებულ შთაბეჭდილებებს. ეს ფენა ყველაზე მრავალრიცხოვანია და ყველაზე საძულველი არა მარტო სხვებისათვის, არამედ თავისი თავისთვისაც, ყველაზე დიდი ზიზლისა და ყველაზე ნაკლები ყურადღების ღირსი. მას ეკუთვნის ყველა, ვინც ატარებს ან იმსახურებს უბირია სახელს, რა წოდებასაც უნდა ეკუთვნოდეს ბედისწერის უინიანობისა თუ თავნებობის ძალით. ერთის სიტყვით, ესაა ბრბო.

მესამე ფენა მრავალრიცხოვნებით ახლოს ვერ მივა პირველ ორთან. თითქმის ისევე, ზოგჯერ კი უფრო მეტად საძულველია, ვიდრე მეორე, და მოიცავს ყველას, ვისმა ბუნებამაც, ძალთა სიჭარბის გამო, ხელალებით უარყო და სიახლოვეს არ გაიკარა ცხოვრების თანადროული წესი, ან ძალზე ზერელედ და ზედაპირულად შეითვისა მისი თითო-ოროლა ქვეგანაწესი, რაც აშკარად არ კმარა საიმისოდ, რომ წარმატებით ართმევდეს თავს დაკისრებულ მოვალეობას, ისე იქცეოდეს ადამიანებთან ურთიერთობისას, როგორც ჯერ არს, სასიამოვნო და სასურველი თანამოსაუბრე იყოს მათთვის და თავისი თავის პატივისცემას უნერგავდეს სხვებს. ეს ფენა, თავის მხრივ, ორ ჯგუფად იყოფა. პირველს შეადგენენ ძლიერი და ქედუხრელი პიროვნებები, რომლებიც ზიზლით უყურებენ მათ მიმართ გამოვლენილ საყოველთაო ზიზლს, ხშირ შემთხვევაში კი უფრო მეტად ამაყობენ ამით, ვიდრე იამაყებდნენ საყოველთაო პატივისცემით. ისინი განსხვავდებიან დანარჩენ მოკვდავთაგან ნებისყოფის უჩვეულო სიმტკიცით და შემართებით, მაგრამ არა მარტო იმიტომ, რომ მათი ბუნება არ შეიძლება სხვაგვარი იყოს. მათ არაფრის იმედი არა აქვთ, არაფერს ნატრობენ, არაფერს მიელტვიან და მარტოდმარტონი არიან ხალხმრავალ ქალაქთა უდაბნოში, მაგრამ არა მარტო იმიტომ, რომ სხვები გაურბიან, არამედ იმიტომაც, რომ თვითონვე გაურბიან სხვებს. მეორე ჯგუფის წევრთა ბუნება ისეთია, რომ მის ძლიერებას უშუალოდ ერწყმის ერთგვარი სისუსტე თუ სიმბდალე და ამიტომ ეს ბუნება გამუდმებით ეომება თავისსავე თავს. ისინი ნებაყოფლობით არასოდეს გაურბიან საზოგადოებას, თუმცა თავგამოდებით ცდილობენ ყოველმხრივ თავიანთ ქედუხრელსა და საზოგადოების მიმართ უღრმესი ზიზლით გამსჭვალულ თანამოძმეებს ჰგავდნენ; მაგრამ, მათგან განსხვავებით, ძალზე მტკივნეულად განიცდიან აგდებულ დამოკიდებულებას, რასაც ყოველი ფენის ნაბიჯზე აწყდებიან, და თავიანთი ღირსების ხელყოფას იმ ხალხის მხრივ, რომელიც თავისი სიქველითაც და ნიჭიერებითაც მათზე გაცილებით უფრო დაბლა დგას. ამიტომაც, მთელი თავიანთი მცდელობისა და გულმოდ-

გინების მიუხედავად, ვერასდიდებით ვერ ახერხებენ მიესადაგონ ^{სრულყოფილი} ური ცხოვრების მოთხოვნებს და ადამიანებთან ურთიერთობისას სწავებისთვის თუ არა, თავიანთი თავისთვის მაინც ასე თუ ისე ასატანნი ^{გაქვნიან} მატ-ნაკლებად ასეთი იყო ახლო წარსულში და ასეთივეა ახლაც ^{საქართველოში} კეთილშობილი ტალანტი, მაღალი ნიჭით ცხებული თითქმის ყველა სული. ამის თვალსაჩინო ნიმუშია ვან-ვაკ რუსო. ძველ დროში კი ვერგილიუსი. ვისი ცხოვრების აღწერილობაშიც, რომელიც რომელიც გრამატიკოსს დონატუსს ეკუთვნის, მისი კოლეგის — გრამატიკოსისა და მეცენატის აზატის — მელი-სეს ავტორიტეტულ მოწმობაზე დაყრდნობით. ნათქვამია, რომ პოეტი ძუნწად მეტყველი იყო და თითქმის არაფრით განიჭვოდა უმეცართაგან. ეს რომ მართალია, ვერგილიუსი რომ მართლაც ვერ ეგუებოდა ადამიანებს, ჩვენ შეგვიძლია დაბეჭითებით დავასკვნათ მისი სტილის სინატიფის, ძველი მისი პოე-ზიის ბუნებისა და აგრეთვე იმის მიხედვით, რასაც ვკითხულობთ „გეორგი-კების“ მეორე წიგნის დასასრულს. სადაც პოეტი, ბევრი სხვა მაღალნიჭიერი რომაელისაგან განსხვავებით, პირდაპირ ამბობს: მინდა ადამიანებს განვეშო-რო და განმარტოებით ვიცხოვროო, მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორ ამ-ბობს ამას, ძნელი როდია მიხვდე, რომ განმარტობას აიძულებს და ანატრე-ბინებს არა ის, რომ მარტოსულის ცხოვრება მოსწონს, არამედ მისივე სა-კუთარი ბუნება, და რომ სიმარტოვე ბედნიერებად კი არ ესახება, არამედ თავ-შესაფრად და სამკურნალო საშუალებად. მართალია, საზოგადოებამ შეიძლება მოწყალება მოიღოს და როგორც ერთი, ისე მეორე ჯგუფის ცალკეული წარ-მომადგენლები ერთგვარად დააფასოს, ან, ასე თუ ისე, აღიაროს, მაგრამ ეს პატივი ძალზე ცოტას თუ ხვდება წილად და ისიც მხოლოდ სიკვდილის შემ-დეგ. რაც შეეხება მეორე ჯგუფის წევრთა უდიდეს უმრავლესობას, ისინი სი-ცოცხლეშიც და, მით უმეტეს, სიკვდილის შემდეგაც აბსოლუტურ არარაობად, ან თითქმის არარაობად არიან შერაცხილნი. ამიტომაც კოტონიერი თავს უფ-ლებას აძლევდა ემტკიცებინა, რომ თუ კაცს სურს აფასებდნენ და პატივს სცემდნენ, სხვა გზა არ დარჩენია, გარდა ერთისა: უღალატოს თავის ბუ-ნებას და რაც შეიძლება შორს განუდგეს მას. ეგეც არ იყო, ამ ჩვენს დროში საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში ჩაბმულნი არიან მხოლოდ მეორე ფენის წარმომადგენლები, რომელსაც, თავისი ბუნებით, საშუალო ადგილი უჭირავს დანარჩენ ორ შორის. ყველაფერს რომ თავი ვანებოთ, — დასძენდა იგი, — მარტო ესეც საკმარისია, რათა თვალნათლივ დავრწმუნდეთ, რომ ჩვენს დროში ცხოვრების ყველა სადავე ხელთ უპყრია, ყველაფერს განაგებს, ყვე-ლაფერს წარმართავს და თავის ნებაზე ატრიალებს მხოლოდ საშუალო ნიჭი.

სიბერეზე საუბრისას ის ერთმანეთისაგან განასხვავებდა სხვადასხვა ეპო-ქაში მის სამ სხვადასხვანაირ თანაფარდობას სხვადასხვა ასაკის მიმართ. ყო-ველი ხალხის არსებობის საწყის ეტაპზე, როცა ყველა თაობის ზნე-ჩვეულებ-ები ჯერ კიდევ წრფელია და შეურყვნიელი, ხოლო ცოდნა და ცხოვრებისე-ული გამოცდილება ჯერ კიდევ არ აიძულებს ადამიანებს ზურგი აქციონ სიჭ-ველეს და ზედმეტ ბარგად მიიჩნიონ სამართლიანობა და პატიოსნება, სიბერე ყველა სხვა ასაკზე უფრო საპატიოდაა მიჩნეული, ვინაიდან პატიოსნებასა და იმდროინდელი ადამიანებისათვის ნიშნულ ყველა სხვა ღირსებას მასში, რო-გორც ეს არა მარტო მოსალოდნელია, არამედ სავსებით ბუნებრივიც, უშუა-ლოდ ერწყმის სიბრძნე და წინდახედულება. პირიქით, მას შემდეგ, რაც

დრონი იცვალნენ, რაც ზნეობა შეირყვნა და გადაგვარდა, არც ერთი სხვა ასაკე ისე ბილწად და ზიზღის ღირსად აღარ ითვლება, როგორც სიბერე, რომელიც ახლა უკვე მთელის არსებით მიელტვის ბოროტებას, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ უფრო სრულად შეითვისა და შეისისხლხორცა იგი, მეორეც, იმიტომ, რომ უფრო ხშირად და უფრო დიდხანს იძულებული იყო აეტანა სხვისი სიბერე, — ბოლოს, გულგრილობის გამო, რაც, ბუნებით, ესოდენ ნიშნეულია მისთვის, — მაგრამ აღარც ძალა მოსდგამს ბოროტების ჩასადენად და აღარც სხვა საშუალება დარჩენია, ცბიერების, მზაკვრობის, სიმუხთლის, ვერაგობის თუ თვალთმაქცობის, ერთის სიტყვით, ბოროტმოქმედების ყველაზე ბილწი და ამაზრზენი იარაღის გარდა. მაგრამ შემდეგ, როცა ადამიანთა ზნედაცემულობა და გახრწნილება ყოველგვარ ზღვარს გადადის, როცა პატიოსნებისა და სიქველისადმი ზიზღი აშკარად უკან იტოვებს გამოცდილებას, სამყაროს შემეცნებასა თუ მწარე სინამდვილის შეგნებას, ან, თუ შეიძლება ასე ითქვას, როცა ცოდნა და გამოცდილება წინ უსწრებს ასაკს, ასე რომ, ადამიანი სიყმაწვილითვე უკვე გამოცდილია, გახრწნილი და გადაგვარებული, — სიბერე კვლავ საპატიო ხდება, თუმცა არა, საპატიო კი არა ხდება, რადგანაც ამიერიდან ძალზე ცოტა რამ თუ იმსახურებს იმას, რომ საპატიოდ იწოდებოდეს, არამედ მხოლოდ ნებისმიერ სხვა ასაკთან შედარებით, ასე თუ ისე, ასატანი ჩანს. რადგანაც სულის სიფიცხე და სხეულის სიმტკიცე, რომლებიც ოდესღაც მხარში ედგნენ წარმოსახვასა თუ ზრახვათა კეთილშობილურ სწრაფვას და არაერთხელ ქცეულან კეთილზნეობის, ქველმოქმედებისა თუ საგმირო საქმეთა წყაროდ, ახლა მხოლოდ გაუკუღმართებული ნებისა და ბოროტი ზრახვის თანამდგომეზად თუ თანამშრომლებად გვევლინებიან, თავიანთი ძალმოსილებით ფრთებს რომ ასხამენ და უჩვეულოდ ამძაფრებენ სულის ყველა უკეთურ სწრაფვასა თუ მიდრეკილებას; ხანდაზმულობაში კი ერთიცა და მეორეც ცვილივით რბილდება სიბერისათვის ნიშნეული გულგრილობის, სისუსტისა და სიძაბუნის შედეგად, თუმცა თვით ესეც კი უმაღ მიწიერების წყაროდ გვევლინება, ვიდრე სიქველისა და სათნოებისა. ამრიგად, ყოველთვის, როცა ზნეობრივი თვალსაზრისით განვსჯით და განვიხილავთ იმას, თუ რა არის სიბერე ყველა სხვა ასაკთან შედარებით, შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა ეპოქაში ის შემდეგნაირად შეეფარდებოდა და შეეფარდება მათ: უძველეს დროში — როგორც უკეთესი — კარგს, უფრო გვიან — როგორც უარესი — ცუდს, ამ ჩვენს დაწყევლილ დროში კი პირიქით, — როგორც ცუდი — უარესს.

თავი მეხუთე

ის ხშირად მსჯელობდა ჩვენთვის ნიშნეულ თვითმოყვარეობაზე, რასაც დღეს „ეგოიზმს“ უწოდებენ. როგორც ჩანს, არცთუ იშვიათად ეძლეოდა მასზე ლაპარაკის საბაბი. მოკლედ გადმოგცემთ მის აზრებს ამ საგანზე. ის ამბობდა, რომ თუ ვინმე შენთან საუბარში პატიოსნებას უქებს, ან, პირიქით, უპატიოსნობას სწამებს და აგინებს კაცს, ვისთანაც რაიმე საქმე ჰქონია, ამ უკანასკნელზე შენ ვერაფერს ვერ გაიგებ, გარდა ერთისა: რა თვალით უყურებს მისი მაქებარი თუ მაგინებელი, მოსწონს თუ იწუნებს, კმაყოფილია მი-

სით თუ არა. თუ აქებს, მაშასადამე, კმაყოფილია, ხოლო თუ აგინებს, — უკმაყოფილო.



ის ამტკიცებდა, რომ ამჟამად აღარ არსებობს სიყვარული მეტოქის გარეშე. როცა ჰკითხავდნენ, ვითომ რატომღაც, პასუხობდა: — იმიტომ, რომ თვითმოყვარეობისათვის სწორედ სიყვარულია ყველაზე საშიში მეტოქეო.

დაეუშვათ, — ამბობდა იგი, — რომ დახმარებას სთხოვ ვინმეს; მაგრამ მას არ შეუძლია ისე შეგისრულოს თხოვნა, თუ არ მოიმდურა და გაანაწყენა ვიღაც მესამე. დაეუშვათ ისიც, რომ ეს მესამე, ის, ვისაც შენ თხოვნით მიმართავ და შენ, სამივე, ერთსა და იმავე წოდებას ეკუთვნით, ერთნაირი სიმდიდრის პატრონნი ხართ და თანაბარი გავლენით სარგებლობთ საზოგადოებაში. კისერს მოვიჭრი, თუ შენს თხოვნას შეარულება უწერია; თუნდაც ის, ვისაც თხოვნით მიმართავ, წინასწარვე დარწმუნებული იყოს იმაში, რომ საშუალოდ მოგიმადლიერებს, და რომ შენი მადლიერება აშკარად გადასწონის იმ ვიღაც მესამის გულისწყრომას და მომდურაობას. რადგანაც ადამიანებში გაცილებით უფრო ძლიერია გულისწყრომისა და სიძულვილის შიში, ვიდრე ერთგულებისა და მადლიერების იმედი; და ვერც ვერავის გაამტყუნებ: აკი ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვრწმუნდებით, რომ პირველი გაცილებით უფრო ქმედითია, ვიდრე მეორე. მიზეზიც გასაგებია: როცა აპირებ სანაცვლო მიაგო და შური იძიო მასზე, ვინცა გძულს, შენსავ სასიკეთოდ მოქმედებ, ხოლო როდესაც ცდილობ დაეხმარო იმას, ვინც გიყვარს, ან სამაგიერო სამსახური გაუწიო შენს კეთილისმყოფელს, რაც არ უნდა იყოს, მაინც სხვისი გულისთვის იღვწი.

იმასაც ამბობდა, რომ ყურადღება და გულისხმიერება, რასაც სხვების მიმართ ანგარებისა თუ გამორჩენის მიზნით იჩენ, ძალზე იშვიათად თუ აღწევს მიზანს, ვინაიდან ადამიანები ნამეტანი ჰკვიანები გახდნენ და მიღებით, იცოცხლე, ყველაფერს ხალისით იღებენ, მაგრამ, აი, გაცემა კი სიკვდილივით უძძიმთ. და მხოლოდ ყურადღება, რომელსაც გარყვნილი ყმაწვილკაცები იჩენენ უკვე ჰკნობაშეპარულ ლამაზმანთა მიმართ, არა მარტო სხვებზე ხშირად მართლდება, არამედ თითქმის ყოველთვის აღწევს მიზანს.

ქვემოთ მოტანილი შენიშვნები, რომლებიც უპირატესად თანამედროვეთა ზნეობას ეხება, მახსოვს, თვით მასთან საუბრისას მაქვს მოსმენილი. ახლა ქვეყანაში გამოსულსა და გაქნილ-გამოქექილ ხალხში სამარცხვინოდ მხოლოდ ის ითვლება, რომ რაღაცისა გრცხვენოდეს, და აკი ამნაირ ადამიანებს თავიანთი სირცხვილის გარდა არც არაფრისა რცხვენიათ, თუკი საერთოდ გამორიცხული არ არის, რომ ისინი ოდესმე მაინც შეაწუხოს სირცხვილის გრძნობამ.

განსაცვიფრებელია მოდის ძალმოსილება: მაშინ როდესაც მთელი ხალხები და ცალკეული ადამიანები ჯიუტად ებღაუჭებიან თავიანთ ზნე-ჩვეულებებს და უტეხი სიკერპით ცდილობენ კვლავ ისევე იმსჯელონ, ისევე მოიქცნენ და იმოქმედონ, როგორც ოდითვე სჩვევიათ, თუნდაც ეს მათი საქციელი არაგონივრული და თვით მათთვისვე საზიანოც იყოს, — საკმარისია მოდამ მოიწადინოს და დაუყოვნებლივ აიძულებს მათ ერთი უარყონ, მეორეს ზურგი აქციონ, მესამეს უღალატონ და სახელდახელოდ შეითვისონ ახალი ჩვევები, შეზღუდულებები თუ ქცევის წესები, მიუხედავად იმისა, რომ მთელი სიძველე, რაზედაც უარს ამბობენ, შეიძლება გონივრული, სასარგებლო და ფასეულიც იყოს, ხოლო ესოდენ ნაჩქარევად შეთვისებული და აღიარებული სიახლე, ამ მხრივ, ძირფესვიანად უპირისპირდებოდეს მას.

ძალზე იშვიათად თუ დასცინიან იმას, რაც მართლა სასაცილოა ჩვენს სოციალურ ცხოვრებაში და ცალკეულ ადამიანებშიც, ხოლო თუ ვინმე გაბედავს და დააპირებს ამაზე სიცილს, ვერავის ვერ აიყოლიებს და ისიც მასწრაფოდ ჩუმდება ნირწამხდარი და დარცხვენილი. პირიქით, დასცინიან ბევრ ისეთ რასმე, რაც, თავისი ბუნებით, სავსებით სერიოზული და ღირსეული, დასცინიან და, თქვენ წარმოიდგინეთ, სხვებსაც გულიანად აცინებენ და ახარხარებენ. უმეტესი ნაწილი იმისა, რასაც გამუდმებით დასცინიან და ამასხრებენ, სრულიადაც არ არის დაცინვის ღირსი, ბევრ რამეს კი სწორედ იმიტომ დასცინიან, რომ იოტის ოდენადაც არ იმსახურებს გამასხრებასა და გაბიაბრუებას.

ჩვენ ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვამბობთ და სხვებისგანაც გვესმის: „ჩვენი სულმნათი წინაპრები“, „კაცი ის იყო, თუ იყო“, „აფსუსი არ არის, ის მიწაში ღვებოდეს და ეს კი მზეს უყურებდეს“ და სხვა მისთანანი, — ყოველთვის, როცა გვინდა მავანზე ვთქვათ, რომ ის უღირსი კაცია და მასზე დანდობა არ შეიძლება. ყველა თაობას, ერთის მხრივ, ჰგონია, რომ ძველად ადამიანები გაცილებით უკეთესნი იყვნენ, მეორეს მხრივ კი ღრმად დარწმუნებულია იმაში, რომ რაც უფრო მეტად შორდებიან თავიანთ დასაბამიერ მდგომარეობას, ადამიანები და ხალხები დღითიდღე უკეთესნი ხდებიან, და ხელახლა რომ დაბრუნებოდნენ მას, ყოველ მიზეზს გარეშე უკუღმა წავიდოდა საქმე.

ჭეშმარიტება, რა თქმა უნდა, ულამაზოა და უსახური, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მასაც შეუძლია მოგვანიჭოს ერთგვარი სიამოვნება, და თუ ჩვენ, ადამიანები, ჭეშმარიტებაზე უფრო მეტად მშვენიერებას ვაფასებთ, იქ, სადაც მშვენიერება არ არის, ყველაზე მალე უნდა ვაყანებდეთ ჭეშმარიტებას. ახლა კი, დიდ ქალაქებში, ადამიანი უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, შორსაა მშვენიერებისაგან, რომელსაც საერთოდ აღარ დარჩა ადგილი ჩვენს ცხოვრებაში. მაგრამ ასევე შორსაა იგი ჭეშმარიტებისაგანაც, რადგანაც დიდ ქალაქებში ყველაფერი ან ყალბია, ან ამაო და ფუჭი, ასე რომ, ვერც მზერით თუ სმენით, ვერც ყნოსვით თუ შეხებით, მოკლედ ვერც ერთი შენი გრძნობით ვერ აღიქვამ ვერაფერს, სიყალბის და სიცრუის, ანუ, რაც იგივეა დაახლოებით, — სიმახინჯისა და სიბილწის გარდა, ხოლო მგრძნობიარე სულებისათვის, თამამად შეიძლება ითქვას, არ არსებობს უფრო დიდი უბედურება.

ვისაც იმისი თავი არა აქვს, რომ თვითონვე აკეთოს თავისი საქმე და ცდილობს სხვას გადააბაროს იგი, ან საერთოდ ამაოდ ესწრაფის, ან სხვებზე უფრო დიდი წვალეებით და ნაკლები წარმატებით ახერხებს იმას, რომ დაიკმაყოფილოს უმთავრესი მოთხოვნილება, რომელიც, ყველაფრის მიუხედავად, ჯერ კიდევ შერჩა. მე ვგულისხმობ რაღაცის კეთების, სასიცოცხლო მიზნის ძიების მოთხოვნილებას, რომელიც გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ყოველივე ის, რისთვისაც ვწვალობთ, ვიდევწვით, ვშრომობთ, ოფლსა ვღვრით, რათა როგორმე შევავსოთ არსებობის სიცარიელე; უფრო ძლიერი, ვიდრე თვით სიცოცხლის წყურვილი, არსებობის მოთხოვნილება. უაზრო სიცოცხლე საერთოდ არ გიტოვებს იმის სურვილს, რომ იცოცხლო, ვინაიდან სიცოცხლე ბედნიერების გარეშე სიკეთე კი არ არის, არამედ ბოროტება. რაკილა ვცოცხლობთ, ჩვენი უპირველესი და უმთავრესი მიზანი ისაა, რომ სიცოცხლეში რაც შეიძლება ნაკლებად უბედურნი ვიყოთ. უაზრო და უშინაარსო სიცოცხლე კი ყველაზე უბედური სიცოცხლეა. ამიტომ, თუ გვსურს აზრი მივანიჭოთ მას და

რაც შეიძლება მეტი უბედურება ავიცილოთ თავიდან, ყველაზე უკეთესი სა-
შუალება ის გახლავთ, რომ თვითონვე ვიზრუნოთ ჩვენს თავზე და ჩვენს საქ-
მეებზე.

ის ამბობდა, ადამიანთა ყიდვა-გაყიდვის ჩვეულება ^{ერქვეულნი} ~~გაღვიწყვენი~~ თვალ-
საზრისით, შეიძლება სასარგებლოდაც კი მივიჩნიოთ ^{კაცთა მოდგმისთვისო:} ~~კაცთა მოდგმისთვისო:~~
ასე მაგალითად, ყვავილის აცრა კონსტანტინეპოლში თავდაპირველად ჩერქე-
ზეთიდან შემოვიდა, სადაც ეს სენი ხშირად ემუქრება მცირეწლოვანთა არა
მარტო სიცოცხლეს, არამედ სილამაზესაც და, ამრიგად, საგრძნობ ზარალს
აყენებს ქალებით ვაჭრობას, რაც ჩვეულებრივი საქმიანობაა ჩერქეზებისთვის;
ყვავილის აცრა კონსტანტინოპოლიდან ლონდონში გადაიღეს. იქიდან კი ევრო-
პის სხვა ქვეყნებშიაც გავრცელდაო.

თავის თავზე ყვებოდა: როგორც კი სკოლა დავამთავრე და ცხოვრებაში
შევდგი ფეხი, ჩემს თავს სიტყვა მივეცი, არ მექო არავინ და არაფერი, რასაც
მართლა ქების ღირსად არ მივიჩნევდი. ეს განუხორციელებელი გადაწყვეტილე-
ბა არა მარტო ჭეშმარიტების გულმხურვალე სიყვარულის, არამედ ჩემი ჭა-
ბუკური გამოუცდებლობისა და გულუბრყვილობის შედეგაც გახლდათ. აღთქ-
მის დადებიდან მთელი წელი ისე გავიდა, რომ ერთხელაც არ მომცემია შემ-
თხვევა, ვინმე ან რამე შემექო და, მართალი ვითხრათ, შიშმა ამიტანა: სკო-
ლაში იმდენი მაწვალეს, ენკომიური, ანუ სახოტბო მჭევრმეტყველების იმდენი
ნიმუში მაზუთხვინეს და ახლა, თუ ცოტას მაინც არ წავეივარჯიშებ ქებაში, ვა-
ითუ ყველაფერი დამავიწყდეს-მეთქი, ასე რომ, საჩქაროდ გავტეხე აღთქმა.

თავი მეთხუთსე

მსახურს ხმამაღლა აკითხებდა ხან ერთსა და ხან მეორე წიგნს, უმეტეს-
წილად ძველ ავტორებს, ანაზღეულად აწყვეტინებდა კითხვას და ისე საგულ-
დაგულოდ განმარტავდა ამა თუ იმ ადგილს. გეგონებოდათ, ზეპირი შენიშვნე-
ბით აჭრელებსო წიგნის კიდევებს. ერთხელ, ფილოსოფოსთა ცხოვრების დიო-
გენე ლაერტელისეული აღწერილობის კითხვისას, ყური მოჰკრა თუ არა სი-
ტყვეებს, რომ კითხვაზე: რითი განსხვავდება მცოდნე კაცი უვიცისგანო, ხილო-
ნი ასე პასუხობდა თურმე: მასულდგმულებელი იმედითაო, — მან თქვა:
ახლა კი ყველაფერი პირიქითაა, უვიცს იმედი ასულდგმულებს, მცოდნეს კი
ალარაფრის იმედი აღარა აქვსო.

ზუსტად ასევე, როცა შემოხსენებულ ცხოვრებათა აღწერილობაში წა-
უკითხეს სოკრატეს მსჯელობა იმის შესახებ, რომ ამქვეყნად ერთადერთი
სიკეთე ცოდნაა, ერთადერთი ბოროტება კი — უმეცრება, — მან შენიშნა:
არ ვიცი, რას ფიქრობდნენ ძველი ბერძნები ცოდნისა თუ უმეცრებისთვის,
მაგრამ მე კი უკუღმა შევაბრუნებდი ამ გამოთქმასო.

როცა იმავე წიგნიდან გაიგო ჰეგესიას მიმდევართა დოგმა: რასაც უნდა
იქმოდეს ბრძენი, ყველაფერს თავის სასიკეთოდ იქმსო, — მან თქვა: თუ ყვე-
ლა, ვინც ასე იქცევა, მართლა ბრძენია, მაშინ მოვიდეს პლატონი და მთელს
ცივილიზებულ სამყაროში თავისი სახელმწიფო დაარსოსო.

ძალიან მოსწონდა ბიონ ბორისტენელის გამოთქმა, გადმოცემული იმავე
ლაერტელის მიერ: ყველაზე დიდი ტანჯვა წილად ხვდება იმას, ვინც ყველაზე

დიდ ბედნიერებას მიეღწევისო, — და იქვე დასძენდა: ყველაზე ნეტარი კი ისაა, ვინც ყველაზე მცირე ბედნიერებას სჯერდება, ხოლო მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი სიზმარით გაუჭრება თვალსა და ხელშუა, არაფერი არ უღირს, მესხიერებაში გამოიწვიოს იმისი ლანდი და ისევე დატკბეს ბედნიერებაში გონებით, როგორც უწინ თვით ბედნიერებით ტკბებოდაო.

ცივილიზებული ხალხების სხვადასხვა ასაკს უსადაგებდა ერთ ბერძნულ ლექსს: სიჭაბუკეში მოქმედებენ, მოწიფულობაში ჭკუას გვასწავლიან, სიბერეში კი ჭმუნავენო, და დაასკვნოდა: ამ ჩვენს წყეულ დროს მხოლოდ ჭმუნვა ხვდა წილადაო.

პლუტარქეს ერთი ფრაგმენტის მოსმენისას, რომელიც ამ სიტყვებით გადმოიღო მარჩელო ადრანინი (უმცროსმა): „კიდევ უფრო ნაკლებად მოითმენდნენ სპარტელები სტრატოკლეს უტიფრობასა და თავგასულობას, რომელმაც დაარწმუნა ათენელები მსხვერპლი შეეწირათ გამარჯვების აღსანიშნავად, მაგრამ შემდეგ, როცა მათ გაიგეს, რომ სინამდვილეში საზეიმოდ კი არა, თურმე სატირლად ჰქონდათ საქმე, რადგანაც სასტიკი მარცხი ეწვნიათ, ათენელების აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, ხოლო სტრატოკლემ მათი აღშფოთების პასუხად თქვა: „რა დაგიშავეთ? ნუთუ ის, რომ სამი ბედნიერი დღე გაჩუქეთო?“ — ოტონიერის, თავის მხრივ, უთქვამს: იმათთვის, ვინც აღშფოთებას გამოთქვამს ბუნების მიმართ, დრტვინავს და ყვედრებით გაიძახის, რომ ის მხოლოდ თავისთვის არსებობს, ესე იგი, თვალის ჩინივით უფროთხილდება ჭეშმარიტებას, საიდუმლოდ ინახავს და უთვალავ ფერად მოელვარე, მომხიბლავი და მომაჯადოებელი, მაგრამ სრულიად ფუჭი საბურვლის ქვეშ მალავს მას, — ურიგი არ იქნებოდა დაახლოებით იგივე გვეთქვა პასუხად: კი მაგრამ, რა დაგიშავათ? ნუთუ ის, რომ ორიოდ ბედნიერი დღე გაჩუქათ? სხვა შემთხვევის გამო მას უთქვამს: კაცთა მოდგმას, თუკი სათანადოდ გავიაზრებთ ადამიანის გულისა და გონების ყველა ბუნებრივ ცდომილებას თუ მცდარობას, თავისუფლად შეიძლება მივუსადაგოთ ტორკვატო ტასოს სიტყვები ბავშვზე, რომელსაც მოტყუებით დააღვეინეს წამალი: „და ამ ტყუილმა მას სიცოცხლე შეუნარჩუნა“.

როცა ციცერონის „პარადოქსების“ ერთი ადგილი წაუკითხეს, რომელიც ჩვენს ენაზე შეიძლება ამ სიტყვებით იქნეს გადმოცემული: იქნება ტკბობა უკეთესსა და ქების ღირსსა გვხდის? განა ოდესმე გინახავთ კაცი, თავს რომ იწონებდეს და იკვებხნიდეს მის მიერ განცდილი ტკბობითა და ნეტარებითაო, — მან შენიშნა: ჩემო ძვირფასო ციცერონ, რაც შეეხება ამ ჩვენს დროს, ვერ ვიტყვი, თითქოს ადამიანები უკეთესნი და ქების ღირსნი ხდებოდნენ ტკბობის წყალობით, მაგრამ უფრო მეტად რომ აქებენ მათ, ეს კი ცხადია. უნდა მოგახსენო, რომ სახელისა და ქება-დიდებას მოხვეჭის ერთადერთი გზა, რომელსაც თავის ასპარეზად საბავს თითქმის ყველა ყმაწვილი კაცი, განცხრომისა და ტკბობის გზა გახლავს; და ყოველთვის, როცა განცხრომის ეინს დაიცხრობენ, თავს ვალდებულად თვლიან, არა მარტო მთელ ქვეყანას მოჰფინონ თავიანთი გმირობის ამბავი და, მიუხედავად იმისა, სურთ თუ არა ამის მოსმენა, ყველას, ნაცნობსაც და უცნობსაც, ყურები გამოუჭედონ გაუთავებელი ბაჭი-ბუჭითა და კვებხით, არამედ გახელებით ეძიონ ახალ-ახალი ტკბობისა და განცხრომის წყაროც, მაგრამ არა საკუთრივ განცხრომის, არამედ მისი წყალობით მოხვეჭილი ქება-დიდებასა და იმის გულისთვის, რომ არასოდეს შემოაკლდეთ კვებ-

ნის საბაბი. ბევრი ისე მიიწერს ყოველივე ამას, რომ ჯერ არაფრისთვის მიუღწევია, არც უცდია და, თქვენ წარმოიდგინეთ, აზრადაც არ მოსვლია, რამესთვის მიეღწია.

ალექსანდრე დიდის საგმირო საქმეთა არიანესეული აღწერის კითხვისას შენიშნა, რომ ისოსთან ბრძოლის წინ დარიოსმა თავისი ლაშქრის მეწინავე რიგებში ჩააყენა დაქირავებული ბერძენი ჯარისკაცები, ხოლო ალექსანდრემ თავისი დაქირავებული ბერძენი მოლაშქრენი — ზურგში. მართო ამნაირი წყობაც საკმარისი იყო იმისთვის, — დასძინა მან, — რომ წინასწარ გამოგვეცნო ბრძოლის შედეგი.

არასოდეს უსაყვედურებია მწერლებისათვის იმის გამო, რომ ისინი ბევრს ლაყბობენ თავიანთ თავზე; პირიქით, აქებდა მათ და განსაკუთრებით უყვარდა ეს ადგილები, რადგანაც თავიანთ თავზე საუბრისას, — ამტკიცებდა იგი, ნამდვილი მჭევრმეტყველები ხდებიან და, მათი დროის, მათი ხალხისა და თვით მათივე საკუთარი ჩვეულების საპირისპიროდ, თითქმის ყოველთვის კარგად წერენო. არცაა გასაკვირი: როდესაც კაცი თავის თავზე წერს, მთელი მისი არსება, განცდა თუ ფიქრი მისთვის ყველაზე ახლობელსა და ყველაზე კარგად ნაცნობ საგანს დასტრიალებს თავს, და ამიტომ არც გრძნობები აკლია და არც აზრები, რომლებიც თავისთავად მისივე სულის სიღრმეში იბადებიან და სრულიადაც არა ჰგვანან იმ გაცვეთილ აზრებს, რომლებსაც არცთუ იშვიათად სესხულობენ ან სხვადასხვა წყაროდან იპარავენ; ეგეც არ იყოს, ის ზედმეტად თვლის ყოველგვარ ფუჭ სამკაულს, რომელიც სრულიად უადგილო ჩანს, ზიზილ-პიპილებს, რომლებიც ყოველივე მოჩვენებითს უფრო მკვეთრად და ხაზგასმით წარმოაჩენენ, ვიდრე არსებითს, და ბოლოს, ყოველგვარ კუდაბზიკობას და მანჭვა-გრეხას. არ არის სწორი ის აზრი, თითქოს მკითხველს არაფერი ესაქმება, რას ამბობენ მწერლები თავიანთ თავზე. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ყველაფერი, რაც მწერლის მიერ გულით განცდილია, გულწრფელად ნაფიქრ-ნააზრევი და ბუნებრივი ენით გადმოცემული, სათანადო შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე: მეორეც, იმიტომ, რომ სხვის ცხოვრებას ვერასოდეს ვერ აღწერ ისე სრულყოფილად, ვერასოდეს ისე გულწრფელად და დამაჯერებლად ვერ იმსჯელებ მასზე, როგორც შენს საკუთარ ცხოვრებაზე; და ბოლოს, იმასაც უნდა ვუწევდეთ ანგარიშს, რომ ყველა ადამიანი, ასე თუ ისე, ერთმანეთსა ჰგავს როგორც თანდაყოლილი, ისე შეძენილი თვისებებითაც და ბედისწერის განჩინებითაც; ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველივე ადამიანური, როცა მას საკუთარი გამოცდილების მაგალითზე განიხილავ, გაცილებით მეტ თვალსაჩინოებას იძენს და უფრო მეტადაც გვადელვებს, ვიდრე მაშინ, როცა სხვისი მაგალითის მიხედვით მსჯელობ მასზე. თავისი აზრის დასტურად ის, სხვათა შორის, იმოწმებდა დემოსთენეს სიტყვას „გვირგვინისათვის“, სადაც ორატორი თავის თავზე მსჯელობისას თითქოს საკუთარ თავს აღმატება მჭევრმეტყველებით; აგრეთვე ციცერონს, რომელზედაც შეიძლება იგივე ითქვას თითქმის ყველგან, სადაც ის საკუთარ თავზე იწყებს ლაპარაკს; განსაკუთრებით საგრძნობია ეს ციცერონის ცნობილ სიტყვაში „მილონის დასაცავად“, რომელიც თავიდან ბოლომდე დიდებულია, მაგრამ მაინც ვერაფერი შეედრება მის დასასრულს, სადაც ორატორი თავის თავზე ჩამოაგდებს სიტყვას. ზუსტად ასევე ბოსიუეს სიტყვებში ყველაზე მომხიბლავი და შთამბეჭდავია ის ადგილი, სადაც დიდებულ ქადაგებათა ავტორი პრინც კონდეს ხოტბის დასას-

რულს გულისშემძვრელი სიტყვებით იხსენიებს თავის სიბერეს და მოახლო-
ებულ აღსასრულს. იმპერატორ იულიანეს თხზულებათა შორის, რომელთა
ავტორი ყველა სხვა მხრივ ნამდვილ სოფისტს, ხანდახან კი ყოველად ავტანელ
სოფისტს მოგვაგონებს, უთუოდ ყველაზე ღირსშესანიშნავია გესელიანი-ჰამი
ფლეტი „მისოპოგონი“, ანუ „წვერ-ულვაშის მოძულე“, სადაც მისი ავტორის
მიაგებს აყვია ანტიოქიელებს. ამ პატარა თხზულებაში, მის სხვა ღირსებებზე
რომ აღარაფერი ვთქვათ, ავტორი თითქმის ტოლს არ უდებს ლუკიანეს დახ-
ვეწილი კომიზმით, მახვილგონიერების სიმძაფრით, სიუხვით და სიკისკასით,
მაშინ როდესაც იმავე ლუკიანეს მიბაძვით დაწერილ „კეისრებში“ მისი სტი-
ლი უნიათოა, უღიმღამო და, ცოტა არ იყოს, მოსაწყენიც. იტალიურ მწერლო-
ბაში, რომელიც განებივრებული არ არის რიტორიკული სიტყვების სიუხვით,
უაღრესად შთამბეჭდავი და ყოველმხრივ დახვეწილი მჭევრმეტყველების ნი-
მუშად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ლორენცინო დეი მედიჩის აბოლოგია, და-
წერილი თავის მართლების მიზნით, ისევე როგორც ტორკვატო ტასოს პრო-
ზაულ თხზულებათა არა ერთი და ორი ადგილი, განსაკუთრებით კი მისი წე-
რილები, სადაც მას სხვა სათქმელი და საფიქრალი არ გააჩნია, საკუთარი სვე-
დავსილობის გარდა.

თავი მეშვიდე

იხსენებენ მის ზოგიერთ ოხუნჯობასა და მოსწრებულ სიტყვა-პასუხსაც.
ერთი ყმაწვილი კაცი, რომელიც გატაცებით სწავლობდა კაზმულ სიტყვიე-
რებას, მაგრამ სრულიად გამოუცდელი იყო ცხოვრებაში, თურმე ამტკიცებდა:
სწორი გზის არჩევა და პრაქტიკული გამოცდილების შეძენა კითხვითაც კარ-
გად შეიძლება, თუ დღეში ას გვერდს მაინც ჩააბუღებულეზო. ოტონიერის
უპასუხნია: კი მაგრამ, წიგნში რომ ხუთი მილიონი გვერდიაო.

მეორე ყმაწვილკაცს, რომელიც თავისი უგუნურებისა და წინდაუხედაო-
ბის წყალობით შეცდომას შეცდომაზე უშვებდა და თითქმის ყოველი ფეხის
ნაბიჯზე თავს ირცხვენდა, უხერხულობის თავიდან ასაცილებლად დაეჩემებინა:
მთელი ცხოვრება ფარსია და კომედიაო, რაზედაც ოტონიერის უთქვამს: კე-
თილი და პატიოსანი, მაგრამ კომედიაშიც უმჯობესია ტაშისცემა დაიმსახურო,
ვიდრე ფეხების ბრაგაბრუგი და სტვენაო; და თუ კომედიანტი ხარ, ხალხის
გართობა და გამხიარულებაც უნდა შეგეძლოს, არადა შიმშილით სიკვდილი არ
აგცდებო.

ერთხელ, როდესაც გაიგო, რომ პოლიციელებს დამნაშავე შეეპყროთ, რო-
მელსაც ძარცვისას კაცი შემოპკვდომოდა და კოჭლობის გამო ვერ მოესწრო
გაქცევა, ოტონიერიმ თქვა: ამდენს გაპყვირიან, მართლმსაჯულება მოიკოჭლებ-
სო, მაგრამ ხომ ხედავთ, მეგობრებო, მაინც ეწევა დამნაშავეს, თუკი ეს უკა-
ნასკნელი თვითონაც კოჭლობსო.

იტალიაში მოგზაურობისას, არ ვიცი, სად, ერთ კარისკაცს მისთვის, ცოტა
არ იყოს, აგდებულად უთქვამს: თუ ნებას მომცემ, გულახდილად მოგახსენე-
ბო, რაზედაც ოტონიერის უპასუხნია: დიდად დაგიმადლებ, ამ ჩემს მოგზაუ-
რობას იშვიათობათა ძიების გარდა სხვა მიზანი კი არა აქვსო.

ერთხელაც, არ ვიცი, რა გაჭირვება ადგა, ფულის სასესხებლად მისდგომია
კარზე ერთ კაცს. შეწუხდა თურმე ეს კაცი, მაგდენი ფული ვინ მომაშავაო,

და თან დასძინა: მდიდარი რომ ვიყო, იმის მეტი საზრუნავი არ მექნებოდა, რომ მეგობრებისთვის გამემართა ხელიო, რაზედაც ოტონიერის უპასუხნია: ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩვენი გამოისობით ერთბაშად ამდენი საზრუნავი დაგეყაროს თავზეო.

საჭაბუკეში რამდენიმე ლექსი შეეთხზა, რომლებშიაც მოძველებული სიტყვები და გამოთქმები გამოეყენებინა. ერთ ხნიერ ქალს, რომელსაც თურმე მისივე თხოვნით წაუკითხა ეს ლექსები, უთქვამს: ვერაფერი ვერ გავიგე, ჩემს დროს ამ სიტყვებს არ ხმარობდნენო, რაზედაც ოტონიერის უპასუხნია: მე კი მეგონა, რომ ხმარობდნენ, მათი ხნისა ხომ ქვაც აღარ დაგორავს მიწაზეო.

ერთ მეტისმეტად მდიდარსა და ძუნწ კაცზე, ვისთვისაც ქურდებს ორიოდ გროში მოეპარათ, უთქვამს: ხომ ხედავთ, ქურდებთანაც იძუნწა და იწუწურაქაო.

ხოლო ერთ ანგარიშიან კაცზე, რომელსაც რაც არ უნდა დაენახა ან გავგონა, იმწამსვე თვლასა და ანგარიშს იწყებდა, — თქვა: ყველა რაღაცას აკეთებს, ეს კი გაკეთებულს ითვლისო.

ერთხელ, როცა შემთხვევით შესწრებია, რა ცხარედ დაობდა და კამათობდა რამდენიმე ანტიკვარი „ცით მგრგვინავი იუპიტერის“ ქანდაკების ირგვლივ, რომელიც რომაული სახლის ტრიკლინიუმში ეპოვათ და ამიტომ „იუპიტერ ტრიკლინიუსს“ უწოდებდნენ პირობითად, — ოტონიერის უთქვამს: როგორ არ გესმით, რომ ეს იუპიტერ ტრიკლინიუსი კი არ არის, არამედ ტრიკინიუსიო.

ერთ ბრიყვზე, რომელსაც დიდ მცოდნედ მოჰქონდა თავი და ლაპარაკში წამდაუწუმ ლოგიკას ახსენებდა, ოტონიერიმ თქვა: მისთვის აშკარად არ კმარა ის დეფინიცია, რომლითაც ძველი ბერძნები განსაზღვრავდნენ ადამიანს: „მოაზროვნე ცხოველი“, არამედ უნდა ითქვას: „ლოგიკურად მოაზროვნე ცხოველი“. სიკვდილის შემდეგ თვითონვე შეთხზა თავისი ეპიტაფია, რომელიც შემდეგ ამოკვეთეს მისი საფლავის ქვაზე:

აჰ განისვენებს
ფილიპო ოტონიერი,
რომელიც დაბადებული იყო
დიად საქმეთათვის და დიდებისათვის,
მაგრამ უჰმად და უმიჯნოდ
გაატარა მთელი სიცოცხლე.
აღესრულა უსახელოდ და უსინანულოდ,
მაგრამ თავისი გუნების და თავისი ხვედრის
სრული შეგნებით.

გარეული მამლის სიმღერა

ზოგიერთი იუდეველი მოძღვრისა თუ მწერლის მტკიცებით, ცასა და მიწას შუა, ანუ ნახევრად მიწაზე და ნახევრად ცაში ცხოვრობს ერთი უცნაური ველური მამალი: ფეხები მიწაზე აქვს დაყრდნობილი, ბიბილოთი და

ნისკარტით კი ცის თავანს სწვდება. ბევრ სხვა თავისებურებასთან ერთად, რომლებიც შეიძლება ზემოხსენებულ ავტორთა თხზულებებში ამოიკითხოთ, ამ უზარმაზარი მამლის ერთი საოცარი თვისებაა გონიერებაც; ყოველ შემთხვევაში, ვილაცას თუთიყუშივით უსწავლებია მისთვის ადამიანური მეტყველება. ამიტომაც ერთ ძველებურ პერგამენტზე აღმოჩნდა სიმღერის რომელიც დაწერილია ებრაული ასოებით და რომლის ენაც რალაციით ენათესავება ქალდეველებისა და რაბინების, ისევე როგორც თარგუმის, კაბალისა და თალმუდის ენას. სიმღერის სათაურია „შირ დეტანერგოლ ბარა ლეცაფრა“, რაც ნიშნავს — „გარეული მამლის სიმღერა“. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ათასჯერ მივმართე კითხვით რაბინებს, კაბალისტებს, იუდეველ ღვთისმეტყველთა და სჯულის მცოდნეთ, რის ვაივაგლახით შევძელი გამეგო, გამეშიფრა და ჩვენს ენაზე გადმომეღო ეს სიმღერა, როგორც ქვემოთა ენახავთ. დღემდე ვერ გამირკვევია, დროდადრო იმეორებს ამ სიმღერას მამალი, ყოველ დილით მღერის თუ მხოლოდ ერთხელ იმღერა თავის სიცოცხლეში; ვინ ისმენს, ან ვის მოუსმენია იგი და ზემოხსენებული ენა მშობლიური იყო მამლისათვის თუ მისი სიმღერა რომელიღაც სხვა ენიდან არის თარგმნილი? რაც შეეხება ქვემოთ მოტანილ თარგმანს, ცდა არ დამიკლია, რომ შეძლებისდაგვარად ზუსტი გამოსულიყო (ამას ვესწრაფოდი ყოველნაირი საშუალებით) ამიტომაც ვარჩიე პროზად გადმომეღო და არა ლექსად, თუმცა თვით სიმღერის საგანი პოეტურია. არათანაბარ, ზოგჯერ კი აშკარად მაღალფარდოვან სტილს მე ნუ ჩამითვლით ნაკლად, ვინაიდან თარგმანის სტილი დედნისას ჰგავს, ხოლო დედანი, ამ მხრივ, არაფრით არ განსხვავდება აღმოსავლური ენებისა და, მით უმეტეს, აღმოსავლელი პოეტებისათვის დამახასიათებელი ფერადოვანი და კაზმული მეტყველებისგან.

ჰეი, გაიღვიძეთ, მოკვდავნი! იბადება ახალი დღე, დედამიწაზე ბრუნდება ქეშმარიტება, ფუჭი ლანდები და მოჩვენებები კი სტოვებენ მას. ადექით, რათა კვლავ მოიგდოთ მხრებზე ცხოვრების მძიმე ტვირთი, ყალბი სამყაროდან კვლავინდებურად გადმოაბიჯეთ ქეშმარიტების სამყაროში.

ამ დროს ყველა ხელახლა უბრუნდება თავის ცხოვრებაზე ფიქრს, მთელის არსებით მიიქცევა სიცოცხლისაკენ, მეხსიერებაში იწვევს თავის ზრახვებს, მიზნებს, მისწრაფებებს და გონების თვალს გადაავლებს იმ ტკბობასა თუ ტანჯვას, რასაც უქადის ახალი დღე, ახლა ყველა, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ცდილობს თავის თავში ჰპოვოს ნეტარი მოლოდინის განცდა და სასიამოვნო აზრები. მაგრამ ძალზე ცოტას თუ უსრულდება ეს სურვილი; ასე რომ, გამოღვიძება მოლოდინს უცრუებს ყველას. უბედური გამოღვიძებისთანავე კვლავ ექცევა თავისი მწარე ხვედრის კლანჭებში. მხოლოდ ის ძილია ტკბილი, რომელიც სიხარულითა და სასოებით არის მოგვრილი. ერთიც და მეორეც უცვლელად ინახება განთიადამდე, მაგრამ ახალი დღის მანძილზე ორივე იღევა, ქარწყლდება, ქრება.

მოკვდავთა ძილი რომ უსასრულო, ან სიცოცხლის მაგვარი იყოს, ყველა სულდგმული დღის მნათობის მოალერსე სხივებში რომ ნებივრობდეს და არსად ჩანდეს რუდუნების ნიშანწყალიც, არც ოფლისღვრა თუ ჭაპანწყვეტა, იალაღებზე არ ისმოდეს ჯოგის ბღავილი, არც ნადირის ღრიალი ტყეში, არც ფრინველების ყივილ-ხივილი ამოდ მოლივლივე ჰაერში, არც ფუტკრებისა თუ

სხვა მწერების ბზუილი ყვავილებით მოჩითულ ველ-მინდვრებში და მყუდროებას არ არღვევდეს არც ერთი ჩქამი, ტალღის ტლაშუნის, ქართის ზუზუნისა და აუ შეხის გრიალის გარდა, — სამყარო, რაღა თქმა უნდა, ფუჭი და უაზრო შეიქნებოდა, მაგრამ განა მასში უფრო ნაკლები იქნებოდა ბედნიერება, ან უფრო მეტი — უბედურება, ვიდრე ამჟამად? შენ გეკითხები, მზეო, სიფხიზლის უფალო და დღის შემოქმედო: საუკუნეების მანძილზე, რომლებიც დღევანდელ დღემდე გადუზომავს და უკან მოუბრუნებლად გაუსტუმრებია წარსულში შენს ურიცხვ აისს თუ დაისს, უთვალავ ჩასვლას თუ ამოსვლას, ერთი ბედნიერი მაინც თუ გინახავს მოკვდავთა შორის? ადამიანთა ურიცხვ საქმეთაგან, რომელნიც დღემდე საკუთარი თვალით გინილავს, ერთს მაინც თუ მიუღწევია მიზნისათვის, ერთს მაინც თუ მიუნიჭებია ხანგრძლივი თუ მსწრაფლწარმავალი კმაყოფილება იმ არსებისთვის, რომელმაც ის წამოიწყო და დაასრულა? თუ ხედავ, ან, საერთოდ, თუ გინახავს ბედნიერება ამ უსასრულო სამყაროში? სად, რომელ ტრამალზე ბინადრობს იგი, რომელ ტევრში, ან რომელი მთის მწვერვალზე? რომელ ხევში, რომელ ქალაქში, სოფელში ან უდაბნოში? რომელ პლანეტაზე, იმ ურიცხვ ციურ სხეულთაგან, რომელთაც ათბობს და ანათებს შენი ცხოველყოფელი შუქი? იქნებ შენს მზერას ემალება და მღვიმის სიღრმეს, მიწის წიაღს ან ზღვის უფსკრულს აფარებს თავს? შენის წყალობით ცხოველური ან მცენარეული თვისებებით შემკულსა თუ მათგან განძარცულ რომელ არსებას, რომელ სულდგმულს უძევს წილი მის ნეტარ არსში? და თვითონ შენ, მუქლმოუღლეელი გოლიათივით უძილოდ და მოუსვენებლად, დღისით თუ ღამით რომ დაჰქრიხარ ერთხელ და სამუდამოდ დასაზღვრული უსასრულო გზით, მითხარი, თვითონ შენ ბედნიერი ხარ თუ უბედური?

გაიღვიძეთ, მოკვდავნი! ჯერ კიდევ სიცოცხლის ტყვეები ხართ. მოვა დრო და ვერავითარი გარეშე ძალა ველარ გამოგაფხიზლებთ მარადიული და უძღვები ძილისაგან ჯერჯერობით კი თქვენთან ხელი არა აქვს სიკვდილს: თქვენი ხვედრი ჯერხნობით მხოლოდ ისაა, რომ დროდადრო, სულ მცირე ხნით განიცადოთ მისი მსგავსება. რადგან სიცოცხლის შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა, ასე ხშირ-ხშირად რომ არ წყდებოდეს. დიდი ხნით არ გელირსოს ეს ხანმოკლე და მშფოთვარე ძილი, — სასიკვდილო საფრთხეა ყოველი სულდგმულისათვის და მარადიული ძილის მიზეზი. ცხოვრება თავისას ითხოვს: ვერ გაუძლებთ, თუ დროდადრო მაინც არ მოიხსნით მხრებიდან მის მძიმე ტვირთს, სულს არ მოითქვამთ, ძალღონეს არ მოიკრებთ და არ ეზიარებით სიკვდილის ლანდსა თუ ჩრდილს.

როგორც ჩანს, ყოველი სულდგმულის არსებობას ერთადერთი მიზანი აქვს, და ეს მიზანი არის სიკვდილი. ის, რაც არ არსებობს, არც მოკვდება, და ამიტომ არარსებობიდან იღებს დასაბამს ყოველი არსი. შეუძლებელია ბედნიერება იყოს არსებობის საბოლოო მიზანი, რადგანაც ამქვეყნად არავინაა და არაფერია ბედნიერი. მართალია, ყველა სულდგმული, რა საქმესაც უნდა ჰკიდებდეს ხელს, ბედნიერებას ისახავს მიზნად, მაგრამ ვერც ერთი ვერასოდეს ვერ აღწევს მას, და მთელი სიცოცხლის მანძილზე, ტანჯვით, წამებით, ჭაპან-წვევით, ყველა ისწრაფის მხოლოდ ერთი, ბუნების მიერ დასახული ერთადერთი საბოლოო მიზნისაკენ, რომელსაც სახელად ჰქვია სიკვდილი.

მაგრამ ასეა თუ ისე, ახალი დღის დასაწყისი მოკვდავთათვის უფრო ადვილი ასატანია. გაღვიძებისას ძალზე ცოტას თუ ელის რაიმე სასიკეთო და სა-

სიხარულით, მაგრამ სული რატომღაც სავსეა სიხარულით. იქნებ იმიტომ, რომ ამ დროს ყველა მისი განცდა, ყველა მისი შეგრძნება სილაღედ და სიხალისედ გარდაიქმნება, საამისოდ უშუალო საბაბი რომც არ გააჩნდეს, ან იქნებ იმიტომაც, რომ დღის ყველა სხვა დროზე უკეთ შეუძლია აიტანოს უბედურება. ამიტომ თვით იმასაც კი, ვისი უკანასკნელი განცდაც დაძინების წინ სიხარულით კვეთილება გახლდათ, გაღვიძებისას, რაგინდ უცნაური და შეუფერებელიც იქნება და იყოს მის დღეში მყოფი კაცისთვის, კვლავ უბრუნდება სასოება. ათასგვარი გაჭირვება და უბედურება, შიშისა და ძრწოლის ათასგვარი საბაბი ამ დროს არც ისე დამთრგუნველი ჩანს, როგორც უწინ. წინა დღის შფოთი და მღელვარება მეორე დღეს ზიზღსა და ლამის სიცილსაც კი იწვევს, როგორც ცთომილებისა და ფუჭი ფანტაზიის ნაყოფი. საღამო შეიძლება შევადაროთ სიბერეს, დილა კი, პირიქით, სიჭაბუკესა ჰგავს, რადგანაც თვითმრწმენია და ნდობით აღვსილი, საღამო კი — სიმხნევისგან განძარცული, გულმკვნესარე და ჭმუნვით მოცული. მაგრამ სიჭაბუკე, რომელსაც ყოველ სისხამ დილით იბრუნებენ მოკვდავნი, ისევე ხანმოკლეა და მსწრაფლწარმავალი, როგორც მთელი სიცოცხლის სიჭაბუკე, და მათ დღეს მალე ეპარება მწუხრი.

მაგრამ საბრალოა სიჭაბუკეც, სიცოცხლის ყველაზე სანატრელი დრო. თვით ეს მწირი სიკეთეც კი იმდენად უღდეურია, რომ ცოცხალი არსება ათასი უტყუარი ნიშნითა გრძნობს, რა სწრაფად უახლოვდება სიკვდილს; ვერც კი ასწრებს შეიცნოს თავისი ძალა, რომ ეს უკანასკნელი ხელიდან უსხლტება უკვე. მოკვდავ არსთა სიცოცხლის უმეტესი ნაწილი სხვა არა არის რა, თუ არა უწყვეტი ჭკნობა და კვდომა. ბუნების ყოფილი ქმედითობის მიზანი სიკვდილია და მისკენ სწრაფვა; ასე რომ არა, განა სიბერე ასე აშკარად დაჩრდილავდა ყველაფერს მთელს სამყაროში? ხილული სინამდვილის ყველა ნაწილი საოცარი სისწრაფით, განუწყვეტლივ მიილტვის სიკვდილისაკენ. მხოლოდ სამყაროს არ ეტყობა კვდომის ნიშანწყალი, რადგან, თუმცა შემოდგომითა და ზამთრობით ყველას მიხრწნილი და მომაკვდავი ეჩვენება, სამაგიეროდ ყოველ გაზაფხულს ხელახლა უბრუნდება სინორჩე და სიკისკასე. მაგრამ, მსგავსად იმისა, როგორც მოკვდავნი ყოველი ახალი დღის დამდეგს თითქოს კვლავინდებურად იბრუნებენ გარდასულ სიჭაბუკეს, მთელი დანარჩენი დღის მანძილზე კი ბერდებიან, ჭკნებიან, ქრებიან და, ბოლოს და ბოლოს, მტკრად და ნაცრად იქცევიან, — სამყაროც, თუმცა ყოველი წლის გარიჟრაჟზე კვლავინდებურად ჯეღდება, მაგრამ მთელი დანარჩენი ხნის მანძილზე მაინც გამუდმებულ კვდომას განიცდის. მოვა დრო და სამყარო, ისევე როგორც მთელი ბუნება, ფერფლად იქცევა და როგორც ოდესღაც არსებული დიადი სამეფოებისა თუ სახელმწიფოების, მათი ბრწყინვალეების, მათი დიდების კვალიც აღარსად დარჩა, მთელი სამყაროც, მისი ქმნილებებიც, მათი ბედის წაღმა-უკუღმა ტრიალიც, მათი ტანჯვაც, წამებაც და უბედურებაც ასევე უკვალოდ გაქრება და გადაგვარდება, და მხოლოდ უწყვეტი დუმილის, უღრმესი სიმშვიდის სავანედ იქცევა უსასრულო სივრცე. ამრიგად, სამყაროს არსებობის ენით უთქმელი და შემადრწუნებელი საიდუმლო მანამდე გაქრება და განქარდება, ვიდრე მის ახსნასა და შეცნობას მოასწრებდნენ.

სტრატონ ლამპსაკელის
აკოკრიფული ფრაგმენტი



წინათქმა

ეს ფრაგმენტი, რომელიც თავშესაქცევად ვთარგმნე ბუნებრივიდან ჩვენს ხალხურ ენაზე, ამოღებულია ხელნაწერი კოდექსიდან, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ ინახებოდა და, შესაძლოა, ახლაც ინახება ათონის მთაზე, ბერ-მონაზონთა ძველ წიგნთსაცავში. მე მას „აკოკრიფული ფრაგმენტი“ ვუწოდე, რადგანაც ყველასათვის აშკარაა, რომ ის, რასაც ჩვენ ვკითხულობთ მეორე თავში — „სამყაროს დასასრულისათვის“ — შეიძლებოდა მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ დაწერილიყო, მაშინ როდესაც სტრატონ ლამპსაკელი, რომელსაც მეტსახელად „ბუნებისმეტყველს“ უწოდებდნენ, ქრისტეს დაბადებამდე სამასი წლის წინათ ცხოვრობდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თავი „სამყაროს დასაბამისათვის“ ბევრ რამეში ეთანხმება და შეესაბამება იმ ძუნწ ცნობებს, რომლებიც ძველმა მწერლებმა დაგვიტოვეს ამ ფილოსოფოსის მსოფლმხედველობის შესახებ. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ პირველი თავი და, შესაძლოა, მეორის დასაწყისიც სტრატონს ეკუთვნოდეს, დანარჩენი კი დამატებული უნდა იყოს ვინმე სწავლული ბერძენის მიერ, არაუგვიანეს გასული საუკუნისა. თუმცა ამისი განსჯა განათლებული მკითხველისათვის მიმინდვია.

სამყაროს დასაბამისათვის

ყველა მატერიალური საგანი სასრულია და დასაღუპად განწირული, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველასა ჰქონდა დასაბამიც. თვით მატერიას კი არავითარი დასაბამი არა ჰქონია, ესე იგი, თავისთავად არსებობს უკუნისიდან. როდესაც ვხედავთ, თუ როგორ იზრდებიან, კნინდებიან და, ბოლოს, სულაც ქრებიან მატერიალური საგნები და ამის მიხედვით დავასკვნით, რომ ისინი შექმნილნი არიან და აქვთ დასაბამი, მაშინ იმაზე, რაც არ იზრდება, არც კნინდება და არცა ქრება, უნდა ვიფიქროთ, რომ არც დასაბამი ჰქონია და არც აღმოცენებულა ამა თუ იმ მიზეზის ძალით. რა თქმა უნდა, ყოვლად შეუძლებელია იმის დამტკიცება და დასაბუთება, რომ ამ ორი დასკვნიდან ერთ-ერთი ჭეშმარიტია, მეორე კი ყალბი. თუ გვწამს და გვჯერა პირველის ჭეშმარიტება, სარწმუნოდ უნდა მიგვაჩნდეს მეორეც. ჩვენ ვხედავთ, რომ მატერია იოტის ოდენად არც იკლებს და არც იმატებს, ასე რომ, ის დაუსრულებელია და წარუდინებელი. მაშინ როდესაც მისი კერძო გამოვლინებანი, რომლებსაც ჩვენ მატერიალურ საგნებს ვუწოდებთ, ხრწნადნი არიან და წარმავალნი, თვით მატერიასთან ხელი არა აქვს წარმავლობას, ხრწნილებას, სიკვდილს; არაფერი არ გვიმოწმებს იმას, რომ მატერიას ჰქონდა დასაბამი და რომ მისი არსებობისთვის საჭირო და აუცილებელი იყო ესა თუ ის გარეშე მიზეზი ან ძალა. სამყარო, ანუ მატერიის არსებობის გარკვეული ფორმა, დასაბამის მქონეა და დასაღუპად განწირული. ახლა კი მისი დასაბამისათვის ვილაპარაკოთ.

მატერია ზოგადად, ისევე როგორც მცენარეები და სულიერი არსებები კერძოდ, თავის თავში, ბუნებით, იმარხავს ერთგვარ ძალასა თუ ძალებს, რომლებიც გამუდმებით ბორგავენ და ხან ასე და ხან ისე ამოძრავებენ მას.

ამ ძალებზე ჩვენ შეგვიძლია გარკვეული ვარაუდი გამოვთქვათ და, მათი ქმედითობის შედეგთა მიხედვით, განვსაზღვროთ კიდევ ისინი; მაგრამ თვით ამ ძალების შეცნობა, მათს ბუნებაში წვდომა ჩვენი გონების შესაძლებლობა აღემატება. ჩვენ ისიც კი არ ვიცით დაბეჭდვით, ნამდვილია თუ არა ეს მოქმედება, რასაც ერთ-ერთ ძალას მივაწერთ: მხოლოდ მას უნდა ვუწოდებოდეთ ამ მოქმედების მიზეზად, თუ სხვა ძალებსაც, და, პირიქით, ძალებსაც სხვადასხვა სახელს ვუწოდებთ, მართლა სხვადასხვანი არიან, თუ ეს მხოლოდ ერთი ძალაა. თვით ადამიანშიც ხომ ჩვენ გამუდმებით აღვნიშნავთ სხვადასხვა სიტყვით ერთსა და იმავე ვნებას თუ ძალას. ასე მაგალითად, პატივმოყვარეობა, ვერცხლისმოყვარეობა და სხვა მისთანანი, რომელთაგანაც თვითეულს სხვადასხვანაირ, ზოგჯერ კი ურთიერთსაპირისპირო და ურთიერთგამომრიცხველ შედეგებამდე მივყავართ, სინამდვილეში სხვა არა არის რა, თუ არა ერთი და იგივე ვნება, კერძოდ, თვითმოყვარეობა, რომელიც სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვანაირად მოქმედებს. ამრიგად, ეს ძალა, ან, შესაძლოა, ეს ძალები, გამუდმებით რომ ამოძრავებენ, თვითნებურად ზეღენ და აგუნდავენ მატერიას, ურიცხვ სხვადასხვა ქმნილებას ძერწავენ მისგან, ანუ, რაც იგივეა, ათასნაირად ცვლიან მას. ეს ქმნილებები, ერთად აღებულნი, მათი ნამდვილი სახით განხილულნი, ესე იგი, გვარებად და სახეებად დანაწევრებულნი და გარკვეული თანაფარდობებით ერთმანეთთან დაკავშირებულნი, თავიანთი ერთობლიობით ქმნიან და აყალიბებენ ხილულ სამყაროს.

მაგრამ ზემოხსენებული ძალა არასოდეს არ წყვეტს მოქმედებას, გამუდმებით ცვლის მატერიას და ამიტომ გამუდმებით ანგრევს მის მიერ შექმნილ საგნებსაც, რომ მათი მასალისაგან სხვა, ახალი საგნები შექმნას. თუმცა, რაკილა ცალკეულ ქმნილებათა ან საყოველთაო ნგრევის მიუხედავად, მათი გვარები და სახეები მთლიანად თუ არა, უმეტესწილად მაინც განაგრძობენ არსებობას, ხოლო მათი ბუნებრივი თანაფარდობანი არსებითად უცვლელნი რჩებიან, ჩვენ ვამბობთ, რომ სამყარო არსებობს. მაგრამ სამყაროთა უსასრულო სიმრავლე, მარადისობის უსასრულო მანძილზე მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი არსებობის შემდეგ, თანდათან ქრება, როცა ზემოხსენებული ძალის მარადიული ქმედითობისა და მატერიის უწყვეტი წრებრუნვის, მისი მიქცევ-მოქცევის შედეგად ილუპებიან ის გვარები და სახეები, რომელთაგანაც შედეგებიან თვით სამყარონი, და ინგრევა ყველა წესრიგი, ირღვევა ყველა თანაფარდობა, რომლებიც საფუძვლად უდევს მათ არსებობას. ხოლო თვით მატერია, მთელი ამ ნგრევისა და განადგურების მიუხედავად, იოტის ოდენადაც კი არ იკლებს, ერთი ნაწილაკითაც კი არ მცირდება; ქრება მხოლოდ მისი არსებობის ესა თუ ის ფორმა, რათა მათ ნაცვლად ერთიმეორის მიყოლებით აღმოცენდნენ ახალ-ახალი ფორმები, ესე იგი, სამყაროები, და ასე შემდეგ დაუსრულებლივ.

სამყაროს დასასრულისათვის

ძნელია ითქვას, თუ რამდენ ხანს არსებობდა აქამდე და რამდენ ხანს იარსებებს ამას იქით ჩვენი სამყარო, რომლის ნაწილად თუ ერთ-ერთ შემადგენელ სახეობადაც გვევლინება კაცთა მოღვმა. წესრიგი, რომელსაც ის ემყა-

რება, უცვლელი ჩანს და უცვლელადვე ითვლება, ვინაიდან ძალიან ნელა, წარმოუდგენლად ხანგრძლივი დროის მანძილზე იცვლება, ასე რომ, სამყაროს ცვალებადობა არამცთუ ჩვენი გრძნობებით, გონებითაც არ აღიქმება. მაგრამ, რაგინდ ხანგრძლივიც უნდა იყოს, მთელი ეს დრო მხოლოდ ერთი უბადრუკი წამია მატერიის მარადიულ არსებობასთან შედარებით. ამ ჩვენს აწინდელ სამყაროში თვალნათლივ ჩანს, რა გამუდმებით იღუპებიან ცალკეული ქმნილებანი და რა განუწყვეტლივ გარდაიქმნება საგანთა ურიცხვი სიმრავლე სულ სხვა საგნებად. მაგრამ რაკი გამუდმებულ ნგრევას და რღვევას ასევე გამუდმებით ენაცვლება ახლის შექმნა და შენება, ხოლო გვარები და სახეები თავიანთ არსებობას ინარჩუნებენ, საყოველთაოდ გავრცელებულია ის აზრი, თითქოს ამ ჩვენს სამყაროში არ არის და არც არასდროს იქნება რაიმე მიზეზი, რომლის ძალითაც ის უნდა დაიღუპოს. მაგრამ შეიძლება ვამტკიცოთ საპირისპირო აზრის სისწორეც, და მრავალი ნიშნის მიხედვით ერთ-ერთი ასეთი აზრი შემდეგი გახლავთ:

ჩვენ ვიცით, რომ თავისი ღერძის გარშემო დედამიწის მუდმივი ბრუნვის შედეგად ეკვატორის მომიჯნავე ნაწილები ცენტრიდან გარეთ მიისწრაფიან, ხოლო პოლუსებთან მდებარე ნაწილები პირიქით — ცენტრისაკენ, რის გამოც ჩვენი პლანეტის ფორმა, ცოტა არ იყოს, შეიცვალა და კვლავაც იცვლება, კერძოდ, ეკვატორთან ის უფრო ამოზნექილი გახდა, პოლუსების მახლობლად კი პირიქით — უფრო ბრტყელი. გარკვეული დროის მანძილზე, რომლის ხანგრძლივობის გაზომვა კიდევაც რომ შეიძლებოდეს, ყოველ შემთხვევაში, ადამიანები ვერასოდეს მოახერხებენ ამას, — შემოხსენებული ცვლილების შედეგად დედამიწა ეკვატორის ორივე მხრიდან თანდათანობით ჩაიჭყლიტება, სფეროს ფორმას დაკარგავს და, ბოლოს და ბოლოს, ბრტყელ დისკოდ გადაიქცევა. ახლა უკვე ბორბალივით რომ განაგრძობს ტრიალს თავისი ღერძის გარშემო, ის სულ უფრო და უფრო გაბრტყელდება და გაფართოვდება, სანამ მისი ნაწილების ცენტრიდანული სწრაფვის შედეგად დედამიწის შუაგულში უზარმაზარი ნახვრეტი არ წარმოიქმნება, რომელიც დღითი დღე სულ უფრო მეტად გაიზრდება და გაფართოვდება, ასე რომ ჩვენი პლანეტა თანდათანობით ბეჭდის ფორმას მიიღებს, ბოლოს კი ნაწილ-ნაწილ დაწყდება, დაიმსხვრევა და დაქუცმაცდება, ხოლო დედამიწის აწინდელი ორბიტიდან ახლებელი ეს ნამსხვრევები მეტეორიტების წვიმასავით დაატყდება თავზე მზეს, ან, შესაძლოა, სხვა პლანეტებსაც.

ამ მოსაზრების დასტურად შეიძლებოდა მოგვეტანა სატურნის რგოლის მაგალითი, რომლის ბუნების თაობაზეც დღემდე დაობენ ვარსკვლავთმრიცხველნი. ამიტომ შეიძლება დამაჯერებლობას მოკლებული არ იყოს შემდეგი გაუგონარი ვარაუდი: ვინ იცის, იქნებ ეს რგოლი ოდესღაც პატარა პლანეტა იყო, რომელიც სატურნის თანამგზავრის როლს ასრულებდა. დაახლოებით იმავე მიზეზთა ძალით, რომლებიც დედამიწაზე საუბრისას მოვიხსენიეთ, ის შეიძლება თანდათანობით გაბრტყელდა და რგოლის ფორმა მიიღო, თანაც, გაცილებით უფრო მოკლე დროში, რადგანაც, ალბათ, ნაკლებად მკვრივი მატერიისაგან შედგებოდა, შემდეგ კი თავის ორბიტას მოსწყდა, სატურნს დაეცა და, მიზიდულობის ძალის შემოქმედებით, მის ირგვლივ დაიწყო ბრუნვა, როგორც ამას ვხედავთ კიდევ სინამდვილეში. შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ შემოხსენებული რგოლი, დღემდე რომ ბრუნავს თავისი ცენტრის გარ-

შემო, რომელიც, ამავე დროს, სატურნის ცენტრიცაა, განუწყვეტლივ თხელდება და ფართოვდება, ხოლო მანძილი მასა და სატურნს შორის სულ უფრო და უფრო იზრდება, თუმცა იმდენად ნელა, რომ ადამიანებს არც ამ ცვლილების შემჩნევა შეუძლიათ და არც მისი შემეცნება, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ უზარმაზარ მანძილს, რომელიც სატურნს გვეშორებს. აი, ყველაფერი, რაც, ხუმრობით თუ სერიოზულად, შეიძლება ითქვას სატურნზე.

ეგეც არ იყოს, მთელს იმ ცვლილებას, რასაც განიცდიდა და, როგორც უკვე ვიცით, დღესაც განიცდის დედამიწის გარშემოწერილობა, — უთუოდ უნდა განიცდიდეს ყველა სხვა პლანეტაც, თუმცა თვითუფლ მათგანზე ეს ცვლილება იმდენად თვალსაჩინო როდია, როგორც ვთქვათ, იუპიტერზე. ეს იტქმის არა მარტო იმ პლანეტებზე, რომლებიც, დედამიწის მსგავსად, მზის ირგვლივ ბრუნავენ, არამედ იმათზედაც, რომლებიც — ყველა საფუძველი გვაქვს ასე ვიფიქროთ, — თვითუფლი ვარსკვლავის გარშემო უნდა ბრუნავდნენ. ამიტომ ყველა პლანეტა, მას შემდეგ, რაც ამოიწურება მთელი ის დრო, რომელიც დედამიწაზე საუბრისას მოვიხსენიეთ, თავის ორბიტას მოსწყდება და ზოგი — მზეს, ზოგი კი სხვა ვარსკვლავებს დაენარცხება. რაღა თქმა უნდა, ამ დაცემისას ხანძრის ალში დაინთქმებიან არა მარტო ზოგიერთი არსებანი, ან მეტი წილი ცალკეული საგნებისა თუ ქმნილებებისა, არამედ პირწმინდად წარიხოცებიან მათი გვარებიცა და სახეებიც, რომლებიც დღეს არსებობენ დედამიწაზე და სხვა პლანეტებზე. სწორედ ამას, ან დაახლოებით რაღაც ამგვარს გულისხმობდნენ ბერძენი და არა მარტო ბერძენი ფილოსოფოსები, რომლებიც ამტკიცებდნენ, სამყარო ცეცხლის ალში დაინთქმებო. მაგრამ, რაკიღა ვხედავთ, რომ მზეც თავისი ღერძის გარშემო ბრუნავს და, მაშასადამე, სხვა ვარსკვლავებზედაც ამასვე უნდა ვფიქრობდეთ, შეიძლება დაეასკვნათ, რომ, ადრე თუ გვიან, ერთიცა და მეორენიც პლანეტებივით დაიმსხვრევიან, ხოლო მათი ალი მთელს სამყაროში გაიფანტება და განქარდება. ამრიგად, ციურ სხეულთა წრიული მოძრაობა, რომელიც დღეს სამყაროული წესრიგის საფუძველად და თვით სამყაროს არსებობის წყაროდ თუ აუცილებელ პირობად გვევლინება, დროთა ვითარებაში თვითონვე იქცევა ამ წესრიგისა და ამავე სამყაროს განადგურების მიზეზად.

როდესაც დაიღუპებიან პლანეტები, დედამიწა, მზე, ვარსკვლავები, მაგრამ არა მათი შემადგენელი მატერია, ძველი სამყაროს ნანგრევებიდან წარმოიქმნებიან ახალი ქმნილებები, ახალი გვარები და სახეები, მატერიის მარადიულ ძალთა ქმედითობის შედეგად აღმოცენდებიან საგანთა ახალი წესრიგნი და ახალი სამყაროები. მაგრამ ამ წესრიგთა და სამყაროთა თვისებებზე, ისევე როგორც თვისებებზე ყველა იმ წესრიგისა თუ სამყაროსა, რომლებიც არსებობდნენ უხსოვარ წარსულში, ან იარსებებენ შორეულ მომავალში, ჩვენ ვარაუდის გამოთქმაც კი არ შეგვიძლია.





ფრანგულიდან

თარგმნა ირინე მღუპრიშვილმა

საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა უაღრესად დიდი როლი ითამაშეს საფრანგეთის კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში. ამ გარტენდენციამ და, მეორე მხრივ, საფუძველი ჩაეყარა მე-19 საუკუნის მრავალმა პრინციპების ჩამოყალიბებას.

ხელოვნება მკიდროდ დაუკავშირდა ხალხთა მასებს. ამ პერიოდის მხატვრები ეძებდნენ და პოულობდნენ კიდევ გზებს, რათა შეექმნათ გამოკვეთილი ხასიათების მქონე ძლიერი და კეთილშობილური სახეები. ესაა ხანა რევოლუციებისა, სადაც წამყვან მხატვრულ მიმართულებად „რევოლუციური კლასიციზმი“ იქცა.

„რევოლუციური კლასიციზმის“ წარმომადგენლად და ფუძემდებლად გვევლინება ჟაკ-ლუი დავიდი (1748-1825) — ცნობილი მხატვარი და გამოჩენილი რევოლუციური მოღვაწე, რომელიც ღრმად შეიგრძნობდა ხელოვნების საზოგადოებრივ როლს. ხელოვანს უფრო ანტიკურ გმირთა სახეები იზიდავდა, გმირებისა, რომლებიც ყველაზე მაღლა სამშობლოს ინტერესებს აყენებდნენ.

რევოლუციის ეპოქაში მხატვარი მხოლოდ ანტიკური სიუჟეტებით არ იფარგლებოდა და ხშირად თანამედროვე თემებსაც (მოვლენებს) მიმართავდა. დავიდის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე და მნიშვნელოვანი ტილოა „ბრუტუსი“, („ლიქტორებს შემოაქვთ ბრუტუსთან მის ვაჟიშვილთა ცხედრები“).

ჟაკ-ლუი დავიდს ეს სურათი ლუდოვიკო XVI თხოვნით შეუკვეთეს. სურათზე წარმოდგენილია ფრაგმენტი ერთ-ერთი საგმირო რომაული სცენიდან, სადაც მორალის დიდი თავყანისმცემლები, ნეოკლასიციზმის წარმომადგენლები ამჯობინებდნენ ეჩვენებინათ განსაკუთრებულად რთული, მკვეთრად გამოხატული ხასიათები. აი. ბრუტუსი ეს-ესაა დაბრუნდა სახლში, მან სიკვდილი მიუსაჯა ვაჟიშვილებს დალატისათვის, შემოაქვთ ნაწამები სხეულები. სავარძლიდან წამოიჭრა თავზარდაცემული დედა. სასოწარკვეთილი გულში იკრავს თავის ქალიშვილებს, რომელთაგან ერთს გული შეუღონდა. დავიდმა თავდაპირველად მხოლოდ ბრუტუსის ვაჟიშვილების მოკვეთილი თავები დახატა, მაგრამ შექმნილმა ვითარებამ და რევოლუციის გამარჯვებამ აიძულა იგი მსხვერპლი ნაკლებ ეფექტურად გამოესახა, რომაული მანერა რესპუბლიკის მონაპოვარი გახდა და ამ მიმდინარეობის წინამძღოლად ჟაკ-ლუი დავიდი მოგვევლინა.

მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ფრანგული ხელოვნების ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჟაკ-ლუი დავიდის მოწაფის ჟან-დომინიკ ენგრის (1760-1867) შემოქმედებას. მან ფრანგული ხელოვნების ისტორიაში ორმაგი როლი ითამაშა. ერთის მხრივ, ენგრი იყო წარმომადგენელი აკადემიური მიმართულებისა, რომელიც გამოხატავდა ბურჟუაზიული საზოგადოებისა და კონსერვატიული წრეების შეხედულებებს. ამ მიმართულებისთვის დამახასიათებელი იყო კლასიციზმის პრინციპები, რომელმაც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში დაკარგა თავისი რევოლუციური შინაარსი და გადაიქცა ცხოვრებისაგან მოწყვეტილ ცივ, პირობით ხელოვნებად.

მეორეს მხრივ, ენგრმა, როგორც რეალისტური პორტრეტის უდიდესმა წარმომადგენელმა დიდი გავლენა მოახდინა საფრანგეთის რეალისტური ხელოვნების განვითარებაზე.

მე-19 საუკუნის აკადემიური მიმართულების ფრანგი მხატვრებისაგან განსხვავებით ენგრი ინარჩუნებს ამაღლებული პარმონიული სილამაზისა და პოეტურობის გრძნობას. ენგრი არის სალონური მხატვარი, მისი ნაწარმოებები, რომლებშიც შიშველი ქალის სხეულია გამოხატული, უდიდეს ესთეტიკურ ფასეულობას წარმოადგენენ.

„ანეელიკა“ ენგრმა იმავე წელს შექმნა, როცა მისი უდიდესი კომპოზიციური ნაწარმოები „ანეელიკა“ (1841) დაიწერა. არიოსტოს მიერ შთაგონებული ეს უდიდესი შედევრი თავისი სისადავით, უდავოდ ყველაზე უფრო შთაბეჭდავი სურათია ენგრის მიერ ამავე თემაზე შექმნილ უამრავ ვარიანტთა შორის. მხატვარი, რომელიც „ფანტაზიის“ უნარს მოკლებული გახლდათ, ამჯობინებდა ხელახლა დაბრუნებოდა ადრე არჩეულ თემებს, დაბრუნებოდა, ვიდრე ახალი შეეთხზა. სურათზე ნარინჯისფერის სიჭარბე უფრო მკვეთრად აჩენს სხეულის აგებულებას. ანეელიკას ტანჯული პოზა ამავე დროს არაა მოკლებული საკუთარი თავით ტკბობას.

მე-19 საუკუნის უდიდესი კრიტიკოსი ბოდლერი ასე გვიხასიათებს კლასიციზმის სკოლის მკაცრ ქომავს: „ბატონ ენგრს მხოლოდ მაშინ ეუფლება უძლეველი ძალა და კარგად გამოსლის ყველაფერი, როცა მისი გენია პირველყოფილი სილამაზის პირისპირ დგება...“

თეოდორ შასერიო (1819-1856) დაიბადა სენ-დომინგოში. მან ნაადრევად დაიმკვიდრა ვუნდერკინდის სახელი. რვა წლისას ხატვის მანწაველებელი ჰყავდა, ხოლო თორმეტი წლის შასერიო, ენგრის შეგირდი გახდა. „შეხედეთ, ბატონებო, შეხედეთ, ეს ბავშვი იქნება ნაპოლეონი ფერწერაში“, — წამოიძახა მისი ნამუშევრით აღტაცებულმა ენგრმა. ჩვიდმეტი წლის მხატვარი გამოფენაზე მედლით დააჯილდოვეს, ხოლო ოცდაოთხი წლისა თეოფილ გოტიესა და ჟაკ ნერვალის მეგობარი იყო.

შასერიო თავის ტილოებში ცდილობს შექმნას იდეალური სილამაზის ქალის სახე, რომლებიც ჩვეულებრივ გამოირჩევიან განყენებული და პირობითი ხასიათით. რომანტიკული მელანქოლიის შასერიოს ქალები განსხვავდებიან მისი მასწავლებლის — ენგრის ქალებისაგან, ეს ის ქალებია, რომლებმაც დიდი ზეგავლენა მოახდინეს მთელ XIX საუკუნეზე. გრძელი სილუეტები მრგვალი თეძოებით. იღუმალი სევდა, ველური მშვენიერება, მიუწვდომელი აღმოსავლური სინაზე, — აი ასეთია მისი გენერები და დაფნები.

შასერიო გარდაიცვალა ოცდაჩვიდმეტი წლისა ნიჭის სრული გაფურჩქვნის ხანაში. მის ნახატებში უკვე იგრძნობა იმპრესიონიზმის ასპექტები: „რეალურში უნდა პოვო პოეზია, იხილო ანტიკური და გამოხატო ნატურაში, ნატიფად ასახო ყოველივე, რაც შიგნით, გულისგულში იმყოფება, იხილო სახეებში მარადი მშვენიერება და სათანადო წუთი შეარჩიო“.

გამოჩენილი გრაფიკოსი, ფერმწერი და მოქანდაკე ონორე დომიე რეალისტური ხელოვნების წარმომადგენელია.

დომიეს შემოქმედებისთვის ნიშნულია აქტიური დამოკიდებულება გარემოსადმი და არა უბრალო ჰერეტა. იგი მოწმე იყო საფრანგეთის სამივე რევოლუციისა და ყოველივე ამან პოვა კიდევ ასახვა მის შემოქმედებაში. 30-იან წლებში დომიე აღიარებული მხატვარია, მისი უღმობელი პოლიტიკური კარიკატურები ხშირად იბეჭდება პროგრესული ჟურნალების ფურცლებზე. მან პირველმა შესძლო გამოეაშკარაებინა ბურჟუაზიული საზოგადოებრივ უარყოფითი, კომიკური მხარეები და გაეხადა ხელოვნება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლის აქტიურ მონაწილედ. 1848 წლიდან დაიწყო დომიეს, როგორც ფერმწერის ახალი შემოქმედებითი ეტაპი. თუ გრაფიკაში დომიე გამოდიოდა უმეტესად სატირიკოს-მამხილებლის როლში, ფერწერულ ტილოებში მისი იდეალია უბრალო მშრომელი ადამიანის თემა. „ეს ქაბუჯი თავის თავში ატარებს მიქელანჯელოს“, — უთქვამს მასზე ბალზაკს.

თავის ნაწარმოებში „სკაპენი და კრისპენი“ დომიემ გამოავლინა თეატრალური და ადამიანური სამყაროების ღრმა ცოდნა. სურათი შედგება იმ ინტერესისა, რომელსაც მუდამ იხენდა დომიე თეატრისადმი და, კერძოდ, მოლიერისადმი. „როგორც მოლიერი, დომიეც ჯიქურ მიიწევს მიზნისაკენ, იღუა იქვე იყვითება, ხედავ და გესმის“ — აღნიშნავს ბოდლერი.

დომიე აუბრალოებს ფორმებს და აქცენტი ხასიათზე გადააქვს, რის გამოც მსახიობები უკვდავ ტიპაჟებად გვევლინებიან. ტილოზე არსებითს მსხვერპლად ეწირება არაარსებითი.

სცენის სიღრმეში მოჩანს თეატრალური დეკორაციები: ლურჯად მოთბუქნული ცა და მოყვითალო-იისფერი ხეები, რამპების მოჩვენებითი შუქის ფონზე ერთმანეთს ხვდებიან მო-

ლიერის ტრადიციული გმირები — სკაპენი და კრისპენი. გულზე დაქდობილი ხელები ფართე სახელოების ქვეშ შეუმაღავს სკაპენს და გესლიანად ეცინება, სახეზე ვარდისფერ-წითელი ფერები გადასდის. სატანურია მისი მზერა. კრისპენს თეთრით გაწყობილი შავი ტანსაცმელი აცვია. ხელი ტუჩებზე მიუფარებია და რაღაცას გამალებით ჩასჩურჩულებს მეგობარს. ისინი სარკასტული ღიმილით და სიმწრით შეჰყურებენ სივრცეს, რომლის მიღმა მოჩანს გულგატეხილობა და იმედგაცრუება არსებული ცხოვრებით. მათი ღიმილისა და სიცილის უკან დომიე ადვილად მალავდა „უხილავ ცრემლებს“, რაც ბუნებრივი შედეგი იყო წინააღმდეგობით აღსავსე საუკუნისა.

ანრი რუსო (1844-1910), პარიზის საბაჟოს ყოფილი ინსპექტორი, ფრანგულ ხელოვნებაში ახალი მიმართულების, პოსტიმპრესიონიზმის წარმომადგენელია. მისი უცნაური და მიამიტური ტილოების განუმეორებელი ინდივიდუალობა ერთნაირად ატყვევებდა მტერსა თუ მოკეთეს.

რუსოს მეგობრები — მხატვრები: ტულუზ ლოტრეკი, სინიაკი, ბრაკი, დერენი და პიკასო; ლიტერატორები: აპოლინერი, სალმონი, ეაკობი და დარი აღტაცებულნი იყვნენ რუსოს ნიჭით, მისი ტილოების უტყუარი სიახლით, ხალასი გულწრფელობით, მკვეთრი და სუფთა ფერების პარმონიით. ხელოვანი დაჯილდოებული იყო ეფექტის სწრაფი აღქმის უნარით. რუსოს ტილოები არ ჰგავდა თანამედროვეთა ტილოებს, ამიტომ ფართო მასებისათვის გაუგებარი და ხშირად დაცინვის მიზნებიც ხდებოდა.

მხატვარი უცხოდ გრძნობდა თავს იმ სამყაროში, რომლის თანამედროვეც თავად იყო და ამიტომაც ცდილობდა გაქცევას გამოგონილ სათამაშო სამყაროში. ფერწერა მისთვის იქცა ერთგვარ თავდაცვის იარაღად.

სიკვდილის წინ რუსო წერდა, რომ შეგნებულად შეინარჩუნა ფერწერაში მიამიტობა, ბუნებით და ცხოვრებით მინიჭებული თვისება, და ამას იგი იყენებდა განსაკუთრებულ მეტყველ ხერხად.

აღიარება ადვილად არ მოსულა. პირველი წარმატება რუსოს „ომმა“ მოუტანა, კრიტიკამ მას კარგი შეფასება მისცა.

ანრი რუსოს „ომი“ — ნორჩი, ველური ქალია, რომელიც უკვე დაღუპული სამყაროს ნანგრევებზე დანავარდობს. „იგი ჩაიჭროლებს შემზარავი სისწრაფით და თავის კვალზე ტოვებს სასოწარკვეთას, ცრემლსა და ნანგრევებს“, — დააწერა მან სურათს უკანა მხარეზე. მხატვარს უნდოდა ეჩვენებინა ომის საშინელი სტიქიური ძალა.

ორმოცდაათ წელს მიღწეული რუსო სამსახურიდან გადადგა და გადაწყვიტა ფერწერისათვის შეეწირა თავი. მცირე იყო პენსია, სურათები არ იყიდებოდა. პირველი სურათი, რომელიც პირდაპირ მხატვრის სახელოსნოდან გაიყიდა, „ოცნება“ იყო. ამ ტილოზე რუსომ გაამხილა თავისი მარადიული მისწრაფება არაჩვეულებრივისადმი და სილამაზის გაუღეველი წყურვილი. „ოცნება“ რუსოს უკანასკნელი სურათი აღმოჩნდა. სილატკის წლებმა თავისი გაიტანა. მხატვარი ღარიბთა საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ანრი რუსოს კვალდაკვალ მიჰყვებოდა მთელი რიგი მხატვარ-პრიმიტივისტებისა, მაგრამ ვერაინ შეძლო მისი ფერწერული ნიჭის მწვერვალამდე მიღწევა. „იგი იყო თავისი დროის ერთ-ერთი უძლიერესი მხატვარი“, — უთქვამს აპოლინერს.



На грузинском языке


1986 № 2

СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ



მანოა ლომია. კახეკანი და სპაკანი



6180/165
TAMAR SHASHVILI

ტამარ შაშვილი. ესთერის მორთვა-მუკაზმვა

ტამარ შაშვილი. ესთერის მორთვა-მუკაზმვა

საუნჯე

1985/2



ქართული
წიგნების
კავშირები



შინაარსი

კრთა და კრთია

ფ. სკობ ზიცჯერალდი, ნაზია ლაჰვი, რომანი, გაგრძელება. ინგლისურიდან თარგმნა მალიკო ხელაშვილმა	8
იოჰან ვოლფგანგ გოეთე, ფაუსტი გაგრძელება. გერმანულიდან თარგმნა იორამ ქეშერტელიძემ	115
მე ვებამბა, კვერცხები ჩინურად, რომანი, ესტონურიდან თარგმნა ამირან კალაძემ	132
კონსტანტინოს კავაფისი, ლექსები, ახალბერძნულიდან თარგმნა იზა ორჭონიკიძემ	193
ლიტველი კობეზი, ლექსები, თარგმნა ვაჟა დადიანიძემ	209
ლეონ ფილიპე, შაკატიმთ! ლექსი, თარგმნა სულხან ჭორჭანიელმა	205
ტატიანა სუხოტინა-ტოლსტაია, მოგონებები, გაგრძელება, თარგმნა ნანა დარჩიამ	208

წერილები

ჯაკომო ლეოპარდი, დიალოგები, დახასრული, იტალიურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ	282
მე-19 საუკუნის ფრანგული ფარფირა ლეგრში, ფრანგულიდან თარგმნა ირინე მღებრიშვილმა	318

ქართული
წიგნების
კავშირები